საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

# ხელისუფლება და საზოგადოება – 2022

## XVI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული

თბილისი
2022

**https://doi.org/10.36073/1512-374X**

# ხელისუფლება და საზოგადოება – 2022
# XVI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია


### კონფერენციის სარედაქციო საბჭო:

**რუსუდან ქუთათელაძე** – ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი

**გენადი იაშვილი** – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

**შოთა დოღონაძე** – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

**გიორგი ბაღათურია** – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

**თინათინ იაშვილი** – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

**ოთარ ქოჩორაძე** – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

**გიორგი ცაავა** – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

**თამარ რევაზიშვილი** – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

**ოთარ ბაღათურია** – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

**ბესიკ შერაზადიშვილი** – ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

**ვილჰელმ ჰაუზერი** – სტუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი, გერმანია. ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**შტეფენ ჰუტერი** – პროფესორი, დოქტორი. ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

**შტეფან ლანგი** – პროფესორი, დოქტორი. მიუნხენის უნივერსიტეტი. კერძო საადვოკატო ბიუროს ხელმძღვანელი

**გოტჰარდ შტაინერი** – დოქტორი, მიუნხენი. უძრავი ქონების ბიუროს ხელმძღვანელი

**ანდრეას ბრანდტი** – პროფესორი, დოქტორი. ბერლინი.


Verba volant,
scripta manent

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2022

**ISSN 1512-374X**

**http://odageorgia.ge/**

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.

ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

FACULTY OF BUSINESS TECHNOLOGIES

# AUTHORITY AND SOCIETY - 2022

## XVI International Scientific Conference Proceedings

Tbilisi
2022

**https://doi.org/10.36073/1512-374X**

# AUTHORITY AND SOCIETY - 2022

## XVI INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE


### THE CONFERENCE EDITORIAL COUNCIL:

**Rusudan Kutateladze -** Dean of the Faculty of Business Technologies

**Genadi Iashvili -** Professor, Faculty of Business Technologies

**Shota Dogonadze -** Professor, Faculty of Business Technologies

**Giorgi Bagaturia -** Professor, Faculty of Business Technologies

**Tinatin Iashvili -** Professor, Faculty of Business Technologies

**Otar Kochoradze -** Professor, Faculty of Business Technologies

**Giorgi Tsaava -** Professor, Faculty of Business Technologies

**Tamar Revazishvili -** Assoc. Professor, Faculty of Business Technology

**Otar Baghaturia -** Assoc. Professor, Faculty of Business Technology

**Besik Sherazadishvili -** Assistant Professor, Faculty of Business Technologies

**Wilhelm Hauser -** GTU Honorary Doctor, Professor, Germany. Saarland University of Technology and Economics. Faculty of Economics

**Stephen Hutter -** Professor, Ph.D. Saarland University of Technology and Economics. Dean of the Faculty of Economics

**Stefan Lang -** Professor, Ph.D. University of Munich. Head of a private law firm

**Gotthard Steiner -** PhD, Munich. Head of Real Estate Bureau

**Andreas Brandt -** Professor, Ph.D. Berlin


© Publishing House „Technical University“, 2022

**ISSN 1512-374X**

http://odageorgia.ge/

Verba volant, scripta manent

All rights reserved. No part of this publication may be reproduced (will this be a text, photo, illustration or otherwise) in any form or by any means (electronic or mechanical) without the prior written permission of publisher.
Piracy is punished according to the law.
Author(s) are responsible for the accuracy of all the facts provided in the book.
The position of author(s) might not be coinciding with the position of the Publishing House.

სარჩევი------------------------------------------------------------------------------------ 5
**შოთა დოღონაძე, ლევან ჯაფარიძე,**
საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინოვაციური სოციალური ტექნოლოგიები------------------------------------------------------ 10
**Steffen Hütter,Dominik Schug**
Aktuelle Ansätze und Zukunftsaussichten urbaner und suburbaner Mobilität in Europa---------------------------------------------------------------------------------------------- 19
**ზიზი სვანიძე, გარი გუნია**
საქართველოს ზოგიერთი რეგიონის მიწისქვეშა წყლების მძიმე ლითონებით ინტენსიურად დაბინძურებული უბნების მონიტორინგი----------------------------------- 25
**თამარ რევაზიშვილი**
ტყის ხანძრები, კლიმატის ცვლილება და ტყის მდგრადი განვითარება----------------- 32
**ანა მელქაძე, შოთა დოღონაძე**
ინფორმაციის თავისუფლების ასპექტები თანამედროვე საქართველოში------------- 39
**სოფიო დოღონაძე**
მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის სახელმწიფო მართვის სტრუქტურა------------------- 47
**ლაშა პიტნავა**
ონლაინ თამაშობებზე სახელმწიფო ზედამხედველობა ევროკავშირის ქვეყნებში----- 58
**გიორგი ბაღათურია, მარიამ კუჭავა**
სახელმწიფო მართვის პრინციპები და დემოკრატიული ღირებულებები----------- 63
**შალვა კუჭაშვილი**
საქართველოს ევროინტეგრაციის აქტუალური პრობლემები-------------------------- 68
**ნინო ლომსაძე**
სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების საჯარო მმართველობაში გამოყენების რამდენიმე ასპექტი--------------------------------------------------------------------- 73
**მაია ოსიყმიშვილი**
ტრანსფორმაციული ლიდერობის თეორიის განვითარება და მისი ძირითადი ფაქტორები--------------------------------------------------------------------------------- 78
**ნინო ლორთქიფანიძე**
გერმანული საჯარო მმართველობის მოდერნიზაციის გამოწვევები. ინდიკატორი საქართველოსთვის---------------------------------------------------------------------- 83
**გიორგი ბაღათურია, იოსებ დიღმელიშვილი**
საჯარო მმართველობითი საკითხები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც მმართველობითი სუბიექტი------------------------------------ 88
**Артем Сидорин, Отар Кочорадзе**
Способы урегулирования конфликтов в сфере государственного управления--------------- 93
**ოთარ ბაღათურია, ლიზა ამილახვარი**
ხელისუფლების და საზოგადოების როლი ასიმეტრიული ომის ახალ განზომილებაში--------------------------------------------------------------------------- 104
**გუგული ყურაშვილი, თინათინ აბრალავა**
კრეატიული განათლება - ოცდამეერთე საუკუნის აუცილებლობა--------------------- 110
**ირინა ბენია**
საქართველო როგორც ტოლერანტობისა და მშვიდობის ზონა------------------------- 115
**გრიგოლ აბრალავა**
სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტები-------------------------------- 117
**თამაზ მაჩიტიძე**
უმაღლესი განათლება და სამუშაო ძალა საქართველოში------------------------------- 122
**გურამ ჯოლია**
ციფრული დიპლომატიის უპირატესობები და ნაკლოვანებები---------------------- 127

**მედეა ჭელიძე, მარინე თოფჩიშვილი, რუსუდან თოფჩიშვილი**
უსაფრთხოება – ადამიანის კეთილდღეობის და სიმშვიდის გარანტი----------------- 133
**თამარა ტარტარაშვილი, ვეფხვია ჯოლოხავა**
კულტურა როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება--------------------- 139
**ანზორ აბრალავა, თამარ გუდავა**
კულტურის სფეროს მართვის ორგანიზაციული ფორმები და მათი მახასიათებლები---------------------------------------------------------------- 145
**თამარ გოცაძე**
ბავშვებისათვის მიზნობრივი სოციალური პროგრამები მუნიციპალურ სტრუქტურებში აღწერა და ანალიზი------------------------------------------------------ 151
**Wilhelm Hauser,**
The Logistics Sector in Germany------------------------------------------------------------------------ 159
**გენადი იაშვილი, თინათინ იაშვილი, ბესიკ შერაზადიშვილი,**
ელექტრონული ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები----------------- 163
**თამთა ღლონტი**
პერსონალური მონაცემების დაცვა ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებში---- 168
**ზაზა ჭიპაშვილი**
საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“ დასაქმებულთა მოტივაციის საკითხები------------------------------------------------------------------------------------- 172
**მარიამ ჯიბლაძე**
ელექტრონული მართლმსაჯულება ინფორმაციული საზოგადოების პარადიგმაში-- 177
**ლაშა თოლორდავა**
საპროცესო შეთანხმების პრობლემები ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან მიმართებაში-------------------------------------------------------------------------------------- 182
**ფატი ხალვაში**
აღმასრულებელი ხელისუფლების საპარლამენტო კონტროლის სისტემა რეგიონულ დონეზე ------------------------------------------------- 189
**გენადი იაშვილი, ანა ბარათაშვილი,**
გლობალიზაცია და საერთაშორისო შრომითი მიგრაცია---------------------------------- 197
**ბესარიონ სიმონიშვილი, მირანდა ჯანხოთელი**
საქართველოში რეპროდუქციისა და მიგრაციის დინამიკის სტატისტიკური ანალიზი--------------------------------------------------------------------------------------------- 202
**ანა გეგეშიძე**
საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ნავთობის სექტორში, ენტროპიის თეორიის კუთხით------------------------------------------------------------- 209
**გიორგი მამულაშვილი**
დასაქმების შესაძლებლობები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის თანამედროვე საქართველოში------------------------------------------------------------------------------- 214
**ზურაბ გეგენავა**
მოტივაციის ფსიქოლოგიური გააზრებები------------------------------------------- 218
**თორნიკე ჯინჭარაძე**
ფინანსური მონიტორინგი: არსი, პრობლემები-------------------------------------------- 223
**ანა ხონელიძე**
სოციალური ქსელების გავლენა ბრენდებზე პანდემიის დროს------------------------ 229
**თეონა თაბაგარი**
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) როლი ქართულ კომპანიებში ------------------------------------------------------------------------------------ 235

**ლევან ლორთქიფანიძე**
სასამართლო მტკიცებულებების ტვირთის ძირითადი მახასიათებლები და როლი საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' მე-13 თავის მოთხოვნათა რეალიზაციის პროცესში---------------------------------------------- -------------------------- 240
**მარიამ რობაქიძე**
შესაძლო კორელაცია გენდერსა და კორუფციას შორის-------------------------------- 245
**ირაკლი ჩუბინიძე**
ტურისტული საქმიანობის ორგანიზების ახალი ინიციატივა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მაგალითზე---------------------------------------------------------- 251
**თამთა მამულაიძე**
სასურსათო რეზერვების მართვის პოლიტიკა და პროგნოზირების ფორმულა-------- 258
**რუსუდან ქუთათელაძე, ელზა ვეკუა**
მარკეტინგის როლი უმაღლეს განათლებაში---------------------------------------------- 264
**ანზორ აბრალავა, პაატა გოგეშვილი**
სამშენებლო ბიზნესის მართვის თავისებურებები: მიდგომები და პროცესები-------- 270
**გიორგი სახვაძე, მზია კიკნაძე, რომან სამხარაძე, ლია გაჩეჩილაძე,**
ინფორმაციული უსაფრთოხების ცნობიერების ამაღლების ტრენინგის დაგეგმვა და ავტომატიზაცია-------------------------------------------------------------------------------- 276
**თამარ როსტიაშვილი, თეონა აბულაძე**
საწარმოს ინოვაციური აქტივობის შეფასების ძირითადი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები-------------------------------------------------------------------------------- 284
**ნინო ჩიკვილაძე, თამარ ბერიძე, თამარ დევიძე, ბელა გოდერძიშვილი**
პროფესიული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია საქართველოში-- 290
**ბაკურ ქრისტესიაშვილი**
ეროვნულ ვალუტაზე მოქმედი მაკროეკონმიკური ფაქტორები------------------------ 295

**Dogonadze Shota, Levan Djaparidze**
Innovative social technologies of public administration and local self-government--------------- **10**
**Steffen Hütter, Dominik Schug,**
Aktuelle Ansätze und Zukunftsaussichten urbaner und suburbaner Mobilität in Europa---- **19**
**Zizi Svanidze, Garry Gunia**
The monitoring of intensively polluted areas of groundwater with heavy metals of some region of Geoegia---------------------------------------------------------------------------------------------- **25**
**Tamar revazishvili**
Forest fires, climate change and sustainable forest management------------------------------------ **32**
**Ana Melkadze, Shota Dogonadze**
Aspects of freedom of information in modern Georgia---------------------------------------------- **39**
**Sofia Dogonadze**
The structure of public administration in some countries of the world------------------------------ **47**
**Lasha Pitnava**
State supervision of online games in EU countries--------------------------------------------------- **58**
**Mariam Kuchava**
State management principles and democratic values---------------------------------------------- **63**
**Shalva Kutchashvili**
Actual problems of Georgia’s European integration---------------------------------------------- **68**
**Nino Lomsadze**
Several Aspects of Applying Strategic Management Objectives in Public Administration-------- **73**
**Maia Osikmishvili**
Development of transformational leadership theory and It’s main factors-------------------------- **78**
**Nino Lortkipanidze**
Challenges of Modernizing German Public Administration. Indicator for Georgia-------
**Giorgi Baghaturia, Ioseb Dighmelishvili** **83**
Issues of Pablic Administration and the Constitutional Court of Georgia as a governing entity--
**Artem Sidorin, Otar Kochoradze**
Methods of influence in the field of public administration-------------------------------------------- **93**
**Otar Baghaturia, Liza Amilakhvari**
The Role of Government and Society in the New Dimension of Asymmetric Warfare---------- **104**
**Guguli Kurashvili, Tinatin Abralava**
Creative education - a necessity of the twenty-first century------------------------------------------- **110**
**Irina Benya**
Georgia as a zone of tolerance and peace--------------------------------------------------------------- **115**
**Grigol Abralava**
State social policy priorities---------------------------------------------------------------------------- **117**
**Tamaz Machitidze**
Higher education and working resource in Georgia--------------------------------------------------- **122**
**Guram Jolia**
Advantages and Disadvantages of Digital Diplomacy------------------------------------------------ **127**
**Medea Chelidze**, **Marine Topchishvili, RusudanTopchishvili**
Security - the guarantor of human well-being and peace of mind------------------------------------- **133**
**Tamara Tartarashvili, Vepkhvia Jolokhava**
Culture as a way to achieve political goals----------------------------------------------------------- **139**
**Anzor Abralava, Tamar Gudava**
Organizational forms of cultural management and their characteristics------------------------------ **145**
**Tamar Gotsadze**
Description and analysis of targeted social programs for children in municipal structures-------- **151**
**Wilhelm Hauser**
The logistics sector in Germany--------------------------------------------------------------------------- **159**
**Genadi Iashvili**, **Tinatin Iashvili, Besik Sherazadishvili**
Modern trends in electronic business development-------------------------------------------------- **163**
**Tamta Glonti**
Protection of personal data in the European Union and its member states-------------------------- **168**
**Zaza Chipashvili**

Aspects of Employee Motivation in The Law of Georgia on Public Service------------------------ **172**
**Mariam Jibladze**
Electronic justice in the paradigm of information society--------------------------------------------- **177**
**Lasha Tolordava**
Problems of the Plea Bargain in Relation to the Principle of Separation of Powers----------- **182**
**Fati Khalvashi**
Parliamentary control system of the executive power at the regional level------------------------ **189**
**Iashvili Genadi, Ana Baratashvili**
Globalization and international labor migration------------------------------------------------------ **197**
**Besarion Simonishvili, Miranda Jankhoteli**
Statistical analysis of reproduction and migration dynamism in Georgia during last decade------ **202**
**Ana Gegeshidze,**
Economic Policy of Georgia in the Oil Sector, In Terms of Entropy Theory------------------ **209**
**Giorgi Mamulashvili**
Employment opportunities for young professionals in modern Georgia---------------------------- **214**
**Zurab Gegenava**
Psychological understandings of motivation------------------------------------------------------------ **218**
**Tornike Jincharadze**
Financial monitoring: essence, problems----------------------------------------------------------------- **223**
**Ana Khonelidze**
The impact of social networks on brands during the pandemic--------------------------------- **229**
**Teona Tabagari**
The role of corporate social responsibility (CSR) in Georgian companies------------------------- **235**
**Levan Lortkipanidze**
Main characteristics and role of the burden of forensic evidence in the process of realization of the requirements of Chapter 13 of the law of Georgia ”on Public Service" ------------------ **240**
**Mariam Robakidze**
A possible correlation between gender and corruption----------------------------------------------- **245**
**Irakli Chubinidze**
A new initiative for organizing tourist activities. On the example of Terjoli municipality-------- **251**
**Tamta Mamulaidze**
The policy of food reserves management and Forecasting Formula--------------------------------- **258**
**Rusudan Kutateladze, Elsa Vekua**
The role of marketing in higher education------------------------------------------------------------- **264**
**Anzor Abralava**, **Paata Gogeshvili**
Crisis Management in construction: approaches and process------------------------------------ **270**
**Tamar Rostiashvili, Teona Abuladze**
Substantiation of Key Financial and Economic Indicators for Assessing the Innovative Activity of an Enterprise------------------------------------------------------------------------ **284**
**Nino Chikviladze, Tamar Beridze, Tamar Devidze, Bela Goderdzishvili,**
Quality assurance strategy of professional education in Georgia------------------------------------ **290**
**Bakur Kristesiashvili**
Macroeconomic factors affecting the national currency-------------------------------------------- **295**

# საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინოვაციური სოციალური ტექნოლოგიები

**შოთა დოღონაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**ლევან ჯაფარიძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

დიდია სოციალური ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, თუმცა მათი გამოყენება უკიდურესად არარაციონალურად ხდება. რეალური წინააღმდეგობა იქმნება მეცნიერების, კულტურის, განათლების, საუკეთესო პრაქტიკის უზარმაზარ ინტელექტუალურ პოტენციალსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სოციალურ-ტექნოლოგიური ცოდნის გამოყენების დონეს შორის, მათ შორის მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში.

აღნიშნული წინააღმდეგობების დაძლევაზე, ინოვაციური მეთოდების გამოყენების აუცილებლობაზეა აღნიშნული წინამდებარე ნაშრომში. ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ ეს პრობლემატიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია საქართველოსთვის, რამდენადაც მოქმედი კონსტიტუციით საქართველო სოციალური სახელმწიფოა და მისი მმართველობითი სისტემა რეფორმირებას განიცდის.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო მართვის რეფორმა, კონსტიტუცია სოციალური ტექნოლოგიები, ინოვაციები.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ სოციალური ტექნოლოგიების (გლობალური, საინფორმაციო, საგანმანათლებლო, ადამიანთმცოდნეობის, პოლიტიკური და ა.შ.) დახმარებით შესაძლებელია სოციალური კონფლიქტების დროულად მოგვარება, სოციალური დაძაბულობის განმუხტვა, კატასტროფების თავიდან აცილება, რისკის შემცველი სიტუაციების დაბლოკვა, ოპტიმალური მართველობითი გადაწყვეტილებების მიღება. სოციალური ტექნოლოგიების არსი შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც სოციალური სისტემების ფარული პოტენციალის იდენტიფიცირებისა და გამოყენების მეთოდების ინოვაციური სისტემა და სოციალურად სასარგებლო შედეგის უმცირესი დანახარჯებით მიღება.

დიდია სოციალური ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, თუმცა მათი გამოყენება უკიდურესად არარაციონალურად ხდება. რეალური წინააღმდეგობა იქმნება მეცნიერების, კულტურის, განათლების, საუკეთესო პრაქტიკის უზარმაზარ ინტელექტუალურ პოტენციალსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სოციალურ-ტექნოლოგიური ცოდნის გამოყენების დონეს შორის, მათ შორის მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში.

XX საუკუნის ბოლოს კაცობრიობა თავისი განვითარების თვისობრივად ახალი პერიოდში შევიდა. რომის კლუბის დამფუძნებლისა და პირველი პრეზიდენტის აურელიო პეჩეს შეხედულებით, ნებისმიერი პრობლემის გადაჭრისას ადამიანს ყოველთვის მოუწევს რომ გაითვალისწინოს: პლანეტის "გარე საზღვრები", თავად ადამიანის "შინაგანი საზღვრები", მიღებული კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ვალდებულია გადასცეს მათ, ვინც მის შემდეგ მოვა; გაითვალისწინოს მსოფლიო საზოგადოება რომელიც მან უნდა ააშენოს, ეკო-

გარემო, რომელიც მან ნებისმიერ ფასად უნდა დაიცვას და ბოლოს რთული საწარმოო სისტემა, რომლის რეორგანიზაციის დაწყების დროა.

ობიექტური პირობები, რომელშიც ადამიანს უწევს XXI საუკუნეში მოქმედება, ადამიანების აზროვნების, ქცევისა და თანამშრომლობის ახალ ფორმებს კარნახობს. შესაბამისად, ახლებურად უნდა განვითარდეს და ორგანიზებული იქნეს სუბიექტური ფაქტორი. დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, დინამიური ცვლილებების დროა. ყველა პროცესი სწრაფად და ძალიან წინააღმდეგობრივად ვითარდება. ამერიკელები ასეთ სიტუაციას "გამოწვევას" უწოდებენ, რომელშიც როგორც გარკვეული შესაძლებლობები, ასევე საფრთხეები იმალება.

განსაკუთრებით შემაშფოთებელ ტენდენციებს შორის ძირითად აღიარებულია :

ა) ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პლანეტარული ცვლილებები (ბიოლოგიური მრავალფეროვნების სწრაფი შემცირება, "სათბურის ეფექტის" ზრდა და კლიმატის ცვლილება, ოზონის შრის და ტყის ფართობის შემცირება და ნიადაგის დეგრადაცია, ადამიანის საქმიანობის ტოქსიკური ნარჩენებით ნიადაგების, წყლისა და ატმოსფეროს დაბინძურება;

ბ) მკვეთრად მზარდი სოციალური დიფერენციაცია როგორც სხვადასხვა ქვეყნებს შორის, ასევე ცალკეულ ქვეყნებში, რაც რესურსებისთვის ბრძოლის მიმდინარე ადგილობრივ კონფლიქტებს უკავშირდება და გლობალური რყევის შემცველი მაღალი საფრთხის მატარებელია;

გ) დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ზრდა პლანეტის რესურსული შესაძლებლობების შემცირებით;

დ) არა განახლებადი ბუნებრივი რესურსების ხარჯვის გამანადგურებელი რეჟიმი, თანამედროვეთა საქმიანობაში მომავალი თაობების ინტერესების გაუთვალისწინება.

აქედან გამომდინარე, იზრდება განცდა, რომ ყველა ამ საგანგაშო ტენდენციის შედეგი შეიძლება იყოს ადამიანის საზოგადოებასთან კავშირების გაწყვეტის საფრთხის არსებობა, მისი სულიერებისა და კულტურის გაღატაკება.

ინდივიდსა და საზოგადოებას შორის წინააღმდეგობა მსოფლიოს დისბალანსის ერთ-ერთი ძირეული მიზეზია, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა სახის აფეთქებებისა და კატასტროფების შესაძლებლობების ზრდას. როგორც ჩანს, მსოფლიოს წინაშე მდგარი ამ კარდინალური პრობლემის გადაჭრაზეა დიდ წილად დამოკიდებული სოციალური პროგრესის ტემპი, მისი ღირებულებითი ორიენტაციები და სულიერი პრინციპები.

ამ წინააღმდეგობის გამწვავება იწვევს პიროვნების დეგრადაციას, ადამიანის აპათიისა და სასოწარკვეთის გაძლიერებას, ცრუ სულიერი ღირებულებების დამკვიდრებას, რასაც თან სდევს ანტისოციალური ქცევა, მზარდი აგრესიულობა, სამხედრო კონფლიქტების გაჩენა, ეროვნებათაშორისი დაპირისპირებები, ტერორიზმი და ა.შ.

ადამიანის მარადიულ სწრაფვამ ბუნებაზე, კაცობრიობის სოციალურობაზე ბატონობისადმი, (მისმა ბიუროკრატიულმა სტრუქტურებმა) იმდენად მოახდინა სოციალური და ბუნებრივი სამყაროს დეფორმირება, რომ დღეს ბევრი ადამიანი არ არის კმაყოფილი თავისი განვლილი ცხოვრებით, ვერ იპოვა თავისი ადგილი, გამოცადა მრავალი უსამართლობა, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეუძლია, სურდა საკუთარი თავის შემოქმედებით პროფესიაში რეალიზება, მაგრამ მუდმივად იძულებულია მხოლოდ საარსებო სახსრების შოვნისთვის იზრუნოს.

ამ წინააღმდეგობების გაცნობიერება რთული და მტკივნეულია. XX საუკუნის მეორე ნახევარში მენეჯერული (მმართველობითი) რევოლუცია მოწინავე ქვეყნების დაჩქარებული

განვითარების რეალობად და მთავარ საშუალებად იქცა: კრიზისული მოვლენების დაძლევა, საბაზრო ურთიერთობების გაუმჯობესება, მსხვილი მონოპოლიების დიქტატის დაძლევა, სხვადასხვა სახის საკუთრების და მრავალი საბაზრო სუბიექტის გაჩენა, მთლიან ეროვნულ პროდუქტში ინტელექტუალური საკუთრების წილის გაზრდა. ბევრმა თანამედროვე ცივილიზაციამ მმართველობითი რევოლუციის გავლენით ცნობილ სოციალურ შედეგებს მიაღწია.

მმართველობით რევოლუციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რაციონალურ პრინციპს, ცოდნას, მეცნიერულ პროექტირებას და პროგრამირებას, მათემატიკურ და სოციალურ მოდელირებას. მეცნიერული მართვის ეს მეთოდები მიმართულია სოციალური რესურსების, ადამიანური ფაქტორის რესურსების სრული გამოყენებისადმი. ხაზგასასმელია, რომ მმართველობითი ცოდნის, მმართველობითი კონცეფციების, პროექტებისა და პროგრამების ფორმირება აღარ არის მმართველი ცენტრის პრივილეგია და მართვის ყველა დონის საკუთრება ხდება, მათ შორის მუნიციპალურის. თვისობრივი გარდაქმნები მოხდა მილიონობით მმართველის ცნობიერებაში, რომლებიც უმეტესწილად პროფესიონალებია, რომლებიც ეფექტიან გავლენის ახდენენ სამართავ ობიექტზე.

მსოფლიომ საბოლოოდ გააცნობიერა ის ფაქტი, რომ მისი სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია ბუნებრივი, სოციალური და სულიერი ფაქტორების განადგურებით.

პრობლემის გააზრებამ საფუძველი შეუქმნა განვითარების თანამედროვე ტენდენციების გამოვლენას და მათი გადაჭრის ახალ მეთოდებს. ისინი ჩნდებიან მართვის სფეროში და ატარებენ სტრატეგიულ და ტაქტიკურ ხასიათს. მართვის ორგანოები შეიმუშავებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის ზომებს, რაც ბაზრის სოციალურად შეზღუდვის შესაძლებლობას ზრდის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რამდენადაც კონსტიტუციით ის სოციალურ სახელმწიფოდაა აღიარებული.

მართვის საგნის - სახელმწიფოს განვითარების წინაშე ახალი მოთხოვნები დგება, რომელიც იძულებულია ეკონომიკური რეგულირების მრავალი ფუნქციის დელეგირება მოახდინოს თავის მოქალაქეებზე, ტერიტორიებზე, გაერთიანებებსა და ასოციაციებზე, მცირე და საშუალო საწარმოებზე. ეს, თავის მხრივ, აძლიერებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მატერიალურ, ფინანსურ და სამართლებრივ ბაზებს, რომლებიც სულ უფრო აქტიურად ახდენენ გავლენას ტერიტორიული რესურსების (სოციალური, სულიერი, კულტურული, მმართველობითი და ა.შ. და არა მხოლოდ ბუნებრივის) სწორად გამოყენებაზე.

ისინი ასევე შესაძლებელს ხდიან ხელისუფლებისა და მართვის ზედა ფენების მათთვის არა თვისობრივი ფუნქციებისგან განტვირთვას და საშუალებას აძლევენ მართვის თანამედროვე მეთოდებზე (სტრატეგიული, პროგრამულ - მიზნობრივი, საინფორმაციო-ანალიტიკური და ა.შ.) ყურადღების გამახვილებას. ასე ყალიბდება მმართველობითი კულტურის ფორმირების პროცესი, იქმნება კონცეპტუალური აზროვნება "ქვემოდან ზევით". პრაქტიკით დადასტურებული პროგრამულ - მიზნობრივი და პროგნოზირებადი მართვის მეთოდები მმართველობითი საქმიანობის ნორმად იქცევა მის ყველა დონეზე. არაპროფესიონალების პრაგმატული და სპონტანური ქმედებები როგორც ფედერალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე კი მმართველობითი ქცევის ჩიხად აღიქმება.

თუმცა, ძალიან ნელა ვითარდება ეს ტენდენციაა. შეგვიძლია კი ვთქვათ, რომ მმართველობითმა რევოლუციამ გაართვა თავი იმ რთულ პრობლემებს, რომელთა წინაშეც დღეს კაცობრიობა აღმოჩნდა? ზოგიერთი მათგანის გადაჭრის შემდეგ, მან ჯერ ვერ უპასუხა მთავარს-

როგორ უნდა გაერთიანდეს მსოფლიო საზოგადოების ძალისხმევა იმ გლობალური წინააღმდეგობების დასაძლევად, რომლებიც დღეს კაცობრიობის წინაშე დგას ?

იმავდროულად, წინააღმდეგობა მართვის გლობალურ ობიექტს - პლანეტა დედამიწას და მართვის სუბიექტს - მსოფლიო თანამეგობრობას შორის, არა მხოლოდ გადაიჭრა, არამედ კიდევ უფრო ღრმავდება. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ პროცესები დღეს გლობალური ხასიათისაა და მმართველობითი ზემოქმედება შემოიფარგლება ცალკეული რეგიონალური, ეროვნული სუბიექტების ჩარჩოებით, ხშირად ეროვნული ეგოიზმის ინტერესებით.

თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი გლობალური წინააღმდეგობაა სოციალური პროგრესის ტემპის მკვეთრი ჩამორჩენა მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესისაგან. მიღწევები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ხელსაყრელ პირობებს უქმნის დაბალანსებული სოციალური სივრცის, კეთილმოწყობილი სოციალური სახლის მშენებლობას. თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, გენური ინჟინერიის მეთოდები, მიღწევები მედიცინაში კაცობრიობას დაავადებების დაძლევაში, მშიერის გამოკვებაში, ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანების დაკმაყოფილებაში ეხმარებიან . ეს ერთის მხრივ გზას უხსნის ბუნებაზე ადამიანის შეუზღუდავი ძალაუფლების პერსპექტივას, მათ შორის სოციალურზე, მეორეს მხრივ, კაცობრიობის მზარდ პასუხისმგებლობაზე მოწმობს დედამიწაზე სიცოცხლის, სოციალური გადაწყვეტილებების გონივრულობის, მეცნიერება ტევადი ტექნოლოგიების გამოყენების დონის, სოციალური პროცესების მართვის თანამედროვე მეთოდების მიმართ. თუმცა, რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, ასეთი პასუხისმგებლობა კი არ იზრდება, არამედ მცირდება.

სამწუხაროდ, ბუნებაზე ადამიანის ტექნიკური და ბიოლოგიური ზემოქმედების სიჩქარე და სიხშირე, მისი რესურსების შეუზღუდავი ექსპლუატაცია და ენერგიის წარმოების მზარდი ტემპები არანაირად არ შეესაბამება ადამიანის არსებობის უმაღლეს ღირებულებებს და არსს, პირიქით, სულ უფრო მეტ წინააღმდეგობაში მოდის მასთან და კაცობრიობას შეუქცევადი შედეგებით ემუქრება.

აქტუალურია კითხვა: რყევებითა და სოციალური კატასტროფების გზით განვითარება საზოგადოებრივი განვითარების ნორმა, სოციალური პროგრესის ბერკეტია თუ გარკვეული მიზეზებით წარმოქმნილი ანომალიაა?

ალტერნატივა ასეთია: ან განვითარება სოციალური კატასტროფების, რყევების, მრავალი ადამიანის ბედის განადგურების გზით, ან სოციალური სივრცის ჰარმონიზაცია და ადამიანთა ცხოვრების ახალი გზების შეგნებული დამკვიდრება, პლანეტა დედამიწისათვის კაცობრიობის არსებობის ღირსი ახალი იერის მიცემა. დღეს ცივილიზაციამ სიმწიფის ისეთ დონეს, ინტელექტუალური გამოცდილების ისეთ სიმდიდრეს, თვითრეგულირების ისეთ ინოვაციურ საშუალებებს მიაღწია, რომ შეუძლია სოციალური კატასტროფების განჭვრეტა, აფეთქებების თავიდან აცილება, მწვავე კონფლიქტების შემსუბუქება, შექმნას პირობები მათი დროული მოგვარებისთვის და შესაბამისად, მოძრაობა სოციალური პროგრესის გზაზე. თუმცა, ის ჯერ კიდევ არ იყენებს არსებულ შესაძლებლობებს, რაც კიდევ უფრო ამწვავებს გლობალური მართვის კრიზისს.

ვიდრე მსოფლიო საზოგადოება შორს არის ამ პრობლემების გადაჭრისგან, მმართველობის კრიზისი ღრმავდება და თან სდევს სულიერების კრიზისიც, რაც თავის მხრივ ცხოვრების ღირებულებების — ბუნების კანონების, ჰუმანიზმის, აქტიურობისა და შემოქმედების ნაცვლად ცრუ ღირებულებების ჩამოყალიბებით ხასიათდება. ამ სფეროში პრობლემური სიტუაციის მდგომარეობა საგანგაშოა. პლანეტა დედამიწის მოსახლეობის

უმრავლესობისთვის საინფორმაციო და ტექნოლოგიური რესურსები კვლავ გამორიცხულია ხალხთა ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების მექანიზმისგან.

შესაბამისად, მართვის კრიზისის დაძლევა კი არ მოხდა, მხოლოდ გაუარესდა. გამოსავალი ერთია, ცხოვრების შეცნობის და ტრანსფორმაციის ინოვაციური მეთოდების შემუშავება და ფართოდ გამოყენება.

დღეს მსოფლიოს გადარჩენის მთავარი პირობაა სოციალური პროგრესის ტემპის დაჩქარება, მისი სოციალური სიმწიფის გაზრდა, კოლექტიური ინტელექტის, სოციალური სივრცის რეგულირების ინოვაციური რესურსების ჩართვა და სოციალური ბალანსის მიღწევა მსოფლიოში. აუცილებელია ადამიანის გადარჩენის მთავარი რესურსის — მმართველობითი და ინოვაციური პრინციპების უფრო სრულად გამოყენება.

არსებული სოციალური რეალობა მისი შეცნობისა და გარდაქმნის ფუნდამენტურად განსხვავებულ მეთოდებს მოითხოვს. მათ პირობითად ვუწოდოთ სოციალურ-ტექნოლოგიური. შეგახსენებთ, რომ მართვის ნებისმიერი მეთოდი ემყარება ობიექტური ეკონომიკური კანონების ცოდნას და მათი განხორციელების პრინციპებს, მაგრამ მათში არა მხოლოდ ობიექტური რეალობის მოთხოვნები ისახება, ასევე ადამიანის ცნობიერების, რეფლექსიის ობიექტური მოთხოვნებიც, რაც სამეცნიერო მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით რეალობის გარდაქმნას ემსახურება. ამ უკანასკნელით შესაძლებელია თავად შემეცნების პროცესის ოპტიმიზაცია ტექნოლოგიური მეთოდების (ოპერაციები, პროცედურები) დახმარებით. მათი გამოყენების შესაძლებლობები კი უსასრულოა.

ჩვენი აზრით, ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტა მხოლოდ ახალი ტიპის მმართველობითი კულტურის ფორმირებით არის შესაძლებელი, უპირველეს ყოვლის რადიკალური გარდაქმნებით მის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტში — ინტელექტუალურსა და შემეცნებითში. მისი განვითარების ვექტორი დღეს სამყაროს ტრადიციული, რუტინული და ერთ განზომილებიანი შესწავლიდან ორიენტირებულია შემოქმედებით - აღმშენებლობით, ინოვაციურ ან სოციალურ-ტექნოლოგიებზე. ეს უკანასკნელი კი სოციოლოგიური ცოდნის ნაწილია.

ბევრი მეცნიერი ყურადღებას აქცევს სოციოლოგიის განსაკუთრებულ როლს ცვლილებების დროს, გადამწყვეტი და სწრაფი ცვლილებების პერიოდში. "სოციოლოგიის განვითარება და აქტუალური პრობლემები, - სთვლის ე. გიდენსი, - უნდა განვიხილოთ იმ ცვლილებების კონტექსტში, რომლებმაც ჩამოაყალიბეს და განაგრძობენ თანამედროვე სამყაროს ჩამოყალიბებას. ჩვენ დიდი სოციალური გარდაქმნების სამყაროში ვცხოვრობთ."

სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს სოციოლოგიის აქტიურ როლს საზოგადოებაში. იგი სხვადასხვა ფუნქციებში ვლინდება, რომელთაგან მთავარია შემეცნებითი, რომელსაც ნებისმიერი მეცნიერება ასრულებს. სოციოლოგიის შემეცნებითი ფუნქცია განუყოფლად უკავშირდება განათლების ფუნქციას, ცოდნის გადაცემას, რაც სოციოლოგიური საქმიანობის პროცესში მიიღწევა.

სოციოლოგიის შემდეგი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, გამოყენებითი ფუნქცია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილ უშუალოდ პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას უზრუნველყოფს კონსტრუქციული დახმარებით.

მართვის კრიზისის დაძლევაში სულიერი და კულტურული პრინციპების მზარდი როლის გამო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აქსიოლოგიური ანალიზის მეთოდი ინოვაციური მეთოდოლოგიის სისტემაში, რომლის არსი შემდეგში გამოიხატება:

* სოციალური ღირებულებების განსაზღვრა სოციალურ ყოფისა და სოციალური კულტურის საერთო სტრუქტურაში;

* ღირებულებათა სტრუქტურისა და რეალური სამყაროს ყველა ობიექტისადმი პიროვნების ღირებულებითი დამოკიდებულების სისტემის დახასიათებაში;

*სოციალური ფაქტების, მოვლენების, პიროვნებების გონებრივი და საგნობრივი ქმედებების, სოციალური ჯგუფების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება;

* ღირებულებითი ორიენტაციების ფორმირებისა და განხორციელების მექანიზმის შემუშავება, ყველა სოციალურ ობიექტსა და პროცესზე მათი ფოკუსირების გათვალისწინებით;

* კავშირის ბუნების დადგენა სხვადასხვა წესრიგის, განსხვავებული დონისა და მასშტაბის სოციალურ ღირებულებებს შორის;

* სოციალური სისტემების, სტრუქტურებისა და სხვადასხვა ობიექტების ფუნქციონირების შეფასება ზოგადსაკაცობრიო და ლოკალურ ღირებულებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით;

* ამა თუ იმ საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრა ჰუმანისტური პოზიციიდან, იმავე კრიტერიუმით ფსევდო-ეფექტიანობის ან ანტი-ეფექტიანობის განსაზღვრა;

* ანტი-ღირებულებების (უარყოფითი ღირებულებების) დახასიათება (შეფასების ჩათვლით), პიროვნების ღირებულებითი სამყაროს ნგრევა, ტენდენციების განსაზღვრა ამ მიმართულებით;

ადამიანების ღირებულებითი დამოკიდებულების რეგულირების შესაძლებლობების განსაზღვრა იმ სამყაროსადმი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება საზოგადოებისა და სხვა სოციალური ობიექტების პროგრესული განვითარების პროცესში (მათ შორის მიკრო დონეზე).

სამეცნიერო - ტექნოლოგიური პროგრესი წარმოშობს ბევრ ტექნოლოგიურ ინოვაციას, რომლის მთავარი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ "ისინი ასევე გვთავაზობენ სოციალური, ფილოსოფიური და თუნდაც პირადი პრობლემების ახლებურად გადაჭრის შესაძლებლობას. ისინი ცვლიან ადამიანის სულიერ სამყაროს, მისი აზროვნების მეთოდს და შეხედულებებს გარემოზე" აღნიშნავს ო. ტოფლერი.

არასწორი იქნება იმის დაჯერება, რომ მხოლოდ სოციალურ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით შესაძლებელია ერთდროულად ყველა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სულიერი და მორალური პრობლემის გადაჭრა.

სოციალური ტექნოლოგიების შემუშავებისა და განხორციელებისთვის, უპირველეს ყოვლის, საჭიროა შესაბამისი ობიექტური პირობები (მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები) და შესაბამისად მომწიფებული სუბიექტური ფაქტორი (არა მხოლოდ სოციალური განვითარების კანონების მოქმედების მექანიზმის შესაძლებლობების ცოდნის თვალსაზრისით). მხედველობაშია მოსახლეობის ეკონომიკური, მორალური და პოლიტიკური ცნობიერების მაღალი დონის არსებობა; მოსახლეობის შრომითი და აღმასრულებელი საქმიანობა, დისციპლინა, შეუპოვრობა და ინიციატივა, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, ნება, სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლის სურვილი, დესტრუქციული ტექნოლოგიების უარყოფითი გავლენის გაცნობიერება და აღმშენებლურ ტექნოლოგიებზე გადასვლის აუცილებლობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერება ტევადი ტექნოლოგიების მნიშვნელობას, რომელიც უკავშირდება შრომის ინტელექტუალიზაციას, ინტელექტუალური საკუთრების ზრდას.

მმართველობითი საქმიანობის ტექნოლოგიზაციის საკითხი არანაკლებ აქტუალურია, ვიდრე მატერიალურ წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის პრობლემა. რამდენადაც შეუძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე შრომის ნაყოფიერების ამაღლება, ამდენად წარმოუდგენელია მდგრადი განვითარების კონცეფციის წარმატებული განხორციელება სოციალურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გარეშე. სოციალური საქმიანობის ტექნოლოგია უნდა შემუშავდეს და დაინერგოს მეცნიერული მეთოდების გამოყენებით ადამიანების სოციალური შემოქმედების ბაზაზე.

ტექნოლოგიების მნიშვნელობა პირველ რიგში იმაში მდგომარეობს, რომ ის ადამიანის საქმიანობას უფრო რაციონალურს ხდის, არა მხოლოდ იმ პროცესებისა და ოპერაციების ჩართვით, რომლებიც აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად. ტექნოლოგიზაციის ამოცანაა არა მხოლოდ სრულად მოახდინოს გავლენა ბუნებრივ და სოციალურ პროცესებზე, არამედ ხელი შეუწყოს მათ ტრანსფორმაციას საზოგადოების, კლასის, ორგანიზაციის და ა.შ. მიზნების შესაბამისად.

ნებისმიერი ტექნოლოგიის მეორე მახასიათებელია მოქმედებების ეტაპობრივობა სასურველი შედეგების მიღწევისათვის. მოქმედებების შესრულების თანმიმდევრობა და წესი უნდა ეფუძნებოდეს ამ პროცესის ფუნქციონირებისა და განვითარების შინაგან ლოგიკას. თუმცა, ტექნოლოგიის ამ თვისების განხორციელება არ ნიშნავს იმას, რომ სუბიექტი „შებოჭილი“ იქნება დადგენილი თანმიმდევრობის გამო. მას ყოველთვის რჩება პროცესების ობიექტურ მსვლელობაში „ჩარევის“ შესაძლებლობა, შეცვალოს მისი წესრიგი, შეცვლილი გარემოებებზე დამოკიდებულებით დაადგინოს პროცედურებისა და ოპერაციების ტემპი და თანმიმდევრობა.

სოციალური სივრცის ელემენტებად გამოდიან სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო, რეგიონები, ოჯახი, ეკლესია, არმია, სოციალური მოძრაობები, პარტიები, შრომითი ასოციაციები და სხვა სოციალური ინსტიტუტები და სოციალური ორგანიზაციები.

სოციალური სივრცის მთავარი ფუნქციაა საკუთარი მოქალაქეების სოციალური მოწყობა, მათი სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არა მხოლოდ წარმოების სფეროში, ასევე სულიერი მატერიალური სიკეთეების ასოცირებულ განაწილებაში, ღირსეული ცხოვრების წესში, საზოგადოებასა და პიროვნებას შორის კავშირების გაფართოებასა და განმტკიცებაში. მართვის სუბიექტები, რომლებიც ითვალისწინებენ მის მოთხოვნებს, ხელს უწყობენ პროგრესის დაჩქარებას, ხოლო ვისაც ეს არ ესმის ან უგულებელყოფს, ამუხრუჭებს ხალხის, ერების, სახელმწიფოების განვითარებას.

"სოციალური სივრცის" ცნება ღრმად ადამიანური მნიშვნელობის მატარებელია და ინდივიდსა და საზოგადოებას შორის კავშირის თვისებრივი ასპექტების, მისი სოციალიზაციისა და თვითგანვითარების მექანიზმების უფრო ზუსტად განმარტების საშუალებას იძლევა. თუმცა ამ საკითხების გადაწყვეტას ჯერ კიდევ საკმარისი სოციალურ-ტექნოლოგიური მხარდაჭერა არ აქვს, ვინაიდან პრევალირებს ტექნოკრატიული აზროვნება და ქცევა.

პიროვნების სოციოლოგიური თეორია, საქმიანობისადმი, ღირსეული ქცევისადმი მოტივაციის ტექნოლოგიები ჩანასახის მდგომარეობაშია. ახლახან დაიწყო მართვის სოციოლოგიამ ადამიანის სოციალიზაციისა და მისი არსებითი ძალების თვითრეალიზაციის მეცნიერება ტევადი ტექნოლოგიების შემუშავება. ამავდროულად, ინფორმაციული და მმართველობითი რევოლუციის პირობებში წინა პლანზე გამოდის პიროვნების სოციალიზაციის პრობლემები, საქმიანობისადმი, სოციალურ ორგანიზაციებში ქცევის მოტივაცია.

ადამიანის თვითრეალიზაცია სოციალურ სივრცეში სოციალური დროის რეჟიმში ხორციელდება. ადამიანი როგორც სუბიექტი, რომელიც გარდაქმნის გარე სამყაროს და საკუთარ შინაგან ბუნებას, მთელი ამ მოძრაობის საწყისი წერტილი (საშუალებები) და ამავე დროს საბოლოო შედეგია (მიზანი). ამიტომ, ადამიანის პიროვნების, როგორც ნამდვილი სოციალური სიმდიდრის დამკვიდრება, სოციალური დროის იმპერატივია.

ძალიან დაბალია სოციალური ტექნოლოგიზაციის დონე ჩვენს საზოგადოებაში. მიზეზი კი ის არის, რომ ჯერ არ არსებობს სოციალური პროცესების უზარმაზარი მრავალფეროვნების შემცველი სოციალური სივრცის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული კონცეპტუალური მოდელი. ამ მრავალფეროვნების ჰარმონიზაციის, ადამიანის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების, სოციალური ურთიერთქმედების ოპტიმიზაციის მიღწევისათვის, აუცილებელია პროცესებზე სწორედ გავლენის მოხდენის ცოდნა, ეფექტიანად მათი მართვა. სოციალური ტექნოლოგიები სასურველი პროცესების ხელშეწყობით, არასასურველი პროცესების შეზღუდვით და დაბლოკვით ხელს უწყობს დასახული მიზნების მიღწევას.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ბერძენიშვილი ა., თანამედროვე სოციალური თეორიები, თსუ, 2019, 612 გვ.
2. კაჭკაჭიშვილი ი., სოციალური მოქმედების თეორიები, თბილისი, მეცნიერება, 2001, 229 გვ.
3. Antony Giddens Sociology, https://www.scribd.com/document/410459964/Anthony-Giddens-Sociologija-pdf, 685 p.
4. Атаманчук Г.В. Государственное управление. М.: Экономика, 2000.
5. Иванов В.Н., Патрушев В.И. Социальные технологии. М.: Союз, 1999.
6. Основы современного социального управления. М.: Экономика, 2000.
7. Тоффлер, Э. Метаморфозы власти = Powershift: Knowledge, Wealth and Violence at the Edge of the 21st Century, 1990. — М.: АСТ, 2004. — 672 с

**Innovative social technologies of public administration and local self-government**

**Shota Dogonadze,**
Professor, Georgian Technical University
**Levan Djaparidze,**
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

There are many possibilities of using social technologies in various spheres of public life, although their use is extremely irrational. A real contradiction is created between the huge intellectual potential of science, culture, education, best practices, and the level of use of socio-technological knowledge in various spheres of public life, including increasing the effectiveness of governance activities.

The need to use innovative methods to overcome these objections is mentioned in this work. It is emphasized that this issue is particularly important and relevant for Georgia, as Georgia is a social state according to the current constitution and its governance system is undergoing reformation.

**Keywords:** state management reform, constitution, social technologies, innovations.

# Aktuelle Ansätze und Zukunftsaussichten urbaner und suburbaner Mobilität in Europa

**Professor Dr. Steffen Hütter**
Germany. Saarland University of Applied Sciences.
The Faculty of Economic Science.
**Dominik Schug, M.Sc.**
Germany. Saarland University of Applied Sciences.
The Faculty of Economic Science.

## Abstract

Mobilität ist ein Spiegelbild gesellschaftlicher Herausforderungen. Der Wandel der Gesellschaft und ihrer diversen Lebenswelten beeinflusst das alltägliche Mobilitätsverhalten der Menschen. Megatrends rund um Digitalisierung, Globalisierung, Urbanisierung und Nachhaltigkeit beeinflussen zunehmend unsere Umwelt und zwingen zu neuen Ansätzen und Denkweisen im Hinblick auf das individuelle und kollektive Mobilitätsverhalten. „Cities are growing nowadays and so is their citizens'demand for mobility."[1] Städte werden zu Lebensmittelpunkten und -räumen in denen unterschiedliche Interessen aufeinandertreffen. Dabei sollen diese Lebens- und Kulturräume neben hohen Lebensstandards und persönlicher Flexibilität auch eine optimale Erreichbarkeit bieten und nicht zuletzt nachhaltig und attraktiv gestaltet sein.

Der Verkehrssektor muss sich diesen neuen Bedingungen entsprechend anpassen und steht demzufolge vor großen gesellschaftlichen und technologischen Herausforderungen, um den Personen- und Warenverkehr im urbanen und suburbanen Raum zukunftsorientiert auszurichten. Hierbei muss ein Umdenken sowohl bei den Entscheidungsträgern, als auch bei den Verkehrsteilnehmern erfolgen. Letztere sollen bei Mobilitätsstrategien im Mittelpunkt stehen, denn individuelle Entscheidungen beeinflussen letztendlich die Nachhaltigkeit und Effizienz der städtischen Verkehrssysteme und wirken sich auf das individuelle Mobilitätsverhalten aus. Demzufolge gilt es, geeignete Strategien zu finden, die sowohl effektive Alternativen zum Auto bieten als auch alle Nutzer zu einer verantwortungsvolleren Mobilität bewegen.

Neue Verkehrsmittel wie etwa E-Scooter oder High-Speed Cargo Bikes beanspruchen fortan zusätzlichen Platz im ohnehin schon völlig überlasteten (sub-)urbanen Raum, wodurch das Verkehrsaufkommen weiter anwachsen wird. Demografischer Wandel und die Gewährleistung bezahlbarer Mobilität unter Berücksichtigung höherer Anforderungen in puncto Energieeffizienz, Ressourcenschonung und $CO_2$-Reduzierung sind nur einige Faktoren, die bei der Erschließung innovativer Konzepte miteinzubeziehen sind.

**Keywords:** Der Verkehrssektor; Zukunftsaussichten urbaner Mobilität; Europa; Germany; Mobilitätsverhalten.

Es gilt zukünftig smarte Mobilitätslösungen zu schaffen, die Mobility as a Service Konzepte (MaaS) integrieren und ihre strategischen Ziele an den individuellen Kundenwünschen ausrichten und weiterentwickeln.[2] Zusätzlich werden gerade im urbanen Raum „on demand" fokussierte Sharing-Konzepte zukünftig stark an Bedeutung gewinnen.[3] Eine Mobilität 4.0 stellt vielversprechende Lösungsansätze im Wechselspiel zwischen begrenzten Kapazitäten und steigenden Anforderungen an Mobilitätsservices dar, mit dem Ziel einen Ausgleich zwischen Nutzen und Notwendigkeit von Mobilität herbeizuführen.[4]

---

[1] Gebhardt et al. (2016), S.1183
[2] Vgl. Wolter (2012), S.528
[3] Vgl. Ambs / Pipahl (2020), S. 205.
[4] Vgl. Malleck / Mecklenbräuker (2015), S. 371; vgl. Heggenberger / Mayer (2018), S. 1.

Neben den dargelegten Herausforderungen stellt die zunehmende Urbanisierung in Korrelation mit der digitalen Transformation in Form der Mobilität 4.0 jedoch auch eine Chance für Fortschritt und Entwicklung dar.[5]

Im Zuge dieser Herausforderungen spielt der multimodale und intermodale Personenverkehr eine entscheidende Rolle. „Different studies assume that travel behavior and mobility patterns of people may change within the next years: multimodal and intermodal usage of Transport Models are getting more and more important."[6]

Es bieten sich vielfältige Chancen, um neue innovative Mobilitätskonzepte unter Berücksichtigung individueller Kundenbedürfnisse durch digitale Vernetzung und die Nutzung neuer Informationstechnologien, wie z.B. durch die Integration mobiler Smart Devices zu entwickeln. „We expect a great potential for sharing services especially on intermodal trips."[7] Die Möglichkeit einer intelligenten Vernetzung der einzelnen Verkehrsträger auf Basis aktueller in Echtzeit messbarer Verkehrs- und Kapazitätsnutzungsdaten eröffnet neue Perspektiven zur Schaffung einer flexibleren und reaktionsfähigeren Mobilität.[8]

Es gibt bereits einige Forschungsansätze, die intermodale urbane und suburbane Mobilität untersuchen, jedoch richten diese Ansätze bisher in erster Linie ihre Konzentration auf die intermodale Nutzung verschiedener Verkehrsmittel in einer Metaanalyse ohne dabei die Übergänge respektive Wechsel zwischen den einzelnen Beförderungsmitteln im Detail zu berücksichtigen.[9,10,11,12] Doch genau an diesen Schnittstellen existieren große Optimierungspotentiale, wenn nicht gar Verhinderungsrisiken, die zukünftig eingehender analysiert und gehoben werden sollten.

Erste wissenschaftliche Studien zur Analyse der nachhaltigen urbanen Individualmobilität geben mit Hilfe von GPS-basierten Erhebungsmethoden Einblicke in das intra-individuelle Mobilitätsmuster und zeigen zudem, dass die Intermodalitätsquoten noch recht niedrig sind und dadurch viele Potentiale nicht genutzt werden.[13]




*Abb. 1: Mobilität 4.0*

In Anbetracht der aktuellen Notwendigkeit eines Mobilitätswandels insbesondere zur Reduktion klimafeindlicher Abgase liegt ein besonderes Augenmerk auf der aktuellen und zukünftigen Forschung im Mobilitätsbereich in den folgenden fünf Themenschwerpunkten:

---

[5] Vgl. Heggenberger / Mayer (2018), S. 1.
[6] Schröder et al. (2014), S.199
[7] Schröder et al. (2014), S.199
[8] Vgl. Isenhardt et al. (2019), S. 685 f.
[9] Vgl. Kindl et al. (2018)
[10] Vgl. Gebhardt et al. (2016)
[11] Vgl. Eryilmaz et al. (2014)
[12] Vgl. Chlond (2013)
[13] Vgl. Schönau (2016)

*Erstens:* Elektromobilität unter Nutzung regenerativer Energie; *Zweitens:* „Mobility on Demand“ und „Mobility as a Service“ als die im Hinblick auf $CO_2$-Reduktion und Logistikeffizienz-Steigerung entscheidenden zwei Geschäftsmodelle der Zukunft; *Drittens:* autonomes und automatisiertes Fahren; *Viertens:* Schaffung und Optimierung neuer Ladeinfrastruktur im urbanen und suburbanen Raum und *Fünftens:* zeitgemäße und zukunftsweisende urbane Mobilitätskonzepte zu subsumieren unter dem Begriff „Last Mile Logistic“ unter besonderer Berücksichtigung von Pendler- und kleinteiliger Cargologistik. Bei der Umstellung von fossiler Verbrenner-Technologie auf regenerativ elektrisch betriebene Fahrzeuge sollte jedoch nicht, wie heute meist diskutiert, der Fokus nur auf dem Thema Reduktion klimaschädlicher Abgase liegen, sondern vielmehr auf der Chance, im Rahmen der Umstellung auf Elektromobilität einerseits neue Fahrzeugkonzepte zu entwickeln - weg vom Vierrad hin zu Drei- und Zweirad - und darüber hinaus andererseits die Chance zu ergreifen, neue Mobilitätsmuster und Gewohnheiten zu beleuchten und in der breiten gesellschaftlichen Masse skalierbar umzusetzen. Die Komplexität und Schwierigkeit liegen darin, über viele Jahrzehnte, wenn nicht sogar Jahrhunderte tradierte Verhaltensmuster in der individuellen Alltagsmobilität zu hinterfragen und auf den Prüfstand zu stellen. Schon in den ersten Ansätzen einer Mobilitätsforschung des 19. Jahrhunderts zeigte sich eine tägliche Mobilität von im Durchschnitt drei Wegen, die ein Mensch außer Haus zurücklegte als repräsentativ. An diesen drei Wegen hat sich allen Untersuchungen zufolge bis heute wenig geändert; lediglich der Umfang der zurückgelegten Strecken, die Geschwindigkeit und natürlich die Fahrzeuge und Mobilitätsträger, mit denen man die Wege außerhalb der häuslichen Umgebung zurücklegt, haben sich gewandelt. Was die Hebung der Potentiale, über Generationen trainierte und liebgewonnene Mobilitätsgewohnheiten infrage zu stellen, so schwierig macht, ist insbesondere die Komplexität individuell gelebter Mobilität, die nicht nur geprägt von technischen und technologischen Gesichtspunkten ist, sondern viel mehr tief im Inneren der menschlichen Psyche verborgen liegt. Die Entscheidung für einen Mobilitätsträger, egal ob Auto, Bus oder Fahrrad, ist sehr stark geprägt von emotionalen Gesichtspunkten, von Außendarstellung und nicht selten von Prestige getrieben. Diese eher qualitativen Aspekte indes nicht zu berücksichtigen, wäre ein großes Risiko und eine große Gefahr im Ringen um nachhaltige Mobilitätskonzepte und ihrem Gelingen. Zur Erforschung dieser eher weichen Parameter investierte Zeit wird sich hinsichtlich Belastbarkeit und Robustheit der Forschungsergebnisse mehr als auszahlen. Ganz im Gleichklang unserer Dienstleistungskultur, die in unserer Wirtschaftsstruktur immer mehr an Bedeutung gewinnt, entwickeln sich somit zunehmend der Bereich Mobility on Demand gefolgt von der Begrifflichkeit Mobility as a Service als neue Geschäftsmodelle ab. Mobilität, die durch die Nutzung dieser beiden Geschäftsmodelle nicht mehr ungenutzt Ressourcen bindet oder öffentlichen Raum belegt, sondern ihren Dienst, Menschen und Güter von A nach B zu verbringen, permanent verrichten kann und nur für die notwendigen Wartungs- und Inst-andhaltungsarbeiten beziehungsweise für das Aufladen der Batterie stillstehen muss, würde einen erheblichen Beitrag zur Reduktion von Ressourcenverschwendung und Umweltbelastung leisten.

Ineffiziente und überalterte Verbrenner-Technologien, die durch die Nutzung von Mobility on Demand und Mobility as a Service angeboten grundsätzlich nicht mehr benötigt werden, bedürfen auch keiner Umstellung auf elektrische Antriebsweise und stellen somit ein enormes „Vorab“- Potential zur Reduktion des zugegbenermaßen riesigen Ressourcenbedarfes bei der Schaffung elektrisch angetriebener Mobilitätsträger dar.

Der dritte Themenbereich in der Urbanen und Suburbanen Mobilitätsforschung, autonomes und automatisiertes Fahren, enthält ein hohes Potenzial in vielerlei Hinsicht: Effizienzsteigerung durch Parallelisierung von durch Menschen erbrachte Wertschöpfung während individuelle Mobilität genutzt wird, Vermeidung unnötiger Ressourcenverschwendung oder Vernichtung durch Unfälle jegliche Art und, vor dem Hintergrund der zuvor genannten psychologischen und emotionalen Komponente der Mobilität, die Ausklammerung und Subtraktion jeglicher menschlich motivierter Verschwendung von Energie und Ressourcen beim Ablauf individueller Mobilität.

Aufgrund technischer und technologischer Gesetzmäßigkeiten birgt die vollumfassende Umstellung auf Elektromobilität aber insbesondere die Problematik der neu zu schaffenden Ladeinfrastruktur. Auf Erdöl

oder Erdgas basierende Kraftstoffe lassen sich in viel kürzerer Zeit vertanken als das Aufladen von Batterien dauert; hier zeigt Elektromobilität einen eindeutigen Wettbewerbsnachteil. Relativiert werden kann diese Problematik durch die Entwicklung künstlicher Kraftstoffe oder auch die Nutzung von mit regenerativer Energie gewonnenem Wasserstoff. Aber auch die Rückbesinnung auf durch menschliche Muskelkraft angetriebene Mobilitätsträger wie den Roller oder das Fahrrad bietet die Möglichkeit neue Akzente zu setzen. Es ist die Aufgabe angewandter Mobilitätsforschung, die richtige Anzahl, das notwendige Leistungspotential und insbesondere den richtigen Standort zukünftiger Ladeinfrastruktur im Urbanen und Suburbanen Umfeld so wie auch im ländlichen Raum zu konkretisieren.

## Fazit

Wenn man individuellen Personen- und Warenverkehr analysiert, so stellt sich insbesondere im urbanen und suburbanen Raum die Frage nach zukunftsfähigen Pendler- und Nahversorgungskonzepten. Hier etabliert sich ein eigenständiges Forschungsfeld unter der Begrifflichkeit Last Mile Logistik. Die besonderen Herausforderungen bei der Bearbeitung dieses Forschungsfeldes liegen sowohl in der hohen Komplexität der Themenstellung als auch in der erforderlichen Interdisziplinarität, mit der die Fragestellungen angegangen werden müssen. So werden nur Forscherteams belastbare und robuste Ergebnisse erarbeiten können, die sich aus den Fachgebieten der Logistik, Informatik, Energiewirtschaft, aus Juristen, Architekten und Stadtplanern, Ingenieuren und Programmierern und vielen mehr Disziplinen zusammensetzen. Die Bildung und das Organisieren solcher Forscherteams ist die Basis für eine erfolgreiche Mobilitätsforschung und stellt die eigentliche Herausforderung des urbanen Mobilitätswandels dar.

**Literatur:**


Ambs, T. / Pipahl, K. (2020). Urbane Mobilität als Schlüssel für eine neue Gesellschaft. Wiesbaden: Springer Fachmedien Wiesbaden.

Chlond, B. (2013), Multimodalität und Intermodalität, in: Beckmann, K. / Klein-Hitpaß, A. (Hrsg.). Nicht weniger unterwegs, sondern intelligenter? Neue Mobilitätskonzepte. Deutsches Institut für Urbanistik (DifU), Edition Band 11, Berlin, S. 271-293.

Eryilmaz, E. et al. (2014), Collaborative Management of Intermodal Mobility, FZI Forschungszentrum Informatik, Karlsruher Institut für Technologie (KIT), Institut für
Verkehrswesen.

Gebhardt, L. et al. (2016), Intermodal Urban Mobility: Users, Uses, and Use Cases, in: Transportation Research Procedia, Vol. 14, S. 1183-1192.

Heggenberger, R. / Mayer, C. (2018). Predictive Analytics in der Mobilitätsbranche, in: Wagner, H. / Kabel, S. (Hrsg.). Mobilität 4.0 – neue Geschäftsmodelle für Produkt- und Dienstleistungsinnovationen, Wiesbaden: Springer Fachmedien Wiesbaden, S. 1-29.

Isenhardt, I. et al. (2020). Rolle und Einfluss der Industrie 4.0 auf die Gestaltung autonomer Mobilität, in: Frenz, W. (Hrsg.). Handbuch Industrie 4.0: Recht, Technik, Gesellschaft, Berlin / Heidelberg: Springer, S. 681-696.

Kindl, A. et al. (2018), Smart Station - Die Haltestelle als Einstieg in die multimodale Mobilität, Studie im Auftrag des Bundesministeriums für Verkehr und digitale Infrastruktur unter FE-Nr. 70.918/2016, Berlin.

Malleck, H. / Mecklenbräuker, C. (2015). Die Digitalisierung des Verkehrs – Mobilität 4.0. in: Elektrotech. Inftech. 132 (2015), Heft 7, S. 371-373. Wien. Erreichbar unter: https://doi.org/10.1007/s00502-015-0347-9. Abruf am: 20.02.2022

Schönau, M. (2016), GPS-basierte Studien zur Analyse der nachhaltigen urbanen Individualmobilität, Dissertation, Universität Ulm, Ulm.

Schröder, J.O. et al. (2014), Sustainable Mobility in Metropolitan Regions – Developing and Evaluation Intermodal E-Sharing Services - a Multi-Method Approach, in: Transportation Research Procedia 4, S. 199-212.

Wolter, S. (2012), Smart Mobility – Intelligente Vernetzung der Verkehrsangebote in Großstädten, veröffentlicht in: Zukünftige Entwicklungen in der Mobilität, S. 527-548, Springer Fachmedien Wiesbaden.

## ურბანული მობილობის აქტუალური საკითხები და პექსპექტივები ევროპაში

**შტეფან ჰუტერი,**
პროფესორი, დოქტორი, ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, გერმანია
**დომინიკ შუგი,**
ასისტ.პროფესორი, ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, გერმანია

**აბსტრაქტი**

ურაბნული მობილობა წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ გამოწვევას მთელი ევროპისთვის და მათ შორის გერმანიისთვის. ცვლილებები გავლენას ახდენს ადამიანების ყოველდღიურ ქცევაზე, გადაადგილებაზე, მობილობაზე. მეგა-ტენდენციები დიგიტალიზაციის, გლობალიზაციის, ურბანიზაციის ირგვლივ სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს ჩვენს გარემოზე. დღეს ქალაქების დასახლებები მნიშვნელოვნად იზრდება. გარდა ცხოვრების მაღალი სტანდარტებისა და მოქნილობისა, საცხოვრებელ და კულტურულ სივრცეებს ასევე ხელისუფლებამ უნდა შესთავაზოს ოპტიმალური ხელმისაწვდომობა და მიმზიდველობა. განსაკუთრებით აქტუალური გახდა შემდეგი საკიხები: ელექტრომობილურობა განახლებადი ენერგიის გამოყენებით; მობილობა როგორც სერვისი; ასევე მობილობა როგორც მომავლის გადამწყვეტი ბიზნეს მოდელი CO2-ის შემცირებისა და ლოგისტიკური ეფექტურობის გაზრდის თვალსაზრისით და სხვ.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ურბანული მობილობის აქტუალური საკითხები ევროპაში.

**საკვანძო სიტყვები:** ტრანსპორტის სექტორი; ურბანული მობილობის სამომავლო პერსპექტივები; ევროპა; გერმანია; მობილობა.

## Current approaches and prospects of urban and suburban mobility in Europe

**Professor Dr. Steffen Hütter**
Germany. Saarland University of Applied Sciences.
The Faculty of Economic Science.
**Dominik Schug,** M.Sc.
Germany. Saarland University of Applied Sciences.
The Faculty of Economic Science.

**Abstract**

Mobility is a reflection of social challenges. Changes in society and its diverse lifeworlds are influencing people's everyday mobility behavior. Megatrends around digitalization, globalization, urbanization, and sustainability are increasingly influencing our environment and forcing new approaches and ways of thinking with regard to individual and collective mobility behavior. "Cities are growing nowadays and so is their citizens'demand for mobility." Cities are becoming food points and spaces where different interests meet. In addition to high standards of living and personal flexibility, these living and cultural spaces should also offer optimal accessibility and, last but not least, be designed to be sustainable and attractive. In view of the current need for a mobility transformation, in particular to reduce climate-hostile exhaust gases, special attention is being paid to current and future research in the mobility sector in the following five key topics: First: electric mobility using renewable energy; Second: "Mobility on Demand" and "Mobility as a Service" as the two decisive business models of the future with regard to CO2 reduction and logistics efficiency increase; Third: autonomous and automated driving; Fourth: creation and optimization of new charging infrastructure in urban and suburban areas and Fifth: contemporary and future-oriented urban mobility concepts to be subsumed under the term "Last Mile Logistic" with special consideration of commuter and small-scale cargo logistics. The special challenges in dealing with these research topics lie both in the high complexity of the subject matter and in the necessary interdisciplinarity with which the questions must be approached. Thus, only research teams will be able to produce resilient and robust results that are composed of specialists from the fields of logistics, computer science, energy management, lawyers, architects and urban planners, engineers, and programmers, and many more disciplines. The formation and organization of such research teams is the basis for successful mobility research and represents the real challenge of urban mobility change.

**Keywords:** transport sector; future perspectives of urban mobility; Europe; Germany; mobility.

## საქართველო ზოგიერთი რეგიონის მიწისქვეშა წყლების მძიმე ლითონებით ინტენსიურად დაჭუჭყიანებული უბნების მონიტორინგი

**ზიზი სვანიძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.
**გარი გუნია,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**აბსტრაქტი**

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ზოგიერთი რეგიონის მიწისქვეშა წყლების კადმიუმით, თუთიით, სპილენძით და ტყვიით დაჭუჭყიანებული უბნები. აღნიშნული ელემენტები გამოირჩევა მაღალი ტოქსიკური თვისებებით და დამღუპველად მოქმედებენ ცოცხალ ორგანიზმებზე. დადგენილია მათი რაოდენობრივი შემცველობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მიწისქვეშა წყლების მრავალრიცხვოვან (61) სინჯში ატომურ-აბსორბციული სპექტომეტრის Analyst 200-ის გამოყენებით, რომელიც ხასიათდება მაღალი მგრძნობელობით.

ანალიზის შედეგად დადგინდა რომ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ მიწისქვეშა წყლებში საკვლევი მძიმე ლითონები გვხვდება მცირე, საშუალო, ნორმასთან ახლო და დასაშვებ ნორმაზე მეტი რაოდენობით. აღნიშნული ლითონების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ნორმაზე მეტად დაჭუჭყიანებული უბნები და დავსახოთ მათი გაუვნებლობისათვის აუცილებელი მეთოდების შემუშავება.

ყოველი ინფორმაცია ობიექტის ამა თუ იმ ნივთიერებით დაჭუჭყიანების შესახებ, მათი რაოდენობის შესწავლა და გაუვნებლობის მეთოდების შემუშავება საშუალებას მოგვცემს დავიცვათ ბუნება მძიმე საზიანო ზემოქმედებისაგან. სწორედ ასეთი ინფორმაციის მიღებას ისახავს მიზნად მიწისქვეშა წყლების მძიმე ლითონებით დაჭუჭყიანების მონიტორინგი საქართველოს ტერიტორიაზე.

აღნიშნული საკითხის შესწავლისათვის საყურადღებოა ქიმიური ელემენტების, განსაკუთრებით მძიმე ლითონების კვლევა, რადგან ისინი იწვევენ გარემოს დაჭუჭყიანებას ძალზე საშიში ფორმებით.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, გარემო, მიწისქვეშა წყლები, მძიმე ლითონები,ტოქსიკური, ინტენსიურად დაჭუჭყიანება.

დღეისათვის თანამედროვე მეცნირების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა გარემოს დაცვა, მისი ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა-შენარჩუნება და ბრძოლა დაჭუჭყიანების წინააღმდეგ.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ საშუალება მისცა ადამიანს მოეხდინა ზემოქმედება ბუნებაზე ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით, რამაც გამოიწვია გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი რესურსების შემცირება და შექმნა ყველა პირობა მოსალოდნელი გლობალური კრიზისისათვის.

გარემოს დაჭუჭყიანება, ძირითადად, დაკავშირებულია სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების გამოყოფასთან, ადამიანის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან.

ბუნების დაცვის ღონისძიებებში დიდი მნიშვნელობა აქვს წყლის, ნიადაგის და ატმოსფერული ჰაერის დაჭუჭყიანების კონტროლის გეგმაზომიერ წარმოებას, რაც იძლევა

დაჭუჭყიანების დონის შეფასებისა და მისი წყაროების გამოვლენის საშუალებას. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება გარემო ობიექტებში მოხვედრილი ქიმიური ელემენტების შემდგომ ბედს - მათ განაწილებას წყალში, ნიადაგსა და ატმოსფერულ ჰაერში, შესაძლო ქიმიური გარდაქმნებს და საკვებ პროდუქტებში მოხვედრის შესაძლებლობას.



საქართველოს გარემოს დამაჭუჭყიანებელ ქიმიურ ელემენტთა შორის, კატასტროფულ გავლენას ახდენს ისეთი მძიმე ლითონები, რომლებიც უფრო აგრესიულად იქნა მიჩნეული, კერძოთ კადმიუმი, თუთია, სპილენძი, ტყვია. აღნიშნული ლითონების განსაზღვრა ბუნებრივ წყლებში, ნიადაგსა და ატმოსფერულ ჰაერში, აუცილებელია მათი კონტროლის მიზნით, რადგან ძალზე მკვეთრადაა გამოვლენილი მათი ტოქსიკური თვისებები, კერძოდ მათი „წყალობით" მკვეთრად არის გაზრდილი ავთვისებიანი სიმსივნეები, მიოკარდიუმის ინფარქტი, მედიცინისათვის შეუცნობადი დაავადებები და საერთოდ დამღუპველად მოქმედებენ ცოცხალ ორგანიზმებზე.

წყლის დაჭუჭყიანების კონკრეტული მიზეზების გამოვლენა და ამ მიზეზების რაოდენობრივი როლის შეფასება რთული კომპლექსური ამოცანაა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მეცნიერული ანალიზი საშუალებას გვაძლევს საერთო კანონზომიერებების სახით აღვნიშნოთ, რომ გარდა ბუნებრივი ფაქტორებისა გარემოს ამგვარი მდგომარეობის ჩამოყალიბებაში წამყვანი როლი უჭირავს ანთროპოგენულ ფაქტორებს, უწინარეს ყოვლისა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, მექანიზირებულ ხვნა-თესვას, ნიადაგში ორგანული და მინერალური სასუქების შეტანას, შხამქიმიკატების ფართო გამოყენებას, აგრომელიორაციულ ღონისძიებებს, ამას ემატება ინტენსიური ავტოსატრანსპორტო და სარკინიგზო მიმოსვლა. მძიმე ლითონები (Cd, Zn, Cu, Pb) რეალურ საფრთხეს უქმნის ბუნებრივ წყალს, ნიადაგსა და ატმოსფერულ ჰაერს.



საქართველო მდიდარია მიწისქვეშა წყლების რესურსებით, რასაც თან ახლავს მათი პრაქტიკული გამოყენება. მიწისქვეშა წყლების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს საქართველოს გეოგრაფიული პირობების თავისებურება, რომელშიც წამყვანია მისი კლიმატი, როგორც ცნობილია კლიმატური თავისებურებების მიხედვით საქართველო იყოფა დასავლეთ და აღმოსავლეთ კლიმატურ ოლქებად. დასავლეთ საქართველოს კლიმატს განსაზღვრავს შავი ზღვა, აღმოსავლეთისას კი კასპიის ზღვა .შავი ზღვის ოლქისათვის დამახასიათებელია ჭარბი ატმოსფერული ნალექები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსთვის კი დასავლეთთან შედარებით, მცირე. მიწისქვეშა წყლების ფორმირებაში დიდი ადგილი უჭირავს აგრეთვე საქართველოს გეოლოგიურ აგებულებას, მასში მონაწილეობენ იურული, ცარცული, სამეული და მეოთხეული ასაკის ნალექები, დანალექი ფორმაციების გარდა მიწისქვეშა წყლების რაგვარობას განსაზღვრავენ ასევე მაგმატური მოვლენები და ტექნოგენური აგებულება.

მიწისქვეშა წყლების ფორმირება ხდება ძირითადი ჩანაჟონი წყლებით, რაც ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზეა დამოკიდებული.

საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება შემდეგი ტიპის მიწისქვეშა წყლები: ნიადაგის, გრუნტის, თერმული, არტეზიული, მინერალური, ნაპრალური, კარსტული და სხვა. მათი წლიური ჩამონადენი 17,8მ3, რაც მთელი ტერიტორიის ზედაპირული ჩამონადენის 32%-ს შეადგენს, ხოლო წყლის რაოდენობა წლიური ატმოსფერული ნალექების 20%-ს (439-1400 მმ).

საქართველოს მდებარეობა, მისი გეომორფოლოგიური და გეოლოგიური აგებულება საფუძველშივე განსაზღვრავს გეოგრაფიული გარემოს მრავალფეროვნებასა და სირთულეს. რთულია და მრავალფეროვანი საქართველოს ოროჰიდროგრაფია, ლანდშაფტები, მიწიქვეშა წყლები, ნიადაგები,ატმოსფერო და სხვ.

ზემოაღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტთა შორის წინამდებარე კვლევის ინტერესს წარმოადგენს მიწისქვეშა წყლები, რადგან სწორედ აქ არის თავმოყრილი ზემოაღნიშნული ქიმიური ელემენტების დასაშვებთან ახლო ან ნორმაზე მეტი რაოდენობა.

შესასწავლი მძიმე ლითონების (Cd, Zn, Cu, Pb) ქიმიური კვლევა საშუალებას იძლევა დადგინდეს მათ მიერ ინტენსიურად დაჭუჭყიანებული უბნების მიწისქვეშა წყლები. ამგვარი უბნების დადგენა კი თავის მხრივ შესაძლებელს ხდის მათი გაუვნებლობის მეთოდების გზების შემუშავებას.

საქართველოს მიწისქვეშა წყლებში მიკროკომპონენტთა გავრცელების კანონზომიერების შესწავლა საშუალებას იძლევა ხელსაყრელი გეოლოგიური სტრუქტურების ფარგლებში განხორციელდეს ნავთობისა და გაზის საბადოების მიზანშეწონილი ძიება. მიკროელემენტებით გამდიდრებული მიწისქვეშა წყლები შეიძლება განვიხილოთ, როგორც თხევადი ნედლეული. გარდა ამისა მიკროელემენტები გამოიყენებიან გეოქიმიური ინდიკატორის როლში. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მიკროელემენტების დადგენასა და შესწავლას მიწისქვეშა წყლების დაჭუჭყიანების კოეფიციენტის დასადგენად. [1]

მიწისქვეშა წყლებში მძიმე ლითონების რაოდენობრივი შემცველობის დასადგენად გამოყენებულია სორბციულ-ატომურ-აბსორბციული მეთოდი. ელემენტების წინასწარი კონცენტრირებისათვის გამოყენებულია ქელატწარმომქმნელი ბოჭკოვანი სორბენტი ПОЛИОRГС VII [2-4], ხოლო მათი შემდგომი განსაზღვრისათვის კი ატომურ-აბსორბციული სპექტომეტრი Analyst 200. [5-7].



მიწისქვეშა წყლებში მძიმე ლითონების (Cd, Zn, Cu, Pb) გამოვლენის მიზნით სინჯები აღებულია საქართველოს მრავალრიცხოვანი წყაროს, საყოფაცხოვრებო ჭის და ჭაბურღილის წყლიდან, რომლის შედეგები ასახულია ცხრილში 1.

ცხრილი 1.

მძიმე ლითონების შემცველობა საქართველოს ზოგიერთი რეგიონის მიწისქვეშა წყლებში.

| №<br>№ | წყალპუნქტის ადგილმდებარეობა | წყალპუნქტის ტიპი | მიკროელემენტები მგ/ლ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | Cd | Zn | Cu | Pb |
| 1 | ლენტეხი | წყარო | - | 0,01 | 0,001 | - |
| 2 | მესტია | წყარო | - | 0,01 | 0,002 | - |
| 3 | ცაგერი | წყარო | - | 0,02 | 0,001 | - |
| 4 | ცაგერი<br>კურორტი ლაშიჭალა | მინერალური წყარო | - | 0,001 | - | - |
| 5 | ცაგერი<br>კურორტი „მუღური“ | მინერალური წყარო | - | 0,003 | - | - |
| 6 | ცაგერი<br>კურორტი „ლაძგვერია“ | მინერალური წყარო | 0,055 | 0,01 | 0,002 | 0,004 |
| 7 | ცაგერი<br>ს. ცხუკუშერი | წყარო | - | 0,05 | - | - |
| 8 | ცაგერი<br>ს. ღვირიში | წყარო | - | 0,008 | - | - |
| 9 | ცაგერი<br>ს. ნაკურალეში | | - | 0,001 | - | - |
| 10 | ნამახვენი | წყარო | - | 0,03 | 0,005 | - |
| 11 | ონი | წყარო | 0,004 | 0,07 | 0,04 | - |
| 12 | ონი | წყარო | 0,005 | 0,04 | 0,005 | - |
| 13 | ონი | წყარო | 0,005 | 0,03 | 0,003 | - |
| 14 | ონი | წყარო | 0,005 | 0,002 | 0,007 | 0,02 |
| 15 | ონი | წყარო | 0,004 | 0,05 | - | - |
| 16 | ონი | ჭაბურღილი | 0,002 | 0,05 | - | - |
| 17 | წყალტუბო | წყარო | - | 0,1 | 0,005 | - |
| 18 | ბაღდათი | საყოფაცხოვრებო ჭა | - | 0,007 | 0,006 | - |
| 19 | მაღლაკი | | - | 0,018 | 0,02 | - |
| 20 | გეგუთი | საყოფაცხოვრებო ჭა | - | 0,05 | 0,023 | 0,02 |
| 21 | გეგუთი | წყარო | - | 0,08 | 0,003 | - |
| 22 | დიდი ჯიხაიში | საყოფაცხოვრებო ჭა | 0,003 | 0,04 | 0,002 | - |
| 23 | დიდი ჯიხაიში | წყარო | 0,003 | 0,04 | 0,003 | - |
| 24 | ვანი | წყარო | - | 0,05 | 0,004 | - |
| 25 | ხონი | წყარო | - | 0,07 | 0,005 | 0,008 |
| 26 | აბაშა | წყარო | 0,002 | 0,03 | 0,003 | - |
| 27 | აბაშა | საყოფაცხოვრებო ჭა | - | 0,008 | 0,005 | - |
| 28 | ლანჩხუთი | წყარო | - | 0,05 | 0,002 | - |
| 29 | ლანჩხუთი | საყოფაცხოვრებო ჭა | - | 0,03 | 0,001 | 0,01 |
| 30 | ლანჩხუთი | წყარო | - | 0,09 | 0,002 | - |
| 31 | ლანჩხუთი | წყარო | - | 0,02 | 0,005 | - |

| №<br>№ | წყალპუნქტის ადგილმდებარეობა | წყალპუნქტის ტიპი | მიკროელემენტები მგ/ლ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | Cd | Zn | Cu | Pb |
| 32 | სამტრედია | საყოფაცხოვრებო ჭა | - | 0,04 | 0,002 | - |
| 33 | სამტრედია | წყარო | - | 0,02 | 0,003 | - |
| 34 | გელათი | წყარო | - | 0,05 | 0,003 | - |
| 35 | გელათი ტაძრის ტერიტორია | წყარო | - | 0,05 | 0,003 | - |
| 36 | მოწამეთა | წყარო | - | 0,01 | - | - |
| 37 | მოწამეთა | საყოფაცხოვრებო ჭა | - | 0,01 | - | - |
| 38 | თერჯოლა | წყარო | - | 0,02 | 0,001 | - |
| 39 | სენაკი | წყარო | - | 0,03 | - | - |
| 40 | ჩოხატაური | წყარო | - | 0,005 | 0,002 | 0,012 |
| 41 | ჩოხატაური | საყოფაცხოვრებო ჭა | 0,003 | 0,04 | 0,004 | - |
| 42 | ჩოხატაური | ჭაბურღილი | 0,003 | 0,05 | 0,001 | - |
| 43 | ჩოხატაური | წყარო | 0,003 | 0,06 | 0,002 | - |
| 44 | ჩოხატაური | საყოფაცხოვრებო ჭა | - | 0,05 | 0,003 | - |
| 45 | ჩოხატაური | ჭაბურღილი | 0,003 | 0,07 | 0,02 | - |
| 46 | ჩოხატაური | ჭაბურღილი | 0,002 | 0,05 | 0,002 | - |
| 47 | ჩოხატაური | ჭაბურღილი | 0,01 | 0,015 | 0,008 | - |
| 48 | ხაშური | ჭაბურღილი | 0,007 | 0,03 | - | - |
| 49 | ხაშური | წყარო | - | 0,009 | - | - |
| 50 | ხაშური | ჭაბურღილი | - | 0,01 | - | - |
| 51 | კასპი | ჭაბურღილი | 0,003 | 0,05 | 0,005 | - |
| 52 | კასპი | წყარო | 0,005 | 0,2 | - | 0,03 |
| 53 | კასპი | ჭაბურღილი | 0,003 | 0,09 | 0,005 | - |
| 54 | კასპი | ჭაბურღილი | 0,004 | 0,03 | - | - |
| 55 | კასპი | წყარო | 0,003 | 0,05 | - | - |
| 56 | კასპი | წყარო | 0,004 | 0,08 | - | - |
| 57 | კასპი | წყარო | 0,002 | 0,01 | 0,002 | - |
| 58 | კასპი | წყარო | 0,003 | 0,03 | 0,008 | - |
| 59 | კასპი | წყარო | 0,003 | 0,02 | - | - |
| 60 | კასპი | წყარო | - | 0,03 | - | - |
| 61 | მარნეული | ჭაბურღილი | 0,003 | 0,12 | 0,003 | - |
| 62 | მარნეული | ჭაბურღილი | - | 0,05 | 0,009 | - |
| 63 | მარნეული | ჭაბურღილი | - | 0,05 | 0,004 | 0,02 |
| 64 | მარნეული | ჭაბურღილი | 0,004 | 0,07 | 0,003 | - |
| 65 | სიღნაღი | წყარო | 0,002 | 0,1 | 0,02 | 0,03 |
| 66 | სიღნაღი | ჭაბურღილი | - | 0,08 | 0,009 | - |
| 67 | სიღნაღი | ჭაბურღილი | 0,004 | 0,5 | 0,1 | - |
| 68 | სიღნაღი | ჭაბურღილი | 0,003 | 0,09 | 0,02 | - |
| 69 | საგარეჯო | ჭაბურღილი | - | 0,09 | 0,01 | - |
| 70 | საგარეჯო | ჭაბურღილი | 0,003 | 0,09 | 0,07 | - |
| 71 | ახმეტა | ჭაბურღილი | 0,005 | 0,3 | 0,01 | - |

| №<br>№ | წყალპუნქტის ადგილმდებარეობა | წყალპუნქტის ტიპი | მიკროელემენტები მგ/ლ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | Cd | Zn | Cu | Pb |
| 72 | დუშეთი | წყარო | 0,001 | 0,05 | - | - |
| 73 | დუშეთი | წყარო | 0,002 | 0,03 | - | - |
| 74 | დუშეთი | წყარო | 0,002 | 0,06 | 0,002 | - |
| 75 | ყაზბეგი | წყარო | - | 0,005 | - | - |
| 76 | ყაზბეგი | წყარო | - | 0,001 | - | - |
| 77 | ყაზბეგი | წყარო | 0,001 | 0,03 | - | - |
| 78 | ყაზბეგი | წყარო | 0,001 | 0,005 | - | 0,03 |
| 79 | ყაზბეგი | წყარო | 0,002 | 0,04 | - | - |
| 80 | ყაზბეგი | ჭაბურღილი | - | 0,01 | - | - |
| 81 | ყაზბეგი | ჭაბურღილი | - | 0,02 | 0,004 | - |
| 82 | ყაზბეგი | წყარო | - | 0,03 | - | - |
| 83 | ყაზბეგი | ჭაბურღილი | - | 0,005 | - | - |
| 84 | მცხეთა ნატახტარი | წყარო | - | 0,1 | 0,01 | - |
| 85 | დუშეთი | წყარო | - | 0,05 | 0,07 | - |
| 86 | საგურამო | წყარო | - | 0,05 | 0,03 | - |
| 87 | წეროვანი | წყარო | - | 0,01 | - | - |
| 88 | მუხათწყარო | ჭაბურღილი | - | 0,001 | - | - |

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მძიმე ლითონები მიწისქვეშა წყლებში გვხვდება მცირე, საშუალო, ნორმასთან, საშუალოსთან ახლოს და ნორმაზე მეტი რაოდენობით.

აღნიშნული ლითონების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ნორმაზე მეტად დაჭუჭყიანებული უბნები და დავსახოთ მიზნად მათი გაუვნებლობის აუცილებელი მეთოდების შემუშავება.

**ლიტერატურა**


1. ზვიადაძე უ.ი. საქართველოს მიწისქვეშა წყლების მიკროკომპონენტები, როგორც ჰიდროგეოლოგიური სტრუქტურების ნავთობგაზიანობისა და მინერალური წყლების ფორმირების გეოქიმიური მაჩვენებელი. „სადისერტაციო მაცნე". გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 1992, 54 გვ.

2. Мясодова Г.В., Саввин С.Б. Хелатообразующие сорбенты. 1984. М. Наука. 173 с.

3.Мясоедова Г.В., Щербинина Н.И., Сванидзе З.С., Мясоедов Б.Ф. Сорбционное концентрирование и атомно – абсорбционное определение кадмия в минеральных водах. Ж. Аналит. Химии. 1986. т. 31. №3

4. Басаргин Н.Н., Сванидзе З.С., Розовский Ю.Г. Групповое концентрирование Cu, Zn, CdbPb в анализе природных и сточных вод. Заводская лаборатория т. 59. Т. 2. 1993.

5. Львов Б.В. Атомно-абсорбционный спектральный анализ. М. Наука. 1966. 392 с.

6. Хавезов И.Х. Цалев Д. Атомно-абсорбционный анализ. Л. Химия. 1993 – 143 с.

7. Бриуке М.Э. Атомно-абсорционный спектрофотометрический анализ. Методы аналитической химии. М. Химия. 1982. 222 с.

## The monitoring of intensively polluted areas of groundwater with heavy metals of some region of Georgia


**Zizi Svanidze,**

Professor of Technical University of Georgia, Doctor of Technical Sciences.

**Garry Gunia,**

Institute of Hydrometeorology of Technical University of Georgia.

Doctor of Physics and Mathematics , Doctor of Geographical sciences, Professor.



### Abstract

The study presents the groundwater of some regions of Georgia polluted with cadmium, zinc, copper and lead.

These elements are highly toxic and have a destructive effect on living organisms.

Their quantitative content has been established in numerous (61) undergroundwater samples of western and eastern Georgia using an atomic absorption spectometer **Analyst200,** which is characterized by high sensitivity.

As a result of the analysis, it was determined that the heavy metals under study are found in small, medium, close to the norm and more than the permissible amount in the groundwater spread over the territory of Georgia.

The study of the mentioned metals allows us to determine the areas that are polutted above norm, and to plan the development of the necessary methods for their decontamination.

Every information about the contamination of an object with one or another substance, studying their quantity and developing methods of decontamination will allow us to protect nature from severe harmful effects. Monitoring of groundwater contamination with heavy metals in the territory of Georgia aims to obtain such information. In order to study the mentioned issue, it is important to study chemical elements, especially heavy metals, because they cause pollution of the environment in very dangerous ways.



**Keywords:** Georgia, environment, groundwater, heavy metals,Toxic intensive pollution.

## ტყის ხანძრები, კლიმატის ცვლილება და ტყის მდგრადი მართვა

**თამარ რევაზიშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**აბსტრაქტი**

*სტატიაში განხილულია ერთ-ერთი ყველაზე საშიში მოვლენის, ტყის ხანძრის ნეგატიური ეკოლოგიური და ეკონომიკური შედეგები; დახასიათებულია ტყის ხანძრების წარმომშობი ბუნებრივი და ანთროპოგენული მიზეზები; განსაზღვრულია ტყის, როგორც შეუცვლელი ბუნებრივი რესურსის მნიშვნელობა და დანიშნულება ქვეყნისა და საზოგადოების ცხოვრებაში. გაანალიზებულია კლიმატის ცვლილებისა და ტყის ხანძრების ურთიერთგამომწვევი და ურთიერთგანმაპირობებელი ბუნება; იქიდან გამომდინარე, რომ ტყის მდგრადი მართვა უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, კლიმატის ცვლილების შერბილებას, ხოლო მეორე მხრივ, ტყის ხანძრების პრევენციას, ნაჩვენებია ქვეყანაში ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა და ამ მიმართულებით ჩვენი სახელმწიფოს მიერ გადადგმული ეფექტიანი ნაბიჯები ფუნდამენტური სახელმწიფო დოკუმენტების შემუშავების, საკანონმდებლო ინიციატივების განხორციელების, ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების რეალიზაციისა და კონკრეტული ღონისძიებების ჩატარების სახით. განხილულია სულ ახლახანს დასრულებული „ტყის ეროვნული აღრიცხვის პროექტის" პირველი ანგარიშის მნიშვნელობა ტყის მდგრადი მართვისთვის, კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის და, შესაბამისად, ტყის ხანძრების სიხშირისა და სიძლიერის შემცირებისთვის.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ტყის ხანძრები, კლიმატის ცვლილება, ტყის მდგრადი მართვა, კლიმატის ცვლილების შერბილება, ტყის ხანძრების პრევენცია.*

ტყის ხანძარი ერთ-ერთი ყველაზე საშიში კატასტროფაა, რომელიც ბოლო წლებში საგრძნობლად გახშირებულია მთელ მსოფლიოში. ის დიდი საფრთხის შემცველი არასასურველი მოვლენაა არა მარტო მოსახლეობისთვის, არამედ თვითონ ტყისთვისაც, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ ტყე, როგორც ჟანგბადის მომწოდებელი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანო რესურსია, ის ასევე, გავლენას ახდენს წყლის რეჟიმზე და ასრულებს ისეთ განსაკუთრებულ გარემოსდაცვით ფუნქციებს, როგორებიცაა: წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისგან, ღვარცოფებისა და მეწყერებისგან ნიადაგის დაცვა, გვალვისა და მშრალი ქარის ზემოქმედების შემცირება, მოძრავი ქვიშის მოძრაობის შეკავება, ატმოსფეროდან მტვრის ნაწილაკების დეპონირება, ხმაურის შთანთქმა და, რაც მთავარია, დადებითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ ყველაფრის გარდა, ტყეები არის სხვადასხვა ბუნებრივი რესურსების წყარო, რომლებიც უბრალოდ აუცილებელია სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებისთვის.

ტერმინოლოგიის მიხედვით, ტყის ხანძრები ტყის ტერიტორიაზე ცეცხლის სპონტანური, უკონტროლო გავრცელებას ნიშნავს. მათი მთავარი საფრთხე მძვინვარე ალის გავრცელების სიჩქარეშია, რომელთანაც ბრძოლა ძალიან რთულია. რთული და მძიმეა, ასევე, ტყის ხანძრის შედეგები. მაგალითად, ეკოლოგიის თვალსაზრისით, ნეგატიურ შედეგს წარმოადგენს ატმოსფეროს დაბინძურება, ჰაერის, წყლის ხარისხის გაუარესება, ტყის ბუნებრივი რესურსების განადგურება, ეკოლოგიური სისტემებისა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვა და სხვ. ტყის ხანძრებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალიც მოჰყვება. დიდი თანხები იხარჯება ხანძრის

ჩასაქრობად და მის მიერ განადგურებული ტყის აღსადგენად. აღსანიშნვია ტყის ხანძრის ყველაზე საშინელი შედეგი – ადამიანების, კერძოდ, მეხანძრეებისა და მაშველების სიცოცხლის მოსპობა. გარდა ამისა, ხანძრის კვამლი და მტვერი იწვევს სუნთქვის მძიმე დისკომფორტს და შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ალერგიისა და რესპირატორული პრობლემების მქონე ადამიანების ჯანმრთელობაზე.

მაინც, რა იწვევს ტყის ხანძრებს და რატომ გახშირდა ხანძრის შემთხვევები?

ზოგადად, ტყის ხანძარი ბუნებრივი მოვლენაა. ყველაზე გავრცელებული ბუნებრივი ფაქტორი მეხის დაცემაა. ხანძრის წარმოქმნაში მისი წილი დაახლოებით 8%-ია. ბუნებრივ ფაქტორს მიეკუთვნება, აგრეთვე, ელვა, ვულკანის ამოფრქვევა, ტორფის თვითაალება და სხვ.

ტყის ხანძრების უმრავლესობა, დიდწილად, ადამიანების ქმედებების შედეგია. ზოგჯერ ასეთ ხანძრებს გეგმიურად, გამიზნულად აჩენენ. მაგალითად, მავნე მწერებთან და ხეებისა და მცენარეების დაავადებებთან საბრძოლველად. ასეთ დროს, პროცესი, როგორც წესი, კონტროლს ექვემდებარება. ხშირია დაუდევრობის მიზეზით გაჩენილი ხანძრები – გადაგდებული სიგარეტის ნამწვისა და კოცონისაგან, რომელსაც ბოლომდე არ აქრობენ, ფოიერვერკების მოწყობა და ნარჩენების დაწვა. ყველაზე მასშტაბური ხანძრები წარმოიქმნება ტყეების თვითნებურად, შეგნებულად დაწვისას, როდესაც მიზანი ტყის შემდგომი გაჩეხვაა. ასეთ დროს, როგორც წესი, ცეცხლი რთულად მისადგომ ადგილას ჩნდება ხოლმე.

ცალკე გამოსაყოფია ტყის ხანძრების კიდევ ერთი სერიოზული მიზეზი – კლიმატის ცვლილება, რომელიც მართალია არ იწვევს, მაგრამ ქმნის პირობებს ტყის ხანძარის წარმოქმნისათვის. კლიმატის ცვლილების ფონზე ექსტრემალური მოვლენები (გვალვა, ხანძარი) უფრო ხშირად ხდება. ყოველწლიურად მათი რიცხვი, მასშტაბები და კატასტროფულობა სულ უფრო იზრდება მსოფლიოში. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნებრივი (ელვისმიერი) ხანძარი განსხვავდება ანთროპოგენული (ადამიანის მიერ გამოწვეული) ხანძრისგან. მაგალითად ელვა, ჩვეულებრივ, ეცემა მაღალ ხეებს და ცეცხლი ნელა მოძრაობს ფერდობზე. ამ შემთხვევაში ალის ძალა იკარგება და ხანძარი იშვიათად ვრცელდება დიდ ფართობზე. ანთროპოგენური ხანძრები კი უფრო ხშირად იწყება დაბლობებში და იშლება, რაც იწვევს უფრო სწრაფ და საშიშ განვითარებას.

ცნობილია, რომ კლიმატის ცვლილება, რომლისგან განპირობებულ რისკებსა და საფრთხეებს შორის ტყის ხანძრების გახშირებაც მოიაზრება, ანთროპოგენური თეორიის მიხედვით, ბუნებრივი პროცესების გარდა ადამიანის ისეთი საქმიანობის შედეგია, როგორიცაა ნავთობპროდუქტების, ნახშირისა და ბუნებრივი გაზის წვა. ამ დროს ატმოსფეროში იმატებს ნახშირორჟანგისა და სხვა ე.წ. „სათბურის აირების კონცენტრაცია“, რასაც მოჰყვება სათბურის ეფექტის გაძლიერება და, შესაბამისად, კლიმატის ცვლილება. ტემპერატურის მატების, სითბური ტალღებისა და მშრალი ამინდის გამო მცენარეები უფრო ადვილად აალდებიან, რაც კიდევ უფრო ძლიერ და უკონტროლო ხანძრებს იწვევს.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ თვითონ ხანძრები წარმოადგენენ კლიმატის ცვლილების ერთ-ერთ მიზეზს. ტყის ხანძრის დროს ატმოსფეროში გამოიყოფა დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგი, განსაკუთრებით კი ტორფის წვისას. ცნობილია, რომ ტორფის ჭაობები წარმოადგენენ ნახშირბადის დიდ „საწყობებს“ და როცა მათ ცეცხლი ეკიდება, მთელი ნახშირბადი ნახშირორჟანგის სახით, გამოიყოფა ატმოსფეროში. ნახშირორჟანგი წარმოიქმნება, ასევე, ხანძრის შემდეგაც. მკვდარი, მაგრამ ბოლომდე არდამწვარი ხეები ლპება, იშლება და გამოყოფს ნახშირორჟანგს. რეგიონიდან გამომდინარე, ნახშირორჟანგი ხანძრის შემდეგ შეიძლება წარმოიქმნას დაახლოებით იგივე რაოდენობით, ან უფრო მეტიც, ვიდრე თავად წვის

დროს. მოგეხსენებათ, ნახშირორჟანგი ერთ-ერთი მთავარი სათბურის აირია. რაც უფრო მეტია ის ატმოსფეროში, მით უფრო მეტად „თბება“ დედამიწა.

ინდუსტრიული ერის დაწყებიდან ატმოსფეროში ნახშირორჟანგის ემისიები მუდმივად იზრდება, უკანასკნელ წლებში კი ზრდის ტემპი კიდევ უფრო აჩქარდა. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ახალი ეკონომიკური ძალების – ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიასა და სხვათა გააქტიურების ფონზე მსოფლიო ეკონომიკის ზრდა და გაზრდილი მოთხოვნები რესურსებზე. სიტუაცია არის შემაშფოთებელი, რადგან პროცესების ინტენსიურად განვითარდების პირობებში კლიმატის ცვლილება დაჩქარება და 21-ე საუკუნის ბოლომდე კიდევ უფრო ექსტრემალურ სახეს მიიღებს.

2022 წლის 23 თებერვალს ნაირობიში წარმოდგენილი გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) და GRID-Arendal-ის ანგარიში პროგნოზირებს, რომ კლიმატის ცვლილება და მიწათსარგებლობის პრაქტიკის შეცვლა გამოიწვევს ტყის ხანძრების რაოდენობისა და ინტენსივობის ზრდას, ექსტრემალური ხანძრების საერთო რაოდენობა 2030 წლისთვის 14% მიაღწევს, 2050 წლის ბოლოსთვის - 30%, ხოლო საუკუნის ბოლოსთვის - 50%.

ანგარიში გამოქვეყნდა გაეროს გარემოსდაცვითი ასამბლეის (UNEA 5.2) განახლებული მეხუთე სესიის წინ, რომელიც 2022 წლის 28 თებერვლიდან 2 მარტამდე 193 სახელმწიფოს წარმომადგენელი გააერთიანა.

დოკუმენტი მოუწოდებს ქვეყნების მთავრობებს, კარდინალურად შეცვალონ სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურა ტყის ხანძრებთან ბრძოლის კუთხით და ინვესტიციები, რეაგირების ნაცვლად, მიმართონ ხანძრის პრევენციისა და ხანძართან ბრძოლის მზადყოფნისაკენ. კერძოდ, ურჩევს მთავრობებს მიიღონ ახალი „ხანძარსაწინააღმდეგო მზადყოფნის ფორმულა“, რომელშიც ხარჯების ორი მესამედი მიმართული იქნება დაგეგმვის, პრევენციის, მზადყოფნის უზრუნველყოფასა და აღდგენაზე, ხოლო ერთ მესამედი დარჩება რეაგირებაზე. ამჟამად, ტყის ხანძრებზე პირდაპირი რეაგირება, როგორც წესი, შეადგენს შესაბამისი ხარჯების 50%-ზე მეტს, ხოლო დაგეგმვა და პრევენცია – 1%-ზე ნაკლებს.

ავტორების რეკომედაციით, ხანძრის პრევენციისთვის, ერთი მხრივ, უნდა მოხდეს მონიტორინგის სისტემების მეცნიერულად დასაბუთებული მონაცემების კომბინირება ტრადიციულ ცოდნასთან და, მეორე მხრივ, უნდა გაძლიერდეს რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა.

ექსტრემალური ხანძრის რისკის შესამცირებლად უნდა გაიზარდოს ინვესტიციები ხანძრის რისკის შემცირებაში, გაძლიერდეს მუშაობა ადგილობრივ თემებთან და გაძლიერდეს საერთაშორისო ვალდებულებები კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის კუთხით. ასევე, მნიშვნელოვანია ეკოსისტემების აღდგენა, რაც საგრძნობლად ამცირებს ტყის ხანძრების რისკებს მათ გაჩენამდე და ხელს უწყობს ხანძრის შემდგომი აღდგენის პროცესს. [1]

საქართველოში ტყეებს რაც შეეხება, ხანძრის მთავარი მიზეზები მოქალაქეთა დაუდევრობა და კლიმატის ცვლილებაა. ეროვნული სატყეო სააგენტოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მათ დაქვემდებარებულ ტყის ფონდში 2007-2022 წლებში ხანძრის 630 შემთხვევა დაფიქსირდა, რომელმაც 7 367ჰექტარი ტყე მოიცვა. ხანძრის ყველაზე მეტი შემთხვევა მოხდა 2020 წელს, ყველაზე დიდი ფართობი დაიწვა 2017 წელს - 1299.9 ჰა. და 2008 წელს - 1277.5 ჰა. 2008 წელს რუსეთის დივერსიის შედეგად გაჩენილი ხანძრების დროს დაიწვა ტყეები წაღვერში, ბორჯომსა და ჩარხლისწყალთაში. 950 ჰექტარი ტყე მთლიანად განადგურდა. ბორჯომის მუნიციპალიტეტში მასშტაბური ტყის ხანძარი მოხდა 2017 წელს, რომელიც 943 ჰექტარზე გავრცელდა. მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ჩვენ ტყეებს დიდი ზარალი მოუტანა

ქვეყანას ბოლო ორ წელიწადში გაჩენილმა ხანძრებმაც. საქართველოში ტყის ხანძრების საშიშროებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, კახეთის, შიდა ქართლისა და აჭარის რეგიონები. [2]

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ტყეები ადაპტირებულია გარკვეული დონის ლოკალურ ცვლილებებთან, ახლა ყველა ტყე განიცდის ახალ სტრესს კლიმატის ცვლილების, ჰაერის დაბინძურებისა და ინვაზიური მავნებლების სახით. იმის პროგნოზირება, თუ როგორ აისახება მათი ზემოქმედების გაძლიერება ტყეების მდგომარეობაზე, არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ტყეებს შეიძლება მრავალი ათწლეული დასჭირდეთ იმ ფუნქციების აღსადგენად, რომლებსაც ახორციელებენ.

ის ფაქტი, რომ ტყე გავლენას ახდენს სათბურის გაზების ბალანსზე – შეუძლია ნახშირორჟანგის შთანთქმა და კლიმატის დათბობის ტემპის შემცირება, ზრდის მის როლს კლიმატის ცვლილების შერბილებაში. ამიტომ ტყე კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევა. მეორე მხრივ, ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციის სტაბილიზაცია და შემცირება, რაც კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, შესამჩნევად შეამცირებს ექსტრემალური ხანძრების რიცხვს. აქედან გამომდინარე, კლიმატის ცვლილების შერბილებას და ტყის სექტორის მდგრად მართვას გარკვეული როლი ენიჭება ტყის ხანძრების პრევენციაში და ტყის ეკოსისტემების შენარჩუნებაში.

საქართველო აქტიურად არის ჩართული კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ღონისძიებებში, რაც გულისხმობს დარგობრივი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას, საკანონმდებლო ინიციატივების განხორციელებას და კონკრეტული ღონისძიებების გატარებას. ამ მიზნით ქვეყანაში მრავალი მაღალბიუჯეტიანი პროექტის რეალიზაცია დაიგეგმა. 2020 წელს საქართველომ ვალდებულება იკისრა, 2030 წლისთვის, 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 35%-ით შეზღუდოს სათბურის აირების ემისიები, ხოლო საერთაშორისო ფინანსური და ტექნოლოგიური მხარდაჭერის შემთხვევაში სათბურის აირების ემისიათა ჯამი ეროვნულ დონეზე შეამციროს 50-57%-ით. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ 2021 წლის 8 აპრილს დამტკიცდა, განსაზღვრავს კონკრეტულ ღონისძიებებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს შემცირების პროცესი ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ენერგეტიკა (ენერგიის გენერაცია და გადაცემა, ენერგიის მოხმარება სატრანსპორტო სექტორში, ენერგიის მოხმარება შენობებში, ენერგიის მოხმარება მრეწველობაში) სამრეწველო პროცესები, სოფლის მეურნეობა, ნარჩენების მართვა და სატყეო მეურნეობა. [3]

აღსანიშნავია კლიმატის ცვლილების საკითხებზე საქართველოს აქტიურობა საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხითაც. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება თანახმად, საქართველო თანამშრომლობს ევროკავშირთან ისეთ სფეროებში, როგორიცაა: კლიმატის ცვლილების შერბილება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია, ნახშირბადის სერთიფიკატებით ვაჭრობა, კლიმატის ცვლილების საკითხების დარგობრივ პოლიტიკაში ინტეგრაცია და სუფთა ტექნოლოგიების განვითარება. ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებით მიყენებული ზიანის, მათ შორის, ტყის ხანძრების შემცირებას. [4]

ტყის მდგრადი მართვის კუთხით, იქიდან გამომდინარე, რომ ტყეების დაცვის აუცილებლობა გლობალურ დონეზეა აღიარებული, საქართველო წარმოადგენს რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ხელმომწერ მხარეს და იღებს

ვალდებულებას, უზრუნველყოს ტყეების მართვა მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

ტყის მდგრადი მართვა უმთავრეს პრინციპად არის წარმოდგენილი საქართველოს ეროვნულ სატყეო კონცეფციაში, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ტყეების მიმართ მათი ძირითადი ფუნქციური დანიშნულებისა და ფასეულობების გათვალისწინებით. კონცეფციის ძირითადი მიზანია ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას. [5]

ტყის მდგრად მართვაში იგულისხმება ტყეების მართვა მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად. ამ განმარტებიდან გამომდინარე, ტყის მდგრადმა მართვამ უნდა შეინარჩუნოს ბალანსი შემდეგ სამ ძირითად ფაქტორს – გარემოსდაცვით, ეკონომიკურსა და სოციალურს შორის. ტყის მდგრადი მართვის წარმატებულ განხორციელებას მრავალი თვალსაზრისით მოაქვს სარგებელი. ეს სარგებელი მოიცავს ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროს დაცვას, ტყეების ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების შენარჩუნებას, სოფლის სიღარიბის შემცირებას და კლიმატის ცვლილების ზოგიერთი უარყოფითი ზემოქმედების შერბილებას.

ტყის მდგრადი მართვა და, ზოგადად, ტყის სექტორის განვითარება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის სახელმწიფოს მხრიდან არაერთი ეფექტიანი ნაბიჯია გადადგმული – ეროვნული სატყეო კონცეფციის სახით შემუშავებულია სექტორის განვითარების ფუნდამენტური დოკუმენტი; დამუშავების პროცესშია ტყის კოდექსის კანონპროექტი; დაწყებულია ტყის ეროვნული ინვენტარიზაციის პროცესი, რაც ტყის მდგრადი მართვის წინაპირობაა.

სულ ახლახანს დასრულდა ტყის ინვენტარიზაციის პირველი წარმატებული მცდელობა – „ტყის ეროვნული აღრიცხვის პროექტი“, რომელიც 2015 წლიდან ხორციელდება გერმანიის მთავრობისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური და ტექნიკური დახმარებით. აღნიშნული პროექტი პირველია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში. მისი მიზანია ტყისა და ტყის რესურსების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება და ტყის მდგომარეობის მონიტორინგის უწყვეტი განხორციელება. პროექტის ანგარიში უკვე წარმოადგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რაც მისასალმებელია, რადგან მიღებული შედეგები ანალიზი და ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ ზუსტი ინფორმაციის ფლობა ხელს შეუწყობს ტყის დაცვას და მის მდგრად მართვას. ტყეების დაცვა კი აუცილებელია კლიმატის ცვლილების თავიდან ასაცილებლად და შესაბამისად, ტყის ხანძრების სიხშირისა და სიძლიერის შესამცირებლად.

**დასკვნა**

მზარდი ანთროპოგენური ზემოქმედებისა და გლობალური კლიმატური ცვლილებების გამო, ტყის ხანძრების სიხშირე და ინტენსივობა იზრდება მთელ მსოფლიოში. გამონაკლისი არც საქართველოა, ჩვენთან ტყის ხანძრის მთავარი მიზეზებია მოქალაქეთა დაუდევრობა და კლიმატის ცვლილება.

ტყის ხანძრები და კლიმატის ცვლილება „ორმხრივ ამძაფრებს სიტუაციას“. კერძოდ, კლიმატის ცვლილება ტყის ხანძრებს ამწვავებს გვალვის, ჰაერის მაღალი ტემპერატურის,

დაბალი ფარდობითი ტენიანობის, ელვისა და ძლიერი ქარის შედეგად, რაც იწვევს ხანძრის უფრო ცხელ, მშრალ და ხანგრძლივ სეზონებს. ამავდროულად, კლიმატის ცვლილებას ამძაფრებს ტყის ხანძრები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა, ანადგურებს მგრძნობიარე და ნახშირბადით მდიდარ ეკოსისტემებს, როგორიცაა ტორფები და ტროპიკული ტყეები. ეს აქცევს ბუნებრივ ტერიტორიებს „დენთის კასრებად", რაც ართულებს ტემპერატურის მატების შეჩერებას.

ტყე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსია როგორც ბუნებრივი კატასტროფებისგან დაცვისთვის, ისე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ამასთან, ის კლიმატის ცვლილების შემარბილებელ საშუალებად მიიჩნევა და, აქედან გამომდინარე, ხანძრების პრევენციის ხელშემწყობია. ამიტომ ტყის მდგრად მართვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. დღეს საქართველო აქტიურად არის ჩართული როგორც კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ღონისძიებებში, ასევე, ტყეების მდგრადი მართვის მიმართულებით არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში, რაც საბოლოოდ, ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების, მათ შორის ტყის ხანძრების, შემცირებას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ООН, программа по окружающей среде. Специалисты предупреждают, что к 2100 году количество лесных пожаров увеличится на 50 процентов, но правительства к этому не готовы. ПРЕСС РЕЛИЗ/ ПРИРОДНЫЕ РЕШЕНИЯ. 23 FEB 2022.
https://www.unep.org/ru/novosti-i-istorii/press-reliz/specialisty-preduprezhdayut-chto-k-2100-godu-kolichestvo-lesnykh gadamowmebulia 20.10.2022.

2. erovnuli satyeo saagento. erovnuli satyeo saagentos martvas daqvemdebarebul saxelmwifo tyesi dafiqsirebuli xanzrebi wlebis mixedvit. tyis xanzrebi 27 seq. 2022
https://forestry.gov.ge/ge/projects/details/20?menuid=28 -gadamowmebulia 20.10.2022.

3. saqartvelos klimatis cvlilebis 2030 wlis strategia (serbilebis nawili). saqartvelos mtavroba. 2021w. 154 gv.
http://extwprlegs1.fao.org/docs/pdf/geo209870geo.pdf - gadamowmebulia 20.10.2022.

4. revazisvili t. klimatis cvlileba – drevandeli realoba da saqartvelos erovnuli interesebi. samecniero jurnali ,,xelisufleba da sazogadoeba (istoria, teoria, praqtika)" №4 (60) 2021. gv. 26-37.

5. saqartvelos erovnuli satyeo koncefcia. saqartvelos garemosa da bunebrivi resursebis dacvis saministros da erovnuli satyeo saagento. 2014 w. 64 gv.

# Forest Fires, Climate Change and Sustainable Forest Management

**Tamar Revazishvili,**
Associated Professor, Georgian Technical University

**Abstract**

The article discusses the negative consequences of one of the most dangerous events, forest fires, from an ecological and economic point of view; Characterizes natural and anthropogenic causes of forest fires are; Article determines the importance and purpose of the forest as an irreplaceable natural resource for the country and society. The mutually causing and mutually conditioning nature of one of the contributing causes of forest fires - climate change and forest fires; Based on the fact that sustainable forest management provides, on the one hand, the mitigation of climate change, and on the other hand, the prevention of forest fires, the necessity of establishing a sustainable forest management system in the country is shown, and the effective steps taken by our government in this regard include the development of fundamental documents, the implementation of legislative initiatives, in the form of realization of local or international projects and holding specific events. The importance of the first report of the recently completed National Forest Inventory Project for sustainable forest management, climate change mitigation, and thus reducing the frequency and severity of forest fires.

**Keywords:** forest fires, climate change, sustainable forest management, Mitigation of climate change, prevention of forest fires.

# ინფორმაციის თავისუფლების ასპექტები თანამედროვე საქართველოში

**ანა მელქაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
**შოთა დოღონაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**აბსტრაქტი**

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმ პრობლემებზე, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან. აღნიშნულია, რომ თანამედროვე, გლობალურ სამყაროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ინფორმაციის გაცვლა წარმოადგენს. ხაზგასმულია იმ გარემოებაზე, რომ აუცილებელია გაცნობიერებულ იქნეს რომ საჯარო ხელისუფლება ინფორმაციას ფლობს არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და საზოგადოების სახელით. ამდენად, ინფორმაციის დაუსაბუთებლად წარმოდგენა საერთაშორისო სამართლისა და კონსტიტუციებით გარანტირებული სიტყვის გამოხატვის თავისუფლების სერიოზული დარღვევაა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო) ინფორმაციის თავისუფლება გასულ საუკუნეში აღიარა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად. რაც დეტალურადაა განხილული სტატიაში.

ასევე, ცალკე განხილვის საგნადაა გამოყოფილი ევროპის საბჭოს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა, რომელშიც 46 წევრი ქვეყანაა გაერთიანებული და რომლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დოკუმენტია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის **ევროპული კონვენცია (რომი**, 1950 წლის 4 ნოემბერი). გარდა ამისა, მითითებულია, რომ ევროსაბჭოს პოლიტიკურმა ორგანოებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ინფორმაციის თავისუფლების უფლების ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად აღიარებისკენ. კერძოდ, საუბარია 1994 წლის მედიაპოლიტიკის საკითხებზე მე-4 ევროპელ მინისტრთა კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში მოცემული რეკომენდაცია განხილულიყო საკითხი საჯარო ხელისუფლების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების ძირითადი პრინციპების მომზადების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 2002 წლის 21 თებერვალს. რეკომენდაცია ეფუძნება პრინციპს: რომ ყველას უნდა ჰქონდეს სახელმწიფო მართვის ორგანოების ოფიციალურ წყაროებისადმი წვდომა.

ინფორმაციისადმი ადამიანის წვდომის პრობლემის გააზრებამ საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანოების მიერ ხანგრძლივი გზა განვლო. ადამიანის უფლება ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე და მათ შორის საჯარო ორგანოებში განთავსებულ ინფორმაციაზე დღეისათვის მრავალ ქვეყანაში უკვე საკონსტიტუციო მოთხოვნას წარმოადგენს. დემოკრატიული სახელმწიფოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება გაეცნოს საჯარო დაწესებულებებში არსებულ ყოველ ინფორმაციას, თუ ისინი რა თქმა უნდა, არ შეიცავენ სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას.

**საკვანძო სიტყვები:** ინფორმაცია, ინფორმაციის თავისუფლება, გაერო, ევროსაბჭო, ღირებულებები, დეკლარაცია, დოკუმენტი.

## შესავალი

თანამედროვე სამყაროში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრესის მამოძრავებელ ძალას ინფორმაციის გაცვლა წარმოადგენს. იგი ხელს უწყობს ცხოვრების თვისობრივად ახალი წესების, თანამედროვე სოციალური და მორალური ღირებულებების ფორმირებას და, რაც მთავარია, მართვის თანამედროვე პრინციპების ჩამოყალიბებას ცხოვრების ყველა სფეროში. ამჟამად აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების წესების შეცვლის გზით საინფორმაციო გამჭვირვალობა ძირითადი ხდება სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემის ახალი სტილის ფორმირებაში.

XXI საუკუნის დასაწყისში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის კომუნიკაციის ახალ ფორმამდე - ელექტრონული მმართველობის შექმნამდე მიიყვანა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს არა მხოლოდ ეფექტური და ნაკლებხარჯიანი ადმინისტრირება, ასევე კარდინალურად შეცვალოს ურთიერთქმედება მოქალაქეებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის. ელექტრონული მართვა ცვლის თვითონ აღმასრულებელი ხელისუფლების ბუნებას, რათა ის უფრო გამჭვირვალე და რეგიონული საზოგადოების მიერ კონტროლირებადი გახდეს. ელექტრონული მართვა ასევე უზრუნველყოფს მოქალაქეების რეალურ მონაწილეობას რეგიონის პოლიტიკურ პროცესებში, კერძოდ, კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

ინფორმაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსია სახელმწიფოსა და საზოგადოების ეფექტური განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის. ინფორმაციული გაცვლა სახელმწიფო ორგანოებს, მუნიციპალურ მართვასა და საზოგადოებას შორის არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის.

ინფორმაციის თავისუფალი ნაკადი დემოკრატიული სახელმწიფოს კონცეპტუალური საფუძველი და ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვის წინაპირობაა.

ინფორმაციისა და იდეების რეალური თავისუფალი ნაკადის გარანტიის გარდა, აუცილებელია გაცნობიერებულ იქნეს რომ საჯარო ხელისუფლება ინფორმაციას ფლობს არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და საზოგადოების სახელით.

ეს ორგანოები ფლობენ უზარმაზარ ინფორმაციას და ასეთი ინფორმაციის არა მართლზომიერი გასაიდუმლოება წარმოადგენს საერთაშორისო სამართლისა და კონსტიტუციებით გარანტირებული სიტყვის გამოხატვის თავისუფლების სერიოზულ დარღვევას.

არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის უფლებების დაცვაზე, აღიარებს ინფორმაციის თავისუფლების უფლების ფუნდამენტურ და სამართლებრივ ბუნებას, ისევე როგორც ეფექტური კანონმდებლობის საჭიროებას ამ უფლების პრაქტიკაში განსახორციელებლად.

ამას თან ახლავს ეროვნულ დონეზე ინფორმაციის თავისუფლების, როგორც ადამიანის უფლებისა და როგორც დემოკრატიის ფუნდამენტურ საფუძველზე მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების პროცესი, რაც ინფორმაციის თავისუფლების უფლების ბევრ თანამედროვე კონსტიტუციაში ჩართვაში აისახა. ასევე, მკვეთრად გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც მიიღეს ამ უფლების ამსახველი კანონმდებლობა ბოლო წლებში. ყველა ეს ფაქტორი, ერთად აღებული, ნიშნავს იმას, რომ ინფორმაციის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთ უფლებად არის აღიარებული.

ინფორმაციის თავისუფლება მსოფლიოს ყველა კონტინენტზე აღიარებულია ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებად, მათ შორის გაეროს, ევროპის საბჭოს, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და აფრიკული კავშირის მიერ. თუმცა, ამ საყოველთაო აღიარებამდე, ცალკეულ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მრავალი ეტაპის გავლა დასჭირდათ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ინფორმაციის თავისუფლება გასულ საუკუნეში აღიარა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად. 1946 წელს პირველ სესიაზე, გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 59(1), რომელშიც ნათქვამია, რომ ინფორმაციის თავისუფლება არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება და ... ყველა იმ თავისუფლების საფუძველი, რომელიც გაეროს ყურადღების ცენტრშია.

ადამიანის უფლებათა შემდგომ საერთაშორისო დოკუმენტებში ინფორმაციის თავისუფლება განიხილება არა ცალკე, არამედ როგორც გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების ნაწილი, რომელიც მოიცავს ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების უფლებას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც მიიღო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წელს მნიშვნელოვანი განაცხადია ადამიანის საერთაშორისო უფლებების დარგში. მე-19 მუხლი, რომელიც სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსთვის, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის საკითხი, სიტყვის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების გარანტიას წარმოადგენს:

„ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება; ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას ჰქონდეს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები ყოველგვარი საშუალებით ნებისმიერი მედიის საშუალებით, საზღვრების მიუხედავად.“ [ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 60 წლისთავი სპეციალური გამოცემა 1948-2008 გაერო; https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf]

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივად სავალდებულო შესრულების დოკუმენტს, მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წელს 16 დეკემბერს და რატიფიცირებულ იქნა 149 სახელმწიფოს მიერ 2002 წლის დეკემბერში. საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან; ამ ხელშეკრულების შესაბამისი მე-19 მუხლი კვლავ ადასტურებს თითოეული ადამიანის საკუთარი აზრის დაუბრკოლებლად გამოხატვის უფლებას და ეს უფლება თავის თავში გულისხმობს ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების უფლებას ყოველგვარი საშუალებით - ზეპირად, წერილობით, პრესით, მხატვრული საშუალებებით და სხვა. [**საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ.**16/12/1966; https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0]

ყველა ნახსენებ დოკუმენტში, ინფორმაციის მიღების უფლება განიხილება, როგორც აზრისა და გამოხატვის უფლების ნაწილი. თუმცა, პრაქტიკაში, მას უფრო ფართო განმარტება მიეცა და ინფორმაციის თავისუფლება აღიარებულ იქნა ცალკე მდგომ უფლებად.

ინფორმაციის თავისუფლების საკითხებს მიეძღვნა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებიც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1990 წ. ეუთო-ს წევრი ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობების მეთაურების შეხვედრაზე მიღებულ „პარიზის ქარტიას ახალი ევროპისათვის“. ჰელსინკის დასკვნითი აქტის, პარიზის ქარტიის, 1992 წლის ჰელსინკის დეკლარაციის, 1994 წლის ბუდაპეშტის დოკუმენტის, 1996 წლის ლისაბონის დოკუმენტის და 1999 წლის სტამბოლის სამიტზე მიღებული ევროპის უსაფრთხოების ქარტიის მიღებას.

1993 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ დააარსა გაეროს სპეციალური მომხსენებლის ოფისი აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებში. სპეციალური მომხსენებლის მანდატის ნაწილს წარმოადგენდა ინფორმაციის უფლების ზუსტი შინაარსის გარკვევა ყოველწლიურ ანგარიშებში. 1997 წელს ამ კითხვაზე მისი კომენტარების მიღების შემდეგ, კომისიამ მიმართა სპეციალურ მომხსენებელს წინადადებით „მოემზადებინა დამატებითი კომენტარები „ინფორმაციის მოძიებისა, მიღებისა და კომუნიკაციის საფუძველზე დაკვირვებისა და რეკომენდაციების გაზიარების უფლების შესახებ".

1998 წლის წლიურ ანგარიშში სპეციალურმა მომხსენებელმა განმარტა, რომ სიტყვის თავისუფლების უფლება მოიცავს სახელმწიფოს ხელთ არსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლებას: „ინფორმაციის თავისუფლად მოძიების, მიღებისა და გავრცელების უფლება სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებს, რათა უზრუნველყონ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით იმ ინფორმაციის შესახებ, რომელსაც მთავრობა ფლობს ყველა სახის შემნახველ და საძიებო სისტემაში...". [ანგარიშის ნახვა შესაძლებელია აქ : https://ww1.unhchr.ch/]

1999 წლის ნოემბერში სიტყვის თავისუფლების უფლების სპეციალურმა წარმომადგენელმა და ადამიანის უფლების დაცვის 2 წარმომადგენელმა (ეუთოს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის (OAS) სპეციალური მომხსენებელი თვითგამოხატვის თავისუფლების შესახებ) პირველად შეიკრიბნენ „მუხლი 19" ადამიანის უფლებებისათვის გლობალური კომპანიის ჩარჩოში და მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც ის იქნა აღიარებულ: [სიტყვის თავისუფლების უფლების სპეციალური წარმომადგენელიhttps://www.ohchr.org/ru/special-procedures/sr-freedom-of-opinion-and-expression]

სიტყვის თავისუფლება გულისხმობს ადამიანების ინფორმაციაზე ღიად წვდომის უფლებას, და უფლებას იცოდნენ, რას აკეთებს ხელისუფლება მისი სახელით, რის გარეშეც სიმართლე ჩრდილში დარჩება და ხალხის მონაწილეობა მთავრობის საქმიანობაში იქნება ფრაგმენტული.

[ТобиМендел, **СВОБОДАИНФОРМАЦИИСРАВНИТЕЛЬНОЕПРАВОВОЕИССЛЕДОВАНИЕ**
https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000134191_rus/PDF/134191rus.pdf.multi]

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი კომენტარი ინფორმაციის თავისუფლების უფლების შესახებ კომისიის 2000 წლის წლიურ ანგარიშში და აღნიშნა მისი ფუნდამენტური მნიშვნელობა არა მხოლოდ დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის, არამედ მონაწილეობის უფლების განხორციელებისა და განვითარებისათვის. ასევე გამოითქვა „შეშფოთება მთავრობისა და სამთავრობო ინსტიტუტების საქმიანობის ტენდენციასთან მიმართებაში, დაუმალონ ინფორმაცია ადამიანებს, რომლებიც კანონიერად მათ ეკუთვნის". სპეციალურმა მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა ინფორმაციის უფლების კონკრეტულ შინაარსზე.

ევროპის საბჭო არის მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელშიც 46 წევრი ქვეყანაა გაერთიანებული. მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური დოკუმენტია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის **ევროპული კონვენცია (რომი**, 1950 წლის 4 ნოემბერი), რომლის მე-10 მუხლში ადამიანის თვითგამოხატვა და ინფორმაციის თავისუფლება განხილულია, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება. მე-10 მუხლი გარკვეულწილად განსხვავდება მე-19 მუხლის გარანტიებისგან. მასში აქცენტი გაკეთებულია ადამიანის უფლებაზე ინფორმაციის

„მიღების და გავრცელების“ შესახებ, მაგრამ არ არის ინფორმაციის „მოძიების“ უფლება. [ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, https://www.echr.coe.int/documents/convention_kat.pdf]

ევროპის საბჭოს პოლიტიკურმა ორგანოებმა გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი ინფორმაციის თავისუფლების უფლების ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად აღიარებისკენ. [კონვენციასტან სახელმწიფოთა მიერთების მდგომარეობა შეიძლება ამ მისამართზე https://www.coe.int/en/web/conventions/]

1981 წელს მინისტრთა კომიტეტმა, მიიღო რეკომენდაცია No R(81)19 საჯარო ხელისუფლების ხელთ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, სადაც ნათქვამია:

„იურისდიქციაში შემავალ წევრი სახელმწიფოს თითოეულ პირს უფლება აქვს მიიღოს, მოითხოვოს ინფორმაცია საჯარო ხელისუფლებისგან, საკანონმდებლო ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების გარდა.“
[ТобиМендел, **СВОБОДАИНФОРМАЦИИСРАВНИТЕЛЬНОЕПРАВОВОЕИССЛЕДОВАНИЕ** https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000134191_rus/PDF/134191rus.pdf.multi]

1994 წლის მედია პოლიტიკის საკითხებზე მე-4 ევროპელ მინისტრთა კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში მოცემული რეკომენდაცია განხილულიყო საკითხი საჯარო ხელისუფლების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების ძირითადი პრინციპების მომზადების შესახებ. მინისტრთა კომიტეტმა მოამზადა რეკომენდაცია ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, რომელიც მიღებულ **იქნა 2002 წლის 21 თებერვალს.** რეკომენდაცია ითვალისწინებს ქვემოთ მითითებულ ოფიციალურ დოკუმენტებში ხელმისაწვდომობის უფლების ზოგად გარანტიას, ასევე კონკრეტულ მითითებებს, თუ როგორ უნდა იყოს გარანტირებული ეს უფლება პრაქტიკაში.

რეკომენდაცია ეფუძნება პრინციპს: რომ ყველას უნდა ჰქონდეს სახელმწიფო მართვის ორგანოების ოფიციალურ წყაროებისადმი წვდომა. რეკომენდაციაში ჩამოყალიბებულია კონკრეტული მოთხოვნები ეროვნული კანონმდებლობებისადმი საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ. კონკრეტულ დოკუმენტის წვდომაზე უარი შესაძლებელია, თუ მასში არსებული ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში შეიძლება ზიანი მიადგეს სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესებს (თავდაცვას, უსაფრთხოებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, სამართალდაცვას, ეკონომიკურ პოლიტიკას) და მესამე პირებს (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ეკონომიკურ ინტერესებს, მხარეების თანასწორობას სასამართლო პროცესის მსვლელობისას). ამასთან, მოთხოვნილი დოკუმენტი არ უნდა შეიცავდეს საზოგადოების მხრიდან ინფორმაციისადმი გადაჭარბებულ ინტერესს, ამიტომ, ამ პირობების აღსრულება მოითხოვს გადამოწმებას და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებას სახელმწიფო ორგანოების მიერ ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. სახელმწიფო მართვის ორგანოებს მოეთხოვებათ ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ვადების გადახედვა. [Конвенция Совета Европы о доступе к официальным документамhttps://rm.coe.int/16804803cc]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა **2008 წლის 27 ნოემბერს** მიიღო კონვენციის პროექტი ოფიციალური დოკუმენტებისადმი ხელმისაწვდომობის შესახებ, რომელზეც მუშაობა რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდა ადამიანის უფლებათა რეგლამენტის კომიტეტში (Steering Committee for Human Rights). ევროპის საბჭოს კონვენცია ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის შესახებ ხელმოწერისთვის გაიხსნა 2009 წლის 18 ივნისიდან და მას შემდეგ

შევიდა ძალაში, როგორც კი ევროსაბჭოს 10 წევრმა ქვეყანამ გადაწყვიტა და ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს გადასცა კონვენციის რატიფიკაციის დოკუმენტი.

ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციამ გაავრცელა No. Rec (2002) 2 რეკომენდაციაში აპრობირებული პრინციპები და წესები ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებისათვის, ასევე სამთავრობო, ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებისათვის. ანუ ეს წესები ყველა წევრ სახელმწიფოებისთვის სავალდებულო გახადა.

კონვენციის ავტორებმა განმარტებით ანგარიშში სხვადასხვა ეროვნული სამართლებრივი სისტემებიდან გამოყვეს ძირითადი სავალდებულო დებულებები, რომლებიც ასახავენ რიგ ეროვნულ კანონებში უკვე არსებულს, და ამავე დროს რა შეიძლება მიიღონ სახელმწიფოებმა რომელებსაც ასეთი კანონები ჯერ არ აქვთ. ამ ძირითადი დებულებებით შეიქმნა სამოქმედო პროგრამა საერთაშორისო მონიტორინგის განსახორციელებლად ოფიციალურ დოკუმენტებზე წვდომის უფლების განმტკიცებისა და გაფართოების მიზნით.

**დასკვნა**

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციისადმი ადამიანის წვდომის პრობლემის გააზრებამ საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანოების მიერ ხანგრძლივი გზა განვლო. ადამიანის უფლება ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე და მათ შორის საჯარო ორგანოებში განთავსებულ ინფორმაციაზე დღეისათვის მრავალ ქვეყანაში უკვე საკონსტიტუციო მოთხოვნას წარმოადგენს. დემოკრატიული სახელმწიფოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება გაეცნოს საჯარო დაწესებულებებში არსებულ ყოველ ინფორმაციას, თუ ისინი რა თქმა უნდა, არ შეიცავენ სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას.

საჯარო დაწესებულებებიც, თავის მხრივ, ვალდებული არიან უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, როგორც ეს შეესაბამება თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს.

ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა უნდა აკმაყოფილებდეს სამმხრივ ტესტს:

საერთაშორისო სამართლის თანახმად, ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ნებისმიერ კანონიერ მიზანს;

უნდა არსებობდეს რისკი იმისა, რომ ინფორმაციის გამჟღავნება სერიოზულად დააზარალებს ამ მიზანს;

ინფორმაციისადმი წვდომის ზიანი უნდა აღემატებოდეს საზოგადოებრივ სარგებელს.

საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით შესაძლებელია ინფორმაცია ფორმალურად ექვემდებარებოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კანონიერი მიზნის აღწერას, თუმცა ეს გარემოება თავისთავად საკმარისი არ არის მასზე წვდომის აკრძალვისათვის. სახელმწიფო ორგანო ვალდებულია ასევე აჩვენოს, რომ ამ ინფორმაციის გამჟღავნება ზიანის მომტანი იქნება კანონიერი მიზნისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

დოღონაძე შ., ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების მოქმედება საქართველოში, თბილისი, „მეცნიერება“, 2004, 160 გვ.

ცაცანაშვილი მ., ინფორმაციული სამართალი, თბილისი, 2004.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 60 წლისთავი სპეციალური გამოცემა 1948-2008 გაერო; https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf

**საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ**
16/12/1966; https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0
სიტყვის თავისუფლების უფლების სპეციალური წარმომადგენელი
https://www.ohchr.org/ru/special-procedures/sr-freedom-of-opinion-and-expression
Тоби Мендел, СВОБОДАИНФОРМАЦИИСРАВНИТЕЛЬНОЕПРАВОВОЕИССЛЕДОВАНИЕ
https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000134191_rus/PDF/134191rus.pdf.multi
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია,
https://www.echr.coe.int/documents/convention_kat.pdf
https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000134191_rus/PDF/134191rus.pdf.multi
Конвенция Совета Европы о доступе к официальным документамhttps://rm.coe.int/16804803cc

**Aspects of freedom of information in modern Georgia**

**Ana Melkadze,**
Doctoral Student, Georgian Technical University
**Sota Dogonadze,**
Professor, Georgian Technical University

**Abstract**

The article focuses on the problems related to freedom of information. It is noted that one of the most important factors in the modern, global world is information exchange. It is emphasized that it is necessary to realize that the public authorities possess information not only for themselves, but also based on the interests of the public and on behalf of the public. Thus, unsubstantiated presentation of information is a serious violation of international law and freedom of expression guaranteed by constitutions.

The United Nations (UN) recognized freedom of information as a fundamental human right in the last century. Which is discussed in detail in the article.

Also, the activity of the Council of Europe as a non-governmental organization, in which 46 member states are united and one of the fundamental documents of which is the **European Convention for the Protection of Human Rights and Freedoms (Rome** , November 4, 1950), is also a separate subject for consideration **.** In addition, it is indicated that the political bodies of the Council of Europe have taken an important step towards recognizing the right to freedom of information as a fundamental human right. In particular, we are talking about the recommendation given in the declaration adopted at the 4th European Ministerial Conference on media policy issues in 1994 to discuss the issue of preparing the basic principles of the right to access to information of public authorities, which was adopted on February 21, 2002. The recommendation is based on the principle that everyone should have access to official sources of public administration bodies.

The understanding of the problem of human access to information by international or local bodies has come a long way. The right of a person to have access to information, including information placed in public bodies, is already a constitutional requirement in many countries. Any citizen of a democratic state has the right to get acquainted with all the information available in public institutions, unless of course they contain state, commercial or professional secrets.

**Keywords:** information, freedom of information, United Nations, European Council, values, declaration, document.

# მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის სახელმწიფო მართვის სტრუქტურა

**სოფიო დოღონაძე ,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**აბსტრაქტი**

სტატია ეძღვნება ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო მართვის სტრუქტურის ანალიზს. ნაჩვენებია აღნიშნულ ქვეყნებში სახელმწიფო მართვის განსხვავებული სტრუქტურები, მათი თავისებურებები. აღნიშნულია, რომ განსხვავების მიუხედავად, მათ ერთი საერთო ხაზი აერთიანებთ, ეს არის სრული შესაბამისობა კონსტიტუციის მოთხოვნებთან და ქვეყნის სპეციფიკასთან სახელმწიფო მოწყობის თვალსაზრისით. გაკეთებულია დასკვნა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ქვეყნებიდან საქართველოსთვის ყველაზე მეტად სამაგალითოა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის სტრუქტურა, რომლის შესწავლა და საქართველოს სინამდვილეში გამოყენება პერსპექტიულია.

**საკვანძო სიტყვები:** სტრუქტურა, სახელმწიფო მართვა, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია.

მრავალი საუკუნის განმავლობაში თითოეულმა ქვეყანამ მმართველობის საკუთარი მოდელი შეიმუშავა, რომლის თავისებურებები განაპირობა უნიკალურმა სოციალურ-კულტურულმა ფაქტორებმა, ისტორიული განვითარების გარემოებებმა, პოლიტიკური ინტერესების ჩამოყალიბებულმა სტრუქტურებმა.

სახელმწიფოებმა, რომლებიც მსოფლიოს „სახეს“ განსაზღვრავენ და გავლენას ახდენენ მსოფლიოში მთავარ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო-ტექნიკურ პროცესებზე, სახელმწიფო მართვასა და განვითარებაში სხვადასხვა დონის მთელი რიგი ეტაპები გაიარეს. ჩვენთვის ფრიად საინტერესოა მათი გამოცდილების შესწავლა და გაზიარება.

ამერიკის შეერთებული შტატები ფედერალური სახელმწიფოა რომელიც 50 შტატისა და კოლუმბიის ფედერალური ოლქისგან შედგება. მმართველობის ფორმის მიხედვით შეერთებული შტატები საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, სადაც:
პრეზიდენტი ხელმძღვანელობს აღმასრულებელ ხელისუფლებას;
კონგრესი -საკანონმდებლო ხელისუფლებას;
უზენაესი სასამართლო – სასამართლო ხელისუფლებას.

თითოეულ შტატს საკუთარი კონსტიტუცია გააჩნია, საკუთარი საკანონმდებლო ორგანოები – ლეგისლატურები და საკუთარი აღმასრულებელი ხელისუფლება აქვს რომელსაც გუბერნატორი წარმოადგენს.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო კონგრესი, ორი პალატისგან შედგება: წარმომადგენელთა პალატა და სენატი. წარმომადგენელთა პალატა პარლამენტის ქვედა პალატაა. პალატის 435 წევრი ორი წლით ირჩევა, წარმოადგენენ იმ შტატს რომელ შტატიდანაც იქნენ არჩეული. წარმომადგენელთა პალატას ხელმძღვანელობს დეპუტატებისაგან არჩეული სპიკერი. სენატი - ამერიკის შეერთებული შტატების პარლამენტის ზედა პალატა, პირველ რიგში, წარმოადგენს შტატების ინტერესებს, ირჩევა ექვსი წლით და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ხდება შემადგენლობის 1/3 განახლება. სენატის სხდომებს ხელმძღვანელობს შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი.

შეერთებული შტატების პრეზიდენტი არის როგორც სახელმწიფოს მეთაური, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი. იგი ოთხი წლის ვადით არაპირდაპირი არჩევნებით ამომრჩეველთა ინსტიტუტის გამოყენებით აირჩევა. კონგრესის მიერ მიღებული ყველა კანონპროექტი პრეზიდენტის მიერ უნდა დამტკიცდეს.

აშშ-ს სასამართლო სისტემა აგებულია იერარქიული გზით, სასამართლო დონეებს შორის ფუნქციების მკაფიო გამიჯვნით.

აშშ უმსხვილესი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენს საგრაფოები და მუნიციპალიტეტები. საგრაფოები ძირითადად ფუნქციონირებენ სოფლად. მუნიციპალიტეტები დაჯგუფებულია ურბანული დასახლებების გარშემო.

საგრაფოები აშშ-ს 48 შტატში არსებობს, საყურადღებოა მათი არათანაბარი განაწილება ტერიტორიისა და რიცხოვნების მიხედვით. საგრაფოების 1/3 შემოსავლების სტრუქტურა ყალიბდება მთავრობათაშორისი შემოსავლებით, მათ შორის შტატების მთავრობებიდან. შემდეგ მესამედს შეადგენს გადასახადები და, ძირითადად, ქონების გადასახადი. დარჩენილი ნაწილი ივსება სხვადასხვა გადასახადებისა და ნებაყოფლობითი შემოწირულობების საშუალებით.

მუნიციპალიტეტების განმასხვავებელი მახასიათებელი მდგომარეობს იმაში, რომ მათ მინიჭებული აქვთ მუნიციპალური კორპორაციების სამართლებრივი უფლებები. როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის, მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საბაზრო სუბიექტი, რომელიც საკუთარ სტრატეგიულ პოლიტიკას განსაზღვრავს.

საგრაფოებს, მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, არ აქვთ საკუთარი საკანონმდებლო აქტების გამოცემის უფლება; ისინი ვალდებულნი არიან ადგილზე უზრუნველყონ შტატების კანონმდებლობის რეალიზება. მუნიციპალიტეტების ძირითადი ფუნქციები:

- საკუთრების ფლობა;
- საქონლის დიდი პარტიებით ყიდვა-გაყიდვაში მონაწილეობის მიღება;
- კანონის დამრღვევ პირთა სამართლებრივი დევნა;
- ფულადი საშუალებების სესხებისა და გასესხების უზრუნველყოფა;
- კონტრაქტების დადება და ა.შ

მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წილი უკავია კომუნალური საწარმოებიდან და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს, რაც ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების სპეციფიკური წყაროა. ამავე დროს, ფინანსირებას ღებულობენ როგორც შტატების მთავრობებისგან, ასევე ადგილობრივი გადასახადების გარკვეული კატეგორიიდან: საკუთრებიდან, მოგებიდან, ლიცენზიების გაცემიდან და ა.შ.

თაუნები მოსახლეობის მცირე რაოდენობით (25,000-მდე ადამიანით) ადმინისტრაციული ერთეულებია. ქალაქებისა და თვითმმართველი ქალაქების კანონით მნიშვნელოვნად შეზღუდულია თაუნების, ტაუნშიპების თვითმმართველობის უფლებები. ტაუნშიპები წარმოდგენილია ამერიკის 50 შტატიდან მხოლოდ 20-ში.

შეერთებულ შტატებში ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტი ყალიბდება ოთხი ძირითადი წყაროსგან: ადგილობრივი გადასახადებით (ძირითადად ქონების გადასახადებით); მუნიციპალური მომსახურების გადასახადებით; მთავრობათაშორისი შემოსავლებით; მუნიციპალური სესხებით.

დიდი ქალაქები არ ემორჩილებიან რაიონებს, შეიმუშავებენ საქმიანობის საკუთარ მიმართულებას, რომელიც გამყარებულია ზოგადი მართვის კანონით.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას არ აქვს არჩეული თვითმმართველობის ორგანო, ეს ორგანოები შედარებით დაბალ დონეზეა გადაყვანილი.

როგორც ნებისმიერი მუნიციპალური წარმონაქმნი, გერმანიის გაერთიანებებს შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი ქონება და განახორციელონ კომერციული საქმიანობა დამოუკიდებელი საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის გამოყენებით. მიწების კანონები ანიჭებს გაერთიანებებს საკუთარი გადასახადების მოგროვების უფლებას: გადასახადები, ბაჟი, შენატანები, ჯარიმები, შემოსავალი ქონებიდან.

ფედერალურ გადასახადებს შორის ყველაზე გავრცელებულია გადასახადები ნავთობპროდუქტებზე, თამბაქოზე, მაგარი ალკოჰოლური სასმელების წარმოებაზე, ყავაზე, დაზღვევის საფასურზე და ა.შ. მიწის გადასახადების ჩამონათვალში შედის გადასახადები სიმდიდრის, მემკვიდრეობის, სატრანსპორტო საშუალებებზე, მიწის ნაკვეთის შესყიდვაზე, ლუდზე და ა.შ. ადგილობრივი გადასახადების საფუძველს შეადგენს: სარეწი, მიწის ნაკვეთზე და ადგილობრივი გადასახადების ჯგუფი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეგიონული მართვის რეჟიმის მთავარი რგოლი ქვეყნის ტერიტორიის ეკონომიკურ განვითარებაში გათანაბრების სტრატეგიაა. ფედერალურ და რეგიონულ რგოლებს შორის ფინანსური გათანაბრების სისტემა ამ ოპერაციისადმი ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მიდგომებს გულისხმობს. ვერტიკალური გათანაბრება ფედერალური ხელისუფლების მიერ დამატებითი სუბსიდიებითა და მიზნობრივი ტრანსფერებით, ასევე ფედერალური კანონმდებლობის შესაბამისად გადასახადების განაწილებით ხორციელდება. მიწების მთავრობების მიერ ჰორიზონტალური გათანასწორება მის შემადგენლობაში შემავალი თემების პროპორციული განვითარების მიზნით საშემოსავლო ნაწილების, კორპორაციული გადასახადებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის გადანაწილების ხარჯზე ხორციელდება .

ქალაქის სტატუსის მიღება შეუძლიათ იმ თემებს, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა 2000 ადამიანს აღემატება. ქალაქური დასახლებას მინიმალური მოსახლეობის რაოდენობა 200 ადამიანით შემოიფარგლება, გერმანიაში გათვალისწინებულია მუნიციპალური საბჭოების არჩევა, რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლობაა მოცემულ ტერიტორიებზე. გერმანიაში ისტორიულად შემდეგი ტიპის თვითმმართველობები ჩამოყალიბდა:

სამხრეთ გერმანიის საბჭო, რომელიც ითვალისწინებს თანაბარი დონის ურთიერთქმედებას თემის საბჭოს, აღმასრულებელი ხელისუფლების და ბურგომისტრს შორის;

„არასწორი მაგისტრატი“, რომელიც მუნიციპალიტეტის მართვის ხარჯთაღრიცხვაში ორი კოლეგიის არსებობას ითვალისწინებს: თემების დეპუტატთა კრებას და კოლექტიური აღმასრულებელი ორგანოს -მაგისტრატს;

ბურგომისტრს ნიშნავს საბჭო, მაგრამ ფართო უფლებამოსილების მქონეა
ჩრდილოეთ გერმანიის საბჭო, გულისხმობს საბჭოს, თემის დირექტორის და მართვის კომიტეტის ურთიერთქმედებას.

საფრანგეთი რესპუბლიკაში, გაერთიანებულია საპარლამენტო და საპრეზიდენტო მართვის ფორმების ელემენტები ამ უკანასკნელის წამყვანი როლით. ქვეყანა დაყოფილია 95 დეპარტამენტად, ხოლო დეპარტამენტები - კომუნებად, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ.

საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანო ორი პალატისგან შედგება: ეროვნული კრება და სენატი. ეროვნული კრება აირჩევა ხუთი წლის ვადით. სენატში შედიან დეპარტამენტების,

ზღვისიქითა ტერიტორიების წარმომადგენლები, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრები ფრანგები. რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს მთავრობისადმი უნდობლობის ე.წ. „უნდობლობის რეზოლუციის“ მიღების უფლება აქვს.

საფრანგეთის პრეზიდენტი მთავრობის შეხვედრებს ხელმძღვანელობს. პრემიერ-მინისტრი, მთავრობის სხვა წევრები მისი წარდგინებით ინიშნებიან. ის არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ხელს აწერს განკარგულებებსა და რეზოლუციებს.

მთავრობა როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მუშა ორგანო ეროვნული კრების წინაშეა ანგარიშვალდებული. მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ მინისტრი, რომლის უფლებამოსილებებში შედის ეროვნული თავდაცვის საკითხები, კანონების აღსრულება, ასევე გარკვეულ სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობებზე დანიშვნის უფლება. მთავრობას პარლამენტის ნებართვით შეუძლია თავისუფალად მიიღოს ორდონანსები - კანონის სტატუსის მქონე აქტები.

საფრანგეთის რესპუბლიკის სასამართლო სისტემაში შედის :

საკასაციო სასამართლო, სააპელაციო სასამართლოები და სასამართლოები, რომლებიც პირველ ინსტანციაში განიხილავენ სხვადასხვა კატეგორიის საქმეებს.

საფრანგეთში მთავრობის ძირითადი ტერიტორიული დონეებია კომუნები (კომუნების სინდიკატები), კანტონები, ოლქები, რეგიონები. ტერიტორიული დიფერენცირების საფუძველს წარმოადგენენ ე.წ. ტერიტორიული კოლექტივები: კომუნები, დეპარტამენტები და ზღვისიქითა ტერიტორიები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის ფრანგული მოდელის მთავარი მახასიათებელი ცენტრალურ ხელისუფლებასთან მისი მჭიდრო კავშირია. საინტერესოა ის, რომ საერთოდ არ გამოიყენება ტერმინი „თვითმმართველობა“ :მის ნაცვლად ფართოდ გამოიყენება დასახელებები „მუნიციპალური ხელისუფლება“ და „დეცენტრალიზაცია“. დეცენტრალიზაცია - ადგილობრივი მმართველობის მეთოდია, რომლის მიხედვითაც ცალკეული ტერიტორიების მართვის ფუნქციები უშუალოდ ამ ტერიტორიებს გადაეცემა. დეცენტრალიზაციის წყალობით, სახელმწიფო უზრუნველყოფს ტერიტორიების მთლიანობას უფლებებისა და მოვალეობების გაფართოებით. დეცენტრალიზაცია სახელმწიფო უფლებამოსილების ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დელეგირებით მიიღწევა. დეცენტრალიზაციის მექანიზმის განხორციელების პროცედურა შემდეგ პუნქტებს მოიცავს:

თითოეული მუნიციპალიტეტური წარმონაქმნისათვის სახელმწიფო უფლებამოსილებათა ნუსხის შედგენა;

ამ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის განკუთვნილი მატერიალური და ფინანსური რესურსების ოდენობის განსაზღვრა;

უკვე განხორციელებული სახელმწიფო უფლებამოსილების გადაცემის გაფორმება ფორმების მიხედვით საშუალებების განაწილების კანონის შესაბამისად;

გადაცემის მექანიზმის ხარისხისა და ეფექტიანობის განსაზღვრა.

საფრანგეთის ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის პირველადი საფუძველია კომუნა. კომუნის სათავეში მუნიციპალური საბჭოა. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მერს და არჩევნების შემდეგ ამ უკანასკნელის საქმიანობის კონტროლს აგრძელებს. კომუნებს უფლებამოსილება სამი მიმართულებით აქვთ დელეგირებული: ურბანიზმი, განათლება და კულტურა, ეკონომიკური განვითარება. საფრანგეთში მოქმედი კანონი ყველა კომუნას სამეურნეო გაანგარიშების რეჟიმში ფუნქციონირებას ავალდებულებს. კომუნებს კაპიტალის

არა საგადასახადო მეთოდებით მოზიდვის უფლებები აქვთ, რომლებსაც განეკუთვნება სესხებში, ასევე კომუნის მიერ დაარსებულ საწარმოების მოგებაში მონაწილეობა და ა.შ.

კომუნის ბიუჯეტის სტრუქტურა სავალდებულო და დამატებითი ხარჯების გამოყოფის მუხლებს ითვალისწინებს. სავალდებულოს წარმოადგენენ ის ხარჯები, რომლებიც ორიენტირებულია მისი სასიცოცხლო საქმიანობის შენარჩუნებაზე: საცხოვრებელი სექტორის მოვლა და შეკეთება, ვალების გადახდა. დამატებით ხარჯებში შედის კაპიტალური ინვესტიციების ხარჯები და კომუნის ძირითადი ფონდების განვითარება.

კომუნის ბიუჯეტის შემოსავლებში ორი წყაროს არსებობა იგულისხმება: შიდა და გარე. შიდა შემოსავლებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები, რომლებიც ოთხ ჯგუფად იყოფა: მიწის გადასახადი; მიწის გადასახადი ნაკვეთებზე, გადასახადი მიწის იმ ნაკვეთებზე სადაც შენობებია განთავსებული; ცხოვრების გადასახადი; პროფესიის გადასახადი.

საფრანგეთში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებში მნიშვნელოვნად მაღალია (მესამედზე მეტი) ადმინისტრაციული, პოლიციის, სასამართლო პროცესებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ხარჯების დონე. მეორე ადგილზეა გზის მშენებლობისა და სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეულ დანახარჯები (12%). ამას მოსდევს ჯანდაცვა, ასევე მუნიციპალური და სახელმწიფო საწარმოების შენახვის ხარჯები–11 დან 6% - მდე.

დეპარტამენტები კომუნებთან შედარებით ნაკლებად დამოუკიდებელნი არიან. დეპარტამენტების ფუნქციაში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება შედის. დეპარტამენტის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს სივრცითი დაგეგმვა და სოციალური მხარდაჭერა. გენერალური საბჭო, როგორც დეპარტამენტის უმაღლესი მმართველი ორგანო 6 წლით ირჩევა და ყოველ 3 წელიწადში ხდება ნახევრის განახლება. დეპარტამენტის ძირითადი საშემოსავლო წყაროების პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები; გადასახადები მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამებზე; მიწის რენტა და ა.შ.

რეგიონი ტერიტორიული კოლექტივია, რომლის ხელმძღვანელი-რეგიონალური საბჭოს თავმჯდომარეა - ქვეყნაში უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია. რეგიონის კომპეტენციაში შედის „რეგიონის ეკონომიკური, სოციალური, სანიტარული, კულტურული და სამეცნიერო განვითარების ხელშეწყობა და მისი ტერიტორიის კეთილმოწყობა, აგრეთვე მისი თვითმყოფადობის უზრუნველყოფა და შენარჩუნება.“ რეგიონს მართავს 6 წლით არჩეული რეგიონული საბჭო. რეგიონული საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებებია:

კანონმდებლობისადმი დამოკიდებულების დადგენა სახელმწიფო საინვესტიციო გეგმასა და რეგიონულ გეგმებს შორის;

სახელმწიფო პროგრამების განხორციელება ისეთ სექტორებში, როგორიცაა ტერიტორიების კეთილმოწყობა.

რუსეთი ფედერალური სამართლებრივ დემოკრატიული სახელმწიფოა რესპუბლიკური მმართველობის ფორმით. რუსეთის სახელმწიფო მმართველობის სისტემა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რითაც მნიშვნელოვნად განსხვავდება იგი სხვა სახელმწიფოებისგან. მმართველობის ფორმის მიხედვით საპრეზიდენტო რესპუბლიკაა.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, რომელიც კონსტიტუციის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების და თავისუფლებების გარანტად გამოდის. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, რომელიც მინიმუმ 35 წლისაა და რუსეთში მუდმივად მინიმუმ 10 წლის

განმავლობაში ცხოვრობს. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ძირითადი ფუნქციებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 83-ე მუხლის თანახმად განეკუთვნება შემდეგი:

1) რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნა სახელმწიფო დუმის თანხმობით;

2) რუსეთის ფედერაციის მთავრობის სხდომებზე თავმჯდომარეობის უფლება;

3) რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადადგომის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

4) სახელმწიფო დუმის მიერ რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნის კანდიდატურის წარდგენა, ასევე თანამდებობიდან მისი გათავისუფლების საკითხის დაყენება;

5) რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, ფედერალური მინისტრების დანიშვნა, გათავისუფლება;

6) ფედერაციის საბჭოსათვის რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა პოსტზე, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორი თანამდებობებზე კანდიდატთა დანიშვნის წინადადების წარდგენა; ფედერაციის საბჭოში რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წინადადების წარდგენა; სხვა ფედერალური სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნა;

7) რუსეთის ფედერაციის საბჭოს ფორმირება და მართვა;

8) რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინის დამტკიცება;

9) რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფორმირება;

10) რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლების დანიშვნა და გათავისუფლება;

11) რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის დანიშვნა და გათავისუფლება;

12) საზღვარგარეთის სახელმწიფოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნა და გაწვევა ფედერალური საბჭოს პალატების შესაბამის კომიტეტებთან ან კომისიებთან კონსულტაციის შემდეგ.

რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის ადმინისტრაციის სტრუქტურა ძალიან მობილური და სუსტად სტრუქტურირებულია. მისი ძალისხმევა ძირითადად მიმართულია ხელისუფლების შტოებისადმი, უცხოელ პარტნიორებთან, მედიასთან, ასევე მსხვილ სასაქონლო მწარმოებლებთან და ფინანსურ და სამრეწველო კომპანიებთან ურთიერთქმედებისადმი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის დამოუკიდებელი განყოფილებებია:

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მთავარი ტერიტორიული სამმართველო;

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის შიდა პოლიტიკის სამმართველო;

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მთავარი საკონტროლო სამმართველო;

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მთავარი სახელმწიფო და სამართლებრივი სამმართველო და ა.შ.

კიდევ ერთი ინსტიტუტი, რომელიც საპრეზიდენტო ძალაუფლებას გამოხატავს ფედერალურ დონეზე, არის უშიშროების საბჭო, რომელსაც უშუალოდ პრეზიდენტის მიერ დანიშნული საბჭოს მდივანი ხელმძღვანელობს. უშიშროების საბჭოს უფლებამოსილების

სფერო მოიცავს ქვეყნის უსაფრთხოების, მისი დამოუკიდებლობის, ტერორიზმთან ბრძოლის და ა.შ. საკვანძო საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მომზადებას.

რუსეთის ფედერაციაში საკანონმდებლო ხელისუფლებას წარმოადგენს ფედერალური კრება, რომელიც ორი პალატისგან შედგება: ზედა – ფედერაციის საბჭო, ხოლო ქვედა – სახელმწიფო დუმა. ფედერაციის საბჭო ფედერაციის სუბიექტის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებიდან დელეგირებული ორი-ორი წარმომადგენლისგან შედგება. ფედერაციის საბჭოს უფლებამოსილებებში შედის:

1) რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის საზღვრების შეცვლის დამტკიცება;

2) საგანგებო მდგომარეობის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების დამტკიცება;

3) რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის საზღვრებს მიღმა;

4) რუსეთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა;

5) რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება;

6) რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა;

7) რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

8) სავაჭრო პალატის თავმჯდომარის და მისი ნახევარი შემადგენლობის დანიშვნა და გათავისუფლება.

2000 წელს შექმნილი სახელმწიფო საბჭო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული მუდმივი სათათბირო ორგანო გახდა. მისი უფლებამოსილების სფეროში შედის ფედერალური პოლიტიკის კოორდინაცია რეგიონებში და თანამედროვე პირობებში საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების პერსპექტიული მიმართულებების ფორმირება. სახელმწიფო საბჭო სათათბირო ორგანოა, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილების განხორციელებას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ,კოორდინირებული ფუნქციონირებისა და ურთიერთქმედების უზრუნველყოფის საკითხებში.

სახელმწიფო დუმა სპეციალური არჩევნების შედეგად ფორმირდება მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების საფუძველზე. სახელმწიფო დუმის უფლებებში შედის:

1) რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისთვის თანხმობის მიცემა რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ;

2) რუსეთის ფედერაციის მთავრობისადმი ნდობის საკითხის გადაწყვეტა;

3) რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის დანიშვნა და გათავისუფლება;

4) სავაჭრო პალატის თავმჯდომარის და მისი შემადგენელი აუდიტორების ნახევარის დანიშვნა და გათავისუფლება;

5) ამნისტიის გამოცხადება;

6) რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისთვის ბრალის წაყენება თანამდებობიდან გადასაყენებლად.

ფედერაციის სუბიექტებში საკანონმდებლო ხელისუფლებები, როგორც წესი, ერთპალატიანი პარლამენტებია, რომლებიც საკანონმდებლო საქმიანობას კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების შესაბამისად ახორციელებენ. ფედერაციის სუბიექტების წარმომადგენლობითი ორგანოები თავიანთი უფლებამოსილების მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფოსთან ერთობლივ რეჟიმში წარმართავენ.

ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე შექმნილი მუნიციპალური საკრებულოები (ქალაქის საბჭოები, სოფლის საბჭოები და სხვა), რომლებიც პირველ რიგში ფედერაციის სუბიექტის კანონმდებლებით გაწერილ სამართლებრივ სფეროში, კონსოლიდირებული ბიუჯეტის განსაზღვრული ნაწილის შესრულების ფარგლებში მოქმედებენ.

რუსეთის ფედერაციის აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელმძღვანელობს რუსეთის ფედერაციის მთავრობა. რუსეთის ფედერაციის მთავრობის უფლებამოსილების სფეროში შედის:

სახელმწიფო დუმისათვის ქვეყნის ბიუჯეტის შემუშავება და წარდგენა;

ერთიანი ეკონომიკური, კულტურული და სოციალური პოლიტიკის განხორციელება ქვეყანაში;

ფედერალური საკუთრების მართვა;

თავდაცვითი პოლიტიკის, შიდა და გარე უსაფრთხოების, კანონიერების და ა.შ. უზრუნველსაყოფის ღონისძიებები.

რუსეთის ფედერაციის მთავრობის შემადგენლობაში შედიან:

ფედერალური სამინისტროები;

სახელმწიფო კომიტეტები;

ფედერალური სამსახურები;

კომისიები;

სააგენტოები;

ზედამხედველობის ორგანოები.

აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი შიდა ორგანიზაციული რგოლებია დეპარტამენტები, სამმართველოები, განყოფილებები, კომისიები.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 118-ე მუხლის თანახმად რუსეთის ფედერაციაში სასამართლო ხელისუფლება, კონსტიტუციური, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმის წარმოების გზით ხორციელდება. სასამართლო სისტემის ფედერალურ დონეს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო, რომელიც სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და სხვა საქმეების უმაღლესი სასამართლო ორგანოა. უზენაესი სასამართლოს თითოეულ მოსამართლეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს ფედერაციის საბჭო. რუსეთის ფედერაციის უზენაეს სასამართლოსთან მოქმედებს სასამართლო დეპარტამენტი, რომლის ფუნქციებში სასამართლო სისტემის მთელი ვერტიკალის საქმიანობის უზრუნველყოფა შედის.

საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ განხილული ეკონომიკური დავების და სხვა საქმეების მოგვარების უზენაესი სასამართლო ორგანოა რუსეთის ფედერაციის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც ასევე ყველა რეგიონალურ დონეზეა წარმოდგენილი.

რუსეთის ფედერაციაში დაიწყო მუშაობა მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტმა, რომლებმაც უნდა განიხილონ 20% - მდე სისხლის სამართლის საქმე და 60% - მდე სამოქალაქო საქმე. მომრიგებელი მოსამართლეები ზოგადი იურისდიქციის მოსამართლეები არიან, რომლებიც როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო განიხილავენ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებს. ამ ინსტიტუტის უმაღლესი ინსტანციაა რაიონული სასამართლოების ქსელი, რომელიც განიხილავენ პირველი და მეორე ინსტანციის საქმეებს.

რუსეთის ფედერაციის სასამართლო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი საკონსტიტუციო სასამართლოს უკავია, რომელიც დასკვნებს ქვეყნის უმაღლეს ძირითად

კანონთან შესაბამისად იძლევა. სასამართლო სისტემაში საკონსტიტუციო სასამართლოს ჩართვის შესახებ არგუმენტს წარმოადგენს მისი უმაღლესი სასამართლო ინსტანციის სტატუსი, რომელიც სასამართლო სისტემის ქვედა დონეზე გადაუწყვეტელ ყველაზე რთულ და სოციალურად მნიშვნელოვან საქმეებს განიხილავს.

რუსეთის ფედერაციაში სასამართლო სისტემის განუყოფელი ელემენტია პროკურატურა, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის ყველა იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ კანონების ზუსტ და ერთგვაროვან აღსრულებაზე, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების, დაწესებულებების და თანამდებობის პირების საქმიანობაზე ზოგადი ზედამხედველობის განხორციელებაზე.

"რუსეთის ფედერაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების ზოგადი პრინციპების შესახებ" კანონით (მუხლი 1,14) განსაზღვრულია, რომ თითოეულ მუნიციპალურ წარმონაქმნს უნდა ჰქონდეს არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. კანონით არ არის რეგლამენტირებული მუნიციპალურ დონეზე აღმასრულებელი ხელისუფლების შექმნა.

რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურა. ტერიტორიული წარმონაქმნები (დასახლებები) ისტორიულად და სივრცულად ჩამოყალიბებული ადამიანების თემებია, რომლებიც ბინადრობენ გარკვეულ ტერიტორიაზე და მსგავს გეოპოლიტიკურ ორიენტაციებს ქმნიან. ტერიტორიული წარმონაქმნები სახელმწიფო მმართველობის სისტემის საკვანძო საგანია. ტერიტორიის ზომის, მისი გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული თავისებურებების მიხედვით, ტერიტორიული წარმონაქმნები შეიძლება სამ დონეს დაიყოს: სახელმწიფო, რეგიონები (პროვინციები) და დასახლებული პუნქტები (ტერიტორიული დასახლებები).

1993 წელს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მიღებით, ქვეყნის ტერიტორია 89 რეგიონად – ფედერაციის სუბიექტებად დაიყო. მათ შორის: ავტონომიური რესპუბლიკები; მხარეები; ოლქები; ფედერალური მნიშვნელობის ორი ქალაქი; ერთი ავტონომიური ოლქი.

რუსეთის ფედერაციაში ამჟამად არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ადგილობრივი საბჭოების ყოფილი ტერიტორიული უფლებამოსილების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს ფედერაციის სუბიექტის ტერიტორიის ნაწილი ეწოდება, რომელსაც აქვს საკუთარი დასახელება, განსაზღვრული საზღვრები, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრის მიზნით. თანამედროვე რუსეთისთვის ყველაზე დამახასიათებელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს შორის გამოიყოფა შემდეგი:

ზემოთ წარმოდგენილ თითოეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ხორციელდება სახელმწიფო ან მუნიციპალური მართვის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი, რომელიც თითოეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს საკუთარ უფლებამოსილებებს ანიჭებს.

უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი ქვეყნის აქ განხილული მოდელი საქართველოში პირდაპირ დასანერგად არ გამოდგება, რამდენადაც ყველა ქვეყანა გარკვეული ისტორიული განვითარების გზით მივიდა მმართველობის იმ ფორმამდე, რომელსაც დღეს გამოიყენება. საქართველოსთვის აღნიშნულ მოდელებს შორის ფრიად საყურადღებოა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გამოცდილება, რომელიც ისევე, როგორც საქართველო, საპარლამენტო რესპუბლიკაა, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებისთვის ალბათ უფრო მეტად საინტერესო ამერიკის შეერთებული შტატების

გამოცდილებაა. ამდენად მიზანშეწონილია ჩვენს მიერ სახელმწიფო მოწყობის ამ ქვეყნებში არსებული გამოცდილება უფრო ღრმად იქნეს შესწავლილი და დაისახოს სათანადო გზები მათი სწორად გამოყენებისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. დენჰარტი რ., დენჰარტი ჯ., საჯარო მართვა მოქმედების კურსი, თბ., ილიას სახელობის უნივერსიტეტი, 2012, გვ.129-197
2. დოღონაძე ს., დოღონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო მმართველობის საფუძვლები, სტუ, 2018
3. ჭიჭინაძე ვ., სახელმწიფო და მართვა, თბ., „მოდესტა“, 1999, 222 გვ.
4. კულმანი ს., ვოლმანი ჰ., შესავალი შედარებით საჯარო მმართველობაში ადმინისტრაციული სისტემები და რეფორმები ევროპაში, თბ., გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, 2019, 352 გვ.
5. Василенко И.А. "Административно- Государственное управление в странах запада", Издатеъство "Логос", М.: 2001, 289 ст.
6. Купряшин Г.,Л., Публичное управление, Political science (RU), 2016, #2, ст.101-131.
7. Лалн Ф., Открывая организации будущего (Фредерик Лалу; пер. с англ. В. Кулябиной- 7-е изд. – Мю: Манн, Иванов и Фербер, 2020. - 425 с.
8. Мухаев З. Т., Система государственного и муниципального управления, М., ЮНИТИ, 2008, 575 ст.

## The structure of public administration in some countries of the world

**Sofia Dogonadze,**
Associate Professor, Georgian Technical University

The article is devoted to the analysis of the state management structure of the United States of America, the Federal Republic of Germany , France , and the Russian Federation. Different state management structures and their peculiarities are shown in the mentioned countries. It is noted that despite the difference, they are united by one common line, which is full compliance with the requirements of the Constitution and the specifics of the country in terms of state organization. It is concluded that the state management structure of the Federal Republic of Germany is the most exemplary for Georgia among the mentioned countries, which is promising to be studied and applied in Georgia.

**Keywords:** structure, state management, United States of America, Germany, France, Russian Federation.

# ონლაინ თამაშობებზე სახელმწიფო ზედამხედველობა ევროკავშირის ქვეყნებში

**ლაშა პიტნავა**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

ქვეყანაში სახელმწიფო მართვის ეფექტურად განხორციელების ძირითად საფუძველს განსაზღვრავს მისი რეგულირებადი სფეროს სამართლებრივი ჩარჩოს განვითარება. შესაბამისად მნიშვნელოვანია მარეგულირებელი საკანონმდებლო-სამართლებრივი ჩარჩოს შესწავლა და უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება. სტატიაში განხილული იქნება სათამაშო ბიზნესის სფეროს რეგულირების საერთაშორისო გამოცდილება, ევროპის ქვეყნების მაგალითზე ჩატარებული კვლევები. სათამაშო ბიზნესის სისტემის სახელმწიფო რეგულირების მოქნილობის, ეფექტურობისა და ეფექტიანობის სრულყოფისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი და წარმატებული პრაქტიკული მექანიზმების აღმოჩენა და პრაქტიკაში დანერგვა.

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირი, ზედამხედველობა, სისტემურ-ელექტრონული, სამორინე, სათამაშო აპარატები, ტოტალიზატორი, ნებართვა.

**შესავალი**

ევროკავშირში ინტერნეტ თამაშები დაშვებულია და რეგულირდება ონლაინ თამაშებთან დაკავშირებული მრავალმხრივი შეთანხმების მიხედვით (**COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS TOWARDS A COMPREHENSIVE EUROPEAN FRAMEWORK FOR ONLINE GAMBLING).** შეთანხმება მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს: ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას, ნებართვების (ლიცენზიების) გაცემის წესებს, მომხმარებლების, არასრულწლოვანთა და მოწყვლადი ჯგუფების დაცვას, თაღლითობისა და ფულის გათეთრების ფაქტების აღკვეთას, ჩაწყობილი მატჩების თავიდან აცილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ევროკავშირის წევრი ქვეყნები სათამაშო ბიზნესის სფეროზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებენ სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით.

**ევროკავშირის ზონაში** სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე ადმინისტრირებას ახორციელებს ევროპის თამაშებისა და ფსონების ასოციაცია (The European Gaming and Betting Association - EGBA). ასოციაცია მუშაობს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებასთან, ევროკავშირის ხელისუფლებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთობლივად, რათა მაღალ დონეზე განხორციელდეს აღნიშნული სფეროს მართვა. EGBA-ს წევრები ვალდებულები არიან დაიცვან ასოციაციის მიერ დაწესებული მკაცრი სტანდარტები, რომელიც ეხება მომხმარებლების უფლებების დაცვას, სოციალურ პასუხისმგებლობას და ა.შ.

**ძირითადი ტექსტი**

ევროკავშირის ქვეყნებში ***(ავსტრია, ბელგია, დანია, ლიეტუვა, პორტუგალია, საფრანგეთი, ჩეხეთი, ხორვატია)*** დაშვებულია და მოქმედებს როგორც სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული სამორინეები, სისტემურ-ელექტრონული ფორმით

ორგანიზებული ტოტალიზატორი და ასევე სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული სათამაშო აპარატების თამაშობები. აღნიშნული საკითხების ზედამხედველობის მიზნით ამ ქვეყნებში შექმნილია სახელმწიფო ორგანოები, მაგალითად: **ავსტრიაში** აზარტული თამაშობების *სფეროს აკონტროლებს ავსტრიის ფინანსთა სამინისტრო* (Bundesministerium für Finanzen, "BMF"). სფერო რეგულირდება *ფედერალური აზარტული თამაშობების შესახებ კანონით (Glücksspielgesetz, "GSpG").* აზარტული თამაშობების შესახებ კანონის მე-12 ნაწილი, „ელექტრონული ლატარია" მოიცავს ყველა სახის აზარტულ თამაშობებს, რომელიც სისტემურ-ელექტრონული სახით მიეწოდება მომხმარებელს, მათ შორის „ონლაინ-კაზინო, ონლაინ-პოკერი, ონლაინ ფსონების დადება, ლატარიის მსგავსი თამაშობები, ონლაინ სლოტ-მანქანები". ავსტრიის ფედერალურ მიწებს თავიანთ იურისდიქციებში უფლება აქვთ შეიმუშაონ საკუთარი რეგულაციები, რათა განახორციელონ ეფექტური ზედამხედველობა სანებართვო პირობების შესრულებაზე, რომელიც ეხება სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებს (სამორინე, ტოტალიზატორი, სათამაშო აპარატების თამაშობები). ამასთან, სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობების ორგანიზებისას, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ *სერვერები განთავსებული იყოს ავსტრიის ტერიტორიაზე*.

**ბელგიაში** სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული თამაშობების საზედამხედველო ორგანოა *ბელგიის აზარტული თამაშობების კომისია* (The Gaming Commission), წარმოადგენს ფედერალური იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფო ორგანოს. კომისიის ძირითადი ფუნქციებია: სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობების ორგანიზებაზე ნებართვების გაცემა, სათამაშო ბიზნესის ორგანიზატორების მხრიდან სანებართვო პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა (სანებართვო პირობების დარღვევის შემთხვევაში აწესებს სანქციებს და ადმინისტრაციულ ჯარიმებს) და აღნიშნულ სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით მთავრობისთვის და საკანონმდებლო ორგანოსთვის რეკომენდაციების გადაცემა. ისევე როგორც ავსტრიაში, ბელგიაშიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ *სერვერები განთავსებული იყოს ბელგიის ტერიტორიაზე*.

**დანიაში** აზარტული თამაშობები რეგულირდება *„აზარტული თამაშობების შესახებ კანონით"* (Danish Gambling Act). სფეროს მარეგულირებელია *„დანიის აზარტული თამაშობების სააგენტო"* (Danish Gambling Authority), რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფო სააგენტოა. სააგენტოს ძირითადი უფლებამოვალეობები მოიცავს ნებართვების გაცემას სათამაშო ბიზნესის ოპერატორებზე (მათ შორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით) და ორგანიზატორების მხრიდან სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს. აღნიშნულ სააგენტოს მოვალეობაში შედის სათამაშო ბიზნესის კანონმდებლობის აღსრულებაზე ზედამხედველობა.

**ლიეტუვაში** ონლაინ აზარტული თამაშობები რეგულირდება *„აზარტული თამაშობების შესახებ"* (Gambling Law of the Republic of Lithuania) კანონით და *„ლატარიების შესახებ"* კანონით. სფეროს ზედამხედველობს *„თამაშობების კონტროლის სააგენტო"* (Gaming Control Authority), რომელიც ლიეტუვის ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ორგანოა. სააგენტო ახორციელებს ნებართვების გაცემასა და ზედამხედველობას ყველა სახის სათამაშო საქმიანობაზე (მათ შორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით) და ეროვნული ლატარიის გამართვაზე.

**პორტუგალიის** ახალი *„კანონი No. 66/2015 აზარტული ონლაინ თამაშობების და ფსონების შესახებ"* (Online Gambling and Betting Decree-Law 66/2015) ძალაში შევიდა 2015 წელს. კანონის თანახმად, სათამაშო ბიზნესის ოპერატორებზე ნებართვის გამცემი და სანებართვო პირობების შესრულებაზე ზედამხედველი ორგანოა პორტუგალიის ეკონომიკის სამინისტროს

*„ტურიზმის ეროვნული სააგენტოში“* (Turismo de Portugal, I.P.) შემავალი შემავალი *„აზარტული თამაშობების კომისია“* (Comissão de Jogos) და *„აზარტული თამაშობების რეგულირებისა და ინსპექტირების სამსახური“* (Serviço de Regulação e Inspeção de Jogos). ამ კანონის თანახმად, პორტუგალიაში სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობების ნებართვა გაიცემა კომპანიებზე, რომელთა მართვის ფორმაც არის შპს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) და დაფუძნებულია ევროკავშირში (European Union - EU) ან ევროპის ეკონომიკურ სივრცეში (European Economic Area - EEA). იმ შემთხვევაში თუ კომპანია EU/EEA სივრცეში არაა დაფუძნებული და არარეზიდენტი კომპანიაა, მაშინ ფილიალი მაინც უნდა ჰქონდეს პორტუგალიაში.

**საფრანგეთში** სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული თამაშობები რეგულირდება კანონით *„აზარტული თამაშობების სექტორის მართვის შესახებ no. 2010-476“* კანონით (LOI n° 2010-476 du 12 mai 2010 relative à l'ouverture à la concurrence et à la régulation du secteur des jeux d'argent et de hasard en ligne). სფეროს მართავს *„საფრანგეთის ონლაინ აზარტული თამაშობების მარეგულირებელი ორგანო“* (French Regulatory Authority for Online Gambling - *Autorité de régulation des jeux en ligne* - *ARJEL*). *ARJEL-ი დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც ახორციელებს ონლაინ თამაშობების ლიცენზირებას და მათზე კონტროლს. საფრანგეთში აზარტული თამაშობები აკრძალულია 18 წლამდე ასაკის პირთათვის.*

**ჩეხეთში** აზარტული თამაშობები რეგულირდება *აზარტული თამაშობების შესახებ კანონით* (Act No. 186/2016 Coll on Gambling). *ფინანსთა სამინისტრო,* როგორც სფეროს მარეგულირებელი ორგანო, გასცემს ნებართვებს და ზედამხედველობს ამ სანებართვო პირობების შესრულებას ონლაინ აზარტული თამაშობების ოპერატორების მხრიდან.

**ფინეთში** ეროვნული პოლიციის საბჭოს აზარტული თამაშების ადმინისტრაცია ზედამხედველობას უწევს სათამაშო ბიზნესს. პოლიციის ეროვნული საბჭო არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ სექტორში შემავალი ორგანო. როგორც დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო, ის პასუხისმგებელია ეროვნულ დონეზე ლატარიების ზედამხედველობაზე და სტატისტიკის შედგენაზე. საზედამხედველო უფლებამოვალეობის განხორციელებისას აზარტული თამაშების ადმინისტრაცია თანამშრომლობს პოლიციასთან და საეჭვო საქმეებზე მიმართოს მას სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების მოთხოვნით.

**დასკვნა**

ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების მიხედვით ონლაინ აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზება შესაძლებელია მკაცრი სტანდარტებით, შესაბამისი ნებართვის საფუძველზე. სათამაშო ბიზნესის ორგანიზატორების მხრიდან სანებართვო პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა მოითხოვს მკაცრად გაწერილი სანებართვო პირობების არსებობას და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესება კი უზრუნველყოფს სანებართვო კონტროლის სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებას. ზემოდხსენებული კვლევები და სტატისტიკური ინფორმაცია, შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები საშუალებას მოგვცემს ჩამოვაყალიბოთ სათამაშო ბიზნესის პოლიტიკის მოდერნიზაციის ახლებური ხედვა; გამოვავლინოთ ხარვეზები ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო თუ მარეგულირებელ გადაწყვეტილებებში, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან და მოთხოვნებთან, რომელიც საქართველოს განსახორციელებელ ამოცანათა შორის აქვს შესასრულებელი. ყოველივე აღნიშნული კი

მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მოქნილი, ეფექტიანი და ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Austria Gambling - https://iclg.com/practice-areas/gambling-laws-and-regulations/austria;
2. The Belgium Gaming Commission - https://www.gamingcommission.be/en;
3. European Commission work in the field of online gambling services - https://single-market-economy.ec.europa.eu/sectors/online-gambling/commission-work-field-online-gambling-services_en;
4. Ministry of Finance of the Czech Republic – Dept. 34 - State Oversight Over Gambling Department - http://www.mfcr.cz/en/about-ministry/organisation-chart/section-03-state-assets/dept-34-state-supervision-of-gambling-a;
5. Czech Republic - Act on Gambling - https://www.mfcr.cz/assets/cs/media/Zak_2016-186_anglicka-verze-zakona-o-hazardnich-hrach-ACT-No-186-2016-on-gambling.pdf;
6. Danish Gambling Act - https://www.spillemyndigheden.dk/uploads/2019-01/Act%20on%20Gambling.pdf;
7. Gaming Control Authority under the Ministry of Finance of the Republic of Lithuania - https://lpt.lrv.lt/en/;
8. French Law n° 2010-476 of May 12, 2010 relating to the opening up to competition and the regulation of the online gambling sector - https://www.legifrance.gouv.fr/loda/id/JORFTEXT000022204510/;
9. Portugal Gambling Regulatory and Inspection Authority (SRIJ) - https://www.srij.turismodeportugal.pt/en/online-gambling/regulated-gambling-and-betting/;
10. Decree-Law 66/2015, April 29, on the terms and conditions for the operation and practice of online games of chance and betting in Portugal https://www.srij.turismodeportugal.pt/fotos/editor2/legislacao/dl_66_2015-rjo.pdf;
11. Gambling Administration at the National Police Board of Finland - https://poliisi.fi/en/gambling-administration-the-national-police-board;
12. “Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the Economic and Social Committee and the Committee of the Regions: Towards a comprehensive European framework for online gambling” - https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52012DC0596.

**State supervision of online games in EU countries**

**Lasha Pitnava**
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

The development of regulatory legal framework determines the main basis for the effective implementation of state management in the country. Accordingly, it is important to investigate the existing regulatory legal framework and to plan and implement relevant measures based on foreign experience. The article will discuss the international experience of gambling business regulation, based on studies conducted on the example of European countries. In order to improve the flexibility, efficiency and effectiveness of the state regulation of the gambling business system, it is important to analyze the international practice, discover successful practical mechanisms, and apply them into practice.

**Keywords:** European Union, Supervision, Online, Casino, Gambling Machine, Totalizer (Betting Organizer),

# სახელმწიფო მართვის პრინციპები და დემოკრატიული ღირებულებები

**გიორგი ბაღათურია,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**მარიამ კუჭავა,**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია სახელმწიფო მართვისა და დემოკრატიულ ღირებულებების მნიშვნელოვანი ფაქტორები. განხილულია სახელმწიფო მართვის სახეობები და მათი დემოკრატიულ ღირებულებებთან მიმართება. ნაჩვენებია, რომ ერთი მხრივ ქვეყანაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს თავისუფლება, კანონის უზენაესობა, ადამიანის ღირსებისა და უფლებების (მ. შ. უმცირესობების) პატივისცემა, თანასწორობა და სხვ. ამავე დროს ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული კრიტერიუმები (ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“), აუცილებელია სტაბილური სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობა, საბაზრო ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, კონკურენტუნარიანი საჯარო მმართველობა. მეორე მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფო წარმოუდგენლია ეფექტიანი და ძლიერი სახელმწიფო მმართველობის გარეშე. გააანალიზებული კონფუცის, პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებათა სისტემა.კონფუცის მიხედვით სახელმწიფო მართვა ზნეობრივ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს, სახელმწიფოს სათავეში კი „კეთილშობილი კაცები“ უნდა იყვნენ. პლატონის მოსაზრებით სამართლებრივი სახელმწიფო შეიძლება აშენდეს მეცნიერების დახმარებით ელიტის ზნეობრივი სიწმინდით, რამდენადაც საზოგადოების მართვის ძირითადი იარაღია არა ხელისუფლება, არამედ ავტორიტეტი. ქვეშევრდომები მაგალითს იღებენ მმართველებისგან და იქცევიან მათ მსგავსად. არისტოტელეს მიერ კი დასაბუთებულია, რომ მართვა უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი სარგებლიანობის პრინციპის შესაბამისად. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა სუვერენიტეტის შესახებ. ნაჩვენებია, რომ მართალია სახელმწიფოს სუვერენიტეტს გარკვეულწილად განსაზღვრავს მისი დამოუკიდებლობა. თუმცა დამოუკიდებლობა არ არის აბსოლუტური ცნება და არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდეს მოქმედების მთლიანი და განუსაზღვრელი უფლება. საბოლოოდ გამოტანილია დასკვნა, რომ საქართველოს მომავალი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული ღირებულებების განუხრელი დაცვით,

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო მართვა, დემოკრატიული ღირებულებები, ეფექტიანი მართვა, კონფუცი, პლატონი, არისტოტელე, ბოდინი. ზნეობრივი პრინციპები, სარგებლიანობის პრინციპი, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, კოპენჰაგენის კრიტერიუმები.

## შესავალი

სახელმწიფო მართვა არის სახელმწიფოს მიზანმიმართული ქმედება ქვეყნის წარმატებული განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის მიზნით. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მართვის აუცილებლობა, მნიშვნელობა და საჭიროება მისი სოციალური ფუნქციიდან გამომდინარეობს და მიმართულია იმ პროცესების მოწესრიგებისაკენ, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების სხვადასხვა მოთხოვნილებებს და საჭიროებებს.

ნაშრომის მიზანია თანამედროვე სახელმწიფო მმართველობის სახეების განხილვა და მათი დემოკრატიულ ღირებულებებთან ურთიერთმიმართების საკითხების გააანალიზება. დემოკრატიული ქვეყნებისთვის აუცილებელი ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა: თავისუფლება, კანონის უზენაესობა, ადამიანის ღირსებისა და უფლებების (მ. შ. უმცირესობების) პატივისცემა, თანასწორობა და სხვ. ამავე დროს ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს სამი კრიტერიუმი - პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული (ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმები"). ანუ მოითხოვება სტაბილური ინსტიტუტების არსებობა, საბაზრო ეკონომიკასა და კონკურენციის გამკლავების უნარი. მეორე მხრივ დემოკრატიული სახელმწიფო წარმოუდგენელია ეფექტიანი და ძლიერი სახელმწიფო მართველობის გარეშე. ამრიგად, აუცილებელია იმ ოქროს შუალედის განხორციელება, რომელიც განაპირობებს დემოკრატიულ და ძლიერ სახელმწიფო მმართველობას.

**თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის პრინციპები**

მართვის პრობლემები ყურადღებას იპყრობდა ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე და მათ წამყვანი ადგილი ეკავა კონფუცის, პლატონის, არისტოტელეს შეხედულებათა სისტემაში. ასე მაგალითად, კონფუცი ესწრაფვოდა მართვის ზნეობრივ პრინციპებზე დაფუძნებული იდეალური მოდელის აგებას. მისი აზრით, სახელმწიფოს სათავეში უნდა იდგნენ ბრძენი ადამიანები „კეთილშობილი კაცები," რამდენადაც მათი ძირითადი ამოცანაა თავიანთი მოქალაქეების აღზრდა საკუთარი მაგალითით, ადამიანთა ურთიერთობებში მშვიდობისა და კეთილმოსურნეობის შენარჩუნება. ანტიკური ხანის ფილოსოფოსმა პლატონმა თავის წიგნში „სახელმწიფო" დაასაბუთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამართლებრივი სახელმწიფო შეიძლება აშენდეს მეცნიერების დახმარებით, რომელიც იწყება სოციალური პრობლემების კრიტიკული ანალიზით და მთავრდება საზოგადოების სრულყოფის რეკომენდაციებით. პლატონი ელიტისგან მოითხოვდა ზნეობრივ სიწმინდეს. საზოგადოების მართვის ძირითადი იარაღია არა ხელისუფლება, არამედ ავტორიტეტი. ქვეშევრდომები მაგალითს იღებენ მმართველებისგან და იქცევიან მათ მსგავსად.

თანამედროვე სახელმწიფოზე საუბრისას მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ როგორ და რა პრინციპებზე დაყრდნობით იმართება იგი. პირველ რიგში აუცილებელია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ „სახელმწიფოსა" და „ხელისუფლების" ცნებები. პირველი მათგანი წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს სუვერენიტეტი კონკრეტულ ტერიტორიასა და მასში მცხოვრებ ხალხზე, მაშინ, როდესაც ხელისუფლება არის ინსტიტუცია, რომელიც ქმნის და აღასრულებს კანონებს სახელმწიფოს შიგნით, ახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას და აკონტროლებს სახელმწიფოში კანონებისა და ადამიანის უფლებების განუხრელ დაცვას. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში უფრო ეფექტური, დემოკრატიული და გონივრული მმართველობის უზრუნველსაყოფად, ხელისუფლებაში პოლიტიკური ძალაუფლება გადანაწილებულია 3 შტოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გამოვლინებას წარმოადგენს (თანამედროვე დემოკრაია აღიარებს აგრთვე „მეოთხე ხელიუფლებას" - მედიას).

ამგვარი დაყოფა და ხელისუფლების შტოების ურთიერთკონტროლი მიზნად ისახავს სახელმწიფო ძალაუფლების ბალანსის მიღწევას, ამასთან, უზრუნველყოფს კონტროლის ადეკვატურ მექანიზმებს და აღკვეთს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში

ხელისუფლების ფორმირება არჩევნების გზით ხდება, რაც სახალხო სუვერენიტეტის - ხალხის ძალაუფლების - ერთგვარი ტრანსფორმაცია და გადაცემაა სასურველი პოლიტიკური ძალისათვის.

სახელმწიფოს მართვა არის სახელმწიფოს მიზანმიმართული ზემოქმედება საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებზე, ადამიანთა საქმიანობასა და ურთიერთობებზე. ის წარმოადგენს სოციალური მართვის სახესხვაობას, განსაკუთრებულ სოციალურ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ. იმისდა მიხედვით თუ რამდენად სწორი მმართველობის სისტემა არის სახელმწიფოში, იმდენად ძლიერია სახელმწიფო ხელისუფლება. სწორად შერჩეული სახელმწიფო მართვის სტილი, რომელიც მიესადაგება ქვეყნისა და საზოგადოების ეროვნულ ინტერესებს, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ განვითარებას, ყოველთვის დადებით შედეგს იძლევა. თუ სახელმწიფო აირჩევს მართვის იმ მეთოდს, რომელიც მისთვის მისაღებია, მაშინ სახელმწიფო, რა თქმა უნდა, საბოლოოდ საუკეთესო შედეგს მიიღებს.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განსაზღვრაში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ცნებას, როგორიცაა სუვერენიტეტი. ჟან ბოდინის თანახმად [4] სუვერენიტეტი დამოკიდებულია სახელმწიფოს იმ უმაღლეს ძალაზე, ობიექტზე და მოქალაქეებზე, რომლებიც არ არიან შეზღუდულნი რაიმე კანონით. აქ ბოდინი გულისხმობს კანონიერ მოქმედებას, რომელიც აძლიერებს ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტს სახელმწიფოში. სახელმწიფოს სუვერენიტეს გარკვეულწილად განსაზღვრავს მისი დამოუკიდებლობა. თუმცა დამოუკიდებლობა არის იმის მაჩვენებელი, თუ რამდენად თავისუფალია ეს თუ ისსახელმწიფო სხვა სახელმწიფოსაგან და მისი ავტორიტეტისაგან. ,,დამოუკიდებლობა“ არ არის აბსოლუტური ცნება და არც არსებობს სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდეს მოქმედების მთლიანი და განუსაზღვრელი უფლება. თუნდაც ის ფაქტი, რომსახელმწიფო არის ინტერნაციონალური გაერთიანების წევრი, ნიშნავს, რომ ის უნდაემორჩილებოდეს საერთაშორისო კანონებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ზღუდავენ ამ სახელმწიფოს მოქმედებას და თავისუფლებას. მთავრობა არ უნდა იყოს სხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ. მოსახლეობის არაერთგვაროვნება ტერიტორიაზე, რომელზედაც ვრცელდება მთავრობის იურისდიქცია, აძნელებს მუდმივი და ეფექტური კონტროლის შესაძლებლობას მთავრობის მხრიდან.

სახელმწიფოს მართვის დემოკრატიული ფორმების განხილვისას ძირითადი მამოძრავებელი საკვლევი მიმართულება სამართლიან სახელმწიფოზე გადის. პლატონი საუკეთესოდ და სამართლიანად მიიჩნევდა მხოლოდ იდეალურ სახელმწიფოს. არისტოტელესთან ვითარება სრულიად სხვაგვარია: როდესაც ერთი ადამიანი ან რამდენიმე, ან უმრავლესობა მართავს საზოგადოებრივი სარგებლიანობის პრინციპის შესაბამისად, ბუნებრივია სახელმწიფო მოწყობის ასეთი ფორმები სწორი ფორმებია, ხოლო ისინი, რომლებიც ერთი ადამიანის, რამდენიმეს ან თუნდაც, უმრავლესობის გამორჩენაზე არიან ორიენტირებულნი, ასეთი სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმები სწორიდან გადახრებს წარმოადგენს.

სარგებლიანობის კრიტერიუმის მიხედვით საინტერესო ხდება არისტოტელეს მიერ დემოკრატიის, როგორც არასწორი ფორმის შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ მას მიზნად აქვს სარგებლიანობა მოუტანოს უქონლებს, მაგრამ რეალური სარგებელი არც საკუთარი თავისთვის მოაქვს და არც სხვისთვის. არისტოტელეს ეს სიტყვები არ უნდა გავიგოთ დემოკრატიის მიმართ მის მიერ

საბოლოოდ გამოტანილ ვერდიქტად. არისტოტელე დემოკრატიის მიმართ გაცილებით უფრო ტოლერანტი იყო, ვიდრე პლატონი. როდესაც კითხვა დგება იმის შესახებ თუ აღწერილთაგან მმართველობის რომელ ფორმას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა, წარმატებულად მიჩნეული ფორმებიდან, არისტოტელე ფორმას და მოწყობის წესის საფუძველზე კი არ პასუხობს, არამედ სათნოების ფენომენზე მითითებით: „სახელმწიფო მოწყობის სამი ფორმიდან, რომელთაც ჩვენ სწორ ფორმებად მივიჩნევთ, რათქმაუნდა საუკეთესო ის არის, რომელშიც მართვის ბერკეტები საუკეთესოთა ხელშია“. ამას კი მაშინ ექნება ადგილი, როდესაც რომელიმე ერთი ან მთელი გვარი ან თუნდაც ადამიანთა მთელი მასა იქნება სათნოებით გამორჩეული და როდესაც ამასთანავე ერთს შეეძლება უბრძანოს, ხოლო სხვებს კი, დაემორჩილონ ყველაზე უფრო სასურველი ცხოვრების წესის შესანარჩუნებლად.
არისტოტელეს უკვე ამ დახასიათებაში, რომელიც სახალხო მმართველობის თითქმის არისტოკრატიად ინტერპრეტაციას გვთავაზობს, ჩანს არისტოტელეს სახელმწიფოების ფორმების შესახებ მოძღვრების სპეციფიკა. კერძოდ რეალური, ან ისტორიიდან ცნობილი რომელიმე სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმები გაცილებით უფრო რთული და მრავალფეროვანია, ვიდრე ეს იგულისხმება თითოეულის დეფინიციაში.

**დასკვნა**

ამრიგად, ისეთი სახელმწიფო მმართველობა, რომლიც ერთი მხრივ დაეფუძნება დემოკრატიული ღირებულებებს, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფს ეფექტიან და ქვეყნის საკეთილდღეოდ მიმართული გადაწყვეტილებების მიღებას და მათ შემდგომ იმპლემენტაციას, საკმაოდ რთული ამოცანაა საქართველოს მსგავსი მცირე და ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებისთვის, რომლების კვლავაც გარდმავალი ეკონომიკის პირობებში იმყოფებიან და სხვადასხვა მტრული ძალების უშუალო ზემოქმედების საფრთხის ქვეშ არიან. მიუხედვად ამისა, ჩვენს ქვეყანას სხვა არჩევანი ვერ ექნება თვინიერ დემოკრატული განვითარებისა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

პლატონი. სახელმწიფო
არისტოტეტელე. პოლიტიკა
გ.ბაღათურია, ო.ბაღათურია. სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში. 2015
Jean Bodin and the Sixteenth-century Revolution in the Methodology of Law and History. Columbia University Press. 1963.

## State management principles and democratic values

**Giorgi Baghaturia,**
Professor, Georgian Technical University
**Mariam Kuchava,**
Deputy Minister of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia,
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

The thesis refers to the important factors of state management and democratic values. Types of state management and their relation to democratic values are discussed. It is shown that, on the one hand, freedom, the rule of law, respect for human dignity and rights (including minorities), equality, etc. should be ensured in the country. At the same time, the country must meet political, economic, and administrative criteria (the so-called "Copenhagen criteria"). It is necessary to have stable state institutions, a smooth functioning of the market economy, and a competitive public administration. On the other hand, a democratic state is unthinkable without effective and strong state governance. The systems of views of Confucius, Plato and Aristotle were analyzed. According to Confucius, state management should be based on moral principles, and "noble men" should be at the head of the state. According to Plato, the legal state can be built with the help of science and the moral purity of the elite, as long as the main tool for managing society is not government but authority. The subordinates take an example from the rulers and behave like them. It is justified by Aristotle that management should be carried out in accordance with the principle of public utility. The work also focuses on the independence of the state and sovereignty. It is shown that although the sovereignty of the state is determined to some extent by its independence, independence is not an absolute concept, and no state has a total and indefinite right to act. Finally, the conclusion is drawn that the future development of Georgia is possible only with the unwavering protection of democratic values.

**Keywords:** State Management, Democratic Values, Effective Management, Confucius, Plato, Aristotle, Bodin, Moral Principles, The Utility Principle, Independence and Sovereignty, the Copenhagen criteria

# საქართველოს ევროინტეგრაციის აქტუალური პრობლემები

**შალვა კუჭაშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი,
პროგრამა „საჯარო მმართველობა“

## აბსტრაქტი

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მიმდინარეობს აქტიური დისკუსია ქვეყნის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით, მიუხედავად მუდმივი პოლიტიკური არასტაბილურობისა, ძირითადი პარტიები ყოველთვის თანხმდებოდნენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ გზაზე და ამ გზად ევროინტეგრაციას განიხილავდნენ. ევროინტეგრაცია მხოლოდ ევროკავშირში გაწევრიანებას არ ნიშნავს, ის მრავალმხრივი პროცესია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს. ალბათ ტყუილი არაა, როცა ამბობენ, რომ ევროპა არის საქართველოს ისტორიული არჩევანი, ამას ნათლად ადასტურებს უამრავი მონაკვეთი საქართველოს ისტორიიდან: ალბათ მაშინ, როცა რომსა და ირანს შორის, არჩევანს რომზე ვაკეთებდით და მაშინ , როცა ბიზანტიის მოკავშირედ ვითვლებოდით და მაშინაც, როცა დავით აღმაშენებლის მხარდამხარ დიდგორის ისტორიულ გამარჯვებაში 100 ერთეული ჯვაროსანი მონაწილეობდა. ალბათ ყველა ამ დროს, ყველა ეპოქაში, საქართველოს გამორჩეული მმართველები ქვეყნის განვითარების კურსზე ფიქრობდნენ. წარსულში ეს სხვაგვარად გამოიხატებოდა, ხოლო დღეს, თანამდეროვე მსოფლიოს პირობებში ყველაფერი სხვაგვარადაა.

ევროკავშირი ორგანიზაციაა, რომელი თაფუძნებელია ადამიანის უფლებების დაცვაზე, ბიზნესის თავისუფლებაზე, დემოკრატიასა და მმართველობის გამჭირვალობაზე.

ჩვენ, როგორც ევროინტეგრაციის მსურველი ქვეყანა მოვალენი ვართ მთელი რიგი კრიტერიუმები დავაკმაყოფილოთ, რათა მივაღწიოთ საწადელს - გავხდთ ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი.

**ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობის უახლოესი ისტორია მეტად საინტერესოა:** მაგალითად, 1999 წლის 27 აპირლს საქართველო ევროპის საბჭოს რიგით 41-ე წევრი გახდა, შემდეგ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკუთმა პროცებმა მეტად შეაფერხა ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაცია, 2003 წელს მომხდარმა „ვარდების რევოლუციამ“ ქვეყანა უცხო თვალიდან გამოაჩინა, როგორც არასტაბილური ადგილი, სადაც ხელისუფლება შესაძლოა დემოკრატიული არჩევნების გარეშე შეიცვალოს. რევოლუციით მოსულმა ხელისუფლებამ მალევე გადაუხვია დემოკრატიის ძირითად პრინციპებს და შესაბამისად, ევროსტანდარტებს, ამას ადასტურებს ათეულებით საქართველოს მოქალაქის მოგებელი დავა საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც სწორედ „ვარდების ხელისუფლების“ მმართველობის პერიოდს უკავშირდება. თვალშისაცემია ის ფაქტიც, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი და სხვა თანამდებობის პირები ღია გამოსვლებში არ მალავდნენ სიმპატიას ევროინტეგრაციის პროცესისადმი, თუმცა მათი საშინაო პოლიტიკა მთლიანად აცდენილი იყო ევროკავშირის მოთხოვნებთან.

მალევე ვითარება კარდინალურად იცვლება, 2012 წელის ოქტომბერში ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა, საქართველოში მმართველობა შეცვალა და ქვეყანა კოალიციური მმართველობის პირობებში გადავიდა. ეს იყო ხელისუფლების პირველი პოლიტიკური ცვლილება, არჩევნების გზით, რომელიც საერთაშორისო დამკვივებლებმა შეაფასეს, როგორც დემოკრატიული და სამართლიანი. ახალმა მმართველობამ, ქვეყნის საგარეეო კურსი უცვლელი

დატოვა და დაიწყო პოლიტიკური პროცესის დემოკრატიზაცია, რაც მნიშვნელოვანი სიგნალი აღმოჩნდა ევროპისთვის. შედეგად, 2014 წელს საქართველო ევროკავშირის ასოცირებული წევრი გახდა, რითაც საქართველო იღებს ვალდებულებას შეასრულოს ხელშეკრულებაში მოყვანილი მთელი რიგი დათქმები, რომელიც 7კანონმდებლობის დახვეწას და გაევროპულებას ისახავს მიზნად. 2017 წლის 28 მარტიდან საქათველოს მოქალაქეები თავისუფლად, უვიზოდ მოგზაურობენ ევროკავშირის 22 ქვეყანაში,რაც ევროკავშირის მხრიდან გაწეული სამუშაოს დაფასებად შეგვიძლია განვიხილოთ. 2022 წლის 23 ივნისს საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის შეტანის შემდეგ, ევროპულმა საბჭომ საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიანიჭა, რამაც ქვეყანა კიდევ უფრო დაახლოვა ისტორიულ მიზანს - გახდეს ევროკავშირის წევრი. ის რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიიღო უკრაინამ და მოლდოვამ და საქართველო სტატუსის გარეშე დარჩა განპირობებულია გეოპოლიტიკური მოტივით, რაზეც ყურადღება საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა გაამახვილა. ევროპულმა კომისიამ, საქართველოს განსახორციელებელი 12 პუნქტი გამოუგზავნა, რამაც ქართულ პოლიტიკურ სპექტრს მანიპულაციების საშუალება მისცა, რამაც ევროინტეგრაციის პროცესი მეტად დააბრკოლა.

არსებობ ობიექტური ვარაუდი, რომ საქართველომ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი უკრაინასთან ურთიერთობების გაურესების გამო ვერ მიიღო, მოგეხსენებათ ამ ქვეყნის მაღალი თანამდებობის პოლიტიკური პირების მხრიდან ხშირად ისმოდა და დღემდე ისმის მოწოდებები ე.წ „ მეორე ფრონტთან“ დაკავშირებით, რაც მათი აზრით, უკრაინის მოსახლეობას ამოსუნთქვაში დაეხმარება და რუსეთის,როგორ ოკუპანტი სახელმწიფოს პოზიციებს მეტად შეაასუსტებდა, მიუხედავად ამისა, საქართველო უკრაინის მიმართ სოლიდარული საერთაშორისო რეზოლუციების მხარდამჭერი და თანაავტორია.

ევროკავშირის გადაწყვეტილებამ, საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მოლოდინების გაცრუება და ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ ნიჰილიზმის გაზრდა გამოიწვია, რაც მმეტად დასანანია. თუმცა,ხაზგასამელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ხელისუფლებამ 12 პუნქტის შესრულების პირობა დადო და პროცესის ხორცშესხმა დაიწყო.

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირი, საქართველო.

ქართული საზოგადოება მეტად კონსერვატიულია, რაც ზრდის რისკებს, რომ ის რთულად გაიგებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სექსოალური უმცირესობების უფლებების დაცვა და გენდერის საკითხი, თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ევროკავშირის ამჟამინდელი მოთხოვნები მსუბუქია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს მთავარ კანონში, კონსტიტუციაში ღიად წერია, რომ ქორწინება ეს არის ქალისა და მამკაცის შეთანხმებული აქტი.

ასევე გარკვეულ წრები დასავლეთს კოლონიალისტურ მიდგომებშიც ადანაშაულებენ და ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვაზე მიუთითებენ. ცვალებად სამყაროში შეუძლებელია გაჭრით უკუაგდოთ ამ ვერიის დასაშვებობა.

## დასკვნა

ამრიგად, შეგვიძლია ცალსახად ვთქვათ, რომ საქართველოს მოქალაქეების ინტერესი ქვეყნის განვითარება და ამ განვითარების ხელშესახებლობაა, ამ მიზნის მიღწევა კი შეუძლებელია არსებულ გეპოლიტიკურ გარემოში და მეტად რთულ რეგონში ურთიერთანამშრომლობის გარეშე. შეუძლებელია ზურგი ვაქციოთ ისტორიულ მიზანს, თუმცა

შესაძლებელია მოვითხოვოთ ჩვენი ინტერესებისა და ღირებულებების დაცვა. შეუძლებელია მეზობლის გამოცვლა, თუმცა შესაძლებელია მივიღოთ უსაფრთხოების გარანტიები. შეუძლებელია არ ვიყოთ სოლიდარულები დაჩაგრულის მიმართ, თუმცა შესაძლებელია ვიყოთ რაციონალურები!

**გამოყენებული ლიტერატურა**

1.ჯ. ვათიაშვილი - საქართველო და ევროპის ქვეყნები;
2.ე.ჯორბენაძე - ვუახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში;
3.განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი - საქართველო და ევროკავშირი განვითარებისა და რეფორმების კვალდაკვალ;

## Actual problems of Georgia’s European integration

**Shalva Kutchashvili,**
Georgian Technical University, 2nd year
Student, Program "Public Administration"

### Abstract

Since the declaration of independence in Georgia, there has been an active discussion regarding the European integration of the country, despite the constant political instability, the main parties have always agreed on the foreign policy path of the country and discussed the European integration along this path. European integration does not mean only joining the European Union; it is a multifaceted process and includes all aspects of social and political life. It is true when they say that Europe is the historical choice of Georgia, this was confirmed by numerous passages from the history of Georgia: probably when we were choosing between Rome and Iran, and when we were considered an ally of Byzantium, when together with Davit Agmashenebeli 100 crusaders participated in the historic victory of Didgori. In all eras, distinguished rulers of Georgia thought about the development course of the country. In the past, it was expressed differently, and today, in the conditions of the modern world, everything is different.

The European Union is an organization based on the protection of human rights, freedom of business, democracy and good governance.

As a country seeking European integration, we are obliged to meet a number of criteria in order to achieve the goal of becoming a full member of the European Union.

The recent history of relations with European structures is very interesting: for example, on April 27, 1999, Georgia became the 41st member of the Council of Europe, later the political processes taking place in the country greatly hindered Georgia's integration into European structures. The "Rose Revolution" in 2003 exposed the country to foreign eyes as an unstable place where the government may change without democratic elections. The government that came with the revolution soon deviated from the basic principles of democracy and, accordingly, from the European standards, this is confirmed by the winning dispute of dozens of Georgian citizens against Georgia, which is related to the period of the "Rose Government". President Saakashvili and other officials in their open speeches did not hide their sympathy for the European integration process, although their domestic policy was completely out of touch with the requirements of the European Union.

Soon the situation changes dramatically, the parliamentary elections held in October 2012 changed the governance in Georgia and the country moved to coalition government. It was the first political change of government through elections, which international observers assessed as democratic and fair. The new government left the foreign course of the country unchanged and began to democratize the political process, which turned out to be an important signal for Europe. As a result, in 2014, Georgia became an associate member of the European Union, whereby Georgia undertakes to fulfill a number of reservations included in the agreement, which aims to improve the legislation and Europeanize it. Since March 28, 2017, the citizens of Georgia travel freely, without a visa, to 22 countries of the European Union, which we can consider as an appreciation of the work done by the European Union. Following Georgia's application to join the European Union on June 23, 2022, the European Council granted Georgia a European perspective, bringing the country even closer to its historic goal of becoming a member of the European Union. The fact that Ukraine and Moldova received the status of EU candidate, and Georgia remained without the status, is due to geopolitical motives, which the President of France Emmanuel Macron drew attention to. The European Commission sent 12 points to be implemented by Georgia, which allowed the Georgian political spectrum to manipulate, that hindered the European integration process.

There is an objective assumption that Georgia did not receive the status of a candidate country of the European Union due to the deterioration of relations with Ukraine. It is not a secret, that high-ranking politicians of this country often call for regarding the so-called "second front", which, in their opinion, will help the population of Ukraine to breathe and will greatly weaken the positions of Russia as an occupying

state. Nevertheless, Georgia is a supporter and co-author of international resolutions in solidarity with Ukraine.

The decision of the European Union disappointed the expectations of certain groups of society and led to increased nihilism towards the European integration process, which is very regrettable. However, the fact that the government of Georgia promised to fulfill the 12 points and started implementing the process should be emphasized.

**Keywords:** European Union, Georgia.

Georgian society is very conservative, which increases the risks that it will have a hard time understanding such issues as the protection of the rights of sexual minorities and the gender issue, although it must be said that the current requirements of the European Union in this regard are light. It should also be noted that the main law of Georgia, the constitution, clearly states that marriage is an act of agreement between a man and a woman.

Certain people also accuse the West of colonialist approaches and point to the protection of the country's sovereignty. In a changing world, it is impossible to reverse the admissibility of this version.

**Conclusion**

Thus, we can unequivocally say that the interest of Georgian citizens is the development of the country and the tangibility of this development, and it is impossible to achieve this goal without cooperation in the current geopolitical environment and in a very difficult region. It is impossible to turn our backs on the historical goal, but it is possible to demand the protection of our interests and values. It is not possible to replace the neighbor, but it is possible to get security guarantees. It is impossible not to be in solidarity with the oppressed, but it is possible to be rational!

# სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების საჯარო მმართველობაში გამოყენების რამდენიმე ასპექტი

**ნინო ლომსაძე,**
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ანალიტიკური სამსახურის კონსულტანტი,
საჯარო მმართველობის დოქტორი

**აბსტრაქტი**

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენება საჯარო მმართველობაში არის მართვის პროცესის ერთ-ერთი ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ორგანიზაციის მიზნების არჩევა და მათი მიღწევის გზების დამუშავება. სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანები მიზნად ისახავს ორგანიზაციის რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, რომელიც მიმართულია ორგანიზაციული მიზნების წარმატების მიღწევისათვის, ორგანიზაციის მმართველობითი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის შიდა პოტენციალზე, გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე და კონკურენტული უპირატესობის შექმნაზე.

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენება საჯარო მმართველობაში ორგანიზაციის ხელმძღვანელობას აძლევს შესაძლებლობას უშეცდომოდ განსაზღვროს ორგანიზაციის მომავალი განვითარების გზები. სტრატეგიული მენეჯმენტი უნდა მოიცავდეს მართვის თითოეულ რგოლს, მის შექმნაში უნდა მონაწილეობდეს ორგანიზაციის ყველა დონის მენეჯერი და თითოეული თანამშრომლისთვის უნდა იყოს გასაგები.

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენება საჯარო მმართველობაში მაშინ არის ეფექტიანად მოქმედი თუ იგი შეიცავს ნათელ მიზნებს, რომელთა მიღწევა გადამწყვეტია ორგანიზაციის საბოლოო წარმატებისათვის. სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენების ასპექტები ხელს უწყობს ორგანიზაციის ინიციატივას, ახდენდეს მთავარი ძალისხმევის კონცენტრირებას საჭირო დროს და საჭირო ადგილას, ითვალისწინებდეს მოქმედების ისეთ მოქნილობას, რითაც რესურსების მინიმალური ოდენობით შესაძლებელი იყოს მაქსიმალური შედეგების მიღწევა და ახორციელებს ორგანიზაციის შემადგენელი რგოლების კოორდინირებულ მოქმედებას.

საჯარო მმართველობა, როგორც სახელმწიფოს საქმიანობა, მისთვის აუცილებელია მმართველობის ორიენტაცია ისეთ ღირებულებათა სისტემაზე, იდეებზე, მიდგომებზე, მოსაზრებებზე, მსოფლმხედველობაზე, რომელიც განსაზღვრავს თუ რამდენად შეესაბამება მმართველობის კონკრეტული სტილი იმ პრინციპებს, რომელიც დადგენილია მოქმედ დროსა და სივრცეში. სწორედ, საჯარო მმართველობით საქმიანობაში სტრატეგიული ამოცანების გამოყენება/დაგეგმვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციის სასურველი პროექტირების და მისი მიღწევის ეფექტიანი გზების განსაზღვრაში.

**საკვანძო სიტყვები:** სტრატეგიული მენეჯმენტი, ამოცანები, დაგეგმვა, მისია, სტრატეგიული ხედვა

## შესავალი

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანები მიზნად ისახავს ორგანიზაციის რესურსის ეფექტიანად გამოყენებას, რომელიც მიმართულია ორგანიზაციული მიზნების წარმატების მიღწევისათვის. საჯარო მმართველობა, როგორც სახელმწიფოს საქმიანობა, აუცილებელია ორიენტაცია მმართველობის ისეთ ღირებულებათა სისტემაზე, იდეებზე, მიდგომებზე,

მოსაზრებებზე, მსოფლმხედველობაზე, რომელიც განსაზღვრავს თუ რამდენად შეესაბამება მმართველობის კონკრეტული სტილი იმ პრინციპებს, რომელიც დადგენილია მოქმედ დროსა და სივრცეში. სწორედ, საჯარო მმართველობით საქმიანობაში სტრატეგიული ამოცანების გამოყენება/დაგეგმვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციის სასურველი პროექტირების და მისი მიღწევის ეფექტიანი გზების განსაზღვრაში.

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენებით გამოიხატება მართვის პროცესის ეფექტიანობა, რაც ემყარება სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპებს, რაც, თავის მხრივ, ემყარება ოთხ ძირითად საფეხურს: მისიის (მიზნის) განსაზღვრას; გარემოს ანალიზის; ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს; ორგანიზაციის პერსონალის ფასეულობებს.

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენების ასპექტები ორგანიზაციის მართვაში ეყრდნობა ადამიანურ პოტენციალს, ორგანიზაციაში მოქნილ რეგულირებასა და დროულ ცვლილებებს, რაც შემდგომში ორგანიზაციას ეხმარება გადარჩენაში და საკუთარი მიზნების მიღწევაში გრძელვადიანი პერსპექტივით.

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენება ხელს უწყობს ორგანიზაციას მოახდინოს მთავარი ძალისხმევის კონცენტრირება საჭირო დროს და საჭირო ადგილას, რითაც რესურსების მინიმალური ოდენობით შესაძლებელი იყოს მაქსიმალური შედეგების მიღწევა. საჯარო მმართველობის საქმიანობა ვერ ჩაითვლება ეფექტურად, თუ სტრუქტურებში არ იქნა გამოყენებული სტატეგიული მენეჯმენტის ამოცანები.

საჯარო მმართველობის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებების ინსტიტუციური მოწყობის ერთიანი პრინციპების არსებობის მიზანი სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების დამკვიდრება და ეფექტიანი მმართველობის ხელშეწყობაა. სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენება საჯარო მმართველობაში უნდა გამომდინარეობდეს დაწესებულების მისიისა და მიზნებისაგან, რომელიც უზრუნველყოფს ამოცანათა და ფუნქციათა ბალანსს საჯარო დაწესებულებაში.

**სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანები საჯარო მართვის პროცესში**

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების განხორციელების პროცესი საჯარო მმართველობაში მოითხოვს ეტაპების თანმიმდევრულ ერთობლიობას, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობს ერთმანეთისაგან. კერძოდ; ორგანიზაციის დანიშნულების სტრატეგიული ხედვისა და მისიის ფორმირება; ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა; ორგანიზაციის ტაქტიკურ - ოპერატიული სტრატეგიის შემუშავება; ორგანიზაციის გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიის დანერგვა და რეალიზაცია; შედეგების შეფასება, ცვლილებების შეტანა/კორექტირება.

საჯარო მმართველობაში სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გაერთიანება შესაძლებელია რამდენიმე ძირითად რგოლში როგორიცაა, სტრატეგიის ფორმირება, სტრატეგის დანერგვა და სტრატეგიის შეფასება, რადგან ყველაზე წარმატებული სტრატეგიაც ხშირად წარუმატებელია თუ არ იქნება სათანადოდ შესრულებული და შეფასებული. სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანები აერთიანებს ორგანიზაციის ყველა ნაწილს ერთ მთლიანობაში და მოიცავს ორგანიზაციის ძირითად ასპექტს, რაც განსაზღვრავს ორგანიზაციის გრძელვადიან გეგმებს და ასევე ორგანიზაციის ძლიერ და სუსტ მხარეებს.

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენება საჯარო მართვაში წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიის განსაზღვრის პროცესს მისიის დადგენით, სტრატეგიული პოზიციების ანალიზით, შიდა და გარე ფაქტორებისა და იმ მოქმედებების კვლევით, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიონ კონკურენტული უპირატესობების მიღწევა და განვითარება.

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანები საჯარო მართვის  პროცესში ხორციელდება მართვის პრინციპების, მეთოდების, ფუნქციების და სტრუქტურის მეშვეობით ორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისათვის.

საჯარო მმართველობაში სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენების პროცესი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია  სტრატეგიული ალტერნატიული არჩევანის გაკეთებისას, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მართვის ობიექტის სპეციფიკა.

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენების ასპექტები ორგანიზაციის მართვაში  ეყრდნობა ადამიანურ პოტენციალს, ახორციელებს ორგანიზაციაში მოქნილ რეგულირებასა და დროულ ცვლილებებს, რაც შემდგომში ორგანიზაციას ეხმარება გადარჩენაში და საკუთარი მიზნების მიღწევაში გრძელვადიანი პერსპექტივით.

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენებით გამოიხატება სტრატეგიული მართვის პროცესის ეფექტიანობა. საჯარო მართვაში  სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანებიდან  შეიძლება გამოიყოს - შრომის დანაწილება; ძალაუფლება (ხელისუფლება) და პასუხისმგებლობა; დისციპლინა; მმართველობა (განკარგვის ერთობლიობა); ხელმძღვანელის ერთსულოვნება; პიროვნების ინტერესების დაქვემდებარება საზოგადოებრივ მოთხოვნებზე; პერსონალის წახალისება; მმართველობითი გადაწყვეტილებების ცენტრალიზაცია; იერარქია; წესრიგი; სამართლიანობა; პერსონალის შემადგენლობის სტაბილურობა; ინიციატივა; პერსონალის ერთობა.

საჯარო მმართველობაში მართვის პროცესი მრავალწახნაგოვანია და  მართვის პროცესში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და განსაზღვრული მართვის მიზნები, კრიტერიუმები, გაანალიზებული მოქმედი ფაქტორები, უკუკავშირი და ა.შ.  ყოველივე ეს კი გადანაწილებულია საჯარო მმართველობის სუბიექტის ფარგლებში დასაქმებულ ადამიანებზე.

აღსანიშნავია, რომ საჯარო მმართველობის კომპეტენციაში და შინაარსში მთავარი რგოლი სახელმწიფოს სამსახურისადმი ვალდებულებაა, რადგან საჯარო მართვა წარმოადგენს განსაკუთრებულ პოლიტიკურ პროცესს, ქვეყნის დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში, საჯარო სამსახური მოითხოვს დემოკრატიული ფასეულობების დაცვას.

მმართველობაში არსებობს ეფექტური და ნაკლებად ეფექტური სტრუქტურები. ორგანიზაციული სტრუქტურა ყველა სისტემის აუცილებელი ატრიბუტია, კერძოდ; საჯარო-პოლიტიკური მმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურა; ინფორმაციული მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა; ტექნოლოგიური მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა.

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების საჯარო მმართველობის  პროცესი მოიცავს - დაგეგმვა, ანალიზი, კოორდინაცია, მოტივაცია, გადაწყვეტილება, პროგნოზირება და კონტროლი.

დაგეგმვა ესაა საჯარო მმართველობის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. იგი გულისხმობს ტაქტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრას, მიზნებს, მიღწევებს. დაგეგმვის გარეშე მართვის პროცესი მოკლებულია კონკრეტულ მაჩვენებლებს და ორიენტირებას.

სტრატეგიული დაგეგმვა გულისხმობს - რესურსების სწორედ გადანაწილებას, შემდეგ-გარესამყაროსთან ადაპტირების უნარს, შემდეგ - შიდა კოორდინაციის უნარს, შემდეგ - სტრატეგიულ პროგნოზირებას. ანალიზი წარმოადგენს მართვის ფუნქციის აუცილებელ, მუდმივ მოქმედ მნიშვნელოვან რგოლს მართვაში. ანალიზი არის პროგნოზირების საფუძველი, რაც საჯარო მმართველობის შეუცვლელი, ორგანული ნაწილია და აუცილებელი ფუნქციაა.

გადაწყვეტილების მიღებას საჯარო მმართველობის ფუნქციათა შორის განსაკუთრებული ადგილი და როლი ეთმობა, გადაწყვეტილება არ უნდა იყოს დაუფიქრებლად

მიღებული. შეიძლება გამოვყოთ ოთხი ტიპის გადაწყვეტილება: ფუნდამენტური გადაწყვეტილებები; საკანონმდებლო აქტების სისტემათა გადაწყვეტილებები; ადმინისტრაციული ხასიათის გადაწყვეტილებები; იურიდიული ხასიათის გადაწყვეტილებები. შესაბამისად განისაზღვრება მართვის ფუნქციების - კოორდინაციის, მოტივაციის და კონტროლის - დანიშნულება და არსი.

**დასკვნა**

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენება საჯარო მმართველობის პროცესი მაშინ არის წარმატებული, როდესაც სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენებასთან ერთად, ასევე დემოკრატიული ფასეულობების, წარმატებული ლიდერების, მენეჯერების, ხელმძღვანელების ადამიანური მენეჯმენტის პრინციპები გამოიყენება.

საჯარო მმართველობის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებების ინსტიტუციური მოწყობის ერთიანი პრინციპების არსებობის მიზანი სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების დამკვიდრება და ეფექტიანი მმართველობის ხელშეწყობაა.
სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების გამოყენება საჯარო მმართველობაში წინასწარ უნდა იყოს ზუსტად განსაზღვრული - გადანაწილებული შესაბამისი ორგანოების მიხედვით და დაუშვებელია ფუნქციების დუბლირება ან პარალელურ რეჟიმში მოქმედება.

სტრატეგიული მენეჯმენტის ამოცანების ეფექტიანი გამოყენება მმართველობის პირობებში ახდენს ორგანიზაციის სისტემაზე უკუკავშირს, რაც აყალიბებს სხვადასხვა მოთხოვნებს და საბოლოოდ იწვევს ორგანიზაციის მიზნების მიღწევა.

**გამოყენებული ლიტერატურა**

ბაღათურია გ, ბაღათურია ო. – „სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში“ (2009 წელი);

გურგენიძე ვ, - „საჯარო პოლიტიკური მმართველობის თეორია და პრაქტიკა“ თბილისი, 2014 წელი;

ბარათაშვილი ე, თაკალანძე ლ, აბრალავა ა. „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“. თბილისი, 2007 წელი;

ხუბუა გ, ზომერმანი კ.პ. „საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები“, თსუ-ს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, ტომი 3, თბ. 2016 წელი.

# Several Aspects of Applying Strategic Management Objectives in Public Administration

**Nino Lomsadze,**
Consultant of Analytical Department at Tbilisi Court of Appeals;
Doctor of Public Administration

**Abstract**

Application of strategic management objectives in public administration is one of the functions of governance, which enables choosing the aims of the organization and designing ways to achieve them. Objectives of strategic management aim at effective utilization of organizational resources, which is directed to successful achievement of the organizational goals. They represent a whole of decisions and activities that are based upon the internal potential of the organization, external changes and creating competitive advantage.

Application of strategic management objectives in public administration enables the management to identify the ways for the development of the organization correctly. Strategic management shall cover every managerial level, it shall be designed with the participation of all managerial levels and be understood by all employees.

Application of strategic management objectives is effective in practice if it serves clear goals that are decisive for ultimate successful operation of the organization. A number of aspects related to implementation of strategic management objectives facilitate the organization's initiative to concentrate its efforts at the right time and in the right place, to consider operational flexibility that enables to maximize achievements with minimized resources and to coordinate operation of different levels of organization.

Public administration, as state governance, necessitates orientation of governance on certain system of values, ideas, approaches, opinions and worldview that define whether specific management style is in compliance with the principles operating in the given time and space. Thus, application/planning of strategic objectives in public governance plays an important role in proper structuring of organization and in defining effective ways to achieve them.

**Keywords:** Strategic Management, Objectives, Planning, Mission, Strategy, Vision

# ტრანსფორმაციული ლიდერობის თეორიის განვითარება და მისი ძირითადი ფაქტორები

**მაია ოსიყმიშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

ლიდერობის ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე და პოპულარული თეორიას, ტრანსფორმაციულ ლიდერობას, 1980-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, როდესაც ე.წ. „ტრანსაქციონისტური“ მიდგომა „ტრანსფორმაციულმა“ მიდგომამ შეცვალა. ტრანზაქ–ციული ლიდერობა მოიცავს ლიდერობის ყველა ტიპს, რომელიც ლიდერებსა და მიმდევრებს შორის არსებულ შეთანხმებაზე, გარიგებაზე აკეთებს აქცენტს, ხოლო ტრანსფორმაციული მიდგომა ლიდერობას განმარტავს როგორც ლიდერის მიერ პიროვნული და ორგანიზაციული სტრუქტურების გარდაქმნის პროცესს.

ტრანსფორმაციული ლიდერობა ,,ახალი ლიდერობის” თეორიის ნაწილია, რომელიც ასევე დიდ ყურადღებას უთმობს ლიდერობის ქარიზმატულ და აფექტურ ელემენტებს. თანამედროვე მეცნიერების მოსაზრებით, ტრანსფორმაციული ლიდერ–ობის თეორიის პოპულარობა შინაგან მოტივაციაზე და ადამიანის განვითარებაზე გაკეთებული განსაკუთრებული აქცენტით არის გამოწვეული. ტრანსფორმაციული ლიდერობა თანამედროვე სამუშაო ჯგუფების საჭიროებებსაც ეხმიანება - ცვლილ–ებებისა და გაურკვევლობის დროს ადამიანებს განსაკუთრებით სჭირდებათ შთაგონება და საკუთარ ძალებში რწმენა.

ტრანსფორმაციული ლიდერობა არის პროცესი, რომელიც ადამიანებში ცვლილებას, ტრანსფორმაციას იწვევს. იგი ეხება ემოციებს, ღირებულებებს, ეთიკას, სტანდარტებს და გრძელვადიან მიზნებს. იგი მოიცავს მიმდევართა მოტივაციის შეფასებას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას და მათდამი ჰუმანურად და პატივისცემით მოპყრობას. ტრანსფორმაციული ლიდერობა გავლენის გამორჩეულ ფორმას გულისხმობს, რომელიც მიმდევრებს შთააგონებს გააკეთონ უფრო მეტი, ვიდრე მათგან ჩვეულებრივ მოელიან. ეს პროცესი ხშირად მოიცავს ქარიზმატულ ან ხედვით ლიდერობასაც. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსფორმაციული ლიდერი უმნიშვნელ–ოვანეს როლს ასრულებს ცვლილების დაჩქარებაში, ლიდერები და მიმდევრები საკმაოდ რთულად არიან გადაბმული ტრანსფორმაციის პროცესში და მიმდევრების როლიც, არანაკლებ მნიშვნელოვანი ხდება, შესაბამისად, ტრანსფორმაციული ლიდერობა ისეთი პროცესია, სადაც ადამიანი სხვა ადამიანებთან ისეთ კავშირებს ამყარებს, რომ იზრდება როგორც მიმდევართა, ასევე თავად ლიდერის მოტივაციაც და უმჯობესდება მათი განწყობა.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ტრანსფორმაციული ლიდერობის თეორიის განვითარება და მისი ძირითადი ფაქტორები.

**საკვანძო სიტყვები:** ტრანსფორმაციული ლიდერობა, თეორია, ფაქტორები, განვითარება, ორგანიზაცია.

ტერმინი „ტრანსფორმაციული ლიდერობა“ პირველად მეცნიერმა Dowton–მა (1973) გამოიყენა. ამ მიდგომამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, როდესაც პოლიტიკურმა სოციოლოგმა James MacGregor Burns – მა მისი კლასიკური ნაშრომი - „ლიდერობა“ (1978) გამოსცა. ნაშრომში ავტორი შეეცადა ლიდერობისა და მიმდევრობის როლების ერთმანეთთან დაკავშირებას. ავტორი ლიდერს აღწერს, როგორც ადამიანს, რომელიც მიმდევრებს უბიძგებს

უფრო ეფექტურად მიაღწიონ როგორც ლიდერის, ასევე საკუთარ, როგორც მიმდევრის მიზნებს. ზოგიერთი მეცნიერის განსაზღვრებით, ლიდერობა აბსოლუტურად განსხვავდება ძალაუფლებისგან, რადგან იგი მიმდევართა საჭიროებებზეა მიბმული. [1]

აღსანიშნავია, რომ მეცნიერმა Bass–მა (1998) მოიფიქრა ტერმინი ფსევდო-ტრანსფორმაციული ლიდერობა. ეს ტერმინი ეხება ლიდერებს, რომლებიც სხვებს იყენებენ, მხოლოდ საკუთარი თავით არიან დაკავებული, ძალაუფლებაზე არიან ორიენტირებული და დამახინჯებული მორალური ღირებულებები აქვთ. ფსევდო-ტრანსფორმაციული ლიდერობა პერსონიფიცირებულ ლიდერობად მიიჩნევა, რადგან იგი ლიდერის, და არა სხვების ინტერესებზე ამახვილებს ყურადღებას. ნამდვილი ტრანსფორმაციული ლიდერი სოციალური ლიდერია, რომელიც კოლექტიური კეთილდღეობითაა დაინტერესებული. სოციალური ტრანსფორმაციული ლიდერები მიმდევართა ინტერესებს თავიანთ ინტერესებზე მაღლა აყენებენ. [2]

დაახლოებით ამავე პერიოდში, მეცნიერმა House-მა ქარიზმატული ლიდერობის თეორია გამოაქვეყნა. გამოქვეყნების დღიდან ქარიზმატულმა ლიდერობამ დიდი ყურადღება მიიპყრო. ხშირად, აღწერისას მას ძალიან ამსგავსებენ ტრანსფორმაციულ ლიდერობას. სიტყვა ქარიზმა, პირველად ისეთი განსაკუთრებული ნიჭის აღსაწერად გამოიყენეს, რომელიც ადამიანებს არაჩვეულებრივი საქმეების კეთების შესაძლებლობას აძლევს. ქარიზმის ყველაზე ცნობილი განმარტება მეცნიერმა Weber–მა შემოგვთავაზა, რომლის მიხედვითაც იგი პიროვნული მახასიათებელია, რომელიც ადამიანს ზეადამიანურ, გამორჩეულ ძალას აძლევს, იგი ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი, ის ღვთაებრივი წარმოშობისაა და შედეგად ვიღებთ ადამიანს, რომელსაც ლიდერად აღიქვამენ და ექცევიან, როგორც ლიდერს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ავტორი ქარიზმას პიროვნულ მახასიათებლად მიიჩნევდა, იგი აგრეთვე აღიარებდა იმ როლის მნიშვნელობას, რომელსაც ლიდერის ქარიზმის აღმოჩენაში მიმდევრები ასრულებდნენ. ქარიზმატული ლიდერობის მისეულ თეორიაში, House აღნიშნავს, რომ ასეთი ლიდერები უნიკალურ ქცევას ავლენენ, რასაც ქარიზმატული ეფექტი აქვს მათ მიმდევრებზე. ამ ავტორისთვის, ქარიზმატული ლიდერის პიროვნული მახასიათე–ბლები მოიცავს: დომინანტურობას, სხვებზე გავლენის მოხდენის ძლიერ სურვილს, თავდაჯერებულობას და საკუთარი მორალური ღირებულებების რწმენას. [3]

***ტრანსფორმაციული ლიდერობის ფაქტორები:*** ტრანსფორმაციული ლიდერობა მიმდევართა მიღწევების გაუმჯობესებაზე და მათი პოტენციალის სრულად გამოვლე–ნაზეა ორიენტირებული.

| **ტრანსფორმაციული ლიდერობა** | **ტრანზაქციული ლიდერობა** | **ჩაურევლობითი ლიდერობა** |
|---|---|---|
| იდეალიზებული გავლენა; ქარიზმა | დამსახურებული ჯილდო, კონსტუქციული ტრანზაქციები | ჩაურევლობითი |
| შთამაგონებელი მოტივაცია | მენეჯმენტი | არატრანზაქციული |
| ინდივიდუალური ზრუნვა | აქტიური და პასიური ტრანზაქციები | |

**ცხრილი N1. ლიდერობის ფაქტორები**

ადამიანებს, რომლებიც ტრანსფორმაციულ ლიდერობას ავლენენ, ხშირად ძლიერი შინაგანი ღირებულებები და იდეალები ახასიათებთ და ისინი ეფექტურად ახერხებენ მიმდევართა მოტივაციას ისეთი საქმეების გასაკეთებლად, რომლებიც არა მარტო მათ, არამედ საერთო კეთილდღეობას უწყობს ხელს.

**ფაქტორი 1. იდეალიზებული გავლენა.** პირველ ფაქტორს ეწოდება ქარიზმა ან იდეალიზებული გავლენა. იგი აღწერს ლიდერებს, რომლებიც მიმდევრებისათვის მისაბაძი ადამიანები არიან; მიმდევრები მათთან იდენტიფიცირებას ახდენენ და მათი მიბაძვის სურვილი უჩნდებათ. ასეთ ლიდერებს, როგორც წესი, მორალური და ეთიკური ქცევის მაღალი სტანდარტები აქვთ და მიმდევართა ნდობას იმსახურებენ. ისინი მიმდევრებს უზიარებენ თავიანთ ხედვასა და უჩენენ იმის შეგრძნებას, რომ მათ რაღაც მისია აკისრიათ. არსობრივად, **ქარიზმის ფაქტორი** აღწერს ადამიანებს, რომლებიც განსაკუთრებულნი არიან და შეუძლიათ სხვები იმ ხედვის თანაზიარი გახადონ, რომელიც თავად აქვთ. [4]

**ფაქტორი 2. შთამაგონებელი მოტივაცია.** შთაგონებას ან შთამაგონებელ მოტივაციას მეორე ფაქტორს უწოდებენ. ეს ფაქტორი იმ ლიდერებისათვისაა დამახასიათებელი, რომლებიც მიმდევრებს მაღალ სტანდარტებს უწესებენ, ამასთანავე, შთააგონებენ და მოტივაციას უმაღლებენ, რათა ორგანიზაციაში გაზიარებული ხედვის ერთგული გახდნენ. პრაქტიკაში, ეს ლიდერები სიმბოლოებსა და ემოციურ მოწოდებებს იყენებენ, რათა მიმდევრებმა უფრო მეტი გააკეთონ ვიდრე გააკეთებდნენ პირადი ინტერესისათვის. ამ ტიპის ლიდერობა ამაღლებს გუნდურობის შეგრძნებას.

**ფაქტორი 3. ინტელექტუალური სტიმულაცია.** მესამე ფაქტორია ინტელექტუ–ალური სტიმულაცია. იგი მოიცავს ისეთ ლიდერობას, რომელიც თანამშრომლებს სტიმულს აძლევს რომ იყვნენ უფრო შემოქმედებითები და ინოვაციურები. ამ ტიპის ლიდერობა ხელს უწყობს მიმდევრებს ახალი მიდგომების აღმოჩენასა და ორგანიზა–ციული საკითხების ინოვაციურად გადაჭრაში. იგი სტიმულს აძლევს მიმდევრებს თავად მოიფიქრონ საინტერესო ღონისძიებები და თავად გადაჭრან პრობლემები. [5;6]

**ფაქტორი 4. ინდივიდუალური ზრუნვა.** ტრანსფორმაციული ფაქტორებიდან, მეოთხე ფაქტორია ინდივიდუალური ზრუნვა. ეს ისეთი ლიდერების დამახასიათებელი თვისებაა, რომლებიც კეთილგანწყობილი კლიმატის შექმნას ცდილობენ და ყურადღებით ეკიდებიან მიმდევართა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამ ტიპის ლიდერის მაგალითია მენეჯერი, რომელიც თითოეულ თანამშრომელთან ატარებს დროს, ყველასთან თავისი მიდგომა აქვს და ყველას მზრუნველობით ეპყრობა. ასეთი ლიდერი, ზოგიერთი თანამშრომლის მიმართ, მეტწილად მხარდაჭერას ამჟღავნებს, სხვებისათვის კი სპეციფიური და კარგად სტრუქტურიზებული დირექტივები აქვს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ლიდერობის პროცესზე პიროვნული თვისებების გავლენას კარგად აღწერს ემოციური ინტელექტის ცნება. ემოციური ინტელექტი დაკავშირებულია ჩვენს ემოციებთან, აზროვნებასთან, და მათ ურთიერთქმედებასთან. ემოციური ინტელექტი გულისხმობს ემოციების წვდომას, მათ გააზრებას და ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებას. ლიდერობისადმი მიძღვნილ თანამედროვე კვლევებში სწორედ ემოციურ ინტელექტი განიხილება ეფექტური ლიდერობის აუცილებელ პირობად.

## დასკვნა

ამრიგად, დასკვნის სახით აღვნიშნავთ რომ, „ტრანსფორმაციული ლიდერობის" მიმართულებით მომუშავე მეცნიერების აქცენტი გადატანილია ადამიანის ფსიქო–ლოგიური რესურსების მაქსიმალურ აქტივიზაციაზე. ეს ახალი მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ლიდერის პიროვნებაზე, როგორც მიმდევრებზე გარდამქმნელი გავლენის მქონე ფაქტორზე. შესაბამისად, უკანასკნელ წლებში გაიზარდა მკვლევართა ინტერესი ლიდერის პიროვნული მახასიათებლების მიმართ.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ სტატიაში გაანალიზებულია **„ტრანსფორმაციული ლიდერობის“ ძირითადი ფაქტორები,** კერძოდ: „იდეალიზებული გავლენა“; „შთამაგონებელი მოტივაცია“; „ინტელექტუალური სტიმულაცია“ და „ინდივიდუა–ლური ზრუნვა“.

მიგვაჩნია. რომ ტრანსფორმაციულ ლიდერობას უფრო მეტი ეფექტის მიღწევის უნარი შესწევს, ვიდრე ტრანზაქციულ ლიდერობას, მაშინ, როცა ტრანზაქციული ლიდერობა მოსალოდნელი შედეგების მიღებას გულისხმობს, ტრანსფორმაციული ლიდერობა უფრო შორს მიდის და იმაზე მეტი შედეგის მიღწევა შეუძლია, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ლიდერობის შესახებ თანამედროვე მეცნიერების მოსაზრებებიდან იკვეთება, რომ ადამიანები, რომლებიც ტრანსფორმაციულ ლიდერობას ავლენდნენ, უფრო ეფექტურებად მიიჩნეოდნენ და უკეთესი შედეგები ქონდათ, ვიდრე ადამიანები, რომლებიც მხოლოდ ტრანზაქციული ლიდერობას მიმართავდნენ.

**გამოყენებული ლიტერატურა**

ამყოლაძე, გ. – „ ლიდერობა. უნარები, სტილი და მეთოდები“. ISBN: 978-9941-0-7132-4. თბილისი. 2014. – 198 გვ.

პიტერ გ. ნორთჰაუზი - “ლიდერობა - თეორია და პრაქტიკა” მეხუთე გამოცემა ISBN 978-1-4129-7488-2. დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტი SAGE ლოს ანჯელესი. ქართ. გამოცემის რედაქტორი ნ. ჩუნინიძე, მ. კაკაჩია. © 2010.– 375 გვ.

დიხამინჯია ი., კოპალიანი კ. – „ლიდერობა“, სოხუმის სახელმწიფო უნივერსი–ტეტი (ლექციათა კურსი), თბილისი 2018. – 222 გვ.

ქარდავა ე. – „მართვა და ლიდერობა საჯარო სამსახურში“. 2020 წელი, 107 გვ. სტუ-ს ბიბლიოთეკის შიფრი CD -6837

კერესელიძე შ., კერესელიძე დ, კერესელიძე ლ. – „ლიდერობა და გუნდის მართვა“ 2021წ. 394 გვ. სტუ-ს ბიბლითეკის შიფრი 301.172(02)

Gell Anthony - "The Book of Leadership: How to Get Yourself, Your Team and Your Organisation Further Than You Ever Thought Possible" 2019. – 368 p.

**Development of transformational leadership theory and It's main factors**

**Maia Osikmishvili,**
Doctoral student, Georgian Technical University

**Abstract**

One of the most modern and popular theories of leadership, transformational leadership, was founded in the 1980s, when the so-called "transactional" approach was replaced by the "transformational" approach. Transactional leadership includes all types of leadership that focus on the agreement, transaction between leaders and followers, while the transformational approach interprets leadership as the process of transformation of personal and organizational structures by the leader.

Transformational leadership is part of the "new leadership" theory, which also pays great attention to the charismatic and affective elements of leadership. According to modern scientists, the popularity of the theory of transformational leadership is due to the special emphasis on internal motivation and human development. Transformational leadership also resonates with the needs of modern work groups - in times of change and uncertainty, people especially need inspiration and belief in their own abilities.

Transformational leadership is a process that causes change and transformation in people. It deals with emotions, values, ethics, standards and long-term goals. It includes assessing followers' motivations, meeting their needs, and treating them humanely and respectfully. Transformational leadership involves a distinctive form of influence that inspires followers to do more than what is normally expected of them. This process often involves charismatic or visionary leadership as well. Although the transformational leader plays the most important role in the acceleration of change, leaders and followers are quite intricately connected in the transformation process and the role of followers becomes no less important, therefore, transformational leadership is a process where a person establishes such connections with other people that he grows as a follower. , as well as the leader's motivation and their mood improves.

The article discusses issues of the development the theory of transformational leadership and its main factors.

**Keywords:** Transformational leadership, theory, factors, development, organization.

# გერმანული საჯარო მმართველობის მოდერნიზაციის გამოწვევები. ინდიკატორი საქართველოსთვის

**ნინო ლორთქიფანიძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

როგორია სახელმწიფო ძალაუფლების ბუნება და რას ემსახურება იგი? ზოგადი გაგებით, სახელმწიფო – "იმთავითვე საკამათო" ცნებაა. არსებობს უამრავი თეორია, და ყოველი მათგანი სახელმწიფოს საფუძვლებს, განვითარების გზებსა და საზოგადოებაზე მის გავლენასაც განსხვავებულად იაზრებს. მართლაცდა, ჯერ კიდევ საკითხავია, სრულად ავტონომიურია და საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი ესა თუ ის სახელმწიფო, თუ სწორედაც რომ საზოგადოების ნაყოფი და ძალაუფლებისა და რესურსების უფრო ფართო გადანაწილების გამოვლინება. მეტიც – საყოველთაო, კოლექტიურ კეთილდღეობას ემსახურება, თუ ერთ ცალკეულ ჯგუფს ან რომელიმე გაბატონებულ კლასს? ასევე, საკითხავია – დადებითი და კონსტრუქციულია სახელმწიფო, და შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობაც უნდა გაიზარდოს თუ პირიქით?

როგორც „ძველი, მარადიულად ახალი თემა", გერმანიის სახელმწიფო ადმინისტრაციის ისტორია - მისი რეფორმების ისტორიაა. აქ მიმოიხილავთ რეფორმების მცდელობებს, სანამ განვიხილავთ სახელმწიფო ადმინისტრაციის მიმდინარე და მომავალ გამოწვევებს. საერთო ჯამში, კრიტიკის სამი ძირითადი პუნქტია წამოჭრილი: საჯარო ადმინისტრაციას ადანაშაულებენ არაეფექტურობაში, ძალაუფლების ლტოლვაში და ხარჯების ინტენსივობაში. ამ და სხვა ბევრმა ასპექტმა არაერთხელ გამოიწვია რეფორმები. თუმცა გერმანიაში საჯარო მმართველობის ძირითადი სტრუქტურა და ძირითადი სტრუქტურები ყოველთვის თითქმის უცვლელად ითვლებოდა. ახლა სახელმწიფო, საზოგადოება და შესაბამისად, ადმინისტრაციაც, უფრო მოკლე ინტერვალებით ექცევა მასიური გამოწვევების წინაშე. ამრიგად, მოქმედების სიჩქარის ეს მოთხოვნა ეჯახება ადმინისტრაციას, რომელიც დღესაც მისდევს მაქს ვებერის ბიუროკრატიულ მოდელს თავისი ძირითადი მახასიათებლებით.

აღნიშნულ სტატიაში განვიხილავთ გერმანიის სახელმწიფოსა და ხელისუფლების თანამედროვე მოდელებს - თუ რა სახეცვლილება განიცადეს მათ და რა პერსპექტივა გააჩნია სამომავლოდ.

**საკვანძო სიტყვები:** გერმანია, საჯარო მმართველობა, ხელისუფლება, სახელმწიფო, მოდერნიზაცია, რეფორმები, ინდიკატორი

## შესავალი

დავა სახელმწიფო თუ ხელისუფლების წყობაზე და მის შინაარსზე მუდმივად იყო და იქნება: თომას ჰობსის (1588-1679წწ) აზრით - „ნებისმიერი ხელისუფლება ადამიანების ნებით იქმნება და სახელმწიფო საზოგადოებრივი შეთანხმების პროდუქტია"; ჯონ ლოკი (1632-1704წწ) თვლიდა, რომ ხალხსა და ხელისუფლებას შორის შეთანხმება უნდა შემდგარიყო, რომლის მიზანიც „საყოველთაო კეთილდღეობა" იქნებოდა; შარლ მონტესკიე (1689-1755წწ) აკრიტიკებდა აბსოლუტიზმს და მიაჩნდა, რომ ხელისუფლება სამ შტოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად უნდა დაყოფილიყო, რათა ხელისუფლება ბოროტად არ იქნეს გამოყენებული; ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778წწ) თვლიდა, რომ ცივილიზაციამ ადამიანები დაამახინჯა, ხოლო დენი დიდრო (1713-1784წწ) ამტკიცებდა, რომ საზოგადოება მხოლოდ

იმიტომ ირჩევდა ხელისუფლებას, რომ მას საიმედოდ დაეცვა ხალხი და უზრუნველყო მისი ბედნიერება. ამიტომ ხელისფლების მხრიდან დესპოტიზმის საპასუხოდ ნებადართულად თვლიდა ძალადობას. მაქს ვებერი (1864-1920წწ) კი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სახელმწიფო - ეს დაწესებულებაა ყველაზე დაბალი ხარისხის მქონე ყველაზე ძვირაღირებული მომსახურებით...

აქ ჩამოთვლილია XVI – XX საუკუნეების ფილოსოფოსებისა თუ მოაზროვნეების ის იდეები, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინა სახელმწიფოებრიობის შექმნაზე და მასზე აზრის ჩამოყალიბებაზე. აქ მოყვანილი იდეებიდან, ფაქტობრივად ყველა ეტაპი ასე თუ ისე გაერთიანებულია თანამედროვე სახემწიფოებრიობისა და ხელისუფლების მოქმედებაში.

**სახელმწიფოს მოდერნიზაცია**

დღევანდელ რეალობაში კვლავ აქტუალურ საკითხად განიხილება სახელმწიფოს მოდერნიზაცია. ფაქტობრივად, ის ისეთივე ძველია, როგორც თავად სახელმწიფო. მმართველობისა და ადმინისტრაციის მოდერნიზაცია საუკუნეების მანძილზე მუდმივი კამათის საგანი იყო. ყველა სახელმწიფო, რომელიც იმ დროისთვის თანამედროვე იყო, ცდილობდა კიდევ უფრო თანამედროვე გამხდარიყო.

მოდერნიზაციის ძირითადი მოთხოვნილება სახელმწიფო ადმინისტრაციის გაუმჯობესება, მოქალაქეობის გაზრდა და სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის რეორგანიზაცია იყო და არის. სახელმწიფოს მხრიდან სწრაფვა ორგანიზაციული რეფორმებისკენ, რევოლუციურ მიდგომად ჩანდა უწინ, თუმცა დღესდღეისობით ეს მოთხოვნა უკვე ცივილური საზოგადოების საჭიროებიდან გამომდინარეობს. ჩნდება კითხვა: რა არის ახალი „სახელმწიფოს მოდერნიზაციაში", რომელიც აქამდე მუდმივად იყო და მუდმივად „იხვეწებოდა" ახალი? განსაკუთრებით საინტერესოა რა იგულისხმება ბოლო ათწლეულის განმავლობაში „ახალი საჯარო მენეჯმენტის" ქვეშ?

ახალი ის არის, რომ სახელმწიფო ადმინისტრაცია დღეს აღარ ავითარებს თანამედროვეობის ძირითად კონცეფციებს, რეფორმის კონცეფციებს და სწავლის სტრატეგიებს, არამედ იღებს მის მოდელებს საზოგადოების სხვა სფეროებიდან, კერძოდ, ეკონომიკიდან და - შესაფერისი ალტერნატივების არარსებობის შემთხვევაში ითვისებს მას.

სახელმწიფო მართვის დღევანდელი მოდელები, მოდის ბიზნესის მენეჯმენტიდან და ორგანიზაციული თეორიიდან. დღევანდელ რეალობაში, საჯარო ადმინისტრაციის ოდესღაც მაღალ დონეზე შეფასებული ფორმალური რაციონალურობა განიხილება, როგორც დაბრკოლება ამოცანების ეფექტურად შესრულებისთვის. საჯარო მმართველობის ახალი მოდელი მიზნად ისახავს შედეგზე ორიენტირებული და ნაკლებად ცენტრალიზებული ამოცანების შესრულებას. იგი მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

ბიუროკრატიული, წესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ნაცვლად სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტამ უნდა გააუმჯობესოს საჯარო სერვისების ეფექტურობა და ხარისხი.

უაღრესად ცენტრალიზებული, იერარქიული სტრუქტურები უნდა შეიცვალოს დეცენტრალიზებული მართვის გარემოებით. მიზანი არის სწრაფი და მოქნილი ადმინისტრაციული მოქმედება, რომელიც მორგებულია მოქალაქეების საჭიროებებზე.

საჯარო მიწოდებისა და რეგულირების კერძო სექტორის ალტერნატივები განიხილება და განხორციელდება ხარჯების ეფექტურობის თვალსაზრისით. სახელმწიფომ უნდა გააკეთოს მხოლოდ ის, რაც კერძო პირებს არ შეუძლიათ. და ამავდროულად, როგორც კომპანიაში, უნდა გაძლიერდეს ძირითადი კომპეტენცია.

ვინც გადაწყვეტს, პასუხისმგებლობაც უნდა აგოს გადაწყვეტილებებზე. ეს პრინციპი მიზნად ისახავს ინიციატივისა და მოტივაციის გაუმჯობესებას საჯარო სექტორში.

კონკურენცია ადმინისტრაციულ ნაწილებში .

პოლიტიკური ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის მოქმედების სტრატეგიული ფარგლები და საინფორმაციო ბაზები უნდა გაძლიერდეს, რათა შეძლონ სათანადო და მდგრადი რეაგირება პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებზე.

პასუხისმგებლობა და გამჭვირვალობა, ისევე როგორც მწირი რესურსების ეკონომიური გამოყენება უნდა გაძლიერდეს ისეთი ინსტრუმენტებით, როგორიცაა პროდუქტის შემუშავება, კონტროლი, ბიუჯეტირება და შესრულების აღრიცხვა.

კერძო კომპანიების მაგალითზე დაფუძნებული ადაპტური მართვის სისტემის დანერგვამ უნდა შეუწყოს ხელი აუცილებელ ცვლილებებს.

სახელმწიფო და ადმინისტრაციული საქმიანობის ეკონომიზაცია ნიშნავს ჩვეულებრივი მოდელების რევოლუციას. ის, რაც ოდესღაც კარგი მმართველობა და მოწესრიგებული ადმინისტრაცია იყო, ახლა ძველმოდურად და პროგრესის შემაფერხებლად ითვლება.

**„გამარტივებული“ მართვის ეფექტი და შედეგი**

„გამარტივებული“ მართვის იდეაა: სახელმწიფო - როგორც კომპანია. რატომაც არა? რატომ არ უნდა შეეძლოთ კერძო კომპანიებს სამოქალაქო სტატუსის რეესტრის, მიწის რეესტრის, მოქალაქისა თუ ავტომობილის საქმის წარმოება? რატომ არ უნდა იყოს კერძო საქალაქო ბიბლიოთეკები, საქალაქო არქივები, სკოლები, ავტობუსები და მატარებლები?

არსებობს მოსაზრება, რომ არის სამი გამყოფი ხაზი, სადაც უნდა დასრულდეს კერძო სექტორის ორიენტაცია. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, სუვერენული ამოცანები, რომლებშიც შედის სახელმწიფო მონოპოლია ძალის გამოყენებაზე და, შესაბამისად, კანონის უზენაესობა და მოქალაქეთა თანაბარი მოპყრობის უფლება სარგებლობს მაღალი პრიორიტეტით. მეორეც, კერძო სექტორის ორგანიზაცია ასევე პოულობს თავის საზღვრებს, სადაც სოციალურად სასურველი საქონელი - მაგ., ბიბლიოთეკებზე და ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომა - არ იქნება საკმარისად უზრუნველყოფილი კერძო პირების ფინ. ინტერესების გამო და ბოლოს, მესამე, დგება საკითხი დემოკრატიული კონტროლის მასშტაბის შესახებ. დემოკრატიული მონაწილეობისა და უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეების საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის შესაძლებლობები მცირდება და მათთან ერთად შეიძლება დემოკრატიაც შემცირდეს;

**მოდერნიზაციასაც აქვს ნაკლი**

თანამედროვე კონტრაქტების მენეჯმენტი ახლა ცვლის თვითნებურად დადგენილ წესებს კონტრაქტებისა და ხელშეკრულებების მსგავსი ქსელით. რას ნიშნავს ეს ადმინისტრაციული მოქმედების სამომავლო ნორმებსა და ღირებულებებზე? ძველი ადმინისტრაციის საქმიანობამ თავისი ნორმატიული საფუძვლები ჰპოვა სტრუქტურებსა და პროცედურებში, რომლებიც წარმოიშვა თანხმობითი თვითდასაქმების გზაზე. ახალი საჯარო მენეჯმენტი ცვლის ნორმატიულ საფუძვლებს და მათთან ერთად იმ წესების ერთობლიობას, რომლითაც შეფასდება მომავალი ადმინისტრაციული მოქმედება. სახელმწიფოს მოდერნიზაცია არ ნიშნავს, რომ საბაზრო ფასების კონტროლი ცვლის დემოკრატიულად კონტროლირებულ იერარქიას - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო გვევლინება როგორც გამყიდველი, ხოლო მოქალაქე, როგორც მომხმარებელი. უფრო მეტიც, მოსალოდნელია მონაწილეობისა და კონტროლის ჰიბრიდული ფორმები, რომლებიც განლაგებულია სახელმწიფოსა და ბაზრის ინტერფეისზე და ორივე სფეროს ლოგიკით დომინირებს.

თანამედროვე ან, უკეთ რომ ვთქვათ, პოსტმოდერნული სახელმწიფოებრიობის ჰიბრიდული ბუნება გამოიხატება ადმინისტრაციის გაფართოებულ როლურ კონფლიქტში. თავდაპირველად შექმნილი როგორც ევროპული კანონის უზენაესობის ინსტრუმენტი, ადმინისტრაცია მოდერნიზაციის ხანგრძლივ ტალღაში დემოკრატიული კონტროლის სურვილის წინაშე აღმოჩნდა. კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული ვოლუნტარიზმისადმი მიდგომა კონფლიქტში შევიდა. ბიუროკრატიული კანონის უზენაესობის, პოლიტიკური დემოკრატიისა და ეკონომიკური ბაზრის ნორმები ახლა კონფლიქტშია.

ისტორიულმა ბრძოლამ აბსოლუტისტური ადმინისტრაციული სახელმწიფოების ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციისთვის, ადმინისტრაციას დაუპირისპირა სავალდებულო წესები და პოლიტიკური რეაგირების მოქმედება. ნორმების ამ კონფლიქტის განხორციელება უკვე შეიძლება ჩაითვალოს არსებით დამცავ საშუალებად ბიუროკრატიისა და ფორმალიზმისგან. თუმცა, ეფექტურობის მატება ძნელად მოსალოდნელია სტანდარტების ამ კლასიკური კონფლიქტიდან.

ერთადერთი, რაც ცხადია, არის ის, რომ გერმანიის სახელმწიფო მართვა გადასულია ბიზნესის კონტროლის ახალ მოდელებზე, თუმცა ეს როგორც ჩანს დღევანდელი მართვის მოდელიდან, ჯერ კიდევ არ არის საბოლოო პროდუქტი იმისა, რასაც გერმანიის ხელისუფლება სახელმწიფოს და მის მოქალაქეებს სთავაზობს.

**დასკვნა**

თანამედროვე გერმანიის წარმატება სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია მოქმედი საჯარო მმართველობის სისტემით და ამავდროულად მუდმივი სწრაფვით დახვეწისა და განვითარებისკენ. ნაშრომში განხილულია გერმანული საჯარო მმართველოს „მოდერნაზაციის" ნაკლიც, რაც საშუალებას გვაძლევს გერმანიის მაგალითზე გადავხედოთ წარსულ ხარვეზებს და ამავდროულად დავფიქრდეთ თანამედროვე არსებულ გამოწვევებზე, რომელთა გამოისობით ოპტიმალური თვითმმართველობა ჯერ კიდევ არ გვაქვს და გამუდმებით სხვადასხვა ვარიანტების ძიებაშია ქვეყანა. საქართველოს საჯარო მმართველობის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ შესაძლებლობად შეიძლება განვიხილოთ მმართველობის გერმანული წესის ზოგიერთი ასპექტის განხორციელება საქართველოს რეალობაში.

**გამოყენებული ლიტერატურა**


Roland Czada - Vortrag auf dem Internationalen Bodenseesymposium in Bregenz - https://www.politik.uni-osnabrueck.de

Rainer Frey & Thorben Winter – Aktuelle Herausforderungen der ofentlichen Verwaltung in Deutschland – 09/2019 https://link.springer.com

Heinrich Reinermann – Neues Politik- und Verwaltungsmanagement: Leitbild und theoretische Grunlagen – 2000J - https://www.uni-speyer.de

Nucole Rottger – 5 Erfolgsfaktoren fuer die modern Verwaltung – 2021J - https://www.apiarista.de


**Challenges of Modernizing German Public Administration. Indicator for Georgia**

**Nino Lortkipanidze,**
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

What is the nature of state power and what does it serve? In a general sense, the state is a "controversial" concept. There are many theories, and each of them has a different understanding of the foundations of the state, ways of development and its impact on society. Indeed, it is still a question of whether this or that state is fully autonomous and independent from society, or whether it is the fruit of society and a manifestation of a wider redistribution of power and resources. Moreover, does it serve the general, collective welfare, or one particular group or some dominant class? Also, the question is - is the state positive and constructive, and should its responsibility increase or vice versa?

As an "old, eternally new theme", the history of German state administration is the history of its reforms. Here, we review the reform efforts before considering the current and future challenges of public administration. Overall, three main points of criticism have been raised: the public administration has been accused of inefficiency, power-hungry and cost-intensive. These and many other aspects have repeatedly led to reforms. However, Germany's basic structure and basic structures of public administration have always been considered almost unchanged. Now the state, the society and therefore the administration are faced with massive challenges at shorter intervals. Thus, this demand for speed of action clashes with the administration, which today still follows Max Weber's bureaucratic model in its main features.

In this article, we will discuss the modern models of the German state and government - what changes they have undergone and what prospects they have for the future.

**Keywords:** Germany, public administration, government, state, modernization, reforms, indicator

# საჯარო მმართველობითი საკითხები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც მმართველობითი სუბიექტი

**გიორგი ბაღათურია,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**იოსებ დიღმელიშვილი,**
თბილისის პოლიციის დეპარტამენტი, უფროსი გამომძიებელი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

ნაშრომში განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ის უფლებამოსილებანი, რომელიც შეეხება საჯარო მმართველობით სფეროს, ასევე ნაჩვენებია მათი გავლენა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობაზე.

ნაშრომში ასევე მიმოხილულია საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი სხვა სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებით სწორედ მის მიერ განხილვას დაქვემდებარებული საკითხების მნიშვნელობის გამო, რადგან დავების მნიშვნელობისა და მოცულობის გათვალისწინებით მას შესაძლებლობა აქვს გავლენა იქონიოს საჯარო ურთიერთობებზე, საჯარო მმართველობის თითქმის ყველა სფეროზე და ზემოქმედება მოახდინოს მათზე.

განხილულია საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, რითაც დასტურდება მათი მოქმედების არეალი და ზეგავლენის სფეროს მოცულობა. შესაბამისად, ნაჩვენებია საკონსტიტუციო სასამართლოს „პოლიტიკური" ბუნება. ამავე ნაშრომში გაანალიზებულია მაგალითებად მოყვანილი კონკრეტული საქმეების შედეგები საჯარომმართველობით სფეროზე.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საკონსტიტუციო სასამართლოს „ჰიბრიდულ" ბუნებაზე, რომელიც ერთდროულად სასამართლო სისტემის ნაწილადაც წარმოაჩენს მას და აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციებსაც „ითავსებს", რა დროსაც პირდაპირ თუ ირიბად მათ ფუნქცებში იჭრება, თუმცა სახელმწიფო ორგანოთა შორის ფუნქციათა სადაოობის შემთხვევაში, თითოეულის საქმიანობას მიჯნავს და ზღვარსაც კი უწესებს.

საბოლოოდ გამოტანილია დასკვნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავისი უფლებამოსილების განხორციელების დროს იცავს რა ქვეყნის კონსტიტუციას, აძლევს მიმართულებებს სახელმწიფო ორგანოებს მათ საქმიანობაში და გარკვეულწილად განსაზღვრავს საჯარომმართველობით მიმართულებას. შესაბამისად, იგი მიჩნეულ უნდა იქნეს იმ სპეციალურ სუბიექტად, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საჯარო მმართველობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო კონტროლი, საჯარომმართველობითი სფერო, დავა კომპეტენციის თაობაზე, მმართველობითი სუბიექტი.

**შესავალი**

კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის ძირითადი კანონი, განსაზღვრავს რა სახელმწიფო მმართველობის სამართლებრივ საფუძვლებსა და მართვის ძირითად ორიენტირებს, სამართლებრივ ჩარჩოში აქცევს სახელმწიფოსა თუ პირების ქცევას, სწორედ ამიტომ საჯარო მმართველობის განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობა კონსტიტუციის შესაბამისი უნდა იყოს, მმართველობა კი ორიენტირებული უნდა იყოს კონსტიტუციით გაცხადებული მიზნის მისაღწევად. იმისთვის, რომ ეფექტურად იმოქმედოს ქვეყნის ძირითადმა კანონმა,

აუცილებელია, რომ იგი დაცული იყოს კონსტიტუციური კონტროლით, შესაბამისად, დაცული იქნება ყველა ის პირი, რომელიც შესაძლოა მომავალში გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტი.

## საჯარო მმართველობითი საკითხები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც მმართველობითი სუბიექტი

თუკი გადავხედავთ სასამართლო პრაქტიკას, ცალსახაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივად ერთმანეთისაგან გამიჯნა სადავო ნორმა და მისი ნორმატიული შინაარსი [გეგენავა დ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც პოზიტიური კანონდებელი, მოხსენება კონფერენციისთვის - „სერგო ჯორბენაძე 90", თბ., 2017] და საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის ახალი მიმართულება განსაზღვრა. აღნიშნული კი ნიშნავს, რომ ეხება რა საკონსტიტუციო სასამართლოს სადავო ნორმის შინაარსობრივ მხარეს (თუკი მიიჩნევს მას კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ), იგი არა მხოლოდ ძალადაკარგულად აცხადებს ასეთ ნორმას, არამედ მსგავსი შინარსით არცერთი ნორმის ამოქმედება აღარ არის შესაძლებელი. შესაბამისად, ამით უფრო მეტ გავლენას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე და ერთგვარად, „ნეგატიური კანონმდებლის" როლშიც კი გვევლინება.

აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა გავლენა საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაზე. კერძოდ, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილებით კონკრეტული ნორმა ან მისი ნაწილი კარგავს მოქმედების ძალას, რითაც საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ მრავალჯერადი გამოყენების ნორმას იურიდიული მნიშვნელობით „ძალადაკარგულად" აცხადებს, ხოლო მეორეს მხრივ, შეუძლია მიმართულება და კონკრეტული მითითებებიც კი მისცეს საკანონმდებლო ორგანოს და განუსაზღვროს ვადა გარკვეული საკითხების მოსაწესრიგებლად (მაგალითად: მხარდამჭერად საცნობი პირების საკითხი, მოსამართლეთა 3 წლიანი გამოსაცდელი ვადის განმარტების საკითხი და სხვ.). ეს ის შემთხვევებია, როდესაც კონკრეტული ვადები იქნა მითითებული, რა ვადაშიც საკანონმდებლო ორგანოს მიერ უნდა მოწესრიგებულიყო და საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებულიყო სადავო საკითხები, მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებაN3/1/659 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. [საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება N3/1/659 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებასთან ერთად, შესაძლებელია განიხილოს და გადაწყვიტოს დავა კომპეტენციის თაობაზე სახელმწიფო ორგანოთა შორის.

„კონსტიტუციით თუ მის გარეშე, სახელისუფლებო-სტრუქტურული კონფლიქტები ფართოდ იყო გავრცელებული ყოფილ სოციალისტურ ბლოკში და ამ კონფლიქტების კონსტიტუციური ბუნებიდან გამომდინარე, თითოეული მათგანი საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა.", - ამბობდა ვაშინგტონის იურიდიული კოლეჯის პროფესორი ჰერმან შვარცი.[შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, მთარგმ. ქ.ალექსიძე, თბ., გამომც.სეზანი, 2003, გვ.112 [https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=345 (ბოლოს ნანახი 10.10.2022)]

საკონსტიტუციო სასამართლოში კომპეტენციის თაობაზე სულ რამდენიმე კონსტიტუციური სარჩელი იქნა წარდგენილი, თუმცა სასამართლოს განხილული აქვს ის

სარჩელებიც, სადაც ასე ცალსახად არ იკვეთებოდა დავა კომპეტენციის თაობაზე, თუმცა თავისი შინაარსით მას გავლენა ჰქონდა საჯარო მმართველობის ამა თუ იმ მიმართულებაზე.

მაგ: საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2004 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (სულ 67 დეპუტატი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის წინააღმდეგ.მოცემულ შემთხვევაში სადავო იყო „საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების“ პრეროგატივა, რა დროსაც საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა და გამიჯნა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციები და საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივად მიიჩნია.

მაგ: ასევე უნდა აღინიშნოს 1998 წლის 10 აპრილის განჩინება N2/53/1, რა დროსაც საკანონმდებლო ორგანოს წევრები ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე დაობდნენ. [https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=57 (ბოლოს ნანახი 10.10.2022წ.)] კერძოდ, 1997 წლის 5 ივნისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს პარლამენტის 62 წევრმა, რომლებიც მოითხოვდნენ არაკონსტიტუციურად ყოფილიყო ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1996 წლის 17 ოქტომბრის ინსტრუქციისა და 1996 წლის 12 აპრილის ინსტრუქციის კონკრეტული ნაწილები. მოსარჩელეები მიიჩნევდნენ, რომ ვინაიდან კანონი არ განმარტავდა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გაგებული დსთ-ს ფარგლებს გარეთ მომსახურების ექსპორტი, ასეთი განმარტების მიცემის ფუნქცია თავის თავზე აიღო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურმა და გამოსცა ორი საუწყებო ნორმატიული აქტი, რითაც დაირღვა კონსტიტუცია. საბოლოოდ აღნიშნული საქმე არ განხილული და შეწყდა, ვინაიდან ცვლილებები იქნა შეტანილი სადავო აქტში იმ კუთხით, რომ განხილვის ეტაპზე სადავო აქტი ძალადაკარგულად იქნა მიჩნეული, შესაბამისად, შეწყდა სამართალწარმოება.

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში თავად ის სახელმწიფო ორგანო არის დაინტერესებული, რომ არ მოხდეს მის წინააღმდეგ საქმის განხილვა, რომლის მიმართაც წარდგენილია პრეტენზია, საჩივარი, ამიტომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში ცდილობს სადავო აქტის „არასადავოდ“ გარდაქმნას ან ძალადაკარგულად გამოცხადებას.

ამდენად, არსებული სასამართლო პრაქტიკიდან რამდენიმე საქმის გაანალიზების შედეგადაც კი შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი დღეის მდგომარეობით უმნიშვნელოა, თუმცა დროთა განმავლობაში უფრო გააქტიურდება, განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შედეგად საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის შესაბამისად. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 (ბოლოს ნანახი 10.10.2022წ.)]

**დასკვნა**

საკონსტიტუციო სასამართლო სწორედ მის მიერ განხილვას დაქვემდებარებული საკითხების მნიშვნელობის გამო განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ხელისუფლების განმახორციელებლ ორგანოებს შორის. დავების მნიშვნელობისა და მოცულობის გათვალისწინებით საკონსტიტუციო სასამართლოს დიდი შესაძლებლობა აქვს გავლენა იქონიოს საჯარო ურთიერთობები, თუმცა დღეის მდგომარეობით მისი როლი არც თუ დიდია, თუმცა დროთა განმავლობაში საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნებისა თუ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შედეგად, მათი რიცხვი მოიმატებს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო უნდა ჩაითვალოს იმ სუბიექტად, რომლის გადაწყვეტილებებიც სახელმწიფოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანია და აბალანსებს შტოებს შორის ურთიერთობებს.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო
2. გეგენავა დ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც პოზიტიური კანონდებელი, მოხსენება კონფერენციისთვის - „სერგო ჯორბენაძე 90“, თბ., 2017
3. შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბილისი, 2003
4. https://www.constcourt.ge
5. https://www.matsne.gov.ge

**Issues of pablic administration and the Constitutional Court of Georgia as a governing entity**

**Giorgi Baghaturia,**
Professor, Georgian Technical University
**Ioseb Dighmelishvili,**
Tbilisi Police Department, Senior Investigator,
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

The article discusses the powers of the Constitutional Court of Georgia in relation to the sphere of public administration and also shows their impact on the activities of state bodies.

The article also discusses the place of the Constitutional court in relation to the other public authorities precisely because of the inportance of the issues it cobsiders, since, given the importance and volume of disputes, it has the ability to influence public relations an almost all areas of public administration.

Several decisions of the Constitutional Court have been reviewed, confirming their sphere of influence. Accordingly, the "political" nature of the Constitutional Court is manifested. The same work analyzes the results of specific cases given as examples in the field of public administration.

the article focuses on the "hybrid" nature of the Cobstitutional Court, which at the same time represents it as part of the judicial system and "disposes" the functions of the executive an the legislative authorities, which directly or inderectly interferes with their activities. However, in the event of a dispute between the functions of public authorities, discusses and compares their functions.

In conclusion, it is concluded that the Constitutional Court of Georgia, protects the Constitution of the country, gives instructions to state bodies in their activities and, to some extent, determines the direction of state administration.

**Keywords**: Constitutional Court of Georgia, Constitutional control, Public administration, Dispute over competence, Governing entity.

# Способы урегулирования конфликтов в сфере государственного управления

**Артем Сидорин**,
Мастер Делового Администрирования,
Магистр Юриспруденции, Магистрант Публичного Управления
**Отар Кочорадзе,**
Профессор Грузинского Технического Университета

**Абстракт**

В статье описана проблема конфликтов в сфере государственного управления, пути их разрешения и предотвращения. Приведенные в статье рекомендации могут быть использованы с целью внедрения реформ в систему государственного управления. Конфликты в сфере государственного управления играют чрезвычайно важную роль. Они сигнализируют власти и обществу о существующих противоречиях, требующих своего разрешения, о несовпадении позиций граждан, о существующих разногласиях; заставляют власти пересматривать свои цели, решения, курс в целом; стимулируют действия, способные поставить ситуацию под контроль, преодолеть определенное возбуждение и трудности в управленческом процессе. Поэтому только непрерывное выявление и урегулирование конфликтов может считаться условием нормального развития общества и всех его институтов.

**Ключевые слова:** регулирование конфликта, контроль конфликтной ситуации, упреждающее разрешение конфликта, предупреждение конфликтов, стимулирование продуктивных конфликтов, конфликты в сфере государственного управления, conflict management, control of a conflict situation, proactive conflict resolution, conflict prevention, stimulation of productive conflicts, conflicts in public administration.

*«Все конфликты в мире и в душе человека*
*проходят через его сердце и возвращаются*
*к нам осмысленными и понятными.*
*А то, что понятно, уже не так страшно.»*
*Эрих Зелигманн Фромм*
*немецкий социолог, философ, социальный психолог.*

Конфликты играют ключевую роль в жизни отдельного человека, семьи, коллектива, государства, общества и человечества в целом. В любой стране на любом этапе ее развития конфликты оказывали решающее влияние на ее судьбу. Конфликты являются основной причиной гибели людей. Для того чтобы грамотно вести себя в конфликтах, человек должен знать закономерности их возникновения, развития и разрешения.

Если исходить из контекста употребления конфликта, урегулирование часто понимается как «мягкое» воздействие на конфликт, а также его частичное или временное решение. В этом смысле урегулирование описывается, например, как результат организованного успешного побуждения (или принуждения) одного из противников, к тому или иному типу действий, выгодной другой стороне или посреднику.

Конфликты в сфере государственного управления по своей природе представляют собой одну из самых многочисленных разновидностей социально-политических конфликтов, которые возникают из-за различий интересов, соперничества и борьбы всевозможных институтов и государственных структур по поводу перераспределения и реализации публичной власти.

Конфликты в сфере государственного управления не следует считать каким-либо случайным явлением, они носят системный характер и представляют собой естественную форму взаимодействия государственно-политических институтов, организаций и лиц, осуществляющих власть в рамках определенной государственной системы, но занимающих в ней различные позиции.

Поиску путей урегулирования конфликтов в сфере государственного управления всегда придавалось особое значение, поскольку государство является символом стабильности и гарантом порядка. И этот поиск всегда находился в рамках универсальных стратегий компромисса и сотрудничества.

Понятие «конфликт» многозначно и имеет множество определений. Слово «конфликт» пришло к нам из латинского языка: conflictus — столкновение, распря, спор, разногласие. В русском языке оно стало употребляться сравнительно недавно, косвенным свидетельством чего является отсутствие данного термина в толковом словаре В. И. Даля. Однако в русском языке широко используются другие понятия, выражающие отношения сторон в конфликтных ситуациях. Такие понятия, как война, мятеж, бунт, борьба, ссора, драка, торги, соперничество, отражают содержательные и эмоциональные аспекты обобщенного абстрактного термина «конфликт».

Конфликт — сложное и многогранное явление. В основе конфликта лежат противоречия. Противоречия имеют место не только во взаимоотношениях между людьми, но и в отношениях человека и природы, вызывающих, в частности, экологические конфликты. [1]

Определений конфликта в западной литературе много, однако все они страдают односторонностью. Каждый автор выделяет ту или иную сторону в конфликте в соответствии с целями своего исследования. Однако при всем многообразии во всех этих определениях отмечается, что всегда имеет место взаимодействие субъектов – людей, социальных групп, организаций. Конфликт всегда связан с конкретными действиями противоположных сторон. Важной стороной этого взаимодействия является поведение людей.

Специалисты по вопросам управления чаще определяют конфликт как универсальный способ взаимодействия сложных систем преодоления противоречий и ограничений в любой сфере, где осуществляются контакты между отдельными людьми и их сообществами. [2]

Из всех перечисленных определений конфликта разделяю точку зрения социологов, которые определяют конфликт через предельное обострение противоречий, столкновение и противоборство, вызываемое противоположностью, несовместимостью интересов и позиций личностей, социальных групп, слоев, классов, наций, государств.

Постоянно возникающие конфликты — большие и малые — вызывают естественное желание и потребность участников противоборства добиться своих целей и завершить конфликт. Поскольку конфликт не избежать, надо его использовать, или урегулировать.

Существуют четыре основных типа управленческих конфликтов: внутриличностный, межличностный.

Внутриличностный конфликт чаще всего бывает ролевым, когда одному человеку предъявляются противоречивые требования по поводу того, каким должен быть результат его работы. Например, заведующий секцией или отделом в универсальном магазине может потребовать, чтобы продавец все время находился в отделе и предоставлял покупателям информацию и услуги. Позже заведующий может высказать недовольство тем, что продавец тратит время на покупателей и уделяет мало внимания пополнению отдела новыми товарами. В этой ситуации продавец может воспринять указания относительно того, что и как делать, как несовместимые.

Многие внутриличностные конфликты возникают также из-за рассогласования производственных требований с личными потребностями и ценностями работника, перегрузками или недогрузками в работе, невозможностью согласовать производственные цели и цели семейной жизни.

Межличностный конфликт чаще всего проявляется в борьбе руководителей за ресурсы, капитал или рабочую силу, время использования оборудования или одобрение проекта. Межличностный конфликт может также проявиться в столкновении различных типов характера, темперамента. Иногда люди просто не в состоянии ладить друг с другом. Например, два начальника, имеющих холерический темперамент, будут часто конфликтовать друг с другом. Трудно согласовывают свои действия двум лидерам в одном коллективе.

Чем же различаются два подхода к преодолению конфликтов — разрешение и регулирование?

Во-первых, понятие «регулирование конфликта» более широкое, более общее, чем «разрешение». Регулирование конфликта осуществляется с момента его возникновения или обнаружения и продолжается вплоть до его окончательного преодоления. Разрешение конфликта в таком случае, является частью регулирования, точнее сказать, регулированием конфликта на его завершающей стадии. Регулирование предполагает активное воздействие на процесс противоборства сторон на всех этапах развития конфликта. Регулировать конфликты могут как сами участники, стороны конфликта, так и третьи лица, посредники, внешние силы.

Во-вторых, если разрешение конфликтов изначально ориентировано на окончательное преодоление конфликта — ликвидацию источников и причин напряженности, уничтожение одной или обеих сторон конфликта, достижение согласия при обоюдном удовлетворении интересов либо другим путем, то регулирование конфликта запрограммировано на достижение компромисса, согласия при соответствующем балансе интересов. Компромисс целесообразен, когда полное разрешение конфликта невозможно или нежелательно из-за негативных последствий. Такой подход к конфликтам больше соответствует современной цивилизации. Разумеется, полное разрешение конфликта всегда предпочтительнее, однако человеческий опыт показывает, как невелико число конфликтов, имеющих окончательное разрешение. Гораздо чаше прекращение конфликта связано с компромиссом, отражающим баланс сил, баланс интересов или сложившиеся обстоятельства. При этом могут сохраняться причины конфликтов, которые при соответствующих условиях вызовут новые столкновения. Таким образом, регулирование — более общая форма преодоления конфликтов, чем их разрешение.

В-третьих, целью регулирования конфликта может быть не только его прекращение, но и снижение напряженности, изменение характера и способов действия сторон. Иногда задачей регулирования конфликта является перевод его в желательное русло, потребность добиться того, чтобы участники противоборства придерживались определенных правил. [3] Наконец, конфликты используются в управленческой деятельности для стимулирования производительности труда за счет поддержания определенного уровня соперничества, конкуренции. Отношение к таким методам руководства не может быть однозначным, но в управленческой практике такие ситуации не так уж редки. И здесь задача состоит не в том, чтобы разрешить конфликт, а в том, чтобы контролировать конфликтную ситуацию в заданных параметрах, не доводя ее до прямых и открытых столкновений.

Наконец, в-четвертых, различие между разрешением и регулированием конфликта состоит и в том, что разрешение конфликта осуществляется, как правило, на завершающей стадии, после столкновения сторон. Регулирование конфликта в первую очередь ставит задачу разрешить противоречия, устранить причину и предупредить конфликт. Регулирование конфликтов мобилизует усилия сторон на мерах, действиях, предупреждающих открытые столкновения.

Таким образом, преодоление конфликтов в современном обществе целесообразнее связывать с регулированием конфликтных ситуаций, чем со стремлением к полному и окончательному разрешению конфликта, хотя последнее и выглядит более привлекательно.

Если речь идет о регулировании конфликта, то неизбежно встает вопрос о субъектах регулирования. Если стороны привлекают посредника, то посредник и становится субъектом регулирования. Субъектами регулирования могут выступать органы власти, администрация предприятия, организации, учреждения, общественные организации и их представители, отдельные лица. В межличностном конфликте посредниками могут стать друзья или родственники непосредственных участников. Субъектами регулирования выступают суд, арбитраж в случае обращения отдельных лиц или организаций в эти органы.

Если нет посредников, то можно считать субъектами регулирования самих участников конфликта, поскольку они вырабатывают и реализуют соответствующие решения. Тогда процесс регулирования становится процессом саморегулирования.

Наряду с разрешением и регулированием иногда говорят об управлении конфликтом. Согласно одной точке зрения, управление конфликтами подразумевает процесс контролирование

конфликта самими участниками или внешними силами (общественными институтами, властью, предпринимателями, специальными лицами и. т.д.). [4]

Такое понимание управления конфликтом распространяется на различные уровни его возникновением - от межгосударственного до межличностного, поскольку во всех случаях участники конфликта, столкнувшись с разногласиями по какому-либо вопросу, способны локализовать конфликт, ограничить его определенными рамками, не допуская его эскалации и тем самым управляя им.

Согласно другой - по своей сути управление мало чем отличается от регулирования и понимается как «мягкое» воздействие на конфликт с целью его частичного или временного завершения. Завершение конфликта обычно означает его любое прекращение, не обязательно предполагающее разрешения. Еще Р. Дарендорф считал, что конфликт необходимо регулировать, а вот полное разрешение конфликтов возможно лишь в ограниченном числе случаев.

Управление конфликтом есть целенаправленное воздействие на процесс конфликта, обеспечивающее решение социально значимых задач. Оно включает в себя прогнозирование конфликтов; предупреждение одних и вместе с тем стимулирование других; прекращение и подавление конфликтов; регулирование и разрешение.

Предупреждение конфликта — это деятельность, направленная на недопущение его возникновения и разрушительного влияния на ту или иную сторону, тот или иной элемент общественной системы. Такая деятельность представляет собою активное вмешательство управляющего субъекта (одной или обеих сторон предполагаемого конфликта) в реальный процесс общественных отношений людей, в их взаимодействие в различных сферах жизни. В таком случае стихийный ход процесса может быть прерван, при условии разумного вмешательства, целесообразного с точки зрения интересов общественных сил.

Предупреждение конфликта предполагает его прогнозирование. Прогноз — это представление о будущем конфликте с определенной вероятностью указания места и времени его возникновения. Научная и практическая ценность прогноза определяется уровнем его обоснованности и достоверности. В числе основных методов прогнозирования: экстраполяция данной ситуации на будущее состояние системы (подсистемы); моделирование возможной конфликтной ситуации, статический метод, опрос экспертов.

В качестве исходного пункта прогностического конфликтологического мышления следует признать определение противоречия, обусловливающего данную проблемную ситуацию, которая может породить конфликт. Противоречие, выражаемое в проблеме, может являться причиной возможного конфликта. Следующий шаг на пути разработки прогноза — выявление тенденций изменения данной ситуации, развития противоречий и раскрытия проблемы. Эта мыслительная операция включает описание событийного ряда, т.е. совокупности событий, проявляющих проблему во взаимодействии субъектов, а также прослеживание объективной последовательности и взаимосвязи событий — логики общественного процесса. Описание событийного ряда и анализ логики изменения существующей ситуации (развития противоречия, раскрытия проблемы) позволяет очертить облик вступающих в противостояние субъектов и предмет его. Дальнейшее исследование развития проблемной ситуации в возможный конфликт предполагает включение в анализ принципов и норм функционирования данной системы (подсистемы), временного и пространственного факторов ее изменения, а также социально-экономических, политических, идеологических и социально-психологических условий.

Стратегия предотвращения конфликтов включает систему деятельности, совокупность этапов и методов управления конкретным процессом противоречивых взаимоотношений общественных субъектов. Различаются этапы частичного и полного предотвращения конфликтов, раннего предупреждения и упреждающего разрешения. Частичное предотвращение становится возможным при условии блокирования действия одной из причин данного конфликта и ограничения его негативного влияния на интересы противоборствующих сторон. Стратегия полного предотвращения

предполагает нейтрализацию действия всего комплекса детерминирующих конфликт факторов, что и позволяет направить взаимодействие субъектов в русло их сотрудничества во имя реализации совпадающих интересов. Упреждающее разрешение конфликта, равно как и раннее его предупреждение, означает не что иное, как осуществление согласования позиций и интересов противоречивых субъектов в пространстве их социального единства, согласия по более важным вопросам общественной жизни.

Предотвращение социальных конфликтов возможно при наличии соответствующих ресурсов: экономических, политических, социальных, идеологических, правового обеспечения. Нарождающееся противоречие не разовьется в конфликт, если активное вмешательство в процесс общественных отношений начинается с уровня выявления несогласия между субъектами по значимым для них вопросам или, по крайней мере, с обнаружения элементов напряженности. На этапе же развития непримиримости в отношениях, враждебного соперничества конфликт уже имеет место, и действие по управлению им приобретает другое качество — урегулирование либо разрешение.

Предупреждение конфликтов осуществляется комплексной системой методов и средств. Они станут эффективными при условии реалистической оценки ситуации, приоритетного внимания согласованию интересов всех участвующих в общественном процессе субъектов и учете возможности реализации принципа толерантности.

Согласование интересов — оптимальный способ достижения консенсуса между общественными субъектами. Однако последний не всегда возможен. Поэтому используются и другие модели предотвращения конфликта интересов: определенное их сочетание, подчинение неглавных интересов главным, временных — постоянным, текущих — перспективным. Не исключается и подавление отдельных элементов интересов обоих взаимодействующих субъектов. Наконец, целесообразна тактика разведения противоречивых интересов. В случае назревающего столкновения между работодателем и трудовым коллективом предметом спора могут быть многие интересы той и другой стороны. Оптимальный вариант предупреждения столкновения — найти удовлетворяющую всех меру сочетания этих интересов, при которой бы ни один интерес не ущемлялся. Когда же такой вариант исключается, приходится искать другие приемлемые формы взаимодействия противоречивых интересов. Это позволяет находить компромисс и сгладить напряженность. Стратегия предупреждения конфликта предусматривает осуществление таких принципов, как своевременность действий по предупреждению возможных коллизий, оперативность, гласность.

Стимулирование конструктивных конфликтов, являющихся двигателем прогрессивных изменений, модернизации общественной системы, составляет весьма существенную сторону социального управления. Это стратегия мобилизации активности того или иного общественного субъекта при решении жизненно важных проблем, стратегия развития позитивной инициативы, достижения оптимального эффекта социального управления.

Исторической практике известны многочисленные формы инициирования крупных социальных конфликтов как двигателей общественного прогресса: классовая борьба, социальные революции, промышленная и научно-технические революции, освободительные войны. Процесс социального управления в разных общественных системах неотъемлемо связан с использованием разнообразных локальных конфликтов, в целях мобилизации потенций тех или иных общественных сил. Стимулирование нового, осуществление инновации всегда реализуется через конфликты.

Инициирование определенных конфликтов зачастую используется в целях нейтрализации других, более разрушительных, опасных для общества.

Таким образом, некоторые конфликты нужно предотвращать, а некоторые – стимулировать. Активное вмешательство в возникший конфликтный процесс может приобретать разнообразные формы: регулирование конфликта, подавление и, наконец, разрешение. Регулирование конфликта представляет собой действие управляющего субъекта с целью смягчения, ослабления или перевода его в другое русло и на другой уровень отношений. Проблема регулирования конфликта — это

проблема ограничения его негативного влияния на общественные отношения и перевода в общественно приемлемые формы развития и разрешения. Регулируемый конфликт есть конфликт контролируемый и, стало быть, предсказуемый. Элемент регулируемости присутствует в любом конфликтном процессе, если он так или иначе включен в механизм социального управления. В свою очередь, управление конфликтным процессом придает объективно этому процессу формы, «способные обеспечить минимизацию неизбежных экономических, социальных, политических, нравственных потерь и, наоборот, максимизировать такого же рода приобретения, именно здесь суть управления конфликтом».

Процесс регулирования конфликта как процесс управления им имеет свои этапы. Первоначальное действие по урегулированию конфликта— его признание и выявление как реальности.

Теоретический этап — только предпосылка, хотя и важнейшая, для практического действия. Исходным же этапом такого действия, по мнению ряда конфликтологов, является институционализация конфликта, что означает определение правил и норм его функционирования и развития. Например, под институционализацией конфликтных отношений между государственной властью и политическими партиями понимается принятие законодательства о партиях, регулирующего их деятельность и отношения с государственными организациями. Именно институционализация конфликта обеспечивает его функционирование и развитие в приемлемых для данной общественной системы формах и рамках и гарантирует предсказуемость конфликтного процесса.

Следующий этап регулирования конфликта — это его легитимизация. Она предполагает признание конфликтующими субъектами установленных норм и правил конфликтного поведения и соблюдение их. Это также означает, что и общество рассматривает данный конфликт как правомерный, а не чуждый по отношению к существующему общественному порядку. Легитимизация конфликта есть его интегрирование в признанную систему общественного порядка, независимо от того, идет ли речь о политико-правовой системе или же о гражданском обществе. Институционализация и рационализация конфликта дает возможность побуждать стороны к принятию даже невыгодных для них предложений, но ведущих к предотвращению агрессивности в борьбе и ее разрушительных последствий.

Важной ступенью управления конфликтом, его урегулирования, является действие по структурированию конфликтующих групп. Структурирование группы позволяет измерить «силовой потенциал» различных составляющих ее элементов и определить иерархию в структуре общественных отношений. Кроме того, путем структурирования социальных групп, участвующих в конфликте, выявляется реальное состояние и взаимоотношение интересов, а также определение приоритетных из них или общих, на основе учета которых возможно достижение согласия и сотрудничества.

Решению задачи урегулирования конфликта может также служить последовательное ослабление его путем перевода в другое русло взаимодействия противоборствующих сторон и на другой уровень. Например, за счет переноса общественного конфликта на уровень индивидуального. Широко используется также метод ослабления острого социального конфликта на базе общей ориентации обеих сторон на внешний для них конфликт (тактика поиска «общего врага»).

Процесс регулирования конфликта осуществляется при помощи разнообразных технологий: информационной, коммуникативной, социально-психологического воздействия, организационных приемов. Ликвидация дефицита информации по спорным вопросам, исключение из информационного поля различного рода искаженных сведений о позициях и интересах сторон; устранение слухов о поведении субъектов — эти и другие действия по информационному обеспечению управления общественной ситуацией оказывают эффективное влияние на снижение уровня конфликтных взаимоотношений. Не меньшую роль играет коммуникативный способ регулирования конфликтов. Развитие общения формирует сходные или общие установки, ценности, оценки, социальные переживания,

нейтрализует влияние эмоций. Совершенствование организационного порядка, разумное применение организационных методов воздействия на группы и отдельных людей (например, решение кадровых вопросов, использование методов поощрения или наказания за те или иные действия), содействуют блокированию конфликтной ситуации и развитию отношений сотрудничества между людьми и организациями.

Таким образом, для смягчения, ослабления или перевода конфликта в другое русло и на другой уровень отношений служит регулирование.

Регулирование конфликта еще не есть его разрешение, поскольку сохраняются основные структурные компоненты конфликта. Однако все действия по регулированию составляют либо предпосылки разрешения конфликта, либо собственно моменты этого процесса.

Разрешение конфликта — заключительный его этап. Во всех многообразных формах реализуются различные виды завершения конфликта: прекращение конфликта путем уничтожения одной из сторон или полного подчинения другой; преобразование обеих конфликтующих сторон в направлении согласования их интересов и позиций на новой основе; взаимного примирения противоборствующих агентов; взаимного уничтожения противоположностей. При осуществлении первой и последней из указанных возможностей завершение конфликта сопровождается обострением борьбы. При реализации других форм происходит постепенное затухание конфликта.

Различаются полное и неполное разрешение конфликта. Если имеет место преобразование или устранение основы конфликта (причин, предмета), то конфликт разрешается полностью. Неполное разрешение имеет место тогда, когда устраняются или преобразуются лишь некоторые структурные элементы конфликта, в частности, содержание противоборства, его поле, мотивационная база конфликтного поведения участников и т.п.
Ситуация неполного разрешения конфликта порождает его возобновление на той же или на новой основе.

Разрешение конфликта следует отличать от его подавления, т.е. насильственного устранения одной или обеих сторон без ликвидации причин и предмета противоборства.

Не ведет к разрешению и так называемая отмена конфликта — это попытка избавиться от конфликта путем примирения или затушевывания, а не преодоления противоположностей, лежащих в его основе.

Сколь бы ни были разнообразны конфликты, процесс разрешения их характеризуется некоторыми общими чертами. Прежде всего, как этап более широкого управленческого процесса он осуществляется в рамках его необходимых условий и принципов, проанализированных ранее. Кроме того, ему присущи свои предпосылки, специфические этапы, стратегия и технология.

Предпосылки разрешения конфликта:

1. Достаточная зрелость конфликта, выражающаяся в видимых формах проявления, идентификации субъектов, манифестации ими своих противоположных интересов и позиций, в организации конфликтных групп и более или менее сложившихся способов противоборства.

2. Потребность субъектов разрешить конфликт и способность это осуществить.

3. Наличие необходимых средств и ресурсов для разрешения конфликта: материальных, политических, культурологических, наконец, человеческих.

Процесс разрешения любого конфликта складывается, как минимум, из трех этапов. Первый — подготовительный — это диагностика конфликта. Второй — разработка стратегии разрешения и технологии. Третий — непосредственная практическая деятельность по разрешению конфликта — реализация комплекса методов и средств.

Диагностика конфликта включает: а) описание его видимых проявлений (стычки, столкновения, кризисы и т.п.), б) определение уровня развития конфликта; в) выявление причин конфликта и его природы (объективной или субъективной), г) измерение интенсивности, д) определение сферы распространенности. Каждый из отмеченных элементов диагностики предполагает объективное понимание, оценку и учет основных переменных конфликта —

содержания противоборства, состояния его участников, целей и тактики их действия, возможных последствий.

Следует иметь в виду, что в процессе развития конфликта диапазон причин может расширяться, и появляющиеся новые причины могут приобретать существенное влияние, разработка стратегий разрешения конфликта осуществляется с учетом возможных моделей разрешения и принципов управления конфликтом. В зависимости от конкретной ситуации, вида конфликта, уровня его развития и степени интенсивности, предусматриваются различные стратегии. Если завершение конфликта предполагается осуществить в виде модели «победа—поражение», «выигрыш—проигрыш», то разрабатывается стратегия устранения одной из сторон, путем доведения борьбы до победного конца. В ситуации, когда возможна модель «победа—победа», «выигрыш—выигрыш», «взаимный выигрыш», прорабатывается стратегия разрешения конфликта путем взаимного преобразования сторон и на основе этого — обоюдного примирения. Ослабление конфликта, его преобразование, постепенное затухание — таковы моменты асимметричного решения конфликта. Наконец, в ситуации, при которой ни одна из сторон не может выиграть противоборство, а обе его проигрывают, оказывается целесообразной стратегия подавления конфликта, механического его устранения. Разнообразные модели разрешения конфликта формировались исторической практикой. Подчинение одной из враждующих сторон воле большинства, договор на основе добровольного согласия сторон или принуждения одной стороны другой, насильственная форма разрешения споров — эти формы исхода конфликтов известны веками.

Эффективное разрешение конфликта, т.е. разрешение при наименьших потерях ресурсов и сохранении жизненно важных общественных структур, возможно при наличии некоторых необходимых условий и реализации отмеченных принципов управления конфликтами. К числу первых конфликтологи относят: наличие организационно-правового механизма разрешения конфликтов; достаточно высокий уровень демократической культуры в обществе; развитая социальная активность главных слоев населения; наличие опыта конструктивного решения конфликтов; развитие коммуникативных связей; наличие ресурсов для осуществления системы компенсаций. Что касается принципов, то речь идет прежде всего о конкретном подходе к разрешению конкретных конфликтов. Конфликты, в которых противников разделяют непримиримые противоречия, и их разрешение может быть достигнуто только победой одной стороны над другой, существенно отличаются от конфликтов типа «дебатов», где возможен спор, возможны маневры, но в принципе, обе стороны могут достигнуть компромисса. Специфичны конфликты типа «игр», где стороны действуют в рамках одних и тех же правил, и разрешение проблемы здесь не ведет к ликвидации всей структуры связывающих их отношений. Требования своевременности, оперативности и гласности не менее важны для практики разрешения конфликта. Запущенный конфликт требует для своего разрешения больших ресурсов, ибо он обременен многими разрушительными последствиями. Отсутствие должной оперативности в воздействии на конфликтную ситуацию, кроме всего прочего, снижает эффективность применяемых методов работы. Игнорирование гласности, скрытые действия по ликвидации конфликта мешают мобилизации общественных сил на разрешение проблемы.

В отношениях между людьми неизбежно возникают трудности и конфликты, они являются естественной частью нашей жизни.

Широко распространены житейские соображения, что конфликты – это нечто неблагоприятное и опасное, что следует любой ценой их избегать и что хорошим отношениям между людьми свойственно полное отсутствие каких-либо конфликтов. В результате большой популярности подобных воззрений люди стараются скрывать свои конфликты от других и даже от самих себя. Таким образом, часть конфликтов существует во внутреннем, скрытом поле.

Нередко осуждение самого факта существования конфликтов и наивная вера в то, что можно прожить жизнь, ни разу ни с кем не конфликтуя, связаны с недостаточными разграничениями между самим конфликтом и способом его разрешения. А ведь существуют эффективные способы

разрешения конфликтов, вызванных различиями во взглядах, установках, несовпадениях целей и поступков. Они укрепляют взаимоотношения и тем необычайно ценны. Совместное успешное разрешение противоречий может сблизить людей больше, чем многие годы проведенные во взаимном обмене любезностями. Однако, наряду с этим есть и такие способы разрешения конфликтов, которые отравляют жизнь и разрушают даже устойчивые многолетние связи.

В целом, конфликты в сфере государственного управления играют важную роль. Они сигнализируют власти и обществу о существующих противоречиях, требующих своего разрешения, о несовпадении позиций граждан, о существующих разногласиях; заставляют власти пересматривать свои цели, решения, курс в целом; стимулируют действия, способные поставить ситуацию под контроль, преодолеть определенное возбуждение и трудности в управленческом процессе. Поэтому только непрерывное выявление и урегулирование конфликтов может считаться условием нормального развития общества и всех его институтов.

**Список литературы**

Бабосов Е.М. Основы конфликтологии. – Издательство «Амфея» г. Минск 2012 г. – 292 с.
Ворожейкин И.Е., Кибанов А.Я. Конфликтология. – Издательство «НИЦ ИНФРА-М» г. Москва 2021 г. – 301 с.
Кох И.А. Конфликтология. – Издательство «УГГЦ» г. Екатеринбург 2016 г. – 227 с.
Гришина Н.В. Психология конфликта. 2-е изд. – Издательство «Питер Пресс» г. Санкт-Петербург 2008. – 544 с.

## სახელმწიფო მმართველობის სფეროში არსებული კონფლიქტების მოგვარების გზები

**არტემ სიდორინი,**
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, სამართლის მაგისტრი,
საჯარო მმართველობის მაგისტრანტი
**ოთარ ქოჩორაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტის პროფესორი

### აბსტრაქტი

სტატიაში აღწერილია სახელმწიფო მმართველობის სფეროში არსებული კონფლიქტების პრობლემა, მათი მოგვარებისა და პრევენციის გზები. სტატიაში მოცემული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო მმართველობის სისტემაში რეფორმების დასანერგად. უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონფლიქტები საჯარო მმართველობის სფეროში. ისინი ხელისუფლებას და საზოგადოებას სიგნალს აძლევენ არსებულ წინააღმდეგობებზე, რომლებიც მათ მოგვარებას მოითხოვს, მოქალაქეთა პოზიციებს შორის შეუსაბამობის შესახებ, არსებული უთანხმოების შესახებ; აიძულებენ ხელისუფლება გადახედონ თავიანთ მიზნებს, გადაწყვეტილებებს, მთლიან კურსს; მოქმედებების სტიმულირება, რომლებსაც შეუძლიათ სიტუაციის კონტროლის ქვეშ მოქცევა, მართვის პროცესში გარკვეული მღელვარების და სირთულეების დაძლევა. აქედან გამომდინარე, მხოლოდ კონფლიქტების უწყვეტი გამოვლენა და გადაწყვეტა შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებისა და მისი ყველა ინსტიტუტის ნორმალური განვითარების პირობად.

**საკვანძო სიტყვები:** კონფლიქტი, ინტრაპერსონალური კონფლიქტი, კონფლიქტის მართვა, კონფლიქტის მოგვარება, კონფლიქტური სიტუაციის კონტროლი, კონფლიქტის პროაქტიული გადაწყვეტა, კონფლიქტის პრევენცია, პროდუქტიული კონფლიქტების სტიმულირება, კონფლიქტის დარეგულირების პრობლემა, კონფლიქტის ლეგიტიმაცია, კონფლიქტური ჯგუფების სტრუქტურირება, ორგანიზაციული წესრიგის გაუმჯობესება, კონფლიქტი გადაწყვეტა, კონფლიქტების დიაგნოსტიკა, კონფლიქტების ეფექტური გადაწყვეტა, კონფლიქტები საჯარო ადმინისტრაციაში.

## Methods of influence in the field of public administration

**Artem Sidorin,**
Master of Business Administration, Master of Law,
Master Student of Public Administration
**Otar Kochoradze,**
Professor, Georgian Technical University

**Abstract**

The article describes the problem of conflicts in the sphere of public administration, ways of their resolution and prevention. The recommendations given in the article can be used to introduce reforms in the public administration system. Conflicts in the sphere of public administration play an extremely important role. They signal to the authorities and society about the existing contradictions that require their resolution, about the discrepancy between the positions of citizens, about the existing disagreements; force the authorities to reconsider their goals, decisions, the course as a whole; stimulate actions that can put the situation under control, overcome certain excitement and difficulties in the management process. Therefore, only the continuous identification and resolution of conflicts can be considered a condition for the normal development of society and all its institutions.

**Keywords:** conflict, intrapersonal conflict, conflict management, conflict resolution, control of a conflict situation, proactive conflict resolution, conflict prevention, stimulation of productive conflicts, the problem of conflict regulation, conflict legitimization, structuring conflict groups, improvement of organizational order, conflict resolution, conflict diagnosis, effective conflict resolution, conflicts in public administration.

# ხელისუფლების და საზოგადოების როლი ასიმეტრიული ომის ახალ განზომილებაში

**ოთარ ბაღათურია,**
ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**ლიზა ამილახვარი,**
ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**აბსტრაქტი**

რუსეთის უკრაინაზე თავდასხმას დაახლოვებით ისეთივე შოკისმომგვრელი ეფექტი ჰქონდა საზოგადოებაში, როგორც თავის დროზე პირველი მსოფლიო ომის დაწყებას და ამავდროულად მოახდინა შეიარაღებული ძალებისა და ომის პერსპექტივისადმი ხელისუფლებათა და საზოგადოებათა დამოკიდებულების საკითხის აქტუალიზაცია.

„რუსული ბლიც-კრიგი" არ შედგა ხელისუფლების და საზოგადოების კონსოლიდაციის გამო.

დასავლური დახმარების მიღებამდე, გადამწყვეტ როლს თამაშობდა ტერიტორიული თავდაცვა ანუ შეიარაღებული და თვითორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოება, რომელმაც ომი ასიმეტრიულ, ქსელცენტრულ განზომილებაში გადაიყვანა.

SI VIS PACEM, PARA BELLUM – ცნობილი რომაული მაქსიმა კვლავ აქტუალურია. ნებისმიერი ხელისუფლების უმთავრესი საზრუნავი ამოცანა არის ქვეყნის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტის სუბიექტობის უზრუნველყოფა, რაც პირველ რიგში მოიაზრებს ქვეყნის უსაფრთხოებასა და თავდაცვისუნარიანობას.

პოსტინდუსტრიული ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში განსხვავებით ინდუსტრიულისგან კვლავ აქტუალურია ტექნოლოგიური ინსტრუმენტით და უნარჩვევებით აღჭურვილი შეიარაღებული მოქალაქეების ენთუზიაზმი, თვითორგანიზების უნარი და ინიციატივა.

პატარა და არც თუ ისე მდიდარ ქვეყნებს საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შერჩევისას არც ნეიტრალიტეტის ფუფუნება აქვთ, არც მთლიანად პროფესიული შეიარაღებული ძალების და არც (რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს) ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის.

**საკვანძო სიტყვები:** ასიმეტრიული ომი, ქსელ-ცენტრული ომი, ხელისუფლება და საზოგადოება, ნეიტრალიტეტი, პაციფიზმი, პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაცია.

**შესავალი**

რუსეთ - უკრაინის ომმა მოახდინა შეიარაღებული ძალებისა და ომის პერსპექტივისადმი ხელისუფლებათა და საზოგადოებათა დამოკიდებულების საკითხის აქტუალიზაცია. გარკვეული თვალსაზრისით რუსეთის უკრაინაზე თავდასხმას დაახლოვებით ისეთივე შოკისმომგვრელი ეფექტი ჰქონდა დასავლურ საზოგადოებაში, როგორც თავის დროზე პირველი მსოფლიო ომის დაწყებას.

საყოველთაო კეთილდღეობაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში ძალიან რთული იყო იმის წარმოდგენა, რომ ევროპაში სრულმაშტაბიანი სისხლისმღვრელი ომი გაჩაღდებოდა.

ნიშანდობლივია, რომ რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის შესაძლებლობის, სადაზვერვო მონაცემების მიუხედავად, თითქმის არავის სჯეროდა. მითუმეტეს არავინ მოელოდა, რომ უკრაინა შეძლებდა აგრესორის შეკავებას.

„რუსული ბლიც-კრიგი" არ შედგა სწორედ ხელისუფლების სიმტკიცის და საზოგადოების ნების, მათი კონსოლიდაციის გამო.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზოგიერთი უკრაინელი სამხედრო მეთაურის ზემდგომებისგან ბრზანების გარეშე გატარებული პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც კარიერისა და ტრიბუნალის ფასად შეიძლება დაჯდომოდათ მათ ომი, რომ არ დაწყებულიყო.

სამოქალაქო გამბედაობის და სამშობლოსათვის თავგანწირვის საფუძველი სწორედ საზოგადოების კონსოლიდაციაში მდგომარეობდა, აგრესიის პირველ საათებში აღნიშნულს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

მომდევნო დღეების და კვირების მანძილზე, დასავლური დახმარების მიღებამდე, გადამწყვეტ როლს თამაშობდა ტერიტორიული თავდაცვა ანუ შეიარაღებული და თვითორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოება, რომელმაც ომი ასიმეტრიულ, ქსელცენტრულ განზომილებაში გადაიყვანა.

**ხელისუფლების და საზოაგდოების როლი უკრაინაში**

2014 წლამდე უკრაინაში არსებულმა უბლოკო სტატუსმა არ დააზღვია იგი რუსეთის მხრიდან მტრული ქმედებებისგან, არადა სწორედ ის ფაქტი, რომ ბუდაპეშტის მემორანდუმიდან გამომდინარე ვერც ხელისუფლებას და ვერც საზოგადოებას ვერ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იყო ომი ოცდამეერთე საუკუნის ევროპაში, გახდა მიზეზი შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო-სამრეწველო სექტორის დეგრადაციისა. აგრეთვე, რუსეთის თავდასხმის პირველ ეტაპზე, ყირიმის ანექსიის მიზეზი სწორედ უბლოკო სტატუსი და ომისადმი დამოკიდებულება გახდა. უკრაინა სამხედრო ძალების მოდერნიზაციაში ჩართული რომ ყოფილიყო, რეგულარულად ეწარმოებინა სამხედრო წვრთნები, საზოგადოება, მთავრობა და შეიარაღებული ძალები თუნდაც წმინდად ჰიპოთეტური ომისადმი რეგულარული მზადების პროცესში ყოფილიყო, ვერავითარი „მწვანე კაცუნები" ან „თავაზიანი ადამიანები ვერ შეძლებდნენ გარნიზონების ბლოკირებას და „მშვიდობიან" ანექსიას.

დასკვნა: პაციფიზმი და ნეიტრალიტეტი შეუთავსებელია, უფრო მეტიც, ნეიტრალიტეტი ბევრად ძვირია და არ იცავს აგრესორისგან.

ყირიმის ანექსია იყო შოკი, როგორც უკრაინისთვის, ისედასავლეთისთვის, რომელმაც ჯერ, როგორც საზოგადოების, ასევე ხელისუფლების პარალიზება გამოიწვია, ხოლო შემდგომ გამოფხიზლება.

2014 -2015 წწ. უკრაინის ხელისუფლება და საზოგადოება: ჯერ დაბნეულია, შემდეგ ცდილობს რეაგირებას, და რეაგირებს უმეტესწილად სტიქიურად და კოორდინაციის გარეშე, ხოლო ის, რომ ხარკოვიდან ოდესამდე რამდენიმე ოლქი ერთიანად არ მოექცა ყბადაღებულ „ნოვოროსიაში" და კონფლიქტი მხოლოდ „ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების ცალკეული რაიონებით" შემოიფარგლა, იყო არა მხოლოდ, და შესაძლოა არა იმდენად შეიარაღებული ძალების, ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების, სპეციალური სამსახურების ძალისხმევის, არამედ მოხალისეთა, ანუ საზოგადოების პასიონარული ნაწილის რეაქციის, თვითორგანიზების და ქმედების შედეგი.

უკრაინის შეიარაღებული ძალები და სახელმწიფოებრიობა კატასტროფისგან იხსნა საზოგადობამ. ამის შემდგომ უკვე ჩნდება იმედი, რომ ბრძოლა შეიძლება, ამავდროულად არის

გამოცდილება, რომ უბრძოლველად (ან საომარი მზაობის, მორალური და მატერიალური მზაობის გარეშე) დიპლომატიას აზრი არ აქვს და იწყება საზოგადოების მილიტარიზაცია.

2019 წელს, უკრაინა, ზელენსკის სახით ირჩევს მშვიდობას და შერიგებას, როგორც რუსეთთან ისე „ამბოხებულებთან“ (როგორც დობრობატების ერთმა მეთაურმა აღნიშნა: ჩვენ მხარეს ორ კაცზე სამი დიპლომი მოდის, ხოლო იქეთ ორზე სამი ნასამართლობა), თუმცა არა უკრაინული ტერიტორიების, ღირსების ან სუვერენიტეტის ხარჯზე, რაც ნათლად გამჟღავნდა 2022 წლის თებერვალში. ხელისუფლება და საზოგადოება კონსოლიდირებულია ომის დაწყების მომენტიდანვე, თუმცა, თვით საზოგადოების კონსოლიდაცია ბევრად უფრო ადრე მოხდა, და მან მხოლოდ გამოხატულება მიიღო. უკრაინა მხარს დაუჭერდა შერიგების თემასაც, შერიგება რომ ღირსების და ტერიტორიების დათმობის ხარჯზე არ ყოფილიყო, მაგრამ უკრაინა ასევე, მზად აღმოჩნდა მხარი დაეჭირა ომისთვისაც, თუ სახელმწიფოებრიობას საფრთხე შეექმნებოდა. უკრაინის ხელისუფება და საზოგადოება კონსოლიდირებულია სახელმწიფოებრიობისა და თვითგადარჩენისათვის ბრძოლაში, არა თავდასხმის გამო, არამედ იბრძვის და იგერიებს თავდასხმას, ახერხებს ამას, იმიტომ რომ აღმოაჩნდა მორალური ძალები, და იმიტომ რომ კონსოლიდირებული იყო თავდასხმის მომენტისთვის.

**ხელისუფლებისა და საზოგადოების როლი საქართველოში**

განსხვავებით უკრაინისგან, საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემე ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების შეჯახების ზონაშია. ქართულ საზოგადოებაში სულ იყო სამხედრო განგაშის განცდა, მაგრამ საზოგადოება იყოფოდა ორ ნაწილად: ერთნი ხედავდნენ სამხედრო საფრთხეებს და მზად იყვნენ ებრძოლათ, მეორენი კი „ხედავდნენ“ რომ საფრთხე მოდის დაუძლეველი ძალის მქონე მოწინააღმდეგისგან და ბრძოლას, როგორც მეთოდს არ განიხილავს, ანუ ერთგვარი იძულებითი პაციფიზმის ზონაში იმყოფება.

1992-93 კონსოლიდაციის და გახლეჩის წინააღმდეგობრივ პროცესს, აგრეთვე ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროცესებთან ერთად, წინა პლანზე გამოჰყავს ერთგავარდ პასიონარული ელემენტი, რომლის არსებობასაც, ხელისუფლების საერთო სიუსტის ფონზე ქვეყანა ფაქტობრივად ფეოდალიზმისკენ მიყავს.

2003 წლის ვარდების რევოლუციიდან ადგილი აქვს ოთხმოცდაათიანი წლების შუახანებიდან დაწყებული „სახელმწიფოს დაბრუნების“ პროცესის ფორსირებულ აქსელერაციას, რასაც კვლავ წინააღმდეგობრივი შედეგებისკენ მიჰყავს ქვეყანა. ხელისუფლების როლი მაღალია, საზოგადოების მინიმალური, საზოგადოება ისევ გახლეჩილია, შედეგად 2008 წლის ომი მთლიანად ხელისუფლების და შეიარაღებული ძალების მხრებზე გადადის, საზოგადოება კი პროცესში ვერ ერთვება სამი მიზეზის გამო:

1. საზოგადოების გახლეჩილობა;
2. მოვლენების განვითარების (ომის დაწყების და დამთავრების) სისწრაფე;
3. ხელისუფლების მხარდამჭერთა მხრიდან ხელისუფლების უნარების (ყველაფერი იციან, ყველაფერი შეუძლიათ, ჩვენ მაინც არაფერი გვეკითხება) მაღალი ნდობა და იმედი, ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა „დასწავლილი უმწეობა“, წელში გატეხილობა და უიმედობა.

2012 წლის ხელისუფლების ცვლილებას მოჰყვა ვექტორის თანდათანობითი ცვლილებაც. საზოგადოების ერთ ნაწილში არსებობდა იმდენად ბუნდოვანი, რამდენადაც უსაფუძვლო იმედი რომ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენით შესაძლებელი იქნებოდა ქვეყნის წინაშე არსებული პრობლმების გარკვეული კატეგორიის დარეგულირება. საზოგადოების მეორე ნაწილი კი თავიდანვე სკეპტიკურად (არც თუ უსაფუძვლოდ) იყო განწყობილი აღნიშნული მოლოდინების მიმართ.

საზოგადოება კვლავ გახლეჩილია, სახეზეა მძაფრი პოლიტიკური პოლარიზაცია. თუმცა, იმედის მომცემად განათდა „გავრილოვის ღამე“. 2019 წელს საქართველო მომსწრე გახდა ახალი პოსტსოციალისტური პოლიტიკური თაობის დაბადების.

არსებულ ვითარებაში სახელმწიფოს წინაშე პერსპექტიულ გამოწვევად კვლავ რუსეთი რჩება საფრთხედ. რუსეთის უკრაინაში რაიმე ფორმით გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ სახელმწიფოებრიობას საერთოდ ეცლება დაცვის პერსპექტივები. უკრაინის გამარჯვების შემთხვევაში არსებობს ალბათობა რუსეთის მხრიდან უკრაინაში მარცხის საქართველოში გამარჯვებით კომპენსირების მცდელობის.

საფრთხეთა შორის უნდა განვიხილოთ აგრეთვე რუსეთის დაშლის სცენარი (გასაგებია, რომ ნიშნების და თუნდაც მიზეზების არსებობა არ იძლევა პროცესის განვითარების ზუსტი პროგნოზირების საშუალებას, მაგრამ სახეზეა დესუვერენიზაციის დასაწყისი, ძალადობის მონოპოლიის დაკარგვა, ომის წარმოების გატანა აუთსორსინგზე და ა.შ.); მსგავსი სცენარის განვითარების შემთხვევაში საფრთხეთა მასშტაბი კლებულობს, მაგრამ რაოდენობა მატულობს.

ამა თუ იმ რისკის მინიმილაურობის შემთხვევაშიც კი, სახელმწიფო უნდა აფასებდეს საფრთხეთა რეალიზაციის ალბათობებს, პრევენციულად ემზადებოდეს და ქმნიდეს პროტოკოლს მისი მოულოდნელი გააქტუალურებისას სამოქმედოდ. სახელმწიფო უნდა ეძებდეს მოკავშირეებს და აღრმავებდეს არსებულ ურთიერთობებს (და არა პირიქით).

საზოგადოება უნდა ითხოვდეს ხელისუფლებისგან სათანადო მზაობას (თუ ხელისუფლება არ იჩენს მა), არ იფარგლებოდეს მოთხოვნით და დამოუკიდებლად, თვითორგანიზების წესით ემზადებოდეს (მაგალითად როგორც უკრაინაში 2014 წლიდან, ან ისრაელში დამოუკიებლობის გამოცხადებამდე).

**პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაცია სამხედრო მეცნიერებაში**

უკრაინის ომმა არა მხოლოდ გამოავლინა პაციფიზმის და ნეიტრალიტეტის შეუთავსებლობა, არამედ წარმოშვა პოსტინდუსტრიული ომის ფენომენიც კერძოდ „ქსელ-ცენტრული“, ომი, რომელმაც თავის მხრივ, უკვე ბიძგი მისცა სამხედრო დოქტრინების გადასინჯვის დაწყებას სამხედრო მეცნიერებაში. კერძოდ :

SSI - სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი პოლკოვნიკ მაქსიმილიან ბრენერის და დოქტორ კელი გრეკოს სტატიაში „The Air Littoral: Another Look“ ასახულია თანამედროვე ომის წარმოების ტაქტიკის ცვლილება რუსეთ - უკრაინის ომის მაგალითზე, ეგრეთწოდებული პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაცია.

უკრაინის ომმა წარმოაჩინა არა მხოლოდ დასავლური შეიარაღების და მართვის სისტემების უპირატესობა, არამედ, აგრეთვე წინა პლანზე წამოწია შეიარაღებული მოქალაქეების კერძო ინიციატივის მნიშვნელობა, რაც „ქსელ-ცენტრული“ ომის აუცილებელი პირობაა.

**დასკვნა**

SI VIS PACEM, PARA BELLUM – ცნობილი რომაული მაქსიმა კვლავ აქტუალურია. ნებისმიერი ხელისუფლების უმთავრესი საზრუნავი ამოცანა არის ქვეყნის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტის სუბიექტობის უზრუნველყოფა, რაც პირველ რიგში მოიაზრებს ქვეყნის უსაფრთხოებასა და თავდაცვისუნარიანობას.

პოსტინდუსტრიული ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში განსხვავებით ინდუსტრიულისგან კვლავ აქტუალურია ტექნოლოგიური ინსტრუმენტით და უნარჩვევებით აღჭურვილი შეიარაღებული მოქალაქეების ენთუზიაზმი, თვითორგანიზების უნარი და ინიციატივა.

პატარა და არც თუ ისე მდიდარ ქვეყნებს საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის შერჩევისას არც ნეიტრალიტეტის ფუფუნება აქვთ, არც მთლიანად პროფესიული შეიარაღებული ძალების და არც (რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს) ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ანჩაბაძე, გიორგი (2002) *სამხედრო ისტორია. ლექციების კურსი.* სომა პრეს. http://eprints.iliauni.edu.ge/1978/1/Anchabadze.%20samxedro%20istoria.pdf
2. Information warfare in the air littoral: Talking with the world https://www.atlanticcouncil.org/content-series/airpower-after-ukraine/information-warfare-in-the-air-littoral-talking-with-the-world/
3. The Air Littoral: Another Look https://press.armywarcollege.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3092&context=parameters

# The Role of Government and Society in the New Dimension of Asymmetric Warfare

**Otar Baghaturia,**
Associate Professor, Ph.D
Georgian Technical University
**Liza Amilakhvari,**
Associate Professor, Ph.D
Georgian Technical University

**Abstract**

Russia's attack on Ukraine had almost as much of a shock effect on society as the outbreak of the World War I, and at the same time, it actualized the issue of the attitude of the authorities and society towards the armed forces and the perspective of the war.

"Russian blitzkrieg" failed as the result of the consolidation of the authorities and society.

Prior to the receipt of Western aid, territorial defense or an armed and self-organized civil society played a decisive role, which brought the war into an asymmetric, network-centric dimension.

SI VIS PACEM, PARA BELLUM – the famous Roman maxim is still relevant.

The most crucial task of any government is to ensure the subjectivity of the country as a subject of international relations, which primarily considers the security and defense of the country.

In the era of post-industrial digital transformation, in contrast to the industrial one, enthusiasm, the ability to self-organize and the initiative of armed citizens equipped with technological tools and skills are still relevant.

Small and not very rich countries, when choosing a foreign policy strategy, do not have the luxury of either neutrality, or fully professional armed forces, or (paradoxically) technological backwardness.

**Keywords:** asymmetric warfare, network-centric warfare, authority and society, neutrality, pacifism, post-industrial transformation.

# კრეატიული განათლება - ოცდამეერთე საუკუნის აუცილებლობა

**გუგული ყურაშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**თინათინ აბრალავა,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**აბსტრაქტი**

ინოვაციური ეკონომიკის პირობებში მმართველობითი მეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს კრეატიული მენეჯმენტი, რომელიც ტექნოლოგიური ინოვაციების ცვლის ტემპების დაჩქარების პირობებში ასახავს თანამედროვე დარგებისა და საწარმოების მართვის სპეციფიკურ ასპექტს. კრეატიული მენეჯმენტის საფუძველს წარმოადგენს კრეატიული აზროვნება. სწორედ აზროვნების ასეთი ტიპი უნდა ახასიათებდეს კრეატიული ტიპის მენეჯერებს. კრეატიულობის მთავარ განმასხვავებელსა და დამახასიათებელს წარმოადგენენ ადამიანის შესალებლობები აღმოაჩინონ პრობლემატური ამოცანების გადაწყვეტის ახალი გზები და საშუალებები, უნარები - უარი თქვან აზროვნების წესებისა და საშუალებების სტეროტიპებზე. ანუ „კრეატიულობის" დახასიათების წინა ხაზზე გამოდის არასტანდარტული აზროვნების ნიშანთვისება, უნარი - ახლებურად შეხედოს არსებულ და ცნობილ სინამდვილეს. კრეატიულობა ამა თუ იმ სახითა და ხარისხით დამახასიათებელია ადმიანებისათვის, რომლებიც თავიანთ მოღვაწეობას ანხორციელებენ საზოგადოების სხვადასხვა სფეროებში, სექტორებში და დარგებში. კრეატიულობის" გაგების გამოკვლევასთან ერთად, არც თუ იშვიათად გამოიყენება სხვა გაგებას. სახელდობრ კი „მმართველობითი კრეატიულობა". მმართველობითი კრეატიულობის საფუძველს წარმოადგენს მენეჯერის კრეატიული აზროვნება, გაგებული როგორც საშუალება განსხვავებული, სხვადასხვა სახის აზრობრივი კომბინაციების დახმარებით შექმნას ინოვაციური იდეები, ცოდნები, ინსტრუმენტები და მეთოდები, მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტიანობის ამაღლებას.

**საკვანძო სიტყვები**: კრეატიული მენეჯმენტი, სტეროტიპი, კრეატიული განათლება, საქმიანი ქცევა, კრეატიული მენეჯერი, კრეატიული საქმიანობა, კრეატიული ნიჭი,

## ძირითადი ტექსტი

მართვის განვითარების თანამედროვე ტენდენციები წარმოშობს მენეჯერისადმი ახალ მოთხოვნებს. წარსულში ხელმძღვანელებისათვის მეტად დამახასიათებელი იყო სწრაფვა მკაფიო შემსრულებლობისადმი. კარგ ხელმძღვანელად ითვლებოდა ის, რომელმაც იცოდა ზემდგომი ინსტანციების განკარგულებების, ნორმატივების, ინსტრუქციების შესრულება, შეესაბამებოდა საქმიანი ქცევის მიღებულ ტიპებს. შემდგომში დაფასდა მენეჯერის დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებლობა კარგი თვისებაა, თუმცა ის ასევე შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს. განასხვავებენ: დამოუკიდებლობას შესრულებაში; დამოუკიდებლობას მიზან-მიმართულ განვითარებაში; ინიციატივიან დამოუკიდებლობას; საქმიანი ქცევის განსაზღვრული კონცეფციით შეზღუდულ დამოუკიდებლობას; გამოცდილების დამოუკიდებ-ლობას; ძიების დამოუკიდებლობას.

არსებობს ***კრეატიული მენეჯერი*** ანუ ***კვლევითი და სტრატეგიული ტიპის მენეჯერი.***

რაშია მისი თავისებურება? ყოველი მენეჯერი თავის მუშაობაში ავლენს ინდივიდუალობის ნიშნებს, თუმცა ყოველთვის არსებობს რაღაც საერთო, რომელიც განისაზღვრება საქმიანობის თავისებურებებითა და იმ პირობებით, რომლებშიც ის ხორციელდება. მართვის თანამედროვე პირობა არის ახალი იდეების გენერაციის, კვლევების, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილების რეალიზება ხდება სხვადასხვა გამოვლინებით: მართვის ორგანიზაციაში, მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავების მეთოდოლოგიაში, ფირმის რესტრუქტურიზაციაში, ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბებაში და სხვ. მაგრამ ამ მოთხოვნილების რეალიზების ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს ***კრეატიული მენეჯერი.*** მისი თავისებურებაა გაძლიერებული ყურადღება კვლევითი მიდგომისადმი გარე და შიგა სიტუაციების შეფასებაში, სტრატეგიული მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებაში განუსაზღვრელობისა და კონკურენციის პირობებში.

კრეატიული განათლების ცნების გამოყენებისას საჭიროა ფრთხილი დამოკიდებულება, თუმცა ცნებები „კრეატიული საქმიანობა“, „კრეატიული ნიჭი“, „კრეატიული განათლება“ დღეს უკვე ფართოდ გამოიყენება როგორც დასავლეთის, ისე ქართულ მეცნიერულ აზროვნებაში და აქვს სავსებით კონკრეტული და მეტად მნიშვნელოვანი პრაქტიკული შინაარსი. ბევრ ქვეყანაში, კერძოდ, დიდ ბრიტანეთში, ზოგიერთ ბიზნესსკოლაში ტარდება მენეჯერთა სპეციალური მომზადება კრეატიული მენეჯმენტის პროგრამით.

დიდი ხანია ცნობილია, რომ განათლება საფუძველს უყრის წარმატების პოტენციალს სპეციალისტის შემდგომ პროფესიულ საქმიანობაში. განათლების პროცესში ყალიბდება აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების, პროფესიონალური მიზანდასახულობების კომპლექსი, მზადყოფნა საქმიანობის განსაზღვრული სახეებისადმი და მისი როლური სტრუქ-ტურისადმი. განათლება განსაზღვრავს ამა თუ იმ უნარების განვითარების დონეს და ახდენს სპეციალისტის ინდივიდუალობისა თუ პიროვნული ნიშნების კორექტირებასა და ჩამოყალიბებას. განათლება მისი სახეების, შინაარსის, ფორმების, ხანგრძლივობის, მიზანდასახულობის, მეთოდების მიხედვით შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. აქ არ ჩამოვ-თვლით განათლების ზოგად და დეტალურ კლასიფიკაციას, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის მეტად სასარგებლო საქმე განათლების განვითარების თანამედროვე ტენდენციების გააზრებაში. ჩვენ სხვა ამოცანა გვინდა დავსახოთ - გავხსნათ თანამედროვე მენეჯერის განათლების იმ სახეების შინაარსი, რომლებიც დღეს არის ყველაზე აქტუალური და პერსპექტიული და განსაზღვრავს თანამედროვე მენეჯერის კვლევით პოტენციალს.

ასეთ სახეებს წარმოადგენს კრეატიული, უწყვეტი, ფუნდამენტურ-პრაქტიკული, საქმიანობის ხარისხსზე ორიენტირებული, წინმსწრები (პერსპექტიული) განათლება. თითო-ეული ამ სახეთაგანი მოითხოვს სპეციალურ კვლევას. მაგრამ ცენტრალური ადგილი მათ შორის უკავია კრეატიულ განათლებას. ის ინტეგრირებს ყველა სხვა სახეს, აერთიანებს მათ მენეჯერის პროფესიული ჩამოყალიბებისა და დამკვიდ-რების მეტად მნიშვნელოვანი, პოზიტიური მახასიათებ-ლების კომპლექსში.

***კრეატიული განათლება*** **არის განათლება, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებაზე, მის პროფესიულ ცნობიერებაში ინოვაციის დასახულობის განმტკიცებაზე, რაც მოიცავს პრობლემებისა და საქმიანობის ვარიანტების ანალიზს.** ესაა განათლება, რომელიც წაახალისებს სინამდვილის დამოუკიდებელ გააზრებას, ინდივიდუალობის თვითშემეცნებას, ცოდნის გადაქცევას აზროვნებისა და თვითგანვითარების პოტენციალად. კრეატიული განათლება წარმოადგენს ალტერნატივას რეპროდუქციული, უპირატესად პრაგმატული განათლებისა, „გამოცდილების ცოდნის“, ნორმატიული

(საშემსრულებლო) განათლებისა. კრეატიული განათლება მიმართულია მართვის ხელოვნების დამკვიდრებასა და განვითარებაზე, რომელიც წარმოიშობა და ვლინდება მხოლოდ განსაზღვრულ გარემოებებსა და განათლების განსაზღვრულ პირობებში.

კრეატიული განათლება აფართოვებს განვითარების პრობლემების ხედვისა და მათი გადაჭრის ვარიანტების დაპროექტების დიაპაზონს. ის მთავარი უნდა იყოს თანამედროვე მენეჯერის საქმიანობაში და უზრუნველყოს მისი წარმატება კონკურენტული ბრძოლის პირობებში, ეკონომიკური კონიუნქტურის მოულოდნელი ცვლილებების დროს ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებისა და დროის შემჭიდროვების პროცესებში, თანამედროვე ადამიანის სოციალურ-ფსიქოლოგიური სტრუქტურის გართულებისას, ცხოვრების ნირის კარდინალური ცვლილებისას ურბანიზაციის პროცესის, საინფორმაციო აფეთქების, სხვადასხვა დანიშნულების ტექნიკური საშუალებების ზემოქმედებით.

თანამედროვე მენეჯერი სულ უფრო მეტწილად უნდა გახდეს შემოქმედი, მკვლევარი, ინიციატორი, შთამაგონებელი. შემთხვევითი არ არის, რომ, მაგალითად, იაპონიაში მენეჯერი ითვლება არა უფროსად, არამედ მასწავლებლად, და მის მიერ მართული ადამიანები განიხილება (და თავადაც ასე მიაჩნიათ) მიმდევრებად და არა ხელქვეითებად. მხოლოდ შემოქმედს შეუძლია სათავეში ჩადგომა. მაგრამ ასეთ შემოქმედად მენეჯერი უნდა იქცეს განათლების პროცესში. ამაში შეიძლება იყოს „განათლებისა“ და „მომზადების“ ცნებების განსხვავება. მენეჯერი უნდა მომზადდეს განსაზღვრული საქმიანობისათვის.

აუცილებელია პირობების შექმნა კრეატიული მენეჯმენტის ჩამოსაყალიბებლად. კრეატიული მენეჯმენტის კონცეფცია წარმოადგენს რთულ და მრავალასპექტიან სისტემას (იხ. ნახ. 1.3.1).




**ნახ. 1. კრეატიული მენეჯმენტის კონცეფცია**

მენეჯერი უნდა ჩამოყალიბდეს, „შეიქმნას“ როგორც შემოქმედი, რომელსაც შეუძლია დაინახოს, ამოიცნოს, გაიგოს და გადაჭრას თანამედროვე პრობლემები. მაგრამ როგორი უნდა

იყოს განათლება? დღეს განა ყოველთვის ვახდენთ საგანმანათლებლო პროცესის ორიენტირებას მენეჯერის ამ როლურ პოზიციაზე? რა შეიძლება გაკეთდეს და შეიცვალოს თანამედროვე განათლებაში, რათა ის პასუხობდეს ეფექტიანი, შემოქმედებითი და პერსპექტიული მე-ნეჯმენტის მოთხოვნილებებს? ესაა იმ საკითხთა წრე, რომლებიც ახასიათებს მენეჯერის კრეატიული განათლების პრობლემას.

ამგვარი პრობლემის წამოჭრისას აღსანიშნავია, რომ ეს არ არის მხოლოდ პირვანდელი უმაღლესი განათლების პრობლემა. მას აქვს ყველა სახის განათლებისათვის საერთო შინაარსი და გამჭოლი ხასიათი. მეორე, დამატებითი და საკვალიფიკაციო განათლების სისტემაში მას აქვს არანაკლები, თუ არა მეტი მნიშვნელობა. აქ პროფესიული ცნობიერების ჩამოყალიბება ხდება არა „სუფთა ფურცლიდან", არამედ გარკვეული დამკვიდრებული კონსერვატიული დასახულობების, ნეგატიური ჩვევების, პრაგმატული უნარების „ნგრევის" საფუძველზე. განათლების ასაკი ართულებს ამ პროცესებს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ შემოქმედებითი მართვა ჯგუფის კოლექტიურ შემოქმედებაზე დაყრდნობით ყოველთვის უფრო რთულია. კრეატიული მენეჯმენტი იწყება კრეატიული განათლებით, სადაც არ უნდა განხორციელდეს ის - უნივერსიტეტსა თუ ბიზნესსკოლაში, თვითგანათლების პროცესში თუ პრაქტიკულ საქმიანობაში.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. გ. ყურაშვილი, ი. ბარათაშვილი, კრეატიული მენეჯმენტი, თბ. 2021
2. აბრალავა ა. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები", თბ., „უნივერსალი" 2014.
3. ჯოლია გ. კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა ქმედება (2016)
4. ემოციური ინტელექტი, 10 ნაშრომი ჰარვარდ ბიზნეს რევიუდან ბიზნეს ლიტერატურა, თბ. 2018.
5. საკუთარი თავის მართვა, 10 ნაშრომი ჰარვარდ ბიზნეს რევიუდან, ბიზნესლიტერატურა, თბ. 2018.
6. დევიდ ალენი, საქმესთან გამკლავების ხელოვნება, თბ. 'პალიტრა", 2015
7. S. Routines and creativity: From dualism to duality. Organization Science, (June), 739– 758. (2016).
8. Mihaly Csikszentmihalyi-The Systems Model of Greativity, Springer, 2019

**Creative education - a necessity of the twenty-first century**

**Guguli Kurashvili,**
Professor, Georgian Technical University
**Tinatin Abralava,**
Professor, Georgian Technical University

**Abstract**

In the conditions of the innovative economy, the most important strategic direction of the development of management sciences is creative management, which reflects the specific aspect of management of modern industries and enterprises in the conditions of accelerating the pace of technological innovations. Creative thinking is the basis of creative management. This type of thinking should characterize creative managers. The main distinguishing feature of creativity is the ability of a person to discover new ways and means of solving problematic tasks, the ability to reject stereotypes of rules and means of thinking. That is, the characteristic of non-standard thinking, the ability to look at the existing and known reality in a new way, is at the forefront of the characterization of "creativity". Creativity in one form or another is characteristic of people who work in different spheres, sectors and fields of society. Along with the investigation of the understanding of creativity, other understandings are not infrequently used. Namely "management creativity". The basis of managerial creativity is the manager's creative thinking, understood as a way to create innovative ideas, knowledge, tools and methods, mechanisms that ensure the effectiveness of socio-economic development of the organization with the help of different combinations of ideas.

**Keywords:** creative management, stereotype, creative education, business behavior, creative manager, creative activity, creative talent.

# საქართველო როგორც ტოლერანტობისა და მშვიდობის ზონა

**ირინა ბენია,**
თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**აბსტარქტი**

კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის პატივისცემის, დიალოგისა და თანამშრომლობის აუცილებლობის შეხსენებად გვევლინება ტოლერანტობის საერთაშორისო დღე, რომლის ყოველწლიურად აღნიშვნა გაეროს გენერალური ასამბლეის ინიციატივით 1996 წელს დაიწყო. ერთი წლით ადრე ამ ინიციატივას წინ უძღოდა იუნესკოს მიერ 16 ნოემბერს ტოლერანტობის პრინციპების შესახებ დეკლარაციის მიღება.

გაეროს გადაწყვეტილებით ტოლერანტობის საერთაშორისო დღე 16 ნოემბერს აღინიშნება და ხაზს უსვამს იმ პრინციპის მნიშვნელობას, რაც ჩვენი ყოველდღიური ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს.

ცივილიზებული საზოგადოების მთავარი ღირებულებაა ადამიანი, მისი ღირსება და უფლებები. თითოეულ ადამიანს საკუთარი იდენტობა გააჩნია, რასაც განსაზღვრავს მისი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილება, ტრადიცია, მრწამსი. შესაბამისად, ტოლერანტობა ადამიანის იდენტობის პატივისცემას და ზოგადად, თანასწორობაზე დაფუძნებული გარემოს ხელშეწყობას გულისხმობს. საქართველოს გამორჩეული ადგილი უკავია მსოფლიოში ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურული მრავალფეროვნების თვალსაზრისით და გააჩნია ტოლერანტულ გარემოში მშვიდობიანი თანაცხოვრების უნიკალური, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. დღეს ჩვენი ამოცანაა გავამყაროთ ეს ტრადიცია და ამ საძირკველზე დავაშენოთ მომავალი, სადაც ყველა მოქალაქე, განურჩევლად ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა, თანასწორია და ჩართულია ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში. ევროსტრუქტურებთან ჩვენი ინტეგრაცია კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებისა და განმტკიცების ხელშეწყობას გულისხმობს, რაც სტაბილური დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პრინციპებზეა დაფუძნებული საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა, რაც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა იდენტობისა და უფლებების დაცვას, განვითარებისათვის თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფას და ამავდროულად, წარმატებული სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერას.

**საკვანძო სიტყვები** - ტოლერანტობა, თანასწორობა, სამოქალაქო ინტეგრაცია, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება, იდენტობა.

## Georgia as a zone of tolerance and peace

**Irina Benya,**
Associate Professor, Tbilisi Humanitarian University

**Abstract**

The International Day of Tolerance is a reminder of the need for respect, dialogue and cooperation between cultures and civilizations. A year earlier, this initiative was preceded by UNESCO's adoption of the Declaration on Principles of Tolerance on November 16.

According to the decision of the United Nations, the International Day of Tolerance is celebrated on November 16 and emphasizes the importance of the principle that is the basis of our daily relations.

The main value of a civilized society is a person, his dignity and rights. Each person has his own identity, which is determined by his ethnic or religious affiliation, tradition, belief. Consequently, tolerance implies respect for human identity and the promotion of an environment based on equality in general. Georgia occupies a unique place in the world in terms of ethnic, religious and cultural diversity and has a unique, centuries-old tradition of peaceful coexistence in a tolerant environment. Today, our task is to strengthen this tradition and build a future on this foundation, where all citizens, regardless of ethnic or religious affiliation, are equal and involved in all spheres of the country's life. Our integration with European structures means promoting the establishment and strengthening of the rule of law, protection of human rights, tolerant environment, which is the most important prerequisite for building a stable democratic state. The state policy of Georgia is based on the principles of civil equality and integration, which means protecting the identity and rights of representatives of ethnic minorities, providing a free environment for development and, at the same time, supporting the process of successful civil integration.

**Keywords -** Tolerance, equality, civic integration, cultural and religious diversity, identity.

# სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტები

**გრიგოლ აბრალავა,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტული მიართულებაა ადამიანის, მომუშავისა და ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება.

ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით საუბარია სიცოცხლის ხანგრძლივობის, შრომის ანაზღაურების, მოსახლეობის სოციალური დაცვის პარამეტრებზე და ა.შ. ადამიანის, როგორც მომუშავის საქმიანობის ანალიზი დაკავშირებულია მისი შრომის შეფასებასთან, ხელფასისა და შრომის ღირებულების, შრომითი შემოსავლისა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების თანაფარდობაზე.

შრომა წარმოადგენს ადამიანის საქმიანობის მთავარ სფეროს და მისი ფასეულობის კრიტერიუმს. ამიტომაც შრომის გასხვისების დაძლევა საბაზრო ეკონომიკაში ხდება წარმოების რეგულირების პროცესის განვითარების კვალდაკვალ, რომელიც მომუშავეს აქცევს კოლექტიურად მართული წარმოების თანამეპატრონედ და თანამმართველად.
ასოცირებული საკითხები დაკავშირებულია ეკონომიკის სოციალურ-კულტურული სფეროს ანალიზთან, განათლების, ჯანდაცვის განვითარებასა და მოსახლეობის კულტურის დონესთან.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური პოლიტიკა, სახელმწიფო, კეთილდღეობის ეკონომიკა.

**შესავალი**

ცალკეული ქვეყნების გადასვლა კეთილდღეობის საზოგადოების შექმნასა და მოხმარების გარკვეული თვისებრივი პარამეტრების მიღწევაზე („მოხმარების საზოგადოება“) აქცენტს აკეთებს ადამიანის, მომუშავისა და ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებაზე. იგი გულისხმობს კეთილდღეობის, ცხოვრების დონისა და ხარისხის საკითხების შესწავლას, ადამიანის შრომისა და მისი ანაზღაურების შეფასებას და სოციალურ-კუტურული სფეროს ურთიერთობათა განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ნორმალურ სასტარტო პირობებს, პიროვნების ჯანმრთელობას და კულტურის დონეს.

***სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტები***

ადამიანის პრობლემატიკისადმი მიდგომა, ერთი მხრივ, აქტუალური ხდება მოწინავე ქვეყნების პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლასთან, დასავლურ დემოკრატიაში „ორი მესამედის საზოგადოების“, „ადამიანური კაპიტალის“ და ა.შ. განვითარებასთან, ხოლო მეორე მხრივ, - შესაბამისი პრობლემატიკის გამწვავებასთან - სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირებასთან, მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრ დიფერენციაციასთან, ცხოვრების დონის დაქვეითებასა და სხვა ნეგატიურ ფაქტორებთან დაკავშირებით. აღნიშნული ტენდენციების შესუსტება და შემობრუნება ადამიანების პრობლემატიკისაკენ არსებითად წარმოადგენს სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების არსს.

კეთილდღეობის მიღწევა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოადგენს არა დასავლეთის საზოგადოების საერთო, არამედ მისი ნაწილის (თუმცა უდიდესი ნაწილის) - საშუალო კლასის მაჩვენებელს. ამ საშუალო კლასის საშუალო წარმომადგენელს აქვს შესაძლებლობა დაეუფლოს პროფესიას, იმუშაოს და დაკავდეს ბიზნესით, გამოიყენოს საკუთარი ინოვაციური პოტენციალი სოციალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ამას ემსახურება „ადამიანური კაპიტალიც“,

ანუ ადამიანის პიროვნების გაუსხვისებელი კაპიტალი, რომელიც მან დააგროვა სოციოკულტურული, პროფესიული და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის შედეგად. „ადამიანური კაპიტალის“ - საყოველთაო შრომის პროდუქტის ხარჯვა, ისევე როგორც მისი დაგროვების პროცესი, გადაიქცევა პიროვნების გამდიდრების ზრდის პროცესის ორ მხარედ.

ცხოვრების დონე (არსებითად - რაოდენობრივი მაჩვეებელი) განისაზღვრება ორი მაჩვენებლის ურთიერთქმედებით: მოსახლეობის შემოსავლებით (დონე, დინამიკა და დიფერენციაცია), საქონლისა და მომსახურებების სამომხმარებლო ბაზრით (ბაზრის გაჯერება და მათი დინამიკა).

სოციალურ სფეროში არის განსაზღვრული ზღვრული მაჩვენებლები, რომელთა დარღვევა იწვევს საზოგადოებაში დაძაბულობის გამწვავებას. კერძოდ, კრიტიკულად ზღვრული მნიშვნელობების თანაფარდობა ყველაზე მეტად და ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის 10 %-ს შორის მსოფლიო პრაქტიკაში 10-ჯერ ნაკლებია, ხოლო სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის წილი (რომელთა შემოსავალი საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლებია) შეადგენს 10 %-ს.

ცხოვრების დონისგან განსხვავებით, ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლები მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ პარამეტრებს: სიცოცხლის ხანგრძლივობას, შრომის ანაზღაურებას, მოსახლეობის სოციალურ დაცვას და სოციალური სფეროს დარგების განვითარებას, ეკონომიკურ უსაფრთხოებას, დანაშაულთან ბრძოლის მდგომარეობას და ა.შ. აქ უკვე ანალიზში ჩნდება ზნეობრივი, ესთეტიკური და ფსიქოლოგიური იმპერატივები, ერის სოციალური სიჯანსაღე და არა მხოლოდ ეკონომიკური კეთილდღეობა. აქცენტი კონსიუმერიზმზე (მოხმარებაზე) უკვე აღარ მუშაობს და ცნობილი იდეოლოგიური ფორმულა სულ სხვაგვარად ჟღერს: „რაც კარგია General Motors-ისთვის, აუცილებლად კარგი არ არის ამერიკისთვის“. შემთხვევითი არ არის, რომ აშშ-ში მოდად იქცა „ნებაყოფლობითი უბრალოება“, მოზრდილი მოსახლეობის 28 % უფრო ნაკლებს გამოიმუშავებს, ვინაიდან მათ შეეცვალათ ცხოვრებისეული ფასეულობები, ხოლო 82 % აცნობიერებს, რომ მოიხმარს იმაზე მეტს, ვიდრე ეს საჭიროა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში გადაჭარბებული მოხმარება აქტუალური არ ჩანს, ვინაიდან ბაზარი ფასდება არსებული შემოსავლებითა და ფასებით, მაინც საჭიროა პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარების ტენდენციების ცოდნა, რათა უფრო სრულად განისაზღვროს ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების თვისებრივი პარამეტრები.

მთლიანობაში, ძირითად პრიორიტეტებს ქვეყნის ეკონომიკაში შემოსავლების, მოხმარებისა და ცხოვრების ხარისხის სფეროში წარმოადგენს: ცხოვრების დონის შენარჩუნება და აღმავლობა: ინფლაციის შეკავება; მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის შემცირება; სიღატაკესთან ბრძოლა; მოსახლეობის საშუალო ფენების სამომხმარებლო ბაზრის სტიმულირება; სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებების ხარისხისა და უსაფრთხოების სახელმწიფო სტანდარტების უზრუნველყოფა; ბინათმშენებლობის ბაზრის განვითარების სტიმულირება; ბიუჯეტური სოციალური სფეროს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება; სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებების წარმოებაში ინოვაციების ხელშეწყობა და მრავალი სხვა პირობა და გარემოება.

მეორე ასპექტი გულისხმობს ადამიანის, როგორც მომუშავის საქმიანობის, მისი შრომის შეფასების, შრომის ღირებულებასა და გასამრჯელოს შორის თანაფარდობის ანალიზს, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის შრომით შემოსავალსა და ფულად შემოსავლებთან.

შრომა წარმოადგენს ადამიანის ცხოველქმედების მთავარ სფეროს, მისი ფასეულობის კრიტერიუმს და ადამიანური უნარების რეალიზაციის საშუალებას.

საბაზრო გარდაქმნების ზრდის კვალდაკვალ, ხდება არა მომუშავისგან შრომის გასხვისების დაძლევა, არამედ ამ გასხვისების სახეცვლილება. ადრე მისი გასხვისება ხდებოდა სახელმწიფოსა და მისი აპარატის მხრიდან, ამჟამად კი - კონკრეტული კერძო პირების ან სააქციო ასოციაციების მხრიდან. შრომის გადაქცევა დაქირავებულ შრომად - ჩვენი დროის მილევადი ტენდენციაა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა თავი თანამეპატრონედ, თანამმართველად იგრძნოს, საბოლოოდ კი - თანამესაკუთრედ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გასამრჯელოსთან ერთად, რომელიც წარმოადგენს შრომითი შემოსავლის ერთადერთ ფორმას, მოსახლეობის (ოჯახების) ფულად შემოსავლებში შედის სოციალური გასაცემლები (პენსიები, დახმარებები, სტიპენდიები და ა.შ.); შემოსავლები დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობიდან (მოგების, დივიდენდების, პროცენტების ჩათვლით); შემოსავლები ნატურალური და ფულადი ფორმით კერძო დამხმარე მეურნეობიდან და საცხოვრებელი ბინის გაქირავებიდან; განათლების, ჯანდაცვის მომსახურებების, კულტურის ობიექტებით სარგებლობის ღირებულება „ნატურალური ფორმით“.

ეკონომისტების აზრით, „განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ტრადიციულად საშუალო ფენას მიეკუთვნებიან მეცნიერების, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულები, ჩვენთან ეს ჯგუფები აღმოჩნდნენ დაბალანაზღაურებად კატეგორიაში. დასახელებული ჯგუფების მაღალ საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და მათი შრომის დაბალ ანაზღაურებას შორის შეუსაბამობა ქმნის სოციალურ დაძაბულობას.

წმინდა თეორიული თვალსაზრისით, შესაძლებელია შემოსავლის პოლიტიკის ორი მოდელი: 1) დასაქმებული მოსახლეობის რეალური შემოსავლები არ მცირდება, ხოლო მთელი სოციალური დატვირთვა მოდის უმუშევრობის გადიდებაზე; 2) პრაქტიკულად არავინ კარგავს სამუშაოს, მაგრამ დაქვეითების მთელი სიმძიმე მოდის დასაქმებულებზე, საშუალო ხელფასის შემცირების ფორმით. პირველი გზით წავიდა აღმოსავლეთ გერმანია, სადაც დასაქმება შემცირდა 30 %-ით, ხოლო ხელფასი არ შემცირებულა.

ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების საკითხების შესწავლა დაკავშირებულია ეკონომიკის სოციალურ-კულტურული სფეროს ანალიზთან, რომლის წყალობითაც უზრუნველყოფილია მოსახლეობის განათლების, ჯანდაცვის ნორმალური პირობები და კულტურის დონე. აღნიშნული დარგები ამჟამად პრიორიტეტულია, ვინაიდან მათი წყალობით ვითარდება პოსტინდუსტრიული სექტორი, უზრუნველყოფილია თანამედროვე სამუშაო ძალის მაღალი ხარისხი და მისი ნორმალური აღწარმოება. თანამედროვე წარმოების მოთხოვნილებებმა გამოიწვია ადამიანზე დაბანდებათა წინმსწრები ზრდა წარმოების ნივთიერ ელემენტებში ინვესტირებასთან შედარებით.

**დასკვნა**

ტრადიციონალიზმის, არასახელმწიფოებრივი სოციალიზმისა და დემოკრატიული ლიბერალიზმის ერთგვარი სინთეზი უნდა იყოს სწორედ განვითარების გზა ეკონომიკაში. აქ გვერდს ვერ ავუვლით ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას, მიზნობრივ პროგრამებს, ინდიკაციურ გეგმებსა და პროგნოზებს, რომლბიც განსაზღვრავენ ქვეყნის საზოგადოების ევოლუციას და მასში ადამიანის - სოციალური რეფორმების მთავარი მამოძრავებლისა და სოციალური შემოქმედების ობიექტის პრიორიტეტულობას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

ა. აბრალავა ბ. გვაზავა. „სოციალური პარტნიორობის პრინციპების მსოფლიო გამოცდილება“,სამეცნიერო ჟურნალი„ეკონომიკა“, თბილისი 10-12; 2019წ. გვ.77-83
მალაშხია გ. „სოციალური ენერგია სიმდიდრე კეთილდღეობა“ „თბ. : „უნივერსალი", 2013 . 79 გვ·
ვ. ხიზანიშვილი „სოციალური საბაზრო ეკონომიკა (გერმანული მოდელი)“ მონოგრაფია,თბილისი 2020 გვ 130
Захарьян Д.А. Социальное государство: основные этапы развития и современное состояние, Вестник РУДН. Серия: Социология, август 2016, том 16, № 3 . 649-658с.
Ходусов А.А. К вопросу о сущности и проблемах социального государства // Вестник Московского государственного областного университета. Серия: Юриспруденция. 2018. №4.С. 114–125.DOI:10.18384/2310-6794-2018-4-114-125
Aristov E. V. Nauchnye interpretatsii soderzhaniya ponyatiy «sotsial’noe gosudarstvo» i «sotsial’nost’ gosudarstva» i ikh priznakov [“Welfare State” and “Sociality of the State”: Scientific Interpretations of the Concepts and their Features]. Vestnik Permskogo Universiteta. Juridicheskie Nauki – Perm University Herald. Juridical Sciences.2017. Issue 38. Pp. 417–429.

**State social policy priorities**

**Grigol Abralava** ,
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

The priority direction of the social policy of the state is the formation of a person, worker and developed individual in every way.

According to the indicator of the quality of life, we are talking about the parameters of life expectancy, labor reimbursement, social protection of the population, etc. The analysis of a person's activity as a worker is related to the evaluation of his work, the ratio of wages and labor costs, labor income and monetary income of the population.

Work is the main field of human activity and the criterion of its value. That is why the alienation of labor is overcome in the market economy in the wake of the development of the production regulation process, which turns the worker into a co-owner and co-manager of collectively managed production.

Associated issues are related to the analysis of the socio-cultural sphere of the economy, the development of education, health care and the level of culture in the population.

**Keywords:** social policy, state, welfare economy.

# უმაღლესი განათლება და სამუშაო ძალა საქართველოში

**თამაზ მაჩიტიძე,**
საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

**აბსტრაქტი**

უმაღლესი განათლებისა და სამუშაო ბაზრის ურთიერთმიმართების შესახებ ინფორმაცია საქართველოში დღეისათვის ძალზე მწირია. ამ დეფიციტს პირველ რიგში განაპირობებს ის, რომ ეროვნულ დონეზე არ არსებობს სისტემური მიდგომა ბაზრისა და განათლების სიტემის ურთიერთკავშირის ანალიზისათვის. სათანადო მონაცემთა ბაზების ხელმიუწვდომლობის პირობებში, ამ მიმართულებით ეროვნულ დონეზე განხორციელებული კვლევები ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და სათანადოდ არ აისახება განათლების პოლიტიკაში. მიუხედავად ამისა, საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც დაგროვდა საკმარისი ემპირიული მასალა ბაზრისა და უმაღლესი განათლების ურთიერთმიმართების ანალიზისათვის.

საქართველოში დასაქმებაზე და შემოსავლებზე უმაღლესი განათლების ეფექტის ანალიზი აჩვენებს, რომ ინვესტიცია უმაღლეს განათლებაში ამ ეტაპისათვის თვალსაჩინო უკუგებას იძლევა, მაგრამ ქვეყანაში მაინც არასაკმარისად ეფექტურად გამოიყენება ადამიანური კაპიტალი, რომელიც უმაღლესი განათლების სისტემაში იქმნება. შესაბამისად, უმაღლეს განათლებაში სახელმწიფო ინვესტიციის ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს უმაღლესი განათლების საზოგადოებრივი უკუგების მაჩვენებლის ზრდისათვის დამატებითი ღონისძიებების გატარება.

მოცემულ სტატიაში განხილულია საქართველოში უმაღლესი განათლების და სამუშაო ძალის აქტუალური საკითხები.

**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი განათლება; სამუშაო ძალა; განათლების ხარისხი; დასაქმება.

უმაღლესი განათლებისა და სამუშაო ბაზრის ურთიერთმიმართების შესახებ ინფორმაცია საქართველოში დღეისათვის ძალზე მწირია. ამ დეფიციტს პირველ რიგში განაპირობებს ის, რომ ეროვნულ დონეზე არ არსებობს სისტემური მიდგომა ბაზრისა და განათლების სიტემის ურთიერთკავშირის ანალიზისათვის - საჭირო ცვლადები არ არის ინტეგრირებული ისეთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტებში, როგორებიცაა მოსახლეობის აღწერის კითხვარები, შინამეურნეობის კვარტალური კვლევის ინსტრუმენტები. არ არის გააზრებული მონაცემების თავსებადობის სტრატეგია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით დღეისათვის შეუძლებელია როგორც უმაღლესი განათლების უკუგებისა და ფარდობითი სარგებლის გამოანგარიშება უმაღლესი განათლების საფეხურების, ასევე აკადემიური განათლების მიმართულებების მიხედვით და ეს იმ პირობებში, როდესაც საქართველოში უმაღლესი განათლების დარგების მიხედვით სახელმწიფო დაფინანსების დიფერენცირებული სქემები მოქმედებს. კუსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმებისა და შემოსავლების შესახებ მონაცემები არც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე გროვდება სისტემურად. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტი ავალდებულებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მოარგონ პროგრამები ბაზრის მოთხოვნებს, სტანდარტის შესაბამისი პუნქტების შესრულების ინდიკატორები და

გადამოწმების წყაროები ბუნდოვანია, არ არის საკმარისად დეტალიზირებული თვითშეფასებისა და გარე შეფასების ინსტრუმენტებში და შესაბამისად, არ იძლევა ამ კუთხით ცალკეული პროგრამების მდგომარეობის სრულად და ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას. [1]

სათანადო მონაცემთა ბაზების ხელმიუწვდომლობის პირობებში ამ მიმართულებით ეროვნულ დონეზე განხორციელებული კვლევები ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და სათანადოდ არ აისახება განათლების პოლიტიკაში. მიუხედავად ამისა, საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც დაგროვდა საკმარისი ემპირიული მასალა ბაზრისა და უმაღლესი განათლების ურთიერთმიმართების ანალიზისათვის.

სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ძირითადად, 2012-2018 წლების განმავლობაში განათლების პოლიტიკის დაგეგმივსა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის, ეკონომიკის პოლიტიკის კვლევის ცენტრისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევებს ეყრდნობა და სამუშაო ბაზრისა და უმაღლესი განათლების ურთიერთმიმართების შესახებ შემდეგი ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

უმაღლესი განათლება საქართველოში შემოსავლებისა და დასაქმების მაჩვენებლების ზრდის მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალი დაქირავებული შრომიდან მხოლოდ ზოგადი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალზე თითქმის ორჯერ უფრო მაღალია. ასევე, სქესის, ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების პირობებში, უმაღლესი განათლების მქონე პირის დასაქმების შანსები მხოლოდ საშუალო განათლების მქონე პირებთან შედარებით 2-ჯერ იზრდება, ხოლო დაქირავებით დასაქმების ალბათობა - თითქმის 5-ჯერ. გაზგასასმელია, რომ მაგისტრატურის დამთავრება არ იწვევს უმაღლესი განათლების მქონე პირის სახელფასო შემოსავლებში მნიშვნელოვან ნამატს, თუმცა მაგისტრის დიპლომის მქონე პირის დასაქმების შანსები 70%-ით მაღალია ბაკალავრის დიპლომის მქონე პირთან შედარებით. შესაბამისად, საქართველოში მაგისტრატურა არა შემოსავლის, არამედ დასაქმების ალბათობის გაზრდის საშუალებაა. ამასთან, უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯების ამოღება საქართველოში დაახლოებით დროის იმავე მონაკვეთში ხდება, რაც ანალოგიური შემოსავლის მქონე ევროპის სხვა ქვეყნებში. [2]

დასაქმებიდან შემოსავლების საშუალო მაჩვენებლები, ისევე როგორც დასაქმების ალბათობა, მნიშვნელოვნად განსხვავდება სქესის და უმაღლესი განათლების მიმართულებების მიხედვით. უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცების დასაქმების ალბათობა 1.2-ჯერ უფრო მაღალია უმაღლესი განათლების მქონე ქალების დასაქმების ალბათობასთან შედარებით. საგულისხმოა, რომ სქესის ნიშნით ეს განსხვავება გამოთვლილია განათლების სფეროს/სპეციალიზაციის გათვალისწინებით. სქესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემოსავლებზე. ეს გავლენა რჩება მაშინაც, როცა ერთმანეთს ვადარებთ ერთსა და იმავე სფეროში განათლებამიღებულებს. ბიზნესის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით დიპლომის მფლობელთა დასაქმების შანსები ჰუმანიტარული მეცნიერებების კურსდამთავრებ-ულების შანსებთან შედარებით 1.3 – 1.4-ჯერ მაღალია. [3]

უმაღლესი განათლების უკუგების შემდგომი ზრდისთვის შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე პირთა კომპეტენციების **ბაზრის მოთხოვნებთან ნაკლები თავსებადობა** და თვითდასაქმების დაბალი მაჩვენებლები.

საქართველოში უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე დასაქმებულ პირთა შორის საკუთარი სპეციალობით დაახლოებით 60% მუშაობს, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის მასშტაბით

უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ მეოთხედი მუშაობს საკუთარი სპეციალობით. დასაქმებულთა შორის სპეციალობით დასაქმებულთა წილი, აგრეთვე, მნიშვნელოვნად განსხვავდება მიმართულებების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სპეციალობით დასაქმებულთა წილი მნიშვნელოვნად მაღალია მაგისტრატურადამთავრებულთა შორის (ბაკალავრიატთან შედარებით). მაგისტრატურა, ამ თვალსაზრით ბაზარზე ორიენტირების ინსტრუმენტს წარმოადგენს. [4]

**ნახაზი N1 კერძო უკუგება განათლების საფეხურების მიხედვით (%)**




*წყარო: World Development Report 2017 [5]*

**სხვადასხვა კვლევის ფარგლებში გამოკითხულ დამსაქმებელთა დაახლოებით ნახევარი თვლის,** რომ კურსდამთავრებულთა კომპეტენციები არ შეესაბამება მათ მოთხოვნებს. საქართველოში ისევე, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდათა შორის თვითდასაქმებულთა წილი დაბალია, რაც ხელს უშლის ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

უმაღლესი განათლება საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობის გამოთანაბრების პოტენციურად ეფექტური ინსტრუმენტია, თუმცა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა დღეისათვის კვლავ შეზღუდული რჩება მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

უმაღლესი განათლების მქონე პირთა დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლის ოდენობაში მშობლის განათლების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ არის. უმაღლესი განათლების მქონე პირთა პირადი შემოსავლები დაქირავებული შრომიდან არ განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორი იყო პირის ოჯახის საშუალო შემოსავალი უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების მომენტისათვის.

უმაღლესი განათლების უკუგებისა და ფარდობითი სარგებლის ზრდის მსოფლიო ტენდენციის გათვალისწინებით, საქართველოში მიზანშეწონილია უმაღლესი განათლების დაფინანსების გაზრდა, რადგან **საერთაშორისო კვლევების თანახმად, უმაღლესი განათლების დაფინანსების ზრდა იწვევს დასაქმებისა და დასაქმებიდან შემოსავლების მაჩვენებლების გაუმჯობესებას.**

## დასკვნა

ამრიგად, საქართველოში დასაქმებაზე და შემოსავლებზე უმაღლესი განათლების ეფექტის **ანალიზი აჩვენებს,** რომ ინვესტიცია უმაღლეს განათლებაში ამ ეტაპისათვის თვალსაჩინო უკუგებას იძლევა, მაგრამ ქვეყანაში მაინც არასაკმარისად ეფექტურად გამოიყენება ადამიანური კაპიტალი, რომელიც უმაღლესი განათლების სისტემაში იქმნება. შესაბამისად, უმაღლეს განათლებაში სახელმწიფო ინვესტიციის ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს უმაღლესი განათლების საზოგადოებრივი უკუგების მაჩვენებლის ზრდისათვის დამატებითი ღონისძიებების გატარება. უმაღლეს განათლებაზე ხარჯების რაციონალიზაციისათვის მნიშნელოვანია, რომ უმაღლესი განათლების სუბსიდირებისას გათვალისწინებული იქნეს რეალური უკუგების მაჩვენებლები აკადემიური მიმართულებების მიხედვით.

**გამოყენებული ლიტერატურა**

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი – „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით“. თბილისი. 2013 წ.

Балалова.Е.И. Сервисная деятельность: учёт, экономический анализ и контроль : монография / Е.И. Балалова, О.В. Каурова. М. : Изд-во "ДИС", 2005.-287 с.

Avy Ellis, Michael Kauferstein - „Dienstleistungsmanagement - Erfolgreicher Einsatz von prozessorientiertem Service Level Management“ 2004.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: http://www.geostat.ge/ უკანასკნელად გადამოწმებული იქნა: 12.05.2018.

http://data.worldbank.org/indicator/SL.SRV.EMPL.ZS.
უკანასკნელად გადამოწმებული იქნა:12.05.2017.

# Higher education and working resource in Georgia

**Tamaz Machitidze**
Academic Doctor of Public Administration

**Abstract:**

The information about the higher education and the job market relations in Georgia is very few today. This deficit primarily leads to the systematic approach to analysis of the market and education system at the national level. In the absence of adequate database access, studies on national level in this direction are episodic and will not be reflected in the education policy. There has been enough empirical material for the analysis of market and higher education in the last years.

Analysis of higher education effectiveness in employment and income in Georgia shows that investment in higher education gives a visible return to this stage, but human capital is no longer effective in the country, which is created in the higher education system. Consequently, in parallel with the increase of state investment in higher education, it is an important task to carry out additional measures to increase the public revenue growth rate of higher education.

In this article is discussed main issues of higher education and working resources in Georgia.

**Keywords:** higher education; working resource; quality of education; employ.

# ციფრული დიპლომატიის უპირატესობები და ნაკლოვანებები

**გურამ ჯოლია,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**აბსტრაქტი**

თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში ინტერნეტია ინფორმაციის მთავარი მიმწოდებელი. სწორედ მისი გამოყენებით შეიძლება ნებისმიერი მოვლენის, საჯარო პირის, ქვეყნისა და სხვათა შესახებ ინფორმაციის მოპოვება. უფრო მეტიც, ინტერნეტით შესაძლებელია საკუთარი ინფორმაციის შექმნა და მასობრივად გავრცელება.

ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ეპოქაში სახელმწიფოს კომუნიკაციური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახდა უცხოეთის აუდიტორიაზე, მეტწილად, სამოქალაქო საზოგადოების მეშვეობით, სხვა ქვეყნის მოსახლეობაზე და სახელმწიფო სტრუქტურებზე ინფორმაციული ზემოქმედება.

მოცემულ კონტექსტში ძირითადი ამოცანაა ეროვნული სახელმწიფოს დადებითი იმიჯის შესახებ ეფექტური ინფორმაციის მიწოდება. ამისათვის გამოიყენება ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა საჯარო დიპლომატია და მისი დღევანდელი ნაირსახეობა - ციფრული დიპლომატია.

თანდათან ყალიბდება „ციფრული სახელმწიფოს" პროგრესული მოდელი, რომელიც გაცილებით ფართოა, ვიდრე „ელექტრონული მთავრობა", რომელმაც ამოწურა თავისი შესაძლებლობები - დოკუმენტბრუნვაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა.

ციფრული სახელმწიფო არის საჯარო ხელისუფლების ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობის ახალი ფორმატი, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიებით რეგულირდება. [Золаев Э.А. Цифровое государство как новый этап развития общества // Креативная экономика. 2021. Том 15. № 5. С. 1583–1594]

მიმდინარე საუკუნის მეორე ათწლეულიდან COVID-19 პანდემიამ თანამედროვე რეალიები არსებითად შეცვალა: გლობალური დიჯიტალიზაციის პროცესი ყველგან დააჩქარა, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის სფეროშიც. კაცობრიობა იძულებით გადავიდა ინტერნეტ-პლატფორმების, სოციალური ქსელებისა და სხვა ციფრული სერვისების გამოყენებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** დიპლომატია, ციფრული, კომუნიკაცია, ატაშე, ტექნოლოგია.

## ძირითადი ტექსტი

დიდი ხნის განმავლობაში დიპლომატიური დისკურსი დახურული იყო და ძირითადად წარმოადგენდა ტექსტური დოკუმენტებით (ვერბალური ნოტები, მემორანდუმები, პირადი წერილები და სხვ.) თანაბარი სტატუსის მქონეთა უმაღლეს დონეზე კომუნიკაციას. საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირება, უპირატესად, მასმედიით ხდებოდა, მანამდე კი, ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ „იფილტრებოდა".

დროთა განმავლობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში დიპლომატების ინფორმაციული შემადგენელი გაძლიერდა: გახშირდა ოფიციალური პირების საჯარო გამოსვლები, ღია ინტერვიუები, დიპლომატიურ უწყებებში შეიქმნა პრეს-სამსახურები, ვებ-გვერდები და სხვ.

დიპლომატიურ საქმიანობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვამ საჯარო დიპლომატიის მოქმედების აქცენტი ინტერნეტის ქსელში გადაიტანა და წარმოიშვა კომუნიკაციის ახალი ფორმატი - **ციფრული დიპლომატია** (digital diplomacy) (გვხვდება სხვა ტერმინებიც: „web-2.0 დიპლომატია“, ქსელური დიპლომატია, Twitter-დიპლომატია იგივე ტვიპდიპლომატია, Facebook-დიპლომატია და სხვ.).

„ღმერთო ჩემო, ეს დიპლომატიის დასასრულია.“ - ასეთი იყო დ. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის **ვიკონტ პალმერსტონის** მყისიერი რეაქცია პირველი სატელეგრაფო შეტყობინებისას 1850 წელს. [ Sandre A. Twitter for Diplomats // Diplo Foundation. 2013. https:// issuu.com/diplo/docs/twitter_for_diplomats]

მას შემდეგ 172 წელი გავიდა და დიპლომატია არათუ დასრულდა, არამედ თვისებრივად ახალ ფორმატზე გადავიდა და შეიქმნა ციფრული დიპლომატია.

ჩამოყალიბდა ქსელური საზოგადოება, ქსელური აზროვნება, გააქტიურდა გლობალური, თავისუფალი და შეუზღუდავი კომუნიკაცია და სხვ. არსებითად შეიცვალა თანამედროვე სამყაროში მიმდინარე მოვლენების აღქმა და მსოფლმხედველობა.

**ციფრული დიპლომატია არის ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება საგარეო პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად, მათ შორის სახელმწიფო ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, მისი იმიჯის ფორმირებისა და მხარდაჭერის შესახებ.**

**განვითარებულ სამყაროში თანდათან ყალიბდება „ციფრული სახელწიფოს“ პროგ-რესული ფორმატი.**

კომუნიკაციის სფეროში სოციალური ქსელების აქტიურად ფუნქციონირებამ საერთაშორისო ურთიერთობის ლანდშაფტი არსებითად გარდაქმნა და პოლიტიკური კულტურის სრულიად ახალი ფორმატი - ციფრული მოდელი დაამკვიდრა.

შეიცვალა დიპლომატების ინფორმაციულ-ანალიტიკური მუშაობის მოქმედი პრაქტიკაც: სამოქმედო სტრატეგიების დაგეგმვა, საპროტოკოლო ღონისძიებების რეალიზაცია, მოლაპარაკების ჩასატარებლად დელეგაციის წევრთა შინაარსობრივი და ინფორმაციული მომზადების ორგანიზაცია და სხვ. შედეგად, საგარეო უწყების წარმომადგენლების წინაშე ახალი პრიორიტეტები და პრობლემები გაჩნდა.

**ციფრული დიპლომატიის მიზანია** გლობალურ ონლაინ-აუდიტორიასთან კონტაქტით ეროვნული სახელმწიფოს კეთილსასურველი და მიმზიდველი იმიჯის შექმნა.

პერსპექტივაში ციფრული დიპლომატიის როლი უფრო გაძლიერდება, რადგან თანამედროვე თაობა ყველგან და ყველაფერში ციფრულ ურთიერთობას აძლევს უპირატესობას. დიპლომატია იმ სახით, რა სახითაც რამდენიმე ათწლეულის წინათ იყო და ნაწილობრივ დღესაც არსებობს, მომავალში აღარ იქნება.

ციფრული დიპლომატია ტრადიციული (კლასიკური) დიპლომატიის ამოცანებსა და მიზნებს ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით ასრულებს და ახალ მედიას (სოციალური ქსელები, ბლოგები და სხვ.) აქტიურად იყენებს, რითაც დაინტერესებულ აუდიტორიას საშუალებას აძლევს რეალურ დროში მათი სამოქმედო დღის წესრიგი დამოუკიდებლად თვითონ განსაზღვროს. მიიჩნევენ, რომ სოციალური ქსელების კონტროლი რთულია, თუმცა მათზე ზემოქმედება შეიძლება.

ციფრული დიპლომატია ეფექტიანად გამოიყენება:

მიზნობრივ აუდიტორიასთან საერთაშორისო კონტაქტების დასამყარებლად;

რამდენიმე მიმართულებით: „მოქალაქე - სახელმწიფო“; „სახელმწიფო - სახელმწიფო“; „მოქალაქე - მოქალაქე“;

აღნიშნულით ციფრული დიპლომატია საერთაშორისო პოლიტიკური არენის ახალი და არაერთმნიშვნელოვანი მოვლენა ხდება: ერთი მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფო ინტერესებს ახლებურად წარმოაჩენს, მეორე მხრივ, სოციუმს ახალ მოთხოვნებს უყენებს, უპირველესად, უკუკავშირს, ინტერაქტიურობას.

ჩნდება მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ახალი პროფესიები. მაგ., უკვე არსებობს დანიის, დ. ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების ელჩები „სილიციუმის ველში“ (აშშ). 2021 წელს დანიშნეს გაეროს სპეციალური დესპანი ტექნოლოგიების სფეროში. მრავალი ქვეყნის საელჩოში შემოიღეს **ციფრული ატაშეს** თანამდებობა.

ციფრულ დიპლომატიას კლასიკური საჯარო დიპლომატიისაგან განსხვავებით დიდი მოცულობის ინფორმაციასთან და, შესაბამისად, გაცილებით მეტ ადამიანთან და ორგანიზაციასთან ერთდროულად აქვს წვდომა და მეტად გამჭვირვალეა. გარდა ამისა, თუ ტრადიციულ დიპლომატიაში რაიმე საკითხი დახურულ კარს მიღმა იხილება, ციფრულ დიპლომატიაში იგი ყველასათვის მყისიერად ცნობილი ხდება.

ციფრული დიპლომატიის, როგორც ახალი ფენომენის, ოფიციალური აღიარება 2012 წელს იტალიის კონფერენციაზე მოხდა, როცა სოციალური ქსელები დემოკრატიის გასაუმჯობესებლად ახალ საზოგადოებრივ ფორუმად და მოქალაქეთა ქმედით პოლიტიკურ ინსტრუმენტად მიიჩნიეს. [Sandre A. Twitter for Diplomats // Diplo Foundation. 2013. https:// issuu.com/diplo/docs/twitter_for_diplomats]

ციფრული დიპლომატია უცხოეთის აუდიტორიაზე ზემოქმედების ქმედითი მექანიზმია. მისი **განხორციელების მეთოდებია:**

ინტერნეტის ქსელში რადიო- და ტელეგადაცემების განთავსება;

ციფრული ფორმატის ღია ჟურნალებში ინფორმაციის გავრცელება;

ბლოგ-სივრცეში დისკუსიების მონიტორინგი;

სოცქსელებში მთავრობის წევრთა პერსონალური გვერდების შექმნა და სხვ.

ციფრული დიპლომატია განსაკუთრებით სასარგებლოა სახელმწიფოს ოფიციალური პოზიციის ოპერატიულად დასაფიქსირებლად.

დიპლომატია სულ უფრო დემოკრატიული ხდება, მარტივდება ურთიერთობის ენა, ოფიციალური საჯარო პირების საქმიანობის ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა. დღეს იგი გამიზნულია არა მარტო საგარეო, არამედ, და მასთან ერთად, შიდა აუდიტორიაზე. სოციალურ ქსელებში ქვეყნები ქმნიან საკუთარ ბრენდებს, რასაც **Self-დიპლომატია** ეწოდება.

ციფრული დიპლომატია უცხოეთის აუდიტორიაზე ინფორმაციის გადაცემისა და გავლენის მოხდენის ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია, რადგან მისი აუდიტორია არც კი ეჭვობს, რომ იგი წინასწარგანზრახული და მიზანმიმართული პროპაგანდის ობიექტია. შემთხვევით არ არის, რომ დასავლეთის ქვეყნებში მკვიდრდება ახალი ტერმინი **„დიპლომატიური მედია“** (Diplomedia).

ციფრულ დიპლომატიას მრავალი უპირატესობა აქვს. კერძოდ, სოციალური ქსელების შეუზღუდავი შესაძლებლობები და ადვილად ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს პოლიტიკური, პროპაგანდისტული, ეკონომიკური და სხვ. ინფორმაციის უსწრაფესად გავრცელებას, მიზნობრივი აუდიტორიის შეუზღუდავად გადიდებას, მომხმარებელთა გემოვნების ჩამოყალიბებას და მათი პრიორიტეტების განსაზღვრას (შესწავლას), შეხვედრებისა და აქციების დაგეგმვასა და ორგანიზებას, სასურველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას და სხვ.

თუმცა, საერთაშორისო პოლიტიკაში სოციალური ქსელების გამოყენებას ართულებს ფეიკური (ცრუ) ინფორმაციის გავრცელება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში სამოქმედო სტრატეგიების განსაზღვრას აძნელებს.

სოციალური ქსელების მეშვეობით ციფრულ დიპლომატიას საშუალება ეძლევა მნიშვნელოვანი ინფორმაცია სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებისაგან, როგორც პირველი პირებისაგან მიიღოს. ამით მოსახლეობა მათ ლიდერებთან მუდმივ კონტაქტში არიან და ისინიც უკუინფორმაციას ოპერატიულად იღებენ.

სოციალური ქსელების მზარდი ინტენსიური გამოყენება გვიჩვენებს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, მთავარ მოთხოვნას - მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ამ ფორმით ისინი უფრო აქტიურობენ, რადგან ნაკლებად უყურებენ ტელეგადაცემებს, და მით უფრო, თითქმის არ კითხულობენ დაბეჭდილ ჟურნალ-გაზეთებს.

ციფრული დიპლომატიის ძლიერი მხარებია: გლობალურ მიზნობრივ აუდიტორიაზე პირდაპირი წვდომა; სახელმწიფოს ოფიციალური პოზიციის უცხოეთში ოპერატიული გადაცემის შესაძლებლობა; ღიაობა, გამჭვირვალობა; სუბიექტების სიმრავლე: სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ცალკეული პირები (მაგ., ბლოგერები); მოდელის - „მრავალი მრავალთან“ ანუ **„სახალხო დიპლომატიის“** დამკვიდრება.

იმავდროულად, ციფრულ დიპლომატიას ნაკლოვანებებიც აქვს: სახელმწიფოს საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვა; პერსონალური მონაცემების გამჟღავნება; ფეიკინფორმაციის, დეზინფორმაციის, [წინასწარი განზრახვით შექმნილი მცდარი, ყალბი ინფორმაცია, რომ ზიანი მოუტანოს პიროვნებას, სოციალურ ჯგუფს, ორგანიზაციას ან ქვეყანას.]

მიზინფორმაციისა [მცდარი, ყალბი ინფორმაცია, რომელიც ზიანის მოსატანად არ არის შექმნილი.] და მალინფორმაციის [რეალობაზე დაფუძნებული ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება პიროვნებაზე, ორგანიზაციაზე ან ქვეყანაზე ზიანის მისატანად.] გავრცელების შესაძლებლობა; დიპლომატიური მანევრების, მათ შორის არაფორმალური შეხვედრების შეუძლებლობა; არასტაბილურობა: საზოგადოებრივ აზრზე მოქმედი ფაქტორების სწრაფი ცვალებადობა; სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება; საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების არარსებობა.

მეტად საყურადღებო საფრთხეა კიბერშეტევების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ციფრული დიპლომატიის ფორმატი საერთაშორისო სამართლებრივ-ნორმატიული აქტებით, მათ შორის ვენის 1961 წლის კონვენციით „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“, არ რეგულირდება. ამ მიზეზით, მან შეიძლება საკუთარი, უფრო თავისუფალი და არაფორმალური ტრენდები წარმოშვას.

**დასკვნა**

ციფრული ტექნოლოგიების საყოველთაო განვითარებამ საჯარო დიპლომატიის სფეროში „რბილი ძალის“ ახალი მოდელი - „ციფრული დიპლომატია“ წარმოშვა, რამაც სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობების წინანდელი ლანდშაფტი არსებითად შეცვალა და საგარეო უწყებების წინაშე ახალი პრიორიტეტები და პრობლემები გააჩინა;

ციფრულ დიპლომატიას ორმხრივი მოქმედება აქვს: (i) საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფო ინტერესებს ახლებურად წარმოაჩენს; (ii) საზოგადოებას სრულიად ახალ მოთხოვნებს უყენებს, უპირველესად, უკუკავშირს, ინტერაქტიურობას;

ციფრული დიპლომატია თანამედროვე და ეფექტურია, რადგან უფრო გამჭვირვალე და დემოკრატიულია.

**გამოყენებული ლიტერატურა**

Sandre A. Twitter for Diplomats // Diplo Foundation. 2013. https://issuu.com/diplo/docs/twitter_for_diplomats

Золаев Э.А. Цифровое государство как новый этап развития общества // Креативная экономика. 2021. Том 15. № 5. С. 1583–1594 /Zolaev E.A. (2021) Digital state as a new stage of society development. Journal of Creative Economy. Vol. 15, Num. 5, 2021. P. 1583–1594.

# Advantages and Disadvantages of Digital Diplomacy

**Guram Jolia,**

Professor,Georgian Technical University

**Abstract**

In the modern information society, the internet is the main source of information.Via the internet, information regarding anyevent, public person, country, etc., can be obtained.In addition, the creation and public distribution of any sort of personal information can be easily accomplished.

In the era of development of information society, the state's communication policy, among other things, has prioritized the informational impact, mostly viathe civil society, on the foreign audience, particularlyon the population and public authoritiesof other countries.

In this context, the main objective is to effectively provide a positive information about the national country. For this purpose, the tools of information and communication technologies are used, such as public diplomacy and its current variety - digital diplomacy.

A progressive model of the "digital state" is gradually being formed, abroaderconcept rather than the "electronic government", which on the other hand has fulfilled its purposeby introducingdigital technologies in the process of document circulation.

The digital state is regulated by the information technologies and represents a new format of political and legal relations between the public authorities and citizens.

In the second decade of the current century, the COVID-19 pandemic has fundamentally changed the modern realities: It has significantly accelerated the process of global digitization, including the fields of international relations and world politics. Humanity was forced to use internet platforms, social networks and other digital services.

**Keywords:** diplomacy, digital, communication, attaché, technology.

# უსაფრთხოება - ადამიანის კეთილდღეობის და სიმშვიდის გარანტი

**მედეა ჭელიძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
**მარინე თოფჩიშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
**რუსუდან თოფჩიშვილი,**
კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალავრი

**აბსტრაქტი**

საქართველოს განვითარების ყველაზე რთულ და გადამწყვეტ პერიოდშიც კი უსაფრთხოების პრობლემა არ ყოფილა ისე აქტუალური, როგორც დღეს. არსებული პრობლემა მოითხოვს ღრმა ანალიზს, აუცილებელია შეირჩეს ისეთი მიდგომები, სადაც გათვალისწინებული იქნება ქვეყნის თავისებურებები. იგი მისადაგებული უნდა იყოს ერის მენტალიტეტთან და უზრუნველყოფდეს მოსახლეობის უსაფრთხოებას.

ნებისმიერი პროგრესული სახელმწიფოს მთავარი მიზანი მოსახლეობის კეთილდღეობაა. კეთილდღეობა არის საზოგადოების უზრუნველყოფის დონე და ხარისხი ცხოვრების იმ პირობებით, რომელიც აუცილებელია კომფორტული და უსაფრთხო არსებობისთვის. უსაფრთხოება ასევე წარმოადგენს მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების დაცულ მდგომარეობას. ამდენად უსაფრთხოება განიხილება, როგორც ადამიანის კეთილდღეობის, უფლებების და სიმშვიდის გარანტი.

ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულია პიროვნების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის დემოკრატიული კონცეფციები. თუმცა, მათი პრაქტიკაში განხორციელება რთული აღმოჩნდა მრავალ სფეროში, უპირველეს ყოვლისა ეკონომიკაში, ეროვნულ ურთიერთობებსა და სოციალურ სფეროში არსებული დესტრუქციული პროცესების გამო.

საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობის პირობებში მისი სამართლებრივი სისტემის სტაბილურობის კრიტერიუმს და სამართლებრივი განვითარების მაჩვენებელს წარმოადგენს სახელმწიფოს უნარი უზრუნველყოს ადამიანის უფლებების და უსაფრთხოების დაცვის რეალიზება. ეს შესაძლებელია სახელმწიფოს უფლებამოსილების გონივრული გაფართოებით საზოგადოებასთან მიმართებაში, რომელსაც გააჩნია დასახული ამოცანების შესრულების ეფექტური მეთოდები და საშუალებები.

სტატიაში განხილულია ცნების „უსაფრთხოება" შინაარსი, ადამიანის ძირითადი უფლებების კლასიფიკაცია, აგრეთვე ადამიანის უსაფრთხოების გარანტიები თანამედროვე საზოგადოებაში.

**საკვანძო სიტყვები:** უსაფრთხოება, სოციალური დაცულობა, ადამიანის უფლებები, კეთილდღეობა, უსაფრთხოების გარანტია.

საქართველოს ისტორია მოიცავს ათასწლეულებს, მაგრამ მისი განვითარების ყველაზე რთულ და გადამწყვეტ პერიოდშიც კი უსაფრთხოების პრობლემა ისე აქტუალური არასდროს ყოფილა, როგორც დღეს. არსებული პრობლემა ღრმა ანალიზს მოითხოვს. ჯერჯერობით საქართველოში ვერ შეირჩა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ისეთი გზა, რომელიც გაითვალისწინებდა ქვეყნის თავისებურებებს, მიესადაგებოდა ერის მენტალიტეტს და უზრუნველყოფდა მოსახლეობის უსაფრთხოებას.

საუკუნეზე მეტი ხნის წინ ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „თუ ჩვენს საზოგადოებას ჩავუკვირდებით, შევნიშნავთ ერთს არასასიამოვნო გარემოებას. არც მწერლობას და არც საზოგადოებას არ აღმოუჩენია ნამდვილი გზა, რომლითაც უნდა მსვლელობდეს აზრი და გონება, არ დაუდგენია ნამდვილი აზრი ჩვენის წარსულის და აწმყოს ვითარების შესახებ და სამართლიანად ვერ დაგვიფასებია, ვერ გამოგვიკვლევია ჩვენი ყოფა–ცხოვრება, ჯერჯერობით ვერ შევთანხმებულვართ და ვერ აღმოგვიჩენია ის ცენტრალური წერტილი, სადაც გადანასკვულია ცხოვრების სხვადასხვა მიმდინარეობა. ერთი სიტყვით, დღემდის ვერ დაგვიდგენია სამართლიანი კრიტიკული აზრი ჩვენის ცხოვრების შესახებ. ეს გარემოება არის წარმატების დამაბრკოლებელი და გვიჩვენებს ჩვენი გონების გაუწვრთნელობას, გაუფრთხილებლობას და დაუკვირვებლობას. აი, აქ არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ყოველი კეთილი საზოგადო საქმე ჩვენში ერთობ ნელის ნაბიჯით მიდის წინ“.

**ძირითადი ტექსტი**

ნებისმიერი პროგრესული სახელმწიფოს მთავარი მიზანი მოსახლეობის კეთილდღეობაა. კეთილდღეობა კი არის საზოგადოების უზრუნველყოფის დონე და ხარისხი ცხოვრების იმ პირობებით, რომელიც აუცილებელია კომფორტული და უსაფრთხო არსებობისათვის.

ქვეყნის კეთილდღეობის დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განვითარებულია მისი ეკონომიკური სისტემა და უსაფრთხოების რა გარანტიებია შექმნილი. კეთილდღეობა განისაზღვრება ადამიანის კომფორტული და უსაფრთხო ცხოვრებისთვის საჭირო მატერიალური სიკეთეებითა და მომსახურებით.

უსაფრთხოება - ადამიანის კეთილდღეობის და სიმშვიდის გარანტია, ასევე წარმოადგენს უბედური შემთხვევების, ავარიების, კატასტროფების არასასურველი შედეგებისგან ადამიანის, გარემოს, სამრეწველო ობიექტებისა და მატერიალური ფასეულობების დაცულ მდგომარეობას.

ტრადიციულად ადამიანის უსაფრთხოება განისაზღვრება, როგორც პიროვნების და საზოგადოების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცულობა შიდა და გარე საფრთხეებისგან.

ადამიანის პირადი უსაფრთხოება მოიცავს სოციალურ დაცულობას, როგორც პიროვნების სოციალური უფლებების ერთობლიობას, რომელსაც უზრუნველყოფს სახელმწიფო. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა სოციალური დაცვის პრობლემები ყოველთვის აწუხებდა და დღესაც აწუხებს მეცნიერებს და მკვლევარებს. თუმცა, სოციალურ უფლებებთან ერთად ადამიანს გააჩნია პირადი, სამოქალაქო და ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები. აქედან გამომდინარე, პირადი უსაფრთხოება შეიძლება განისაზღვროს, როგორც პიროვნების სასიცოცხლო ინტერესების დაცვა, მისი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის გზა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ტერმინს „უსაფრთხოება“ საფუძვლად უდევს ტერმინი „საფრთხე“, რომელიც განმარტებულია, როგორც საშიში, სახიფათო რამე, ხიფათი, საშიშროება. ქართველი ენათმეცნიერების მიერ ტერმინი „უსაფრთხოება“ მოიხსენიება უშიშროებისგან შინაარსობრივად განსხვავებულ კონტექსტში, როცა იგულისხმება საფრთხის წყარო, საწარმოო, ტექნოლოგიური და ბუნებრივ–ეკოლოგიური წარმოშობის მოვლენები და პროცესები, ასე მაგ.: ტექნიკური უსაფრთხოება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, მშენებლობის უსაფრთხოება, სატრანსპორტო უსაფრთხოება, საჰაერო უსაფრთხოება, საზღვაო უსაფრთხოება, ბიომეტრიული უსაფრთხოების სისტემა, ვირუსული უსაფრთხოება,

ინფორმაციული უსაფრთხოება, სახანძრო უსაფრთხოება, მეტეოროლოგიური უსაფრთხოება, შრომის დაცვა, საველე უსაფრთხოება, რადიაციული უსაფრთხოება, სანიტარული უსაფრთხოება, უსაფრთხოების ტექნიკა, ქიმიური უსაფრთხოება, ელექტრო უსაფრთხოება, ბირთვული უსაფრთხოება.

აღნიშნული უსაფრთხოების სახეები შინაარსით განსხვავებულია და მოითხოვს სპეციფიკურ მიდგომებს. დღეისათვის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება გამოვყოთ, არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც შიდა და გარე ფაქტორების მოქმედება არ იწვევს სიკვდილს, გონების, ფსიქიკის და მთლიანად ადამიანის ორგანიზმის განვითარებისა და ფუნქციონირების გაუარესებას და ხელს არ უშლის გარკვეული სასურველი მიზნების მიღწევას; ადამიანის ფიზიოლოგიური არსებობისა და ჯანმრთელობისთვის საჭირო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რაც განპირობებულია სასურსათო პროდუქტის ვარგისიანობით და სარგებლიანობით. ამ თვალსაზრისით სასურსათო უსაფრთხოებაში მოიაზრება სურსათი, რომელიც საფრთხის წყაროს წარმოადგენს და რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის მოწამვლა, ხოლო სასურსათო უშიშროებაში იგულისხმება სახელმწიფოში სურსათის ამოწურვის საფრთხე, რომელმაც პერსპექტივაში შეიძლება შიმშილი და სხვა თანმდევი პრობლემები შექმნას. შესაბამისად, სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფისათვის შეიძლება პრევენციული ზომების მიღება და სპეციალური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ადამიანს თავიდან ააცილებს მოსალოდნელ საფრთხეს.

პიროვნების უსაფრთხოების, უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების მექანიზმი მოწოდებულია სამართლებრივად მოიცვას ყველა სახის გარანტიები; სახელმწიფოს და სხვა სუბიექტების მიერ მოქალაქეთა უფლებების დაცვის ფართე სისტემა, მათი რეალური გამოყენების უზრუნველყოფა, სხვადასხვა სახის დარღვევებთან ბრძოლა. კანონის რეალური ღირებულება მდგომარეობს არა ადამიანის იძულებასა და დამორჩილებაში, არამედ მისთვის არჩევანისა და ქმედებების გარანტირებულ თავისუფლებაში.

სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის წარმოშობილი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები იყოფა სამ ჯგუფად. პირველ რიგში, ეს არის პირადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც იცავს ადამიანს თვითნებობებისგან როგორც სხვა პირების, ისე სახელმწიფოს მხრიდან. პირველს მიეკუთვნება პიროვნების სიცოცხლისა და ხელშეუხებლობის უფლება, ძალადობისადმი წინააღმდეგობის გაწევის უფლება და თავისუფლების უფლება. ძირითად სამართლებრივ გარანტიებს შორის, რომლებიც იცავს ინდივიდს სახელმწიფოს თვითნებობისაგან - არის საცხოვრებლის და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, მიმოწერის საიდუმლოება, ეროვნების განსაზღვრისა და მშობლიური ენის გამოყენების უფლება, გადაადგილების თავისუფლება და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.

ადამიანის უფლებების და უსაფრთხოების გარანტიები მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი პრაქტიკაში განხორციელება შეესაბამება კანონის შინაარსს. ამ პრობლემის გადაჭრას თან ახლავს სამართლის ნორმების გამოყენებაზე კონტროლის ეფექტური მექანიზმების ძიება. თუმცა, პიროვნების უფლებებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფა შეუძლებელია მდგრადი მოტივაციის, აგრეთვე პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც აბსოლუტური ღირებულების აღიარების გარეშე. მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთი პოლიტიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სტაბილურ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში.

რაც შეეხება ეკონომიკურ უსაფრთხოებას, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას, იგი წარმოადგენს სუბიექტებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების სისტემას, რაც ვლინდება ეკონომიკური უსაფრთხოების პირობებისა და ობიექტების განვითარების უზრუნველყოფაში. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრუქტურაში მისი შემადგენლების ზეგავლენა შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი თანმიმდევრობით: ფინანსური, ინფორმაციული, ინვესტიციური, ინოვაციური, ფასისმიერი, სავალუტო უსაფრთხოება. ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფას, ასევე ინფორმაციული უსაფრთხოების გავლენას ეკონომიკური უსაფრთხოების დონეზე.

საქართველოსთვის, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნისთვის, ძალზედ მნიშვნელოვანია ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ერთის მხრივ, ინფორმაციის მოპოვებას ნებისმიერი გზით, მეორე მხრივ საკუთარი ინფორმაციის მუდმივ, მიზანმიმარულ დაცვას. ინფორმაციული უსაფრთხოება ნიშნავს ინფორმაციის დაცულობას და ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას შემთხვევითი (ბუნებრივი) ან მიზანმიმართული (ხელოვნური) ზემოქმედებისგან, რომლის შედეგადაც მას შეიძლება მიადგენს ზიანი.

ინფორმაციულ უსაფრთხოებაში შეიძლება გამოიყოს:

გლობალური (მეგა) ინფორმაციული უსაფრთხოება;

სახელმწიფო (მაკრო) ინფორმაციული უსაფრთხოება;

ცალკეული ორგანიზაციის - ფირმის, კომპანიის და ა.შ. ინფორმაციის უსაფრთხოება;

პიროვნების ინფორმაციული უსაფრთხოება.

ინფორმაციულ უშიშროებაში მოიაზრება ინფორმაციულ სფეროში ეროვნული ინტერესების დაცულობის მდგომარეობა, რასაც განსაზღვრავს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ბალანსირებული ინტერესების ერთობლიობა, ხოლო უსაფრთხოებაში - ინფორმაციული სისტემების, ავტომატიზებულ სისტემების მონაცემთა ბაზების დ სხვა დაცვა.

თანამედროვე პირობებში, საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, ტერმინი „უსაფრთხოება" ასოცირდება შრომის დაცვასთან. შრომის უსაფრთხოების შინაარსი შემადგენელია თანამედროვე საერთაშორისო კომპანიებში გამოყენებული, უფრო ფართო შინაარსის მქონე ტერმინის „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება", რომელიც მოიცავს სანიტარულ–ჰიგიენური, სამკურნალო–პროფილაქტიკური, სარეაბილიტაციო, ტექნიკური საშუალებების და მეთოდების გამოყენებას და ა.შ.

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დღეისათვის საქართველოში დამკვიდრებულია პიროვნების უსაფრთხოების, მისი უფლებების დაცვის დემოკრატიული კონცეფციები. თუმცა, მათი პრაქტიკაში განხორციელება საკმაოდ რთული აღმოჩნდა ბოლო ათწლეულებში საზოგადოების მრავალ სფეროში, უპირველეს ყოვლისა ეკონომიკაში, ეროვნულ ურთიერთობებსა და სოციალურ სფეროში მიმდინარე დესტრუქციული პროცესების გამო.

წლების განმავლობაში, მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა ყალიბდებოდა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის და პოლიტიკოსების პოპულისტური გადაწყვეტილებების ფონზე. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა მოქალაქეებს არა მხოლოდ ღირსეული ცხოვრების დონით, არამედ ცხოვრების მინიმალური სტანდარტით. ამ მდგომარეობას განაპირობებდა სახელმწიფოს ფინანსური სირთულეები. შედეგად, მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით უფროსი თაობა, აღმოჩნდა ეკონომიკურად და სოციალურად დაუცველი, მოკლებული ადრე დაგროვილ დანაზოგებსა და მდგრად შემოსავლებს, ხოლო დანაშაულის მასშტაბებმა ადამიანები აქცია პოტენციურ მსხვერპლად. ამ პროცესებმა წარმოშვა სამართლებრივი ნიჰილიზმის ტალღა, რომელმაც ადამიანის

კონსტიტუციურ უფლებებს და უსაფრთხოებას იურიდიული და სოციალური შემადგენელი გამოაცალა.

საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობის პირობებში მისი სამართლებრივი სისტემის სტაბილურობის კრიტერიუმს და სამართლებრივი განვითარების მაჩვენებელს წარმოადგენს სახელმწიფოს უნარი უზრუნველყოს ადამიანის უფლებების, მისი უსაფრთხოების რეალიზება. ეს შესაძლებელია სახელმწიფოს უფლებამოსილების გონივრული გაფართოებით საზოგადოებასთან მიმართებაში, რომელსაც გააჩნია დასახული ამოცანების შესრულების ეფექტური მეთოდები და საშუალებები.

**დასკვნა**

ამრიგად, ადამიანის უსაფრთხო გარემო საჭიროებს დაცვას. მათი დაცვა გარანტირებული უნდა იყოს კანონის ნორმებით, რომლებიც პრაქტიკაში ჰპოვებს თავის რეალიზებას.

დღეს საქართველოს ცივილური განვითარების უმთავრესი პირობა საზოგადოებრივი ცნობიერების პროგრესია. როგორც აღვნიშნეთ, აუცილებლად მიგვაჩნია უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნას ქვეყნის თავისებურებები, ერის მენტალიტეტი და ყველა სხვა აუცილებელი თვისებები, საჭიროა მინიმუმამდე დავიყვანოთ საფრთხის შემცველი ქმედებები, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ადამიანის კეთილდღეობისა და მშვიდი ცხოვრებისათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა**

ოთინაშვილი რ. ეკონომიკური უსაფრთხოება. თბილისი. 2005.

ვერულავა თ. ჯანმრთელობა, როგორც უფლება თუ პრივილეგია? 2020.

შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემების მეთოდური მითითება. ჟენევა. 2001.

UNICEF. კვების გაიდლაინი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2016.

გელიტაშვილი გ., ბოკუჩავა ა., აბუთიძე გ., ჭელიძე მ. საბანკო სისტემის სტაბილურობა, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფაქტორი. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, ტომი 105, 4-5, 2022. გვ. 110-120.

ლაფერაშვილი ქ., ქუჩუკაშვილი ზ. სურსათის უვნებლობა და ხარისხი. თბილისი. 2011.

Towards Development, Security and Human Rights for All. Report of the Secretary-General, New York, March, 2021.

## Security - the guarantor of human well-being and peace of mind

**Medea Chelidze,**
Professor, Georgian Technical University
**Marine Topchishvili,**
Professor, Georgian Technical University
**Rusudan Topchishvili,**
Bachelor, Caucasus University

**Abstract**

Even in the most difficult and decisive period of Georgia's development, the problem of insecurity was not as urgent as it is today. The existing problem requires a deep analysis, it is necessary to choose such approaches that takes into account the features of the country, is adapted to the mentality of the nation and ensures the safety of the population.

The main goal of any progressive state is the welfare of the population. Well-being is the level and quality of providing society with the conditions of life necessary for a comfortable and safe existence. Security is also a protected state of material and immaterial hundreds. Thus, insecurity is considered as a guarantee of human well-being, rights and peace of mind.

In our country, democratic concepts for the protection of personal rights and security have been established. However, their implementation in practice turned out to be difficult due to destructive processes in many areas, primarily in the economy, national relations and the social sphere.

In the conditions of economic, political and social instability of the society, the criterion of the stability of its legal system and the indicator of legal development is the ability of the state to ensure the realization of human rights and security protection. This is possible through a reasonable expansion of the state's authority in relation to society, which has effective methods and means of performing the set tasks.

The article discusses the content of the concept of "security", the classification of basic human rights, as well as guarantees of human security in modern society.

**Keywords:** Security, social security, human rights, well-being, security guarantee.

# კულტურა როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება

**თამარა ტარტარაშვილი,**
სოციოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
**ვეფხვია ჯოლოხავა,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

თანამედროვე პოლიტიკის წარმოების მეთოდების ეტაპობრივმა დახვეწამ და გამრავალფეროვნებამ სხვადასხვა სფეროს გააქტიურება გამოიწვია. პოლიტიკური ელიტის მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოიყენება ყველა შესაძლო მეთოდი და სფერო, რომელიც ამ გადაწყვეტილების მხარდასაჭერად და იმპლემენტაციისათვის არის საჭირო. ქვეყნის შიგა თუ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, სწორედაც რომ ხალხის მოსაზრებების გათვალისწინებითა და დაკვეთის საფუძველზე მიიღება. ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმრავლესობის კულტურული ფასეულობების გათვალისწინება პოლიტიკური ელიტისათვის უმნიშვნელოვანესია, პოლიტიკური მხარდამჭერების შესანარჩუნებლად და ხალხის მართვის პროცესში წარმოქმნილი სირთულეების საპრევენციოდ. კულტურა, როგორც სფერო აქტიურად გამოიყენება ასევე, ორ ქვეყანას შორის საომარი მოქმედებების შემდგომ სიტუაციის დათბობის თვალსაზრისით და ხელს უწყობს, როგორც ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ასევე ძველი - ნეგატიური მოვლენების სწრაფად დავიწყებას.

ამ ბოლო პერიოდში, პოლიტიკა და კულტურა უფრო და უფრო მეტ შეხების წერტილებს პოულობენ საგარეო პოლიტიკის ნაწილში. სახელმწიფოებმა აქტიურად დაიწყეს ბინძური მეთოდების გამოყენება თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და რეალპოლიტიკის საფარქვეშ პატარა სახელმწიფოების მიმართ ყოველგვარ ღონეს ხმარობენ ზეგავლენა მოახდინონ „მიზანში ამოღებული“ ქვეყნის მოსახლეობის განწყობებზე და ფასეულობების ჩამოყალიბებაზე. ამ გზით ისინი ცდილობენ დროთა განმავლობაში „მოძმე“ ხალხებად აქციონ მეზობელი ხალხები და „დიდი ძმის“ სტატუსი წარმატებით მოირგონ. ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარი პოსტსაბჭოთა სივრცეა, რომელიც „ჰიბრიდული“ ომის მეთოდების გამოყენებით ფაქტიურად ომის გამოცხადების გარეშე იმყოფებიან ომში რუსეთთან სწორედ კულტურული ფასეულობების ფრონტზე.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურა, პოლიტიკა, რეალპოლიტიკა, ფასეულობები, სახელმწიფო

კულტურის როლი, ასევე მნიშვნელოვანია შიგა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროსაც. სახელმწიფოს მოწყობის წესი, კანონები და ცხოვრების ზოგადი წესები მაქსიმალურ თანაფარდობაში უნდა იყოს ე.წ. „ფაქტობრივ“ კონსტიტუციასთან და უნდა იყოს მისი იურიდიული გაფორმება. წინააღმდეგ შემთხვევაში იურიდიული კონსტიტუცია ფარატინა ქაღალდად დარჩება.

მმართველობის ფორმას ან სახეს, რომელიც არსებობს სახელმწიფოში ხალხის სამართავად, უწოდებენ წესს და წყობილებას. სახელმწიფო მოწყობის ყველაზე ოპტიმალურ ფორმად და ხალხის უკეთესად სამართავად ამ ეტაპისათვის მიჩნეულია სამგვარი უფლება: 1. საკანონმდებლო; 2. აღმასრულებელი ანუ ადმინისტრაციული და 3. სასამართლო. სახელმწიფო მართვის უფლებამოსილებების ამ სამ საკონსტიტუციო ერთეულში გადანაწილება თითქმის

ყველა თანამედროვე სახელმწიფოსათვის მისაღები ფორმაა - განსხვავება მხოლოდ იმაშია, ფორმალიზებულია თუ არა პროცესი და დე ფაქტო გადანაწილებულია თუ არა ძალაუფლება.

თუ სახელმწიფოს ზემოთ ხსენებული საკონსტიტუციო ერთეულები და მათი ხელმძღვანელი პირები მართავენ, ასეთი სახელმწიფო, რესპუბლიკური ხასიათისაა და მას თანამედროვე, განვითარებული სახელმწიფოების უმრავლესობა წარმატებით იყენებს. ეს არის სახელმწიფო, სადაც ადგილი ვერ ექნება პრივილეგიებსა და იერარქიებს, გზა ეხსნებათ ღარიბ ადამიანებს მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ჩნდება თანაბარი შესაძლებლობების გიგანტური ველი. ყოველივე ეს კი, დემოკრატიული მმართველობის საფუძველს და წინაპირობას წარმოადგენს.

დემოკრატია არის ხალხის მმართველობა. ძალაუფლება ეკუთვნით ხალხს ან მათ წარმომადგენლებს, ხოლო მისი მთავარი მახასიათებელი ძალაუფლებაში მყოფი პირებისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების არჩევითი წესით მიღებაა - ყველა ტიპის გადაწყვეტილება მიიღება უმრავლესობის გადაწყვეტილებით. სწორედ ამ ფაქტორების გამო არის ის უნიკალური და მას ზოგიერთ შემთხვევაში არაეფექტურ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეფექტურ მმართველობის ფორმად აღიქვამენ. მის არაეფექტურობის აღწერისას, გადაწყვეტილების მიღების დროს, გარკვეული სირთულეების არსებობას ასახელებენ, მაგრამ ამავდროულად ყველასთვის თვალნათელია ის ფაქტიც, რომ ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული გადაწყვეტილების იმპლემენტაცია რეალურ ცხოვრებაში, უფრო ეფექტურად მიმდინარეობს ვიდრე სხვა შემთხვევებში.

სახელმწიფოს მოწყობის ფორმის არჩევა სპონტანური პროცესი არ არის და ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული გამოცდილების, კულტურული ფასეულობებისა და ამ სახელმწიფოში მაცხოვრებელთა სურვილებიდან და მისწრაფებებიდან გამომდინარეობს. ხშირად კულტურას და კულტურულ ფასეულობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ამგვარი გადაწყვეტილებების მიღების დროს, უფრო მეტიც, სახელმწიფოში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები და წესები სრულ კოლერაციაშია ტრადიციულ და კულტურულ ფასეულობებთან.

კულტურა სცდება ეროვნულ საზღვრებსაც კი და სხვადასხვა კულტურა მსოფლიოს ბევრ წერტილში იკვეთება. უბრალო ადამიანებში ის გარკვეული ტიპის გაუგებრობებს, გაუცხოებებს, გაკვირვებებსა და ხშირ შემთხვევაში კონფლიქტებსაც კი იწვევს. გამომდინარე იქიდან, რომ კულტურული საზღვრები სახელმწიფო ადმინისტრაციულ საზღვრებს არ ემთხვევა, ბუნებრივია იქ ჩნდება ასევე, უმცირესობებისა და უმრავლესობის გაგებაც კულტურული და ეთნიკური თვალსაზრისით. თუ კულტურული მრავალფეროვნება უმცირესობისაგან და უმრავლესობისაგან შედგება ამას ახალი კონფლიქტების წარმოშობა და ძველის გაღვივება მუდმივად სდევს თან. სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური წარმომავლობა ომებისა და ძალადობების მიზეზი მუდმივად ხდებოდა, როგორც ერთი ქვეყნის, ისე რეგიონის მასშტაბით. ისტორიიდან „ცივილიზაციების შეჯახებისა“ და „კულტურათა შორის ომების“ უამრავი მაგალითების მოყვანა შეგვიძლია, რასაც ადამიანთა უფლებების დარღვევისა და ინდივიდუალური და ჯგუფური ძალადობის მთელი ეპოქა მოყვებოდა ხოლმე. ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაშიც ხშირად გვხვდება, უმრავლესობა მუდმივად ცდილობს ძალა გამოიყენოს უმცირესობის წინააღმდეგ.

კულტურათა შედარებისას, უდიდეს პრობლემას თითოეული კულტურის თვალნათლივ წარმოჩენა და მისი რთული და მრავალფეროვანი ხასიათის დადგენა წარმოადგენს. კულტურათა შეფასების „აისბერგის მეთოდი“ სწორედაც რომ, კარგად ასახავს მის სირთულეს

და იმ დაფარულ ელემენტებს, რომელიც ნამდვილი აისბერგის მსგავსად 90 პროცენტს შეადგენს და ამ უხილავ ნაწილში მოქცეული ელემენტები (ნორმები, ფასეულობები, მსოფლმხედველობა) თავისი მნიშვნელობით ფუნდამენტურია. გარდა ამისა სწორედ დაფარულ ნაწილში მოქცეული ელემენტები ქმნიან საფუძველს „ხილული" ნაწილისათვის. შესაძლებელია ჩვენ ვიცნობდეთ და ვხედავდეთ ხილულ ელემენტებს (ენა, არქიტექტურა, რიტუალები, ანბანი, ხელოვნება, საკვები, სამზარეულო, სამოსი, მუსიკა, ავეჯი, სამკაული და ა.შ.) მაგრამ მხოლოდ კულტურის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ვახერხებთ შევიგრძნოთ მისი სიღრმე.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ კულტურული ელემენტების 90 პროცენტი დაფარულია და სწორედ ეს დამალული ნაწილი ახდენს ფუნდამენტურ გავლენას მისი „ხილული" ელემენტების იმ ფორმით არსებობაზე როგორიც არის, შესაბამისად ისინი ჩვენს საქციელებზეც და გადაწყვეტილებებზეც საკმაოდ დიდი დოზით ახდენენ გავლენას. ეს ფაქტორები განსაკუთრებით სენსიტიური ხდება, როდესაც საქმე სტრატეგიულად მნიშვნელოვან და ოჯახისათვის ან ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხებს ეხება.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ევროპულ ცივილიზებულ სახელმწიფოებში გაბატონებული რეალპოლიტიკისა და ამ სახელმწიფოებს შორის ანტაგონისტური მიდგომების პირობებში, კულტურული ფაქტორები აქტიურად გამოიყენებოდა და დღემდე გამოიყენება. კულტურის „ფარული" ელემენტები ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობენ ერების ცხოვრებაში. ანტაგონისტური პოლიტიკის წარმოების ერთ-ერთ ყველაზე კომფორტულ ველს სწორედ კულტურის ზემოთ ხსენებული „ფარული" ელემენტები წარმოადგენენ.

რეალპოლიტიკის პირობებში სახელმწიფო პოლიტიკა მთლიანად იცლება იდეოლოგიური ცნებებისა და ეთნიკური ან მორალური საფუძვლებისაგან. წინა პლანზე საჭიროებები და პრაგმატული მიდგომები გადმოინაცვლებს, რაც სახელმწიფო ძალისხმევის ძალაუფლებაზე კონცენტრირებას იწვევს, ამ გზით პოლიტიკა თანდათანობით სრულიად ამორალური ხდება. რეალპოლიტიკა განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება დიდი და პატარა ერების ურთიერთმეზობლობის შემთხვევაში, როდესაც პატარა ქვეყნებს თავიანთი პოზიციების დათმობა ეტაპობრივად უწევთ და შესაძლოა საქმე სუვერენიტეტის დაკარგვამდეც კი მივიდეს, მაგრამ სუვრენიტეტის დაკარგვა მსგავსი ზემოთ ხსენებული კულტურის „ფარული" ელემენტების მქონე ქვეყანასთან შეერთების ხარჯზე უფრო უმტკივნეულოდ მიმდინარეობს ვიდრე სხვა შემთხვევებში. გარდა ამისა, მარტივდება ანექსიის პროცესი.

საქართველოს ისტორიიდან უამრავი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, იმის დასადასტურებლად, რომ კულტურულმა ფასეულობებმა გავლენა მოახდინეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო, რუსეთის სახელმწიფოსთან დადებული „გეორგიევსკის ტრაქტატია". მონღოლთა შემოსევების შედეგად ერთიანი ქართული სახელმწიფოს განადგურების შემდგომ საქართველო დიდი ხნის განმავლობაში ლავირებდა სპარსეთსა და თურქეთს შორის და არ ეგუებოდა მათ მთავარ მოთხოვნას - ხელი აგეღო სარწმუნოებაზე. მათ კარგად ესმოდათ რომ სარწმუნოებისა და სხვა კულტურული ფასეულობების დათმობის გარეშე საქართველოს ანექსია ფაქტიურად შეუძლებელი იყო. ასეთ პირობებში „ერთმორწმუნე" და „მოძმე" რუსეთის გამოჩენამ ქართული პოლიტიკური ელიტის ყურადღება სწორედ ჩრდილოეთისკენ გადაიტანა და „გეორგიევსკის ტარაქტატის" გაფორმებიდან რამოდენიმე წელიწადში სწორედ რუსეთის მიერ დაწყებული ანექსიაც მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ გადაიტანა. კულტურული ფაქტორების გამო გაჩენილი უზარმაზარი ნდობის ფაქტორი დღემდე განელებული არ არის რუსეთის სახელმწიფოს მიმართ,

მიუხედავად იმ უამრავი მოღალატეობრივი და არაკეთილსინდისიერი საქციელებისა რომელიც მას საქართველოს მიმართ ჩაუდენია.

რეალპოლიტიკა, კიდევ ერთხელ, მისი ყველაზე ნეგატიური გაგებით გაიფიურჩქნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. რუსეთი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლას ვერაფრით ეგუებოდა ფაქტიურად, ანტაგონისტური მეთოდების გამოყენებით, ცდილობდა კონფლიქტური ზონების შექმნას და სიტუაციის საერთო კონტროლის საკუთარ ხელში აღებას, რათა შემდგომში ზეგავლენა მოეხდინა შიდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ის ასევე აქტიურად იყენებს ჰიბრიდული ომის პრინციპებს, რომლის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ის არის, რომ ეომო სხვა სახელმწიფოს ომის გამოცხადების გარეშე. საომარი მოქმედებების მთავარი ხაზი ამ შემთხვევაში სწორედ კულტურაზე და კულტურული ელემენტების „ფარულ" ნაწილზე მოდის. მის მიერ ჩამოყალიბებული ახალი სტრატეგია დიდწილად პროპაგანდას ეყრდნობა, რომელიც თავის მხრივ სწორედ კულტურული მსგავსებების წინა პლანზე წამოწევის გზით ყოველთვის ინარჩუნებს „მეხუთე კოლონას" იმ კონკრეტულ ქვეყანაში და ზრდის მხარდამჭერთა რაოდენობას.

**დასკვნა**

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობაში და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. კულტურულ ფასეულობებთან შეუსაბამო გადაწყვეტილებები არასოდეს არ დარჩება საზოგადოების მხრიდან რეაგირების გარეშე და პირიქით, საზოგადოება ყოველთვის ახალისებს მის ფასეულობებთან კოლერაციაში მყოფ გადაწყვეტილებებს. „მაინც ჩემიანია"-ს პრინციპით უამრავი გადაწყვეტილება ყოფილა მიღებული და მოწონებული საზოგადოების მხრიდან, რომელსაც თავისი ნეგატიური შედეგები წლების შემდგომ გამოუღია. ზოგიერთი პილიტიკური პარტიები სწორედ კულტურული ფასეულობების დაცვის პროპაგანდით იხვეჭენ პოპულარობას და ზოგიერთ შემთხვევაში მართვის სადავეებსაც კი მოიპოვებენ ხოლმე.

**გამოყენებული ლიტერატურა**


კულტურათშორისი სწავლება, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, 2020 https://rm.coe.int/168008db44 გადამოწმებულია 10.31.2022

კულტურის ცნების განსაზღვრება https://digitallibrary.tsu.ge/book/2020/dec/books/tsotskolauri_kulturuli_mravalferovneba_da_socialuri_mushaoba.pdf გადამოწმებულია 10.31.2022

კონსტიტუცია და დემოკრატია, მასწავლებლის სახელმძღვანელო, თამთა აშორტია, თეონა ელიზბარაშვილი, 2014 https://conlaw.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2015/10/gakvethili-4-konstitutsiis-shesakheb-2-mastsavleblis-sakhelmdzghvanelo-1.pdf გადამოწმებულია 10.31.2022

ენდრიუ ანდერსონი, 20 მიზეზი თუ რატომ არ უნდა ვენდოთ რუსეთს, 2016

Культура как средство и объект государственной политики https://studme.org/164529/kulturologiya/kultura_sredstvo_obekt_gosudarstvennoy_politiki გადამოწმებულია 10.30.2022

Society for better society http://www.socium.ge/downloads/politikurisociologia/politika-rogorc-socialuri-movlena.pdf გადამოწმებულია 10.30.2022

Association of Accredited Public Policy Advocates to the European Union http://www.aalep.eu/key-definitions-polity-policy-politics-corporate-communications-public-affairs-lobbying-government გადამოწმებულია 10.29.2022

David Held, Models of Democracy, Third Edition, 2006. https://edisciplinas.usp.br/pluginfile.php/2280272/mod_resource/content/1/DHeld_Models_of_Democracy_2006.compressed.pdf გადამოწმებულია 10.29.2022

Machiavelli, On Politics and Power, Introduction by Jon Lee Anderson, Illustration by Eko, 2021

The Authoritative Allocation of Values https://study.com/academy/lesson/the-authoritative-allocation-of-values.html გადამოწმებულია 10.29.2022

ვაშინქტონის უნივერსიტეტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი https://www.polisci.washington.edu/what-political-science გადამოწმებულია 10.29.2022

# Culture as a means of achieving political goals

**Tamara Tartarashvili,**
Doctor of Social Science, Associated Professor
**Vepkhvia Jolokhava,**
Doctorate Student, Georgian Technical University

**Abctract**

The gradual refinement and diversification of modern policy making methods has led to the activation of various fields. In the process of decision-making by the political elite, all possible methods and fields are used, which are necessary for the support and implementation of this decision. Decisions related to the internal or foreign policy of the country are taken in consideration of people's opinions and on the basis of orders. Taking into account the cultural values of the ethnic majority living in the country is of the utmost importance for the political elite, in order to maintain political supporters and prevent difficulties arising in the process of managing the people. Culture, as a field, is also actively used in terms of warming up the situation after the hostilities between the two countries and contributes to the formation of new relations and the quick forgetting of old negative events.

In recent times, politics and culture find more and more points of contact in the field of foreign policy. States have actively started using dirty methods to achieve their political goals, and under the guise of realpolitik, they are making every effort to influence the attitudes and values of the population of the "targeted" country. In this way, they try to turn the neighboring peoples into "brother" peoples over time and successfully acquire the status of "big brother". In this regard, the post-Soviet space is particularly rich, which, using "hybrid" war methods, is actually at war with Russia on the front of cultural values without declaring war.

**Keywords:** culture, politics, realpolitik, values, state

# კულტურის სფეროს მართვის ორგანიზაციული ფორმები და მათი მახასიათებლები

**ანზორ აბრალავა,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**თამარ გუდავა,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

თანამედროვე პირობებში კულტურა და ხელოვნება მოქმედებს როგორც საზოგადოების პროგრესული განვითარების მაჩვენებელი და ამავე დროს მოსახლეობის აქტიური ეკონომიკური ცხოვრების აღდგენის რესურსი. კულტურა არის არა მხოლოდ თაობათა ერთიანობის შენარჩუნების, პრესტიჟის გაზრდის მძლავრი საშუალება, არამედ სახელმწიფოსა თუ ცალკეული რეგიონისთვის საინვესტიციო მიმზიდველობის შესაქმნელი საშუალება. დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნის კულტურული და განათლებული მოსახლეობის აღზრდა და, შესაბამისად, სახელმწიფომ და საზოგადოებამ იცის, რომ სწორედ კულტურის სფერო მოქმედებს როგორც პიროვნებისა და მთლიანად ქვეყნის პიროვნული ზრდის ფაქტორი. ნაშრომში მოცემულია კულტურის სფეროს ორგანიზაციების კლასიფიკაცია. ძირითადი პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობაზე კულტურის სფეროში. კულტურის დაწესებულებების დაფინანსების წყაროები.

**საკვანძო სიტყვები:** საინვესტიციო მიმზიდველობა, კულტურული მომსახურება, სერვისი, სუბსიდიები, კულტურული სფეროს პოლიტიკა, დაფინანსების წყაროები.

**ძირითადი ტექსტი**

კულტურის თანამედროვე სფერო მოიცავს ხელოვნებას (ტრადიციული ხელოვნებისა და ხელოსნობის ჩათვლით), ფოლკლორს, განათლებას, დასასვენებელ პროგრამებს, შემოქმედებით ინდუსტრიებს, კულტურულ მემკვიდრეობას და საქმიანობის მრავალ სხვა სფეროს. გარდა ამისა, ის მოიცავს იმ სფეროებს (იურიდიული, ეკონომიკური, ორგანიზაციული და ა.შ.), რომელიც უზრუნველყოფს კულტურული ორგანიზაციების ფუნქციონირებას. კულტურის სფეროში დასაქმებულნი არიან დირექტორები, გიდები, ბიბლიოთეკარები, მენეჯერები, მხატვრები და სხვა პროფესიის ადამიანები. უფრო მეტიც, ყველა მათგანი კულტურის სფეროს მუშაკია.

კულტურის სფერო მოიცავს მრავალ ორგანიზაციას და ასოციაციას, ასევე ინდივიდებს, რომლებიც ახორციელებენ კულტურულ, საგანმანათლებლო, სარესტავრაციო მომსახურებას, აწყობენ მოსახლეობის დასვენებას. კულტურის სფერო იყოფა ორ ძირითად სექტორად: კომერციულად და არაკომერციულად.

კომერციული სექტორი მოიცავს ორგანიზაციებს და ინდივიდებს, რომლებიც მუშაობენ თვითმმართველობის საფუძველზე. ამ სექტორის მიერ მომსახურების გაწევა მიზნად ისახავს მოგების მიღებას. კომერციული სექტორი მოიცავს: კინოთეატრებს, საგამოფენო კომპლექსებს, შოუბიზნესის ორგანიზაციებს, სარესტავრაციო და ხელოვნების სახელოსნოებს, ასევე მეწარმეებს, რესტავრატორებს, გიდებს, ექსპერტებს, შემფასებლებს და ა.შ.

| კულტურის სფეროს არაკომერციული სექტორი | კულტურის სფეროს კომერციული სექტორი |
|---|---|

| | |
|---|---|
| 1. თეატრები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, ფილარმონიული საზოგადოებები, საბავშვო ხელოვნების ცენტრები, კულტურის ცენტრები, კლუბები და ა.შ.<br>2. ხელოვნებათმცოდნეები, მხატვრები, მწერლები და კომპოზიტორები. | 1. წიგნის გამომცემლები, აუდიო და ვიდეო პროდუქტების მწარმოებლები, შოუბიზნესის ორგანიზაციები.<br>2. საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები, სამხატვრო გალერეები, კინოთეატრები, ვიდეო სალონები, ხელოვნებისა და რესტავრაციის სახელოსნოები.<br>3. გიდები, რესტავრატორები, შემფასებლები, ექსპერტები, მეწარმეები. |

ცხრილი 1 - კულტურის სფეროს ორგანიზაციები

კულტურის სფეროს არაკომერციული სექტორი წარმოდგენილია ორგანიზაციებით და პირებით, რომლებიც არ ახორციელებენ თავიანთი საქმიანობის ხარჯების დაფარვას მიღებული შემოსავლიდან. მათი მთავარი მიზანი არ არის მოგება. არაკომერციული სექტორი მოიცავს: ბიბლიოთეკებს, თეატრებს, ფილარმონიულ საზოგადოებებს, ასევე ხელოვნების ისტორიკოსებს, ხელოვანთა, მწერალთა და კომპოზიტორთა უმეტესობას (ცხრილი 1).

კულტურის სფეროს კუთვნილი ყველა ორგანიზაციის აბსოლუტური უმრავლესობა ეკუთვნის არაკომერციულ სექტორს. მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, კულტურის სფეროს ყველა ორგანიზაციასა და ინდივიდს აერთიანებს მათ მიერ წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურების სპეციფიკა. კულტურის სფეროში მომსახურების სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია. მათი კლასიფიკაციის მრავალი მიდგომა არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი მათ ორ ჯგუფად ყოფს - ძირითადად და დამატებითად. ძირითადი სერვისები მიზნად ისახავს კულტურის ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, ასევე მისიის რეალიზებას.

ასე, მაგალითად, თეატრისთვის ძირითად სამსახურს წარმოადგენს თეატრალური წარმოდგენების ორგანიზება, რომელიც მიმართულია თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე, სასცენო ხელოვნებაში მოსახლეობის მოთხოვნილებების ფორმირებასა და დაკმაყოფილებაზე. დამატებითი მომსახურება მოიცავს ყველა მეორად მომსახურებას: საინფორმაციო მხარდაჭერას, კვებას, სუვენირების გაყიდვას და ა.შ.

ზოგიერთი მკვლევარი გვთავაზობს კულტურის სფეროს მომსახურების კლასიფიკაციას, მათ დაყოფას პირდაპირ და შუამავალ სერვისებად. პირდაპირი მომსახურება მოიცავს მხატვრების, პოეტების, მუსიკოსების, მსახიობების და სხვა შემსრულებლების საქმიანობას. შუამავალ სერვისებს არ აქვთ საკუთარი კულტურული მნიშვნელობა და უშუალო მომსახურებას უწევენ მომხმარებელს. მათ შორისაა ბიბლიოთეკების, კინოთეატრების, გამომცემლობების საქმიანობა და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურული სერვისების კლასიფიკაციას ავთენტურობის კრიტერიუმზე დაყრდნობით. ამ შემთხვევაში კულტურის სფეროს ყველა პროდუქტი იყოფა პირველად და მეორად პროდუქტებად.

პირველადი პროდუქტები არის მატერიალური და არამატერიალური საქონელი, რომელიც მომხმარებელს მიეწოდება ორიგინალური, ავთენტური ფორმით (სპექტაკლი, ქანდაკება, ფერწერა და ა.შ.) მეორადი პროდუქტები არის პირველადი საქონლის ასლები და ასევე არის არამატერიალური პროდუქტის მატერიალურად გადაქცევის შედეგი (რეპროდუქციები, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, სლაიდები და ა.შ.). მეორადი პროდუქცია იწარმოება პირველადი

საქონლის პოპულარიზაციის, დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის, ასევე ორგანიზაციებისა თუ კერძო პირების კულტურული სერვისების ბაზარზე პოპულარიზაციის მიზნით.

კულტურის სფეროს ორგანიზაციებში ჩვეულებრივად უნდა გავიგოთ საკუთრების სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციები, რომელთა ძირითადი საქმიანობაა კულტურული საქონლის წარმოება და განაწილება.

იუნესკოს რეკომენდაცია „კულტურული ფასეულობების საერთაშორისო გაცვლის შესახებ“ განსაზღვრავს კულტურულ დაწესებულებას, როგორც ნებისმიერ მუდმივ დაწესებულებას, რომელიც არსებობს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს სახით და გამოიყენება ზოგად ინტერესებში კულტურის შენარჩუნების, შესწავლის, განვითარებისა და ზოგადი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

საქმიანობის ძირითადი მიმართულებიდან გამომდინარე, კულტურის სფეროს ორგანიზაციები იყოფა შემდეგ ტიპებად:

• საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში მოქმედი ორგანიზაციები, ასევე კულტურული პროდუქტების საჯარო დემონსტრირება (ფილარმონია, თეატრები, კინოთეატრები, ცირკები და ა.შ.).

• კულტურული განათლების სფეროში მოქმედი ორგანიზაციები (მუსიკალური, მხატვრული, ქორეოგრაფიული, კულტურული, საგანმანათლებლო, თეატრალური და სხვა სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებები);

• კულტურული, დასასვენებელი და საგამოფენო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციები (მუზეუმები, მუზეუმ-ნაკრძალები, კულტურის პარკები, კლუბები და ა.შ.);

• საბიბლიოთეკო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციები;

• სხვა კულტურული ორგანიზაციები.

განვიხილოთ ძირითადი პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობაზე კულტურის სფეროში:

1. სამართლებრივი რეგულირება. არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობა კულტურის სფეროში რეგულირდება სპეციალური კანონებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ მათ აქვთ ძალიან განსხვავებული საქმიანობის სპეციფიკა და ამიტომ უჭირთ ერთიანი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

2. უწყებრივი კუთვნილება. კულტურის სფეროს არაკომერციული ორგანიზაციები სხვადასხვა სამთავრობო ორგანოების (სამინისტროები, უწყებები, დეპარტამენტები და ა.შ.) კონტროლის ქვეშ არიან. ამასთან დაკავშირებით, მათი საქმიანობის ორგანიზებაზე მოთხოვნების განსხვავებული სპექტრია დაწესებული, უწყებრივი კუთვნილების გამო.

3. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. არაკომერციული სექტორის კუთვნილი კულტურული ორგანიზაციები მოქმედებენ შემდეგი ორგანიზაციული და სამართლებრივი ფორმებით: დაწესებულებები; სახსრები; საზოგადოებრივი ორგანიზაციები; ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაციები, არაკომერციული ამხანაგობები, ასოციაციები (კავშირები). კულტურის სფეროს ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა კულტურული დაწესებულებებია. თეატრების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების ძირითადი ნაწილი სახელმწიფო დაწესებულებების სახით ფუნქციონირებს. დაწესებულების, როგორც ორგანიზაციული და სამართლებრივი ფორმის მთავარი მახასიათებელია ის, რომ დაწესებულება საკუთრებას იყენებს ოპერატიული მართვის უფლების საფუძველზე და არ არის მისი მფლობელი. ქონების მესაკუთრის ფუნქციას ასრულებს დაწესებულების დამფუძნებელი – სახელმწიფო,

პროფკავშირები და ა.შ.. ქონების მფლობელის თანხმობის გარეშე დაწესებულებას უფლება არა აქვს განახორციელოს მასთან ოპერაციები. მესაკუთრის მოვალეობებში, ქონებით სარგებლობის კონტროლის გარდა, მოიცავს დაწესებულების საქმიანობის დაფინანსებას (სრულად ან ნაწილობრივ). კულტურის სფეროში დაწესებულების ორგანიზაციული და სამართლებრივი ფორმის არჩევა მიზანშეწონილია იმ ქონების არაკომერციულ ორგანიზაციაზე გადაცემის შემთხვევაში, რომელსაც აქვს კულტურული ღირებულება და საჭიროებს უსაფრთხოების მუდმივ მონიტორინგს და აუცილებელ დაფინანსებას შესაბამისი პირობების შესანარჩუნებლად. დაფინანსების პირობები.

4. დაფინანსების პირობები. კულტურის სფეროში ორგანიზაციების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის თავისებურებებს განსაზღვრავს როგორც საკუთრების, ისე უწყებრივი კუთვნილების ფორმა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ არაკომერციული ორგანიზაციების უმეტესობა საბიუჯეტოა. შესაბამისად, მათი ფინანსური მხარდაჭერის ძირითადი წყაროა სხვადასხვა დონის ბიუჯეტის სახსრები: სახელმწიფო ბიუჯეტი (სახელმწიფო ორგანიზაციები), რეგიონული (რეგიონული ორგანიზაციები) და მუნიციპალური, ადგილობრივი (მუნიციპალური ორგანიზაციები). ამავდროულად, კულტურის სფეროს მრავალი არაკომერციული ორგანიზაცია ამჟამად იზიდავს დამატებით დაფინანსებას მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან.

კულტურის დაწესებულებების დაფინანსების წყაროები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად (ნახ. 1).




ნახაზი 1 - კულტურული დაწესებულებების დაფინანსების წყაროები

რესურსებზე ხელმისაწვდომობის განსხვავებული შესაძლებლობები იწვევს იმ ფაქტს, რომ ორგანიზაციებს, რომლებიც ზოგჯერ ახორციელებენ ერთსა და იმავე მომსახურებას, აქვთ დაფინანსების სრულიად განსხვავებული ოდენობა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დაფინანსების წყაროების წილების თანაფარდობა განისაზღვრება ეროვნული კულტურის პოლიტიკის სპეციფიკით. ასე, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიასა და საქართველოს კულტურული ორგანიზაციების შემოსავლების სტრუქტურაში ჭარბობს სახელმწიფო დაფინანსება, ხოლო აშშ-ში შემოსავლის უმეტესი ნაწილი უზრუნველყოფილია საკუთარი და ნასესხები სახსრებით.

ის ფაქტი, რომ არაკომერციული კულტურული ორგანიზაციები მოქმედებენ სხვადასხვა პირობებში, უარყოფითად აისახება მათი ურთიერთქმედების ეფექტურობაზე და პარტნიორობის განვითარებაზე და ასევე მნიშვნელოვნად ართულებს კულტურული აქტივობების კოორდინაციას. ამრიგად, იმავე ქალაქში მდებარე ბიბლიოთეკებს, თეატრებს, მუზეუმებს, სახელოსნოებსა და სხვა კულტურულ ორგანიზაციებს ექნებათ განსხვავებული პრიორიტეტები, რომლებიც განისაზღვრება მიმდინარე დაფინანსების ოდენობით, დამატებითი ფულადი სუბსიდიების ხელმისაწვდომობით, კულტურული აქტივობების მხარდაჭერის პროგრამებით და ა.შ.

ამრიგად, კულტურული ორგანიზაციები წარმოადგენენ საკუთრების სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციებს, რომელთა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კულტურული საქონლის წარმოება და გავრცელება. საქართველოში კულტურის სფეროს ორგანიზაციების ძირითადი ტიპია კულტურული დაწესებულებები. კულტურის დაწესებულებების განხილული ორგანიზაციულ-სამართლებრივი თავისებურებები განსაზღვრავს მათი ძირითადი საქმიანობის ორგანიზების სპეციფიკას. დამფუძნებელთან ქონებრივი ურთიერთობის ბუნება, დამატებითი დაფინანსების მოზიდვის აუცილებლობა და რესურსების გამოყენებაზე მუდმივი კონტროლი ქმნის კულტურული ინსტიტუტის ძლიერ დამოკიდებულებას გარე ფაქტორებზე.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. Шекова, Е. Л. Управление учреждениями культуры в современных условиях [Текст]: учебное пособие / Е. Л. Шекова. – СПб.: Издательство «Лань»; Издательство «ПЛАНЕТА МУЗЫКИ», 2014. – 416 с.
2. Байрнс, У. Дж. Менеджмент и культура [Текст] / пер. с англ. И. Кушнаревой; под науч. ред. И. Чубарова; Нац. исслед. ун-т «Высшая школа экономики». – М.: Изд. дом Высшей школы экономики, 2020. – 624 с.
3. Рекомендация о международном обмене культурными ценностями [Электронный ресурс]. – URL: https://docs.cntd.ru/document/901756978.
4. Федотова, Н. Г. Менеджмент в сфере культуры [Текст]: учебное пособие / Н. Г. Федотова. – Великий Новгород : Новгородский государственный университет им. Ярослава Мудрого, 2015. – 282 с.
5. Тульчинский, Г. Л. Менеджмент в сфере культуры [Текст]: учебное пособие / Г. Л. Тульчинский, Е. Л. Шекова. – 5-е изд., испр. и доп. – Спб. : Планета музыки, 2015. – 544 с.

## Organizational forms of cultural management and their characteristics

**Anzor Abralava,**
Professor, Georgian Technical University
**Tamar Gudava,**
Doctoral student, Technical University of Georgia

**Abstract**

In modern conditions, culture and art act as an indicator of the progressive development of society and at the same time a resource for restoring the active economic life of the population. Culture is not only a powerful means of maintaining the unity of generations, increasing prestige, but also a means of creating investment attractiveness for the state or individual region. Today, it is especially relevant to raise the cultural and educated population of the country, and therefore the state and society know that it is the sphere of culture that acts as a factor of personal growth of a person and the country as a whole.

The paper provides a classification of organizations in the field of culture. Basic conditions affecting the activities of non-profit organizations in the field of culture. Sources of funding of cultural institutions.

**Keywords:** investment attractiveness, cultural services, service, subsidies, cultural sphere policy, funding sources.

# ბავშვებისათვის მიზნობრივი სოციალური პროგრამები მუნიციპალურ სტრუქტურებში აღწერა და ანალიზი

**თამარ გოცაძე**
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,
დაზარალებულთა დახმარების სააგენტო,
სოციალური პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.
საჯარო მმართველობის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

მოწყვლადი ჯგუფებისათვის მიზნობრივი სოციალური პროგრამების განვითარება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სახელმწიფოს განვითარების დონის შეფასებისთვის. მნიშვნელოვანია ხარისხიანი სოციალური სერვისების არსებობა, თანაბრად, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ასევე ცენტრალიზებულ დონეზე, რათა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი, მიზნობრივი დახმარების დროული და ეფექტური უზრუნველყოფა.

ბოლო წლებში მიღწეული მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად სოციალური სერვისების ჩამონათვალი, შინაარსობრივი მხარე და სამიზნე ჯგუფები მუდმივად საჭიროებს საჭიროებების კვლევას და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების უზრუნველყოფას.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპს. ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს მისი უფლებები და ჰქონდეს საჭრიო სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

ბავშვზე ზრუნვის ფუნდამენტური საქმიანობაა სოციალური სამუშაო, სოციალური მუშაობა პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესია და ისეთი დისციპლინაა, რომელიც ხელს უწყობს სოციალური ცვლილებებსა და განვითარებას, სოციალურ ინტეგრაციასა და საზოგადოების გაძლიერებას. მის მისიას წარმოადგენს თითოეული ადამიანის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მათ მიმართ არაგანსჯითი პოლიტიკის განხორციელება, კონფიდენციალობის დაცვა, ინდივიდუალური განვითარებისა თუ ინტერვენციის გეგმის შედგენა. სოციალური სამუშაო ეყრდნობა პრინციპებს, რომლებიც ქმნიან სამართლებრივ ჩარჩოს სოციალური სამუშაოს განხორციელებისას. საქართველოს საკანონმდებლო სივრცე 2018 წლამდე არ იცნობდა კანონს, რომელიც სრულფასოვნად განსაზღვრავდა სოციალური სამუშაოს ფუნქციასა და მისი განხორციელების სფეროს, ასევე არ არსებობდა სამართლებრივი გარანტიები სოციალური სამუშაოს შესრულებისას. სტატიაში ნაჩვენებია სოციალური მუშაობის ეთიკური პრინციპებიდან სამართლებრივ პრინციპებზე გადასვლის მნიშვნელობა. სოციალური მუშაობის განხორციელებისას სოციალური მუშაკი ეყრდნობოდა და ხელმძღვანელობდა პროფესიული ეთიკის პრინციპებით, რომელიც გაწერილია სოციალური სამუშაოს ეთიკის კოდექსში, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ დოკუმენტს სამართლებრივი ძალა არა აქვს და სარეკომენდაციო ხასიათისაა, იგი ვერ ამკვიდრებდა სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული საქმიანობის სტანდარტს. სტატიაში მიმოხილულია სოციალური მუშაობის ძირითადი დანიშნულება და სოციალური სამუშაოს ეთიკური სტანდარტები, საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“ და განხილულია სოციალური მუშაობის პრინციპები.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური პროგრამა, ადგილობრივი თვითმმართველობა, რეგიონული მმართველობა, ცენტრალური ხელისუფლება, დეცენტრალიზაცია, მოწყვლადი ჯგუფები.

**ძირითადი ტექსტი**

საქართველოს კონსტიტუციაში ვკითხულობთ სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე. მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის კანონი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპების განუხრელი დაცვა წარმოადგენს მომავალი სოციალური პოლიტიკის ფუნდამენტს.

სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით.

2019 წლის სექტემბერში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალ კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც სისტემაში მთელი რიგი ცვლილებების განხორციელებას შეუწყობს ხელს. კოდექსის პირველივე თავში ვკითხულობთ:

„ამ კოდექსის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობით.“

*კოდექსი, მაღალ სტანდარტს აწესებს ბავშვთა კეთილდღეობის და დაცვის კუთხით. სახელმწიფოს პრიორიტეტია ბავშვი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, სადაც დაცული იქნება მისი უფლებები და გამოხატული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ამ მიზნით ყოველწლიურად ხორციელდება სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრევენციული და მხარდამჭერითი სერვისების განვითარებაზე, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდასა და მრავალფეროვანი სერვისების დანერგვაზე.* რაც ცალსახად გულისხმობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას, მისი ღირსების დაცვას, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებასა და დაცვას ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე, ბავშვის მონაწილეობის უზრუნველყოფას, მის საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მომზადებას, ბავშვის მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით, განსაკუთრებით – მშვიდობის, ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით აღზრდას.

ასევე, კოდექსში ვკითხულობთ სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვი – ბავშვი, რომელზედაც გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, რომლებიც აფერხებს მის შესაძლებლობას, სათანადო მხარდაჭერის გარეშე გაიაზროს სხვადასხვა გამოწვევა, წინააღმდეგობა გაუწიოს და გაუმკლავდეს მათ და აღიდგინოს რესურსები, მათ შორის, ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან/და აზარტულ თამაშობაზე დამოკიდებულება, ბავშვობისას მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენა, კანონთან კონფლიქტში ყოფნა, ძალადობა და მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები.

ბავშვს უფლება აქვს, ისარგებლოს სოციალური დაცვითა და მხარდაჭერით მისი და მასზე მზრუნველი პირების ინდივიდუალური საჭიროებებისა და მდგომარეობის შესაბამისად.

ასევე კოდექსით განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობაში ბავშვთა დაცვისა და მხადრაჭერის განყოფილების ჩამოყალიბების აუცილებლება.

მუნიციპალიტეტების დონეზე არსებულ საკანონმდებლო სივრცეში, რაც საქართველოს რეალობაში მხოლოდ სახელმწიფო რწმუნებულის დებულებითაა წარმოდგენილი, პირდაპირი ჩანაწერი სოციალური სერვისების განვითარების ხელისშემწყობი ღონისძებების შესახებ არ არსებობს. თუმცა ადგილობრივ დონეზე ვხვდებით სოციალური სერვისების სხვადასხვა ფორმას, ძირითადად ერთჯერადი ფულადი გასაცემლების სახით, აღნიშნული მუნიციპალიტეტისთვის ნებაყოფლობითი უფლებამოსილებაა და პრიორიტეტული სოციალური დახმარების გაცემა და სახეობების განსაზღვრა ძირითადად პრაქტიკიდან და მოქალაქეების მომართვიანობიდან გამომდინარე ხორციელდება.

ცენტრალიზებულ დონეზე ბავშვზე ზრუნვის ნაწილში 2018 წლის 13 ივნისის კანონმა „სოციალური მუშაობის შესახებ" განსაზღვრა კანონის რეგულირების სფერო და დაადგინა „ეს კანონი განსაზღვრავს სოციალური მუშაობის ძირითად პრინციპებს, სოციალური მუშაკის სამართლებრივ სტატუსს, სოციალურ გარანტიებს, ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეობებს, სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს." აღნიშნულმა საკანონმდებლო აქტმა განსაზღვრა სოციალური სამუშაოს პრინციპები, რომელითაც ხელმძღვანელობს სოციალური მუშაკის ინტერვენციის განხორციელების პროცესში და სავალდებულო გახადა ის ეთიკური ნორმებით თუ პრინციპები, რომლებიც პროფესიული ეთიკის კოდექსით იყო გაწერილი და რომელთა შესრულებაც სოციალური მუშაკის პროფესიონალიზმზე და კეთილსინდისიერებაზე იყო დამოკიდებული.

თუ გადავხედავთ სოციალური მუშაობის ისტორიული განვითარების გზას საქართველოში, ვნახავთ, რომ სოციალური მუშაობის საფუძვლები გასული საუკუნის 90-იან წლებში გვხვდება, როდესაც აღნიშნული სფეროს დამკვიდრებისა და განვითარების საჭიროება იკვეთება, რაც ერთის მხრივ, განპირობებული იყო, 1994 წელს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირებით, ისე ბავშვზე ზრუნვის ახალი სტანდარტების დამკვიდრების საჭიროებით. აღნიშნულმა სათავე დაუდო ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის განხორციელებასა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის სრულ რეფორმირებას. თავად ბავშვა კეთილდღეობის რეფორმა სამ ძირითად ეტაპს მოიცავს:

პირველი ეტაპი

საქართველომ მოახდინა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირება, დაიწყო დეინსტიტუცინალიზაციისაკენ მიმართული ძვრები და აღნიშნული პროგრამა სახელმწიფო გახდა, გამოჩნდა სოციალურ მუშაკთა პიონერები.

მეორე ეტაპი

ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობა გადანაწილდა რესურსცენტრებზე და გაჩნდა მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონული საბჭოები. შეიქმნა ბავშთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია და დამტკიცდა დეინსტიტუციონალიზაციის სამოქმედო გეგმა.

მესამე ეტაპი

ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვის ფუნქციები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაეცა,ბავსვზე ზრუნვის სახელმწიფოს სტანდარტები დამტკიცდა, რომელიც სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვებზე ზრუნვის ხარისხის გაუმჯობესებას გულისხმობდა.

ბავშვზე ზრუნვის კეთილდღეობის რეფორმა ბავშვზე ზრუნვის ფეროში არსებულ და ბავშვზე ზრუნვის სამსახურის მუშაობის მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა. იგი მიზნად ისახავდა სოციალური პოლიტიკის გატარებას მოწყვლადი ჯგუფებისათვის, როგორებიც იყო სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, მიუსაფარი, ძალადობის მსხვერპლი, ინკლუზიური განათლების საჭიროების მქონე თუ რთული ქცევის ბავშვები. აღნიშნული რეფორმა ეფუძნებოდა ისეთ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს როგორიცაა:

- ბავშვის ღირსების, საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- დისკრიმინაციისაგან დაცვა;
- კონფიდენციალურობის დაცვა;
- ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა;
- ბავშვისა და ოჯახის მონაწილეობა ზრუნვის დაგეგმვასა და მიწოდებაში;
- ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება;
- ოჯახს მიახლოებული გარემოს უზრუნველყოფა;
- ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- ძალადობისაგან დაცვა;

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის შემუშავება იყო ბავშვზე ზრუნვის სფეროში გადადგმული ყველაზე პროგრესული და რაციონალური ნაბიჯი, იმის გათვალისწინებით თუ რა ხდებოდა იმ პერიოდის სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ დიდი ზომის ინსტიტუციებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური მუშაობის განვითარება საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკას უკავშირდება. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ სახელმწიფო მოხელეებმა გაანალიზეს დიდი ზომის სააღმზრდელო დაწესებულებების არარენტაბელურობა და უარყოფითი ზეგავლენა ბავშვის განვითარებაზე. დაიწყო ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების შემუშავებაზე მუშაობა. საქართველოს პარლამენტმა 1999 წელს მიიღო კანონი „ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ", რომლის აღსრულებისთვისაც საჭირო იყო სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა.

სწორედ ამ დროისათვის გადაიდგა პირველი ნაბიჯები სოციალური სფეროს განვითარებისა და სოციალური მუშაკის ფუნქციის დამკვიდრების მიზნით, აქვე უნდა ითქვას რომ ამ პერიოდისათვის სოციალურ მუშაკს მხოლოდ ვიწრო სპეციალიზაცია ქონდა და რამდენიმე მიმართულებით მიდიოდა მუშაობა. ამ მიმართულებებს შორის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას შორის იყო შვილობილობის სტატუსზე მუშაობა, ბავშვის კეთილდღეობის მიზნით დეინსტიტუციონალიზაციის ქვეპროგრამის განხორციელება , შვილად აყვანის სფერო, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების მიმართ პრევენციული ღონისძიებების გატარება. სოციალურ მუშაობას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ჩვენს რეალობაში და მისი განვითარების პერსპექტივებზე არსებითადაა დამოკიდებული ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულება. სოციალური მუშაობა მოიცავს ველზე სამუშაოს შესრულების გზით სამიზნე ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათთვის არსებული სოციალური მხარდაჭერის სერვისების სათანადო მიწოდებას. სოციალური მუშაობა გულისხმობს პირდაპირ და უშუალო მუშაობას საველე მეთოდებით, ასევე სოციალური პოლიტიკის ხარვეზების იდენტიფიცირებას, შესაბამისი წინადადებების შემუშავებასა და ადვოკატირების მექანიზმების გამოყენებას .

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, 2018 წლამდე არ არსებობდა ერთიანი სამართლებრივი დოკუმენტი, სადაც დეტალურად გაწერილი იქნებოდა და სამართლებირივ ჩარჩოში მოექცეოდა სოციალური სამუშაოს დანიშნულება, მიზნები და პრინციპები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური სამუშაოს ეთიკური სტანდარტები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა და მას კანონის ძალა არააქვს, მისი შესრულება კი პიროვნების კეთილსინდისიერებასა და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. 2018 წლის 13 ივნისის კანონმა „სოციალური მუშაობის შესახებ" განსაზღვრა კანონის რეგულირების სფერო და დაადგინა „ეს კანონი განსაზღვრავს სოციალური მუშაობის ძირითად პრინციპებს, სოციალური მუშაკის სამართლებრივ სტატუსს, სოციალურ გარანტიებს, ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეობებს, სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს." (3, მუხლი 1;) ეს კანონი არის უპრეცენდენტო სამართლებრივი აქტი ქართულ სამართლებრივ სივრცეში, რომელმაც მოახდინა სოციალური მუშაკის ფუნქცია-მოვალეობებისა და მოქმედების სფერო/არეალის განსაზღვრა. სოციალურ მუშკთა ასოციაციის მიერ შემუშავდა საქართველოში სოციალური სამუშაოს პროფესიის მარეგულირებელი დოკუმენტები და სახელმძღვანელოები, როგორებიცაა: სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსი (2006), სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის (2010), სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები (2010), სოციალური მუშაობა და სოციალური ადვოკატობა – სოციალური მუშაკები ადამიანების სოციალური უფლებების დასაცავად (2011), მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. აღნიშნულ კანონამდე არსებული საკანონმდებლო ნორმები თუ უფლებამოსილი უწყებების მიერ შემუშავებული კანონქვემდებარე აქტები ვერ უზრუნველყოფდა სოციალური მუშაკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას და ასევე ვერ ხერხდებოდა სოციალური მუშაკის მაღალპროფესიული სტანდარტის დამკვიდრება.

ცენტრალიზებულად *სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მოქმედებს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა,.*

ასევე, სოციალურ სერვისების გარკვეულ ნაწილს მოიცავს საქართველოს მთავრობის დადგენილება, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა.

**სოციალური სერვისები მუნიციპალურ დონეზე**

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა აღნიშნული მუნიციპალიტეტისთვის ნებაყოფლობითი უფლებამოსილებაა და პრიორიტეტული სოციალური დახმარების გაცემა და სახეობების განსაზღვრა ძირითადად პრაქტიკიდან და მოქალაქეების მომართვიანობიდან გამომდინარე ხორციელდება.

შეგვიძლია განვიხილოთ რამოდენიმე მუნიციპალიტეტის მიერ ბავშვების მიმართ განხორციელებული სოციალური დახმარების.

***ჩოხატაურის*** მუნიციპალიტეტი პირდაპირ ფინანსურ დახმარებას გასცემს ოჯახებისა და ბავშვების დასაცავად, ლტოლვილების დასახმარებლად.

ქალაქ ***ამბროლაურის*** მუნიციპალიტეტის მიერ პირდაპირი ფინასნური დახმარებები გაიცემა მზრუნველობამოკლებული ბავშვების მიტოვების თავიდან ასარიდებლად.

***ლენტეხის*** მუნიციპალიტეტი პირდაპირ ფინანსურ დახმარებას მრავალშვილიანი ოჯახებისთვის და ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დახმარებისთვის.

***ადიგენის*** მუნიციპალიტეტი პირდაპირ ფინანსურ დახმარებას გასცემს ახალშობილთა ოჯახებზე, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის და, ზოგადად, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების გასაწევად. არაპირდაპირი ფინანსური დახმარება

სუბსიდიის ფორმით გაიცემა მედიკამენტების უზრუნველსაყოფად. მომსახურება კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საინტეგრაციო ცენტრის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებას მოიცავს.

***მცხეთის*** მუნიციპალიტეტი პირდაპირ ფინანსურ დახმარებას გასცემს მრავალშვილიან ოჯახებზე, არაპირდაპირი ფინანსური დახმარება სუბსიდიის სახით გაიცემა ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფაზე. მომსახურება მოიცავს ადგილობრივი რეგიონული განვითარების ცენტრების, ჯანდაცვის პროგრამებისა და ოპერაციის ხარჯების დაფინანსებას.

მუნიციპალიტეტების უმეტეს ნაწილს სოციალურად დაუცველთა აღნიშნული კატეგორიები ცალკე გამოყოფილი არ აქვს, ასევე რთულია სტატისტიკური მონაცემების მოძიებაც.

**დასკვნა**

სოციალური დახმარების უფრო მიზნობრივად განსასაზღვრად და გასაცემად, მუნიციპალიტეტები სოციალური პროგრამების დაგეგმვისა და პრიორიტეტების განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტები კოორდინირებულად მუშაობდნენ ცენტრალურ სტრუქტურებთან, რათა დროულად გამოვლინდეს სოციალური პროგრამების საჭიროება, სამიზნე ჯგუფების სწორი განსაზღვრა და შესამაბისი სიღრმისეული კვლევის შესაძლებლობა, ასევე აღნიშნული გაზრდის მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი შედეგის დანახვის შესაძლებლობას. მუნიპალიტეტებს გაუმარტივდება სოციალური პროგრამების დაგეგმვის პროცესი და მუნიციპალურ დახმარებებაც უფრო მიზნობრივს გახდის.

სასურველია დახმარებების სტანდარტიზაცია ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ერთიან ჩაროჩოში მოქცევა, ამავე დროს, სასურველია ინფორმაციის მოძიება გამარტივებული იყოს ელექტრონული ფორმით. ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეამცირებს ბენეფიციარს დროისა და ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად საჭირო სატრანსპორტო რესურსებზე დანახარჯს.

*კოდექსი, მაღალ სტანდარტს აწესებს ბავშვთა კეთილდღეობის და დაცვის კუთხით.* რაც ცალსახად გულისხმობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას, მისი ღირსების დაცვას, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებასა და დაცვას ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე, ბავშვის მონაწილეობის უზრუნველყოფას, მის საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მომზადებას, ბავშვის მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით, განსაკუთრებით – მშვიდობის, ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით აღზრდას. ასევე, კოდექსით განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობაში ბავშვთა დაცვისა და მხადრაჭერის განყოფილების ჩამოყალიბების აუცილებლება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავიაზროთ, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ბავშვთა დაცვისა და მხადრაჭერის განყოფილების არსებობა შესაბამისი, მიზნობრივი სოციალური სერვისების გარეშე ვერ იქნება ეფექტური და სრულყოფილად ფუნქციონირებადი. შესაბამისად ვერ იქნება მიღწეული კოდექსით გათვალიწინებული ძირითადი პრონციპები ბავშვთა კეთილდღეობის შელშეწყობის მიმართულებით.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. საქართველოს კონსტიტუცია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
2. ბავშვის უფლებათა კოდექსი- https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=1
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება - სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2097940?publication=0
4. სოციალური დახმარების შესახებ კანონი - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/10276?publication=0
5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - http://chokhatauri.ge/
6. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი - http://ambrolauri.gov.ge/
7. ლენტეხის მუნიციპალიტეტი - https://lentekhi.gov.ge/
8. ადიგენის მუნიციპალიტეტი - http://adigeni.ge/
9. მცხეთის მუნიციპალიტეტი - http://mtskheta.gov.ge/ka/home

**Description and analysis of targeted social programs for children in municipal structures**

**Tamar Gotsadze,**
LEPL - AGENCY FOR STATE CARE AND ASSISTANCE FOR THE (STATUTORY) VICTIMS OF HUMAN TRAFFICKING
Head of Social Programs Provision Division
PHD of Public Administration

**Abstract**

The development of targeted social programs for vulnerable groups plays an important role in assessing the state's level of development. It is important to have quality social services, both at the local self-government and at the central level, in order to ensure timely and effective provision of appropriate, targeted assistance from the state.

Despite the significant changes achieved in recent years, the list of social services, content and target groups constantly need to be researched and necessary to ensure the implementation of appropriate changes.

Child rights protection and support system should be based on the principle of danger prevention and early assistance. The child has the right to have his rights protected and to have access to emergency services.

A fundamental activity in childcare is social work, social work is a practice-based profession and a discipline that promotes social change and development, social integration and community empowerment. Its mission is to ensure the well-being of each person, to implement a non-judgmental policy towards them, to protect confidentiality, to draw up an individual development or intervention plan. Social work is based on principles that form the legal framework for the implementation of social work.

Until 2018, the legislative space of Georgia was not familiar with the law that fully defined the function of social work and the scope of its implementation, and there were no legal guarantees when performing social work.

The article shows the importance of moving from ethical principles of social work to legal principles. In carrying out social work, the social worker relied on and was guided by the principles of professional ethics,

It is written in the code of ethics of social work, and considering that the mentioned document has no legal force and is of a recommendatory nature, it could not establish the standard of the activities carried out by the social worker. The article reviews the main purpose of social work and ethical standards of social work, the Law of Georgia "On Social Work" and discusses the principles of social work.

**Keywords:** social program, local self-government, regional government, central government, decentralization, vulnerable groups.

# The Logistics Sector in Germany

**Wilhelm Hauser,**
Professor, Germany. Saarland University of Applied Sciences.
The Faculty of Economic Science.

## Abstract

Historically, "logistics" was in the military field, stands for supply. Logistics in practice includes the following: Procurement; Picking; Sorting; Storage; Distribution; Transport; Information etc. Example of a large automotive plant in southern Germany with approx. 5000 employees, approx. 2000 passenger cars are manufactured daily. Approached daily 1500 trucks and 65 freight cars; 70 delivery stations on the factory premises. Each delivery station accepts certain parts Creation of a so-called supplier park by main suppliers & logistics service provider; Just in time delivery; Timed delivery at the right station; Just in sequence delivery; Timed delivery at the right station sorted in the right order; Often coordination of different production sites – Planning and control of all information and material flows run behind the scenes.

It's very important Performance criteria: Delivery service; Reliability; Speed; Flexibility; Transport frequency; Networking possibilities (hub and spoke, cross-loading); Technical suitability of the means of transport (long/bulky/pourable goods) Infrastructure: Road and rail network; Location of the sites; Public attitudes; Traffic restrictions (truck transit bans, Sunday and public holiday driving bans). More than 2/3 of all goods in Central Europe are transported by truck. Road freight transport: Business-like and paid transport of goods by motor vehicle (lorries), including trailers with a maximum permissible mass of more than 3.5 tonnes by an external service provider.

In the Article is discussed The issues of logistics sector in Germany.

**Keywords**: Logistics; Services; Germany; Markets; Logistics sector; Transport.

**Introduction:** In Germany the Turnover is: 274 billion € (vehicle construction > 400 billion €) = approx. 8 % of GDP (3340 billion €); Employee: 2.6 million (top position in economic sectors) of which 500000 professional drivers**.** 0.6 million Manufacture of products for the logistics sector currently there is a shortage of 15 - 20000 truck drivers and 4000 academic employees**;** Inventories 300 billion €**;** Transport tonnag: Truck short-and long-distance transport: 2938 million tons Rail 361 million tons Air,ship,pipeline 53 million tons**;** Distribution/transport 1/3 of all logistics service-es**.** annual transport of 50t per German citizen Road-79 %**;** Rail-8% Wate -11% Pipeline/Air-Rest**.**
today: logistics = independent production factor. [1]




**Scheme N1. Logistical model of an automotive plant (daily values)**

According to Fraunhofer SCS, IATA, companies such as Deutsche Post, UPS & Fedex are the world leaders in terms of revenue

Major companies: DB (Schenker, Anterist & Schneider), Dachser, Deutsche Post (DHL), Kühne & Nagel in Germany and very many SMEs

In the past: Protection of the federal railways through price specifications for freight forwarders [2]

Today: Free service and price competition (only regulated in some areas)

**Logistics is generally divided into the following four functional areas**:




**Scheme N2. Logistics four functional areas**

**Logistics Functions**: Procurement: Supply of the company with goods, raw materials and supplies, services, etc. Internal logistics: In-plant flow of goods and materials by forklifts, robots, conveyor belts, etc. In-house logistics also includes the sub-areas of storage, sorting, collecting, picking, loading**.** Distribution: Distribution of goods to the customer by truck, train, plane or ship. Distribution plays an important service function in the marketing mix of a supplier. Disposal logistics: It deals with the disposal of packaging, waste materials, garbage, etc. Disposal logistics is the youngest branch in logistics with a rapidly increasing volume. [3]

| **Function** | **Benefit** | **Example** |
|---|---|---|
| **Procuring** | Supply of necessary goods/substans | Merchandise, raw materials consumables and supplies |
| **Storing** | Bridging time difference | Production ≠ Delivery |
| **Transporting** | Bridging space difference | Transport from A to B |
| **Collecting** | Consolidation in one place | Small-quantity collectivetransport |
| **Distributing** | From one location to X recipients | Collective transport, destination transport, TRIP TRANSPORT |
| **Picking** | Merging of orders from one assortment | Roller container in trade |
| **Informing** | Information flow beforegoods flow | Just-in-time delivery<br>Just-in-sequence delivery |

**Scheme N3. Function – Benefit - Example**

Storage costs and delivery costs behave in opposite directions. It has to be decided individually for each company how many warehouses have to be maintained for the optimal supply of goods to the customers, taking into account the total costs incurred. Storage costs (selection); Personnel costs–Supervision–Warehouse handling–Security–Management; Rent; Cost of inventor-ies (interest, shrinkage,

spoilage); Delivery costs (selection); Personnel costs drivers Truck costs (depreciation, interest, fuel, tolls, tires, etc.); Shipping costs (truck, train, plane). [4;5]

Structure of goods: From bulk goods to high-value goods; Ratio of weight (-) to value (+) of the goods Speed (air traffic); Service society Faster – closer – smaller volumes. Logisticians actively offer customers their own solutions/products – not wait for customer request. Division of labour between- Punctuality: just-in-time/just-in-sequence. production stages - Reliability: just-in-time/just-in-sequence: Destocking; Small orders; Flexible production. Individualization - Complexity of processes: Complexity of the product ranges: Reduction of product life cycles. Logistics can take action at the following 5 levels to implement measures for environmental protection and resource conservation. It means: 1. customer, market and product 2. structures and planning 3. processes, control and measurement 4. technology and resources 5. employees, suppliers and service providers.

Advantages and disadvantages of central warehouses: Advantages of central warehouses: Fixed cost degression due to high volume throughput; Uniform use of equipment (IT hardware, software, warehouse equipment) and thus synergy effects (e.g. uniform maintenance work for software and warehouse equipment); Handling of very large product ranges possible due to warehouse size (of 80000 sales articles at Globus, approx. 50 % are moved via central warehouses, the remaining 50 % are delivered directly by regional manufacturers); Lower stock levels in the central warehouse than in the sum of alternative regional warehouses. [6;7]

Disadvantages of central warehouses: Long distance to the individual outlets (place of sale, e.g. branch, market, consumer market) of the customers and thus high delivery costs and environmental pollution due to long transport distances; Long distance to regional manufacturers/suppliers; Return transports from the central warehouse to the manufacturer's region (e.g. Wagner pizza is produced in Saarland, is then delivered to the Globus central warehouse in Bingen and is returned from there to the place of sale in the Globus consumer market in Saarland) - usually not sensible from a business and economic point of view. High stock levels in the outlets, as short-term subsequent deliveries in "out-of-stock" situations are not possible due to the long distance involved; Large space required for the storage of stocks.

## Conclusion

When considering the aspects of the logistics sector in Germany, we can make the following conclusion: Own-account transport does not require a permit, but must be registered with the competent authority. There is no obligation to take out liability insurance for damage to goods. Own-account transport is to be distinguished from forwarding, the characteristics of which are the transport of goods for hire or reward. However, both types of transport are part of commercial transport. Own-account freight transport is road haulage carried out for one's own purpose and with one's own lorries with a maximum permissible mass of more than 3.5 tonnes, driven by one's own staff. As a rule, such carriage of goods is only an ancillary activity for the undertaking company carrying it out as part of its overall activities.

**Literature**

Richard Vahrenkamp – "Logistik - Management u. Strategien", Berlin, 2016. – 110 p.
Günter Specht – "Distributionsmanagement, München 2016. – 160 p.
Richard Geml, Hermann Lauer –"Das kleine Marketing – Lexikon" München.2006. – 90 p.
Hertel, Zentes, Schramm-Klein – "Supply–Chain–Management u.Warenwir-tschaftssysteme im Handel". 2010. – 230 p.
Wilhelm Hauser – "Publications in: Das kleine Marketing – Lexikon Verschiedene Tagung-sunterlagen der „Versuchs-und Lehranstalt für Brauerei „in Berlin (Logistikkongresse). Saarbrücken. 2021. – 100 p.
Arnold, Isermann, Kuhn, Tempel – "Handbuch Logistik". Berlin. 2017. – 88 p.
Helmut Baumgarten (BVL) – "Das Beste der Logistik (Innovationen, Strategien, Umset-zungen)". 2018. – 120 p. – 65 p.

# ლოგისტიკური სექტორი გერმანიაში

**ვილჰელმ ჰაუზერი,**
პროფესორი, ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

**აბსტრაქტი**

ისტორიულად, "ლოგისტიკა" წარმოიშვა სამხედრო სფეროში, რაც ძირითადად მოიცავდა მიწოდების პროცესის ორგანიზებას. დღესდღეობით, ლოგისტიკური სექტორი გერმანიაში მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: შესყიდვები; დახარისხება; შენახვა; განაწილება, ტრანსპორტი და სხვ. ძალზე მნიშვნელოვანია ლოგისტიკის შემდეგი კრიტერიუმები: ადგილზე მიტანა, საიმედოობა; სიჩქარე; მოქნილობა; ტრანსპორტის სიხშირე; ქსელის შესაძლებლობები (მაგ. ჰაბი, ჯვარედინი დატვირთვა); სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ვარგისიანობა, ინფრასტრუქტურა: საგზაო და სარკინიგზო ქსელი; ადგილმდებარეობა; სატრანსპორტო შეზღუდვები. ცენტრალურ ევროპაში დიდი დატვირთვა აქვს საავტომობილო სატვირთო ტრანსპორტს, ასევე სხვა სატრანსპორტო საშუალებებს.
წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ლოგისტიკური სექტორის აქტუალური საკითხები გერმანიაში.

**საკვანძო სიტყვები:** ლოგისტიკა; მომსახურება; გერმანია; ლოგისტიკური ბაზარი, ლოგისტიკური სექტორი; ტრანსპორტი.

# ელექტრონული ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

**გენადი იაშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**თინათინ იაშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**ბესიკ შერაზადიშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

**აბსტრაქტი**

თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა გააერთიანა და დააკავშირა მთელი სამყარო, ხელი შეუწყო ადამიანებს შორის საქმიანი კავშირების განვითარებას, სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა შრომითი რესურსების, აგრეთვე ინფორმაციის მიმოქცევა მსოფლიო მასშტაბით დროის უმცირეს მონაკვეთში.

სწორედ ინფორმაციული ტექნოლოგიები, უპირველეს ყოვლისა კი ინტერნეტი როგორც გლობალური ქსელი და ურთიერთდაკავშირებული კომპიუტერების ერთიანობა, გახდა გლობალიზაციის განვითარების საფუძველი, რომელმაც შეცვალა მსოფლიოს ხალხთა ცხოვრება და შესაბამისად, ბიზნესიც. გლობალიზაცია აერთიანებს მსოფლიოს. გლობალიზაცია ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდის შედეგია. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია გულისხმობს ვაჭრობისა და ფინანსური ნაკადების ინტეგრაციას. მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად შეძლებს მათი ქვეყანა საკუთარი ეკონომიკის გაფართოებას ევროპის ან მსოფლიოს ჭრილში და ეფექტიანად განაახლებს ქვეყნის საექსპორტო ბაზარს.

ვინაიდან არცერთ სახელმწიფოს არ ძალუძს იყოს იზოლაციაში, შესაბამისად, ყველა ქვეყანას უწევს ინტეგრაცია იმ სივრცეში, რასაც გლობალიზაცია ანუ ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, მეცნიერულ-ტექნიკური დაახლოების პროცესი ჰქვია.

ბიზნესში ელექტრონულ ტექნოლოგიების გამოყენებას აქვს უდიდესი პოტენციალი, რომელიც საჭიროებს გონივრულ მართვას. ამ სფეროში ელექტრონულმა ტექნოლოგიებმა წარმოაჩინეს მიზნის მიღწევის, გაფართოების, წარმოებისა და მართვის ეფექტიანობის უზარმაზარი ჰორიზონტები. ბოლო წლებში საკმაოდ გაიზარდა ინტერნეტ–სივრცისადმი კომპანიების დაინტერესება და მათ მოახდინეს კიდეც თავიანთი პოტენციალისა და რესურსების ოპტიმიზაცია. ელექტრონული ტექნოლოგ–იების ათვისებით კომპანიები იღებენ პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოგებას. კომპანიები ელექტრონულ ბაზრებს იყენებენ თავიანთი საქონლის თუ მომსახურების შეთავაზებისათვის, მარკეტინგული კვლევებისათვის, მომარაგებისათვის და სხვ. მყიდველები კი ელექტრონული ბაზრებით სარგებლობენ ინფორმაციის ძიების, საქონლის თუ მომსახურების არჩევის, შეკვეთების მიცემის, საკრედიტო ბარათით გადახდის ან ელექტრონული ანგარიშსწორების გამოყენებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრონული ბიზნესი, გლობალიზაცია, განვითარება, საქართველო, ინტერნეტი.

ელექტრონული ბიზნესი მოიცავს ელექტრონული კომერციას, რომლის პირველი სისტემები აღმოცენდა აშშ-ში XX საუკუნის 60-იან წლებში და ძირითადად გამოიყენებოდა სატრანსპორტო კომპანიებში ბილეთების შეკვეთის, აგრეთვე სხვადასხვა სამსახურებს შორის მონაცემთა გაცვლისა და რეისების მომზადებისათვის. ბოლო ნახევარი საუკუნე ელექტრონული ვაჭრობის ტემპები იზრდება არითმეტიკული პროგრესიით. ელექტრონულ ვაჭრობას აქვს მრავალი უპირატესობა როგორც მყიდველის, ისე გამყიდველისათვის. ელექტრონული გამყიდველები არ არიან შეზღუდულნი სავაჭრო სივრცეში საქონლის ფიზიკური ასორტიმენტით. მათ შეუძლიათ კლიენტებს წარმოუდგინონ პრაქტიკულად განუსაზღვრელი ასორტიმენტი. ქსელის მეშვეობით ყიდვა ხორციელდება მომენტალურად. მყიდველს შეუძლია ელექტრონულ გამყიდველთან ურთიერთობის გზით მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია. უფრო მეტიც, ინტერნეტი სიტუაციის კონტროლის ფართო შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს. კარგი ელექტრონული გვერდები ხშირად წარმოუდგენენ მომხმარებლებს იმაზე მეტ ინფორმაციას, ვიდრე კარგი საქმის მცოდნე კონსულტანტები. ინტერნეტმა მომხმარებელს მისცა ძალაუფლების შესაძლებლობა მეტად ხელსაყრელ ფორმაში.

ინტერნეტი მძლავრი ინსტრუმენტია მომხმარებლებთან ურთიერთობის დამყარებისათვის. ის წარმოადგენს მარკეტინგის პერსპექტიულ ინსტრუმენტს. კომპანიას შეუძლია ქსელის მეშვეობით დაამყაროს ურთიერთობა კლიენტებთან, რათა მეტი გაიგოს თითოეულის საჭიროებებზე და მოთხოვნილებებზე. ტექნიკური განვითარების არსებული დონე მარკეტოლოგს საშუალებას აძლევს ქსელში მუშაობით აირჩიოს მყიდველთა ჯგუფი ან ცალკეული მომხმარებელი მათი კონკრეტული საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით, რეკლამა გაუწიოს მათ წინადადებებს. ინტერნეტი და სხვა ელექტრონული არხები ასევე იძლევა დამატებით უპირატესობებს დანახარჯების შემცირების, მომსახურების სისწრაფისა და ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით.

ელექტრონული კომერციის განვითარების ძირითადი პრობლემა არის ინტერნეტით შესრულებული ოპერაციისადმი უნდობლობა. მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული გასული წლების (2019–2021) კვლევების მიხედვით, მომხმარებელთა 43% თვლის, რომ ონლაინ-შესყიდვა რისკიანია და მეტ შემთხვევაში საქონელზე ანგარიშსწორებას ახორციელებს ნაღდი ფულით. ინტერნეტ-მაღაზიაში ან ინტერნეტ-აუქციონზე ყიდვაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზია ყიდვის პროცედურის სირთულე (მომხმარებელთა 31%-სათვის), საქონლის აღწერისა და ნახვის შესაძლებლობის არარსებობა (27%-სათვის) და ინტერნეტით ანგარიშსწორების არაუსაფრთხოება (23 %-სათვის). თუმცა ისიც აღსანიშნავია,რომ 2020–2021 წლები მსოფლიო პანდემიის წლები იყო, რამაც თავის მხრივ ელ–ბიზნესის განვითარების ტენდენციების საკითხშიც ვითარება მნიშვნელოვნად შეცვალა. კვლევითი სააგენტო E-Mrketer-ის მონაცემებით, ევროპის ელექტრონული კომერციის ბაზრის მოცულობამ 2020 წელს შეადგინა 133 მლრდ დოლარი, ხოლო უახლოესი წლების მანძილზე მოსალოდნელია წლიური ზრდა 25%-ით. ევროპის ელექტრონულ ბაზარზე ძირითადი დომინირებადი წილი უკავია დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, გერმანიას და შეადგენს მთელი გარიგებების 72 %-ს.ასევე იზრდება იმ კომპანიათა რაოდენობაც, რომლებიც სარგებლობენ ინტერნეტ-ქსელით, როგორც შესყიდვისა და მომარაგებისათვის, ისე გაყიდვებისათვის. ელექტრონული ბიზნესის ტიპებიდან ძირითადად გავრცელებულია ბიზნეს-ვაჭრობის სფერო (B2B) და საცალო ვაჭრობის (B2C) სფერო. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული აქტივობაა ელექტრონული საცალო ვაჭრობის (B2C) სფეროში.

მომხმარებლის მიერ საქონლის თუ მომსახურების შეძენა ინტერნეტ-გარემოში მკვეთრად იზრდება.ცნობილი კვლევითი კომპანიის Forrester Research-ის მონაცემებით,

მსოფლიოში ელექტრონულმა კომერციამ B2B დაB2C სექტორებზე 2020 წელს (კოვიდ–პანდემიის დაწყებამდე) შეადგინა 6,8 ტრილიონ დოლარზე მეტი. კონტინენტების მიხედვით მისი განაწილება გვიჩვენებს, რომ ელ–კომერციის ვაჭრობის მოცულობა B2B და B2C სექტორებზე ჩრდილოეთ ამერიკაში ჯამში შეადგენს 3,5 ტრილიონ დოლარს, აზია/წყნაროკეანურ რეგიონში - 1,6 ტრილიონ დოლარს, დასავლეთ ევროპაში 1,5 ტრილიონ დოლარს, ლათინური ამერიკის რეგიონში - 81,8 მლრდ. დოლარს, ხოლო დანარჩენ მსოფლიოში - 68,6 მლრდ დოლარს.

**ინტერნეტ-ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში:** ქართული ელექტრონული კომუნიკაციების სეგმენტი გამოირჩევა ეკონომიკური მიმზიდველ–ობით, რაც აისახება კიდეც ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის შემოსავლების ზრდაში.საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საკომუნიკაციო დარგის შემოსავლები, 2012 წლიდან მოყოლებული, ხასიათდება ყოველწლიურად 20%-იანი ზრდის ტენდენციით. ბოლო პერიოდში გაიზარდა საქართველოს ინტერნეტ-ბაზარზე მოქმედი ინტერნეტ-მომსახურების პროვაიდერების შემოსავლები. მართალია, ინტერნეტ-პროვაიდერების შემოსავლებს ციფრებში ზრდის ტენდენცია აქვს, მაგრამ პროცენტულ გამოხატულებაში იგი ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება. ქართველი ინტერნეტ-მომხმარებელი ქართული ინტერნეტ-მაღაზიებისადმი გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას და აღნიშნავს, რომ ძირითადად უცხოური ინტერნეტ-მაღაზია სჯობს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ჩვენთან ელექტრონული ბიზნესის, მათ შორის, ინტერნეტ-მაღაზიების ჩამოყალიბებამ და განვითარებამ საკმაოდდააგვიანა. მსოფლიო ბაზარზე ქართული პროდუქციის კონკურენტუ–ნარიანობის ამაღლება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ელექტრონული ბიზნესის განვითარებას. ეს კი ეკონომიკური პროცესების ამაღლებითა და სახელმწიფოს მხრიდან წარმოებასა და გასაღების ხელშეწყობით მიიღწევა. ცხადია, ტელესაკომუნიკაციო ქსელების განვითარება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ინტერნეტ-პროვაიდერების ინტერესებიც დიდ ქალაქებსა და დასახლებებზეა ორიენტირებული, რადგან რეგიონებში არსებული დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოქმედებს კომუნიკაციების მოთხოვნაზე, ეს კი გავლენას ახდენს ბიზნეს-სექტორის საკომუნიკაციო არეალის გაფართოებაზე.

**დასკვნა**

ამრიგად, ინტერნეტ-ბაზრის განვითარებას და გლობალურ საინფორმაციო სისტემებში ჩართვას ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ადამიანთა დაახლოება ინტერნეტში უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. ინტერნეტში ფორმირდება მიზნობრივი აუდიტორია, რომლის მართვა შესაძლებელია. მმართველობის ასპექტი გლობალიზაციის პირობებში საკმაოდ მნიშვნელოვანია. ინტერნეტ-კავშირის შეფასებამ გვიჩვენა, რომ საჭიროა გარკვეული სტრატეგიული ქმედებები, რათა საქართველოში ინტერნეტ-მომსახურება გახდეს ხარისხიანი, გარემო გახდეს მეტად კონკურენტუნარიანი, ჰქონდეს მაღალი დონის სერვისული და ტექნიკური მხარდაჭერა. საქართველოში არსებული ინტერნეტკავშირი უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი, ინტერნეტის ინფრასტრუქტურა სრულყოფილი, ინტერნეტ-ბაზარზე მოქმედი ინსტიტუტები გამჭვირვალე და კონკუ რენტუნარიანი. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობაც იქნება გამართული და ეფექტიანი. სწორედ, ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, საზოგადოების განათლების დონის ამაღლება, სოციალური სფეროს გადახალისება და სხვა საკითხები დამოკიდებულია იმაზე, თუ

რამდენად ადვილად მიღწევადია ესა თუ ის ინფორმაცია საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის და როგორია ქვეყნის ინფორმაციული გარემო.

**გამოყენებული ლიტერატურა**


იაშვილი გ, იაშვილი თ, აბულაძე კ, შერაზადიშვილი ბ, წვრავა ზ – „ელექტრ–ონული მმართველობა და ელექტრონული კომერცია“. სახელმძღვანელო. ISBN 978-9941-28-791-6. ©საგამომცემლო სახლი ”ტექნიკური უნივერსიტეტი”, ქ.თბ–ილისი 2021. – 350 გვ.

აბულაძე კ. - „ბიზნეს-კომუნიკაციები“,ლექციების კურსი. საერთაშორისო უნივე–რსიტეტი UNIGEO. თბილისი. 2017.110 გვ.

იაშვილი გ, იაშვილი თ, შერაზადიშვილი ბ,-„მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა“. სახელმძღვანელო. თბილისი, სტუ, 2018. - 365 გვ.

Andreas Schibany, Martin Berger - „Forschung, Entwicklung und Innovation im Dienstleistungssektor“. 2007. – 260 p.

## Modern trends in electronic business development

**Genadi Iashvili**
Professor,Georgian Technical University
**Tinatin Iashvili**
Professor,Georgian Technical University
**Besik Sherazadishvili**
Assoc. Professor at Georgian Technical University

**Abstract**

Modern information technologies have united and connected the whole world, contributed to the development of business connections between people, the realization of scientific potential and the deepening of relations between states. Through it, it became possible to circulate labor resources, as well as information worldwide in the shortest period of time.

It is information technologies, first of all, the Internet as a global network and the unity of interconnected computers, which has become the basis of the development of globalization, which has changed the lives of the people of the world and, accordingly, business. Globalization unites the world. Globalization is the result of increasing interdependence between countries. Globalization of the world economy implies the integration of trade and financial flows. The economic well-being of the population depends on how well their country can expand its economy in Europe or the world and effectively renew the country's export market.

Since no state can be in isolation, therefore, all countries have to integrate in the space, which is called globalization, i.e. the process of economic, political, social, cultural, scientific-technical convergence.

The use of electronic technologies in business has a huge potential that needs to be managed wisely. In this field, electronic technologies have shown enormous horizons of goal achievement, expansion, production and management efficiency. In recent years, the interest of companies in the Internet space has increased and they have optimized their potential and resources. By adopting electronic technologies, companies get direct or indirect profit. Companies use electronic marketplaces to offer their goods or services, for marketing research, for supplies, etc. Buyers use electronic marketplaces to search for information, choose goods or services, place orders, pay by credit card or use electronic payments.

**Keywords:** e-business, globalization, development, Geo

# პერსონალური მონაცემების დაცვა ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებში

**თამთა ღლონტი**

საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

**აბსტრაქტი**

პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის განმაპირობებელი ერთ-ერთი კომპონენტი პერსონალური მონაცემის დაცვაა. მიუხედავად იმისა, რომ უახლოეს წარსულში პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება კერძო ცხოვრებისა და პირადი საიდუმლოს უფლებებთან ერთად განიხილებოდა, მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების ტექნოლოგიამ საქართველოს სახელმწიფო მრავალი პრობლემის გადაწყვეტის წინაშე დააყენა.

დემოკრატიულ ქვეყნებში პერსონალური მონაცემების დაცვა ადამიანის ძირითადიუფლებებიდან ერთ-ერთია. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში პირად ცხოვრებაში ჩაურევლობას ადამიანის ღირსების დაცვის წინაპირობად განიხილავენ. „ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ" ევროპის კავშირის ქარტიაში პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას კიცალკე მუხლი ეთმობა. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ასევე ცნობს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული პირად საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ყოველივე ზემოთ აღნიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონსტიტუციურ საფუძველს და გარანტიას ქმნის.

დღესდღეობით, ინფორმაციის ელექტრონულად დამუშავების პირობებში, პერსონალური მონაცემის დაცვის მეთოდები მნიშვნელოვნად შეიცვალა. ახალი დატვირთვა შეიძინა „privacy" (განმარტოების, კონფიდენციალურობის) კონცეფციამაც. ამ კონცეფციის ფარგლებში აუცილებელი ხდება პრივატულობის სისტემისა და მონაცემთა დამუშავების ყველა პრინციპის ინტეგრირება (შექმნისა და არსებობის ყველა სტადიაზე).

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას (GDPR – 25.05.2018) პერსონალური მონაცემების დაცვა ახალ საფეხურზე აჰყავს და მიზნად ისახავს

თითოეული მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების უფლების სათანადო დაცვას.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებში.

**საკვანძო სიტყვები:** პერსონალური მონაცემები, საერთაშორისო გამოცდილება, GDPR, ევროკავშირი.

ევროკავშირი ყოველთვის წარმოადგენდა მოწინავე გაერთიანებას პერსონალური მონაცემების დაცვისკუთხით. ამის მაგალითია პერსონალურ მონაცემთა დაცვის 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივა, რომელიცარაერთი წევრი სახელმწიფოს შიდა საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებას დაედო საფუძვლად.ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-6 მუხლიც თავისი შინაარსით ინოვაციურია. ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებისგან განსხვავებით, იგი აქცენტს არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, არამედ უშუალოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვისსავალდებულო ხასიათზე აკეთებს. ევროკავშირის ქარტიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის, როგორც დამოუკიდებელი

ფუნდამენტური უფლების ცალსახად განსაზღვრა  იმ ტექნოლოგიური პროგრესის გამოძახილია რომელსაც 21-ე საუკუნე გვთავაზობს და რომლის ფონზეც კიდევ ერთხელ იკვეთება ყველა ძირითადი უფლებისაუცილებელი დაცვის საჭიროება. ჩვენი პერსონალური მონაცემები ყოველდღიურად გაედინება  ინფორმაციის გაცვლის უწყვეტი პროცესის დროს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს  პერსონალური მონაცემების დაცვისათთვის სათანადო გარანტიებისშექმნის საჭიროებას.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში განსხვავებული მიდგომა არსებობსპერსონალურ მონაცემთა ინსპექტორის არჩევისა თუ თანამდებობაზე დანიშვნის საკითხებთან მიმართებით.უმთავრეს განმასხვავებელ ნიშანს მიმდინარე პროცესებში სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტოს როლი და მნიშვნელობა წარმოადგენს. არსებობს შემთხვევები, როდესაც საზედამხედველო ორგანოს ფორმირების პრეროგატივა მთლიანად საკანონმდებლო ხელისუფლებას ენიჭება (გერმანია, სლოვენია),ხოლო რიგ შემთხვევებში, პარლამენტში წარმოდგენილი უმრავლესობისა და უმცირესობის დეპუტატთა სრული კონსენსუსი ქმნის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას (საბერძნეთი). ზოგიერთი სახელმწიფოს გამოცდილებით, მონაცემთა დაცვის ინსტიტუტის დაკომპლექტებას ერთპიროვნულად ახორციელებს მთავრობა (ირლანდია, ლუქსემბურგი), ან აღნიშნული ინსტიტუტი მთლიანად იუსტიციისსამინისტროზეა მიბმული (დანია, ლატვია). არსებობს მოსაზრება, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებისაქტიური როლი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე გამწესებისას, საფრთხეს უქმნის ამ ორგანოს დამოუკიდებლობას. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ასევე აპრობირებულია  ე.წ. შერეული მოდელი, რომელიც საზედამხედველო ორგანოს ფორმირების მიზნებისათვის მოიაზრებს ხელისუფლების სამივე შტოს აქტიურ ჩართულობას და კოორდინირებულ მუშაობას (საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ბელგია). თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ის მიზნები, რომლებიც პლურალისტური დანიშვნის პროცედურის შემოღებასემსახურება და არ იკვეთებოდეს მთავრობის მხრიდან პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეგავლენის განხორციელების შესაძლებლობა საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე. რაც შეეხება თანამდებობიდან გათავისუფლებას, თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დანიშვნის ვადას, უფლებამოსილ ორგანოსა და კონკრეტული გარემოების არსებობას, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გამოცდილების თანახმად, ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე გამწესება 5-7 წლამდე ვადით ხორციელდება. კანონი არ ითვალისწინებს არც მისი ხელმეორედ არჩევის და არც თანამდებობიდან დათხოვნისშესაძლებლობას (იტალია).

რიგ შემთხვევებში, კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს იმ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურის წამოწყების საფუძველია. ასევე, დამატებითი გარანტიის სახით, აწესებს იმავე წესების მოქმედების ვალდებულებას, რომლებიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დანიშვნისას გამოიყენებოდა (სლოვენია, პოლონეთი). მაშინ, როდესაც ზემოთ წარმოდგენილი პროცედურები მიზნად ისახავს მიმდინარე პროცესების პოლიტიკური ზემოქმედებისგან მაქსიმალურად გათავისუფლებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მიიღოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება (ირლანდია),

ცალსახად ეჭვქვეშ აყენებს მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოსდამოუკიდებლობის საკითხს.

როგორც დანიშვნის, ისე გათავისუფლების პროცედურების კუთხით დამატებითი გარანტიების შექმნისმიზნით, ერთობ საინტერესო და მისასალმებელია შემთხვევა, როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისდამოუკიდებლობა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო აქტით - კონსტიტუციითაა (საბერძნეთი, პორტუგალია) გარანტირებული. მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს სამართლებრივი ბუნება-ხასიათი ზედმიწევნით მკაფიოდ არის განსაზღვრული არსებული კანონმდებლობით ესპანეთსა და მალტაში. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გამოცდილების თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დაფინანსების წყაროს შესაძლებელია მხოლოდ ერთი ან ერთდროულად რამდენიმე წყაროდან მომდინარე ფინანსური რესურსები წარმოადგენდეს. ზოგადი წესის თანახმად, საზედამხედველო ორგანო ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებიდან (იტალია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ესტონეთი). თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც იგი კონკრეტული სახელმწიფო სტრუქტურისათვის განკუთვნილ ბიუჯეტზეამიბმული. ასეთ სტრუქტურას, რიგ შემთხვევებში, იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს.

**დასკვნა**

საკითხის ბოლო დროს შეძენილი განსაკუთრებული აქტუალურობა თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა გამოწვევის დაძლევისაუცილებლობას. ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს აბსოლუტური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ინსტიტუტის როლი ერთობ მაღალია, საჭიროა, ზედმიწევნით გათვალისწინებული იყოს მისი ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო ბერკეტები. ევროკავშირის პერსონალური მონაცემების დაცვის დირექტივის თანახმად, აბსოლუტური დამოუკიდებლობა საზედამხედველო ორგანოს დამახასიათებელი სავალდებულოკომპონენტია, რომლის გარეშეც მსგავსი ხასიათის ინსტიტუტის არსებობა გაუმართლებელი იქნებოდა. დასახული მიზნის მისაღწევად, საჭიროა ზედმიწევნით აღსრულებადი გახდეს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის მუშაობა.

**გამოყენებული ლიტერატურა**


Council of Europe. Convention 108 and Protocols.
უკანასკნელადგადამოწმებულიქნა10.18.2022
https://www.coe.int/en/web/portal/28-january-data-protection-day-factsheet
European Union Law. Directive 95/46/EC of the European Parliament.
უკანასკნელადგადამოწმებულიქნა10.18.2022
https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/181
Council of Europe.Recommendations, resolutions and guidelines R (87)1511.უკანასკნელადგადამოწმებულიქნა10.18.2022
https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX:31995L0046
Eur-lex. Council Framework Decision 2008/977/JHA (4).
უკანასკნელადგადამოწმებულიქნა10.18.2022.
https://www.coe.int/en/web/cdcj/recommendations-resolutions-guidelines

# Protection of personal data in the European Union and its member states

**Tamta Glonti**
Academic Doctor of Public Administration
Assistant Professor of Georgian Technical University

**Abstract**

One of the components of non-interference in personal life is the protection of personal data. Despite the fact that in the recent past the right to protect personal data was considered together with the rights to private life and personal secrets, the technology of computer data processing has put theGeorgian state in front of many problems.

In democratic countries, protection of personal data is one of the basic human rights. In the European Court of Human Rights, non-interference in private life is considered as a prerequisite for the protection of human dignity. A separate article is devoted to the right to protection of personal data in the Charter of the European Union "On Basic Human Rights". The Constitution of Georgia recognizes the inviolability of a person's private life and also recognizes the state's obligation to protect information related to personal matters contained in official records. All of the above forms the constitutional basis and guarantee of personal data protection.

Today, in the conditions of electronic processing of information, the methods of personal data protection have changed significantly. The concept of "privacy" also acquired a new meaning. Within this concept, it becomes necessary to integrate the privacy system and all principles of data processing (at all stages of creation and existence).

The EU General Data Protection Regulation (GDPR – 25.05.2018) takes the protection of personal data to a new level and aims to properly protect the right to privacy of each data subject.
The article discusses issues of personal data protection in the European Union and its member states.

**Keywords:** personal data, international experience, GDPR, European Un

## საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“ დასაქმებულთა მოტივაციის საკითხები

**ზაზა ჭიპაშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი.

**აბსტრაქტი**

საქართველო 2004 წლიდან შეუერთდა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიას, რომელიც ეფექტური თვითმმართველობის სისტემის შექმნის ერთგვარი გზამკვლევია, როგორც განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების, ასევე დემოკრატიის გზაზე მავალი განვითარებადი სახელმწიფოებისათვის.

ევროპულ ქარტიაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა შრომითი მოტივაციის ისეთ საკითხებს, როგორიცაა ადეკვატური წახალისების ფორმების დადგენა, მოხელეთა კვალიფიცირება, დაწინაურების სამართლიანი ფორმებისა თუ ღირსეული ანაზღაურების სისტემის დაწესება და ა.შ.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რამდენად ეფეექტიანად ხდება საქართველოში თვითმმართველობის ორგანოებში ადამიანური რესურსების მართვის კუთხით, ევროპული ქარტიის პრინციპების დანერგვა და ცხოვრებაში გატარება, რამდენად გათვალისწინებულია ამ პროცესში თანამშრომელთა მოტივირების ხელშეწყობა, საჭიროა ამ მიმართულებით არსებული სამართლებრივი გარემოს შესწავლა და ანალიზი.

წინამდებარე სტატიაში მოკლედ მიმოვიხილავთ საქართველოს კანონს „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი და ფუნდამენტური ნორმატიული აქტია, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ არეგულირებს საქართველოში საჯარო მოხელეთა, მათ შორის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულთა მოტივაციის საკითხებს.

**საკვანძო სიტყვები:** თვითმმართველობა, სამართლებრივი გარემო, ნორმატიული აქტები, ადამიანური რესურსების მართვა, საჯარო სამსახური, წახალისება, თანამშრომელთა მოტივაცია და დემოტივაცია.

### საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ - მიმოხილვა

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ არის ნორმატიული აქტი, რომელიც ერთგვარი „სათავეა“ საჯარო სამსახურში დასაქმებულთათვის მათი საქმიანობის წარმართვისათვის.

აღნიშნულ კანონში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამშრომელთა მოტივაციის მიდგომებისა და წესების განსაზღვრას.

ზოგადად, „ამ კანონის მიზანია, უზრუნველყოს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა“.

კანონის მესამე მუხლი განმარტავს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „სახელმწიფო მოსამსახურე“, „საჯარო სამსახური“, „პროფესიული საჯარო მოხელე“, „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი“, „თანამდებობა“, „მოხელის შეფასება“ და ა.შ.

კანონის მეორე თავი ეძღვნება საჯარო სამსახურის პრინციპების განმარტებას, მათ შორის, მოხელის მოტივაციის ისეთ საკითხზე როგორიცაა კარიერული განვითარება, კერძოდ,

კანონის მე 16 მუხლით „საჯარო სამსახურში კარიერული განვითარება ემყარება შეფასების სამართლიან სისტემას და სხვა მექანიზმებზე დაფუძნებულ პროფესიულ განვითარებას“.

ასევე, მნიშვნელოვანია მე-18 მუხლი, რომელშიც აღნიშნულია რომ „საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრება მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები“.

კანონის მესამე თავი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის სფეროში საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობი ორგანოს საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციებსა და მოვალეობებს. მათ შორის მოხელეთა სამსახურში მიღების, შეფასების, კარიერული განვითარების, კარიერის მართვის, პროფესიული განვითარების, მოხელეთა თანამდებობების ერთიანი კლასიფიკაციისა და ანაზღაურების სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიმართულებით ნორმატიული აქტების პროექტების ინიცირებისა და ამ მიმართულებებით არსებული მდგომარეობის მონიტორინგის გაწევის წესს. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო სამსახურის ბიურომ უნდა უზრუნველყოს საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთა სერტიფიცირებაც.

რამდენად აქტიურად და ეფექტურად ასრულებს ამ მნიშვნელოვან ფუნქციებს საჯარო სამსახურის ბიურო, რომლის ცნობადობაც, არც ისე მაღალია საზოგადოებაში (თუმცა ცნობადია საჯარო მოხელეთა შორის), უკვე ცალკე კვლევის საკითხია.

კანონის -24 მუხლი ყველა საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს, რომ უნდა შეიქმნას ადამიანური რესურსების მართვის ერთეული, და ეს უნდა იყოს არა რომელიმე ფუნქციურ განყოფილებაზე მიმაგრებული, არამედ დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რაც ამ მუხლ კანონის ერთ-ერთ პოზიტიურ ნაწილად აქცევს.

თანამშრომელთა ერთ-ერთი მთავარი მოტივაციაა კარიერული ზრდის საშუალება და ხელშეწყობა. მოხელეთა თანამდებობის რანგირება შეიძლება ჩაითვალოს ამ მოტივაციის ერთ-ერთ ძირითად კატალიზატორად. სწორედ თანამდებობების კლასიფიცირება-რანგირებას ეთმობა მე-4 თავი, რომლის 25-ე მუხლი განსაზღვრავს მოხელეთა თანამდებობის რანგებს. კერძოდ, მოხელის თითოეული თანამდებობა შეესაბამება თითო კარიერულ საფეხურს და ნაწილდება შემდეგ იერარქიულ რანგებში: ა) პირველი რანგი – მაღალი მმართველობითი დონე; ბ) მეორე რანგი – საშუალო მმართველობითი დონე; გ) მესამე რანგი – უფროსი სპეციალისტის დონე; დ) მეოთხე რანგი – უმცროსი სპეციალისტის დონე.

თანამშრომლების მოტივაციას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოხელეთა კლასიფიცირება, რისთვისაც კანონის 26-ე მუხლი ადგენს რომ მოხელის კლასების საერთო რაოდენობაა 12, მოხელეს ენიჭება მოხელის კლასი მოხელის შეფასების შედეგების მიხედვით და ეძლევა თანამდებობრივი სარგოს დანამატი. მოხელეს კლასი მუდმივად უნარჩუნდება და მისი ჩამორთმევა დაუშვებელია.

მოხელისთვის წამახალისებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს სერტიფიცირების საშუალება, რომელიც განსაზღვრულია ამ კანონის 29-ე მუხლით, რომლითაც „მოხელის სერტიფიკატი არის საჯარო სამსახურში მოხელის თანამდებობაზე დასაქმების მსურველისათვის აუცილებელი ზოგადი უნარებისა და ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაიცემა სერტიფიცირების წარმატებით გავლის შედეგად“.

რამოდენიმე ათწლეულის უკან მოხელეთა ვაკატურ თანამდებობაზე დანიშვნის ნაწილში, მაშინდელ ნორმატიულ აქტებში, მითითებული იყო სიტყვა „შეიძლება“, ანუ შეიძლება დაინიშნოს კონკურსის წესით, შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი და.აშ., როგორც წესი ამ „შეიძლება“ს არავინ იყენებდა, რაც ნეპოტიზმით ნაცვლდებოდა, სასიხარულოა რომ

დღეს ეს გარემოება შეცვლილია და მკვეთრადა განსაზღვრული ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების ვალდებულება, რაც გამყარებულაი ამ კანონის 34-ე მუხლით, სადაც ყოველგვარი „შეიძლებას" გარეშე წერია, რომ „პირი მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე ინიშნება კონკურსის საფუძველზე".

კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ" განსაზღვრავს მოხელის კარიერული განვითარების შესაძლებლობასა და მის წესს. კერძოდ, 54-ე მუხლი ადგენს ორმხრივ ვალდებულებას, ერთ მხრივ - მოხელე ვალდებულია განავითაროს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობა, ხოლო მეორე მხრივ საჯარო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ეს შესაძლებლობა. გარდა ამისა, მოხელეს უფლება აქვს, დამატებით თავადაც განსაზღვროს მისი პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი სასწავლო პროგრამის საჭიროება, რაც თანამშრომლის მოტივაციის ამაღლების კიდევ ერთი საშუალებაა. 63-ე მუხლის მიხედვით კი მოხელეს პროფესიული განვითარების სავალდებულო პროგრამაში მონაწილეობისათვის ეძლევა ანაზღაურებადი შვებულება პროფესიული განვითარების პროგრამის ხანგრძლივობით და უფლება აქვს, საჯარო სამსახურის სისტემის გარეთ არსებულ პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის 5 წელიწადში ერთხელ ისარგებლოს შვებულებით არაუმეტეს 3 თვისა, თანამდებობრივი სარგოს და საკლასო დანამატის შენარჩუნებით, ან/და შვებულებით არაუმეტეს 1 წლისა, თანამდებობრივი სარგოს და საკლასო დანამატის შენარჩუნების გარეშე.

რას გვეუბნება კანონი მოხელის უმთავრესი მოტივატორის შრომის ანაზღაურების შესახებ? 57-ე მუხლით განსაზღვრულია შრომითი ანაზღაურების მიღების პრინციპები და სისტემა, მოხელის უფლებები და ანაზღაურების ფორმები. აღნიშნულია, რომ მოხელის შრომის ანაზღაურება მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, საკლასო დანამატს, სახელფასო დანამატს და ფულად ჯილდოს. მოხელეთა თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული თანამდებობების თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის წესი დგინდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონით.

გარდა თანამშრომელთა მოტივაციისთვის ზევით აღნიშნული მნიშვნელოვანი დადგენილებებისა, აღნიშნული კანონის 59-ე მუხლში ლაკონურადაა ასახული მოხელეთა წახალისების ფორმები. კერძოდ, მოხელის შეფასების შედეგების შესაბამისად წესდება მოხელის წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა; გ) ფასიანი საჩუქრის მიცემა.

წახალისების კონკრეტული წესი კი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

წახალისებასთან ერთად ამ კანონით დგინდება, ასევე დისციპლინარული პასუხისმგებლობის ფორმები და დისციპლინარული წარმოების პრინციპები. აღნიშნულ საკითხს დათმობილი აქვს მთლიანად მე-10 თავი -20 მუხლი. ერთის მხრივ დისციპლინური პასუხისმგებლობის მიმართ ამდენი მუხლის ჩაშლა და ზოგადად წარმოდგენილი კანონის „ყურადღება" შეიძლება თანამშრომლის მოტივაციაზე უარყოფითად მოქმედებდეს, მაგრამ მეორე მხრივ ამ საკითხის დეტალიზაცია შეიძლება თანამშრომლის დაცვის მექანიზმადაც ჩავთვალოთ ზემდგომის მხრიდან სხვადასხვა მიზნით (პოლიტიკური, ნეპოტიზმი, პირადი შეხედულება და ა.შ.) მისი შევიწროების შემთხვევაში.

და, ბოლოს, კანონის 118-ე მუხლის მიხედვით მოხელეს უფლება აქვს, სამსახურებრივ საკითხზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, აგრეთვე ქმედება გაასაჩივროს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული მუხლი არეგულირებს სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ

გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულების მოხელის სასარგებლოდ განსაზღვრულ ვალდებულებებს.

**დასკვნა**

შეიძლება ითქვას, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში დეტალაურადაა გაწერილი ყველა ის საკითხი, რომელიც თანამშრომლის მოტივაციის ამაღლებას შეუწყობს ხელს, მაგრამ იმისთვის რომ ამ კანონით განსაზღვრული ბენეფიტებით სრულიად ისარგებლოს თვითმმართველობის მოხელემ, აუცილებელია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ სისტემატურად მოხდეს კონტროლი მისი აღსრულების ეფექტიანობაზე და საჭიროებისამებრ მოხდეს მისი კორექტირება. ასევე, მნიშვნელოვანია ამ პროცესში დასაქმებულებთან მუდმივი უკუკავშირი და მათთან ერთად პერიოდული რეფლექსიის ორგანიზება.

**განხილული და გამოყენებული ნორმატიული აქტები:**

ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“.

**Aspects of Employee Motivation in The Law of Georgia on Public Service**

**Zaza Chipashvili,**
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

Since 2004, Georgia has joined the European Charter on Local Self-Government, which is a guide of creation of an effective self-government system, both for developed democratic countries and for developing states on the road to democracy.

In the European Charter, emphasis is placed on aspects of motivation of the staff of local self-government, such as establishing adequate forms of incentives, supporting public servants in gaining qualification, establishing a fair structure of promotion and decent remuneration system, etc.

In order to find out how effectively the principles of the European Charter are implemented in the self-governing bodies in Georgia in terms of human resources management, and how motivation of employees is considered in this process, it is necessary to study and analyze the existing legal environment in this field.

This article briefly reviews the Law of Georgia "On Public Service", which is one of the most important and fundamental normative acts, which directly or indirectly regulates the aspects of motivation of civil servants in Georgia, including those employed in local self-government bodies.

**Keywords:** Self-government, legal environment, normative acts, human resources management, public service, incentives, promotion, motivating and demotivating employees.

# ელექტრონული მართლმსაჯულება ინფორმაციული საზოგადოების პარადიგმაში

**მარიამ ჯიბლაძე ,**
თბილისის საქალაქო სასამართლოს
მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის მთავარი კონსულტანტი,
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

თანამედროვე მსოფლიო ცხოვრობს უდიდესი ტექნოლოგიური ძვრების პირობებში. აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ციფრული ტექნოლოგიების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების, განსაკუთრებით კი ინტერნეტის დანერგვამ შესაძლებელი გახადა არნახული სისწრაფით ინფორმაციის მოპოვება/გავრცელება მთელი პლანეტის მასშტაბით, რამაც დასაბამი მისცა უპრეცედენტო გლობალურ სოციო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. შესაძლებელი გახდა მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა კუთხის ურთიერთდაკავშირება და სწრაფი ინტეგრაციული პროცესების განვითარება. ეს კი უშუალო ზეგავლენას ახდენს ქვეყნების ყოველდღიურ ცხოვრებაზე; ხელს უწყობს ადამიანების მიერ ახალი ტიპის გაერთიანებების, ასოციაციების შექმნას ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე, რაც, ახლო თუ გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვნად შეცვლის სახელმწიფოთა მართვისა და მოწყობის პრინციპებსა თუ შინაარს. დემოკრატიის განვითარების ხარისხობრივად ახალი, უფრო მაღალი საფეხურია ციფრული დემოკრატია, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის დემოკრატიის პოტენციალს, მის ეფექტიანობასა და ქმედითობას. ციფრული დემოკრატია ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ინტერაქტივს, ურთიერთქმედებას, გლობალურ სოციალურ კავშირებს, სიტყვის თავისუფლების უპრეცედენტო შესაძლებლობებს, გლობალურ თავისუფალ ასოციაციათა შექმნას და ინფორმაციის გავრცელებას, პროფესიული და საზოგადოებრივი პერსპექტივების ზრდას, რაც შლის, გარკვეულწილად, ერი-სახელმწიფოს იდენტურობას და აყალიბებს გლობალურ და ლოკალურ იდენტურობებს. აძლევს ახალ შესაძლებლობებს ბიზნესსა და მთავრობებს. ხელს უწყობს მოქალაქეების მონაწილეობას სახელმწიფოთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გაცილებით უფრო დინამიურს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

დღესდღეობით ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობა მსოფლიო პრობლემაა. სახელმწიფო მართვის გამჭვირვალობა, საქმის წარმოების სისტემატური ანგარიშგება, სამართლიანი და უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ხალხის მომსახურება - ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან და ეფექტიან სახელმწიფო მართვის სისტემას და საზოგადოების დინამიურ სოციო-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ განვითარებას.

ვინაიდან დღესდღეობით ნაყოფიერი სახელმწიფო მართვა წარმოუდგენელია ელექტრონული მმართველობის გარეშე, საქართველოში ამ ახალი სისტემების დანერგვას, კერძოდ, ელექტრონული მმართველობის დამკვიდრებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული მართლმსაჯულება, სასამართლო ხელისუფლება, ინფორმაციული საზოგადოება, სახელმწიფო მართვის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სახელმიწიფო მართვა.

**ძირითადი ტექსტი**

სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს სამთავრობო ორგანიზაციის შიგნით, სამთავრობო ორგანიზაციებს (ცენტრალურ, ადგილობრივ) შორის და მთავრობასა და მოქალაქეებს/ბიზნესს შორის არსებული ურთიერთობების ეფექტიანობის, პროდუქტიულობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას და მოქალაქის როლის გაძლიერებას სახელმწიფოს მართვის პროცესში, საინფორმაციო და საკომუნიკაციაო ტექნოლოგიების უტილიზაციის გზით ელექტრონულ მთავრობას უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ „ელექტრონულ მთავრობაში" სიტყვა „ელექტრონული" ციფრული ტექნოლოგიის კომპონენტს გამოხატავს, ხოლო „მთავრობა" სოციალურ ასპექტს ასახავს. ამდენად, ე-მთავრობა გულისხმობს არა მხოლოდ არსებული პროცედურების კომპიუტერიზაციას, არამედ მთლიანად პროცედურების შეცვლასა და გამარტივებას. ელექტრონული მთავრობა მოიცავს სახელმწიფო მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების (ძირითადად ინტერნეტის) გამოყენებას მოქალაქეების, ბიზნესის და სხვა სამთავრობო დაწესებულებებისთვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. იგი იძლევა შესაძლებლობას მოქალაქეებმა მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მოიპოვონ მათთვის სასურველი ინფორმაცია და მომსახურება. ელექტრონული მთავრობის შექმნის სტრატეგია გულისხმობს იმას, რომ ყველა ადამიანს მიუწვდებოდეს ხელი ინფორმაციაზე სახელმწიფო დაწესებულებების, საზოგადოებრივი, კომუნალური და სხვა სამსახურების, წარმონაქმნების შესახებ, რათა მიღწეულ იქნეს მთავრობის საქმიანობაში გამჭირვალობა და ჩართულობა.[1] მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აქტიურად მიმდინარეობს „ელექტრონული მმართველობის" სისტემების დანერგვა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, კერძოდ კი, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ელექტრონული მმართველობის განვითარებისათვის განხორციელებული პროექტების შედეგად, საქართველომ დააფიქსირა წინსვლის მზარდი დინამიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ელ-მმართველობის საერთაშორისო რეიტინგებში, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ქვეყნდება. [2]

„ელექტრონული მმართველობის" ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს „ელექტრონული მართლმსაჯულება", რომელიც მისი მნიშვნელობით შესაძლებელია მიჩნეული იქნას „ელექტრონული მმართველობის" ერთ-ერთ საკვანძო რგოლად, ვინაიდან, სასამართლო ხელისუფლება არის ხელისუფლების ის შტო, რომელიც ყველაზე მჭიდრო კავშირშია სხვა დანარჩენ შტოებთან. ამასთან, „ელექტრონული მართლმსაჯულების" სისტემის გამართულად და ეფექტურად მუშაობა ხელს შეუწყობს როგორც „ელექტრონული მმართველობის" სხვა ნაწილების ეფექტურ ფუნქციონირებას, ისე საზოგადოების წვდომას სწრაფ, ეფექტურ, ღია და სამართლიან მართლმსაჯულებაზე.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საერთო სასამართლოების სისტემაში ფუნქციონირებს სასამართლოს ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა (Court), რომელზე მუშაობაც დასრულდა 2010 წელს, ხოლო სატესტო რეჟიმში ჩაეშვა 2011 წლიდან რუსთავის საქალაქო სასამართლოში, ხოლო შემდგომ წლებში მისი მოხმარება სრულად საერთო სასამართლოებმა დაიწყეს. 2014 წელს კი, შეიქმნა სასამართლო საქმის რეგისტრაციის სერვისი (www.ecourt.ge), რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტის (სარჩელის, შესაგებლის, განცხადების და სხვ.) დისტანციურად, ელექტრონული წესით შეტანას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მტკიცებულებათა ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობას. [3]

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ 2020 წლის 11 მარტს კორონავირუსის (Covid 19) ოფიციალურად პანდემიად გამოაცხადების შემდეგ, საქართველოს თანამედროვე მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან ერთად ცხოვრება უწევს გამოწვევებით სავსე ახალ რეალობაში. კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ, სხვა მრავალ მიმართულებებთან ერთად, პრობლემები შექმნა ადამიანის სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზების კუთხით. შეაფერხა სახელმწიფო ინსტიტუციების ეფექტური ფუნქციონირება და მათ შორის გამონაკლისი არ აღმოჩნდა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რამდენიმე რეკომენდაცია კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, მათ შორის 2020 წლის 13 მარტის რეკომენდაციის თანახმად, სასამართლოებს სხვა საკითხებთან ერთად, მიეცათ შემდეგი სახის რეკომენდაციები [4]: გადაედოთ წარმოებაში არსებული საქმეთა განხილვა (გარდა შემჭიდროვებულ ვადებში განსახილველი საქმეებისა); საქმეები განეხილათ ზეპირი მოსმენის გარეშე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; შეეზღუდა სასამართლო სხდომებზე დამსწრე პირთა რაოდენობა; სასამართლო სხდომებში პირთა მონაწილეობა განხორციელებულიყო დისტანციურად. შექმნილ ფორსმაჟორულ ვითარებაში სასამართლო სისტემამ შეცვალა მართლმსაჯულების განხორციელების არსებული მოდელი და სასამართლო განხილვები წარიმართა ონლაინ სივრცეში - დისტანციური მართლმსაჯულების გზით. საყურადღებოა, რომ დისტანციური სასამართლო სხდომები არის „ელექტრონული მართლმსაჯულების“ ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი, რომელიც არც ისე შორეულ მომავალს წარმოადგენს და რომლის დანერგვის საჭიროებაც განსაკუთრებულად გამოჩნდა კოვიდ-19 გავრცელების გამო გამოცხადებული მსოფლიო პანდემიის პირობებში.

**დასკვნა**

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ცვლის ტრადიციულად ჩამოყალიბებულ სასამართლოს მართვის სისტემას. რამდენად გამართული და თანამედროვე იქნება მოქმედი ტექნოლოგიები, განაპირობებს მთავარი სამუშაო პროცესების ხარისხს, სისწრაფეს, დროულობას და კომფორტს. სასამართლო სისტემის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება დაგვანახებს გრძელვადიან ჭრილში განსახორციელებელ მოქმედებებს, გადასაჭრელ ამოცანებს და ამისთვის საჭირო რესურსებს. ელექტრონულ მართლმსაჯულებასა და დისტანციური სასამართლო სხდომებს, ყოველთვის ეყოლება, როგორც მომხრეეები ისე მოწინააღმდეგეები, თუმცა ეს არის სიახლე და სამართალწარმოების სისტემის გარდაუვალი მომავალი, რომლის დახვეწაზეც და პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენებაზე ზრუნვა სახელმწიფოს და მართლმსაჯულების სისტემის ყველა მონაწილის მოვალეობას წარმოადგენს, რათა უზრუნველყოფილი იქნას და არ შეფერხდეს ეფექტურ, ღია, სწრაფ და ხარისხიან მართლმსაჯულებაზე წვდომა, რაც, თავის მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედს წარმოადგენს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

დოღონაძე შ., იაშვილი გ. საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები, ელექტრონული მთავრობა. თბილისი, გამომცემლობა „ცის ნამი“, 2013 წელი;

ჟურნალი ჩემი ადვოკატი, ნომერი IV, ავტორი: სოფო სოხაძე, შპს "United Consultig Group" გენერალური დირექტორი, ადვოკატი, სტატია ხელმისაწვდომია https://www.gba.ge;

საქართველოს იუსტიციის უამაღლესი საბჭოს რეკომენდაცია - http://hcoj.gov.ge/ge/tsardgineba-2020;

გ.სვიანაძე., სადოქტორო ნაშრომი: „სასამართლოს მართვის ახალი მოდელი საქართველოში (რეფორმის პრობლემები და გადაჭრის გზები).

# Electronic justice in the paradigm of information society

**Mariam Jibladze,**
Tbilisi City Court
Chief consultant of the Citizen Service Center,
Head of secondary structural unit.
Doctoral student, Georgian Technical University

**Abstract**

The modern world lives in conditions of great technological changes. The introduction of digital technologies, information and communication services, especially the Internet, in the USA and Western Europe made it possible to obtain/distribute information at an unprecedented speed throughout the planet, which gave rise to unprecedented global socio-political and economic changes. It became possible to connect practically all parts of the world and develop rapid integration processes. This has a direct impact on the daily life of countries; Facilitates the creation of new types of unions and associations by people at the local or global level, which, in the near or long term, will significantly change the principles and content of state management and organization. A qualitatively new, higher level of democracy development is digital democracy, which significantly increases the potential of democracy, its effectiveness and efficiency. Digital democracy is based on interactive information and communication, interaction, global social connections, unprecedented opportunities for freedom of speech, global free association and information dissemination, the growth of professional and public perspectives, which erases, to some extent, the identity of the nation-state and builds global and local identities. Provides new opportunities for businesses and governments. It promotes the participation of citizens in the decision-making process of states. It makes public life much more dynamic. Today, effective state governance is a worldwide problem. Transparency of state management, systematic reporting of proceedings, fair and state-of-the-art technology-based service to people - these are important factors that ensure a high-quality and effective state management system and dynamic socio-economic and political development of society. Since effective state management today is unimaginable without e-government, special attention is paid to the introduction of these new systems in Georgia, in particular, to the establishment of e-government.

**Keywords:** e-government, e-justice, judiciary, information society, transparency and accountability of state management, communication technologies, state management.

# საპროცესო შეთანხმების პრობლემები ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან მიმართებაში

**ლაშა თოლორდავა,**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი სპეციალისტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

სისხლის სამართლის პროცესში განმტკიცებულია არაერთი პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი პროცესის წარმოებას (როგორიცაა უშუალობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის, მოსამართლის დამოუკიდებლობის, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის, სიმართლის დადგენისა და სხვა ფუნდამენტური პრინციპები). მათი დარღვევა იწვევს ადამიანის ევროპული კონვენციით ბრალდებულისათვის გარანტირებული უფლებების დარღვევას და საფრთხეს უქმნის სამართლიანი პროცესის წარმოებას და შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელება სამართლიანი სასამართლო განხილვის გარეშე წარმოუდგენელია. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებას წარმოადგენს, რომელიც გარანტირებულია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლით. ერთი მხრივ, ის წარმოადგენს ადამიანის ინდივიდუალურ უფლებას, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდების მონაწილეობით დავების გადაწყვეტას, ნეიტრალური ხელისუფლების მიერ. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ასპექტით ხასიათდება და საფუძველს უყრის მესამე სასამართლო ხელისუფლებას. სტატიის მიზანია დაანახოს მკითხველს საპროცესო შეთანხმება, რომელიც ცალკე პროცესის სახედ ჩამოყალიბდა და დაკანონდა შეჯიბრებითი პროცესის გვერდით, არის თუ არა შესაბამისობაში სისხლის სამართლის პროცესის ფუძემდებლურ (მათ შორის კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ) პრინციპებთან, და რა ადგილი უჭირავს ხელისუფლების დანაწილების პირობებში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის კვალდაკვალ, ხომ არ უქმნის რაიმე საფრთხეს სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსის დაცვას და წარმოშობს თუ არა პრობლემებს პროცესის სამართლიანად წარმოებისათვის. საჯარო მართვის თვალსაზრისით, სირთულეს ვაწყდებით იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც სისხლის სამართლის „საზღვარზე“ მდებარეობს. ვინაიდან თვით ერთი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში შეიძლება დავის საგანი იყოს, საკითხი „სისხლისსამართლებრივი“ ხასიათისაა თუ ადმინისტრაციული. შერჩეული კვლევის თემა, ვფიქრობ, რომ სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონირების მმართველობით და სამართლებრივ ასპექტებს თანაბრად მოიცავს და ამდენად, კვლევის აქტუალობა საკმაოდ დიდია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ღირებულების კუთხითაც, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ საჯარო მართვის თანამედროვე განმარტება ტრადიციულ შეხედულებას დაუბრუნდა, რომელიც ითვალისწინებს ხელისუფლების ყველა შტოს და თვით არაკომერციულ ორგანიზაციებში მომსახურე ადმინისტრაციულ პირებს. კვლევის მიზნებისთვის ამ სფეროს ფორმალური განმარტება შეიძლება ნაკლებმნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე საჯარო მართვის „რეალურ სამყაროში“ ფუნციონირების არსის გარკვევა, რომლის მცდელობასაც ჩემი კვლევის საგანი წარმოადგენს, ზუსტად განვსაზღვრო თუ რა როლს ასრულებს საპროცესო შეთანხმების

ინსტიტუტი სახელისუფლებო შტოებს შორის ურთიერთკონტროლისა და ბალანსის დაცვის საქმეში.

სასამართლო კონტროლის სტანდარტი სასამართლოსგან ორ კითხვაზე პასუხს მოიხოვს: პირველი, მისცა თუ არა კანონმდებლობამ ნათელი მითითებები აღმასრულებელ უწყებას კანონის შესრულებასთან დაკავშირებით? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, სასამართლომ და უწყებამ უნდა მიჰყვნენ საკანონმდებლო ორგანოს მითითებებს, მეორე, თუ კანონმდებლობა კანონის შესრულებასთან დაკავშირებით ბუნდოვანი იყო და, შესაბამისად, უწყებას მისცა დამოუკიდებლად მოქმედების უფლება, მოახდინა თუ არა უწყებამ კანონის ინტერპრეტაცია დასაშვები ფორმით? [1].

**საკვანძო სიტყვები:** საჯარო მართვა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, საპროცესო შეთანხმება, მოსამართლე, ბრალდების მხარე, დაცვის მხარე, დაზარალებული, მხარეთა შეჯიბრებითობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია

## შესავალი

საპროცესო შეთანხმების არსებული სისტემა საქართველოში არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მხრიდან. საყურადღებოა, რომ საპროცესო შეთანხმების მუშაობის კრიტიკისას ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კრიტიკის საფუძველი არა თავად საპროცესო შეთანხმების იდეაა, არამედ მისი განხორციელების მანკიერი მხარე. კრიტიკა ყველაზე ხშირად საპროცესო შეთანხმებაში ჩართული მხარეების როლსა და სახელისუფლებო შტოებს შორის ძალთა თანაფარდობას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დამკვიდრებული პრინციპები კანონიერების, გამოძიების, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის შესახებ ადგილს აღარ უტოვებს საპროცესო შეთანხმებას, იმავე საპროცესო კანონმდებლობამ ის დასაშვებად გამოაცხადა. [2]

საპროცესო შეთანხმების მთავარი მიზანია განაჩენის დადგენა საქმის არსებითი განხილვის გარეშე, რაც გულისხმობს განაჩენის დადგენას მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე, გამონაკლისს წარმოადგენს ბრალდებულის ჩვენება, რომლის შემოწმებაც ხდება სასამართლო სხდომაზე მოსამართლის მიერ. საპროცესო შეთანხმება თავის თავში მოიცავს ბრალდებულის მიერ საპროცესო გარანტიებზე უარის თქმას მისთვის სასურველ და მისაღებ სასჯელზე შეთანხმების შემდეგ. „იმისთვის, რათა კანონიერად იქნეს მიჩნეული ბრალდებულის მიერ უფლებებზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება აუცილებელია, რომ ბრალდებული სრულად აცნობიერებდეს გარიგების ფაქტობრივ გარემოებებს, მის იურიდიული მნიშვნელობის შედეგებს და ჭეშმარიტად ნებაყოფლობით იღებდეს გარიგების პირობებს, და სასამართლოს უნდა შეეძლოს გადახედოს და განიხილოს შეთანხმების შინაარსს და მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების სამართლიანობას“ [3], რაც იშვიათად ხდება საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში. მხარეები თანხმდებიან კონკრეტული სასჯელის სახესა და ზომაზე. სასამართლომ შეთანხმებული კონკრეტული სასჯელი ან უნდა შეუფარდოს ან უარი თქვას მის შეფარდებაზე. სასამართლოს უფლება არა აქვს მხარეთა თანხმობის გარეშე შეცვალოს აღნიშნული კონკრეტული სასჯელი, რაც ნიშნავს შემდეგს: კანონმდებელმა ჩათვალა, რომ სასამართლო შეთანხმებულ სასჯელს უნდა მიეჯაჭვოს, რათა გამოძიებაში პროკურატურის მიერ სახელმწიფოს სახელით ბრალდებულისათვის მიცემული პირობა არ დაირღვეს,

ბრალდებულის ნდობა შენარჩუნდეს, რომ მას იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი არ შეეფარდება, ვიდრე მხარეები შეთანხმდნენ. „ასეთ დროს მკითხველი, რომლისთვისაც ცნობილია იმ უდავო ფაქტის შესახებ, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლი აგრეთვე ვრცელდება სასჯელის შეფარდების პროცესზე, სასამართლოსგან, როგორც წესი, მოელის ამ ნორმის მოქმედების დადასტურებას.“ [4] რა ხდება სასჯელის შემცირების კუთხით, რატომ არ აქვს უფლება მოსამართლეს შეთანხმებულზე უფრო ნაკლები სასჯელი შეუფარდოს ბრალდებულს, რატომ ხდება სასამართლო დამოკიდებული სასჯელის შემცირებისას მხარეთა ნებაზე, უფრო სწორად ბრალდების მხარეზე? (დაცვა ყოველთვის მიესალმება მსუბუქ სასჯელს). ხომ არ ზღუდავს პროცესის ეს ნორმა მოსამართლის მიერ საჯელის შეფარდების პრინციპს? საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კრძალავს განაჩენის გამოტანას მხოლოდ ერთი მტკიცებულების, და მით უფრო მხოლოდ ბრალდებულის ჩვენების საფუძველზე, საპროცესო კოდექსი ბრალდებულის აღიარებასთან ერთად პირის მსჯავრდებისათვის ითხოვს ბრალდების დამადასტურებელ სხვა მტკიცებულებების ერთობლიობას (სსსკ-ის მე-13 მუხლი). სწორედ აქ ჩნდება პრობლემა, ვინაიდან საპროცესო შეთანხმება საქმის არსებითი განხილვის გარეშე წარმოებს და სასამართლო სხდომაზე მხოლოდ ბრალდებულის ჩვენების გამოკვლევა ხდება, სხვა მტკიცებულებების კი - არა. განაჩენს საპროცესო შეთანხმებისას საფუძვლად უდევს ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება და გამოძიებაში მოპოვებული, სასამართლო სხდომაზე გამოუკვლეველი მტკიცებულებები. უფრო მეტიც, პრაქტიკაში ხშირად გამოძიების პროცესში მხარეები თანხმდებიან საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე და მერე ამ გარემოებებზეა აგებული თვით აღიარებითი ჩვენება. როგორც ვხედავთ, სასამართლოს პირდაპირი ფუნქცია სასჯელი შეუფარდოს (სასჯელის შეფარდება მოიცავს სასჯელის დანიშვნის წესს, როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური თვალსაზრისით) განსასჯელს ნომინალურია და სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსი საპროცესო შეთანხმების პირობებში დარღვეულია პროკურატურის, ანუ აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ, მაშინ როდესაც საქართველოს კონსტიტუციით სასამართლო ხელისუფლების სწორედ ის შტოა, რომელსაც მართლმსაჯულების განხორციელება ევალება.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე და 63-ე მუხლებში განმტკიცებული დებულებები ემსახურება ხელისუფლების დანაწევრების პრინციპს, განსაზღვრავს რა მოსამართლის როლსა და სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიებს მართმლსაჯულების განხორციელებისას. „სასამართლოს დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ სასამართლო არ უნდა ექვემდებარებოდეს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს. პირველ რიგში, სასამართლოს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან მოეთხოვება დამოუკიდებლობა.“ [5] საფუძვლიანად შენიშნავს პროფესორი თამარ ლალიაშვილი: „საპროცესო შეთანხმება ზღუდავს აღნიშნულ პრინციპს, რამეთუ განაჩენი ასეთ შემთხვევაში დიდწილად არის შედეგი მხარეთა წინასწარი მოლაპარაკებისას მიღწეული შეთანხმების, და არა სუვერენულად მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.“ [6]

კრიტიკოსების აზრით ქართული საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი მოსამართლეთა შეზღუდული უფლებებია. განსაკუთრებული კრიტიკა სისხლის სამართლის კოდექსის იმ ცვლილებებზეა მიმართული, რომლებმაც მოსამართლეს ჩამოართვა უფლება, საპროცესო შეთანხმებაში მითითებულზე ნაკლები სასჯელი შეეფარდებინა და მისი როლი მხოლოდ მხარეების მიერ შეთანხმებული სასჯელის დანიშვნა-არდანიშვნით განსაზღვრა. მართალია, საბოლოოდ სასამართლო უფარდებს სასჯელს, მაგრამ სასამართლო შეზღუდულია სასჯელის შეფარდებისა და შეფასების წესების სრულყოფილად გამოყენებაში და იგი თავისი თავისუფალი შეხედულებით, დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას

სასჯელის სახესა და ზომაზე. საპროცესო შეთანხმების ფარგლებში სასამართლოს წარედგინება მხარეთა მიერ უკვე წინასწარ განსაზღვრული კონკრეტული სასჯელის სახე და ზომა. სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შეუფარდოს თუ არა ბრალდებულს მხარეთა მოლაპარაკების შედეგად უკვე წინასწარ განსაზღვრული სასჯელის სახე და ზომა. თუ სასამართლო არ დაეთანხმება მოცემულ სასჯელის სახეს ან ზომას და მიიჩნევს, რომ სხვა სასჯელის სახე და ზომაა მიზანშეწონილი ბრალდებულის დასასჯელად, მხარეებს ასეთ შემთხვევაში, ვეტოს უფლება გააჩნიათ. მათ უფლება აქვთ სასჯელის ცვლილებაზე უარი განაცხადონ. რა შედეგი დგება ასეთ შემთხვევაში. მათი უარის შემთხვევაში სასამართლოს უფლება ერთმევა შეუფარდოს ის სასჯელი, რომელიც თვითონ მიაჩნია სამართლიანად. ასეთ შემთხვევაში სასამართლო საქმეს უბრუნებს პროკურატურას, რაც მკაფიოდ უსვამს ხაზს იმას, რომ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას სასამართლო არ არის თავისუფალი, ვერ სარგებლობს თავისი შინაგანი რწმენით გადაწყვეტილების მიღებისას, დამოკიდებულია მხარეებზე და სასჯელის შეფარდება რეალურად მხოლოდ სასამართლოს უპირატესი უფლება კი არ არის, არამედ მხარეებისა და სასამართლოს ერთობლივი უფლებაა. პროფ. ნ. თოდუას მოსაზრებით, „ესაა სასამართლო ხელისუფლების აშკარა შეზღუდვა სასჯელის დანიშვნის საკითხში." [7] უფრო მეტიც, როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, მოსამართლეები უცვლელად და შეუსწორებლად ტოვებენ ბრალდების მხარის შუამდგომლობებს, საპროცესო შეთანხმებების გამოყენებისას მოსამართლეები ჯეროვნად და საფუძვლიანად არ შეისწავლიან/იკვლევენ ფორმალურ და მატერიალურ წინაპირობებს. სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში მხოლოდ ფორმალურად მიუთითებს, რომ ბრალდებულს გაცნობიერებული აქვს საპროცესო შეთანხმების არსი და რომ მასზე არ განხორციელებულა ზეწოლა. სასამართლო რეალურად არ მსჯელობს, ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას რამდენად კანონის დაცვით მიმდინარეობდა თავად საპროცესო შეთანხმების დადების პროცესი, იყო თუ არა კანონიერი ბრალდებულის მიმართ განხორციელებული მოქმედებები, ხომ არ ჰქონდა ადგილი იძულებისა თუ დაშინების სხვადასხვა ფორმების / ხერხების გამოყენებას; არ ხდება იმის დადგენა, ნამდვილად არის თუ არა განმარტებული და ნათლად ცნობილი ბრალდებულისთვის მისი უფლება-მოვალეობები. ადვოკატთა განცხადებით ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლეთა და პროკურორთა მხრიდან მაშინ მიიღება გადაწყვეტილება მათი როგორც ადვოკატის საქმეში ჩართვის თაობაზე, როცა რეალურად საპროცესო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკება არ მიმდინარეობს და გადაწყვეტილების მიმღები პირები ამ გზით ცდილობენ გაიმარტივონ თავიანთი საქმე (საქმის მასალების გაცვლა, პრობლემური ბრალდებული, საქმეში არსებული ხარვეზების დაფარვის მცდელობა და ა.შ.). [8] სასამართლოს კანონით ეკისრება ვალდებულება, მოისმინოს და იმსჯელოს მეორე მხარის პოზიციასა და მოსაზრებაზე ერთი მხარის შუამდგომლობასთან დაკავშირებით. ამ მხრივ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს ვაწყდებით. კერძოდ, არცერთი განჩინება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ არ შეიცავს მსჯელობებს დაცვის მხარის პოზიციების და მისი არგუმენტებისა და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და საქმის გარემოებებზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების რელევანტურობის შესახებ. სასამართლოს უნდა ჰქონდეს საპროცესო შეთანხმების ცვლილებებით დამტკიცების შესაძლებლობა, თუკი მიჩნევს, რომ სასჯელი უსამართლოა. „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" იურისტის, დიმიტრი ხაჩიძის აზრით კი, თუ საერთოდ ვინმეს უნდა ჰქონდეს ასეთი უფლება, ეს მხოლოდ მოსამართლე უნდა იყოს. [9] ამ მოსაზრების საპირისპიროდ ქართული სისტემის დამცველებს პირველ რიგში ის

არგუმენტი მოჰყავთ, რომ საპროცესო შეთანხმება სწორედაც შეთანხმებაა პროკურორსა და ბრალდებულებს შორის, ბრალდებულის სრული სამართლებრივი ინფორმირებულობის პირობებში ძალდატანებისა და მუქარის გარეშე დადებული. და რომ კანონიერად დადებული შეთანხმების კანონიერ პირობებში ჩარევისა და ერთპიროვნულად მათი შეცვლის უფლების არმიცემა მოსამართლეთა შეზღუდვას ნამდვილად არ ნიშნავს. უფლებადამცველები თავად მოსამართლეებსაც არანაკლები სიმძაფრით აკრიტიკებენ. ადვოკატების მტკიცებით, მოსამართლეები ხშირად კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობებს არ ასრულებენ და საქმის მასალებისა და მტკიცებულებების საფუძველზე განაჩენის დამოუკიდებლად გამოტანის ნაცვლად პირდაპირ პროკურატურის პოზიციას ადასტურებენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა ამგვარი ქმედება მხოლოდ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული საქმეებისთვის არ არის დამახასიათებელი.

## დასკვნა

ამგვარად, საქართველოში საპროცესო შეთანხმების მუშაობის გამოცდილების ანალიზის შემდეგ გამოყოფილი პრობლემები შეგვიძლია ორ თემად დავაჯგუფოთ: სისტემის გამჭვირვალობასთან დაკავშირებული პრობლემები, და მხარეთა უფლებების დაუბალანსებლობა. თუმცა მხოლოდ გამჭვირვალობაც ვერ იქნება ერთადერთი გზა. საპროცესო შეთანხმების სისტემის გამართულობისათვის მთლიანად სამართლებრივი სისტემის გამართული მუშაობაა აუცილებელი. სისტემის გამართულობისათვის კი მნიშვნელოვანია, რომ აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის ძალები დაბალანსებული იყოს და გარანტირებული იყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია კანონმდებლობაში განხორციელდეს მთელი რიგი ცვლილებები. კერძოდ, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას ბრალდებულს უნდა განემარტოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური და მინიმალური ზომა, რომელთან დაკავშირებითაც მოითხოვება განაჩენის გამოტანა არსებითი განხილვის გარეშე, ასევე, მოსამართლე ბრალდებულს უნდა აცნობებდეს საპროცესო შეთანხმებაში მითითებული სასჯელის ზომას და ამის შემდეგ არკვევდეს, აქვს თუ არა სურვილი ბრალდებულს, გააფორმოს საპროცესო შეთანხმება. კანონში ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს სასამართლოს უფლებამოსილება პროკურორისთვის საქმის უკან დაბრუნების, ან საქმის არსებითად განხილვის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში - გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, მიზანი და ის, თუ კონკრეტულად საქმის განხილვის რომელ სტადიაზეა ეს შესაძლებელი. და ბოლოს, საპროცესო შეთანხმებების ანალიზი გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ, რეალურად, პროკურორის წამყვანი და მოსამართლის მეორეხარისხოვანი როლი მნიშვნელოვნად ამახინჯებს აღნიშნული ინსტიტუტის ბუნებასა და მიზნებს.

**გამოყენებული ლიტერატურა**


რობერტ ბ. დენჰარტი., ჯენეტ ვ.დენჰარტი., „საჯარო მართვა“ მოქმედების კურსი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012 წ. გვ.117

გვენეტაძე ნ., ტურავა მ., „სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2005 წ. გვ.135

ტინსლი ა., „იურიდიული დახმარება სისხლის სამართალში და საპროცესო შეთანხმება“, ევროკავშირი საქართველოსთვის, თბილისი, 2017 წ. გვ.12

ტრექსელი შ., „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბილისი, 2009წ. გვ.57

ტრექსელი შ., „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბილისი, 2009წ. გვ.75
თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე., „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2019წ. გვ.368
თოდუა ნ., „სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები)“, სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბილისი, 2015 წ. გვ.37
ჩომახაშვილი ქ., „უფასო იურიდიული დახმარება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას“ (საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა) ევროკავშირი საქართველოსთვის, თბილისი, 2018წ. გვ.11
„საპროცესო შეთანხმება საქართველოში“ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიშები და პრესრელიზები. გვ.18
Alschuler, „The Prosecutor,s Role in Plea in Plea Bargaining“ (1968)

**Problems of the Plea Bargain in Relation to the Principle of Separation of Powers**

**Lasha Tolordava,**
The Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia, Senior specialist of Internal Audit Service,
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

The process of criminal proceedings strengthens a number of principles that ensure a fair trial (such as urgency, the presumption of innocence, the independence of a judge, protection from self-incrimination, determination of the truth and other fundamental principles). Their violation causes the violation of human rights guaranteed to the accused by the European Convention and threatens the conduct of a fair process and, accordingly, the principle of the rule of law. According to the principles of the rule of law, the implementation of justice without a fair trial is unthinkable. The right to a fair trial is a universally recognized human right, which is guaranteed by Article 6 of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. On the one hand, it is an individual human right that provides for the resolution of disputes involving individuals by a neutral authority. On the other hand, it is characterized by an important institutional aspect and lays the foundation for the third judicial authority.

The purpose of the paper is to consider whether the plea agreement, which was formalized as a separate process and legalized next to the competitive process, meets the basic principles of the criminal process (including those provided for by the Constitution and the European Convention), and what place the institution of the plea agreement occupies, does it pose any threat to the protection of the balance between the branches of government and does it create problems for the fair conduct of the process? From the viewpoint of public administration, we face difficulties in resolving issues at the "border" of criminal law. Since this can be a matter of dispute within a single legal system, whether the issue is "criminal" or administrative.

The selected research topic, it seems to me, equally covers the administrative and legal aspects of the functioning of the judicial and executive authorities, therefore, the relevance of the study is quite high as from the viewpoint of theoretical, as well as practical value, if the matter is taken into account, that the modern definition of public administration has reverted to the traditional notion which considers the government Administrative persons serving in all branches and even non-profit organizations. For research purposes, the formal definition of this field may be less important than clarifying the essence of the functioning of public administration in the "real world," the subject of my research is an attempt to determine exactly what role the bargaining institution plays. in maintaining mutual checks and balances between the branches of government.

The standard of judicial review requires the court to answer two questions: First, did the legislation provide clear guidance to the executive body regarding enforcement of the law? If the answer to that question is positive, the court and the department must follow the instructions of the legislation, secondly, if the legislation was vague about the implementation of the law and therefore gave the department the power to act independently, did the department interpret the law in a permissible way?

**Keawords:** Public administration, The Principle of Separation of Powers, Plea Bargain, Protection from self-incrimination, Presumption of innocence.

# აღმასრულებელი ხელისუფლების საპარლამენტო კონტროლის სისტემა რეგიონულ დონეზე

**ფატი ხალვაში,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

სტატიაში შესწავლილია რეგიონალურ დონეზე წარმომადგენლობითი ორგანოს კონტროლის, როგორც სისტემის მნიშვნელობა. ნაჩვენები და აღწერილია რეგიონალურ დონეზე საპარლამენტო კონტროლის მართვის ფუნქციონირებადი სისტემა და მექანიზმები. განსაზღვრულია საპარლამენტო კონტროლის სისტემა, როგორც საჯარო მმართველობის გამჭვირვალე სისტემის მახასიათებლები. ნაჩვენებია რეგიონული დონის საპარლამენტო კონტროლის მართვის სისტემის ხარისხი; შეფასებისა და გაზომვის კრიტერიუმები. ჩამოთვლილია საქართველოში რეგიონული საპარლამენტო კონტროლის, როგორც მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების პრობლემები და ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები.

**საკვანძო სიტყვები:** რეგიონი, კონტროლი, აღმასრულებელი ხელისუფლება, წარმომადგენლობითი ორგანო.

## შესავალი

საქართველოში საპარლამენტო კონტროლის სისტემაში მნიშვნელოვანი სეგმენტი უკავია რეგიონულ საპარლამენტო კონტროლს, რომელსაც ახორციელებენ ავტონომიური ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ორგანოები, რაც არ არის ცენტრალური საპარლამენტო კონტროლის ტერიტორიული გაგრძელება, მაგრამ აქვს საკუთარი მიზნები, ამოცანები, ობიექტები, ტექნოლოგიები, რაც მიუთითებს მის დამოუკიდებელ ფუნქციურ დანიშნულებაზე. ჩვენი კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა თუ როგორ არის წარმოდგენილი მსგავსი მექანიზმები რეგიონული მართვის სიტემაში და როგორ ფუნქციონირებს ის. ამ მიზნის მისაღწევად და ამ საკითხის შესასწავლად გამოიყენება სოციალური კონტროლის კონცეპტუალური მიდგომა. კვლევა ეფუძნება სოციალური კვლევის რაოდენობრივ და თვისობრივ ტექნიკებს, ასევე, ანალიზსა და სტატისტიკის მეთოდებს. ყოველივე ეს დაგვეხმარა შეკრებილი პირველადი და მეორადი სამეცნიერო ინფორმაციისა და მასალების სათანადო ანალიზსა და შესწავლაში. ეს კვლევა ჩატარდა 2022 წლის 20 მაისიდან 20 აგვისტომდე. ამ კვლევის შედეგების მიხედვით, წარმოდგენილ კვლევაში, პირველადაა შესწავლილი რეგიონალურ დონეზე წარმომადგენლობითი ორგანოს კონტროლის, როგორც სისტემის მნიშვნელობა.

## ძირითადი ტექსტი

კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს რეგიონული საპარლამენტო კონტროლის პრაქტიკა და რეგიონული საპარლამენტო კონტროლის შემცვლელი აქტები. კვლევის განხორციელებისთვის ნორმატიული ბაზას ქმნის ის მოქმედი კანონები და სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საპარლამენტო კონტროლის საკითხებს, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, თანამედროვე საპარლამენტო კონტროლის ფორმები ასახავს, როგორც წინა პერიოდში ჩამოყალიბებულ მექანიზმებს, ასევე, თანამედროვე ფორმებს. ისინი დაკავშირებული არიან კონსტიტუციურ ნორმებთან და საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირების ეფექტურობასთან (Cuocolo, 1994).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით (2008), საქართველოს კონსტიტუციური კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ (2017) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით (2019), აჭარის უმაღლეს საბჭოს საკანონმდებლო საქმიანობასთან ერთად, აჭარის მთავრობის საქმიანობის კონტროლი ევალება. აჭარის კონსტიტუციით განსაზღვრულია აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ისეთი ფორმები და მექანიზმები როგორიცაა კომიტეტი, დროებითი კომისია, ინტერპელაცია და უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა. კომიტეტი და დროებითი კომისია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინსტიტუციური კონტროლის ფორმა, ხოლო კითხვა და ინტერპელაცია როგორც კონტროლის მექანიზმები.

აჭარის ა.რ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი (2019) კიდევ უფრო აკონკრეტებს წარმომადგენლობითი ორგანოს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ფორმებსა და მექანიზმებს. რეგლამენტის მე-15 თავიში ''უმაღლესი საბჭოს მიერ კონტროლის განხორციელება''- აღწერილია ყველა ის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც უმაღლესი საბჭო განახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლს. კერძოდ, რეგლამენტში მოცემულია 12 ასეთი მექანიზმი. ეს მექანიზმებია: 1. უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა; 2. ინტერპელაცია; 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ანგარიში მთავრობის საქმიანობის შესახებ; 4. თანამდებობის პირების პლენარულ სხდომაზე გამოცხადება; 5. მინისტრის საათი; 6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა; 7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცება; 8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება; 9. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშის განხილვა; 10. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა; 11. უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი ანგარიშის განხილვა; 12. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოსთვის უნდობლობის გამოცხადება და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

აღნიშნული მექანიზმების გამოყენების პროცედურის ანალიზი აჩვენებს რომ საპარლამეტო ზედამხედველობა არსებითად ორ დონეზე – პლენარულსა და საკომიტეტოზე – მიმდინარეობს (საპარლამენტო კონტროლის...,).

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციისა და ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელი მექანიზმები ტექნიკურ-ორგანიზაციულად შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს: - ანგარიშვალდებული ორგანოების კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე მიწვევა; - კითხვისა და შეკითხვის უფლებამოსილების განხორციელება; - სამთავრობო საათი; - საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შექმნა; - ნორმატიული აქტების შესრულების შემოწმება; - ბიუჯეტის შესრულების კონტროლი.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ხერხი იყო ინტერვიურება, რომელიც ჩავატარეთ ავტონომიური აღმასრულებელი და საპარლამენტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ინტერვიუს ფარგლებში გამოკითხა 21 მოქმედი (მათ შორის 7 ოპოზიციური), 35 ყოფილი (მათ შორის 13 ოპოზიციური) უმაღლესი საბჭოს წევრი. გამოკითხულ წევრებს შორის ასევე იყო 1 მოქმედი და 1 ყოფილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, 5 მოქმედი და 13 ყოფილი კომიტეტის ხელმძღვანელი. გამოვიკითხეთ 4 მოქმედი მინისტრი, 3 საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი, 9 ყოფილი მინისტრი, 3

მთავრობის ყოფილი და 1 მოქმედი თავმჯდომარე. კვლევის ფარგლებში სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად გამოკითხულია 76 რესპოდენტი.

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა რომ გამოკითხული რესპოდენტიდან უმაღლესი საბჭოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის მექანიზმები დადებითად და ეფექტურად შეაფასა 74%-მა, ხოლო არაეფექტურად და უარყოფითად 26%-მა. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საბჭოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის მექანიზმები დადებითად შეაფასა მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებმა, ხოლო 26% კი-ვინც უარყოფითად შეაფასა უმაღლესი საბჭოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის მექანიზმები -იყვნენ ოპოზიციური ძალის წარმომადგენლები.

კვლევის შედეგები ჩატარებული ინტერვიუების შედეგად შემდეგნაირად წარმოჩნდა:

რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებაში უმაღლესი საბჭოს როლი დადებითად გამოკითხული რესპოდენტების 52% (39 რესპოდენტი), ხოლო უარყოფითად 48% (37 რესპოდენტი) აფასებს.

როგორც რესპოდენტების პასუხების ანალიზის შედეგად ირკვევა, უმაღლესი საბჭოს როლს რეგიონში, უარყოფით შეფასებას ძირითადად უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრები აძლევენ და ამის საფუძვლად უმაღლესი საბჭოს ფორმალურ, შეზღუდულ უფლებამოსილებას ასახელებენ. მოქმედი დეპუტატებიდან ძირითადად ოპოზიციური ძალის წამომადგენლები აძლევენ უარყოფით შეფასებას. ამის მიზეზად მმართველი პოლიტიკური ძალის გადაჭარბებულ მოქმედებებს ასახელებენ.

რეგიონალურ დონეზე ხელისუფლების/ძალაუფლების განაწილების პროცესში უმაღლესი საბჭოს მნიშვნელობა დადებითად გამოკითხული რესპოდენტების 52% (40 რესპოდენტი), ხოლო უარყოფითად 48% (36 რესპოდენტი).

უმაღლეს საბჭო მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის განხორციელების მექანიზმების ჩამოთვლა სრულად შეძლო რესპოდენტების 22% (17 რესპოდენტი), ხოლო ვერ შეძლო 78% (59 რესპოდენტი).

უმაღლესი საბჭოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის განხორციელების ხელშემშლელ ფაქტორებად, რომლებიც აფერხებენ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ეფექტურად განხორციელებაში გამოკითხული რესპოდენტების 51% (39 რესპოდენტი) მიერ დასახელდა საკონსტიტუციო უმრავლესობით წარმოდგენილი მმართველი პოლიტიკური ძალა, ხოლო 29%-ის (22 რესპოდენტი) მიერ დასახელდა შესაბამისი სუსტი სამართლებრივი მექანიზმები და 20% -ის (15 რესპოდენტი) მიერ დასახელდა შესაბამისი პოლიტიკური კულტურის არქონა.

უმაღლესი საბჭოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის არსებული კონტროლის მექანიზმები ფორმალურად მიაჩნია გამოკითხული რესპოდენტების 46% (35 რესპოდენტი), ხოლო 54% (41 რესპოდენტი) თვლის, რომ პრაქტიკაში მოქმედი ყველა მექანიზმი ეფექტურია.

უმაღლესი საბჭოს მიერ რეგლამენტით გათვალისიწინებული აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის 12 მექანიზმიდან ეფექტურად დასახელდა 7 მექანიზმი. გამოკითხული რესპოდენტების 80%-ის (61 რესპოდენტი)მიერ, ხოლო 4 მექანიზმი არამოქმედ მექანიზმად, გამოკითხული რესპოდენტების 20%ის მიერ(15 რესპოდენტი).

რესპოდენტებმა კითხვაზე - ‘’გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლებელია თუ არა სხვა ეფექტური მექანიზმების შექმნა?’’- გამოკითხული რესპოდენტების 59 %-მა(44

რესპოდენტი), უარყოფითად უპასუხა და განაცხადა რომ არსებული მექანიზმები საკმარისია, ხოლო 41%(32 რესპოდენტი) ცვლილებების განხორციელებას საჭიროდ მიიჩნევს, თუმცა ვერ ასახელებს კონკრეტულად რა ახალ მექანიზმებზე შეიძლება იყოს საუბარი.

იმისთვის, რომ უმაღლესმა საბჭომ უფრო ეფექტურად გამოიყენოს მის ხელთ არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის მექანიზმები გამოკითხული რესპოდენტების 43% (33 რესპოდენტი) თვლის, რომ საკანონდებლო ორგანოში მმართველი პოლიტიკური ძალა, რომელიც საკონსტიტუციო უმრავლესობას წარმოადგენს, არ უნდა განასახიერებდეს პარტიული კონტროლის სახეს. თუ ამ მოქმედ პრაქტიკაზე მოხდება უარის თქმა, შესაძლებელია საპარლამენტო კონტროლი რეალურად გახდეს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის მექანიზმი.

ამრიგად, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით მიღებული პირველადი სამეცნიერო ინფორმაციის ანალიზის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ რომ უმაღლესი საბჭოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის დღესდღეობით არსებული მექანიზმები არაეფექტურია. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს: პირველი-დეპუტატების ნაკლები გათვითცნობიერებულობა საპარლამენტო კონტროლის არსისა და მისი მექანიზმების შესახებ; მეორე- სამართლებრივი ხარვეზი, აჭარის კონსტიტუცია მხოლოდ საპარლამენტო კონტროლის ოთხ მექანიზმს მიუთითებს, მაშინ როცა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში თორმეტი მექანიზმია მოცემული. არცერთ მათგანში ამ მექანიზმების გამოყენების სავალდებულობაზე მითითებაც კი არ არის, ასევე მის შეუსრულებლობაზე არ არსებობს სამართლებრივი სანქცია; მესამე- საკონსტიტუციო უმრავლესობით წარმოდგენილი მმართველი პოლიტიკური ძალა საკანონდებლო ორგანოში რეალურად განასახიერებს აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ პარტიული კონტროლის მექანიზმს.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ხერხი იყო დოკუმენტის ანალიზის ტექნიკა. აღნიშნული მეთოდით შევისწავლეთ აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს საპარლამენტო სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები, რომლებიც ეხება და ასახავს საპარალემნტო კონტროლის პროცედურებს, პროცესსა და კონკრეტულ შემთხვევებს. ეს დაგვეხმარა აღგვეწერა საპარლამენტო მექანიზმების გამოყენების პროცესი, პრაქტიკა, გამოყენების პრაქტიკულობა, სიხშირე, გამოგვევლინა თავისებურებები და მოგვეხდინა პრობლემების იდენტიფიცირება. უმაღლესი საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშების, ცალკეული კომიტეტების სხდომის მუშაობის ამსახველი დოკუმენტების შესწავლამ აჩვენა, რომ უმაღლესი საბჭოს თორმეტი საკონტროლო მექანიზმიდან ყველაზე ეფექტურია - უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა; მინისტრის საათი; რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა, მთავრობის დამტკიცება, უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი ანგარიშის განხილვა.

აღნიშნული საკითხის კვლევაში, ასევე მნიშვნელოვანი იყო დაკვირვების მეთოდი, რომელიც დაგვეხმარა რეალურ გარემოში დაგვენახა აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს მიერ საკანონდებლო ორგანოს მექანიზმების გამოყენების პროცესი, რეალურ გარემოში დაკვირვებით გამოგვევლინა მსგავსი მუშაობის დადებითი და უარყოფითი ნიშან--თვისებები. დაკვირვებამ აჩვენა რომ უმაღლესი საბჭო თორმეტი საკონტროლო მექანიზმიდან იყენებს მხოლოდ 7-ს. ესენია: - უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა; - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ანგარიში მთავრობის საქმიანობის შესახებ; - მინისტრის საათი; - რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშის განხილვა; - რესპუბლიკური

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა, - მთავრობის დამტკიცება და წარდგენილი ანგარიშის განხილვა.

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მოთხოვნებს, და ზოგადად საპარლამენტო ორგანოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ფუნქციურ დანიშნულებას, შეიძლება ვთქვათ რომ კონტროლის მექანიზმების გამოყენების ერთეული შემთხვევები არ იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების ეფექტურ და სისტემურ გამოყენებასთან გვაქვს საქმე.

კვლევის შედეგად, რეგიონალური დონის ანალიზი აჩვენებს, რომ აჭარის რეგიონში მოქმედებს წარმომადგენლობითი ორგანო, რომელმაც აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა წლების განმავლობაში- შეიქმნა წარმომადგენლობითი ორგანოს კონტროლის უფლებამოსილების სამართლებრივ - პოლიტიკური მექანიზმები.

კვლევით დადგინდა რომ, წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ეფექტური მექანიზმების შემუშავებასა და გამოყენებაზე გავლენას ახდენდა და ახდენს უმაღლეს საბჭოში პოლიტიკურ ძალთა შემადგენლობა. 2004 წლიდან დღემდე უმაღლესი საბჭო ყოველთვის კომპლექტდებოდა საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე ერთი პოლიტიკური ძალით, რაც ბუნებრივია გავლენას ახდენდა შემდეგი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლზე.

უმაღლესი საბჭოს ვებ გვერდზე განთავსებულია მოდული - უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა, რომლის შესწავლით დგინდება რომ 2019 წლიდან დღემდე უმაღლესი საბჭოს წევრების მხრიდან სულ დასმულ იქნა 52 კითხვა.

კვლევამ აჩვენა, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ეფექტური მექანიზმების გამოყენების სიხშირეც განსხვავებული იყო უმაღლეს საბჭოში პოლიტიკური ძალთა შემადგენლობის მიხედვითაც.

კვლევის შედეგად დაგინდა, რომ უმაღლესი საბჭოს მიერ მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელების ყველა მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება საერთოდ არ არის სახეზე და ამ მხრივ აღნიშნული ფუნქციების განხორციელება არსებითად სუსტია. არაეფექტურ საპარლამენტო კონტროლს რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: კანონდებლობის მიერ დადგენილი ზედამხედველობის არაქმედითი მექანიზმები, საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ტრადიციებისა და გამოცდილების ნაკლებობა, ასევე პარლამენტის წევრთა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა სუსტი პოლიტიკური კულტურა.

**დასკვნები**

კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონის წარმომადგენლობითი ორგანოს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლს არცთუ ისე მდიდარი გამოცდილება აქვს. კონტროლის მექანიზმების პრაქტიკული, მოქმედი მაგალითები იმდენად მწირია, რომ აუცილებელია აჭარის წარმომადგენლობითი ორგანოს საზედამხედველო ფუნქციონირების გაძლიერება.

კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონული საპარლამენტო კონტროლი, რომელსაც თითქოს და აქვს საკუთარი დარგობრივი კანონმდებლობა საპარლამენტო კონტროლის შესახებ , პირდაპირ იმეორებს ცენტრალურ დონეზე არსებული საპარლამენტო კონტროლის სისტემის მოდელის პროცედურებსა და მექანიზმებს.

რეგიონულ დონეზე სუსტი საპარლამენტო კონტროლის მიზეზები სისტემურია და განპირობებულია როგორც საკანონდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში არსებულ პრობლემებით. წარმომადგენლობითი ორგანოსათვის კონსტიტუციით მინიჭებული

საზედამხედველო ფუნქციის სრულყოფილად განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ პარლამენტისა და მთავრობის თითოეული წევრი გაიაზრებს ამ ინსტიტუტის მნიშვნელობას და მას ვიწრო პარტიულ ინტერესებზე წინ დააყენებს.

პარლამენტის კონტროლის ფუნქციების გასაძლიერებლად, აუცილებელია შესაბამისი კანონის მიღება „საპარლამენტო კონტროლის შესახებ“., რომელშიც განსაზღვრული იქნება საპარლამენტო კონტროლის საგანი და საზღვრები, მიზნები და ამოცანები, მისი განხორციელების ძირითადი ფორმები და მეთოდები, უფლებები და ვალდებულებები, საპარლამენტო კონტროლის სუბიექტების გარანტიები, ასევე იმ პირთა წრე, რომლებთან მიმართებითაც საპარლამენტო კონტროლი იქნება გათვალისწინებული.

აჭარის ა.რ. საკანონმდებლო ორგანო, კონტროლის არსებულ მექანიზმებს სრულფასოვნად ვერ იყენებს. ამის მიზეზი კი მწირი პოლიტიკური ტრადიციაა, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და საპარლამენტო კონტროლის მიმართულებით, მათ შორის ოპოზიციის ჩართულობის სუსტი მექანიზმებია.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 2008, იხ. ბმულზე - http://sca.ge/geo/static/119/acharis-avtonomiuri-respublikis-konstitutsia

2. აჭარის IV მოწვევის უმაღლესი საბჭოს მაკონტროლებელი ფუნქციის შეფასება, 2020, იხ. ბმულზე - https://transparency.ge/ge/blog/acharis-iv-mocvevis-umaglesi-sabchos-makontrolebeli-punkciis-shepaseba

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, 2019, იხ. ბმულზე - http://sca.ge/geo/static/121/umaghlesi-sabchos-reglamenti

4. საპარლამენტო კონტროლის ძირითადი მექანიზმები საქართველოში, file:///F:/Documents/Downloads/_1623150788.pdf

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, გაზეთი აჭარა, 2005 წლის 31 მარტი, # 57.

6. გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩხილაძე გ. ჭიღლაძე ნ. (2016) ,,საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი’’ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი.

7. გულიაშვილი ბ. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საკონსტიტუციო სასამართლო, სამაგისტრო ნაშრომი. https://openscience.ge/bitstream/1/1635/4/samagistro%20nashromi.pdf

8. გოგიაშვილი გ. (2014). შედარებითი კონსტიტუციური სამართალი. გამომცემლობა იურისტების სამყარო. თბილისი. გვ. 151.

9. გურგენიძე ვ. (2014). საჯარო-პოლიტიკური მმართველობის თეორია და პრაქტიკა (პოლიტიკურ-სამართლებრივი პარადიგმები). თბილისი. გვ. 52

10 მაჭარაძე ზ. (2017). მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი ბიკამერულ პარლამენტში (ქართულ პერსპექტივასთან კავშირი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, https://press.tsu.ge/data/image_db_innova/-asatvirti.pdf

11. მელქაძე ო. (1996). სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია. წიგნი IV. გამომცემლობა ,,უფლება“. თბილისი.

12. საჯაია ლ. ტატანაშვილი თ. თოფურია გ. (2018). საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება საქართველოში. https://transparency.ge/ge/post/saparlamento-kontrolis-gazliereba-sakartveloshi

13. ქანთარია ბ. (2012). დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, დისერტაცია

წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. იხ. ბმულზე- file:///F:/Documents/Downloads/.pdf

**14.** საქართველოს კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ, 2017, იხ. ბმულზე http://sca.ge/geo/static/117/acharis-avtonomiuri-respublikis-statusis-shesakheb

15. ტატანაშვილი თ. ზოიძე ნ. ჭკადუა მ. (2017). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შეფასება (2012-2016) იხ. ბმულზე - https://www.transparency.ge/ge/post/acharis-avtonomiuri-respublikis-mesame-mocvevis-umaglesi-sabchos-sakmianobis-shepaseba-2012

16. Cuocolo F. (1994). Istituzioni di Diritto Pubblico, ottava edizione, milano – dott. A. Giuffre editore, , 311.

17. Денисов С.А. (2002). Формирование контрольной ветви государственной власти и ограничение коррупции,  Государство и право. № 3.

18. Диваева Т.Ю. (2004). Институт парламентского контроля: конституционно-правовой аспект: Авторефер. канд. дис. Казань, С. 13.

19. Лапатухина Е.С. (2009). Парламентский контроль как вид государственного контроля, Представительная власть. №7.

20. Чиркин В.Е. (1993). Контрольная власть, Государство и право № 4. С. 11-12.

## Parliamentary control of executive power system at the regional level

**Fati Khalvashi,**
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

In modern developed democracies, the mechanism of control of the executive structure by the representative body operates at both the central and local levels of government. In the case of Georgia, the analysis of the regional level is important, because the autonomy of Adjara in the country creates an important regional level of governance, and therefore the purpose of this study is to determine how similar mechanisms are represented in the regional governance system and how it works. To achieve this goal and to study this issue, is used a conceptual approach of social control. The research is based on quantitative and qualitative social research techniques, as well as analysis and statistical methods. All this helped us in proper analysis and study of collected primary and secondary scientific information and materials. This study was conducted between May 20 to August 20, 2022. According to the results of this research, in the presented study, the significance of the control of the representative body as a system at the regional level is studied for the first time. The functioning system and mechanisms of parliamentary control management at the regional level are shown and described. The parliamentary control system is defined as a characteristic of the transparent system of public administration. The quality of regional level parliamentary control management system is shown; Evaluation and measurement criteria. The problems of effective functioning of regional parliamentary control as a management system in Georgia are listed, and in the process of research we have developed recommendations that will contribute to the effectiveness of regional parliamentary control.

**Keywords:** region, control, executive authority, representative body.

## გლობალიზაცია და საერთაშორისო შრომითი მიგრაცია

**გენადი იაშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**ანა ბარათაშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი.

### აბსტრაქტი

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია თანამედროვე გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. გლობალიზაციას დიდი ცვლილებები შეაქვს შრომითი მიგრანტების დაცვაში. გლობალიზაციის შედეგად გაიზარდა გავლენა შრომით ბაზრებზე, შრომის უსაფრთხოებასა და შრომითი გამოცდილების სრულყოფაზე, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტ მოგებას ნახულობენ ინვესტორები, მეწარმეები, მენეჯერები და მშრომელები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საერთაშორისო კონკურენტუნარიან საწარმოებში და ტრანსნაციონალურ კორპორაციებში. ბოლო ათწლეულების მანძილზე განსაკუთრებით გაიზარდა შრომითი მიგრანტების რაოდენობა. შრომითი მიგრაცია ობიექტური რეალობაა და გარეგნულად ხშირად უარყოფითი ფონის მიუხედავად, უფრო მეტი დადებითი მომენტის შემცვე-ლია, ვიდრე უარყოფითისა. გლობალიზაციის გავლენა საერთაშორისო შრომით მიგრაც-იაზე დიდია. ეს მრავალფეროვანი გავლენა შეიძლება გამომდინარეობდეს არამარტო ვაჭრობის ინტერნაციონალიზაციიდან, ფულადი ნაკადების მოძრაობიდან და ვაჭრობის ხასიათიდან, არამედ ბევრი სხვა ისეთი ფაქტორებიდან, როგორიცაა მაგალითად, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და აგრეთვე განსხვავდებოდეს კონკრეტულ შრომით მიგრანტთა ჯგუფიდან გამომდინარეც.

რაც მეტი ქვეყანა გახსნის თავის საზღვრებს საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის ბრუნვისთვის მით მეტად გაიზრდება გლობალიზაციის გავლენა დასაქმებაზე. ამ დროს მიგრაციული ნაკადების მენეჯმენტი გადამწყვეტ როლს იძენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომითი მიგრაციის შესახებ შედარ-ებით რეალური და საჭირო ინფორმაციის შეგროვება. შრომითი მიგრანტები ფაქტიურად არის პიროვნებათა ჯგუფი, რომელთაც აქვთ უნიკალური იდენტურობა და საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან განსხვავებული კულტურა. აქვე აღსანიშნავია, რომ მიგრაცია დასაქმებისთვის თავისი ბუნებით ტრანსნაციონალური ფენომენია და ამიტომ ვერ გაკონტროლდება მხოლოდ ეროვნულ დონეზე. ის საჭიროებს ეფექტურ, სამართლიან და მყარ მიგრაციული პოლიტიკის და პრაქტიკის განვითარებას მთავრობების, სოციალური პარტნიორების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზ-აციების ერთობლივი მონაწილეობით. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან შრომით მიგრაციაში ყველაზე მეტად აღსანიშნავია გაეროს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის როლი.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია, შრომითი მიგრაცია, სახელმწიფო, საქართველო, დემოგრაფია.

თანამედროვე მსოფლიოში ბევრი საზოგადოებრივი პროცესი, როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ–კულტურული დემოგრაფიული პროცესები, იღებს გლობალურ ხასიათს. ისინი დედამიწის ერთიანი სისტემური ორგანიზმის ნაწილი ხდებიან. თანდათან

უფრო ნათელი ხდება, რომ მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაცია თანამედროვე საერთაშორისო წესრიგის განუყოფელ ნაწილად იქცევა. მიგრანტები მეტად საჭირონი არიან ყველა განვითარებული ქვეყნისთვის. ხშირად ისინი თავის თავზე იღებენ ამ ქვეყნების ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორების განვითარებას. ამავე დროს, თავიანთ ქვეყნებში ამცირებენ სიღარიბეს და ხელს უწყობენ სოციალურ სტაბილურობას. გლობალიზაცია, განვითარებულ ქვეყნებში დემოგრაფ-იული დაბერება, მსოფლიო შრომის ბაზრის განვითარება, მიგრანტთა შრომაზე მყარი მოთხოვნის ფორმირება, მიგრანტთა მრავალმილიარდიანი ფულადი გზავნილების ნაკადები - ყოველივე ამან საერთაშორისო შრომით მიგრაციას სრულიად ახალი ჟღერადობა მისცა. [1;2]

თანამედროვე სატრანსპორტო და სხვა საკომუნიკაციო სისტემების განვითარებამ რადიკალურად შეცვალა მსოფლიო მიგრაციული ნაკადები დროებითი მიგრანტების სასარგებლოდ. იმ პირობებში, როცა ქვეყნებს შორის მანძილი თანდათან „მცირდება", საზღვარგარეთ დროებითი მუშაობა მრავალი ადამიანისთვის არჩევანის უპირტესობა გახდა საცხოვრებელი ადგილის სამუდამო შეცვლასთან შედარებით, რაც თავის მხრივ, დიდ მატერილურ და ფსიქოლოგიურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. [3;4]

მეორე მხრივ, მსოფლიო შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნა დროებით სამუშაო ძალაზე გამოირჩევა მიგრირებული მოსახლეობის დიდი მოქნილობით. ეს კიდევ უფრო მეტ საფუძველს ქმნის, რომ გაიზარდოს შრომითი ემიგრაციის მასშტაბები. ბევრი ქვეყნის ხელისუფლება ხელს უწყობს შრომით ემიგრაციას, ბევრიც – იმიგრაციას. ისეთი ტრადიციული იმიგრაციული ქვეყნებიც კი, როგორიცაა აშშ, კანადა, ავსტრალია, რომელთა მოსახლეობის საკმაო ნაწილი იმიგრანტებისგან ან მათი შთამომავლებისგან შედგება, ამ ბოლო ხანს ცვლიან თავიანთ მიგრაციულ პოლიტიკის ფოკუსს დროებითი იმიგრანტების სასარგებლოდ. განსაკუთრებით, ეს ეხება მაღალკვალიფიციურ დროებით იმიგრანტებს. მაგალითად, აშშ ყოველწლიურად 200 ათას დროებით შრომით მიგრანტს იღებს, რომლებიც ჩადიან ე.წ. „არაიმიგრაციული ვიზით", კანადა –100 ათასს, ავსტრალია –80 ათასს. სისტემატურად იზრდება იმათი რიცხოვნობა, ვინც თავის ქვეყანაში არ ცხოვრობს (2008 წელს ის 214 მლნ უდრიდა, მაშინ, როცა 1960 წელს მხოლოდ 75 მილიონი იყო). ხოლო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, საერთაშორისო შრომის ბაზრებზე დასაქმებული სამუშაო ძალა 100 მლნ–ზე მეტია და მსოფლიო სამუშაო ძალის 3%–ს აღემატება. დასავლეთ ევროპაში სხვა ქვეყანაში დაბადებული სამუშაო ძალა მთლიანი სამუშაო ძალის 10%–ს შეადგენს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ციფრები, რომელიც ოფიციალური წყაროებიდანაა მიღებული, ბევრად ნაკლებია რეალურზე. მაგალითად, უცხოელი სტუდენტები ან სტაჟიორები არ აღირიცხებიან შრომითი მიგრანტების კატეგორიაში. ასევე სტატისტიკაში ვერ ხვდება საზღვრისპირა სამუშაო ძალაც, რომელიც ყოველდღიურად კვეთს საზღვარს და მუშაობს სხვა ქვეყანაში. მაგალითად ისინი, ვინც ბათუმ– ტრაპიზონის სატრანსპორტო მისაწვდომობის არეალში ყოველდღიურად გადადიან საზღვარზე დასაქმების მიზნით. არც ის „საერთაშორისო ტურისტები" აღირიცხებიან ოფიციალურ შრომით მიგრანტებში, ვინც რამდენიმე თვით არაოფიციალურად საქმდებიან სხვა ქვეყანაში. მიგრაციის სტატისტიკა არარეგისტირებულ მიგრანტებსაც ვერ მოიცავს. ყველაფერ ამას თუ გავითვალისწინებთ, შრომითი მიგრაციის მასშტაბი გაცილებით მეტი აღმოჩნდება, ვიდრე ის, რაც ქვეყნდება. [5;6]

**შრომითი მიგრაცია საქართველოდან:** ემიგრაციის აღრიცხვის გამართული სისტემის

არარსებობის გამო, სტატისტიკური მონაცემები საქართველოდან შრომითი ემიგრანტების შესახებ არ არის სრულყოფილი (მაგ.,ვერ ხერხდება შრომითი ემიგრანტების

მონაცემების შეგროვება და ანალიზი სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში (სქესი, ასაკი, განათლების დონე და სხვ). თუმცა ემიგრაციის მასშტაბისა და საზღვარგარეთ წასვლის ძირითადი მოტივების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ემიგრაცია საქართველოდან უპირატესად საზღვარგარეთ დასაქმებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, შრომისუნარიანი ასაკის ემიგრანტთა შორის უმრავლესობა (55%) ქალია. საქართველოსთვის სულ უფრო აქტუალური ხდება შრომითი იმიგრაციაც. სსგს-ს მონაცემებით, 2015-2018 წლებში უცხოელებზე გაცემული ბინადრობის ნებართვების 40,7% შრომითი ბინადრობის ნებართვებია. ამ ტიპის ბინადრობის ნებართვის მფლობელთა შორის 19% ქალია, ხოლო 81% კაცი. ამასთან, „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის მიხედვით, 2019 წელს 41,359 უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო დასაქმებული საქართველოში, რომლებიც, ძირითადად, ტრანსპორტის (39.4%), დამამუშავებელი მრეწველობის (34.3%), მშენებლობისა (7.2%) და ტურიზმის (6.5%) სექტორებში საქმიანობდნენ“. შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში 2015 წლამდე არ არსებობდა. „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით და რიგი კანონქვემდებარე აქტებით საქართველოში შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი შრომითი მიგრაციის რეგულირებისათვის, თუმცა არის მთელი წყება საკითხებისა, რომლებიც საჭიროებს შემდგომ დახვეწას როგორც შრომითი ემიგრაციის, ისე იმიგრაციის ეფექტიანად მართვის თვალსაზრისით. მაგალითად, ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს შრომითი ემიგრაციის სფეროში მოქმედი შუამავალი ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობის მარეგულირებელი ქმედითი მექანიზმების არარსებობა. შედეგად, საკმაოდ ბევრია ისეთი საშუამავლო ფიზიკური და იურიდიული პირების რაოდენობა, რომლებიც ხშირად უკანონო საშუამავლო მომსახურებას ეწევიან. ასეთი სუბიექტები საზღვარგარეთ დასაქმების მსურველ პირებს, საკმაოდ მაღალი საფასურის გადახდის სანაცვლოდ, სთავაზობენ უხარისხო სერვისს, აწვდიან არასწორ ინფორმაციას, შედიან ყალბ გარიგებებში და ხელს უწყობენ საზღვარგარეთ არალეგალურ დასაქმებას, რაც, სხვათა შორის, ართულებს მიგრანტთა სამშობლოში დაბრუნების პროცესსაც. პრობლემის მასშტაბის გათვალისწინებით, აუცილებელია ასეთი შუამავალი პირების საქმიანობის რეგულირების და მონიტო–რინგის ეფექტური სისტემის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, შრომითი ემიგრანტების უფლებების დაცვას, მეორე მხრივ კი, წაახალისებს ამ სფეროში კეთილსინდისიერად მომუშავე, კომპეტენტურ და სანდო დასაქმების სააგენტოებს. [7;8]

**დასკვნა**

ამრიგად, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო მიგრაცია. გლობალიზაციისა და მის ფონზე მობილობის გაზრდილი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ადამიანებს მეტი საშუალება ეძლევათ, ისწავლონ და იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა (განსაკუთრებით მაღალგანვითარებულ) ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მიგრანტების უდიდესი ნაწილი დასაქმების, განათლების და ოჯახის გაერთიანების გამო მიგრირებს. შრომის ბაზარი, ისევე როგორც განათლების სექტორი, გლობალური გახდა და ადამიანებს, დასაქმებისა და სწავლის უკეთესი პირობების გათვალისწინებით, დროებითი თუ მუდმივი მიგრაციის შესახებ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მიეცათ. ამ გლობალური მიგრაციული პროცესების მიღმა არც საქართველო დარჩენილა.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში გლობალურად შრომით მიგრანტებზე მოთხოვნა მაინც იქნება, შესაბამისად, ასეთ პირობებში, სიტუაციისა და საჭიროების მიხედვით, აქცენტი

გაკეთდება საზღვარგარეთ დროებით დასაქმებაზე, რომლის ვადის ამოწურვის შემდეგ მიგრანტები უნდა დაბრუნდნენ სამშობლოში, სადაც გამოიყენებენ მიღებულ გამოცდილებას. ეს კი ორგანიზებული, უსაფრთხო, დაბრუნებასა და განვითარებაზე ორიენტირებული დროებითი შრომითი მიგრაციის სქემების მეშვეობით არის შესაძლებელი. რასაც ითვალისწინებს სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება დროებითი სეზონური შრომითი მიგრაციის მიმართულებით.

**გამოყენებული ლიტერატურა**

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია – „საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი". ქ.თბილისი. 2019. – 84 გვ

მ.ტუხაშვილი, ნ.ჭელიძე – "შრომითი მიგრაცია". სალექციო მასალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 2019. – 187 გვ.

Ciarnienė R. and Kumpikaitė V. „ The Impact of Globalization on Migration Processes", Kaunas University of Technology, 2014.

Batalova J. and Fix M. "Immigrants and the New Brain Gain: Ways to Leverage Rising Educational Attainment", MIGRATION POLICY INTITUTE, June 2017;

Connor P. "International migration: Key findings from the U.S", Europe and the world, pew research Center, 2016.

Fagan M. and Huang C. "A look at how people around the world view climate change", Pew Research Center, APRIL 18, 2019;

Felter C. and Renwick D. „The U.S. Immigration Debate", Renewing America, 2018.

Goldin I. "How immigration has changed the world – for the better, book Exceptional people: How migration shaped our world and will define our future", 2016.

## Globalization and international labor migration

**Genadi Iashvili,**
Professor,Georgian Technical University
**Ana Baratashvili,**
Doctoral Student, Georgian Technical University.

**Abstract**

International labor migration is the most important element of modern globalization. Globalization is bringing about major changes in the protection of migrant workers. Globalization has increased its impact on labor markets, job security, and improving the work experience, but it is worth noting that investors, entrepreneurs, managers, and workers who are united in internationally competitive enterprises and transnational corporations see the greatest gains. In recent decades, the number of labor migrants has increased in particular. Labor migration is an objective reality and despite the often negative background, it contains more positive moments than negative ones. The impact of globalization on international labor migration is great. These diverse influences may arise not only from the internationalization of trade, the movement of cash flows and the nature of trade, but also from many other factors such as the economic situation of the country, and also differ depending on the specific labor migrant group.

The more countries open their borders to international trade and capital flows, the greater the impact of globalization on employment. At this time, the management of migration flows takes on a crucial role. It is especially important to collect relatively real and necessary information about labor migration. Migrant workers are literally a group of people who have a unique identity and a culture different from the rest of society. It should be noted here that migration for employment is by its nature a transnational phenomenon and therefore cannot be controlled only at the national level. It requires the development of effective, fair and robust migration policies and practices with the joint participation of governments, social partners and civil society organizations. Among the international organizations, the role of the United Nations and the International Labor Organization in labor migration is the most noteworthy.

**Keywords:** globalization, labor migration, state, Georgia, demography.

# საქართველოში რეპროდუქციისა და მიგრაციის დინამიკის სტატისტიკური ანალიზი

**ბესარიონ სიმონიშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
**მირანდა ჯანხოთელი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა გლობალური მიგრაციული პროცესების გავლენა საქართველოზე. მიგრაცია სულ უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი ხდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და დემოგრაფიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, სახელმწიფოში შიდა "კლიმატი" მნიშვნელოვნად აისახება მოსახლეობის რეპროდუცირებაზე, დემოგრაფიული ქცევის დინამიკაზე. შობადობის, მოკვდაობის, ემიგრაციის, მარგინალიზებული ჯგუფების, ასევე, რამდენადმე რეპროდუქციული განწყობისა და ორიენტაციის მონაცემები მოწმობს, რომ მოსახლეობა განიცდის მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მსოფლიო მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე.

სტატიაში განხილულია საქართველოში რეპროდუქციისა და მიგრაციის დინამიკის სტატისტიკური ანალიზი ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

**საკვანძო სიტყვები:** მოსახლეობის რეპროდუქცია, მიგრაცია, დემოგრაფია, დეპოპულაცია.

**შესავალი**

მოსახლეობის რეპროდუქცია ვიწრო გაგებით - მოსახლეობის ბუნებრივი გადაადგილების შედეგად თაობების შეცვლის პროცესია (დაბადება და სიკვდილი), უფრო ფართო გაგებით -საზოგადოების რეპროდუქციული პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილი, მოსახლეობის მუდმივი განახლება ბუნებრივი მოძრაობების, მიგრაციის, ადამიანების გადასვლების გამო ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორეზე.[14]

დღეისათვის საქართველოში მოსახლეობის რეპროდუქციის უარყოფითი ზრდაა - შევიწროებული რეპროდუქცია, ანუ დეპოპულაციის პროცესი ხდება. საქართველო იმ ოთხი ქვეყნიდან (ალბანეთი, ესპანეთი, პუერტო რიკო და საქართველო) ერთ-ერთია, სადაც მიგრაცია დეპოპულაციის მთავარი მიზეზია – 2002 წლიდან 2017 წლამდე, დაახლოებით 1.4 მილიონი ადამიანმა დატოვა ქვეყანა.2013 წელს საქართველოში უფრო მეტი ადამიანი დაიბადა, ვიდრე გარდაიცვალა. ამ ქვეყნებში, ბუნებრივი მატების დადებითი დინამიკის მიუხედავად, წმინდა ემიგრაციის ძლიერი ძალა მოსახლეობის კლებას განაპირობებდა. [15]

---

[14] Вишневский А. Г. Воспроизводство населения // Большая российская энциклопедия. Том 5. Москва, 2006, с. 743.

[2]Prague process. Circular Migration Schemes in Georgia. URL: https://www.pragueprocess.eu/en/resources/repository/34-briefs/91-circular-migration-schemes-in-georgia

[3]2022 United Nations, DESA, Population Division. Licensed under Creative Commons license CC BY 3.0 IGO. United Nations, DESA, Population Division. World Population Prospects 2022. URL: http://population.un.org/wpp

1992-2014 წლებში, მოსახლეობის ნულოვანი ბუნებრივი ზრდის პირობებში, ემიგრაციის სტაბილურმა ზრდამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიულ და ეკონომიკურ განვითარებაზე. 1992 წლიდან საქართველოს მოსახლეობა თითქმის 1/3-ით შემცირდა, ხოლო 2018 წლისთვის კი 3.7 მილიონი ადამიანი შეადგინა. ცხრილი N1 საშუალებით წარმოგიდგენთ ამ ფენომენის გრაფიკულ გამოსახულებას, რაც ბოლო წლებში საქართველოს მოსახლეობის შემცირებას აჩვენებს[16].




სურათი 1- საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი გრაფიკული გამოსახულება

საქართველოდან ემიგრაციის მასტიმულირებელ მრავალ ფაქტორთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამი ფაქტორი :

ეთნიკური მიგრაცია - საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ასობით ათასი წარმომადგენლის ისტორიული სამშობლოში დაბრუნება , რის შედეგადაც 1989-2017 წლებში საქართველოს მოსახლეობის წილი 69.7-დან 86.8%-მდე გაიზარდა (დედაქალაქში- 73.2%-დან 86.8%-მდე)

ლტოლვილთა დიდი მასის ემიგრაცია დაკარგული ე. წ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი);

მესამე არის სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსი, რომელსაც საქართველო იმ დროს განიცდიდა[17].

შესაბამისად, ეს პროცესები ბოლო ათწლეულის დემოგრაფიული მდგომარეობის საფუძველი გახდა.

**ძირითადი ნაწილი**

უფრო დეტალურად განვიხილოთ საქართველოს ამჟამინდელი დემოგრაფიული მდგომარეობა. ქვეყნის მოსახლეობის მონაცემებით, 2021 წლის ბოლოს საქართველოს

[17] Гаева Анастасия Сергеевна Международная миграция на постсоветском пространстве: современное состояние и прогнозы // Обозреватель - Observer. 2021. №4 (375). URL: https://cyberleninka.ru/article/n/mezhdunarodnaya-migratsiya-na-postsovetskom-prostranstve-sovremennoe-sostoyanie-i-prognozy

მოსახლეობა 3 896 588 ადამიანი იყო. 2021 წელს საქართველოს მოსახლეობა შემცირდა დაახლოებით 47,886 ადამიანით. იმის გათვალისწინებით, რომ წლის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობა 3,944,474 ადამიანს შეადგენდა, წლიური ზრდა -1.21% იყო. ეს ფაქტი ნაჩვენებია მე-2 ნახაზზე, რომელიც აჩვენებს მოსახლეობის ზრდის პროცენტულ მაჩვენებელს საქართველოში 1952-2022 წლებში[18].




სურათი 2 –მოსახლეობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი საქართველოში

2021 წელს საქართველოში ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები შედაგენს:

54 000 დაბადება;

45 204 გარდაცვლილი;

ბუნებრივი ზრდა: 8 796 ადამიანი;

წმინდა მიგრაცია: 56 682 ადამიანი;

სტატისტიკური მონაცემების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობის უარყოფითი ზრდის ძირითადი მიზეზები მოსახლეობის ემიგრაციაა.

საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის კონკრეტული მახასიათებელი და მთავარი მოტივი არის სტრუქტურული უმუშევრობა და სამუშაო ადგილების ნაკლებობა, ხოლო ამავე დროს მშრომელთა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი საშუალო ხელფასი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ("საქსტატის") ანგარიშში მითითებულია, რომ საქართველოში უმუშევრობის დონე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 19,5 %დან  2.5% მდე შემცირდა, ვიდრე 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საყურადღებოა რომ, ქალაქებში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად. იანვარში, თებერვალსა და მარტში, მოქალაქეთა 20.5% ოფიციალურად არ მუშაობდა, რაც 2021 წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით 3.1% - ით ნაკლებია. უმუშევრობის დონე სოფლად იყო  17.8 %[19]

თუმცა, მიუხედავად საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებლების შესახებ არსებული მონაცემებისა, დასაქმებულთა დაახლოებით 31% თვითდასაქმებულია (ძირითადად სოფლის მეურნეობაში). მათი შრომა ყველაზე ნაკლებად პროდუქტიულია და შემოსავლები ყველაზე დაბალია.  1990-იან  წლებთან შედარებით, 2018 წელს ქვეყნის მოსახლეობა შემცირდა 1730 ათასი ადამიანით, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა - 1400 ათასზე მეტით.  ამჟამად, დასაქმებულთა წილი მთლიან მოსახლეობაში თითქმის ორჯერ დაბალია, ვიდრე 1990-იანი

[18] საქართველოს მოსახლეობა. URL: https://countrymeters.info/ru/Georgia#population_2022

[19] უმუშევრობის დონე საქართველოში. URL: https://tass.ru/ekonomika/14680641?utm_source=google.com&utm_medium=organic&utm_campaign=google.com&utm_referrer=google.com.

წლების დასაწყისში (შესაბამისად, 22.1% და 41.0%). ამავე პერიოდის განმავლობაში, ყოველ 100 ოჯახში დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის განახევრდა, 157-დან 79-მდე, რაც გავლენას ახდენს ოჯახების საერთო კეთილდღეობაზე. ბევრი მოქალაქე ამ ფაქტორმა აიძულა შემოსავლის წყარ მოეძებნა შრომით ემიგრაციაში. ეს აისახა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ამრიგად, საქართველოში მშპ-ს ხელფასის ინტენსივობა 2019 წლისთვის შეადგენდა მხოლოდ 24%, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში - თითქმის 40%. რაც წარმოადგენს შრომის ბაზრის დაბალ სიმძლავრეს საქართველოში და განსაზღვრავს მისი მოქალაქეების შრომით ემიგრაციას[20].

ამ საკითხში მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტი. დამოკიდებულების თანაფარდობა განსაზღვრავს ქვეყნის მოსახლეობაში შრომისუნარიანი და საპენსიო ასაკის მოსახლეობის თანაფარდობის ცვლილებას, რასაც მოჰყვება მოსახლეობის ე.წ. „დატვირთვის" მაჩვენებლის ზრდა. დატვირთვის კოეფიციენტი უჩვენებს არასამუშაო ასაკის ( 65 წელზე უფროსი და 15 წლამდე ასაკის) მოსახლეობის შეფარდებას ეკონომიკურად აქტიურ ან პროდუქტიულ ნაწილთან (მოსახლეობის პროდუქტიული ნაწილი).

დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტი პირდაპირ ასახავს სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკაში ფინანსურ ხარჯებს. მაგალითად, თუ ეს კოეფიციენტი იზრდება, უნდა გაიზარდოს საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობის ხარჯები, სოციალური დაცვა, ჯანდაცვა, საპენსიო გადახდები და ა.შ.

საქართველოში მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელი 46.4%-ს შეადგენს, რაც საკმაოდ დაბალია. ამ მაჩვენებელზე დაყრდნობით, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა ორჯერ აღემატება არასამუშაო ასაკის მოსახლეობას. ეს დამოკიდებულება წარმოადგენს შედარებით დაბალ სოციალურ ტვირთს საზოგადოებაზე.

ეკონომიკური ფაქტორების გარდა, მიგრაციაზე გავლენას ახდენს სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები: განათლება, ლტოლვილები, საბინაო პირობების გაუმჯობესების სურვილი და ა.შ. ეს ფაქტორები დიდწილად განსაზღვრავს განვითარებული ქვეყნების მიმართ დადებით, ხოლო დონორი ქვეყნის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას. შესაბამისად, რაც უფრო დიდია განსხვავება დადებით და უარყოფით ფაქტორებს შორის, მით უფრო მაღალია სხვა ქვეყნებში მოსალოდნელი ემიგრაცია და მით უფრო მაღალია დარჩენის ალბათობა. საქართველოს მიგრაციის პროცესების ისეთი მაჩვენებლების გათვალისწინებით, როგორიცაა მიგრანტების ასაკი, სქესი, სოციალურ-ეთნიკური შემადგენლობა, მათი საგანმანათლებლო კვალიფიკაცია, ჩვენ თითქმის სრულ სურათს ვიღებთ მიგრანტთა დონორი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და ამ მხრივ საქართველო არ არის გამონაკლისი.[21]

თუმცა, ბოლო მოვლენების კონტექსტში საქართველოში მიგრაციის სურათი შეიძლება შეიცვალოს. 2022 წლის სექტემბერში რუსეთის ფედერაციის მთავრობამ ნაწილობრივი მობილიზაციის დასაწყისი გამოაცხადა. ამ მოვლენამ გამოიწვია რუსეთის მოქალაქეების უზარმაზარი გადინება საზღვარგარეთ. საქართველოს საზღვართან საქართველოს

---

[20] სულაბერიძე ავთანდილი, არჩვაძე იოსები სულაბერიძე ვლადიმირ მიგრაციის ძირითადი ფაქტორები და მიგრანტების სტრუქტურა პოსტ-კომუნისტურ საქართველოში // დემოგრაფიულ მიმოხილვაში. 2019. No3. URL: https://cyberleninka.ru/article/n/osnovnye-faktory-migratsii-i-struktura-migrantov-v-postkommunisticheskoy-gruzii.

[21] Prague process. The State of Migration in Georgia. URL: https://www.pragueprocess.eu/en/resources/repository/33-reports/169-the-state-of-migration-in-georgia-report-developed-in-the-framework-of-the-eu-funded-enhancing-georgia-s-migration-management-enigmma-project

ტერიტორიაზე შემოსვლის მსურველთა უზარმაზარი რიგებია. ეს ფაქტი შეიძლება დადებითად აისახოს სახელმწიფოს მიგრაციის სურათზე[22].

მიგრაციის პროცესების გარდა, რომლებიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში უარყოფით გავლენას ახდენდნენ საქართველოში დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, შობადობის დაბალი მაჩვენებელი დიდ პრობლემად რჩება.

2022 წელს საქართველოში ბუნებრივი მოსახლეობის უარყოფითი დინამიკა დაფიქსირდა - ქვეყანაში უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე იბადება. მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში ქვეყანაში დაიბადა 20 195 ახალშობილი, ხოლო რეგისტრირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი შეადგენდა 26 681 ადამიანს. საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ - შედაგინა 6486 ადამიანი.

საქართველოში დაღუპულთა რაოდენობამ 2020 წელს ახალშობილთა რაოდენობას გადააჭარბა. შედეგად ბუნებრივი ზრდის გრაფაში მაჩვენებელი იყო -4017. კორონავირუსის პანდემიის ფონზე საქართველოში სიკვდილიანობის მაჩვენებელი 5.1%-ით გაიზარდა, ხოლო შობადობის მაჩვენებელი პირიქით, შემცირდა. 2021 წელს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა უკვე -13,960 იყო [23].

ამრიგად, ბოლო წლებში საქართველოში საქართველოს მოსახლეობის დაბადებისა და სიკვდილიანობის თანაფარდობის უარყოფითი ტენდენცია იყო.

**დასკვნა**

ამრიგად, საქართველოში თანამედროვეობის კონტექსტში მოსახლეობის დეპოპულაციაა. ეს ფაქტი აიხსნება როგორც საქართველოს მიგრაციის სურათით, ასევე შობადობის დაბალი მაჩვენებლით.

საქართველოში მიგრაციის უარყოფითი დინამიკა განისაზღვრება რამდენიმე ფაქტორით:
ე. წ. ოკუპირებული  ტერიტორიებიდან ლტოლვილთა ემიგრაცია;
დასაქმების დაბალი მიმზიდველობა და უმუშევრობის მაღალი დონე;
საქართველოდან სხვა ეროვნების მოქალაქეთა ემიგრაცია.
რეპროდუქციული და სამშობიარო ასაკის ქალთა ემიგრაცია

საქართველოში დემოგრაფიულ მდგომარეობაზე შეიძლება დადებითად იმოქმედოს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების დიდმა შემოდინებამ მობილიზაციის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

საქართველოს მოსახლეობის ნეგატიური მიგრაციის ზრდის გარდა, შობადობის დაბალი და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის კვლევის ინდიკატორებზე, რაც განსაკუთრებულად შესამჩნევია ბოლო წლებში.

**გამოყენებული ლიტერატურა**

საქართველოს მოსახლეობა. URL: https://countrymeters.info/ru/Georgia#population_2022 (წვდომის თარიღი: 01.10.2022).
Euronews. Бегущие от войны и мобилизации россияне «взорвали» рынок недвижимости Грузии. URL: URL: https://ru.euronews.com/2022/09/29/georgia-russians-housing (წვდომის თარიღი: 01.10.2022).

[22] Euronews. Бегущие от войны и мобилизации россияне «взорвали» рынок недвижимости Грузии. URL: https://ru.euronews.com/2022/09/29/georgia-russians-housing

[23] Гаева Анастасия Сергеевна Международная миграция на постсоветском пространстве: современное состояние и прогнозы // Обозреватель - Observer. 2021. №4 (375). URL: https://cyberleninka.ru/article/n/mezhdunarodnaya-migratsiya-na-postsovetskom-prostranstve-sovremennoe-sostoyanie-i-prognozy

Гаева Анастасия Сергеевна Международная миграция на постсоветском пространстве: современное состояние и прогнозы // Обозреватель - Observer. 2021. №4 (375). URL: https://cyberleninka.ru/article/n/mezhdunarodnaya-migratsiya-na-postsovetskom-prostranstve-sovremennoe-sostoyanie-i-prognozy (გადამოწმების თარიღი: 04.10.2022).
Сулаберидзе Автандил, Арчвадзе Иосиф, Сулаберидзе Владимир Основные факторы миграции и структура мигрантов в посткоммунистической Грузии 2019. No3. URL: https://cyberleninka.ru/article/n/osnovnye-faktory-migratsii-i-struktura-migrantov-v-postkommunisticheskoy-gruzii (გადამოწმების თარიღი: 04.10.2022).
https://formulanews.ge/News/5068 ( გადამოწმების თარიღი: 04.10.2022).
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია,მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივები 2022. URL: http://population.un.org/wpp (გადამოწმების თარიღი: 04.10.2022).
Prague process. Circular Migration Schemes in Georgia. URL: https://www.pragueprocess.eu/en/resources/repository/34-briefs/91-circular-migration-schemes-in-georgia (გადამოწმების თარიღი 04.10.2022).
Prague process. The State of Migration in Georgia. URL: https://www.pragueprocess.eu/en/resources/repository/33-reports/169-the-state-of-migration-in-georgia-report-developed-in-the-framework-of-the-eu-funded-enhancing-georgia-s-migration-management-enigmma-project ((გადამოწმების თარიღი 04.10.2022).

**Statistical analysis of reproduction and migration dynamism in Georgia during last decade**

**Besarion Simonishvili,**
Doctoral Student, Georgian Technical University
**Miranda Jankhoteli,**
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

Influence of global migration processes on Georgia has increased significantly in the last years. Migration is becoming more important aspect in shaping of social-economic, cultural, political and demographic world-view of the country. In addition, internal "climate" in the State is reflected significantly on the reproduction of the population, the dynamism of demographic conduct. Data on morbidity, emigration, marginalized groups, also somewhat reproduction disposition and orientation, prove that the population is undergoing an acute demographic crisis. This is especially obvious with the background of fast increase of world population.

The statistical analysis of migration dynamisms in Georgia during the last decade, is examined in the article.

**Keywords:** reproduction of the population, migration, demography, depopulation.

**საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ნავთობის სექტორში,
ენტროპიის თეორიის კუთხით**

**ანა გეგეშიძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი,
სს „საქორგგაზი", ბიუჯეტირებისა და ანალიზის დეპარტამენტი,
მთავარი სპეციალისტი

**აბსტრაქტი**

ენერგიის ზოგიერთმა სახემ, ენერგეტიკული დანიშნულების გარდა, ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა. ქართულ ეკონომიკაში დომინანტური პოზიცია ნავთობმა და ბუნებრივი აირის სექტორმა დაიკავა. შეიქმნა მიწოდება-მოთხოვნის სისტემა, სატრანზიტო ნაკადები, სტრატეგიული მოქმედებებისთვის აქტუალური კანონზომიერებები. ენერგიის მოხმარებასთან დაკავშირებულია ენტროპიის ცნება, რომელიც ფორმირდება ფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი კანონით ანუ თერმოდინამიკის მეორე საწყისით, რომელიც განსაზღვრავს ენერგეტიკული გარდაქმნების მიმართულებას. ენტროპიის მაქსიმალურ მიღწევას ახასიათებს წონასწორობის მდგომარეობას, რომელშიც უკვე შეუძლებელია შემდგომი ენერგეტიკული გარდაქმნები - მთელი ენერგია გარდაიქმნება სითბოდ. რეგიონების ეკონომიკური პოლიტიკა, განსაკუთრებით ნავთობის სექტორში, რთული ფენომენია, რომელიც ასახავს პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორების ერთმანეთზე გადაჯაჭვას, რომლებიც ზოგჯერ სტიქიურად მოქმედებს და გაურკვევლობის ვექტორის გაძლიერებას იწვევს. ნავთობის ბაზარზე მილსადენებს, გარდა ენერგეტიკული მნიშვნელობისა, აქვთ ეკონომიკური დანიშნულებაც, ისინი ერთგვარად აწესრიგებენ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიწოდება-მოთხოვნის სისტემას. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის, ისევე როგორც, რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე მოთხოვნაა კონკურენტუნარიანობისა და ზრდის ფაქტორების ინტეგრირებული და თანმიმდევრული განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული ფაქტორები, როგორც წესი, განსხვავდება რეგიონების მიხედვით და მათი საფუძველი სწორედ ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებში უნდა ვეძებოთ. ენტროპია ხელს უწყობს და უზრუნველყოფს გამართულ მუშაობას, დიდი ეფექტის მიღებას, ვიდრე ერთად აღებული ცალკეული ქვესისტემებისა და შემადგენლების ეფექტიანი ჯამურობა. ენტროპია ეკონომიკაში, განსაკუთრებით ნავთობის სექტორში, ნიშნავს სტრატეგიულ უპირატესობას, რომელიც წარმოიშობა ერთობლივი ორი ან მეტი საწარმოს შეერთება-თავმოყრით. ამ დროს მატულობს და მაღლდება ეფექტიანობა, რომელიც გამოვლინდება ნაყოფიერების ზრდით, წარმოების დანახარჯების შემცირებით: ასე რომ, პრობლემების მოსაგვარებლად ერთოვლივი მოქმედებით მიიღწევა უფრო დიდი და მაღალი ეფექტი, ვიდრე ინდივიდუალური ძალისხმევით. ენტროპიული ეფექტი ნავთობის დერეფნის დონეზე შეიძლება შეფასდეს სატრანზიტო მუშაობის შედეგების მიხედვით; დარგში გაერთიანებისა და კონკურენციის გაძლიერებით; მართვის წესებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოწესრიგებულობა, ურთიერთკავშირები, ურთიერთობებისა და შეზღუდულობების პროცესი. ამასთან ერთად, მნიშნელოვანია ევოლუციური პროცესები; თვითრეგულირებადი სტრუქტურების შექმნა; ღია სისტემებში პროცესების შესწავლა აზროვნების კუთხით; ინფორმაციის შეკუმშვა, შეცვლა და დამუშავება, რაც უზრუნველყოფს ენტროპიული ეფექტის შექმნას. ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

**საკვანძო სიტყვები:** ენტროპია; პოტენციალი; ნავთობი; პოლიტიკა; რესურსი; ტრანზიტი; ეკონომიკა.

მსოფლიოში ენერგია გამოიყენება თითქმის ყველა სფეროში გამოიყენება. ენერგიის გარეშე წარმოუდგენელია ცხოვრება; საკვების დამზადება, ბინის გათბობა, ტრანსპორტით გადაადგილება, შინამეურნეობის წარმართვა, მეწარმეობა და, ზოგადად, ეკონომიკის დარგების განვითარება. იგი მეტ-ნაკლებად სხვადასხვა მოცულობით მოიპოვება, იწარმოება და მოიხმარება სხვადასხვა ქვეყანაში. ენერგიის ზოგიერთმა სახემ, ენერგეტიკული დანიშნულების გარდა, დამატებით, ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა. სწორედ ამის გამო, ენერგიის მოხმარებისა და წარმოების დონე მნიშვნელოვანია მსოფლიოში. მსოფლიოში ენერგიის მოხმარება წლიდან წლამდე იზრდება.

ასევე ენერგიის მოხმარებასთან არის დაკავშირებული ენტროპიის ცნება, რომელიც ფორმირდება ფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი კანონით ანუ თერმოდინამიკის მეორე საწყისით, რომელიც განსაზღვრავს ენერგეტიკული გარდაქმნების მიმართულებას. დახშულ სისტემაში ენტროპიას არ შეუძლია შემცირება. ენტროპიის მაქსიმალურ მიღწევას ახასიათებს წონასწორობის მდგომარეობას, რომელშიც უკვე შეუძლებელია შემდგომი ენერგეტიკული გარდაქმნები - მთელი ენერგია გარდაიქმნება სითბოდ.

რეგიონების ეკონომიკური პოლიტიკა, განსაკუთრებით ნავთობის სექტორში, რთული ფენომენია, რომელიც ასახავს პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორების ერთმანეთზე გადაჯაჭვას, რომლებიც ზოგჯერ სტიქიურად მოქმედებს და გაურკვევლობის ვექტორის გაძლიერებას იწვევს. როგორც ცნობილია, ქართულ ეკონომიკაზე, ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა სტიმული. მასში შესაძლებელია დომინანტური პოზიცია დაიკავოს ნავთობმა და ბუნებრივი აირის სექტორმა.

საქართველოში გაზის შესახებ უძველესი ცნობები არ მოიპოვება. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, გაზის გადაზიდვა პირველი მაგისტრალური მილსადენით (ყარადაღი-თბილისი) დაიწყო 1959 წელს, ხოლო, მოგვიანებით, მეორე გაზსადენი აშენდა – ორჯონიკიძე-თბილისის სახელწოდებით. ამჟამად, საქართველო, ნავთობისა და გაზის გადაზიდვის თვალსაზრისით, წარმოადგენს სატრანზიტო ქვეყანას რუსეთი-სომხეთისთვის და აზერბაიჯან-თურქეთისთვის-ევროპისათვის. რაც შეეხება სექტორების მიხედვით ბუნებრივი აირის მოხმარებას, ის უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ნავთობისა.

ნავთობის ბაზარზე მილსადენებს, გარდა ენერგეტიკული მნიშვნელობისა, აქვთ ეკონომიკური დანიშნულებაც, ისინი ერთგვარად აწესრიგებენ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიწოდება-მოთხოვნის სისტემას. საქართველოში მოპოვებული ნავთობის ნაწილის ექსპორტი ხორციელდება ბათუმისა და ფოთის ტერმინალების საშუალებით, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილი გადამუშავდება ადგილობრივი მცირე სიმძლავრის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში. აქედან, თითქმის ყველა ნავთობპროდუქტი იმპორტირებულია.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის, ისევე როგორც, რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე მოთხოვნაა კონკურენტუნარიანობისა და ზრდის ფაქტორების ინტეგრირებული და თანმიმდევრული განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული ფაქტორები, როგორც წესი, განსხვავდება რეგიონების მიხედვით და მათი საფუძველი სწორედ ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებში უნდა ვეძებოთ. საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის 40%-ზე მეტი კვლავ აუთვისებელია. საქართველოს არსებული და

სამომავლო სატრანზიტო ნაკადები დაკავშირებულია აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და შედარებით ნაკლებად, თურქმენეთში წარმოებულ და გადამუშავებულ ნავთობთან. ევრაზიის ნავთობის დერეფნის პროექტის (EAOTC) მონაწილე ქვეყნების პრეზიდენტებმა (აზერბაიჯანი, საქართველო, ლიეტუვა, პოლონეთი და უკრაინა) ხელი მოაწერეს კომუნიკეს, რომელიც გულისხმობს ოდესა-ბროდის მილსადენით კასპიის ნავთობის ტრანზიტს და მის გაფართოებას, საიდანაც ნავთობი არსებული მილსადენით ჩავა გდანსკში.

რეგიონულ სივრცეში ევრაზიის ნავთობის დერეფნის პროექტი სტრატეგიული მოქმედებისათვის აუცილებელია წარმოდგენილი გვქონდეს მასში აქტუალური კანონზომიერებების წყება და იმ ფაქტორების კომპლექსი, რომლებიც დამატებით ზემოქმედებს მოვლენათა მოსალოდნელი დასრულების შედეგზე. ამიტომ, ამ მიზნით საჭიროა ვილაპარაკოთ ეკონომიკაში ენტროპიის კატეგორიის შემოტანასა და მის დამკვიდრებაზე. საჭიროა საკითხისა და მთავარი მიზნის განსაზღვრა, რათა დაისახოს ზოგადი ვექტორი, სამოქმედო წესებისა და პროცედურების უმთავრესი იდეა. ასევე, მიზანია რეგიონული განვითარების შესაძლებლობათა არეალის ფოკუსირება ამ დიდ პროექტთან დაკავშირებით. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიღებთ ნამდვილ და რეალურ შედეგს ნავთობის სატრანზიტო დერეფანთან დაკავშირებით - მდგრადი განვითარება და რეგიონის ეკონომიკური სისტემის სტაბილიზება.

აღნიშნულის საფუძველზე დაარსდა საერთაშორისო მილსადენის კომპანია შპს „სარმატია“. კომპანიის აქციონერები არიან SOCAR-ი (აზერბაიჯანი), AB Klaipedos Nafta (ლიეტუვა), PERN Przyjaźń S.A. (პოლონეთი), Ukrtransnafta (უკრაინა) და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (საქართველო).

რეგიონების პრაქტიკული არეალიების შესწავლის საფუძველზე, საქართველოში სატრანზიტო მოძრაობა ნავთობსა და გაზის სექტორში წარმოადგენს ფაქტორთა კომპლექსს, რომლებიც განაპირობს და განსაზღვრავს რეგიონში სოციალურ-პოლიტიკური ვითარების განვითარების გზების სიზუსტეს და სისწორეს. საქართველოს და მთლიანი ამიერკავკასიის რეგიონის მდგომარეობის დიაგნოსტიკის ანალოგიურად, კლასიფიცირდეს გამოვლენის სფეროების მიხედვით: პოლიტიკური, ბუნებრივ-ეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული, დემოგრაფიული, საკადრო უზრუნველყოფა, მეცნიერულ-ტექნიკური, რესურსული, სიცუალური.

აქედან გამომდინარე, უნდა გამოვიყენოთ რეგიონის შესაძლებლობები, რათა სამეურნეო სუბიექტის დონეზე შემუშავდეს სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებები სატრანზიტო დერეფანთან დაკავშირებით იმიტომ, რომ სამეურნეო სუბიექტების ინტერესები არ შთანთქას საერთო რეგიონულმა მასშტაბურმა ინტერესებმა.

შეიძლება ითქვას, რომ ენტროპია ხელს უწყობს და უზრუნველყოფს გამართულ მუშაობას, დიდი ეფექტის მიღებას, ვიდრე ერთად აღებული ცალკეული ქვესისტემებისა და შემადგენლების ეფექტიანი ჯამურობა. ენტროპია ეკონომიკაში, განსაკუთრებით ნავთობის სექტორში, ნიშნავს სტრატეგიულ უპირატესობას, რომელიც წარმოიშობა ერთობლივი ორი ან მეტი საწარმოს შეერთება-თავმოყრით. ამ დროს მატულობს და მაღლდება ეფექტიანობა, რომელიც გამოვლინდება ნაყოფიერების ზრდით, წარმოების დანახარჯების შემცირებით: ასე რომ, პრობლემების მოსაგვარებლად ერთოვლივი მოქმედებით მიიღწევა უფრო დიდი და მაღალი ეფექტი, ვიდრე ინდივიდუალური ძალისხმევით. ენტროპიული ეფექტი ნავთობის დერეფნის დონეზე შეიძლება შეფასდეს სატრანზიტო მუშაობის შედეგების მიხედვით; დარგში გაერთიანებისა და კონკურენციის გაძლიერებით; მართვის წესებით. ნავთობსა და გაზის სექტორში საქართველოს სატრანზიტო დერეფანში სტაციონალური მდგომარეობის

შესანარჩუნებლად საჭიროა მუდმივი ენერგია - ენტროპიის თეორია, რომელიც აუცილებელია ნახტომების შემდეგი განუწყვეტილი მოწესრიგებულობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოწესრიგებულობა, ურთიერთკავშირები, ურთიერთობებისა და შეზღუდულობების პროცესი. ამასთან ერთად, მნიშნელოვანია ევოლუციური პროცესები; თვითრეგულირებადი სტრუქტურების შექმნა; ღია სისტემებში პროცესების შესწავლა აზროვნების კუთხით; ინფორმაციის შეკუმშვა, შეცვლა და დამუშავება, რაც უზრუნველყოფს ენტროპიული ეფექტის შექმნას. ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

ქვეყნის ნავთობსა და გაზის საკუთარი რესურსების ეფექტურმა ათვისებამ კი შეიძლება, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და ზოგადად ეკონომიკის ზრდაში. ამით, კი ნავთობის სექტორი მოუწესრიგებლობიდან მუდმივი მოწესრიგებულობისკენ გადაიზრდება. ამასთან, მოწესრიგების პროცესი გულისხმობს შესაძლებლობათა გარკვეულ დიაპაზონს, რომელიც განსაზღვრავს სისტემის მიზანს კონკრეტულ მომენტში.

**გამოყენებული ლიტერატურა**


ე. ბარათაშვილი, გ. ნაკაიძე, ნ. ჯანელიძე, ეკონომიკური განვითარებისა და მენეჯმენტის თანამედროვე თეორიები, თბილისი, საქართველოს საინჟინრო აკადემია, „რუბიკონი“, 2000;

დ. ნარმანია, ნ. ფარესაშვილი, რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში, გამომცემლობა უნივერსალი, თბ., 2012;

გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., „ეკონომიკური პოლიტიკა“ წიგნი 1, თბილისი 2008.

თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ., „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა“ თბილისი, 2011.

საქართველოს კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“;

მსოფლიო გამომცემლობა საქართველოსთვის, „ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება და რეფორმები საქართველოს ენერგეტიკაში“, 2019;

Teimuraz Gochitashvili, “Oil and Gas Sector of Georgia in the Transition Period”, Tbilisi 2020;

I. M. Abassov, R. F. Sadigov, Management (Manual), Viana do Castelo, 2015;

Richard L. Daft, New of Management, 11th ed 2017;

https://ik-ptz.ru/ka/testy-ege---2017-po-matematike/entropiya-socialnaya-socialnaya-struktura-i-socialnaya-stratifikaciya-obshchestva.html

https://thyroidgland.ru/ka/symptoms/chto-yavlyaetsya-entropiei-znachenie-slova-laquoentropiya-v-statisticheskoi-fizike-ili/

https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/nov/dissertations/chitadze_kaspiis_navtopbi_disertacia.pdf

## Economic Policy of Georgia in the Oil Sector, In Terms of Entropy Theory

**Ana Gegeshidze,**
Doctoral Candidate, Georgian Technical University,
JSC Sakorggas, Financial Analysis and Budgeting Department, Chief Specialist

**Abctract**

Some types of energy, in addition to their energy purpose, have also acquired economic and political importance. The dominant position in the Georgian economy was occupied by the oil and natural gas sector. A system of supply and demand was created, transit flows, corresponding patterns for strategic actions. The concept of entropy is related to energy consumption, which is formed by one of the basic laws of physics, or the second principle of thermodynamics, which determines the direction of energy transformations. The maximum entropy is characterized by the state of equilibrium, in which further transformations of energy are no longer possible - all energy is converted into heat. The economic policy of the regions, especially in the oil sector, is a complex phenomenon that reflects the intertwining of political and ideological factors, which sometimes act spontaneously and lead to the strengthening of the vector of uncertainty. In the oil market, pipelines, in addition to their energy value, also have an economic purpose, they sort of regulate the supply-demand system of oil and oil products. One of the most urgent requirements of the economic policy of Georgia, as well as the regional policy, is to promote the integrated and consistent development of competitiveness and growth factors. Entropy promotes and ensures smooth operation, achieving a greater effect than the effective sum of the individual subsystems and components taken together. Entropy in economics, especially in the oil sector, means the strategic advantage that arises from the merger of two or more joint ventures. The entropic effect at the level of the oil corridor can be estimated from the results of transit work; by strengthening the union and competition in the field; by driving rules. Compression, modification and processing of information, which ensures the creation of an entropic effect. This issue is gaining special relevance.

**Keywords:** Entropy; Potential; Oil; Politics; Resource; Transit; Economy.

# დასაქმების შესაძლებლობები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის თანამედროვე საქართველოში

**გიორგი მამულაშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

წინამდებარე სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს მიმოვიხილოთ პროფესიული განათლების მქონე პირებისათვის საქართველოში დასაქმების რა შესაძლებლობები არსებობს. აღნიშნული საკითხის აქტუალურობა განპირობებულია ბოლო წლებში პროფესიული განათლების მიმართ ახალგაზრდების მზარდი ინტერესით. ლოგიკურია ჩნდება კითხვა, არსებობს თუ არა ისეთი დასაქმების ხელშეწყობის სერვისები ქვეყანაში, რომელიც ახალგაზრდებს დაეხმარება დასაქმდნენ საქართველოს შრომის ბაზარზე და საჭიროების შემთხვევში ისარგებლონ სხვადასხვა მხარდაჭერითი სერვისებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე, არაერთი რეფორმის გატარება მოუწია და კიდევ ბევრი რეფორმის გატარება მოუწევს. ევროკავშირთან დაახლოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ქვეყანაში შრომის ბაზრის სწორი პოლიტიკის წარმოება და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სერვისებზე სრული წვდომის გაჩენა. თამამად უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მიზნების მისაღწევად ქვეყანაში არაერთი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. 2020 წელს შეიქმნა და ჩამოყალიბდა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რომლის მთავარ მიზნად დასაქმების სერვისებზე მაღალი ხელმისაწვდომობა განისაზღვრა. ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ პანდემიით გამოწვეული პრობლემებისა და შეზღუდვების გამო, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვისებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად შეფერხდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელის მიერ საქართველოს ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ ანგარიშშიც ვკითხულობთ, თუმცა გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, თვალსაჩინოა, რომ აქტიურად მიმდინარეობს „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიით“ გათვალისწინებული რიგი ღონისძიებების გატარება. სწორედ აღნიშნული სტრატეგია აყალიბებს ახალგაზრდა ჯგუფებისთვის დასაქმების ხელშეწყობის სერვისებზე წვდომის შესაძლებლობასა და განსაზღვრავს კონკრეტულ ვადებს.

**საკვანძო სიტყვები:** შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა; დასაქმება პროფესიული განათლებით; დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სერვისები.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ბოლო წლების განმავლობაში პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. პროფესიული უნარების სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წელს განათლების მიღების სურვილი 24451 პირმა გამოთქვა, რაც წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით რეკორდული მაჩვენებელია (გრაფიკა #1)




(გრაფიკა #1.წყარო: პროფესიული უნარების სააგენტო)

აღნიშნული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მოკლევადიან პერიოდში, განსაკუთრებით ისეთ პროფესიების კურსდამთავრებულთათვის, რომელზეც სასწავლო პროცესი მოკლე დროის განმავლობაში გრძელდება, აუცილებელია გამართული და ხელმისაწვდომი დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები. ქვეყანაში დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სერვისების განვითარებისა და სრული ხელმისაწვდომობის მიზნით, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო საქართველოს მთავრობის N81 დადგენილების შესაბამისად, სამ ქვეპროგრამას ახორციელებს, კერძოდ:

„დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების ქვეპროგრამა“

„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამა“

„საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“

აღნიშნულ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ დასაქმების ხელშეწყობის მომსახურების პროგრამაზე, რომელიც სამუშაოს მაძიებლებს სხვადასხვა შესაძლებლობას სთავაზობს. აღნიშნული პროგრამის მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარება და სერვისების განვითარება. პროგრამით გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება, რომელიც სამუშაოს მაძიებლებს შესაძლებლობას აძლევს მათი კანდიდატურა სურვილისამებრ ხელმისაწვდომი იყოს დამსაქმებელთა წარმომადგენლებისთვის.

პროგრამის ფარგლებში, ასევე, როგორც პროფესიული განათლების მქონე, ისე დაბალკვალიფიციური სამუშოა ძალისთვის შესაძლებელია ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა პროფესიონალების სამომავლო კარიერული განვითარებისთვის ინდივიდუალური კონსულტაციების შესაძლებლობა ძალიან მნიშვნელოვანია. სერვისის ეფექტურად მიწოდების შემთხვევაში, ახალგაზრდა პროფესიონალს შესაძლებლობა აქვს დასაქმების კონსულტანტთან ერთად შეადგინოს კარიერული კალენდარი, რაც საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკაა. არანაკლებ მნიშვენლობანია ჯგუფური კონსულტაციების შესაძლებლობა და დასაქმების ფორმუმებში პროფესიული განათლების მქონე სამუშაოს მაძიებლების ჩართვა. ჯგუფური კონსულტირების ტექნიკა და მეთოდი გამოიყენება გამოცდილების, პიროვნული განვითარების შესაძლებლობების გასაზიარებლად და დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების ზრდისთვის. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია სამუშაოს მაძიებელთათვის საშუამავლო მომსახურების გაწევა, რაც ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას აძლევს სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში დაუკავშირდეს კონკრეტულ დამსაქმებელს, სადაც მთავარი შუამავალი რგოლი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოა.

როდესაც ახალგაზრდა პროფესიონალების დასაქმებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ ისეთ პროგრამებს, რომელიც ახალგაზრდებს მცირე მეწარმეობის

შესაძლებლობას აძლევს. 2021 წლიდან  სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, იმ პირებს, ვისაც სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება სურს, შესაძლებლობა აქვთ უფასოდ გაიარონ მოკლევადიანი მომზადება-გადამზადება აღნიშნული უნარების გასაუმჯობესებლად. საგულისხმოა, რომ ეკონომიკური განვითრარების ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სერვისებისა და შესაძლებლობების მიუხედავად, საქართველოში უმუშევრობის ჯერ კიდევ მაღალი მაჩვენებელია და  2022 წლის ოქტომბრის მდგომარეობით  20.6% შეადგენს. რაც თავისთავად ცხადია სამუშაო ადგილების სიმცირით არის განპირობებული. აღნიშნულის მიუხედავად, ჯერ კიდევ საჭიროა ფართო მასშტაბური საინფორმაციო ხასიათის კამპანიებისა და ღონიზძიებების ორგანიზება მოსახლეობაში, სადაც  დასაქმების ხელშეწყობის სერვისებზე და რესურსებზე გამახვილდება ყურადღება.

**გამოყენებული ლიტერატურა**

საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგი; https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4761408?publication=0 _(ბოლოს გადამოწმდა 12.10.2022)

დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებსაქართველოს მთავრობის №81 დადგენილება - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5385740?publication=0 (ბოლოს გადამოწმდა 12.10.2022)

ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელებისშესახებ - https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/documents/AAIR_2021_GEO.pdf (ბოლოს გადამოწმდა 12.10.2022)

**Employment opportunities for young professionals in modern Georgia**

**Giorgi Mamulashvili,**
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

The main goal of this article is to review what employment opportunities exist in Georgia for persons with professional education. The relevance of the mentioned issue is due to the growing interest of young people in professional education in recent years. It is logical to ask whether there are employment promotion services in the country that will help young people to get a job in the labor market of Georgia and to use various support services in case of need. It is widely known that on the path of integration with the European Union, Georgia had to carry out many reforms and will have to carry out many more reforms. One of the most important conditions for rapprochement with the European Union is the development of a correct labor market policy in the country and the creation of full access to state services for employment promotion. It must be said boldly that many steps have already been taken in the country to achieve the mentioned goals. In this article, we will focus on the employment promotion service program, which offers various opportunities to job seekers.

**Keywords:** active labor market policy; employment with professional education; State employment promotion services.

**მოტივაციის ფსიქოლოგიური გააზრებები**

**ზურაბ გეგენავა,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

სტატიაში - **„მოტივაციის ფსიქოლოგიური გააზრებები“** - განხილულია შრომისადმი (სწავლებისადმი) ადამიანის მოტივის, მოტივაციის და მოთხოვნილებებთან მათი მიმართების საკითხები. წარმოდგენილია ძველი და ახალი თაობის ფსიქოლოგების შეხედულებები მათზე. მათ რიცხვში არიან დ. უზნაძე, ჰ. ჰეკჰაუზენი, ვ. კაკაბაძე, ჰ. თომე, ჯ. ბრაუნი, ლ. ჰალი, ბ. სკინერი, ზ. ფროიდი, კ. ლეშლი და სხვები.

სტატიაში განსაკუთრებულად ვრცლად წარმოდგენილია მოტივაციის ჰ. თომესეული 6 ჯგუფის დახასიათება: მოტივი მოძრაობის მიზეზია, მოტივაცია ორგანიზმის ცვლილების შედეგია, მოტივაცია აქტივების უწყვეტობის აბსტრაქციაა, მოტივაცია მიმართულების დეტერმინანტია, მოტივაცია არჩევანის მიღების საფუძველია, მოტივაცია „გაგებითი კავშირების“ ერთობლიობაა. თითოეული ჯგუფი განხილულია სხვადასხვა ფსიქოლოგების შეხედულებების პრიზმაში და გაკეთებულია დასკვნები.

თეორიული კვლევები აჩვენებს, რომ მოტივსა, მოტივაციასა და მოთხოვნილებებზე ფსიქოლოგებს საკმაოდ ურთიერთგანსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ამის მიუხედავად ისინი გაბედულად მიუთითებენ დამსაქმებლებს, რომ თუ უნდათ, რომ მიაღწიონ წარმატებას, თითოეულ დასაქმებულში ეძებონ და მიაგნონ იმ იდუმალ რაღაცას, რის გამოც დასაქმებული თავდადებით შრომობს.

**საკვანძო სიტყვები:** მოტივი; მოტივაცი; მოთხოვნილებები.

**შესავალი.** შრომის მიმართ ადამიანის დამოკიდებულების საფუძველი არის მისი მოტივაცია. ის უბიძგებს მას ამოირჩიოს შრომის ის სახეობა, ის საქმე და ის მოქმედება, რომელიც განსაკუთრეით იზიდავს მას და წაახალისებს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი უნარები. როცა დაქირავებულის შრომა ამ ფორმატით სრულდება, მისი შედეგი, ცხადია, დადებითია დასაქმებულისთვისაც და დამსაქმებლისთვისაც.

**ძირითადი შინაარსი.** ტერმინი „მოტივი“ ლათინური წარმოშობისაა და პირდაპირი თარგმანით ნიშნავს მოქმედებაში მოყვანას, ამოძრავებას. მოტივი არის გარკვეული ფსიქოლოგიური საფუძველი, რომლის ნიადაგზე ადამიანი ახორციელებს გარკვეულ ქმედებას“ [1. გვ. 110]. მოტივს თავის მხრივ, ადამიანის მატერიალური ან სულიერი მოთხოვნილებები უდევს საფუძვლად, თვით მოტივი კი მოტივაციის საფუძველია. ასე რომ, მოტივიც და მოტივაციაც ფსიქოლოგების მიერ ქცევის მამოძრავებელ საფუძვლებადაა გააზრებული [2. გვ. 82].

დღეს არსებული ფსიქოლოგიური მიმართულებები არაერთნაირად იზიარებენ მოტივის (მოტივაციის) ბუნებას. ზოგიერთი მეცნიერი მათი არსებობის ბუნებას ცნობიერი ფსიქიკით ამოწურავს, ზოგიერთი მასში არაცნობიერ ფიქიკასაც გულისხმობს, ზოგისთვის კი იგი ორივეს ერთად წარმოადგენს. რადგან მოტივის ცნებაში ასეთი ვრცელი სფერო და თანაც, ერთმანეთისგან სავსებით განსხვავებული მოვლენები მოიაზრებოდა, ფსიქოლოგები შეეცადნენ მის შემოფარგვლას მხოლოდ ნებელობით, ანუ მოტივაციის პრობლემას იხილავდნენ მხოლოდ

როგორც ნებელობის პრობლემის შემადგენელ ნაწილს. ასეთი ხედვა არის ჩადებული ქართველი ფსიქოლოგის დ. უზნაძის ნაშრომებში [3].

იყო სხვა ცდებიც. მაგალითად, მეცნიერი ჰ. ჰეკჰაუზენი მოტივაციას აკავშირებდა მხოლოდ არაკოგნიტურ პროცესებთან [4], ი. ბრაუნს მიაჩნდა, რომ მოტივაცია, ლტოლვასთან და ემოციასთან ერთად წარმოადგენს ქცევის მხოლოდ გამააქტიურებელ აგენტს და არა მის წარმართველს [5], ჰ. თომე მოტივაციად აცხადებდა მხოლოდ ქცევის მიმართულებასთან კავშირში მყოფ პროცესებს [6] და ა. შ.

ი, ბრაუნი ასახელებს 3 კრეიტერიუმს, რომელთა მიხედვით პროცესი უნდა ჩაითვალოს მოტივაციად [5]:

თუ პროცესი (ცვლადი) იწვევს განსხვავებული თვისებების მქონე რეაქციებს, იგი მოტივაციად უნდა ჩაითვალოს;

თუ ცვლადის ცვლილება ასუსტებს გარკვეულ რეაქციებს, მაშინ იგი მოტივაციად უნდა ჩაითვალოს;

თუ ცვლადი ახალ რეაქციას წარმოშობს, იგიც მოტივაციად ჩაითვლება.

ჰ. თომე ასახელებს მოტივის 6 ჯგუფს. ესენია [6]:

მოტივი მოძრაობის მიზეზია.

მოტივაცია ორგანიზმის ცვლილების შედეგია.

მოტივაცია არის აქტივების უწყვეტობის აბსტრაქცია.

მოტივაცია მიმართულების დეტერმინანტია.

მოტივი არჩევანის მიღების საფუძველია.

მოტივაცია არის გაგებითი კავშირების ერთობლიობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერი ჰ. თომე თითოეულ ამ ჯგუფს ახასიათებს სხვადასხვა მეცნიერთა თვალთახედვით და აკეთებს შემაჯამებელ დასკვნებს.

**პირველ ჯგუფში** - „მოტივი მოძრაობის მიზეზია“. იგი იხილავს ნ. ახის და ი. ბრაუნის კონცეფციებს, აგრეთვე, ჰ. იანგის და დ. ლინდსლის შეხედულებებს ამ საკითხზე. კეთდება დასკვნა, რომ ორგანიზმი აქტიური ხდება მოტივაციით.

მოტივაციის **მეორე ჯგუფში** - „მოტივაცია ორგანიზმის ცვლილების შედეგია“ - წარმოდგენილია ამ საკითხზე კ. მორგანის, დ. ჰადის, ბ. სკინერის, ზ. ფროიდის, კ. ლეშლის და სხვათა შეხედულებები. გაკეთებულია საბოლოო დასკვნა, რომ ადამიანში მთლიან მოტივაციის პროცესს განსაზღვრავს ცენტრალურ-ნერვული აგზნებათა ცვლილებები. ეს დასკვნა ემთხვევა მეცნიერ კ. ლეშლის აზრს ამ საკითხის შესახებ.

**მესამე ჯგუფში** - „მოტივაცია არის აქტივობის უწყვეტობის აბსტრაქცია“ - ჰ. თომემ იმ თვალსაზრისს, რომ ორგანიზმი თავიდან არის უმოძრაო და შემდეგ ის მოძრაობაში მოყავს მოტივაციას, დაუპირისპირა სხვა გაგება, კერძოდ ის, რომ ადამიანი თავიდანვე აქტიურია (რადგან ის ცოცხალია). მოტივაცია აქ წარმოადგენს ამ აქტიურობის უწყვეტობის გამომწვევ ფაქტორს.

**მეოთხე ჯგუფში** - „მოტივაცია მიმართულების დეტერმინანტია“ - მეცნიერი ჰ. თომე იხილავს ამ საკითხზე სხვა მეცნიერების - პეტერმანის, შტერნის და სხვათა შეხედულებებს. გამოთქმულია აზრი, რომ ფენომენი - „მომავლისკენ მიმართულება“, რასაც აღიარებს ფ. ლერში, საერთოდ ზედმეტს ხდის მოტივაციის ცნებას. ჰ. თომეს აზრით, მოტივაციის მიზანმიმართულება აუცილებლობით არ ნიშნავს მომავლისკენ მიმართულებას.

**მეხუთე ჯგუფში** - „მოტივი არჩევანის მიღების საფუძველია“ - განხილულია ა. მიშოტის და ა. ფენდერის შეხედულებები ამ საკითხზე. ა. ფენდერის აზრით, ადამიანი არის თავისუფალი

- „მე“. მას მოტივები მხოლოდ ქცევის საფუძვლებს სთავაზობენ, რომლებზე დაყრდნობაც მას შეუძლია. ეს საფუძვლები ვერ წარმოქმნიან თავიდან ქცევას.

**მეექვსე ჯგუფში** - „მოტივაცია გაგებითი კავშირების ერთობლიობაა“ - მოტივი და მოქმედება გაგებით კავშირად არის ჩათვლილი. იგი წარმოიქმნება ერთი მდგომარეობიდან ადამიანის მეორე მდგომარეობაში გადასვლისას.

ასეთია მოკლედ მოტივის და მოტივაციის ცნებების 6 ჯგუფის ფსიქოლოგიური გააზრებები. მოტივის და მოტივაციის ბუნების ცხადყოფას ემსახურება აგრეთვე მოტივის ფორმებზე და სახეებზე მითითება, რომლებზედაც განსაკუთრებით ჩერდება ჰ. თომე. მოტივაციის ფორმები ეხება აქტივობის უწყვეტობაში გამოყოფილ ფაზებს. მათ თომე მოტივაციის მდგომარეობებს უწოდებს. მოტივის და მოტივაციის სახეებზე და ფორმებზე ფსიქოლოგები მსჯელობენ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით [2. გვ. 93-94].

**გენეზისის** ნიშნით - პირველადი და მეორადი მოტივები.

**ორიენტაციის** ნიშნით.

**ცნობიერების** ხარისხით.

**ექსტენსივობის** ნიშნით - სიფართოვე, გავრცელებულობა.

**მიმდინარეობის** ხასიათით (რიტმი, ტემპი).

ფსიქოლოგები საუბრობენ მოტივის (მოტივაციის) ცნების ფართო და ვიწრო მნიშვნელობებზე. ფართო მნიშვნელობით მოტივაცია არის ადამიანის საერთო ქცევის აღმძვრელი და წარმმართველი, ვიწრო მნიშვნელობით კი, მოტივაცია მხოლოდ ნებისმიერ ქცევასთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში მოტივაცია ადამიანის ქცევის განხორციელების აუცილებელი მომენტია. ის ნებისმიერ ქცევას წარმართავს და ახორციელებს.

ფსიქოლოგებში საკამათოა მოთხოვნილებებთან მოტივაციის დაკავშირების საკითხიც. მოტივი რომ მოთხოვნილებაა, ამ თვალსაზრისს მრავალი ფსიქოლოგი გამოთქვამს [7]. მრავალი მეცნიერი მოტივს მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საგნად მიიჩნევს [8]. ამ შემთხვევაში მოთხოვნების დაკონკრეტება ხდება მოთხოვნილების საგნის გამოკვეთით. ქცვეის მოტივია მოთხოვნილების საგანი, რომელიც აკმაყოფილებს სუბიექტის მოთხოვნილებას, და არა საერთოდ რაიმე საგანი. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში მოტივი გაიაზრება, როგორც მოთხოვნილების აღმძვრელი, მოთხოვნილების გამჩენი. ეს თვალსაზრისი დევს ქართველი ფსიქოლოგის დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაში. იგი წერს: „ნებისმიერი ქცევის განხორციელება მხოლოდ მოტივის წყალობით ხდება, მოტივს კი განწყობა აჩენს [3].

**დასკვნა**. მოტივსა და მოტივაციაზე თეორიული კვლევებით გაირკვა, რომ ფსიქოლოგებს შორის მათ შესახებ ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. თითქმის საკამათოა მოთხოვნილებებთან მოტივაციის მიმართების საკითხიც - მოტივი თვითონ არის მოთხოვნილება, თუ მოთხოვნების დაკმაყოფილების საგანი. ერთი ცხადია და მას ფსიქოლოგები გამოკვეთილად ურჩევენ დამსაქმებლებს: თუ თქვენ გაიგებთ რა ამოძრავებს დასაქმებულ ინდივიდს, რის გამოც, იგი აკეთებს რაღაცას, თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ ყველაზე იდუმალი და მთავარი მის ინდივიდუალობაში და სათქვენოდ გამოიყენოთ იგი. მხოლოდ ასე შეიძლება ელოდოთ მათგან შრომით დაინტერესებას, შრომის მაღალ ხარისხს და თქვენი კომპანიისთვის თავდადებას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

ხარხელი მ., ქეშელაშვილი გ. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2013. გვ. 110.
კაკაბაძე ვ. მოთხოვნილების ფსიქოლოგია. თბ., 1988. გვ. 82.

უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. შრომები. ტ. 6. თბ., 1977.
Heckhausen H. Eine Rahmentheorie zur in 10 Thesen. Zaitschrift für Experlmentele Psychologie. 1963. x. 4.
Brown J. S. The Motivation of Behavior. N. Y. 1961.
Thomae H. Die Bedeuting des Motivation Sbegriffes. Handbuch der Psychologie in 12. Bönden. 2. Band. Algemeine Psych. Gottingen. 1965.
Тенлов Б. Психология. М., 1992.
Леонтьев А. Н. Деятельность. сознание, личность. М., 1975.
ერიაშვილი ნ., სტოლიარენკო ა. მენეჯმენტის ფსიქოლოგია. თბ., 2014. გვ. 199.

**Psychological understandings of motivation**

**Zurab Gegenava**,

Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

In the article - **"Psychological understandings of motivation"** – it is discussed the issues of human motive for work (teaching), motivation and their attitude to demands. The views of old and new generations of psychologists on them are presented in it. Among them are D. Uznadze, H. Heckhausen, V. Kakabadze, H. Thomas, J. Brown, L. Hull, B. Skinner, Z. Freud, K. Lashley and others.

The article widely presents some specifics of 6 group motivation by H. Thomas: motive is the cause of movement, motivation is the result of changes in the organism, motivation is the abstraction of the continuity of assets, motivation is the determinant of direction, motivation is the basis for making a choice, motivation is a set of "understanding connections". Each group is discussed in the point of the views of different psychologists and some conclusions are made.

Theoretical studies show that psychologists have quite different opinions on motive, motivation and demands. Despite this, they bravely point out to employers that if they want to achieve success, they should look for and find such mysterious thing in each employee what makes them work hard.

**Keywords:** motive; motivation; demands.

# ფინანსური მონიტორინგი: არსი, პრობლემები

**თორნიკე ჯინჭარაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

ნებისმიერი კომპანია ქვეყანაში დადგენილი წესების, კანონების, ნორმების, ნორმატივების და სხვა სახელმწიფო მიერ დადგენილი ჩარჩოების ფარგლებში ფუნქციონირებს. მას ევალება მათი შესრულება. ამის გარდა, კომპანია ბიზნეს-სუბიექტია და ამ თვალსაზრისით, იგი მოგებაზე ორიენტირებულია, ანუ მოგებაზე მუშაობს. მომავალში მოგების მიღებისთვის კომპანიები ადგენენ სამოქმედო გეგმას. გეგმის საფუძველზე, ხშირ შემთხვევაში, ადგენენ საოპერაციო და ფინანსურ ბიუჯეტებს. ბიუჯეტებში დეტალურადაა გაწერილი მომავალი ბიზნეს პროცესები და შესაბამისი მომავალი ფინანსური მაჩვენებლები. ასე რომ, ერთია, რომ კომპანიის კანონიერი საქმიანობისთვის ნებისმიერ ქვეყანაში რაღაცა ჩარჩო იქმნება (რეგულატორები გვაქვს მხედველობაში) თუმცა ისინი ყოველთვის არ ან ვერ სრულდება. მეორეა რომ რეალური მაჩვენებლები, ხშირად, მენეჯმენტის მიერ დასახული გეგმებიდან და ბიუჯეტის პარამეტრებიდანაც მნიშვნელოვნად განსხვავდება. ორივე მიმართულებით არსებული უზუსტობებისა თუ განსხვავებების დასადგენად და ხარვეზების გამოსასწორებლად საჭიროა კონტროლი და მონიტორინგი.

ამის შესახებ ქართველი მეცნიერები წერენ: „რეალურ ცხოვრებაში, გეგმები ყოველთვის არ ხორციელდება ისე, როგორც ჩაფიქრებულია. მათი რეალიზაციისას ადგილი აქვს მიზნისკენ სავალი გზიდან გადახვევებს, რის აღმოსაფხვრელადაც ხორციელდება მარეგულირებელი ზემოქმედება. ეს მიიღწევა კონტროლის და მონიტორინგის გზით“ [1. გვ. 125].

სტატიაში - „ფინანსური მონიტორინგი: არსი, პრობლემები“ - განხილულია სხვადასხვა ქართველი და არაქართველი მეცნიერების შეხედულებები მონიტორინგის შესახებ და გაკეთებულია დასკვნა, რომ არც საერთოდ მონიტორინგზე და არც ფინანსურ მონიტორინგზე ცალსახა ანუ ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ არსებობს.

ავტორი მათ შესახებ აყალიბებს თავის შეხედულებას და აღნიშნავს, რომ მონიტორინგი არის როგორც კონტროლის, ისე ანალიზის პროცესის ერთობა, განურჩევლად იმისა, ფინანსების სფეროში გამოვიყენებთ თუ სხვა სფეროში.

ავტორი სურვილს გამოთქვას, რომ ამ საკითხზე გაიშალოს დისკუსია, რათა საბოლოოდ დადგინდეს მონიტორინგის ერთმნიშვნელოვანი განმარტება.

**საკვანძო სიტყვები:** მონიტორინგი; ფინანსური მონიტორინგი; კონტროლი; შემოწმება; ანალიზი.

**ძირითადი ტექსტი**

სიტყვა „მონიტორინგი“ ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ინგლისური წარმოშობისაა („Monitor“) და ნიშნავს არასასურველი მოვლენების თავიდან ასაცილებელ დაკვირვებას.

საქართველოს პრაქტიკაში მონიტორინგს კონტროლის სინონიმად იყენებენ, თუმცა, არსად არ არის განმარტებული, იგი მთლიანად უნდა ემთხვეოდეს კონტროლს, თუ მის გარდა სხვა ფუნქციის (ფუნქციების) შესრულებაც ევალება. ქართველი მეცნიერები კ. ბასილია და ზ. ლიპარტია ამ ცნებებს მთლიანად აიგივებენ [2. გვ. 94].

ქართველი მეცნიერი და აუდიტის ცნობილი სპეციალისტი პროფესორი **ნ. ბაკაშვილი** ტერმინ „შიდა მონიტორინგს“ იყენებს და მას ფირმის შიდა კონტროლთან აიგივებს [3. გვ. 513], მეცნიერები - ლ. მიქავა, დ. კერესელიძე და სხვები კი - შიდა ფინანსურ მონიტორინგს განმარტავენ როგორც „შიდა აუდიტის და მმართველობითი ფინანსური კონტროლის ერთიანობას“ [4. გვ. 22] და ა. შ.

განსხვავებულ შეხედულებებს ვხვდებით რუს მეცნიერებთან: **სიტკინი ა., ხენკინა ზ.:** „მონიტორინგი არის ინფორმაციის შეგროვება ფირმის მდგომარეობის შესახებ“ [5. გვ. 64]. **სიდელნიკოვა ლ., გოლი მ.:** „მონიტორინგი არის ფირმის მენეჯმენტში ანალიზის ფუნქციის შესრულება“ [6. გვ. 19].

ჩვენ უფრო მეტად მეცნიერების ლ. სიდელნიკოვას და მ. გოლის განმარტებას ვუჭერთ მხარს. მათ უფრო, რომ ასეთი განმარტება უფრო ტევადია და იგი ინფორმაციის შეგროვებასაც მოიცავს, მასზე დაკვირვებასაც და მის ანალიზსაც.

ასე, რომ მონიტორინგის განმატებები მრავალია.

პირველად საქართველოს პრტაქტიკაში ტერმინი „მონიტორინგი“ საქართველოს კანონში - „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“ - გამოჩნდა. მის შესახებ მასში აღნიშნულია, რომ კრიზისში მყოფ ანუ გაკოტრების წინაშე მდგომ საწარმოში აუცილებელია მონიტორინგის ჩატარება იმ სიძნელეების დასაძლევად, რომელმაც იგი გაკოტრებამდის მიიყვანა. საწარმო კრიზისამდე შეიძლება ცალკეული პირების დანაშაულითაც მივიდეს და შეიძლება ამის გარეშეც - გარემო პირობების ზემოქმედებით. ასე რომ, მონიტორინგს ერთის გამოკვლევაც ევალება, მეორესაც, და, ბოლოს, ღონისძიებების შემუშავება კრიზისის დასაძლევად. პირველი ფუნქცია არის ინფორმაციის შეგროვება, მეორე და მესამე - კონტროლის და ანალიზის ფუნქცია, ყველა ერთად კი - მონიტორინგი. მისი სტრუქტურული სქემა ასე უნდა წარმოვიდგინოთ (ნახაზი 1).



**ნახ... რინგის ავტორისეული სქემა**

მაშასადამე, ჩვენი აზრით, მონიტორინგი არ არის მხოლოდ ინფორმაციის შეგროვების პროცესი. ინფორმაციის შეგროვება მისი მხოლოდ საწყისი ეტაპია. მეორე ეტაპზე პარალელურ რეჟიმში ტარდება კონტროლიც და ანალიზიც (კონტროლის პროცესში დგინდება პიროვნებათა ქმედებებით გამოწვეული დანაშაულებრივი დარღვევები, ანალიზის პროცესში კი - ეკონომიკურ მაჩვენებელთა, ძირითადად, ფინანსურ მაჩვენებელთა მდგომარეობა, გეგმიდან მათი გადახრის სიდიდეები), მესამე ეტაპზე კეთდება შემაჯამებელი დასკვნები და ორივე პროცესისგან მიღებული შედეგების შეჯამება და მეოთხე ეტაპზე იწერება შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების ღონისძიებები.

რადგან ამოსავალი ინფორმაციის შეგროვება მონიტორინგის პირველი ეტაპია, ამიტომ რაღა თქმა უნდა, მის სისრულეზე და სისწორეზე არის დამოკიდებული შემდეგი ეტაპების შედეგების სანდოობა.

ფინანსური სიმყარის შესახებ ინფორმაცია აიღება ფირმის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებიდან. მისი სისტემატიური (ყოველი დღის) აღება შეუძლებელია. ეს კი წარმოშობს

დინამიკაში მონიტორინგის განხორციელების პრობლემას და ჩატარებული ანალიზი სტატიკურ (მომენტურ) სახეს იღებს. ამის გარდა, საბუღალტრო განყოფილებიდან, კერძოდ, ბალანსიდან და მისი დანართებიდან ინფორმაციის აღებისას შემდეგი პრობლემები წარმოიშვება:

საინფორმაციო ბაზის შეუსაბამობა მონიტორინგის მიზნებთან.

ბუღალტრული აღრიცხვის ფორმებში მაჩვენებლების შეუსაბამობა (რადგან ზემდგომი ორგანოები ხშირად ცვლიან ბუღალტრული აღრიცხვის ფორმებს და მათ სტრუქტურას).

ფირმის ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებელთა საინფორმაციო დანიშნულების სიმცირე. მაგალითად, ბალანსის დანართებში არ ჩანს ფირმის ვადაგადაცილებულ კრედიტორული დავალიანების მოძრაობა. ამით ფირმა ახერხებს დამალოს თავისი ვალები და შემმოწმებელს არ დაანახოს თავისი რეალური ფინანსური სიძნელეები;

გარე მომხმარებლებისთვის ფირმის ფინანსური ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა. მართალია, კანონით ”ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის შესახებ” და სხვა ნორმატიული აქტებით I, II, III კატეგორიის ფირმებს ევალებათ საანგარიშო წლის შემდეგი წლის 1 ივნისამდე მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მონაცემთა პუბლიკაცია, მაგრამ საწარმოთა უმრავლესობა ამას მეტად შეკვეცილი ფორმით აკეთებს.

ბალანსის მუხლების შეფასების არაკორექტულობა, ანუ ინფლაცის გაუთვალისწინებლობა. საქართველოში ინფლაციის საშუალო დონე 12-15%-ია. ფირმებს უფლება აქვთ თვითონ მიიღონ გადაწყვეტილებები ინფლაციის გამო ქონების გადაფასების შესახებ. თუმცა, ვინც ეს გააკეთა, აღმოჩნდა, რომ გადააფასა მხოლოდ ძირითადი საშუალებები, ამით რამდენადმე დამახინჯდა ბალანსის აქტივების და პასივების სტრუქტურა.

ჩვენი აზრით, ნებისმიერმა ფირმამ სრულად უნდა მოახდინოს ბუღალტრული ბალანსის მუხლების კორექტირება ინფლაციის გათვალისწინებით. კერძოდ:

მოახდინოს მისი მიუხლების გადაანგარიშება სტაბილურ ვალუტაში (დოლარი, ევრო);

მოახდინოს ბალანსის მუხლების გადაფასება ქვეყანაში არსებულ საშუალო ფასების მიხედვით;

მოახდინოს ქონების გადაფასება ერთნაირი მყიდველობითი უნარის მქონე ფულის ერთეულში (მაგალითად, გირვანქა სტერლინგი).

ზოგიერთი ქართველი პრაქტიკოსი ამ წინადადებებს შეეწინააღმდეგება იმ მოსაზრებით, რომ:

ყველა სახის ქონების ღირებულება არ იცვლება ვალუტის კურსის პროპორციულად;

ყველა ფირმა არ არის კომპიუტერიზებული, ამის გარეშე კი ბალანსის მუხლების კორექტირება ინფლაციის შესაბამისად რთული სამუშაო იქნება.

ამ მოსაზრებების გაბათილება იმით შეგვიძლია, რომ დღევანდელ ვითარებაში საქართველოში მიმდინარე ლარის კურსის დაცემამ ყველა სახის ქონება გააძვირა, რაც შეეხება კომპიუტერიზაციას, კომპიუტერები არ აქვთ მხოლოდ მიკრო და მცირე ფირმებს, ჩვენ კი ჩვენ წინადადებებს ძირითადად მსხვილ ფირმებს ვთავაზობთ.

ფირმების ფინანსური სიმყარის სრულყოფილი მონიტორინგის ჩატარების პრობლემა კიდევ იმაშია, რომ საქართველოში არ არსებობს ბალანსის მუხლების საბაზრო ღირებულებაში გადაყვანის ოფიციალური სახელმწიფო მეთოდიკა, რის გამოც ფირმის უმრავლესობა ბალანსს მიმდინარე ფასებში ადგენს. ამის შედეგად მათი ფინანსური მდგომარეობის და ბალანსის ობიექტური პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია.

არის კიდევ ერთი, განსაკუთრებით საქართველოს ფირმებისთვის დამახასიათებელი პრობლემა. საქმე ისაა, რომ ფირმის მონიტორინგის სამსახურს (თუ ასეთი სამსახური შექმნილია

მასში) ფინანსური სიმყარის დასადგენი მონიტორინგისთვის სჭირდება არა მხოლოდ საბუღალტრო აღრიცხვის ინფორმაცია, არამედ ოპერაციული აღრიცხვისაც. ეს არის აღრიცხვა საამქროების, უბნების, ბრიგადების, ცალკეული სამუშაო ადგილების დონეზე. ასეთი ანაგრიშგებები საქართველოს საწარმოებში, როგორც წესი არ სდგება.

პრობლემა არის აგრეთვე ინფორმაციის რაოდენობა. მათი სიმრავლე დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, სიმცირე კი იწვევს არასათანადოდ დასაბუთებულ დასკვნებს, ხშირად კი - საერთოდ არასწორ დასკვნებს. ამიტომ მონიტორნგის სპეციალისტი უნდა ცნობდეს ინფორმაციას, იგი ინფორმაციის ზღვაში არ უნდა ჩაიძიროს და აიღოს მხოლოდ რელევანტური მასალა, ანუ ის ინფორმაცია, რომელიც რეალური დასკვნების გამოსატანად არის აუცილებელი. ეს რომ სპეციალისტმა შეძლოს, უნდა იყოს ფინანსების და ფინანსური ანალიზის კარგი მცოდნე. ასეთი სპეციალისტები კი საქართველოში იშვიათია.

სათქმელია ფინანსური ანალიზის მეთოდის არჩევის პრობლემაც. ფინანსური სიმყარის ანალიზის ბოლო მეთოდი, რომელიც მეცნიერებმა შემოგვთავაზეს, იყო ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი. შემდეგ იგი აღარ განვითარებულა (მართალია იქამდის მეცნიერ-მათემატიკოსების მიერ შემოთავაზებული იყო კორელიაციურ-რეგრესიული ანალიზი, ექსპონენციალური მოსწორების მეთოდი და სხვები, მაგრამ ეკონომისტ-ანალიტიკოსებისთვის მათი გამოყენება რთულია). ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი კი ფირმის ფინანსური სიმყარის საანგარიშოდ არ იძლევა ინტეგრალური მაჩვენებლის გაანგარიშების საშუალებას. ასე რომ, ამ სფეროში არსებული პრაქტიკა მეცნიერ-ფინანსისტების ახალ შემოთავაზებას ელოდება.

ფინანსური მონიტორინგის ჩატარების შედეგიანობა დამოკიდებულია ფირმის ხელმძღვანელების და წამყვანი სპეციალისტების მომზადების დონეზეც. ისინი თავისი ფირმის ფინანსური მონიტორინგის შედეგებით უნდა იყვნენ დაინტერესებულები. ამისთვის ფირმის ხელმძღვანელობის დონეზე უნდა წყდებოდეს შემდეგი საკითხები:

ანალიზის სუბიექტის განსაზღვრა;

იმ პირების პასუხისმგებლობის განსაზღვრა, ვისაც ევალება მოაწოდოს ინფორმაცია მონიტორინგის სამსახურს სრულყოფილად და დადგენილ ვადებში;

მონიტორინგის სამსახურის იერარქიული ადგილის განსაზღვრა ფირმის მმართველობით აპარატში;

მონიტორინგის პერიოდულობის დადგენა;

მონიტორინგის ჩასატარებლად ძირითად ანალიტიკურ მაჩვენებელთა ამორჩევა;

ანალიზის სიღრმის და მოცულობის განსაზღვრა.

საქართველოს ფირმებში ფინანსური მონიტორინგის სრულყოფილება ირღვევა იმითაც, რომ სხვადასხვა სპეციალისტი ანალიტიკურ კვლევების ჩატარებაში ერთი და იგივე მნიშვნე-ლობის ტერმინის სხვადასხვა ვარიაციებს იყენებს. მაგალითად, ტერმინები - "წმინდა მიმდინარე აქტივები", "მუშა კაპიტალი" და "საკუთარი საბრუნავი კაპიტალი" გამოიყენება ერთი და იგივე ცნების აღსანიშნავად. ეს იწვევს დიდ დაბნეულობას და თუ მონიტორინგული კვლევის წამკითხველი კარგად არ არის ამ საკითხებში გარკვეული, მას ეს ტერმინები სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელები ეგონება.

ფირმის ფინანსურ მონიტორინგს არა მხოლოდ მისი შიგასაფირმო ინფორმაცია, არამედ გარე გარემოს ინფორმაციაც სჭირდება. ესენია: მომწოდებლები, მყიდველები, ბანკები და სხვ. შიდა ინფორმაციას ფირმის მონიტორინგის სამსახური ასე თუ ისე იღებს, გარე ინფორმაციის აღება კი საქართველოში ფაქტიურად შეუძლებელია. ამის მიზეზი ისაა, რომ ქვეყნის სტატისტიკის სამსახური ფირმების შესახებ მეტად მწირ ინფორმაციას ფლობს და განსხვავებით

საზღვარგარეთის ქვეყნებისგან, ჩვენთან არც კერძო საინფორმაციო ცენტრები არსებობენ, სადაც გარკვეულ ფასად შეიძლება ნებისმიერი ინფორმაციის ყიდვა, საზღვარგარეთ ასეთი ფირმები ფლობენ პროგრამულ პაკეტებს, რომელთა შორის ლიდერობენ შემდეგი პროგრამები: Statistika, Systat, BMDP, SPSS, SAS, Statgraphics და სხვები. ქართულ ფირმებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ყავთ პარტნიროები და სჭირდებათ მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება, შეუძლიათ ამ პაკეტებით სარგებლობა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მათ არ იციან ამ პაკეტების არსებობის შესახებ.

ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი არხი არის საკონსულტაციო ფირმები, რომლებიც ამა თუ იმ ორგანიზაციის დაკვეთას ასრულებენ ინფორმაციის მოპოვების სფეროში. საქართველოში საკონსულტაციო ფირმები არსებობენ, მაგრამ ისინი ინფორმაციის მოპოვება-გაყიდვით არ არიან დაკავებულნი.

ასე რომ, საქართველოს ფირმებში სრულყოფილი ფინანსური მონიტორინგის ჩატარებას წინ მრავალი პრობლემა ხვდება, რომელთა დროული გადაჭრის გარეშე ეს საკითხი სათანადო დონეზე ვერ მოწესრიგდება.

**დასკვნა**

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ დღეს, არც ტერმინ „მონიტორინგის“ და არც ტერმინ „ფინანსური მონიტორინგის“ უნივერსალური განმარტება არ არსებობს. ჩვენი აზრით, ის, ერთდროულად კონტროლიც არის და ანალიზიც. კარგი იქნება თუ ამ საკითხზე საქართველოს ეკონომისტებს შორის დისკუსია გაიმართება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


პაიჭაძე ნ., ხომერიკი თ. და სხვები. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2015.

ბასილია კ., ლიპარტია ზ. ფინანსური კონტროლი, თბ., 2012.

ბაკაშვილი ნ. ფინანსები, ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი. თბ., 2015.

მიქავა ლ., კერესელიძე დ. და სხვები. ფინანსების საფუძვლები. თბ., 2020.

Ситник А., Хенкина Б. Управление банком, М., 1995.

Сидельникова Л., Голии Е. Анализ – основа финансового менедмента, М., 1998.

**Financial monitoring: essence, problems**

**Tornike Jincharadze,**
Doctoral student, Georgian Technical University

**Abstract**

Any company operates within the framework of the rules, laws, norms, regulations and other frameworks established by the country. It is his responsibility to fulfill them. In addition, the company is a business entity and from this point of view, it is focused on profit, that is, it works on profit. In order to make profits in the future, companies make an action plan. Based on the plan, in many cases, operating and financial budgets are established. Budgets detail future business processes and corresponding future financial indicators. So, it is one thing that some kind of framework is created for the legal activities of the company in any country (we mean the regulators), but they are not always or cannot be fulfilled. Second, the actual indicators often differ significantly from the plans and budget parameters set by the management. Control and monitoring are required to identify inaccuracies or differences in both directions and to correct the differences.

Georgian scientists write about this: "In real life, plans are not always implemented the way they were conceived. During their implementation, there are deviations from the road to the goal, to eliminate which regulatory influence is implemented. This is achieved through control and monitoring" [1. p. 125].

In the article - "Financial monitoring: essence, problems" - the opinions of various Georgian and non-Georgian scientists about monitoring are discussed and the conclusion is made that neither monitoring in general nor financial monitoring has a single meaning.

The author formulates his opinion about them and notes that monitoring is a unity of both control and analysis process, regardless of whether we use it in the field of finance or in another field.

The author wishes to open a discussion on this issue in order to finally establish a clear definition of monitoring.

**Keywords:** Monitoring; Financial monitoring; Control; Checking; Analysis.

# სოციალური ქსელების გავლენა ბრენდებზე პანდემიის დროს

**ანა ხონელიძე,**
ორბელიანი საქართველო, პიარისა და კომუნიკაციების ხელმძღვანელი.
საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი.

## აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში სოციალური ქსელები გახდა მომხმარებლებთან კომუნიკაციის ერთ-ერთი მთავარი საშუალება. COVID-19-ის პანდემიის გამო ადამიანების უმეტესობა დისტანცირებული გახდა, შეიცვალა მათი ქცევა, ციფრული სივრცე კი იქცა მათი კომუნიკაციის ძირითად საშუალებად, რამაც ინტერნეტის როლი უფრო მეტად გაზარდა, ვიდრე ოდესმე. სოციალური ქსელები უფრო აქტიურად გამოიყენება კომპანიების მიერაც, როგორც პლატფორმები კონტენტის ჩვენებისა და მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის.

COVID-19-ის პანდემიამ და გავრცელების შესამცირებლად მიღებული ზომების მკაცრმა ეკონომიკურმა შედეგებმა, როგორიცაა ჩაკეტვა, სოციალური დისტანციის შეზღუდვები, შიდა და გარე შესაძლებლობების შეზღუდვა, მკვეთრად შეცვალა ცხოვრება მთელ მსოფლიოში (Enberg, J. 2020). მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სახლშია, სოციალური მედიის პლატფორმები იქცა მეგობრებთან და ოჯახთან კონტაქტის შესანარჩუნებლად და ბრენდებთან ურთიერთობის საშუალებად (Dias et al., 2020). ამ პერიოდის განმავლობაში, ბრენდებმა აირჩიეს სოციალური მედია, რათა დარჩენილიყვნენ აქტუალურები და გააგრძელეს ბრენდის ცნობადობის ჩამოყალიბება, ხოლო მომხმარებლებს ეხმარებოდნენ გამკლავებოდნენ პანდემიას პოზიტიური მესიჯებით და შეთავაზებებით (Dias et al., 2020). გარდა ამისა, Instagram გამოჩნდა, როგორც გამორჩეული და მუდმივი ყოფნის ონლაინ სივრცე ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბრენდებიც ამ ტენდენციას მიყვნენ და სულ უფრო მეტად ცდილობენ პლატფორმის საშუალებით კომუნიკაციას (Dias et al., 2020).

Statista.com-ზე ჩატარდა კვლევა, სადაც რესპონდენტებს ეკითხებოდნენ, ფიქრობდნენ თუ არა, რომ პანდემიის დროს ონლაინ გატარებული დრო გაიზარდა. შედეგებმა გვაჩვენა, რომ YouTube-ის, Facebook-ისა და Instagram-ის შემთხვევაში რესპონდენტთა უმრავლესობამ დადებითად უპასუხა. გამოკითხულთა 63.7%-მდე თქვა, რომ ისინი უფრო აქტიურები იყვნენ YouTube-ზე, 62.3% აქტიურად იყენებდა Facebook-ს და 43.1% Instagram-ს.




სოციალური მედიის მომხმარებელთა წილი შეერთებულ შტატებში, რომლებიც თვლიან, რომ ისინი უფრო მეტად გამოიყენებენ არჩეულ სოციალურ მედიას, თუ სახლში იქნებიან ჩაკეტილები კორონავირუსის გამო 2020 წლის მარტიდან, statista.com-ის მიერ.

**საკვანძო სიტყვები:** კრიზისული კომუნიკაცია, პანდემია, სოციალური ქსელები, სოციალური მედია, კომუნიკაცია.

**ძირითადი ტექსტი**

2020 წელს სოციალური ქსელი ფეისბუქი (განსაკუთრებით კოროვირუსული კრიზისის დროს) აღწერილია არა მხოლოდ როგორც ტენდენციის შემქმნელი, არამედ როგორც მარკეტინგული კომუნიკაციის თანამედროვე და ასევე ტრადიციული ფორმა. ჯ.ზ.ფორდმა Facebook-ი განსაზღვრა, როგორც მომხმარებლების პირველი კონტაქტი ონლაინ სივრცეში - სოციალური მედიის სფეროში. W. Tafesse და A. Wien ეთანხმებიან ზემოხსენებულ მოსაზრებას და ამატებენ, რომ სოციალურ ქსელებს აქვს პირდაპირი და დადებითი გავლენა სწორ მარკეტინგულ სტრატეგიაზე.

სოციალური ქსელების, უპირველეს ყოვლისა, ფეისბუქის მნიშვნელობა გაიზარდა პირველი კორონავირუსის გავრცელებისთანავე, ბევრი მომხმარებლისთვის ფეისბუქი იქცა კომუნიკაციის ძირითად ინსტრუმენტად, რომელმაც მათ საშუალება მისცა დარჩნენ სახლში უსაფრთხოდ და კვლავ იყვნენ კონტაქტში გარე სამყაროსთან, მეგობრებთან, ოჯახთან, ნათესავებთან, საყვარელ ბრენდებთან ან კომპანიებთან. სხვა აღწერეთ Facebook, არის სოციალური ქსელი, რომლის წყალობითაც მომხმარებლებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ კონკრეტულ ბრენდებს ან კომპანიებს და ამავდროულად უფრო მეტი კონტროლი ჰქონდეთ პროდუქციაზე ან სერვისის შეძენის დროს.

J. Jacobson სწავლობს სოციალურ ქსელებს როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის კონტექსტში - რაც შეეხება კერძო სექტორს, ის უნიკალური ინსტრუმენტია პროდუქტებისა და სერვისების პოპულარიზაციისთვის ან გაყიდვისთვის, ხოლო საჯარო სექტორში ის ემსახურება

როგორც გაზიარების ინსტრუმენტს. ინფორმაციის ან კონკრეტულ მომხმარებლებთან ინტერაქტიულობის ხელშეწყობას.

M. Losekoot, თავის მხრივ, პასუხობს კითხვას, რატომ ატარებენ მომხმარებლები თავისუფალ დროს სოციალურ საიტებზე: მათ სურთ იყვნენ აქტიურები, რაც გასაგებია კოროვირუსული კრიზისით გამოწვეული არსებული ვითარებაში; სოციალური საიტების წყალობით, მათ შეუძლიათ შექმნან წარმოდგენა საკუთარ თავზე (პანდემიის პირველ პერიოდში ბევრ მომხმარებელს აინტერესებდა როგორ ატარებენ თავისუფალ დროს მათი მეგობრები და ნათესავები იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიო ინტერნეტში იყო) და ააშენონ საკუთარი საზოგადოება ან გააძლიერონ მათი ცნობიერება.

კორონავირუსის პანდემიამ გაურკვევლობა და მრავალი გამოწვევა მოუტანა არა მხოლოდ მთელ საზოგადოებას, არამედ საბაზრო გარემოში არსებულ ბევრ ბიზნესს. მაშინ როცა ზოგიერთმა ბიზნესმა დაიწყო მარკეტინგული და სარეკლამო ბიუჯეტების შემცირება, დანარჩენებმა გამოიყენეს ეს, როგორც შესაძლებლობა, მომხმარებლებთან დაახლოებისთვის. R.A. Fattah და F.K. Sujono აცხადებენ, რომ სოციალურ ქსელებზე კომუნიკაციამ განიცადა დრამატული ცვლილებები, თუმცა ისინი ხაზს უსვამენ კომუნიკაციის გარკვეულ თავისუფლებას, ნებისმიერი გეოგრაფიული ფაქტორის მიუხედავად.

eMarketer-ის (2019) მიხედვით, Facebook, Instagram და Twitter არის სოციალური მედიის პირველი სამი პლატფორმა, როდესაც საქმე რეკლამის შემოსავალს ეხება. არსებულმა ლიტერატურამ ნათელი მოჰფინა ამ პლატფორმების განსხვავებულ ბუნებას, რომელიც გვთავაზობს სპეციალურ კონტექსტს რეკლამისთვის (Voorveld et al. 2018).

Facebook არის ურთიერთობის პლატფორმა, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს პირდაპირ დაუკავშირდნენ ერთმანეთს ჯგუფების, ქსელების და მდებარეობების საშუალებით.

Twitter, როგორც მიკრობლოგის საიტი, საშუალებას აძლევს მომხმარებლებს გააზიარონ შინაარსი დაკავშირებული თემების შესახებ ჰეშთეგების გამოყენებით.

Instagram არის ფოტოების გაზიარების მობილური აპლიკაცია, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გაუზიარონ ფოტოები სხვებს საჯაროდ ან პირადად (Zhu and Chen 2015).

ასევე, ვორველდი და სხვ. (2018) აღნიშნა, რომ თითოეული სოციალური მედიის პლატფორმა გთავაზობთ უნიკალური ჩართულობის ქცევას. მაგალითად, მათ აღმოაჩინეს, რომ Facebook-მა მიიღო მაღალი ქულები სოციალური ინტერაქციის და აქტუალურობისთვის; Twitter-მა მაღალი ქულა მოიპოვა აქტუალურობასა და შინაარსთან დაკავშირებულ ნეგატიურ ემოციებში და ინსტაგრამმა მაღალი ქულა დააგროვა გართობაში.

ჩაატარეს კვლევა სწრაფი მომსახურების პროდუქტების ბრენდებს შორის (მაგ. Chick-fil-A, Chipotle, Domino's, McDonald's, Burger King, Wendy's, KFC, Taco Bell, Pizza Hut, Sonic Drive-In, Starbucks, Dunkin' Donuts. , Dairy Queen და Subway), რამდენიმე ინდუსტრიული მოხსენების განხილვის შემდეგ (Statista 2021). თითოეული ბრენდისთვის, შეგროვდა მათი პოსტები (მეტა მონაცემებთან ერთად, მათ შორის კომენტარების რაოდენობა, URL ბმულები და გამოქვეყნების დრო) Facebook-ზე, Instagram-სა და Twitter-ზე, რომელიც გაკეთდა 2020 წლის 9 მარტიდან 9 აპრილამდე, რაც იყო პერიოდი, როდესაც COVID-19 პანდემია თავდაპირველად გავრცელდა შეერთებულ შტატებში. ასევე შეირჩა ხუთი პოსტი Starbucks-დან და ცხრა პოსტი Dunkin' Donuts-დან, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო სამივე სოციალური მედიის პლატფორმაზე. ყველა სწრაფი მომსახურების კვების ბრენდს შორის, ამ ორმა ბრენდმა შექმნა ყველაზე მეტი იდენტური პოსტი სამივე სოციალური მედიის პლატფორმაზე (მაგ., Facebook, Instagram და

Twitter). ეს უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი განსხვავება სოციალური მედიის პლატფორმებს შორის არ მიეკუთვნება შინაარსის განსხვავებას. სხვა ბრენდების პოსტებთან შედარებით, ამ ორი ბრენდის პოსტებმა წარმოქმნა კომენტარების დიდი რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს, რომ ჰქონდათ საკმარისი მონაცემები მომხმარებლის კომენტარების თემების გაანალიზებისას.

განხილული 14 ბრენდის პოსტის შინაარსიდან გამოიკვეთა ორი ტიპის თემა, რომელიც წარმოიშვა ბრენდის პოსტებიდან: საჯაროზე ორიენტირებული პოსტები და მოგებაზე ორიენტირებული პოსტები.

საზოგადოებისთვის განკუთვნილ ბრენდის პოსტებში არ იყო ნახსენები პროდუქციის მახასიათებლები; უფრო მეტიც, ისინი საუბრობდნენ იმაზე, რომ მათი ბიზნესი შეწირავს ფულს ადგილობრივი თემების მხარდასაჭერად ამ რთულ პერიოდში ან უფასოდ მიაწოდებს საკვებს ფრონტის ხაზის მუშაკებს, რათა დაეხმარონ მათ ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამის საპირისპიროდ, მოგებაზე ორიენტირებული ბრენდის პოსტები ფოკუსირებული იყო პროდუქციის უსაფრთხოებაზე და ხაზს უსვამდა უკონტაქტო მიწოდების კონცეფციას; ასევე, მათ ხაზი გაუსვეს თავიანთი ბიზნესის ეფექტურობას მათი მაღაზიების გახსნის გზით.

**დასკვნა**

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ COVID-19-მა ნამდვილად შეცვალა მომხმარებლების ქცევა და მათი ყიდვის მეთოდი. სოციალური მედიის გამოყენების საფუძვლიანმა ანალიზმა აჩვენა, თუ როგორ მოქმედებს COVID-19 არა მხოლოდ ადამიანების ცხოვრებაზე ოფლაინზე, არამედ ონლაინშიც. სოციალური მედიის გაზრდილი გამოყენება ავლენს მათ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს და სხვადასხვა შესაძლებლობებს იყიდონ მათთვის საჭირო ნივთები მაშინაც კი, როდესაც საცალო მაღაზიები დახურულია. სამწუხაროდ, ბევრ კომპანიას შეუმცირდა გაყიდვები და თანამშრომლები უმუშევრად დარჩნენ, მაგრამ COVID-19-მა შექმნა ინოვაცია, თუ როგორ ურთიერთობენ კომპანიები თავიანთ მომხმარებლებთან ონლაინ. ამ პანდემიის დროს კომპანიებმა გამოიყენეს სოციალური მედიის მარკეტინგი ისე, რომ ისინი არა მხოლოდ ყიდიან თავიანთ პროდუქტებს, არამედ ასრულებენ გამაძლიერებლისა და მხარდაჭერის როლს. ეს ახალი ტაქტიკა არ უნდა დასრულდეს პანდემიის დასრულების შემდეგ. მათი შემდგომი გაძლიერება და ადაპტირება შესაძლებელია ჩვეულებრივ დროს და შეიძლება კომპანიის მარკეტინგის მენეჯერებისთვის იყოს ახალი იდეების ინსპირაციის წყარო.

ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ნეგატიური განწყობა იწვევს რეკლამების ცენტრალურ დამუშავებას (მაგ., Batra and Stayman 1990; Wong and Householder 2008), ზოგი კი აღნიშნავს, რომ უარყოფითი განწყობა იწვევს რეკლამების პერიფერიულ დამუშავებას (მაგ., Aylesworth and MacKenzie 1998).

კრიზისის დროს, ბრენდებმა უნდა შექმნან საზოგადოებრივი პოსტები სოციალურ მედიაში, რომლებიც ფოკუსირებულია პროსოციალურ ქცევებზე (მაგ., დონაციაზე), რათა დაეხმაროს მომხმარებლებს გაათავისუფლონ კონტექსტით გამოწვეული ნეგატიური განწყობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვიდრე მოგებაზე ორიენტირებული. პოსტები, რომლებიც ფოკუსირებულია პროდუქტთან დაკავშირებული რჩევების შეთავაზებაზე. ეს იმიტომ ხდება, რომ ეს უკანასკნელი სტრატეგია მიმართავს მომხმარებელთა ყურადღებას პროდუქტზე/ბიზნესზე და შესაძლოა კრიტიკულად შეაფასონ ბრენდის პოსტი. მაშინაც კი, როცა კრიზისი არ არსებობს, ამ კვლევის დასკვნები ასევე მნიშვნელოვანია რეკლამის განმთავსებლებისთვის სოციალურ მედიაში ნეგატიური კონტექსტით გამოწვეული განწყობების კუთხით. მომხმარებლებმა შეიძლება განიცადონ ნეგატიური განწყობა სოციალურ მედიაში

გარკვეული შინაარსის მოხმარებით, როგორიცაა ახალი ამბები სტიქიური უბედურებების, ადამიანური ტრაგედიების და ა.შ. პროგრამული რეკლამის კონტექსტური მიზნობრივი მიზანმიმართულობა შეიძლება დაეხმაროს რეკლამის განმთავსებლებს გააცნობიერონ მომხმარებელთა სოციალური მედიის კონტექსტი რეალურ დროში და ამგვარად მიაწოდონ საჯარო შეტყობინებები და არა მოგებაზე ორიენტირებული შეტყობინებები ამ მომხმარებლებისთვის, რადგან კვლევამ აჩვენა, რომ პირველი უფრო ეფექტურია, ვიდრე ეს უკანასკნელი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


Enberg, J. (2020, August 24). Influencer Marketing in the Age of COVID-19. Insider Intelligence. Retrieved from https://www.emarketer.com/content/influencer-marketing-in-the-age-of-covid-19

Dias, P., Pessôa, C., & Andrade, J. G. (2020). Brand Communication on Instagram during the COVID-19 Pandemic: Perceptions of users and brands. International Association for Media and Communication Research. Retrieved from https://repositorium.sdum.uminho.pt/bitstream/1822/66143/1/2923.pdf

Tafesse, W., & Wood, B. P. (2020). Followers' engagement with instagram influencers: The role of influencers' content and engagement strategy. Journal of Retailing and Consumer Services, 58, 102303. https://doi.org/10.1016/j.jretconser.2020.102303

Ki, C.-W. C., Cuevas, L. M., Chong, S. M., & Lim, H. (2020). Influencer marketing: Social media influencers as human brands attaching to followers and yielding positive marketing results by fulfilling needs. Journal of Retailing and Consumer Services, 55, 102133. https://doi.org/10.1016/j.jretconser.2020.102133

Maares, P., Banjac, S., & Hanusch, F. (2020). The Labour of Visual Authenticity on Social Media: Exploring Producers' and Audiences' Perceptions on Instagram. Poetics, 101502. https://doi.org/10.1016/j.poetic.2020.101502

Voorveld, Hilde, Guda van Noort, Daan Muntinga, and Fred Bronner. 2018. "Engagement with Social Media and Social Media Advertising: The Differentiating Role of Platform Type." Journal of Advertising 47 (1): 38–54.

Batra, Rajecv, and Douglas M. Stayman. 1990. "The Role of Mood in Advertising Effectiveness." Journal of Consumer Research 17 (2): 203.

Aylesworth, Andrew B., and Scott B. MacKenzie. 1998. "Context is Key: The Effect of Program-Induced Mood on Thoughts about the Ad." Journal of Advertising 27 (2): 17–31.

# The impact of social networks on brands during the pandemic

**Ana Khonelidze,**
Orbeliani Georgia, Head of PR and Communications
Student of the Mass Communication Doctoral Program of the School of Social Sciences
of the University of Georgia.

**Abstract**

In today's world, social networks have become one of the most important means of communicating with customers. Because of the COVID-19 pandemic, most people have become more distant, their behavior has changed, and the digital space has become their primary means of communication, increasing the Internet's role more than ever. Companies are increasingly using social networks as platforms for displaying content and communicating with customers.

The COVID-19 pandemic and the severe economic consequences of anti-spread measures such as lockdowns, social distancing restrictions, and limitations on indoor and outdoor opportunities have drastically altered people's lives all over the world (Enberg, J. 2020). With the majority of the population at home, social media platforms have evolved into a way to stay in touch with friends and family while also interacting with brands (Dias et al., 2020). During this time, brands used social media to stay relevant and build brand awareness while also assisting consumers with positive messages and offers to help them cope with the pandemic (Dias et al., 2020). Furthermore, Instagram has emerged as a prominent and constant presence in the daily lives of young people, so it is not surprising.

Statista.com polled respondents to see if they thought online time had increased during the pandemic. The findings revealed that the majority of respondents reacted positively to YouTube, Facebook, and Instagram. According to the survey, up to 63.7% of respondents were more active on YouTube, 62.3% on Facebook, and 43.1% on Instagram.




Share of social media users in the United States who believe they would be more likely to use the selected social media if they were locked down at home due to the coronavirus as of March 2020, according to statista.com.

**Keywords:** Crisis communication, pandemic, social networks, social media, communication.

## კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) როლი ქართულ კომპანიებში

**თეონა თაბაგარი,**
საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი.

**აბსტრაქტი**

გლობალიზაციის პირობებში, საქართველოში, „ბიზნეს საინფორმაციო სააგენტოს" მონაცემთა ბაზაში 2000-მდე იურიდიული პირია, რომელთაც აქვთ CSR (კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის) მიმართულება და აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის კომპანიების რაოდენობა დღითიდღე მატულობს. გასულ წელთან შედარებით კომპანიების რიცხვი რომლებიც სოციალური პასუხისმგებლობაში ჩართული არიან 40%-ით არის გაზრდილი, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელი არის წლიური ზრდის კუთხით. (https://www.bia.ge/en/Analytics)

საკონფერენციო თემის მიზანია, საქართველოში მოღვაწე კომპანიების მაგალითების განხილვის საფუძველზე დადგინდეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გავლენა ორგანიზაციის განვითარებაზე და ასევე, რა გავლენა აქვს CSR აქტივობებს საზოგადოების განწყობების ჩამოყალიბებაში.
კონფერენციის ნაშრომში წარმოდგენილია მეცნიერების, მკვლევარების ნაშრომების გააზრებისა და ემპირიული კვლევების შედეგები, სადაც ჩანს ერთი მხრივ, საერთაშორისო პრაქტიკა და მეორე მხრივ ამ მიმართულებით საქართველოში ახლად დანერგილი პრაქტიკის შედეგები.

განხილული იქნება აშშ-ში ჯორჯიის უნივერსიტეტის მენეჯმენტის პროფესორ, არჩი ქეროლის მიერ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის 4 ნაწილად დაყოფილი მიდგომა. „საზოგადოების ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთიკური და ფილანთროპიული (საქველმოქმედო) მოლოდინები ორგანიზაციის მიმართ დროის მოცემულ მომენტში" (Carroll 1979, 1991).

განხილული იქნება ევროკავშირის კონტექსტი და მოთხოვნები, რომელიც მოიაზრებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR – corporate social responsibility) კონცეფციას, რომლის დროსაც ორგანიზაცია საკუთარ ბიზნეს გადაწყვეტილებებში და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისას ნებაყობლობით ითვალისწინებს სოციალურ და ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ რეგულარული აქტივობების შედეგად კომპანიები საკუთრაი სურვილით ზრუნავენ იმ საზოგადოებაზე, რომლის ნაწილიც თავად არიან, რადგან ძლიერი მომხმარებელი თავის მხრივ ბიზნესის წარმატების გარანტიაა.

**საკვანძო სიტყვები:** კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა(CSR), ბრენდი, მარკეტინგი მომხმარებელი, გავლენა.

**ძირითადი ტექსტი**

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა თანამედროვე ბიზნეს სექტორში ყველაზე უფრო ტენდეციური საკითხია. საზოგადოების მოთხოვნების საპასუხოდ, ორგანიზაციისთვის კორპორაციული სოციალურ პასუხისმგებლობის განხორციელება აუცილებელი გახდა. განსხვავებულის ზომის, შესაძლებლობის, პროფილისა თუ კატეგორიის მიუხედავად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ერთნაირად მნიშვნელოვანია თანამედროვე ბიზნეს სექტორისთვის. საზოგადოების მოთხოვნა კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ყველა ტიპის

ორგანიზაციისთვის იდენტურია. თანამედროვე საზოგადოება და მსოფლიო დგას სხვადასხვა კატეგორიის სოციალური პრობლემების წინაშე, რომელთა გადაჭრაში მონაწილეობის მიღების პასუხისმგებლობა ბიზნესსაც ეკისრება (გიგაური, 2012).
საქართველოსა და საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებისა და კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა ის მნიშვნელოვანი გავლენები, რომელსაც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ახდენს როგორც ორგანიზაციის ისე საზოგადოების კულტურულ და სოციალურ ასპექტებზე.

განსხვავებით წინა წლებთან შედარებით მზარდია ცნობიერების დონე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ, რასაც ადასტურებს საქართველოში ჩატარებული კონკურსები და CSR ჯილდოებზე მოთხოვნის გაზრდა. (https://meliora.ge/uploads/faqs/Information_Leaflet_Meliora_2020_GEO.pdf) ასევე, ძალიან მწირია არსებული ქართული ლიტერატურა თუ კვლევები აღნიშნულ სფეროში. მოცემულ ეტაპამდე არ არის ნაკვლევი ქართულ რეალობაში, კავშირი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასა და ორგანიზაციის განვითარებას შორის.

ორგანიზაციისთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის იდენტიფიცირბის განხილვა შესაძლებელია ქეროლის პირამიდის მიხედვით, სადაც კომპანიამ თავისი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს მაქსიმალური მოგება, რომ იყოს წარმატებული და კონკურენტუნარიანი. „წარმატებული კომპანია მუდმივად მომგებიანია“. ეს არის საზოგადოების მოლოდინი და მოთხოვნა პირველ დონეზე. წარმატებული კომპანია უნდა იყოს კანონმორჩილი „კორპორაციული მოქალაქე“, რომელიც შეძლებს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით შექმნილი საქონლის და მომსახურების მიწოდებას მომხმარებლისთვის (მეორე დონე). მესამე დონეზე საზოგადოება მოელის, რომ კომპანიები საზოგადოებაში მიღებული ნორმების დაცვით იმოქმედებენ და არ გააკეთებენ ისეთ რამეს, რაც აკრძალულია საზოგადოებაში, ან მოგების მაქსიმიზაციისთვის არ დაარღვევენ ეთიკის ნორმებს. მეოთხე დონე მოიცავს ქველმოქმედებას, რაც გულისხმობს მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მხარდამჭერი პროექტების განხორციელებას, საჯარო და კერძო საგანმანათლებო დაწესებულების მხარდაჭერას და ა.შ (Carroll, A. B. (2016).

2011 წელს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შემუშავებული სახელმძღვანელო „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა - ეროვნული საჯარო პოლიტიკა ევროკავშირში“, სადაც CSR-ს მიმართულებით 8 ყველაზე მწვავე საკითხი იქნა მოკვლეული ნათელი მაგალითია იმის თუ რა მიმართულებებია განსავითარებელი საქართველოში, კონკრეტულად კანონმდებლობის კუთხით.

დოკუმენტის მიზანია, ამ მიმართულებით ევროპის ქვეყნების აქტიური მუშაობა. წარმოგიდგენთ ევროკავშირის CSR-ს საკითხებსა და პრიორიტეტებს: CSR-ს მხარდამჭერი პოლიტიკა (ევროპის ქვეყნები სურვილის შეთხვევაში ქმნიან CSR-ს მიმართულებით სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებს და სხვა პოლიტიკურ დოკუმენტებს როგორიცაა კანონები, ანგარიშგებები და ა.შ); მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპზე სოციალური პასუხისმგებლობის დაცვა განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით; CSR -ს ანგარიშები და მათი გაცნობა საზოგადოებისთვის (ანგარიშები მდგრადობასა და CSR-ზე); CSR კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ (ბიზნესის ზემოქმედება კლიმატური ცვლილებების შესაცვლელად); CSR მცირე და საშუალო ბიზნესში (SME) (CSR -ს გაძლიერება მცირე და საშუალო ბიზნესში) სოციალური პასუხისმგებლობის ინვესტიცია

(SRI) (ცნობიერების ამაღლება); CSR და განათლება (CSR საკითხების ინტეგრირება განათლების ყველა დონეზე); სახელმწიფო შესყიდვები (მომსახურება რომლის წარმოების პროცესმა უარყოფითად არ იმოქმედა გარემოზე) (Focus CSR :The new communication of the EU commission on CSR and National CSR strategies and action plans – European sustainable Development network – 2011)

ცნობილია, რომ კერძო ბიზნეს კომპანიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე, გარემოზე, ეკონომიკაზე. დღეს ტექნიკურმა პროგრესმა და ეკონომიკურმა გლობალიზაციამ საზოგადოება დააყენა შემდეგი პრობლემების წინაშე: ჰაერის დაბინძურება, გლობალური დათბობა, სასმელი წყლის ნაკლებობა, ეკოლოგიური კატასტროფები, ბიომრავალფეროვნების რღვევა, სიღარიბის მაღალი დონე და სხვა. (ხოფერია, 2012, გვ. 27-34)

საქართველოში, ქართული კომპანიები ნებაყოფლობით ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს და ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ გარემოს და სოციალური გარემოს გასავითარებლად. მეორადი კვლევით და ინტერნეტ პლატფორმების დაკვირვებით ამისი მაგალითია „საქართველოს ბანკის" პროდუქტი „მწვანე ანაბარი". „მწვანე ანაბრის" ფარგლებში ყველა პიროვნების სახელით, ვინც "საქართველოს ბანკში" გახსნა ვადიანი ან საბავშვო ანაბარი, ბანკმა დარგო ხე წაღვერის რაიონში. აღნიშნული აქციის შედეგად ბანკმა გააშენა 45,000 ნერგი და უზრუნველყო ნერგების საჭირო მოვლა. [http://eugeorgia.info/ka/article/579/qartuli-kompaniebi-agrdzeleben-csr-is-evropul-tradiciebs-saqartveloshi/]

“საშინაო სკოლის" ფარგლებში Silk TV-ის ყველა მომხმარებელს საშუალება აქვს უფასოდ უყუროს სრული სასკოლო პროგრამის ვიდეო-გაკვეთილებს. საშინაო სკოლა – სოციალურ შემეცნებითი პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესი უფრო მიმზიდველი და ხელმისაწვდომი გახდეს ყველასთვის - Silk TV-ის საშუალებით და ა.შ [http://eugeorgia.info/ka/article/579/qartuli-kompaniebi-agrdzeleben-csr-is-evropul-tradiciebs-saqartveloshi/]

**დასკვნა**

შეჯამებისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული კვლევის მონაცემებით, CSR აქტივობები და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ეფექტურად განხორციელება დადებით ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის განვითარების სხვადასხვა ფაქტორებზე. გამოიკვეთა განსაკუთრებული მიმართულებები, რომლის განვითარებასთან მიმართებაში სოციალურ პასუხსიმგებლობას მაღალი მნიშვნელობა ენიჭება.

ხშირ შემთხვევაში კომპანიებს კონკრეტული და ჩაშლილი კვლევები, ოგანიზაციის განვითარებაში CSR -ის გავლენაზე არ აქვთ განხორციელებული, თუმცა მათი დამოკიდებულება ცალსახაა, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომების ეფექტურად დანერგვას პოზიტიური ზეგავლენა და მაღალი როლი აქვს ორგანიზაციის განვითარების კონტექსტში

**გამოყენებული ლიტერატურა**

Social Responsibility: Implications for Businesses Operating in the United States and the European Union - Kaitlyn Sapp University of Connecticut – 2016

Carroll, A. B. (2016). Carroll's pyramid of CSR: taking another look. *International journal of corporate social responsibility*, *1*(1), 1-8.

focus CSR :The new communication of the EU commission on CSR and National CSR strategies and action plans – European sustainable Development network – 2011)
Social Responsibility: Implications for Businesses Operating in the United States and the European Union - Kaitlyn Sapp University of Connecticut – 2016
Corporate social responsibility: The centerpiece of competing and complementary frameworks - Archie B. Carroll
Carroll’s pyramid of CSR: taking another look - Archie B. Carroll
ხოფერია, ლ. (2012). კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო. თბილისი: პეტიტი
გიგაური, ი. (2012). მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნეს ინფორმაციის სააგენტო - https://www.bia.ge/en/Analytics
(https://meliora.ge/uploads/faqs/Information_Leaflet_Meliora_2020_GEO.pdf)

**The role of corporate social responsibility (CSR) in Georgian companies**

**Teona Tabagari,**
Student of the Mass Communication Doctoral Program of the School of Social Sciences of the University of Georgia

**Abctract**

In the conditions of globalization, there are about 2,000 legal entities in the database of the "Business Information Agency" in Georgia, which have CSR (corporate social responsibility) direction, and it should be noted that the number of companies of this type is increasing day by day. Compared to last year, the number of companies involved in social responsibility has increased by 40%, which is quite a large indicator in terms of annual growth. (https://www.bia.ge/en/Analytics)

The purpose of the conference topic is to determine the impact of corporate social responsibility on the development of the organization based on the discussion of examples of companies operating in Georgia, as well as the impact of CSR activities on the formation of public attitudes.

The paper of the conference presents the results of the understanding of the works of scientists and researchers, and the results of empirical studies, which can be seen on the one hand, international practice, and on the other hand, the results of the newly introduced practice in Georgia in this direction.

A 4-part approach to corporate social responsibility by Archie Carroll, professor of management at the University of Georgia in the US, will be discussed. "Society's economic, legal, ethical, and philanthropic (charitable) expectations of an organization at a given point in time" (Carroll 1979, 1991).

The context and requirements of the European Union will be discussed, which includes the concept of corporate social responsibility (CSR), in which the organization voluntarily considers social and environmental responsibility in its business decisions and relations with stakeholders, which means that as a result of regular activities, companies voluntarily take care of on the community of which they are a part, because a strong customer in turn is a guarantee of business success.

**Keywords:** Corporate social responsibility (CSR), brand, marketing, consumer, influence.

**სასამართლო მტკიცებულებების ტვირთის ძირითადი მახასიათებლები და როლი საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" მე-13 თავის მოთხოვნათა რეალიზაციის პროცესში**

**ლევან ლორთქიფანიძე,**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნუვერსიტეტი, იურიდიული და სოციალურ მეცნირებათა ფაკულტეტი, მოწვეული სპეციალისტი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

1999 წლიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი სამოქალაქო საპროცესო და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომელიც იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწნებულ ნორმებს მტკიცებულებების ნაწილში. საბჭოთა პერიოდში არ იყო ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსი. ინკვიზიციური პრინციპების ნიშნები აქვს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს. სასამართლოს წარმოებაში არსებული ყოველი ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტა დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. საქმის განხილვის დროს მხარეების მიერ ზუსტად უნდა განისაზღვროს კონკრეტული სასარჩელო მოთხოვნები და მტკიცებულებათა წრე, სასამართლოს აქტიური როლი მტკიცებულებების მოძიებასა და ფაქტების დადგენაში. შერჩეული თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს კონსტიტუციით და კანონით შრომის უფლებები გარანტირებულია და საჯარო მოსამსახურის უფლების დაცვა არის მნიშვნელოვანი სამსახურის შეუფერხებლად მუშაობისა. პირველ თავში განხილულია მტკიცებულებათა ცნება. დისერტაციაში პირველად გაშუქებულია სასამართლო მტკიცებუ-ლების ცნება, რომელიც გათვალისწინულია აშშ, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთისა და აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო სამართალში. მეორე თავში განხილულია სასამართლო კლასიფიკაცია. დისერტაციაში განხილულია აშშ, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, რუსეთის სასამართლო მტკიცებულებების კლასიფიკაცია, სასამართლო მტკიცებუ-ლებების კლასიფიკაციის შედარებით–სამართლებრივი ანალიზი პირველად არის მოყვანილი მოცემულ ნაშრომში. დისერტაციაში განხილულია სასამართლო მტკიცებულებების განკუთვნადობის, დასაშვებობის, სარწმუნოობისა და საკმარისობის ცნება და მათი მნიშვნელობა საქართველოს, აშშ-ის, გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო სამართალში. მეოთხე თავში გაშუქებულია სასამართლო მტკიცებულებების ტვირთის ძირითადი მახასიათებლები და როლი საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" მე-13 თავის მოთხოვნათა რეალიზაციის პროცესში. საქართველოს „საჯარო სამსახურის შესახებ" მე-13 თავი ძირითადად ეხება საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების უფლების დაცვას. შრომითი უფლებების დაცვა წარმოადგენს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის მნიშვნელოვან ნაწილს.

საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ" ითვალისწინებს კონკურსის მონაწილე კანდიდატის უფლების დაცვას. 2012 წლამდე საჯარო სამსახურში თანამდებობაზე დასანიშნად კონკურსის ჩატარება არასავალდებულო პროცედურა იყო და მისი ჩატარების საჭიროებას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ხელმძღვანელი წყვეტდა. საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარება სავალდებულო „საჯარო სამსახურის შესახებ კანონის" 2012 წლის 29 ივნისის ცვლილებებით გახდა, თუმცა კანონით გათვალისწინებული რეგულაციების სრულად ამოქმედება ოთხჯერ გადაიდო. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისთვის ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის

ერთეულებში კონკურსები ფაქტობრივად არ ტარდებოდა, ახალი კანონით, საჯარო სამსახურში პირის კონკურსის გზით აყვანა განსხვავებულად რეგულირდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანონით საჯარო სამსახურში მოხელის თანამდებობაზე დასაქმების მსურველთა სავალდებულო სერტიფიცირება, რომელიც ტარდება ექვს თვეში ერთხელ მაინც. პირი მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე ინიშნება მხოლოდ კონკურსის საფუძველზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 117 მუხლის თანახმად, კონკურსის კანდიდატს აქვს თავისი უფლების დასაცავად მიმართლოს საქართველოს ადმინისტრაციუული საპროცესო კოდექსის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ მან ვერ გაიარა კონკურსი. ამ შემთხვევაში საჯარო დაწსებულება შეატყობინებს ელექტრონული ან წერილობითი სახით. ვთვლით, რომ კონკურსის ჩატარების დროს სავალდებულო უნდო იყოს აუდიო და ვიდეო ჩაწერა, რომელიც შეიძლება იყოს წარდგენილი სასამართლოში მტკიცებულების სახით კონკურსში იმ კანდიდატის მიერ, რომელმა ვერ გაიარა კონკურსი.

საქართველოს კანონი ”საჯარო სამსახურის შესახებ” ითვალისწინებს მოხელის უფლების დაცვას, ამ კანონის 118 მუხლის 1 ნაწილის თანახმად, “მოხელეს უფლება აქვს სამსახურეობრივ საკითხებზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, აგრეთვე ქმედება გაასაჩივროს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით”, კანონი განსაზღვრავს მოხელის უფლების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. უფლების დაცვა ხორციელდება ადმინისტრაციული საჩივრის და ადმინისტრაციული სარჩელის მეშვეობით. ადმინისტრაციული საჩივარი შეიძლება იყოს შეტანილი გადაწყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოში. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს არარსებობის შემთხევევაში მოხელის უფლების დაცვა ხორციელდება სასამართლოსადმი მიმართვის გზით. ნებისმიერი ადმინისტრაციული საჩივარი უნდა იყოს დასაშვები და დასაბუთებული და მისი შეტანა ხდება წერილობითი ფორმით უფლებამოსილ ორგანოში.

118 მუხლის მე–2 პუნქტის მიხედვით, საჯარო მოხელის მიერ ინდივიდუალური–სამართლებრივი აქტის გასაჩივრება არ იწვევს გამოცემული სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას, რაც გულისხმობს იმას, რომ გასაჩივრება არ უნდა გამოიწვიოს საჯარო სამსახურის პარალიზება. საჯარო დაწესებულებები უნდა ფუნქციონირებდეს შეუფერხებლად, ვინაიდან მათი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება–გამოცემა მმართველობით სფეროში. 118 მუხლის 3 ნაწილის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება გაუქმებულია, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყონებლივ აღადგინოს იმავე თამანდებობაზე, თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში – გადაიყვანოს ტოლფას თანამდებობაზე იმავე დაწესებულებაში ან სისტემაში. იმ შემთხვევაში, თუ ვაკანტური თანამდებობა არ არსებობს, საჯარო დაწესებულება მიმართავს საჯარო სამსახურის ბიუროს ტოლფასი თანამდებობის მოძებნის თხოვნით. საქართველოში არსებობს საჯარო მოხელეების ერთიანი რეესტრი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარის მიხედვით „რეზერვში ჩარიცხულ მოხელეს ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო რეზერვში ჩარიცხვამდე პერიოდში და რეზერვში ყოფნის 6 თვის განმავლობაში კომპენსაცია ბოლო თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. რეზერვში მოხელე ირიცხება 2 წლის ვადით, პირველი 6 თვე ის იღებს თანამდებობრივი სარგოს ოდენობის კომპენსაციას, ხოლო შემდგომი 18 თვე იმყოფება რეზერვში ანაზღაურების გარეშე“. საქართველოს კანონის 118-ე მუხლის საფუძველზე დგინდება მოხელის სამსახურში აღდგენის ვალდებულება. მოცემულმა გარემოებამ საჯარო დაწესებულებებისათვის ბუნდოვანი გახადა უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურის აღდგენის თაობაზე მიღებული სასამართლო

გადაწყვეტილებების აღსრულების ნორმატიული მექანიზები და მათი გამოყენების წინაპირობები. გაუგებარია რა ბედი ეწევა სასამართლოს მიერ აღდგენილ და დაუსაქმებელ საჯარო მოხელეს ამ ვადის გასვლის შემდეგ? „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის დ) და ვ) პუნქტების შესაბამისად „საჯარო მოსამსახურე – პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი“ „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირი, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრუ-ლების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება“.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ 119 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამსახურის და მოქალაქეს შორის დადებულ შრომით ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა განიხილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამავე კანონის 83–ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამსახურში მიღება ხორციელდება გამარტივებული წესით. ვთვლით, რომ საჯარო სამსახურში (კონკურსის გამარტივებული წესით მიღებული პირები) არსებული პრაქტიკით სამუშაოზე თანამშრომლების მიღება ხდება 1 წელზე ნაკლები ვადით (ვადიანი ხელშეკრულებით), ხშირ შემთხვევაში 6 თვით. კანონში უნდა იყოს გაწერილი შრომითი ხელშეკრულებით ზუსტი ვადა. საჯარო მოსამსახურეების უფლების დაცვა ხორციელდება სხვადასხვა კანონმდებლობით, თანაც არც კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ და შრომითი კოდექსი არ განმარტავს დამხმარე და არამუდმივ სამუშაოს ცნებას. 119 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად ყველა დავას, რომელიც არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, განიხილება საქართველის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. კომენტარის მიხედვით ,,საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს მისი უფლებამოსი-ლებების განხორციელებაში დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევით ან/და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ის თავისი ბუნებით ახორციელებს მოხელის საქმიანობისათვის დამახასიათებელ მმართველობით ფუნქციას, თუმცა მას არ უკავია კანონით მოხელისათვის გათვალისწინებული თანამდებობა. დამსაქმებელთან ის იმყოფება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოწესრიგებულ სამართლებრივ ურთიერთობაში, თუმცა მას არ უკავია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისათვის გათვალისწინებული თანამდებობები; ეს თავისებურება ქმნის მისი უფლების დაცვის განსხვავებულ სისტემას. მოხელის უფლების დაცვა არის ორსაფეხურიანი - ადმინისტრაციული და სასამართლო. პროცესის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სამოხელეო სამართლებრივი დავის დროს სასამართლოს შეუძლია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სრულყოფილად გადაამოწმოს როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თავლსაზრისით, შეაფასოს ყველა წარდგენილი მტკიცებულება. მმართველობითი გადაწყვეტილების სამართლებრივი კონტროლი წარმოადგენს სასამართლოს შეუზღუდავ უფლებამოსილებას, ის არ ეყრდნობა მხარის მიერ აღწერილი უფლების დარღვევის შინაარსს. ადმინისტრაციულ პროცესში მხარის აქტიური როლი და მტკიცების ტვირთი გავლენას ახდენს წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებების შესწავლაზე. სამოხელეო დავის განხილვას სასამართლო შეუდგება მოხელის ადმინისტრაციული სარჩელის წარდგინებით, რომელიც მიმართვას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. ადმინისტრაციული

სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი დისპოზიციურობის პრინციპის შინაარსის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, მათ თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს. კანონის თანახმად მათ შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაასრულონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ადმინისტრაციული პროცესი მიმდინარეობს აგრეთვე შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად. ამ შემთხვევაში მოხელე და ადმინისტრაციული ორგანო, სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები, მხარეები განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ფაქტები. ადმინისტრაციული პროცესისთვის დამახასიათებელია ინკვიზიციურო-ბის პრინციპი, რაც გამოიხატება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103–ე მუხლით სასამართლოსთვის მინიჭებულ უფლებამოსილებაში, საკუთარი ინიციტივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. ეს არ ცვლის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილ მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპს, რომლის თანახმად მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავის სარჩელში მოყვანილი გარემოებები და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, მოპასუხე კი ვალდებულია წარადგინოს შესაგებელი და წარადგინოს სასამართლოში შესაბამისი მტკიცებულებები. კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციული აქტი და ეს არ ათავისუფლებს მოსარჩელე მხარეს საკუთარი მოთხოვნების დასაბუთების ვალდებულებისაგან.

**დასკვნა: სასამათლო მტკიცებულებები თამაშობს დიდ როლს საჯარო მოხელის უფლების დაცვაში და ის ხარვეზები, რომლების არსებობს საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ უნდა იყოს გასწორებული კანონმდებლობის დონეზე.**

**საკვანძო სიტყვები:** საჯარო სამსახური, საჯარო მოხელე, საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, გასაჩივრება, ადმინისტრაციული სარჩელი, ადმინისტრაციული საჩივარი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

საქართველოს კანონი“საჯარო სამსახურის შესახებ“

საჯარო სამსახურის რეფორმის შეფასება: საკადრო პოლიტოკა და ქონებრივი დეკლარაცია. 2015 წ.

ე. ქარდავა, ი. კასრაძე, უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენის სამართ ლებრივი საფუძვლები და ფაქტობრივი წინაპირობები//1,2020- სამართლის ჟურნალი https://jlaw.tsu.ge /

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კომენტარი/ რედ. ე. ქარდავა, თბ., 2018

**Main characteristics and role of the burden of forensic evidence in the process of realization of the requirements of Chapter 13 of the law of Georgia" on public service".**

**Levan Lortkipanidze,**
Batumi Shota Rustaveli State University, Faculty of legal and Social Sciences,
invited specialist,
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

Since 1999, a new civil procedure and Administrative Procedure Code of Georgia has been enacted in Georgia, which uses the norms envisaged by the Civil Procedure Code in the part of evidence. In Soviet times, there was no code of Administrative Procedure. The Administrative Procedure Code of Georgia has signs of inquisitorial principles. The resolution of each administrative case in court proceedings is related to the establishment of certain facts. During the hearing of the case, the parties should accurately determine the specific claim requirements and the circle of evidence, the active role of the court in finding evidence and establishing facts. The relevance of the selected topic lies in the fact that labor rights are guaranteed by the Constitution and law of Georgia and protection of the right of a public servant is important for uninterrupted work of the service. The first chapter discusses the concept of evidence. The dissertation covers for the first time the concept of forensic evidence, which is provided in the civil procedural law of foreign countries, in particular, in the Civil Law of the United States, England, France, Germany, Russia and also in Georgian. The second chapter discusses judicial classification. The dissertation discusses the classification of forensic evidence in the USA, Germany, France, England, Russia, comparing the classification of forensic evidence– legal analysis is first cited in the given work. The dissertation discusses the concept of the purpose, admissibility, reliability and sufficiency of court evidences and their importance in the civil procedural law of Georgia, USA, Germany, England and France. The fourth chapter covers the main characteristics and role of the burden of forensic evidence in the process of realization of the requirements of Chapter 13 of the law of Georgia "on public service". Chapter 13 of Georgia "on public service" mainly deals with the protection of the rights of persons employed in public service. Protection of labor rights represents a significant part of a person employed in public service. The dissertation discusses the essence of the explanations of the parties and third parties, procedural rules and importance of the examination in the Civil Procedure

**Keywords:** civil service, civil servant, law of Georgia on Civil Service, appeal, administrative claim, administrative complaint.

# შესაძლო კორელაცია გენდერსა და კორუფციას შორის

**მარიამ როზაქიძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

ნაშრომში განხილულია შესაძლო კორელაცია გენდერსა და კორუფციას შორის. მოყვანილია სხვადასხვა საერთაშრისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები და გაანალიზებულია მათი შედეგები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირბით.

აქვე არის საუბარი, ქალების ჩართულობაზე პოლიტიკურ საქმიანობაში და სახელმწიფო მართვაში. მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები, თუ რა ხერხებს მიმართავენ პოლიტიკურ წარმომადგენლობაში გენდერული დისბალანსის დასაძლევად.

**საკვანძო სიტყვები:** გენდერი; კორუფცია; ქალთა პოლიტიკური ჩართულობა; გენდერული კვოტა

ცნობილია, რომ ქალები ნაკლებად იხდიან ქრთამს, მაგრამ უფრო დაუცველნი არიან კორუმპირებულ სისტემებში. კორუფცია არაპროპორციულად უარყოფით გავლენას ახდენს ქალებზე, ამაზე მიუთითებს მსოფლიო მასშტაბ ით სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული არა ერთი კვლევა. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ
საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების ჩართულობის უფრო მაღალი დონე დაკავშირებულია კორუფციის დაბალ დონესთან.  თავის მხრივ კი ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში გარკვეულწილად განაპირობებს კიდეც კორუფციის დაბალ დონეს. მერილენდის უნივერსიტეტის IRIS ცენტრის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კორუფცია ნაკლებად მძიმეა, სადაც ქალები ფლობენ საპარლამენტო მანდატების დიდ წილს.

აღნიშნულზე მიუთითებდა, ასევე, მსოფლიო ბანკის კვლევა  თემაზე „კორუფცია და ქალები მთავრობაში". 1999 წელს გამოქვეყნებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალები უფრო სანდოები და საზოგადოების ინტერესების  გამტარებლები არიან, ვიდრე მამაკაცები. მათ დაადგინეს, რომ ქვეყნების დიდ ნაწილზე, პარლამენტში ქალების უფრო დიდმა წარმომადგენლობამ განაპირობა კორუფციის დაბალი დონე. [1]კვლევამ დაასკვნა, რომ მთავრობაში ქალების მონაწილეობის უფრო მაღალი მაჩვენებელი კავშირშია კორუფციის დაბალ დონესთან. ვარაუდობენ, რომ ქალებს შეიძლება ჰქონდეთ ეთიკური ქცევის უფრო მაღალი სტანდარტები და უფრო მეტად ზრუნავდნენ საერთო სიკეთეზე.

მსოფლიო ბანკი (2002, გვ. 9), [2] თავის საქმიანობაში გენდერის ინტეგრაციის სტრატეგიის დასახვისას აღნიშნავს, რომ „...სულ უფრო და უფრო მეტი მტკიცებულება მიუთითებს, რომ გენდერული თანასწორობა უფლებებსა და რესურსებში ასოცირდება ნაკლებ კორუფციასთან და უკეთეს მმართველობასთან...".

მსოფლიო ბანკის ამ ანგარიშში მოყვანილი მტკიცებულებები (გენდერის ინტეგრირება მსოფლიო ბანკის მუშაობაში: მოქმედების სტრატეგია) ეფუძნება ორ კვლევას. პირველ კვლევაზე, რომელიც, დოლარმა, ფისმანმა და გატიმ (1999) ჩაატარეს, , [3] ზემოთ აღვნიშნეთ. მეორეში სვაიმ, კნაკმა, ლიმ და აზფარმა (2001) [4] გამოიყენეს რამდენიმე დამოუკიდებელი მონაცემთა ნაკრები, რათა ეჩვენებიათ, რომ კორუფცია ნაკლებად მძიმეა იქ, სადაც ქალები შეადგენენ სამუშაო ძალის უფრო დიდ წილს და სადაც ქალები იკავებენ პარლამენტის მანდატების უფრო დიდ წილს. აღნიშნული კვლევები გვაძლევს იმის საფუძველს, რომ

დავასკვნათ, საფუძველსმოკლებული არ არის საყოველთაოდ გავრცელებული რწმენა იმის შესახებ, რომ ქალთა წარმომადგენლობის გაზრდამ შესაძლოა შეამციროს კორუფცია ორგანიზაციასა და მის გარემოში.

ზოგიერთი მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებს მოსაზრებას, რომ მთავრობაში მეტი ქალი გამოიწვევს კორუფციის დაბალ დონეს. ამავდროულად, სხვა მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ ქალების პოლიტიკური ლიდერის როლებში ყოფნას გაცილებით ნაკლებად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კორუფციაზე, ვიდრე ლიბერალური დემოკრატიული ინსტიტუტების მცდელობებს, რომლებსაც გაცილებით მეტი გავლენა ჰქონდათ და აქვთ კორუფციის დაბალი დონის განპირობების საქმეში [5] მათთვის კიდევ ერთი არგუმენტი იყო ის, რომ შესწავლილ ქვეყნებში ვერ იქნა ნაპოვნი მნიშვნელოვანი განსხვავებები მამაკაცებისა და ქალების დამოკიდებულებას შორის კორუფციის მიმართ.

ქალებსა და კორუფციას შორის პირდაპირი კორელაციის დამადასტურებელ არგუმენტებს შორის მნიშვნელოვანია 2008 წლის UNIFEM ანგარიშში, რომელიც ასკვნიდა, რომ მსოფლიოში არსებობს „გენდერული განსხვავება კორუფციის მიმართ შემწყნარებლობაში“. [6]

მოგვიანებით ზოგიერთმა გენდერულმა მკვლევარმა კორუფციის განმარტებაც კი შეიმუშავა გენდერული პერსპექტივიდან: „პატრიარქალურ საზოგადოებაში მამაკაცის უფლებამოსილების ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება იწვევს კორუფციას გენდერული დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების, ოჯახში ძალადობის, გოგონების ტრეფიკინგის, ქალთა უფლებების დარღვევამდე“. [7]

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა შეიძლება ჩათვალოს, რომ კორუფცია გენდერულად ნეიტრალურია მისი ეთიკის ნაკლებობისა და რესურსების დამღლელი ზემოქმედების თვალსაზრისით, აშკარაა, რომ სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში კორუფციის ზემოქმედების ტვირთი უფრო მეტად ეკისრება ქალებს.

უმეტესწილად მათი სოციალური როლიდან გამომდინარე, როგორც მზრუნველი, ბევრი ქალი შეიძლება იცნობდეს წვრილმან კორუფციას - ისეთს, რომელიც აიძულებს მათ გადაიხადონ ქრთამი ისეთი რაღაცებისთვის, როგორიცაა კომუნალური მომსახურება, შვილებისთვის სკოლაში ჩარიცხვის უზრუნველყოფა, მართვის მოწმობის აღება ან ბიზნესის მოწმობა. სესხის აღება ან მედიკამენტების მიღება ან სამედიცინო გამოკვლევა.

ასეთ სიტუაციებში ღარიბ ქალებს ხშირად არ შეუძლიათ ქრთამის გადახდა და ზოგიერთს აიძულებენ გადაიხადონ სექსუალური სერვისებით ან იპოვონ მფარველი მამაკაცი ძირითადი უფლებებისა და მომსახურების უზრუნველსაყოფად.[8]
ანალოგიურად, კორუფცია მაკრო დონეზე პოლიტიკურ ასპარეზზე, საჯარო სექტორის კონტრაქტებში, ტრანსნაციონალურ ბიზნეს ტრანზაქციებში და განვითარების დახმარების პროცესებში ასევე აძლიერებს დისკრიმინაციას, რომელსაც ქალები უკვე აწყდებიან ამ სფეროებში.

მთელ მსოფლიოში ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი, როგორც ამომრჩევლები და კანდიდატები არჩევნებში. კამპანიის დაფინანსების შესახებ ძლიერი კანონების ან ზედამხედველობის არარსებობის პირობებში, ბევრი კანდიდატი იღებს ფულს კორუმპირებული ან პოტენციურად კორუმპირებული წყაროებიდან. და ეს დაფინანსების წყაროები ხშირად არ არის გამჟღავნებული. ბევრ ამომრჩეველს ასევე ემუქრება მათი ხმების გაყალბება არჩევნების დროს. [9]

ასევე შეიძლება ითქვას, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულ ქალთა ძალიან დაბალი პროცენტი არის ტრადიციული სისტემების გარკვეული ტენდენციის შედეგი. ხშირად კორუფცია იწვევს მამაკაცებისა და ქალების არაბალანსებულ წარმომადგენლობას საჯარო სექტორში.

საქართველოში საწარმოების მფლობელებისა და მენეჯერების გამოკითხვა მიუთითებს, რომ ქალების მფლობელობაში არსებული ან მართული ფირმები ქრთამს უხდიან სამთავრობო უწყებასთან შეხებისას შემთხვევების დაახლოებით 5%-ში. პროცენტი ორჯერ მეტია ფირმებისთვის, რომლებსაც მამაკაცი მფლობელი ან მამაკაცი მენეჯერი ჰყავთ (11%). როგორც ჩანს, ქალები ბიზნესში ნაკლებად იხდიან ქრთამს და ეს მისასალმებელი ტენდენციაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ ქალები ნაკლებად არიან ჩართულნი კორუფციაში, ისინი კიდევ უფრო დაუცველნი არიან კორუმპირებული სისტემის შედეგებისგან. გენდერული თვალსაზრისით ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს, რომ მამაკაცები გაცილებით მეტ სარგებელს იღებენ სახელმწიფო ხარჯებიდან, ვიდრე ქალები. ბევრ ქვეყანაში ქალებზე ფოკუსირებული პროგრამებისთვის მთლიანი ეროვნული ბიუჯეტის მხოლოდ მცირე ნაწილია გამოყოფილი. კორუფცია ამცირებს ეროვნული ბიუჯეტის რესურსებს. ის ასევე ამცირებს, მაგალითად, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ხარჯების რაოდენობას, რაც უპირატესად ცუდად მოქმედებს ქალებზე. სახელმწიფო ხარჯების შემცირების შემთხვევაში, დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სერვისები უფრო მეტად ზარალდებიან.

ცალკე განხილვის ღირსია შესაძლო კავშირები ქალთა პოლიტიკურ ჩართულობასა და კორუფციას შორის. ასე მაგალითად, ათასწლეულის განვითარების მიზანი No3 ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას და აძლიერებს ქალებს. ოთხი ინდიკატორი გამოიყენება UNDP-ის მიერ მიზნის მისაღწევად პროგრესის შესაფასებლად:

- გოგონების და ბიჭების თანაფარდობა დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში;
- წერა-კითხვის მცოდნე ქალებისა და მამაკაცების თანაფარდობა 15-დან 24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში;
- ქალთა წილი ანაზღაურებად დასაქმებაში არასასოფლო-სამეურნეო სექტორში; და
- ქალთა ადგილების პროპორცია ეროვნულ პარლამენტებში.

განვიხილოთ საკითხი გენდერული ბალანსის შესახებ პოლიტიკურ წარმომადგენლობაში და მისი კავშირი კორუფციულ ფაქტორთან გადაწყვეტილების მიღებისას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მრავალრიცხოვანმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალები საზოგადოების მეტ ნდობის იმსახურებენ და საზოგადოების სულისკვეთებით არიან განმსჭვალულინი, ვიდრე მამაკაცები. ეს შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ ქალები განსაკუთრებით ეფექტური უნდა იყვნენ პატიოსანი ხელისუფლების მოწყობაში.

მაგალითად, ქალები უფრო ხშირად ავლენენ „დამხმარე“ ქცევას, კენჭისყრისას ხელმძღვანელობენ სოციალური საკითხებზე კონცენტრირებით, უფრო მაღალ ქულას იღებენ „კეთილსინდისიერების ტესტებში“, უფრო მტკიცე პოზიციას იკავებენ ეთიკურ ქცევაზე და უფრო გულუხვად იქცევიან ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ეს შედეგები გულისხმობს, რომ ქალები ნაკლებად სწირავენ საერთო სიკეთეს პირადი (მატერიალური) სარგებლისთვის. ეს შეიძლება განსაკუთრებით აქტუალური იყოს ქალთა როლისთვის მთავრობაში და განმსაზღვრელიც, რადგან, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი

სირთულე, რომელსაც აწყდება საჯარო ბიუროკრატია, არის ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც ხელს უშლიან მათ აგენტებს ოპორტუნისტული ქმედებებისგან, საზოგადოების ხარჯზე.

რასაკვირველია, მთავრობებში მთელ მსოფლიოში მამრობითი სქესი დომინირებუდ მდგომარეობაში რჩება. ამდენად ზოგიერთმა პოლიტოლოგმა და ფემინისტმა მეცნიერმა ეს ფაქტი მოიყვანა მრავალი მთავრობის ცუდი ფუნქციონირებისა და საზოგადოების მოთხოვნებზე რეაგირების ნაკლებობის ასახსნელად. უფრო მეტიც, ისინი კატეგორიულად აცხადებენ, რომ მთავრობაში ქალების უშუალო მონაწილეობის გაზრდა შეიძლება ამ პრობლემების შერბილებას ემსახურებოდეს.

რუსეთის მთავრობაში ქალების პოტენციურ როლზე მითითებით, პოლიტოლოგი ვალერი ტიშკოვი საკმაოდ მტკიცედ ამტკიცებს, რომ „ქალებს ხელისუფლებაშ გამდიდრებული ღირებულებები მოაქვთ". შედეგად, ისინი "იშვიათად ემორჩილებიან ქცევის ავტორიტარულ სტილს და ურჩევნიათ არ შეინარჩუნონ ისეთი ძვირადღირებული გარემოცვა, რომელიც ხშირად თან ახლავს მაღალ თანამდებობის პირებს. და ბოლოს, ქალების ყოფნა იერარქიული სტრუქტურების მაღალ ეშელონებში ახორციელებს უკიდურესად დადებითად მოქმედებს მათი მამრობითი კოლეგების ქცევაზე ამ უკანასკნელთა ქცევის შეკავებით, დისციპლინირებით და პასუხისმგებლობის ამაღლებით".[10]

პოლიტიკურ წარმომადგენლობაში დისბალანსის დასაძლევად ბევრ ქვეყანაში შემოღებულ იქნა გენდერული კვოტები. არსებობს სხვადასხვა კვოტირების მეთოდი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალები იყვნენ წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიღებისა და ძალაუფლების სტრუქტურებში. ამ გენდერული კვოტების განხორციელება განსხვავდება ერთი ქვეყნიდან მეორეში, იმის და მიხედვით, თუ როგორ მუშაობს მმართველობის სისტემა.

მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში ქალების არსებითი წარმომადგენლობა გამოწვეული იყო ქალთა ჯგუფების მუდმივი ზეწოლით ყველა პოლიტიკურ პარტიაზე. არ არსებობს კონსტიტუციური პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს ქალთა წარმომადგენლობის პროცენტულ რაოდენობას.

შვედეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დანერგა პრინციპი „სიის ყოველი წამი ქალია", რაც იმას ნიშნავს, რომ კაცები და ქალები მონაცვლეობით შედიან სიაში. მეორეს მხრივ, დანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაადგინა, რომ თითოეულ სქესს აქვს უფლება წარმოადგინოს მინიმუმ 40 ადამიანი ადგილობრივ და რეგიონულ არჩევნებში. გერმანიის რამდენიმე პარტიამ ასევე შემოიღო გენდერული კვოტების გამოყენება. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს 40%-იანი კვოტის წესი თითოეული სქესისთვის კანდიდატთა ყველა სიაში, ხოლო მწვანეთა პარტიას აქვს 50-50 წარმომადგენლის წესი. ყველა ამ ქვეყანას აქვს საუკეთესო ანტიკორუფციული ინდექსი. საერთაშორისო გამჭვირვალობის 2005 წლის კვლევის მიხედვით. მაგალითად, ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი, დანია და ახალი ზელანდია აღიქმება ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულად და ამ ქვეყნებში ქალი დეპუტატები შეადგენენ 30 პროცენტიდან 43,4 პროცენტამდე.

ზოგიერთ ქვეყანაში ქალები პოლიტიკას „ბინძურ" თამაშად აღიქვამენ. ამან შეარყია ქალების ნდობა პოლიტიკურ პროცესებთან დაპირისპირების შესაძლებლობის მიმართ. სინამდვილეში, ასეთი აღქმა გავრცელებულია მთელ მსოფლიოში.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, კორუფცია აშინებს ქალებს და პროვოცირებს მათ შიშს, რომ დაკარგონ ოჯახის წევრები, ეს ყველაფერი ხელს უშლის მათ პოლიტიკურ ჩართულობას ან არჩევით ორგანოებში კენჭისყრას. მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის აღქმა შეიძლება

ყოველთვის არ იყოს რეალური მდგომარეობის სამართლიანი ასახვა, ის თავისთავად ახდენს გავლენას ქალთა დამოკიდებულებაზე პოლიტიკური კარიერის მიმართ.

ქალებმა, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილეობაზე, უნდა გაითვალისწინონ ყველა ეს გარემოება და მზად იყვნენ წინააღმდეგობა გაუწიონ კორუფციულ „დაავადებას“. ვინაიდან კორუფცია გულისხმობს საიდუმლოებას, დემოკრატია კი ნიშნავს გაზრდილ ღიაობას, რომელიც ნაკარნახევია პოლიტიკური პლურალიზმისა და პრესის თავისუფლებით, პოლიტიკურმა ლიბერალიზაციამ უნდა შეამციროს კორუფცია. დემოკრატია, ხალხის რეალური მონაწილეობის უზრუნველყოფა და ეფექტური კონტრაგენტული ძალების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს კორუფციის შეკავებას.

და ბოლოს, იმედი გამოვთქვამ, რომ გენდერულ კვოტებს შორის კორელაციების შესწავლა და სწორი ანალიზი ხელს შეუწყობს ბევრ ქვეყანაში პოლიტიკურ წარმომადგენლობაში დისბალანსის დაძლევას. შესაბამისად, შედეგად მივიღებთ იმას, რომ მთავრობაში ქალთა მონაწილეობის უფრო მაღალი მაჩვენებელი კვლავ კორუფციის დაბალი დონის კატალიზატორი გახდება.

**გამოყენებული ლიტარტურა**


1. David Dollar et al, 1999, “Are Women Really the Fairer Sex? Corruption and Women in Government”, World Bank Working Paper Series No. 4; Swamy et al, 2000, “Gender and Corruption”, IRIS Centre Working Paper No. 232; Mason and King, 2001, “Engendering development through gender equality in rights, resources, and voice”, World Bank Report No. 21776.
2. 2002. *Integrating Gender into the World Bank’s Work: A Strategy for Action*. Washington D.C.: The World Bank.
3. Dollar, David, Raymond Fisman, and Roberta Gatti. 1999. *Are Women Really the “Fairer” Sex? Corruption and Women in Government.* The World Bank Policy Research Report on Gender and Development Working Paper Series, No 4. Washington D.C.: The World Bank.
4. Swamy, Anand, Steve Knack, Young Lee, and Omar Azfar. 2001. “Gender and Corruption.” *Journal of Development Economics* 64(1): 25-55.
5. Sung, Hung-En, 2003, ‘Fairer Sex or Fairer System? Gender and Corruption Revisited’, Social Forces 82: 705-725
6. UNIFEM’s Report “Who Answers to Women? Gender and Accountability”. www.unifem.org/progress/2008/.../POWW08_Report_Full_Text.pdf
7. Gender and corruption in Nepal (June 8,2007)
8. Minister of Justice Brax on women's rights and the prevention of corruption at the seminar "Women in government and politics"; available at: http://www.government.fi/ajankohtaista/puheet/puhe/en.jsp?toid=2236&c=0&moid=2239&oid=269212
9. For instance, in the 2008 national elections in Pakistan, due to power imbalances within the home, men were able to take the identity cards of their female relatives, dress up in burqas, and go to the polling stations to cast extra votes as women. Party-affiliated workers working in concert with these voters oversaw the stations, and they did nothing to prevent or rectify this fraud. See: Fatima Bhutto: Women's Political Participation in Pakistan www.imow.org/Wpp/Learn/Podcasts/Popup?id=83
10. Tishkov, Valerii (1993). "Women in Russian Politics," *Economic and Political Weekly* , 28, pp. 2837-40.

**A possible correlation between gender and corruption**

**Mariam Robakidze**,
Doctoral Candidate, Georgian Technical University

**Abstract**

The paper discusses the possible correlation between gender and corruption. The studies conducted by various international organizations are cited and their results related to the mentioned issue are analyzed.

Here we are talking about the involvement of women in political activities and state management. Examples of different countries are given, which methods are applied to overcome the gender imbalance in political representation

**Keywords:** Gender; Coruption; Women in Politics; Gender quota

# ტურისტული საქმიანობის ორგანიზების ახალი ინიციატივა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მაგალითზე

**ირაკლი ჩუბინიძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

სტატია ეხება ტურისტული სფეროს ეფექტური მართვის პრობლემებს, პოტენციალის ზრდასა და ამ მხრივ თერჯოლის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობათა გამოვლენას. დასაბუთებულია, რომ სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებათა შორის კომპეტენციების გამიჯვნა, მართვის სფეროში ახალი ინიციატივის შემოტანა და კოორდინირებული თანამშრომლობის მოდელი წარმოადგენს ამ რაიონში ტურიზმის მიამრთულებების განვითარების გარანტიას.

*საკვანძო სიტყვები:* მუნიციპალიტეტი, ტურიზმი, სტრატეგიული მართვა, ახალი ინიციატივა.

მსოფლიოში ტურიზმის სწრაფმა ზრდამ და დივერსიფიკაციამ საჭირო გახადა ამ გლობალური ფენომენის უფრო სიღრმისეული შესწავლა და ეკონომიკაზე მისი რეალური ეფექტების გაზომვის აუცილებლობის საკითხი დააყენა. ბოლო პერიოდში ტურიზმის ინდუსტრიამ მოიცვა მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის დასაქმება და ინფრასტრუქტურა, რამაც გამოიწვია მეტი ინფორმაციის მოპოვების საჭიროება სწორი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი მდიდარია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებთ, ბუნებრივი ისტორიული და კულტურული რესურსები ხელსაყრელი წინაპირობაა ადგილზე აქტიური ტურისტული საქმიანობის ორგანიზებისათვის, თუმცა თერჯოლის მუნიციპალიტეტის განვითარებაში ტურისტული პოტენციალის ეფექტური მართვა პრობლემას წარმოადგენს, რესურსების მრავალფეროვნება და სტუმარ-მასპინძლობის მდიდარი ტრადიციები განაპირობებს ტურისტული სექტორის პერსპექტივას, როგორც ადგილობრივი განვითარების აღმძრავ ხელშემწყობ ფაქტორად ჩამოყალიბებას და მისი მეშვეობით მომავალში დაჩქარებული სოციალური და ეკონომიკური წინსვლის მიღწევას.

უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ტურისტული შემოსავლები არ აისახება, მაშინ როდესაც რაიონს მნიშვნელოვანი ობიექტები აქვს ტურიზმის განსავითარებლად, ამ და სხვა პრობლემის გადასაწყვეტად ჩვენ შემოგვაქვს ახალი ინიციატივა ადგილობრივ დონეზე ტურიზმის მართვის მიმართულებით, რაც გულისხმობს შემდეგს - მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში უნდა შეიქმნას სამსახური, რომლის ფუნქცია იქნება ტურისტული ობიექტებისა და ტურიზმის სახეების მუდმივ განვითრებაზე ზრუნვა, ტურისტული საქმიანობის ორგანიზებისათვის შექმნის სპეციალურ გეგმას, მოახდენს ტურისტული ადგილების მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში ადგილობრივრი მნიშვნელობის საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელების შემუშავებასა და განხორციელების წინადადებების წარმოდგენას. მოახდენს ინოვაციური იდეების შემუშავებას, ტურისტული საქმიანობით დაკავებული, როგორც კერძო ისე საჯარო სექტორის კოორდინაციას.

თუმცა, ამგვარი პროგრესის დასაწყებად აუცილებელია უახლოეს მომავალში როგორც ზოგადი ინფრასტრუქტურული, ასევე სტრატეგიული და ტაქტიკური ღონისძიებების გატარება, რათა არსებული რესურსი მოყვანილ იქნას მოქმედებაში და ტურისტული აქტივობის შედეგად ადგილობრივმა ეკონომიკამ მიიღოს მაქსიმალური პირდაპირი თუ ირიბი ეფექტები.

თერჯოლის ტურისტული პროდუქტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას დაცული ტერიტორიები და პარკები, საკურორტო ზონები, ეკლესია მონასტრები, ისტორიული ძეგლები, მღვიმეები, სახლ-მუზეუმები და სხვადასხვა ობიექტები წარმოადგენს, მუნიციპალიტეტის რომელებიც ბოლო პერიოდში ტურისტულ მარშუტში ჩაისვა და დიდი პოპულარობით სარგებლობს, რაიონში 23 ბუნებრივი ძეგლი არსებობს, რომელთაგან რამდენიმე დაცული ტერიტორიების ნუსხაში არ შედის მაგრამ დიდი პოპულარობით სარგებლობს, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალი ისტორიულ-კულტურული ძეგლია, მათი უმრავლესობა არ არის იმ კონდინციაში, რომ ტურისტული ჯგუფებისათვს საინტერესო აღმოჩნდეს. შესაბამისად, ისინი საჭიროებენ აღდგენა-განახლებას, რათა დამთვალიერებლებისათვის შეიძინონ მიმზიდველობა, აუცილებელია შიდა გზების რეაბილიტაცია და ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი გზების შესაბამისობაში მოყვანა, რაიონს გააჩნია სკანდის ციხე, ზერციხე, ნავენახევის მღვიმე, ჩხარის ეკლესია, გოდოგნის ეკლესია, თუზის ეკლესია, ღვანკითის დედაღვთისა, აღნიშვლის ღირსია, სოფელ საზანოში ქადაგიძის რაფი სადაც ადრეული შუა პერიოდის რეპტილიის ნაკვალევია. ასევე აღსანიშნავია ჩიხორისა და ჩხარის შუა საუკუნეების ნაქალაქარების ნაშთები, ეკლესია ქვედა სიმონეთში, ციხეები ძევრსა და ჭალასთავში, ხიდი ნაგარევში, უამრავი მღვიმე და გამოქვაბული, უხვადაა მწვანე გარემო. [1]

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ტურისტული აქტივობების დაგეგმვისა და ზრდისათვის აუცილებელია შემდეგი პრიორიტეტების გამოკვეთა, რაიონს დიდი პოტენციალი გააჩნია **ღვინის ტურიზმის** განსანვითარებლად რისი უდაოდ მნიშვნელოვანი რესურსი არსეობს ადგილზე, დღეის მდგომარეობით ეს მიმართულება დამწყებ სტადიაშია, მუნიციპალიტეტში 15 დიდი თუ მცირე ღვინის საოჯახო მარანი ფუნქციონირებს, შეიძლება ითქვას, რომ არსებული ობიექტები რომლებიც მიმდინარე ეტაპზე ფუნქციონირებენ, ტურისტების მზარდ ინტერესის წარმოადგენენ, ღვინის ტურიზმი ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად შეიძლება ჩამოყალიბდეს, რომელიც როგორც ეკონომიკურ ასევე სოციალური ეფექტის მომტანი შეიძლება გახდეს ადგილობრივი რესურსების გამოყენებისა და კონკურენტული მომსახურების ჩამოყალიბების შედეგად.

**კულინარული ტურიზმის** განსანვითარებლად ზოგადად ქართული და კონკრეტულად იმერული სამზარეულო, კერძების მრავალფეროვნება წარმოადგენს ტურისტების დაინტერესების საგანს, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტურისტებში ადგილობრივი კერძების მომზადებაში მონაწილეობის მიღება.

**აგროტურიზმი**- მუნიციპალიტეტის ფარგლებში შესაძლებელია კონკურენტუნარიანი აგროტურისტული პროდუქტის შეთავაზება, აღნიშნული მომსახურება შესაძლებელია იყოს იაფი, ამგვარი პროდუქტის შეთავაზების ძირითადი არგუმენტია ტურისტების მოზიდვა, თუმცა შედარებით ნაკლებად კომფორტულ გარემოში, მაგრამ იაფად და რაც მთავარია, სასიამოვნო და ეკოლოგიურად სუფთა გარემოში.

**კულტურული ტურიზმი** - ზოგადად მზარდი პოპულარობით სარგებლობს და მას განვითარების კარგი პერსპექტივები გააჩნია თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი ტრადიციები, ხალხური ხელოვნება ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალა, ისტორიული

ღირშესანიშნაობების სიმრავლე, ყოველივე აღნიშნული განაპირობებს ადგილზე კულტურული ტურიზმის საიმედო პერსპექტივას, სულიერი და მატერიალური კულტურის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება სამი მუზეუმის არსებობა, რაც ადგილზე გაწეული ტურისტული მომსახურების დივერსიფიცირებას უწყობს ხელს. თერჯოლის მუნიციპალიტეტში კულტურული ტურიზმის მომსახურება უნდა მოიცავდეს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ადგილზე საქართველოს ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული ტურის მიმზიდველობა მთლიანად იქნება დამოკიდებული საჩვენებელი ობიექტის ფასეულობასა და იმ იმფრასტრუქტურაზე, რაც საჩვენებელი ძეგლების ირგვლივ არის მოწყობილი. თერჯოლის მუნიციპალიტეტში კულტურული ტურიზმის განვითარება დაეფუძნება ისტორიული ძეგლების ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ ფასეულობებსა და მათ ირგვლივ მოწყობილ ინფრასტრუქტურას. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალი ისტორიულ-კულტურული ძეგლია, მათი უმრავლესობა არ არის იმ კონდინციაში, რომ ტურისტული ჯგუფებისათვს საინტერესო აღმოჩნდეს. შესაბამისად, ისინი საჭიროებენ აღდგენა-განახლებას, რათა დამთვალიერებლებისათვის შეიძინონ მიმზიდველობა. კულტურული ტურიზმის მომსახურების მიწოდება ტურისტებისათვის ასევე შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების მეშვეობით.

**სათავგადასავლო და სპორტული ტურიზმი** - დღეისათვის საერთაშორისო ბაზრებზე ფიქსირდება მოთხოვნის ზრდა მსუბუქი სათავგადასავლო ექსკურსიებზე, რომლების ნაკლები რისკით ხასიათდება და არ საჭიროებს ტურისტის სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას, მათი მთავარი მოტივაცია ამ შემთხვევაში არის ბუნებაში მოგზაურობა კონკრეტული აქტიური ფიზიკური ჩართულობის მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა დაცული ტერიტორიები და ლანდშაფტების ნაირსახეობა, როგორებიცაა კლდეები, მდინარეები, გამოქვაბულები, ტყეები ა.შ. საშუალებას იძლევა ამგვარი სპორტული აქტივობების განსახორციელებლად. [**2**]

ბოლო წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიქსირდება მოთხოვნის ზრდა საოჯახო სასტუმროებზე, აღნიშნული კი განპირობებულია შემდეგი გარემოებებით, როგორც საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებზე, ასევე საქართველოშიც შესამჩნევია ტურისტების ინტერესის ზრდა ურბანულ გარემოს ფარგლებს გარეთ დასვენებაზე ბუნების წიაღში, სუფთა ჰაერზე, ლამაზი ლანდშაფტების გარემოში დასვენება და ეკოლოგიური პროდუქტით კვება სულ უფრო მოთხოვნადი პროდუქტია, მიუხედავად საოჯახო სასტუმროებში განთავსებაზე დაფიქსირებული ზრდადი ტენდენციებისა, ამ სახის მომსახურებას მნიშვნელოვნად აფერხებს მუნიციპალიტეტში მოქმედ საოჯახო სასტუმროებში მომსახურების დაბალი დონე, რაც ადამიანური რესურსების დაბალი კვალიფიკაციით არის განპირობებული შესაბამისად, მაქსიმალური ძალისხმევაა საჭირო მომავალ წლებში, რათა ადგილობრივი კადრების მომსახურებისა და მომხმარებლებთან ურთიერთობის დონე ამაღლდეს, დღეისათვის მუნიციპალიტეტში 20 სასტუმრო ფუნქციონირებს, რომელთა საწოლების რაოდენობა დაახლოებით 200 შეადგენს [**3**].

თერჯოლის მუნიციპალიტეტი თავისი ისტორიულ–კულტურული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით თამამად შეიძლება ჩაითვალოს ტურისტების სასურველ ადგილად.

რაიონში შესაძლებელია განვითარდეს: ისტორიული ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, სპელეო ტურიზმი, აჰგროტურიზმი, ეკო ტურიზმი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ათეულობით ისეთი ძეგლია, რომელიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. მათ შორისაა დიდი სიღმრის მქონე მღვიმეები, ულამაზესი სტალაგმიტებითა და სტალაქტიტებით, კანიონები, მდინარეები, ლამაზი და მცირე ჩანჩქერებით, დინოზავრის ნაკვალევით, ულამაზესი ტყის მასივებით. მნიშვნელოვანია ისიც რომ ეს ყველაფერი მცირე ფართობზეა განლაგებული, რაც ზრდის მათ რეკრეაციულ დანიშნულებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის არაერთი ძეგლია შემორჩენილი, ეს არის ქვის და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, ანტიკური ხანის ნაქალაქარი, შუა საუკუნის ციხე– სიმაგრეები, ეკლესია მონასტრები და სხვა მრავალი ძეგლი.

**სკანდის ციხე** - თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებაარე ერთ-ერთი უძველესი და ისტორიული მნიშვნელობის მქონე არქიტექტურული კომპლექსია, რომელიც სოფელ სკანდის ჩრდილოეთით, მდებარეობს. იგი გვიან ანტიკური ხანის თავდაცვითი ძეგლია, სკანდის ციხის შესახებ უძველესი წერილობითი ცნობა ეკუთვნის ახალი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოფი კესარიელს.

**სკანდის** ციხე ააგო ეგრისის სამეფო ხელისუფლებამ მნიშვნელოვან გზაგასაყარზე, რომელიც აღმოსავლეთ საქართთველოს ქვემო იმერეთთან და შავიზღვისპირეთთან აკავშირებდა. ციხის ქვის კედლების სტრუქტურა რომაული და და ბიზანტიური არქიტექტურის გავლენას განიცდის და გამოირჩევა თავისებური ხუროთმოძღვრული ფორმებთ. 540-562 წლებში ციხე ეკავათ ირანელებს. 15-საუკუნიდან ის სამეფო ციხე-დარბაზად მოიხსენიება.

**საკაჟია**-კარსტრული მღვიმე სოფელ გოგნის მიდამოებში, მდინარე წყალწითელის ხეობის მარცხენა კალთაზე, 150 მ სიმაღლეზე. გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. არ არის სტალაქტიტური ნაღვენთები, მშრალია. წარმოადგენს მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლს. მღვიმის ჯამური სიგრძე 35 მ, სიღრმე 20 მ, აიგანე 6 მ, სიმაღლე 4 მ, აღმოაჩინეს 1914 წელს.

**ნავენახევის მღვიმე** –კარსტული მღვიმე თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავენახევის ტერიტორიაზე,ზღვის დონიდან 235 მ. გამომუშავებულია ცარცულ კირქვებში. შესასვლელი (სიმაღლე — 0,6 მ,სიგანე 2მ) ძაბრისებრი ქვაბულის ფსკერზე იხსნება. ორსართულიანია, მეორე სართულზე ვრცელი დარბაზია, რომლის სიმაღლე 15 მ-ია. თანამედროვე ეტაპზე მღვიმის წინა ნაწილში შეინიშნება დროებითი ღვარების ძლიერი გავლენა. ჯამური სიგრძე 200 მ-ს აღწევს. გვხვდება თიხის ნაფენები, განშტოებაში კარგად არის შემონახული ნაწვეთ-ნაღვენთი წარმონაქმნები. მღვიმე კეთილმოწყობილია მღვიმის ტემპერატურა მუდმივად 14 ცელსიუს გრადუსია. მღვიმის წყალი შეიცავს კალცს, მარილს. სტალაგტიდების რაოდენობა მღვიმეში 120-ია რაც ბევრად აღემატება სათაფლიასა და ახალი ათონის მღვიმეში არსებულ სტალაგნიტთა რიცხვს. მღვიმეში ასევე გვხვდება მუსიკალური, სტალაქტიდები მეოთხე დარბაზში გვხვდება გარკვეული ფორმის მქონე ფიგურები.მისი არსებობის ისტორია 27 მლ. წელს ითვლის.

**ქადაგიძის რაფი** - მდინარე ძუსაზე არსებული ჩანჩქერის სახელწოდებაა. მისი ვარდნის სიმაღლე 4 მეტრია, ზაფხულსში როცა წყალი საგრძნობლად იკლებს, აქ ჩანს გამოქვაბული, რომლის სიგრძე 25 მეტრს აღწევს. ამ ხეობაასჰი კიდევ ერთ ფაუნისტურ საოცრებას ვაწყდებით, აქ დინოზავრის 7 მკაფიოდ გამოსახული ნაფეხურია შემორჩენილი.

**შავწყალას მღვიმე** - (მდებარეობს სოფე ძევრში ) ცნობელია სტალაქიდებისა და სტალაგმიტები სილამაზით, მდინარე სავჭყალას სიღრმე მღვიმეში 8 მეტრს აღწევს იგი ამ დროისათვის ნაწილობრივადაა შესწავლილი, სოფელ სიმონეთში მრავლადაა სხვადასხავ სახის სამკურნალო წყალი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სახლ-მუზეუმები, რომელიც თერჯოლის ტურისტულ მარშუტს წარმოადგენს. მაგალითად, ქართველი მწერლისა და დრამატურგის დავით კლდიაშვილისადა მის ვაჟის, მწერლის სერგო კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი სიმონეთში. დაცულია მამაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები: ავეჯი, ხელნაწერები, სამოსი, ჭურჭელი,სხვადასხვა პერიოდის გამოცემები, ფოტო და დოკუმენტური მ ასალა.

**გრიგოლ რობაქიძის სახლ-მუზეუმი**

მე-**20** საუკუნის ქართული მწერლობის კლასიკოსი, გრიგოლ რობაქიძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ძევრის მკვიდრი იყო, მამამისი ტიტე რობაქიძე კი სოფელ ჩხარის მღვდელი იყო. სულ რამდენიმე წელია სოფელ ძევრში მწერლის სახლ-მუზეუმია გახსნილი. გრიგოლ რობაქიძე 1880- 1962 წლებში მოღვაწეობდა. სამწერლო ასპარეზზე 90-იანი წლების ბოლოს გამოვიდა.

**შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმი**

ეს სახლმუზეუმი სოფ. ჩხარში მდებარეობს რაიონულლი ცენტრიდან 7 კმ.ის დაშოებით ხელოვნებათ მცოდნე, აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი 1899-1975 წწ. მოღვაჭწეობდა, იგი ქართული ხელოვნების იატორიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი იყო, პეტრე ამირშვილი ქართული საოპერო და კინოხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენელია. მისი კინოროლებიდან აღსანიშნავია თავადი ლევანი ფილმიდან "ქეთო და კოტე".

**ისტორიული ძეგლები**

თამარის ხიდი მდებარეობს სოფელ ნაგარევში მდ. ჭიშურაზე, აქგადიოდა ქუთაისი-თბილისის დიდი შარაგზა, ხიდი დღემდე მოქმედია.
სკანდის ციხის ნანგრევები, გვიანი შუა საუკუნეები
ერთნავიანი ბაზილიკის ნანგრევები სოფელ გოგნში IX-XII სს.
სოფ. სკანდე, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია XIX ს.
სოფ. ალისუბანი ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია
ღვანკითის ღვთისმშობლის შობის (დედაღვთისა) სახელობის ტაძარი. [4]

## დ ა ს კ ვ ნ ა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ისტორიული და კულტურული რესურსების ანალიზის შედეგად იკვეთება ხელსაყრელი წინაპირობები ადგილზე აქტიური ტურისტული საქმიანობის ორგანიზებისათვის, რასაც პირდაპირი გზით ხელს შეუწყობს ჩვენი ახალი ინიციატივა რომელიც ზემოთ წარმოგიდგინეთ, ამ დროისთვის მუნიციპალურ დაქვემდებარებაშია (ტურიზმის აიპი, რომელიც მხოლოდ ორიენტირებულია ვიზიტორებისათვის ტურისტული მარშუტის დაგეგმვაზე და უწევს საინფორმაციო მამსახურეობას, შესაბამისად ახალი სამსახური მოახდენს არა მარტო აღნიშნული მომსახურეობის გაწევას არამედ უზრუნველყოფს ახალი ინოვაციების დანერგვას, ჯერძო-საჯარო პარტნიორობის ხელის შეწყობას, აუცილებელია ტურისტულ ობიექტებზე დაწესდეს მინიმალური მოსაკრებელი ან მომსახურეობისათვის და

არა საკუთერებაში გადაეცეს ბიზნეს, რომელიც მოახდენს მოვლა-პატრონობას და დააწესებს მინიმალურ გადასახადს.

ასევე უახლოესი პერიოდის ამოცანას შეადგენს ადგილობრივი ტურიზმის მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც მხარდაჭერილი იქნება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ჩამოყალიბდება დამხმარე პროდუქტები სხვადასხვა კომბინირებით, რაც მორგებული იქნება სხვადასხვა სეგმენტის მომხმარებელთა გემოვნებასა და მატერიალურ შესაძლებლობებზე, მარკეტინგის სპეციალისტების მეშვეობით ნათლად უნდა იქნეს წარმოდგენილი თუ რა განსხვავებული ღირებულების შეთავაზებას გეგმავს თერჯოლის მუნიციპალიტეტი სამომავლოდ ტურიზმის სფეროში.

**გამოყენებული ლიტერატურა**


დ.ჯაფარიძე, "თერჯოლის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები" 2017 წ. თბილისი;
დ.ჯაფარიძე "თერჯოლის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები" 2017 წ. თბილისი;
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო. https://www.geostat.ge/ka
თერჯოლის მუნიციპალიტეტის ოფიც. ვებ- გვერდი, https://terjola.gov.ge/page/turizmi

# A new initiative for organizing tourist activities On the example of Terjoli municipality

**Irakli Chubinidze,**
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

The article deals with the problems of effective management of the tourism sphere, the growth of potential and the identification of the possibilities of the municipality of Terjoli in this regard. It is justified that the separation of competences between the agencies responsible for the implementation of the strategy, the introduction of a new initiative in the field of management and the model of coordinated cooperation represent the guarantee of the development of tourism directions in this area.

**Keywords:** Municipality, tourism, Strategic management, A new initiative.

## სასურსათო რეზერვების მართვის პოლიტიკა და პროგნოზირების ფორმულა

**თამთა მამულაიძე**
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

სასურსათო უსაფრთხოება სახელმწიფო უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, ვინაიდან ქვეყნის სასურსათო სისტემა, მიზანმიმართული დივერსიის და არაპროგნოზირებადი მოვლენების წინაშე შეიძლება მოწყვლადი აღმოჩნდეს, რაც ზრდის არასტაბილურობას და აისახება მთლიანად ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაზე. სასურსათო უსაფრთხოების უგულვებელყოფა საფრთხეში აყენებს როგორც სახელმწიფოს ისე ხელისუფლებას.

რუსეთ - უკრაინის ომი ამძაფრებს რისკებს საქართველოსთვის. გაჭიანურებული ომის პერსპექტივა სტარტეგიული სასურსათო რეზერვების ამოწურვის საფრთხეს ქმნის რუსეთისა და უკრაინის მარცვლეულის მომხმარებლებში. ამწვავებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სიტუაციას, იწვევს დესტაბილიზაციას, რაც მიგრაციის ახალი ტალღების რისკებს წარმოშობს, 2011 წლის „არაბული გაზაფხულის" მსგავსად, მნიშვნელობა არ აქვს კრიზისის მიზეზი ეკოლოგიურია თუ პოლიტიკური.

მსგავსი რისკების შესამცირებლად საჭიროა სტრატეგიული სასურსათო რეზერვების შექმნა და მათი რეგულარული განახლება, რაც თავის მხრივ გულისხმობს მათ დაგეგმვას, პროგნოზირებას და მართვას.

კვლევაში გამოვლენილია სასურსათო კრიზისის ნიშნები, მისი გამომწვევი ფაქტორები და მსოფლიოში არსებული სტრატეგიები, მიდგომები თუ მდგომარეობა. მათ საფუძველზე პოტენციური კრიზისების თავიდან ასაცილებლად მისაღები ზომები.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო უსასფრთხოება, სასურსათო უსაფრთხოება, სასურსათო რეზერვები, რეზერვების მართვა, პროგნოზირება

### სასურსათო რეზერვების საკითხის აქტუალიზაცია

რუსეთ - უკრაინის სრულმასშტაბიანი ომი ხელს უწყობს გლობალურ სასურსათო კრიზისს. გაჭიანურებული ომის პერსპექტივა სტარტეგიული სასურსათო რეზერვების ამოწურვის საფრთხეს ქმნის, რაც ახლო აღმოსავლეთში (რუსეთისა და უკრაინის მარცვლეულის მთავარ მომხმარებლებში) უკიდურესად გაამწვავებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სიტუაციას და გამოიწვევს დესტაბილიზაციას, რაც მიგრაციის ახალი ტალღების რისკებს წარმოშობს, 2011 წლის „არაბული გაზაფხულის" (სოციალური ქსელების მეშვეობით თვითორგანიზებული სოციალური პროტესტი, რომელმაც რიგ ახლო აღმოსავლურ ქვეყნებში რეჟიმების ცვლილებით დასრულდა) მსგავსად, რომელიც 2008-2009-2010 წლების კლიმატური ცვლილებების მიზეზმა - გვალვამ უკრაინისა და რუსეთის სამხრეთში და არაბულ-ისლამურ სამყაროში სოციალურმა საკითხებმა გამოიწვია.

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში კლიმატის ცვლილებისა და ახლო აღმოსავლეთში სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს შორის კავშირის დასადგენად აუცილებელია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება:

- ისლამური სოციალიზმი, რომელიც გულისხმობს ხელმისაწვდომი (სოციალური) პურის საცალო ვაჭრობაში სამომხმარებლო ბაზარზე სიმბოლურ ფასად არსებობას;

- გვალვის გავლენა ექსპორტზე, ხორბლის მწარმოებელი ქვეყნების მაგალითზე, რა შემთხვევაშიც გვალვას არ გამოუწვევია მოსავლის კრიტიკულ მაჩვენებლამდე შემცირება, მაგრამ მოსავლის დანაკლისი მთლიანად ექსპორტს გამოაკლდა (ოქსფამის (Oxfam) კვლევითი ანგარიშის მიხედვით ექსპორტის წილი 30%-მდე შემცირდა);

- სოციალური საკითხი, ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ჭრილში.

ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა გამოიწვია ისლამური სოციალიზმის „პირობითი სოციალური კონტრაქტის" (მთავრობა ინარჩუნებს სტაბილურ დაბალ ფასს პურზე და ხალხი არ ინტერესდება მთავრობის საქმიანობით) დარღვევა, შესაბამისად მასობრივი სტიქიური უკმაყოფილება, რეჟიმთა ვარდნა ან მძაფრი კრიზისი, სამოქალაქო ომები, ეკონომიკური სიდუხჭირე და დევნილთა/მიგრანტთა კრიზისი.

**სასურსათო უსაფრთხოების მოწყვლადობა**

ამჟამად მიმდინარე ომით გამოწვეული მარცვლეულის დეფიციტი მაღალი ალბათობით მოსალოდნელია გამომწვევი მიზეზი აღმოჩნდეს ნახსენები კრიზისების ანალოგიურის: მაგალითისთვის:

- **შრი-ლანკაში:** რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად შექმნილმა დეფიციტმა სურსათზე და ლოჯისტიკის საკითხების გართულებამ გაამწვავა კრიზისი და იმპორტის გადასახადები გაზარდა. შრი-ლანკა პირველი სახელმწიფო გახდა აზიაში, რომელსაც საგარეო ვალი ორ ათწლეულზე მეტი ხანია არ გადაუხდია. მან ამოწურა უცხოური სავალუტო რეზერვები, შედეგად, ქვეყანაში საწვავის, მედიკამენტების და საკვების დეფიციტი გაჩნდა. გარდა ამისა, ადგილობრივების განმარტებით შრი-ლანკის პრემიერ მინისტრის რანილ ვიკრამასინგჰეს მიერ საკუთარი ბიზნესის ლობირება და მონოპოლიზმის ხელშეწყობა გახდა სოციალური აფეთქების ერთ-ერთი მიზეზიც;

- **ლიბანში:** ომის შედეგებმა კიდევ უფრო გაამწვავა ჰუმანიტარული კრიზისი. 2020 ბეირუთის პორტში აფეთქებამ სერიოზულად დააზიანა მარცვლეულის სილოსები (შემნახველები), რომლებიც ქვეყნის სარეზერვო მარაგების 85%-ს შეადგენდა. ლიბანი 80% უკრაინული ხორბლით მარაგდებოდა რუსეთ-უკრაინის ომამდე და მიმდინარე პროცესებმა მხოლოდ გაამწვავა გლობალური სასურსათო კრიზისი. დღევანდელი დღის მდგომარეობით დედაქალაქში პურის რიგებია და სოციალური პროტესტი თანდათან უფრო მწვავდება;

- **საქართველოში:** მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება 1 წლით ხორბლის ექსპორტის აკრძალვასთან დაკავშირებით სწორედ მსოფლიოში მიმდინარე საკითხს უკავშირდება. სასურსათო კრიზისის თავიდან ასარიდებლად, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ დაწესებულ კვოტას ხორბლის მინიმუმ 12%-იან რეზერვთან დაკავშირებით საქართველო ვერ აკმაყოფილებს. რეექსპორტის აკრძალვით, ვინაიდან ქვეყანას ექსპორტის პოტენციალი ამ დროისთვის არ გააჩნია, საკითხის სიმწვავეს ფორს-მაჟორულ სიტუაციაში დღევანდელი პროგნოზით გაანეიტრალებს.

**სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელობა**

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) დეფინიციის თანახმად: „ყველა ადამიანისთვის აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების შენარჩუნებისთვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელი სურსათის ეკონომიკური და ფიზიკური ხელმისაწვდომობა - არის სასურსათო უსაფრთხოება."

საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარება, შესაბამისად სასიცოცხლოდ აუცილებელია პერსპექტივების დანახვის, არსებული პოტენციალის ათვისების და მიზნობრივი გამოყენების საფუძველზე საზოგადოებრივ - პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ და დიჯიტალიზაციისკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავებასა და გახორციელებაზე. დღესდღეობით აგრარული სექტორი არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა დაძლევაზე სხვადასხვა მოსაზრება და კვლევა არსებობს როგორც პოლიტიკურ, ისე მედია და აკადემიურ სივრცეებში რაც საკითხის აქტუალობაზე მეტყველებს, თუმცა შედეგებზე ორიენტირებული რეფორმების განხორციელება დაუძლეველი ბარიერი აღმოჩნდა ქვეყნისთვის. მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხი გამოირჩევა მზარდი აქტუალობით განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში, გლობალური ეკონომიკური ეკონომიკური ფორუმების აჯენდაში 2020 წლიდან ნომერ პირველ გამოწვევად სახელდება. სიღარიბის შესამცირებლად და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდა 2-3 ჯერ ეფექტიანია ვიდრე სხვა ეკონომიკის დარგებში, შესაბამისად სექტორის განვითარებაზე და არსებული გამოწვევების დაძლევის გზებზე ორიენტირებული აგრარული პოლიტიკის შემუშავება პოსტპანდემიური სიტუაციიდან გამოსასვლელად აუცილებელი კომპონენტია. მსოფლიოში არსებული სამმაგი კრიზისის ფონზე, ტექნოლოგიური რევოლუციისა და ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში სექტორების დიჯიტალიზაცია გარკვეული თვალსაზრისით თანაბარ სასტარტო პირობებში აყენებს საქართველოს სხვა აქტორებთან პოზიციონირებაში, რაც ხელსაყრელი პირობაა საქართველოს აგრარული სექტორში არსებული დინამიკის შესაცვლელად. რუსეთ-უკრაინის ომმა კიდევ უფრო მეტად გაამწვავა ზემოაღნიშნული საკითხი.

ემპირიული დაკვირვებისა და საექსპერტო გამოკითხვის შედეგად (სახელმწიფო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, სექტორული და დარგობრივი ასოციაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების დონეზე) საკითხის არატრადიციულ პარადიგმაში განხილვამ გამოამჟღავნა სექტორის, დიჯიტალიზაციით, ტრადიციული სექტორების სტიმულირებით, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებითა და დიდი მონაცემების მეშვეობით, სტრატეგიული სასურსათო რეზერვების მართვის პოლიტიკის რეალიზაციის დაფარული პერსპექტივები და შესაძლებლობები.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეუნროების ორგანიზაციის (FAO), ფერმერთა მსოფლიო ორგანიზაციის (WFO), სურსათის პოლიტიკის საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტისა (IFPRI) და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) პროგნოზით, საკვების მოხმარების ზრდის ტენდენციის საკვების წარმოების დინამიკასთან დასაბალანსებლად, მნიშვნელოვანია ერთობლივი ძალისხმევა სოფლის მეურნეობასა და მომიჯნავე სექტორებში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებით მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესაბამისად. 1983 წლიდან სურსათის ხელმისაწვდომობაზე დეფინიციის განსაზღვრამ განაპირობა განსაკუთრებით მოწყვლად ქვეყნებში ისეთი პროგრამების ინიცირება, რომლებიც მიზანმიმართული იყო:

1. სრულფასოვანი სურსათის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის ჩამოყალიბებითა და მართვით;
2. ადგილობრივი სურსათის წარმოებისა და მოხმარების საკანონმდებლო ბაზის შექმნით;

3. მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების წახალისებისა და ქალი ფერმერების ჩართულობით სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტარტეგიების შემუშავების პროცესში.

მიუხედავად არსებული ინიციატივებისა, COVID-19 პანდემიამ და მოგვიანებით რუსეთ-უკრაინის ომმა არათუ აგრარული სექტორის, არამედ ინდუსტრიული წარმოების პროცესის დღის წესრიგი შეცვალა სრულიად. მონოპოლისტი მწარმოებლების არსებობის ნაცვლად, ყატარის ეკონომიკურ ფორუმზე გაჟღერებულმა ინიციატივამ სექტორული დეცენტრალიზაციის პროცესი დააჩქარა.

საქართველოში, სასურსათო უსაფრთხოების საკითხს ამწვავებს სექტორში არსებული რამდენიმე ძირითადი ფაქტორი:

- ფერმერის დეფინიციის არარსებობა;
- მცირემიწიანობა და ნატურალური (არასაბაზრო) მეურნეობა;
- ელევატორებისა და სილოსების (შემნახველების) არარსებობა;
- ფინანსურ კაპიტალზე ხელმისაწვდომობის სირთულე;
- დარგობრივი განათლების არაპრესტიჟულობა და სპეციალისტების სიმცირე;
- თანამედროვე ტექნოლოგიების აგრარულ სექტორში გავრცელების დაბალი დინამიკა;
- აგრარული დაზღვევის მოუქნელობა და არახელმისაწვდომობა;
- და სხვა ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები რაც ზოგადად დამახასიათებელია გაჭიანურებულ ტრანსფორმაციაში მყოფი პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვის.

სურსათის უსაფრთხოების განმარტებაში მხოლოდ მის ფიზიკურ და ეკონომიკურ ხელმისაწვდომობაზე ფოკუსირება ვერ ასახავს პრობლემის სიღრმეს, რომელიც რეალურად მდგომარეობს არამხოლოდ ხელმისაწვდომობის მოწყვლადობაში, არამედ საკუთრივ სურსათის ისეთ მახასიათებლებში, როგორიცაა: ხარისხი, უვნებლობა და  მიკვლევადობა. აღნიშნულ კომპონენტთაგან ნებისმიერი შეიძლება გახდეს არამხოლოდ მტრული სახელმწიფოების სპეციალური სამსახურების, არამედ შიდა და გარე სავაჭრო კონკურენტების სამიზნე. საქართველოში სულ უფრო იზრდება მოთხოვნა სურსათის უვნებლობის მიმართ როგორც კანონმდებლობის, ასევე მომხმარებლების მხრიდან. ამას ხელს უწყობს ტურიზმის სექტორის მზარდი ტენდენცია, რაც გამოიხატება ადგილობრივი წარმოების პროდუქტზე მოთხოვნის მატებაში. საერთაშორისოს ანალოგიურის.  ქართული სტანდრატის კერძო ინიციატივით (საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ) შექმნა და მისი გაციფრულება წარმოაჩენს სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელობას და ხელს უწყობს საკითხის განვითარებას. სტანდარტი "გეო გაპი" მორგებულია ადგილობრივ პირობებსა და კანონმდებლობაზე და შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტ GLOBAL G.A.P.-ზე დაყრდნობით.

**სტრატეგიული რეზერვების მართვის პოლიტიკა**

რატომ ვერ ახერხებს ზოგიერთი ქვეყანა სტარტეგიული სასურსათო რეზერვების მართვას? მარცვლეულის მარაგების შექმნა იყო სახელმწიფოებრიობის, როგორც ასეთის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი. მას შემდეგ უკანასკნელი ათი ათასი წლის მანძილზე ყველა სახელმწიფო მეტ-ნაკლებად ცდილობდა ქონოდა დაცული, გარანტირებული სასურსათო მარაგები. აღნიშნული პარადიგმა ერთბაშად შეიცვალა ცივი ომის დასრულების შემდეგ. ერთის მხრივ, მარაგების მომსახურების სიძვირის მეორეს მხრივ, გლობალიზაციის და სურსათის საყოველთაო ხელმისაწვდომობის და ბოლოს, საგარეო საფრთხეების „სამუდამო მოხსნის"

(რუსეთ-უკრაინის ომმა ნათლად აჩვენა ბოლო დებულების სიმცდარე) შედეგად. მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 90-იანების დასაწყისში, რუსეთში გამწვავებული სასურსათო კრიზისის დასაძლევად გახსნა თავისი სტრატეგიული მარაგები და საბჭოთა კავშირის მომარაგება დაიწყო. დღეს, რუსეთ-უკრაინის ომმა ამერიკაშიც კი წარმოშვა სასურსათო დეფიციტის მოლოდინი და ამერიკული საზოგადოება აალაპარაკა სტრატეგიული სასურსათო მარაგების პოლიტიკის განახლებაზე. ამერიკის უსაფრთხოების პროექტმა (ASP) სანიმუშოდ სტრატეგიული სასურსათო მარაგების მართვის ჩინური მოდელი დაასახელა (რომელიც მოიცავს 650 მილიონ ტონა ბრინჯს და ხორბალს, ასევე სიმინდისა და ღორის ხორცის სასაქონლო მარაგებს).

ზემოაღნიშნული დამოკიდებულება დამახასიათებელია ლიბერალური დემოკრატიებისთვის, რომლებიც ინტეგრირებულები არიან საერთაშორისო ვაჭრობაში, ორიენტირებულები არიან ამომრჩევლების ინტერესების დაკმაყოფილებაზე და ვერ ითვალისწინებენ მწვავე გლობალური კრიზისის შესაძლებლობას.

თუმცა არსებობს ქვეყნების მეორე ჯგუფიც - ავტორიტარული რეჟიმების სახით, რომლებიც სისტემატურად წყვეტენ მხოლოდ მიმდინარე პრობლემებს. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ზემოაღნიშნული რეჟიმები, რომელთა პოზიციონირების თანახმად მათი მთავარი უპირატესობაა თანმიმდევრული სტრატეგია, დამოუკიდებელი პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებისგან, არჩევნებისგან და განსხვავებული შეხედულების პარტიების და პოლიტიკური აქტორების ურთიერთ წინააღმდეგობისგან. სინამდვილეში, ერთი შეხედვით პარადოქსულად, საერთოდ არ არიან სტრატეგიით დაკავებული, და ძირითადად მოკლევადიან ამოცანებს წყვეტენ, რეაგირებენ რა მიმდინარე მომენტის გამოწვევბზე;

რუსეთი, ჩინეთი და შესაძლოა სხვა ქვეყნებიც, რომლეთა პოზიციონირება გეოპოლიტიკურ ასპარეზზე აგრესიის ობიექტის ნიღბით ხორციელდება, სინამდვილეში სტარტეგიულ მარაგებს ქმნიან და სისტემატურად ანახლებენ, რაც აძლევს მათ საერთაშორისო ბაზარზე სასურსათო უსაფრთხოებით მანიპულირების საშუალებას.

ამდენად, აღნიშნული სამი ჯგუფიდან პირველი ორი, თუმცა კი სხვადასხვა მიზეზით ვერ ახერხებს ფინანსური რესურსების გამონახვას სტრატეგიული სასურსათო მარაგების შესაქმნელად. რუსეთის აგრესიით გამოწვეულმა კრიზისმა, შესაძლოა გამოიწვიოს ლიბერალურ დემოკრატიებში არსებული საერთაშორისო გლობალური ბაზრის და მარადიული საყოველთაო მშვიდობის გულუბრყვილო პარადიგმის გადასინჯვა. აშკარა ხდება სახელმწიფოს მდგრადობისთვის და ეროვნული უსაფრთხოებისთვის სასურსათო მარაგების შექმნის და მათი სისტემატური შევსება განახლების, შესაბამისად კი მართვის აუცილებლობა.

# Food Reserves Management Policy and Forecasting Formula

**Tamta Mamulaidze**
Associate Professor of the University of Business and Technology
Doctoral student of public administration of the Technical University of Georgia

**Abstract**

Food security is one of the important components of state security, since the country's food system can be vulnerable to deliberate sabotage and unpredictable events, which increases instability and affects the entire economic, social and political situation. Ignoring food safety puts both the state and the government in danger.

The war between Russia and Ukraine increases the risks for Georgia. The prospect of a protracted war threatens to deplete strategic food reserves among Russian and Ukrainian grain consumers. It aggravates the political, economic and social situation, causes destabilization, which creates the risks of new waves of migration, like the "Arab Spring" of 2011, it does not matter whether the cause of the crisis is environmental or political.

To reduce such risks, it is necessary to create strategic food reserves and their regular renewal, which in turn implies their planning, forecasting and management.

The research identifies the signs of the food crisis, its causative factors and the strategies, approaches and situation in the world. Acceptable measures to prevent potential crises based on them.

**Keywords:** state security, food security, food reserves, management of reserves, forecasting

# მარკეტინგის როლი უმაღლეს განათლებაში

**რუსუდან ქუთათელაძე**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**ელზა ვეკუა,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

სტატიაში ასახულია თანამედროვე პირობებში უნივერსიტეტების ფუნქციონირების თავისებურებები. დასაბუთებულია უმაღლესი განათლების სერვისების საბოლოო მომხმარებლებთან მარკეტინგის ინსტრუმენტების და ეფექტური ურთიერთქმედებების გამოყენების აუცილებლობა, საგანმანათლებლო დაწესებულების კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** მარკეტინგი, მომხმარებელი, საგანმანათლებლო მომსახურება, მარკეტინგული ფუნქციები.

თანამედროვე მსოფლიოში უმაღლესი განათლება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ სტაბილურობას და საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარებას. უნივერსიტეტების მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს უმაღლესი განათლების ხარისხი, ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა. ამ პარამეტრების გაუმჯობესება, მუდმივი მონიტორინგი და ინოვაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების კეთილდღეობის ზრდისათვის.

ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე უმაღლესი განათლების სისტემა მუშაობს უაღრესად კონკურენტულ გარემოში, ის აღარ არის ელიტარული. საქართველოში ძალიან ბევრი საგანმანათლებლო პროგრამაა, როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო მიმართულებებზე. საქართველოს ეკონომიკურ საქმიანობაში ცვლილებები გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროზე. ეს ასევე ეხება განათლებას, კერძოდ უმაღლეს განათლებას. თანამედროვე პირობებში, როდესაც უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება, იზრდება ასეთი სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების რაოდენობა, ხოლო მათ შორის კონკურენცია იზრდება. ამ პირობებში უნივერსიტეტებმა უნდა ეძებონ გზები როგორც კონკურენტუნარიანობის ზრდის, ასევე გადარჩენის პრობლემის გადასაჭრელად.

მარკეტინგის გამოყენება უმაღლესი განათლების სფეროში გააუმჯობესებს ხარისხს და გააფართოვებს საგანმანათლებლო სერვისების სპექტრს, ხელს შეუწყობს ასეთი სერვისებით სხვადასხვა მომხმარებლების დაკმაყოფილებას და, საბოლოო ჯამში, გააუმჯობესებს საზოგადოების განათლებას.

მარკეტინგი უმაღლესი განათლების სფეროში უნდა გავიგოთ, როგორც საქმიანობის განსაკუთრებული სახეობა, რომლიც მიმართულია მოსახლეობის საჭიროებებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უმაღლესი განათლების მომსახურების კუთხით. მარკეტინგის ობიექტად უმაღლესი განათლების სფეროში შეიძლება გამოვიდეს ტერმინი „საგანმანათლებლო მომსახურება და პროდუქტები“.

საგანმანათლებლო სერვისებთან ერთად, უმაღლესი განათლების სფეროში მარკეტინგის ობიექტი მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიულ მდებარეობას, მათ სოციალურ პრესტიჟს და სამეცნიერო პოტენციალს.

ცოდნა, სასწავლო პროფილები და პედაგოგიური იდეები, მატერიალური საქონელი, ისევე აუცილებელია სასწავლო პროცესში, როგორც მასთან დაკავშირებული სერვისების ფართო სპექტრი.

საგანმანათლებლო სერვისები ძალიან სპეციფიკურია, ამიტომ ბაზარზე მათი პოპულარიზაცია გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. იმისათვის, რომ ეფექტურად დაიპყროს ნიშა განათლების ბაზარზე, რეგიონში და ქვეყნის მასშტაბით, უნივერსიტეტი უნდა იყოს მინიმუმ კონკურენტუნარიანი და ჰყავდეს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტები.

გარდა ამისა, უნივერსიტეტები იძულებულნი არიან დამოუკიდებლად გადაწყვიტონ სერიოზული ფინანსური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია განათლებისა და კვლევის სფეროში მაღალი სტანდარტების, ასევე სწავლების სათანადო დონის შენარჩუნებასთან.

უმაღლესი განათლების სფეროში მარკეტინგის სუბიექტებს წარმოადგენენ არა მარტო საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც აწარმოებენ და უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო მომსახურებას, არამედ ასევე მომხმარებლები (ფიზიკური პირები, საწარმოები და ორგანიზაციები), შუამავლების ფართო სპექტრი, ასევე სამთავრობო უწყებები და სტრუქტურები, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო სერვისების ბაზარის პოპულარიზაციაში.

უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო მომსახურების მარკეტინგის სუბიექტებს შორის განსაკუთრებულ როლს ასრულებს სტუდენტი, მსმენელი, რომელიც არის საბოლოო მომხმარებელი და განსხვავდება სხვა მომხმარებლებისგან, რადგან იყენებს საგანმანათლებლო პოტენციალს არა მხოლოდ საქონლისა და არსებობის წყაროს შესაქმნელად, არამედ საკუთარი შემეცნებითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ეს ადამიანი აკეთებს კონკრეტულ არჩევანს მომავალ სპეციალობაზე, განათლების ადგილსა და ფორმაზე, დაფინანსების წყაროებზე, ასევე მომავალ სამუშაო ადგილსა და შეძენილი უნარების გაყიდვის პირობებზე. სტუდენტები (მათ შორის პოტენციალური) მუდმივად უნდა იყვნენ უნივერსიტეტის ყველა მარკეტინგული ძალისხმევის ყურადღების ცენტრში.

მარკეტინგის ძირითადი ფუნქციებია: ბაზრის ანალიზი, დაგეგმვა, მარკეტინგული საქმიანობის ორგანიზაცია და კონტროლი საგანმანათლებლო მომსახურებისა და პროდუქტების გამოვლენის, შექმნის, დანერგვისა და ხელშეწყობისათვის საგანმანათლებლო მოთხოვნილების ბაზრის კომპლექსური შესწავლის საფუძველზე. მხოლოდ შრომის ბაზარსა და ინდივიდს შორის ურთიერთობის დამყარებით განისაზღვრება მოთხოვნა გარკვეული სახის საგანმანათლებლო მომსახურებაზე. მხოლოდ რეალობის გათვალისწინებით შეუძლია სასწავლო დაწესებულებას შექმნას შრომის ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი მომსახურების კომპლექსი.

უნივერსიტეტის მარკეტინგის ფუნქციებში შედის:

- წინადადების ფორმირება;
- საგანმანათლებლო მომსახურებისა და საქონლის წარმოება და პოპულარიზაცია ბაზარზე;
- საგანმანათლებლო მომსახურების მოთხოვნის ფორმირება და გაყიდვების ხელშეწყობა;
- ფასიანი მომსახურების საფასო პოლიტიკის განხორციელება;

- მარკეტინგული კვლევის ორგანიზაცია და განხორციელება;

- პროგნოზირება, პერსპექტიული საგანმანათლებლო მომსახურების გამოვლენა და მისი განახლების აუცილებლობა;

- საგანმანათლებლო მომსახურების მოცულობის, ხარისხის, დიაპაზონისა და მომსახურების განსაზღვრა;

- საგანმანათლებლო დაწესებულების კონკურენტუნარიანობის ანალიზი და გაუმჯობესება;

- უნივერსიტეტში მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და მისი ორგანიზება.

განათლების სფეროში მარკეტინგი არ უნდა განიხილებოდეს როგორც მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღების საშუალება. ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება, ის ატარებს როგორც კომერციულ, ასევე არაკომერციულ ხასიათს. განათლების მარკეტინგი მიზნად ისახავს კონკრეტული საქონლისა და მომსახურების შექმნას და შემდგომ პოპულარიზაციას და გაყიდვას, ასევე სოციალური ეფექტის შექმნას. საზოგადოების წევრების განათლების დონის ამაღლება არა მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საშუალებას გვაძლევს, არამედ ხელს უწყობს უარყოფითი სოციალური გამოვლინების შემცირებას.

საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მარკეტინგული ორიენტაცია ნიშნავს შემდეგს:

- მხოლოდ იმ საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება, რომელიც ყველაზე მოთხოვნადი იქნება ბაზარზე;

- საგანმანათლებლო სერვისების სპექტრი საკმარისად ფართოა და განიცდის განახლებას, იმისათვის რომ აისახოს საზოგადოების მოთხოვნები;

- საგანმანათლებლო მომსახურების ფასები ყალიბდება მიწოდებისა და მოთხოვნის გავლენით, კონკურენციის გათვალისწინებით;

- საკომუნიკაციო აქტივობები აქტიურად მიმდინარეობს და განკუთვნილია საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებელთა კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისათვის;

- ყველა გადაწყვეტილებას ამზადებენ და იღებენ საბაზრო ეკონომიკის საკითხებში კომპეტენტური ადამიანები;

- ორგანიზაციული სტრუქტურა აყალიბებს ქვედანაყოფებს (განყოფილება, სამსახური, მარკეტინგის ჯგუფი), რომელიც პასუხისმგებელია ბაზარზე წარმატებასა და უნივერსიტეტის იმიჯზე. ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაზრო საქმიანობის ძირითადი მახასიათებელია ორი სამომხმარებლო ბაზრის არსებობა და, შესაბამისად, მომხმარებელთა ორი ჯგუფი:

სტუდენტი და დამსაქმებელი (შრომის ბაზარზე). ასე რომ, სტუდენტი არის შუალედური მომხმარებელი, ხოლო დამსაქმებელი - საბოლოო. ერთდროულად ორი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ბაზარის არსებობისას, როგორებიცაა - საგანმანათლებლო პროდუქტებისა და სერვისების ბაზარი და შრომის ბაზარი - უნივერსიტეტი, გვაწვდის ერთ პროდუქტს (საგანმანათლებლო მომსახურებას).

უმაღლეს განათლებაში მარკეტინგის ფუნდამენტური პრინციპია მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მომხმარებელთა კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებს, თავიანთი განსაკუთრებული მოთხოვნილებებითა და შესაძლებლობებით. ეს პრინციპი გვიჩვენებს განათლების, როგორც ამ სფეროში მარკეტინგის გამოყენების ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას-შესაძლებლობა განავითაროს და გაზარდოს საგანმანათლებლო

მომსახურებაზე მოთხოვნა, მათი მოხმარების, მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიის მოთხოვნილებების იერარქიის გათვალისწინებით.

საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად ადამიანი მიმართავს საგანმანათლებლო მომსახურებას. და როგორც წესი, ადამიანებს საკმაოდ ბევრი სხვადასხვა პრობლემები აქვთ. მათი ანალიზისთვის ჩვენ გამოვიყენებთ მოთხოვნილებათა იერარქიის ცნობილ კლასიფიკაციას ა.მასლოუს მიხედვით:

- უპირველეს ყოვლისა, განათლება შეიძლება საჭირო გახდეს გადარჩენისათვის, იმისათვის რომ გამოიმუშაოთ, მიიღოთ საჭირო სახსრები ინდივიდის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;

- შემდეგი დონე არის უსაფრთხოების, პიროვნების დაცვის გარანტიების მოპოვება, სამომავლოდ შესაძლო საფრთხეებისგან დაცვა, ერთგვარი საგანმანათლებლო „სადაზღვევო პოლისი“;

- რა თქმა უნდა, კუთვნილების, წევრად მიღების აუცილებლობაც მნიშვნელოვანია. იყო რომელიმე ჯგუფის, ადამიანთა წრის წევრი (მაგალითად, განათლების სტატუსით, პროფესიული კუთვნილების მიხედვით);

- ამას მოსდევს მოთხოვნილებათა ჯგუფი საკუთარი კომპეტენტურობის აღიარებისა და პატივისცემის სხვების მხრიდან, საკუთარი თავის პატივისცემა;

- და ბოლოს, იერარქიის მწვერვალად განიხილება მოთხოვნილებების ჯგუფი საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის და პიროვნული ზრდის, რაც დაკავშირებულია საკუთარი თავის გაგებისა და შეცნობის აუცილებლობასთან, მიაღწიოს თვითგანვითარების შესაძლებლობებს, თვითმართვას გარკვეული პრიორიტეტების შესაბამისად.

ანალოგიურად, ჩვენ ავაგებთ საგანმანათლებლო მომსახურებისა და სპეციალისტების შემკვეთი საწარმოებისა და მომხმარებელთა ორგანიზაციების მოთხოვნილებების იერარქიას. ეს შეიძლება იყოს მოთხოვნები კადრებზე, პერსონალზე რომელთაც შეეძლებათ:

- განახორციელონ კონკრეტული ბრძანებები, ინსტრუქციები, დავალებები მოცემული ალგორითმის მიხედვით;

- დამოუკიდებლად გაწყვიტონ ამოცანები;

- საწარმოს საქმიანობაში იპოვნონ "ბზარები" და აღმოფხვრან ისინი, გაზარდონ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობა;

- წვლილი შეიტანონ საწარმოს პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბებაში;

- უზრუნველყონ საწარმოს, ორგანიზაციის გუნდის თვითგანვითარება და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ ორგანიზაციებს, ისევე როგორც ადამიანებს, აქვთ საკუთარი მოთხოვნილებები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს მათი წარმატებული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

უმაღლესი განათლებისა და ბიზნეს სტრუქტურების ურთიერთთანამშრომლობა უნდა განახორციელდეს, რადგან უნივერსიტეტები ამზადებენ სპეციალისტებს, რომლებიც საწარმოს მომავალ საკადრო პოტენციალს წარმოადგენენ. უნივერსიტეტისა და დამსაქმებლების სპეციალისტების კომპეტენციის დონეზე გავლენის შესაფასებლად ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგები მოცემულია ცხრილში (ცხრილი1). წარმოდგენილი მონაცემების გაანალიზების შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მჭიდრო კავშირში უნდა იყვნენ ბიზნეს სტრუქტურებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აწარმოებენ საგანმანათლებლო პროდუქტს, რომელიც სრულიად არაკონკურენტუნარიანი იქნება შრომის ბაზარზე. მხოლოდ პოტენციურ დამსაქმებლებთან ეფექტურ ურთიერთობას შეუძლია

შეიტანოს წვლილი განათლების ხარისხის ამაღლებასა და უნივერსიტეტის მდგრადი პოზიციის შენარჩუნებაში საბაზრო ურთიერთობის პირობებში.

**ცხრილი1. უნივერსიტეტის მონაწილეობის მაჩვენებელი სპეციალისტ-მარკეტოლოგის კომპეტეციის სასურველი დონის უზუნველყოფაში დამსაქმებლის შეხედულებით**

| მარკეტოლოგ-სპეციალისტის კომპეტენციის ჯგუფი | უნივერსიტეტი | დამსაქმებელი |
|---|---|---|
| სოციალური | 74% | 26% |
| პროფესიული | 14% | 86% |
| ოპერაციული | 12% | 88% |

**წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევაზე დაყრდნობით**

ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ საბაზრო ეკონომიკის რთულ პირობებში სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების სიცოცხლისუნარიანობის საფუძველი არის მოთხოვნის ცვლილების პროგნოზირება და აწმყოსა და მომავალში მომხმარებლის კმაყოფილების უზრუნველყოფა. მომხმარებლებს მიეკუთვნებიან სტუდენტები და ორგანიზაციები - საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლები და განათლების სისტემის სპეციალისტები.

**დასკვნა**

ამრიგად, უმაღლესი განათლების მარკეტინგი წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაზრო საქმიანობის მართვის სისტემას, რომელიც არეგულირებს საბაზრო პროცესებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო ბაზრის შესწავლას, რაც ზრდის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ეფექტიანობას: პიროვნებისას -განათლებაში; საგანმანათლებლო დაწესებულებისას- განვითარებაში; ფირმებისა და ორგანიზაციების - ადამიანური რესურსების ზრდაში; საზოგადოებისას-პირადი და ინტელექტუალური პოტენციალის კვლავწარმოებაში.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Якушина Т.В. «Значение маркетинговых исследований при формировании стратегии высшего учебного заведения» - Сборник научных трудов VIII международной научно-практической конференции «Экономика и управление: анализ тенденций и перспектив развития» - ЦРНС, Новосибирск, 2013.

2. Ланцева Т.В. «Ценностно-ориентированный подход к развитию государственного образовательного учреждения высшего профессионального образования// Научные труды XIII Международной научно-практической конференции «Фундаментальные и прикладные проблемы приборостроение и информатики» (часть I). – М.: МГУПИ, 2010.

3. Зернов В. Образование и общество: поиск языка взаимопонимания. // Высшее образование // 2006. № 6. С.5.

## The role of marketing in higher education

**Rusudan Kutateladze,**
Professor, Georgian Technical University
**Elsa Vekua,**
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

The article describes the peculiarities of functioning of universities in modern conditions. Marketing tools for end users of higher education services are justified and effective interactions Necessity of use for increasing the competitiveness of the educational institution .

**Keywords:** marketing, customer, educational services, marketing functions.

## ბიზნესის მართვის თავისებურებების ანალიზი სამშენებლო ფირმებში
## სამშენებლო ბიზნესის მართვის თავისებურებები: მიდგომები და პროცესები

**ანზორ აბრალავა,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**პაატა გოგეშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

კრიზისის მენეჯმენტი არის პროცესი, რომელიც მოიცავს კრიტიკული სიგნალების მიღებასა და შეფასებას და პრევენციული ზომების გატარებისა და განხორციელების აუცილებლობას კრიზისის მინიმალური ზიანით დასაძლევად. კრიზისის ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნების აღმოჩენა ფირმებს ეხმარება თავიდან აიცილონ კრიზისის წარმოშობა და გადარჩნენ უზარმაზარი ფინანსური ზარალის გარეშე.

სხვა ფაქტორები, რომლებიც დაეხმარება სამშენებლო ფირმებს გადარჩენაში, შეიძლება ჩამოვთვალოთ შემდეგნაირად: ირიბი სიგნალების მიღება კრიზისამდე; ამ სიგნალების დახმარებით კრიზისისგან დაცვის მეთოდების შემუშავება; კრიზისის კონტროლის ქვეშ მოქცევა, კრიზისის შემდეგ აუცილებელი ზომების მიღება ფირმის აღსადგენად და საბოლოოდ, კრიზისიდან სწავლა. სამშენებლო ფირმებს, რომლებსაც შეუძლიათ თავიდან აიცილონ კრიზისი ნულოვანი ან მინიმალური ზიანით, შეუძლიათ სტრატეგიულად ჰქონდეთ კონკურენტული უპირატესობები არსებულ კონკურენტებთან შედარებით.

ამ პრობლემების გათვალისწინებით, სტატიაში აღწერილია კრიზისის მართვის კონცეფცია სამშენებლო ინდუსტრიის თვალსაზრისით, წარმოგიდგენთ შესაბამის მახასიათებლებს. ხდება იმის ჩვენება, თუ როგორ შეუძლიათ დეველოპერულ ფირმებს უკეთ გაუმკლავდნენ კრიზისებს და მოკლევადიან პერიოდში გადავიდნენ წინა პოზიციებზე ინოვაციური საშუალებებით.

**საკვანძო სიტყვები:** მშენებლობა, კრიზისი, კრიზისული მართვა, ინოვაციური მენეჯმენტი

დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში ნეგატიურმა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს კრიზისი და, შესაბამისად, თანდათანობით იმოქმედოს სამშენებლო კომპანიებზე. ეს მოვლენები შეიძლება მოხდეს მოულოდნელად ან ხანგრძლივი პროცესის შემდეგ. პროცესზე დაფუძნებული კრიზისები ჩვეულებრივ აგზავნიან ადრეულ გამაფრთხილებელ სიგნალებს და სამშენებლო კომპანიებს, რომლებსაც შეუძლიათ ამ სიგნალების დაჭერა, შეუძლიათ მოემზადონ მომავალი კრიზისებისთვის.

კრიზისების მენეჯმენტში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია ადრეული გამაფრთხილებელი სისტემის ჩამოყალიბება. ეს იძლევა გარკვეულ დროს პოტენციური კრიზისის წინააღმდეგ საჭირო ზომების მისაღებად. ადრეული გამაფრთხილებელი სიგნალების გამოვლენის შემდეგ, სამშენებლო კომპანიები, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით მართონ კრიზისები, აცნობებენ თავიანთ თანამშრომლებს მოახლოებული კრიზისის შესახებ, რათა მოამზადონ, ორგანიზება გაუკეთონ კრიზისულ გუნდს კრიზისამდე და ეფექტურად იბრძოლონ კრიზისის დროს.

სამშენებლო კომპანიებმა უნდა ისწავლონ კრიზისების მართვის კონცეფციები, რათა თავიდან აიცილონ კრიზისები. სტატიაში აღწერილია ძირითადი საკითხები - კონცეფცია, თვისებები, მიზნები, მიდგომები და კრიზისების მართვის პროცესი - რომელთაც უნდა გაზარდონ კონსტრუქციული კომპანიების მწარმოებლურობა კრიზისების დროს.

კრიზისის მენეჯმენტი არის პროცესისა და მართვის მოდელი, რომელიც გამოიყენება (ექსტრაორდინალურ) არაჩვეულებრივ სიტუაციებში. ის მოიცავს კონკრეტულ აქტივობებს, როგორიცაა კრიზისის სიგნალების გამოვლენა, სამშენებლო ფირმებისთვის შესაძლო უარყოფითი კრიზისის შედეგების თავიდან აცილება, მინიმალური დანაკარგებით გადარჩენა და მომზადების გამოყენება და მონიტორინგი. კრიზისის მართვის ეტაპები შეიძლება იყოს შემდეგი:

• ინფორმაციის შესწავლა კრიზისის დონის შესახებ, რომელშიც მდებარეობს კომპანია;
• მენეჯერების მიერ კრიზისის ტიპის განსაზღვრა და მისი შეფასება;
• კრიზისის დაძლევის მეთოდების უზრუნველყოფა;
• კონკრეტული კრიზისული სიტუაციისთვის ყველაზე შესაფერისი მეთოდის შერჩევა;
• ანტიკრიზისული გეგმის შედგენა;
• ანტიკრიზისული გეგმის განხორციელება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისის მართვის მიზანია არა კრიზისების სრულად თავიდან აცილების მცდელობა, არამედ უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე შემცირება, რეაგირების და მაღალი ხარისხის რეაგირების მიღწევა და ნებისმიერი ტიპის კრიზისისთვის მზადების მაქსიმალურად გაზრდა. სამშენებლო კომპანიებს შეუძლიათ ადვილად დაზარალდნენ კრიზისი, რადგან საწყისი საინვესტიციო ხარჯები სამშენებლო პროექტებში საკმაოდ მაღალია და, შესაბამისად, შეიძლება გამოიწვიოს უზარმაზარი ფინანსური ზარალი. ამიტომ, სამშენებლო კომპანიებმა მუდმივად უნდა გააანალიზონ შიდა და გარე გარემო, მზად იყვნენ კრიზისის ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებისთვის და კრიზისის დროს ეფექტურად იბრძოლონ გადარჩენისთვის. კრიზისულ მენეჯმენტს, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული სამშენებლო კომპანიებში, აქვს გარკვეული სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც განსხვავდება მართვის ტრადიციული მიდგომისგან. კრიზისის მართვის მახასიათებლები მშენებლობაში:

• ფირმებმა სწრაფად უნდა შეაფასონ კრიზისები და განასხვავონ ისინი საკუთარი გზით. ტიპები, ზომების მიღება, შესწავლა და რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელება;
• პოტენციური მოვლენები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კრიზისი, აღიქმება, როგორც საფრთხე;
• კრიზისის მართვა ხდება მათი ტიპების მიხედვით, ვინაიდან თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი სიგნალები, პროცესი და მკურნალობა;
• მენეჯერები და თანამშრომლები უნდა იყვნენ მოქნილები, კრეატიული, ობიექტური, გადამწყვეტი, მომთმენი, გონებრივად ძლიერი, აქტიური, ღია ინოვაციისადმი და მზადმყოფი უცნობი ან არასასურველი მოვლენებისთვის.

ზოგიერთი ფაქტორი (როგორიცაა კომუნიკაცია, აუდიტი, ბიზნეს კულტურა და დაგეგმვა) უმნიშვნელოვანესია. კრიზისის მენეჯმენტი არის მუდმივი პროცესი, რათა ყოველთვის მზად იყოთ კრიზისისთვის.

კრიზისის მართვა და მიდგომები პრაქტიკაში. სამშენებლო კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა მიდგომები კრიზისების თავიდან ასაცილებლად. ისინი შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

• პროაქტიული მიდგომა;
• რეაქტიული მიდგომა;
• ინტერაქტიული მიდგომა.

ამ მიდგომების მიხედვით, უმაღლესმა მენეჯმენტმა უნდა შექმნას ალტერნატიული გადაწყვეტილებები პოტენციური კრიზისების წინააღმდეგ. პრევენციული ღონისძიებების გამო, სამშენებლო კომპანიებს, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი წარმოებისა და მარკეტინგული აქტივობების ადაპტაცია კრიზისულ პირობებთან, შეიძლება ფინანსურად წარმატებულები იყვნენ მაშინ, როცა მათი კონკურენტები პანიკაში არიან. ასეთი მიდგომის განსავითარებლად, ქვემოთ წარმოდგენილი ელემენტები უნდა აკმაყოფილებდეს:

• სწორი და ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება;
• რისკების იდენტიფიცირება;
• ადრეული გაფრთხილების სისტემების ჩამოყალიბება;
• პრევენციის გეგმის შედგენა;
• კრიზისების პრევენციის ჯგუფის ფორმირება.

რეაქტიული მიდგომა. ეს აღდგენითი მიდგომა შეიძლება აირჩიონ ტოპ მენეჯერებს სამშენებლო კომპანიებისთვის მოულოდნელ კრიზისში. ასეთი კომპანიები, როგორც წესი, კრიზისის დროს იღებენ აგრესიულ გადაწყვეტილებებს დაუყოვნებლივი დირექტორთა საბჭოს შეხვედრის გზით. ზოგადად, ეს გადაწყვეტილებებით სრულდება შემდეგი ქმედებები:

• წარმოების შემცირება;
• ზოგიერთი დეპარტამენტის დახურვა;
• ხელფასიდან გამოქვითვები;
• უხელფასო შვებულება;
• დამატებითი სერვისების შეზღუდვა;
• სამსახურიდან გათავისუფლება.

თუმცა, ამ ზომების გამოყენებით, თქვენ შეგიძლიათ დაკარგოთ ნდობა პერსონალის, გამოცდილი თანამშრომლებისა და მომხმარებლების მიმართ. რეაქტიული კრიზისის მართვა არის ყველაზე სარისკო მიდგომა, თუმცა შესაძლოა საკმარისი იყოს მცირე და მოკლევადიან კრიზისებთან გამკლავება, მაგრამ წარუმატებელი მეთოდია ფართომასშტაბიანი და საშუალო/გრძელვადიანი კრიზისების დროს. ეს არის იმის გამო, რომ სამშენებლო კომპანიები, რომლებიც არ არიან მზად პოტენციური კრიზისებისთვის, აქვთ მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობები და ამიტომ იყენებენ ასეთ მეთოდებს.

ინტერაქტიული მიდგომა. ეს ყოვლისმომცველი მიდგომა აფასებს კრიზისის პროცესს მანამდე კრიზისის დროს და კრიზისის შემდეგ. ამ პროცესში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ფირმა სწავლობს თავის შეცდომებზე და მოიცავს მკაცრ თვითკონტროლს. მუდმივი ინფორმაციის ნაკადი უზრუნველყოფილია ყველა დაინტერესებული მხარის რეპუტაციის სასარგებლოდ. სამშენებლო კომპანიებმა, რომლებსაც სურთ გამოიყენონ ეს მიდგომა, გულწრფელად უნდა გაუზიარონ კრიზისის გავლენა თავიანთ დაინტერესებულ მხარეებს და განსაზღვრონ საერთო პოლიტიკა კრიზისის მიმართ. დაინტერესებული მხარეების შეყვანა შეიძლება სასარგებლო იყოს ამ კომპანიების გადარჩენისთვის.

კრიზისის მენეჯმენტი. კრიზისის მართვა არის პროცესი, რომელიც მოიცავს მთელ რიგ აქტივობებს, როგორიცაა პროგნოზირება, პრევენცია და მომზადება, ფლობა და კონტროლი, აღდგენა და განათლება. ამ კონტექსტში ის შეიძლება დაიყოს ხუთ განსხვავებულ ეტაპად.

პროგნოზირება. კრიზისი ნამდვილად აგზავნის გარკვეულ სიგნალებს ადრეული გაფრთხილებისთვის, სანამ ის მოხდება. ეს სიგნალები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათ შეუძლიათ მოგაწოდონ სასარგებლო და სასიცოცხლო ინფორმაცია კრიზისების შესახებ. მათი დროული განსაზღვრა და იდენტიფიცირება თავიდან აიცილებს კრიზისის წარმოქმნას და პოტენციურ ზიანს.

კრიზისის პრევენცია და მომზადება. უმაღლესი მენეჯმენტი უნდა მოემზადოს კრიზისის მართვის გუნდთან მუშაობისთვის სამშენებლო კომპანიის კრიზისის შესაძლო შედეგებისგან დასაცავად, პროგნოზირებისას მიღებული სიგნალებისგან დამოუკიდებლად. ამ ეტაპზე მენეჯერები უნდა შეეცადონ მინიმუმამდე დაიყვანონ რისკები და შეუძლიათ სარისკო გადაწყვეტილებების კომპენსირება მოსალოდნელი მოგებით. თუ კრიზისი გარდაუვალია მზადება ხელს შეუწყობს კრიზისის კონტროლს. ეს აქტივობები, რომლებიც მენეჯერებმა უნდა განახორციელონ მომზადების ფაზაში, შეიძლება ჩამოვთვალოთ შემდეგნაირად:

• კრიზისის მართვისადმი პოზიტიური მიდგომის შექმნა;
• მოიპოვოს ნდობა თანამშრომლების, მომხმარებლების, მომწოდებლების მიერ მათი მოვალეობების შესრულება;
• მოემზადეთ შესაძლო კრიზისებისთვის;
• კრიზისების მართვის კონკურენტუნარიანი გუნდის შექმნა;
• კრიზისების პოტენციური ტიპების იდენტიფიცირება;
• პოლიტიკის გაუმჯობესება პოტენციური კრიზისების თავიდან ასაცილებლად;
• პოტენციურ კრიზისებთან გამკლავების სტრატეგიებისა და ტაქტიკის შემუშავება;
• რისკების და კრიზისის კონტროლის პროცედურების იდენტიფიცირება;
• კრიზისული გეგმების და სცენარების შემუშავება და ტესტირება.

კონტროლი. მიუხედავად იმისა, რომ ადრეული გაფრთხილების მექანიზმები, პრევენცია და დაცვა, ასევე ეფექტურია კონტროლის პროცედურები კრიზისების დასაძლევად. �რთის მხრივ, მოტივაცია უნდა იყოს უზრუნველყოფილი თანამშრომლებს შორის, მეორე მხრივ, პოლიტიკოსებს შორის. სიტუაცია რამაც შეიძლება გამოიწვიოს შფოთვა და სტრესი მაქსიმალურად უნდა იქნას აცილებული.

აღდგენა. ამ ეტაპზე უნდა დაინერგოს მოკლე და საშუალოვადიანი აღდგენის მექანიზმები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანაკარგები იცვლება ახალი შემოსავლებით.

სამშენებლო კომპანიამ, რომელსაც შეუძლია კრიზისის დაძლევა, დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედოს ნორმალიზებისთვის. ამ მიზნით რესურსები, პროცესები და პერსონალი უნდა იყოს მიმართული ადრე განსაზღვრული სტრატეგიების შესაბამისად. აქ მიზანია კრიზისის თავიდან აცილება და შესაძლო სარგებლის მიღება. შეზღუდული ხარჯები, ცენტრალიზებული მენეჯმენტი.

ტრენინგი და შეფასება. ქვემოთ მოცემული აქტივობები უნდა იყოს შესრულებულია მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია თავისუფლდება უარყოფითი შედეგებისგან სიტუაციის ნორმალიზების მიზნით, რისთვისაც:უნდა მოხდეს:

• ყველა თანამშრომლისთვის სისტემატური სასწავლო პროგრამების ორგანიზება;
• სამუშაო გარემოს რეაბილიტაცია;
• წარმატებული თანამშრომლების დაჯილდოვება, რომლის ღირებული შედეგების წყალობით შესაძლებელი გახდა კრიზისის მინიმუმამდე დაყვანა;
• კრიზისის მართვის გუნდების გადაწყვეტის შემმუშავებელ გუნდად გარდაქმნა;

• მომზადდეს სტრატეგიული ანგარიშები გრძელვადიანი პროგრამისთვის პროდუქტიულობისა და ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით.

კრიზისის შემდეგ სამშენებლო კომპანიამ მიღებული გაკვეთილები უნდა ჩამოწეროს. ამ მიზნით უნდა აღინიშნოს როგორც კრიზისის პროცესში მიღებული მონაცემები, ასევე დაშვებული შეცდომები.

**დასკვნა**

კრიზისები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სამშენებლო კომპანიებზე, ხდება წყვეტილად ან მოულოდნელად, ამიტომ კომპანიები, რომლებიც ეძებენ კრიზისის მართვის ინოვაციურ მიდგომას, მზად უნდა იყვნენ ნებისმიერი ტიპის კრიზისისთვის. რადგან საინვესტიციო კომპანიები უნდა გაუმკლავდნენ მაღალ საინვესტიციო ხარჯებს, კრიზისებმა შეიძლება უარყოფითად და მნიშვნელოვნად იმოქმედოს ამ კომპანიებზე. მინიმალური დანაკარგებით გადარჩენა დიდწილად დამოკიდებულია ადრეული გაფრთხილების სისტემის ჩამოყალიბებაზე.

სამშენებლო კომპანიის ადრეული გაფრთხილების სისტემაში ტარდება მთელი რიგი ანალიზი, როგორიცაა: შიდა და გარე გარემო, მაკროეკონომიკური მონაცემები უცხოური ვალუტის, საპროცენტო განაკვეთისა და უმუშევრობის შესახებ და ახალი სამართლებრივი და პოლიტიკური დებულებები. სამშენებლო კომპანიებმა ასევე უნდა ჩაატარონ SWOT ანალიზი, რათა დაეხმარონ მათ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში. გარდა ამისა, მათ უნდადიდი მნიშვნელობა მიანიჭონ სარეკლამო საქმიანობას, პირველ რიგში ხარისხის წინ დაყენებით, დანახარჯების და არა წარმოების მოცულობის შემცირებით.

ამ სიფრთხილის ზომების გარდა, მათ უნდა მიიღონ გარკვეული დაგეგმვის ზომები კრიზისების წინააღმდეგ. სოციალური ურთიერთობების კუთხით პერსონალი უნდა იყოს მოტივირებული და ქცევები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს შფოთვა და სტრესი უნდა აღმოიფხვრას. რაც შეეხება გარე ურთიერთობებს, სამშენებლო კომპანიისთვის კრიზისის შედეგები მკაფიოდ უნდა იყოს გაზიარებული დაინტერესებულ მხარეებთან, რათა შეინარჩუნონ მათი ნდობა.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Василенко В. А. Антикризисное управление: учеб. пособие / В.А. Василенко. К., 2012. 504 с.2. Строительные кризисы как периоды социальной адаптации // J. of Management in Engineering 13 (4). 30–37.

3. Антикризисное управление предприятием: учеб. пособие / сост. Т. Н. Рогова. Ульяновск : УлГТУ, 2014. 200 с.

4. Кравченко А. И. Особенности антикризисного управления предприятиями строительного комплекса в условиях экономической нестабильности // Молодежный научный форум: Общественные и экономические науки: электр. сб. ст. по мат. XLV междунар. студ. науч.-практ. конф. № 5(45). URL: https://nauchforum.ru/archive/MNF_social/5(45).pdf (дата обращения: 19.10.2018).

**Analysis of features of business management in Construction Companies**
**Peculiarities of Construction Business Management: Approaches and Processes**

**Anzor Abralava**,
Professor, Georgian Technical University
**Paata Gogeshvili,**
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

Crisis management is a process that involves capturing and assessing critical signals and the need to adopt and implement the necessary precautions to overcome a crisis with minimal damage. Finding early warning signs of a crisis helps firms prevent a crisis and survive without huge financial losses.

Other factors that can help construction firms survive can be listed as follows: capturing indirect signals before the crisis; development of methods of protection against crisis using these signals; taking control of the crisis, taking the necessary measures after the crisis to restore the firm, and finally, taking a lesson from the crisis. Construction firms that can avoid a crisis with zero or minimal damage can strategically have competitive advantages over existing rivals.

Considering all these problems, this article describes the concept of crisis management from the point of view of the construction industry, introduces related characteristics. This article attempts to show how development firms can better cope with crises and, in the short term, move to their former positions through innovative means.

**Keywords:** building; a crisis; crisis management; innovative Management.

# ინფორმაციული უსაფრთოხების ცნობიერების ამაღლების ტრენინგის დაგეგმვა და ავტომატიზაცია

**გიორგი სახვაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
**მზია კიკნაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**რომან სამხარაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**ლია გაჩეჩილაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

**აბსტრაქტი**

კიბერ უსაფრთხოება გახდა ერთ ერთი ყველაზე პრიორიტეტული დარგი თანამედროვე სამყაროში. დადასტურებული ფაქტია, რომ უმეტესი მონაცემების მოწყვლადობა საბოლოო მომხმარებლების შეცდომების შედეგია. არ აქვს მნიშვნელობა ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების ცოდნის დონე როგორია, ბევრი რამ საბოლოო მომხმარებელზეა დამოკიდებული. იმისათვის, რომ თანამშრომლების შეცდომების ალბათობა შემცირებულ იქნას, ორგანიზაცია, ხშირად უნდა ჩაატაროს ცნობიერების ამაღლების ტრენინგი.

ხშირად, როდესაც ორგანიზაციები უსაფრთხოების გარე ფაქტორებზე არიან ორიენტირებული, ყურადღების მიღმა რჩება შიდა საფრთხეები. მაგალითად, თუ რომელიმე რიგითმა თანამშრომელმა დაიწყო მომხმარებელთა კონფიდენციალური ინფორმაციის შეგროვება ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებით, ამის აღმოჩენა ხშირად ძალიან რთული, ან სულაც შეუძლებელია. მსგავსი ტიპის საფრთხის დაფიქსირება, მეტწილად დამოკიდებულია სხვა თანამშრომლების მიერ საეჭვო ქცევის აღმოჩენით.

**საკვანძო სიტყვები:** კიბერ უსაფრთხოება, ცნობიერების ამაღლება.

ზოგიერთი თანამშრომელი უყურადღებო, დაუკვირვებელი ან უბრალოდ საბაზო კიბერ საფრთხეებში გაურკვეველია. მათი დაუდევრობა ან საბაზო წესების არცოდნა კი ორგანიზაციას შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს. ეს ყველაფერი კი ძალიან მარტივად შეიძლება მოხდეს, მაგალითად: განყოფილების უფროსის ან გენერალური დირექტორის, მიერ გამოგზავნილ „სასწრაფო" მეილში მიბმული ფაილის გახსნით, კონფიდენციალური დოკუმენტის დაუდევრობით სხვა პირთან გაგზავნით, ან დაგვიანებული პროექტისთვის საჭირო პროგრამული კოდის ორგანიზაციის გარე ღრუბლოვან სივრცეზე ატვირთვით.

ტექნიკური დეტალებიდან ყურადღების ნაწილის ადამიანურ ფაქტორზე გადატანა, თანამედროვე უსაფრთხოების ერთ-ერთი საფუძველია. უფრო მეტიც, ზოგჯერ, არამხოლოდ თანამშრომლების, არამედ მომხმარებლების ცნობიერების ამაღლება, ეხმარება როგორც კომპანიებს ასევე მომხმარებლებს და საბოლოოდ, ისევ კომპანიები რჩებიან მოგებულნი. ამის მაგალითად გამოდგება ორგანიზაცია რომელიც საკრედიტო ბარათებს იყენებს გადარიცხვებისთვის. ამ ორგანიზაციებს ყოველდღიურად დიდი რაოდენობის თაღლითობასთან უწევთ გამკლავება. ამ თაღლითობათა ნაწილის აღმოჩენა მხოლოდ დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად შეიძლება. პრობლემასთან გასამკლავებლად, ეს კომპანიები თანამშრომლებს ცნობიერების ამაღლების კურსებს უტარებენ და ასწავლიან მათ,

თუ როგორ მოიქცნენ თითოეულ შემთხვევის დროს. უფრო მეტიც, მათ იციან, რომ რიგითი მოქალაქეები დროულად უნდა ჩართონ შესაძლო თაღლითობასთან გამკლავების საქმეში. საეჭვო ტრანზაქციის დაფიქსირებისას, შესაძლოა თქვენი ბარათი გაუფრთხილებლად დაიბლოკოს (მაგალითად, არარეალურად დიდი თანხის გადარიხვა აზარტული თამაშების ვებ გვერდზე, როდესაც ამ კონკრეტულ მომხმარებელს მანამდე არასდროს გადაურიცხავს აზარტული თამაშების ვებ გვერდზე მცირე თანხაც კი), მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, საეჭვო ოპერაციის აღმოჩენისას, ოპერატორი მომხმარებელს უკავშირდება და ეკითხება, ნამდვილად მან განახორციელა თუ არა კონკრეტული ტრანზაქცია, მანამდე კი ტრანზაქცია შეჩერებულია. [1]

შიდა საფრთხეებთან ბრძოლის ყველაზე კარგი პრაქტიკა ცნობიერების ამაღლებაა. ცნობიერების ამაღლება კი ტრენინგებით არის შესაძლებელი, მაგრამ ერთჯერადად ჩატარებული ტრენინგი საუკეთესო შედეგს ვერ მოგვცემს. ამისთვის საჭიროა ტრენინგის დაგეგმვა და ყველა კომპონენტის გაანალიზება, რაც ტრენინგთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ცნობიერების ამაღლების კურსის ჩატარების შემდგომ მოხდეს შედეგების გაანალიზება. ანალიზი ეხმარება ორგანიზაციებს, სწორად დასვან საკითხები და განსაზღვრონ სამომავლო მოქმედებები. მაგალითად თუ ცნობიერების ამაღლების კურსის ფარგლებში ჩატარდა გაცნობითი სახის პრეზენტაცია, უნდა მოხდეს შესაბამის პროგრამაში მისი აღწერა და შესაბამისი პრიორიტეტის მინიჭება, ან ეს ყველაფერი პროგრამამ ავტომატურად უნდა გააკეთოს. ასევე უნდა მიენიჭოს პრიორიტეტულობა ყველა ჩატარებულ ქმედებას. ძირითადად ცნობიერების ამაღლების კურსი მოიცავს 3 ძირითად მიმართულებას: 1. თანამშრომლებისთვის მასალების მიწოდება და სიახლეების გაცნობა. 2. პრეზენტაციის ჩატარება და თანამშრომლებთან უშუალო კომუნიკაციის დამყარება რა დროსაც განიხილება კიბერუსაფრთხოების სიახლეები, გამოწვევები და მნიშვნელობა. 3. მიწოდებული მასალისა და პრეზენტაციის ჩატარების შემდგომ, მიღებული მასალის ათვისების და ცოდნის შემოწმება. ცოდნის შემოწმება ძირითადად ხდება მეილზე ფიშინგ წერილების დაგზავნით, რომლის ფარგლებშიც ხდება თანამშრომლების ცოდნის შემოწმება, რამდენად დაკვირვებით გაეცნენ მასალას და წერილის მიღების დროს რა მოქმედება გამოავლინეს. გადავიდნენ თუ არა „ინფიცირებულ“ ბმულზე.

კურსი იყოფა ორ ნაწილად: პირველ შემთხვევაში ხდება თანამშრომლისთვის კურსის ფარგლებში, ინფორმაციის გაცნობა, სწავლება და გამოცდა სამსახურში გამოსაცდელი დროის გასვლამდე. მეორე შემთხვევაში, ხდება თანამშრომლებთან ზემოთ აღნიშნული მოქმედებების გავლა წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ. წლის განმავლობაში ჩასატარებელ სწავლებების, გამოცდის და მასალების მიწოდების სიხშირე განისაზღვრება პროგრამის მიერ. შეყვანილი მონაცემების საფუძველზე პროგრამა ავტომატურად განსაზღვრავს სასურველ გრაფიკს და სიხშირეს თითოეული თანამშრომლისთვის.

პროგრამას ანალიზისთვის სჭირდება პრიორიტეტების განსაზღვრა, ამისთვის მას უნდა მივაწოდოთ ამ მიმართულებების პრიორიტეტები პროცენტულობით:

- მასალების გაცნობა - პრიორიტეტი 25%
- პრეზენტაციის ჩატარება - პრიორიტეტი 30%
- გამოცდა - პრიორიტეტი 45 %

თანამშრომელი რომელიც გაივლის ამ კურსს საბოლოო შედეგი უნდა დააფიქსიროს არანაკლებ 80%. იმისთვის, რომ ცნობიერების ამაღლების კურსი ნაყოფიერი იყოს აუცილებელია კონტროლის მექანიზმების არსებობა, რაც გულისხმობს მასალის გაცნობის

პროცესში განყოფილების ხელმძღვანელის ჩართულობას, რომელიც ადასტურებს, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფმა თანამშრომლებმა მიიღეს არსებული მასალები და გაეცნენ მას. პრეზენტაციის დროს კონტროლერად შემოდის უსაფრთხოების ინჟინერი, რომლის მოვალეობაშია თანამშრომლების აღრიცხვა ვის როდის ჩაუტარდა პრეზენტაცია და დასწრების როგორი დონე იყო. ამას ის პროგრამის მეშვეობით ეცნობა, სადაც ავტომატურად არის აღნიშნული თანამშრომლების აქტივობა. ისევე როგორც პრეზენტაციის დროს, გამოცდის დროსაც უსაფრთხოების ოფიცერია მაკონტროლებელი, რომლის მოვალეობაც არის ყველა თანამშრომელს მიაწოდოს „ფიშინგ“ (ელექტრონული წერილი რომელიც იგზავნება კიბერ-კრიმინალების მიერ. ძირითადად, მეილი წარმოჩენილია როგორც სანდო წყაროსგან მიღებული შეტყობინება და შეიცავს მავნე ბმულს) მეილი.

ანალიზის დროს მონაცემების გაზომვა ძირითადად ხდება 6 თვეში ერთხელ ან წლის ბოლოს, პროგრამის მიერ. 6 თვის შემდგომ შეიძლება დაკორექტირდეს სამი ძირითადი მიმართულების დროს გამოყენებული მასალები. ეს იქნება გასაცნობი მასალები, პრეზენტაციის ჩასატარებელი მასალები და გამოცდის დროს გადასაგზავნი ელ ფოსტის ფორმა. წლის ბოლოს აუცილებელია შეჯამების გაკეთება, წლის განმავლობაში მომხდარი მოვლენების. გამოვლინდება თანამშრომლების მასალის ათვისების კოეფიციენტი და დაიგეგმება მომავალი წლის სამოქმედო გეგმა. აუცილებელია მოხდეს იმ საკითხების ანალიზი, რომლებმაც გამოიწვია თანამშრომლების უმეტესობაში უარყოფითი შედეგის დაფიქსირება. პროგრამის მიერ ცალკე გვერდად გამოჩნდება აღნიშნული საკითხები რაოდენობრივ და პროცენტულ ჭრილში. ამის შემდგომ უნდა გაანალიზდეს თანამშრომლების მხრიდან დაშვებული შეცდომები და მომავალი წლის ჭრილში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ კომპონენტებს.

უსაფრთხოების გუნდმა, ანალიზიდან მიღებული წლის შემაჯამებელი ანგარიშით უნდა მოახდინოს სამი მიმართულებიდან, თითოეული კომპონენტის კორექტირება პროგრამის დახმარებით. თანამედროვე გამოწვევებზე დაყრდნობით, უსაფრთხოების ინჟინერმა უნდა განსაზღვროს რომელიმე მიმართულება ხომ არ გახდა უფრო პრიორიტეტული და შესაბამისად მოახდინოს მისი პრიორიტეტის პროცენტული ცვლილება პროგრამაში, ხოლო პროგრამა ავტომატურად წყვეტს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე გაზარდოს თუ შეამციროს ჩასატარებული სამუშაოების რაოდენობა.

პროგრამის მიერ ბოლო 6 თვეში თანამშრომლებისთვის გაგზავნილი სატესტო ფიშინგ მეილების გრაფიკული გამოსახულება მოცემულია ნახ 1-ზე.




ნახ 1. „ფიშინგ“ ტესტის შედეგი ბოლო 6 თვის განმავლობაში

პროგრამის მიერვე ხდება იმ გრაფიკის შედგენა რომელიც ორგანიზაციას აწვდის ინფორმაციას თანამშრომლების მიერ განხორციელებულ ქმედებაზე. ნახ 2.




ნახ 2. თანამშრომლის მიერ განხორციელებული ქმედება

ფიშინგ მეილების გაგზავნისას აუცილებლად უნდა მოხდეს, წერილის სათანადოდ შედგენა. შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს, ის კომპონენტები რაზეც უშუალოდ საუბარი იყო სწავლების დროს. მაგალითად ნახ 3-ზე მოცემულია სატესტო ფიშინგ წერილირომელიც გაგზავნილია IT გუნდის მიერ, რომელიც სთხოვს მომხმარებლებს გადავიდნენ მოცემულ ბმულზე და გააქტიურონ თავიანთი ელექტრონული ფოსტა.




ნახ 3. „ფიშინგ“ წერილის ნიმუში

თუ თანამშრომელი ყურადღებით არ დააკვირდება აღნიშნულ წერილს ვერ შენიშნავს გამომგზავნის რეალურ და ყალბ მისამართებს.

ცნობიერების ამაღლების სწავლებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თავად პროგრამას და იმ გადაწყვეტილებას რომლის საშუალებითაც ხდება თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მიწოდება, ცალკე სწავლების ვიდეოების ჩართვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ფიშინგ მეილების დაგზავნა. პროგრამამ თავად უნდა გაანალიზოს ყველა ის კომპონენტი, რომელიც უშუალოდ თანამშრომლების ცოდნის დონეს განსაზღვრავს. მაგალითად, მასალების მიწოდების პრინციპი უნდა იყოს შემდეგი: ცალკე სივრცე უნდა გამოიყოს, სადაც განთავსებული იქნება ყველა ის მასალა და ვიდეო, რომელიც თანამშრომელს უნდა მიეწოდოს. პროგრამას დამატებითი მოწყობილობის სახით მიერთებული ექნება დამატებითი სივრცე და უშუალოდ პროგრამის გავლით მოხდება თანამშრომლების დაკავშირება საჭირო მასალებთან. თითოეული თანამშრომელი უნდა დარეგისტრირდეს და მიენიჭოს ინდივიდუალური სახელი და პაროლი, რათა პროგრამამ შეძლოს ამ თანამშრომლების იდენტიფიცირება. საუკეთესო ვარიანტი იქნება თუკი თანამშრომლები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაივლიან ავტორიზაციას, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ უსაფრთხოების მთავარი პრინციპები და პროგრამაზე წვდომისას განსხვავებული პაროლი უნდა იქნას გამოყენებული. ასევე პერიოდულად უნდა იცვლებოდეს ის, რათა თავიდან იქნას აცილებული ყველა საშიშროება უნებართვო წვდომის მოპოვებისა.

მას შემდეგ რაც პროგრამა უზრუნველყოფს თანამშრომლების წვდომას საჭირო მასალებთან, მას შესაძლებლობა ექნება გააანალიზოს თუ რომელი თანამშრომელი გაეცნო კონკრეტულ მასალას და განუსაზღვრავს მას შემდგომ გასაცნობ მასალებს. ეს საშუალებას მისცემს ინფორმაციული უსაფრთხოების გუნდის წევრებს, თანამშრომლის, ერთხელ რეგისტრაციით, საჭირო მასალა მთლიანად მიაწოდოს. ინფომრაციის ფოსტაზე მიწოდება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება საჭირო, როდესაც კრიტიკული სისუსტეები, რომლებიც ძალიან აქტუალური იქნება დროის კონკრეტულ მონაკვეთში და საჭიროებს მყისიერ რეაგირებას, თანამშრომლებს დაეგზავნება ფოსტაზე პროგრამის გამოყენების გარეშე.

ამის გარდა პროგრამა განსაზღვრავს იმ თანამშრომლებს რომლებმაც მიიღეს ფიშინგ წერილი და გადავიდნენ ან შეავსეს სატესტო გარემოში გახსნილი ~~ბმული~~ ყალბი ვებ გვერდი. ამ მოვლენების გათვალისწინებით პროგრამა შეადგენს გეგმას თუ რომელი თანამშრომელი დაუბრუნდება იმ კურსს რომელიც სათანადოდ არ იქნება გაგებულ-აღქმული. მაგალითად, თუ თანამშრომელი მხოლოდ გადავიდა ბმულზე და ყალბ ვებ გვერდზე თავისი პირადი ინფორმაცია არ შეავსო, მას სხვა მასალა მიეწოდება განსხვავებით იმ თანამშრომლისგან, რომელმაც შეავსო თავისი პირადი ინფორმაცია. აღნიშნული მასალის გაცნობის შემდგომ მცირე ტესტირების გავლა მოუწევთ მანამ, სანამ პროგრამა თავიდან გადაუგზავნის ფიშინგ მეილებს.

პროგრამის მუშაობის სქემა მოცემულია ნახ 4-ზე. არსებობს ბაზა, სადაც ჩაწერილია თანამშრომლების სია სამსახურეობრივი მეილებით. ბაზას პირდაპირი წვდომა აქვს სასწავლო მასალებზე, ანუ თანამშრომლები პირდაპირ უკავშირდებიან იმ მასალებს, რომლებიც უნდა




გაიარონ არსებული სწავლების ფარგლებში. განვლილ მასალას აფასებს პროგრამა პროცენტულობის მიხედვით თუ რა რაოდენობის მასალას გაეცნო კონკრეტულად ესა თუ ის თანამშრომელი. 100% გავლის შემდეგ, ანუ მასალის სრულად გაცნობის შემდგომ ხდება მცირე ტესტირება თუ როგორ გაეცნო თანამშრომელი აღნიშნულ მასალას და როგორია მისი ცოდნის დონე. თუ თანამშრომელი შეკითხვების 80% მეტს სწორად უპასუხებს, მაშინ მისი ტესტის შედეგი დადებითია და გადადის შემდეგ საფეხურზე. თუ უარყოფითია, მაშინ ისევ სასწავლო

ნახ 4. პროგრამის მუშაობის არქიტექტურა

მასალებს უბრუნდება, რათა ის მასალები გაიაროს თავიდან, რომელიც ტესტირების დროს უარყოფითად შეფასდა. ამას თვითონ პროგრამა ადგენს თუ რომელი მოდული ჩაურთოს კონკრეტულ თანამშრომელს, რათა მისი ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელი გახდეს. ტესტირების შემდგომ პროგრამა თავად განსაზღვრავს თუ როდის გაეგზავნება ფიშინგ წერილი თანამშრომელს და გაარკვევს მის ცოდნის დონეს. ამ შემთხვევაშიც, ორი ვარიანტი არსებობს, დადებითია შედეგი თუ თანამშრომელი არ გადავა ყალბ ვებ გვერდზე და გაითვალისწინებს ცნობიერების ამაღლების მოდულებში, გამოყენებულ მასალას. უარყოფითი იქნება შედეგი თუ თანამშრომელი გადავა ყალბ ვებ გვერდზე. უარყოფითი შედეგის დაფიქსირების შემდგომ პროგრამა თავიდან უგზავნის იმ მოდულებს, რომელშიც აღწერილია ფიშინგ მეილის ამოცნობა და პირადი ინფორმაციის დაცვისთვის აუცილებელი მოქმედებები. თუ თანამშრომელი წარმატებით გაივლის ფიშინგ ტესტსაც, ამით დასრულდება ცნობიერების ამაღლების

სწავლების ერთი მხარე, და პროგრამა ასეთ თანამშრომელს გადაიყვანს ცალკე არსებულ ბაზაში, სადაც იმყოფებიან ის თანამშრომლები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ტესტირება. ასეთ თანამშრომლებს პროგრამა წელიწადში რამოდენიმეჯერ უგზავნის ფიშინგ მეილებს. პროგრამა მიღებული შედეგების მიხედვით თანამშრომლებს ან აძლევს წვდომას სასწავლო მოდულებზე ან ისე დატოვებს იმ ბაზაში, სადაც დადებითი შედეგის მქონე თანამშრომლები არიან.

ამრიგად, სტატიაში შემოთავაზებულია ინფორმაციული უსაფრთხოების ტრენინგის მნიშვნელობა ორგანიზაციაში და სპეციალური პროგრამის მიერ მაქსიმალური ეფექტის მიღება. პროგრამა გვაძლევს საშუალებას თანამშრომლებს მაქსიმალურად ეფექტურად გავაცნოთ ინფორმაციული უსაფრთხოების პრინციპები და სიახლეები, ასევე შევამოწმოთ მათი ცოდნის დონე, არსებული მასალის გაცნობის შემდგომ.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. https://www.cyberhouse.ge/blog/2021/02/12/
2. https://www.knowbe4.com/
3. https://www.researchgate.net/figure/A-phishing-e-mail-with-all-five-cues_fig1_306927317/
4. Bill Garner Valerie Thomas - Building an information Security awareness Program
5. Rebeca Herold - Managing an Information Security and Privacy Awareness and Training Program

## Planning and automation of information security awareness training

**Giorgi Sakhvadze,**
Doctoral Student, Georgian Technical University
**Mzia Kiknadze**,
Professor, Georgian Technical University
**Roman Samkharadze,**
Professor, Georgian Technical University
**Lia gachechiladze,**
Acoc.Professor, Georgian Technical University

### Abstract

Cyber security has become one of the most priority areas in the modern world. It's a proven fact that most data vulnerabilities are the result of end-user errors. No matter what the level of knowledge of IT specialists, a lot depends on the end user. In order to reduce the probability of employee mistakes, the organization should conduct awareness training frequently.

Often, when organizations focus on external security factors, internal threats are overlooked. For example, if an ordinary employee begins to collect confidential customer information using technical devices, it is often very difficult, if not impossible, to detect it. Detection of this type of threat is largely dependent on the detection of suspicious behavior by other employees.

**Keywords**: cyber security, awareness raising.

## საწარმოს ინოვაციური აქტივობის შეფასების ძირითადი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

**თამარ როსტიაშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
**თეონა აბულაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

ხელსაყრელი პირობების შექმნა სამეწარმეო საქმიანობაში ინოვაციებისთვის - განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ეკონომიკური სუბიექტების მდგრადი განვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია მხოლოდ ინოვაციური აქტივობის გაზრდის შემთხვევაში, რაც ხელს უწყობს საფრთხეების ეფექტურ განეიტრალებას. ცვლის ეკონომიკური გარემოს არასტაბილურობას. თუმცა, ამჟამად, სტატისტიკური კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციური საქმიანობა არასაკმარისია. ეს პირველ რიგში დაკავშირებულია ფინანსური რესურსების ნაკლებობასთან, რაც გამოწვეულია ინოვაციების მაღალი ღირებულებით, ასევე ორგანიზაციების არასაკმარისი პოტენციალით ინოვაციური საქმიანობისთვის. ამ ნაშრომის მიზანი არის საწარმოს ინოვაციური საქმიანობის არსის გაანალიზება და ფინანსური და ეკონომიკური ინდიკატორებით მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის შეფასება. გამოკვლეულია ინოვაციების თეორიის ძირითადი დებულებები, დაზუსტებულია საწარმოს ინოვაციური საქმიანობის, ინოვაციური მგრძნობელობისა და ინოვაციური პოტენციალის ცნებები. შემოთავაზებულია „საწარმოს ინოვაციური პოტენციალის" კონცეფცია როგორც ინოვაციებისადმი მისი მგრძნობელობის ხარისხი. გაანალიზებულია საწარმოების ინოვაციურ საქმიანობაზე გავლენის გარე და შიდა ფაქტორები. ნაჩვენებია კავშირი საწარმოს ინოვაციური პოტენციალის გაზრდასა და მისი ინოვაციური საქმიანობის ზრდას შორის.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაციური აქტივობა, ინოვაციური პოტენციალი, მეწარმეობა, ინოვაციის თეორია, ეფექტურობა.

**ძირითადი ტექსტი**

საინოვაციო საქმიანობის გააქტიურება, როგორც სოციო-ეკონომიკური გადაჭრის საფუძველი ერთ-ერთი გადამწყვეტი ხდება მეცნიერული და ტექნოლოგიური გარღვევით გამოწვეული პრობლემების პირობებში. ბიზნეს სუბიექტების მდგრადი განვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაიზრდება ინოვაციური აქტივობა, რაც ხელს უწყობს საფრთხეების ეფექტურ განეიტრალებას და ეკონომიკური გარემოს არასტაბილურობას. თუმცა, ამჟამად, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული საწარმოების ინოვაციური საქმიანობა არასაკმარისია. საქართველოში ტექნოლოგიური ინოვაციების განმახორციელებელი საწარმოების წილი 8-10%-ია, ხოლო გერმანიაში ეს მაჩვენებელი 65%-ია, შვედეთში - დაახლოებით 50%, დიდ ბრიტანეთში - 40% მეტი. სამრეწველო და მომსახურების საწარმოების ინოვაციური საქმიანობის დონით საქართველოს ეკონომიკა არ აღწევს 10%-ს. ეს მდგომარეობა გამოწვეულია რესურსების ნაკლებობით, მათ შორის ფინანსურით, ინოვაციის

მაღალი ღირებულებით, ასევე არასაკმარისი ინოვაციური ორგანიზაციების პოტენციალის აქტივობებით.

ამრიგად, სამეწარმეო საქმიანობაში ინოვაციისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება განსაკუთრებით აქტუალურია იმ ინდუსტრიებისა და კომპანიებისთვის, რომლებისთვისაც ეს აუცილებელი პირობაა მდგრადი განვითარებისა და მათი ღირებულების ზრდისთვის. ეკონომიკური სუბიექტების ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების შესაძლო მიმართულებები შეიძლება იყოს ინსტრუმენტების განსაზღვრა ინოვაციების პირდაპირი ზემოქმედებისთვის კომპანიების ღირებულებაზე, მათი კრედიტუნარიანობისა და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა. ოპტიმიზაციის ინოვაციური საქმიანობის მართვისა და ინოვაციური პოტენციალის ზრდის უზრუნველსაყოფად საწარმოებისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია ინოვაციის თეორიის თეორიული საფუძვლების შესწავლა, საწარმოთა ინოვაციური საქმიანობისა და ინოვაციური პოტენციალის ცნებების დაზუსტება. საინოვაციო საქმიანობის თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები, ინოვაციები, როგორც თეორიული კატეგორია გამოიკვლია ნ.დ. კონდრატიევმა, ჯ.შუმპეტერმა, თ.იუ. ნიკოლენკომ, D. Ahlstrom და სხვ. მიერ. არსებული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს ინოვაციის თეორიის შემუშავების სამი ეტაპი. ფუნდამენტური ცნებებისა და კატეგორიების ჩამოყალიბება უფრო მეტად ეხება 1910-1930-იან წლებს. 1940-1960 წლებში კვლევაში მეტი ყურადღება დაეთმო საინოვაციო პროცესებში შაბლონების ანალიზს, კრიზისებში ინოვაციური ქცევის ანალიზს და ციკლებს. ინოვაციის თეორიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნ.დ. კონდრატიევმა, რომელიც იკვლევდა ინოვაციების გაჩენისა და გავლენის მაკროეკონომიკურ მიზეზებს. ჯ.შუმპეტერმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინოვაციის თეორიის იდეების განვითარებაში, ინოვაციების ურთიერთობის განსაზღვრაში. კერძოდ: წარმოადგინა ინოვაცია, როგორც იმანენტური მეწარმეობის ფუნქცია; შემოიღო ინოვაციების კლასიფიკაცია (ინოვაციები პროდუქტში, პროცესში, ტექნოლოგიური, ეკონომიკური ინოვაციები და ა.შ.); განსაზღვრა ინოვაციების ადგილი და როლი დინამიკაში ეკონომიკური ციკლები; დაასაბუთა ინოვაციისადმი წინააღმდეგობის გაწევის გარდაუვალობა და მისი დაძლევა წინააღმდეგობა. ნაკლებია მუშაობა ინოვაციური საქმიანობის, მდგრადი განვითარებისა და კომპანიების ინოვაციური პოტენციალის ჩამოყალიბების კავშირზე; ჩვენ აღვნიშნავთ კვლევებს. ასევე ნაკლებად ხშირად განიხილებოდა ურთიერთობა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მის ინოვაციურ საქმიანობას შორის და სამუშაოები ძირითადად სპეციალიზირებულია. შემოთავაზებული კვლევა გამოწვეულია, „საწარმოს ინოვაციური პოტენციალის“ კონცეფციის ერთიანი ინტერპრეტაციის არარსებობით, ასევე მისი ზრდის ფაქტორების ანალიზის მეთოდების არარსებობით.

კვლევის ობიექტია მცირე და საშუალო ბიზნესი. კვლევის საგანია საწარმოს ინოვაციური საქმიანობა. კვლევის მიზანია საწარმოს ინოვაციური საქმიანობის არსის ანალიზი და საწარმოს ინოვაციური საქმიანობის შეფასების ძირითადი ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების დასაბუთება. მიზნის მიღწევა მოიცავს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

1. ინოვაციის თეორიის ფარგლებში „ინოვაციის“, „ინოვაციური საქმიანობის“ და „ინოვაციური პოტენციალის“ ცნებების დაზუსტება.

2. საწარმოს ინოვაციური საქმიანობის ზრდასა და მისი ინოვაციური პოტენციალის ზრდას შორის კავშირის დადგენა.

3. ინოვაციური აქტივობის ზრდაზე მოქმედი ფაქტორებისა და შეზღუდვების ანალიზი საწარმოებში.

4. ინოვაციების დაფინანსების წყაროების ანალიზი და მცირე და საშუალო ბიზნესის საინოვაციო აქტივობის გაზრდის გზების განსაზღვრა.

5. საწარმოთა ინოვაციური საქმიანობის შესაფასებლად და მათი ინოვაციური პოტენციალის ასამაღლებლად ძირითადი ფინანსური და ეკონომიკური ინდიკატორების განსაზღვრა.

შემოთავაზებული კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს ინოვაციის თეორიის ფარგლებში „საწარმოს ინოვაციური საქმიანობის" კონცეფციისა და ინდიკატორების განსაზღვრაში.

**მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის შეფასება.**

**კვლევის მეთოდოლოგია.** კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა ქართველი და უცხოელი ავტორების ფუნდამენტური შრომები. ინოვაციების თეორიის, მდგრადი განვითარების, ფინანსური ანალიზისა და სტატისტიკის სფეროს მიღწევები. ნაშრომში გამოყენებულია გამოთვლითი და ანალიტიკური კვლევის მეთოდები, ფინანსური ანალიზის ნორმატიული მოდელები: ანალიტიკური კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდი, შედარებითი ანალიზი და ფაქტორული ანალიზი.

**უფრო დეტალურად განვიხილოთ ამოცანების გადაჭრის მეთოდები.**

1. **საწარმოს ინოვაციური აქტიურობა და ინოვაციური პოტენციალი, როგორც ინოვაციის თეორიის კატეგორია.** ინოვაციის თეორიას აქვს განმარტებების საკუთარი სისტემა, რომელიც შედგება როგორც უნიკალური ცნებების, ასევე მეცნიერების სხვა დარგების ძირითადი ცნებებისაგან. ინოვაციის თეორიის საკუთარი დეფინიციები უნდა მოიცავდეს კატეგორიებს: „ინოვაციური საქმიანობა", „ინოვაციური აქტიურობა", „ინოვაციური პროცესი", „ინოვაციური პოტენციალი", „ინოვაციური რისკები". ინოვაციების თეორიის სფეროში სამეცნიერო კვლევების დიდი რაოდენობა იწვევს სხვადასხვა ალტერნატიული მოსაზრებებისა და მიდგომების არსებობას, რომელიც არ გვაძლევს ტერმინოლოგიური მრავალფეროვნების დაძლევის, ინოვაციის თეორიის განმარტებების ერთიანი სისტემის შექმნის საშუალებას.

2. **ფაქტორები და შეზღუდვები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საწარმოების ინოვაციურ საქმიანობაზე.** ინოვაციის პროცესი არის „მეცნიერული ცოდნის ინოვაციად გარდაქმნის პროცესი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მოვლენათა თანმიმდევრულ ჯაჭვად, რომელშიც ინოვაცია მწიფდება იდეიდან კონკრეტულ პროდუქტზე, ტექნოლოგიაზე ან სერვისზე და ვრცელდება პრაქტიკული გამოყენება". ინოვაციური პროცესის განხორციელების შესაძლებლობა ასოცირდება საწარმოს რესურსების გარკვეულ კონცენტრაციასთან, ინოვაციური კლიმატის არსებობასთან ქვეყანაში და საწარმოს შიდა ინოვაციურ პოტენციალთან.

3. **ინოვაციების დაფინანსების წყაროები და საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გაზრდის გზები.** ჩვენ გავარკვიეთ, რომ ქართული საწარმოების ინოვაციური განვითარების შემაფერხებელი მთავარი ფაქტორი ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების პრობლემაა. ნებისმიერი სიახლე და მისი განხორციელება დაკავშირებულია სახსრების დამატებით ინვესტირებასთან, ე.ი. ინვესტიცია ინოვაციებში. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, განვითარების დღევანდელ პირობებში საქართველოს ეკონომიკაში საწარმოები შეზღუდული რესურსებისა და კაპიტალის პირობებით. თანამედროვე საწარმოებმა უნდა გაუძლონ სასტიკ კონკურენციას კაპიტალის მოზიდვაში ბიზნესის დასაფინანსებლად და ინოვაციების განვითარებისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, სამეწარმეო და

ინოვაციურობის შენარჩუნებისას. ამ კომპანიების საქმიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს საბაზრო კონკურენციის განვითარებისთვის.

4. **საწარმოს ინოვაციური საქმიანობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი ფინანსური და ეკონომიკური ინდიკატორების განსაზღვრა.** კვლევის წინა ნაწილში ნაჩვენები იყო, რომ ამისთვის ფინანსური შეზღუდვების პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური აქტივობის გასაზრდელად აუცილებელია ფინანსური რესურსების მოზიდვის უნარის გაზრდა. ინოვაციების დაფინანსება. მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სესხის აღების ძირითადი წყაროა საბანკო სესხები და მათი მოზიდვის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საწარმოს საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა, რათა შეინარჩუნოს გადახდისუნარიანობა და ფინანსური სტაბილურობა. საკუთარი თავის მოსაზიდად საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების წყაროების მონიტორინგი მომგებიანობის მდგომარეობა და ბიზნეს საქმიანობა.

**დასკვნა**

ნაშრომი იკვლევს ინოვაციის თეორიის ძირითად დებულებებს, განმარტავს საწარმოს ინოვაციური საქმიანობის, ინოვაციური მგრძნობელობის და ინოვაციური პოტენციალის ცნებებს. სამუშაოს შედეგებზე დაყრდნობით, ინოვაციური გაუმჯობესების ძირითადი გზები საწარმოს საქმიანობა და მისი ინოვაციური პოტენციალის განვითარება. ძირითადი შედეგები რომელიც მითებული იქნა კვლევისას მდგომარეობს შემდეგში:

1. ინოვაციური საქმიანობის ცნება განისაზღვრება, როგორც გამოყენების ინტენსივობის საზომი ინოვაციური პოტენციალი, რომელიც გამოიხატება ინოვაციური საქმიანობის სუბიექტის მიერ განხორციელებული ინოვაციური პროექტების განხორციელების რაოდენობასა და სისწრაფეში.

2. საწარმოს ინოვაციური პოტენციალის ცნება განისაზღვრება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ურთიერთდაკავშირებული რესურსების კომპლექსი, რომელიც გამოიყენება ინოვაციური პროცესში.

3. ნაჩვენებია კავშირი საწარმოს ინოვაციური საქმიანობის ზრდასა და მისი ინოვაციური პოტენციალის ზრდას შორის.

4. გაანალიზებულია საწარმოს ინოვაციურ საქმიანობაზე მოქმედი გარე და შიდა ფაქტორები. ნაჩვენებია, რომ რესურსებისა და ფინანსური შეზღუდვები უარყოფით გავლენას ახდენს რუსულ მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციური პოტენციალის ფორმირების შესახებ ბიზნესი.

5. განიხილება საინოვაციო საქმიანობის დაფინანსების წყაროები და განისაზღვრება მცირე და საშუალო ბიზნესის საინოვაციო საქმიანობის სტიმულირების გზები. ნაჩვენებია, რომ საწარმოს სტაბილური ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფა, მისი გადახდისუნარიანობისა და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფა ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა. საწარმოს ინოვაციური საქმიანობის ზრდა.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. I.A. Rudskaya, D.G. Rodionov, Comprehensive evaluation of Russian regional innovation system performance using a two-stage econometric model. Espacios, 2018, no. 39-4.

2. W. An, Y. Xu, J. Zhang, Resource constraints, innovation capability and corporate financial fraudin entrepreneurial firms. Chinese Management Studies, 2018, no. 12-1, pp. 2-18.

3. S.M. Talerchik, A.A. Zaytsev, Innovatsionnaya ustoychivost kak klyuchevoy faktor uspeshnogorazvitiya regiona [Innovative sustainability as a key factor in the successful development of the region]. Izvestiya Mezhdunarodnoy akademii agrarnogo obrazovaniya, 2015, no. 25, pp. 238-243. (rus)
4. R.P. Maradana, R.P. Pradha, S. Dash, et al., Does innovation promote economic growth? Evidence from European countries. Journal of Innovation and Entrepreneurship, 2017, no. 13-1, pp. 1-23.
5. A.A. Zaytsev, S.M. Talerchik, Klasternaya politika regiona kak osnova ego innovatsionnoy ustoychivosti [Cluster policy of the region as the basis for its innovative sustainability]. Skvortsov V.N. (Ed.). Problemy i puti sotsialno-ekonomicheskogo razvitiya: gorod, region, strana, mir [Problems and ways of socio-economic development: city, region, country, world]. St. Petersburg, LGU, 2016, pp. 138-142. (rus)
6. Y.A. Dubolazova, Y.Y. Kuporov, A.V. Kochman, Evaluation of the current state and potential of innovative development of the enterprise. Proceedings of 33 International Business Information Management Association Conference (IBIMA), 2019, pp. 3812-3817. rd
Ю.М. Асатурова, А.В. Кошман DOI: 10.18721/JE.13407
7. N.D. Kondratyev, Bolshie tsikly ekonomicheskoy konyunktury [Big cycles of the economic environment]. Kondratyev N.D. Problemy ekonomicheskoy dinamiki [Economic dynamics problems]. Moscow, Ekonomika, 1989, pp. 172-226.(rus)
8. J.A. Schumpeter, The theory of economic development: an inquiry into profits, capital, credit, interest, and the business cycle. Cambridge,Harvard University Press,1934.255 p.

# Substantiation of Key Financial and Economic Indicators for Assessing the Innovative Activity of an Enterprise

**Tamar Rostiashvili**
Associate Professor, Georgian Technical University
**Teona Abuladze,**
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

Creation of favorable conditions for innovation in entrepreneurial activity is one of the key factors in the formation of a developed market economy. Sustainable development of economic entities in the long term is possible only with accelerating innovative activity, contributing to the effective elimination of threats and instability of the economic environment. However, at present, based on the results of statistical studies, we can conclude that the innovative activity of Russian small and medium-sized businesses is insufficient. First of all, this is due to the lack of financial resources, the high cost of innovations, as well as the insufficient potential of organizations for innovative activities. The purpose of this study is to analyze the essence of the innovative activity of an enterprise and to substantiate key financial and economic indicators that assess the innovative activity of small and medium-sized businesses. The paper investigates the main provisions of the theory of innovation, clarifies the concepts of innovative activity, innovative susceptibility and innovative potential of an enterprise. We introduce "innovative potential" of an enterprise as the degree of its susceptibility to innovation and analyze the external and internal factors influencing the innovative activity enterprises. The relationship between the increase in the innovative potential of the enterprise and the growth of its innovative activity is shown.

**Keywords:** innovative activity, innovative potential, entrepreneurship, theory of innovation, efficiency

# პროფესიული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია საქართველოში

**ჩიკვილაძე ნინო,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
**ბერიძე თამარი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**დევიძე თამარი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
**გოდერძიშვილი ბელა,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**აბსტრაქტი**

ბიზნესსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებულ ხარისხიან პროფესიულ განათლებას საჭიროებს ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც შესწევს გამოწვევების შესაბამისი მოქნილი ადეკვატური რეაგირების უნარი, რაც განაპირობებს პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მორგებას, გლობალურად საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას, უცხოეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას ჩვენს რეალობასთან და სახელმწიფოსა თუ რეგიონალური მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის და საჯარო - კერძო პარტნიორობის როლის და ჩართულობის გაძლიერებას.

**საკვანძო სიტყვები:** პროფესიული განათლება, შრომის ბაზარი, დუალური სწავლება.

პროფესიული განათლების სახელმწიფო მართვის სრულყოფა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან პროფესიული განათლება წარმოადგენს წარმატებული ეკონომიკის საფუძველს, სადაც საზოგადოებას შეუძლია ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე პროფესიული უნარების შეძენა, განახლება, რაც ხელს შეუწყობს პიროვნების დამკვიდრებას და სოციალიზაციას, ამიტომ მისი უპირველესი და უმთავრესი მიზანია ხარისხიანი განათლებისა და ყველა დაინტერესებული პირის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პროფესიული განათლების სისტემის მართვა ჩვენს ქვეყანაში არ არის ეფექტიანი შესაბამისი რესურსების სიმცირის გამო, ასევე, არ ხორციელდება ინტენსიური ანალიზი და შეფასება, რადგან ჯერ კიდევ გადასაჭრელია პროფესიული განათლების სისტემის სამართლებრივი, ნორმატიული, კანონქვემდებარე და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები, ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა რეგიონულ ჭრილში არასისტემური და არასრულყოფილია და ყოველივე ეს განაპირობებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილის შეუსაბამობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, შედეგად ვღებულობთ შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსს.

პროფესიული განათლება ერთიანი საბჭოთა სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მუდმივ პრობლემას არასრული კონტინგენტი და მისი შევსება წარმოადგენდა. საჯარო სკოლები პროფესიულ სასწავლებლებში იმ კონტინგენტის გაგზავნას ცდილობდნენ, რომელთაც შედარებით დაბალი აკადემიური მოსწრება ჰქონდათ. ამ ტრადიციამ საბჭოთა პროფესიულ განათლებიდან დღევანდელ რეალობაშიც გადმოინაცვლა და მიუხედავად მთელი რიგი რეფორმების და იმიჯის ამაღლების

ღონისძიებების გატარებისა, ბოლო პერიოდამდე, პროფესიულ განათლებას განიხილავდნენ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთათვის სწავლის გაგრძელების ალტერნატივად.

ბოლო წლების განმავლობაში პროფესიული სასწავლებლებისადმი დამო- კიდებულება რადიკალურად შეიცვალა. სხვადასხვა საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, დღეს ქვეყანაში არაერთი პროექტი ხორციელდება, რომელთა დანიშნულებას პროფესიული განათლების სექტორის განვითარება წარმოადგენს. პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში მრავალი ინიციატივა და ცვლილება ხორციელდება, თუმცა, მთავარი შედეგებია და არა ინიციატივებისა და ცვლილებების რაოდენობა.

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-ს ცვლილებების გათვალისწინებით, 2021 წელს პირველად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების ჩარიცხვა ორი ფორმით განხორციელდა: შესაბამისი უწყების მიერ ორგანიზებული ტესტირებისა და დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად. ჩარიცხვის ახალი წესი მოქნილია და მორგებულია კოლეჯებზე. მიმღები კომისიები დაკომპლექტებულია კოლეჯის ადმინისტრაციის წევრებისა და დარგის სპეციალისტებისაგან(პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან), რომლებიც ახორციელებენ გადაწყვეტილების მიღებას კანდიდატის ჩარიცხვის შესახებ პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად. ამ ტიპის შერჩევა მეტწილად განაპირობებს მოტივირებული, სწავლაზე ორიენტირებული სტუდენტების ჩარიცხვას კოლეჯებში, თან გარკვეულწილად ამცირებს არამოტივირებული სტუდენტების რაოდენობას.

სრულიად განსხვავებულია დამსაქმებელთა ჩართულობა პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით. დამსაქმებლები მონაწილეობენ ცენტრის მართვაში მიმდინარე სასწავლო-საწარმოო პროცესში, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი პროფესიული პროგრამების განსაზღვრის პროცესში. ხშირად, კოლეჯები თავად ახორციელებენ მინი საწარმოებში სხვადასხვა სერვისებს, სადაც სტუდენტები პრაქტიკული სწავლების ძირითად ნაწილს გადიან და რეალურ გარემოში ივითარებენ შესაბამის უნარებს. მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსული არასაბიუჯეტო თანხები, რითაც ხდება დაწესებულებების ფინანსური გაძლიერება და დამოუკიდებლობის დონის გაზრდა.

პროფესიულ განათლებას ჩვენს ქვეყანაში უამრავი გამოწვევა აქვს, თუმცა მათგან ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა საგანმანათლებლო პროგრამების შეუსაბამობა შრომის ბაზრის საჭიროებებთან. გამოსავალი ისეთი მექანიზმების შემუშავება/დანერგვაა, რომლებიც დააკავშირებენ დამსაქმებელთა ინტერესებს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სწორედ, ასეთად მიგვაჩნია სწავლების ინოვაციური მიდგომა - დუალური სწავლება.

დუალური სწავლების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი არის პრაქტიკაზე ორიენტირება. სწავლების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულება და კომპანია ინაწილებს პასუხისმგებლობას სტუდენტის მომზადებაზე. პროგრამის პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან/და მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. ევროპის მრავალი ქვეყნის წარმატებული მაგალითი აჩვენებს და ადასტურებს, რომ დუალური სწავლების წარმატებული განხორციელებისთვის, აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობის ნება სახელმწიფო სტრუქტურებს, კერძო სექტორსა და დარგობრივ ასოციაციებს, სოციალურ პარტნიორებს შორის. ეს ერთ-ერთი გზაა ქვეყნის სოციალურ-

ეკონომიკური წარმატების.

საზოგადოებაში ჯერ კიდევ გამოწვევად დგას პროფესიული სწავლებისადმი არსებული დამოკიდებულების არსებითად შეცვლის მიდგომა, რადგან აშკარად დომინირებს გასული პერიოდის სტერეოტიპები. საზოგადოებას ჯერ კიდევ ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული, რას ნიშნავს გქონდეს თეორიული, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენისა და განვითარების შესაძლებ- ლობა, შედარებით მოკლე პერიოდში კვალიფიკაციის მიღებისა და დასაქმების შანსი. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურების ჩართულობა და როლი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს ევროპის წარმატებული ქვეყნების მაგალითები, სადაც პროფესიული განათლება ისეთივე პრესტიჟული და წარმატებულია, როგორიც უმაღლესი განათლება. შესაბამისად, კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივაც მაღალია.

ამ კუთხით მენტალური პრობლემები განსაკუთრებით შესამჩნევი და აქტუალურია ქვეყნის რეგიონებში. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცდილობს მიიღოს უმაღლესი განათლება, თუმცა, შემდგომში ვერ ახერხებს დასაქმდეს სპეციალობით ან საქმდება არასპეციალობით, შესაბამისად, ვერ ახერხებს მიღებული ცოდნის რეალიზაციას, ვერ ყალიბდება პროფესიონალად. რეგიონის მოსახლეობის ნაწილი განათლების არქონის გამო, ცდილობს თვითონ დაეუფლოს სხვადასხვა ხელობას მომავალში დასაქმების მიზნით. შედეგად, გვყავს დაუსაქმებელი უმაღლესი განათლების მქონე დიპლომირებული კონტინგენტი, რადგან არ არის იმდენი სამუშაო ადგილი, რამდენიც მსურველია. ქვეყანაში რეალურად არის იმ პროფესიული კადრების ნაკლებობა, რაც მოთხოვნადია.

საყურადღებოა ის ფაქტორები, რომ ლებიც შესაძლოა იწვევდნენ სტუდენტთა მიერ სწავლის შეწყვეტა/შეჩერებას, საინტერესოა, ასევე, რა არის მიზეზი იმისა, რომ სკოლის დასრულების შემდეგ მოსწავლე უმაღლეს სასწავლებელში ვერ ხვდება, მაგრამ ის მაინც არ მიმართავს პროფესიულ სასწავლებელს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი დამსაქმებლის მოტივირებისა და ჩართულობის გაზრდის მიმართულებით ინკლუზიური პროფესიული განათლების ყველა ეტაპზე, რათა შესაძლებელი გახდეს მიღებული პროფესიული უნარ-ჩვევების რეალიზება და გაიზარდოს დასაქმება. აუცილებელია პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისხელშეწყობა იყოს როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტი, ასევე იყოს პრიორიტეტი უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობის, რეგიონული მმართველობის დონეზე, რადგან პროფესიული განათლების საქმიანობის არეალი, მიზნები, ამოცანები და შედეგები პირდაპირ თუ არაპირდაპირ კავშირშია ჩვენი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ასპექტებთან.

საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერების მიმართულებით, აუცილებელია გაფართოვდეს მასშტაბები და განხორციელდეს უფრო მეტი დამსაქმებლის, ბიზნეს ასოციაციების, გაერთიანებების, დარგის ექსპერტების, სპეციალისტების მოზიდვა/ჩართულობა პროფესიულ განათლებაში. ეს კი უპირობოდ მოქნილს გახდის პროფესიულ სწავლებას და მყისიერ რეაგირებას მოახდენს ბიზნეს სექტორისმოთხოვნებზე.

ასევე, 1.სასურველია კოლეჯების მართვისა და დაფინანსების დიფერენცირებული მოდელების შემუშავება უცხოური გამოცდილების საფუძველზე. 2. აუცილებელია სწორი, გამართული პროფესიული სწავლების სისტემის ამოქმედება; 3.სასურველია პროფესიული განათლების ეფექტიანად განხორციელებისათვის, შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და უზრუნველყოფის მიზნით არასაბიუჯეტო და საბიუჯეტორესურსების ოპტიმიზაცია(დაწესებულების განვითარებისათვის ორგანიზაციის სტრუქტურული

ერთეულების ჩართულობით). მნიშვნელოვანია საჯარო-კერძო პარტნიორობის გასამლიერება, პროფესიული განათლების ხარისხი; 4.გასაუმჯობესებელი მექნიზმების ამოქმედების აუცილებლობა, დუალური პროგრამების დანერგვის მასშტაბების გაფართოების და ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარების დონის ამაღლების ხელშეწყობა; 5.რეგიონებში პროფესიონალი, კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მოზიდვის აუცილებლობა, პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე მუშაობა.

პროფესიული განათლების იმიჯი საკმაოდ დაბალია. ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობაა საჭირო. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადმინისტრაციული ერთეულების, ბიზნესის, სოციალური პარტნიორების ჩართულობა, პროფესიული სწავლების განვითარების მიმართულებით. აგრეთვე, საჯარო-კერძო პარტნიორობაზე დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა რეგიონული კუთხით, რაც თავის მხრივ, მხოლოდ პროფესიული განათლების სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფის გზითაა შესაძლებელი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლებისათვის, დაგეგმვის გზამკვლევი, 2018
2. რეკომენდაციები და განმარტებები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით, 2020
3. პროფესიული განათლების რეფორმა, 2020 წლის ანგარიში
4. გიგიბერია ი. პროფესიული განათლების როლი და მნიშვნელობა ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროს განვითარებაში, სადისერტაციო ნაშრომი, 2018
5. https://eqe.ge/ka/page/static/79/profesiuli-ganatleba

**Quality assurance strategy of professional education in Georgia**

**Nino Chikviladze,**
Associate Professor, Georgian Technical University
**Tamari Beridze,**
Professor, Georgian Technical University
**Tamari Devidze,**
Associate Professor, Georgian Technical University
**Bella Goderdzishvili**
Associate Professor, Georgian Technical University

**Abstract**

Active involvement and support of the state at all stages of development of professional education, involvement of local self-government and regional government, administrative units in professional education, business and social partners, implementation of professional educational programs based on public-private partnership, as well as increasing access to professional education, especially in the regions, can be achieved only by perfecting the state management system of professional education.

**Keywords:** professional education, labor market, dual education.

## ეროვნულ ვალუტაზე მოქმედი მაკროეკონმიკური ფაქტორები

**ბაკურ ქრისტესიაშვილი,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

ამ ნაშრომის ძირითადი მიზანია რომ უკეთესად დაგვანახოს ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესები და მათი გავლენა ლარის კურსზე.

ძალიან ბევრი იწერება ბოლო დროს აღნიშნულ საკითზე, წერენ გაზეთები, ინტერნეტ ბლოგერები, ეკონომისტები თავიანთ შეხედულებებს გვიზიარებენ, მსჯელობა და დებატები მიმდინარეობს ტელევიზიებში და საბოლოოდ მაინც თითუელი საქართველოს მოსახლისთვის ტოვებს გაუგებრობის შეგრძნებას, რადგან პოლიტიკოსები მხოლოდ კარგ, ელექტორატისთვის მისაღებ ინფორმაციას ამჟღავნებენ ხოლო ოპოზიციურად განწყობილი ექსპერტები მხოლოდ უარყოფით და ხშირად მხოლოდ ისმის კრიტიკა კრიტიკისთვის. ქვემოთ ჩემს მიერ მოყვანილი მონაცემებით შევეცდები ავხსნა ლარის კურსზე რა მაკროეკონომიკური ფაქტორები ახდენს გავლენას. ასევე ვისაუბრებთ ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკაზე და განვიხილავთ თუ რა შეუძლია გააკეთოს ცენტრალურმა ბანკმა რომ შეინარჩუნოს დაბალი ინფლაცია, დაბალი უმუშევრობის დონე და მაღალი ეკონომიკური ზრდა.

**საკვანძო სიტყვები:** ლარის კურსი, ექსპორტი, იმპორტი, ფულადი გზავნილები, რუსეთის წილი გზავნილებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ტურიზმი.

### ძირითადი ტექსტი

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2022 წლის იანვარი-მაისი (ექსპრეს მონაცემები) 2022 წლის იანვარ-მაისში საქართველოში საქონლით **საგარეო სავაჭრო ბრუნვამ** (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) **6 913.3 მლნ. აშშ დოლარი** შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 37.0 პროცენტით მეტია. აქედან, **ექსპორტი 2 091.9 მლნ. აშშ დოლარი** იყო (36.2 პროცენტით მეტი), ხოლო **იმპორტი 4 821.4 მლნ. აშშ დოლარი** (37.3 პროცენტით მეტი). **უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2022 წლის იანვარ-მაისში 2 729.5 მლნ. აშშ დოლარი** და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 39.5 პროცენტი შეადგინა.

**ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ**
**2017-2022 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠ-ᲛᲐᲘᲡᲨᲘ**




ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ექსპორტ-იმპორტის, საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და სალდოს მდგომარეობას 2017-2022 წლებში.

**საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2017-2022 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)**

| წელი | თვე | ექსპორტი | იმპორტი | ბრუნვა | სალდო |
|---|---|---|---|---|---|
| 2017 | წელი | 2 745.7 | 8 057.2 | 10 802.9 | -5 311.4 |
| 2018 | წელი | 3 379.7 | 9 361.8 | 12 741.5 | -5 982.1 |
| 2019 | წელი | 3 798.4 | 9 519.2 | 13 317.6 | -5 720.8 |
| 2020 | წელი | 3 343.4 | 8 052.9 | 11 396.3 | -4 709.4 |
| 2021* | წელი | 4 242.3 | 10 105.1 | 14 347.4 | -5 862.8 |
| 2022* | წელი | 2 091.9 | 4 821.4 | 6 913.3 | -2 729.5 |
| | იანვარი | 331.3 | 800.8 | 1 132.2 | -469.5 |
| | თებერვალი | 429.0 | 1 018.7 | 1 447.7 | -589.6 |
| | მარტი | 411.4 | 925.6 | 1 337.0 | -514.2 |
| | აპრილი | 415.7 | 957.0 | 1 372.7 | -541.3 |
| | მაისი | 504.4 | 1 119.3 | 1 623.7 | -614.9 |

როგორც ზემოთ აღნიშნული ცხრილიდან ვხედავთ  გასულ 2021 წელს საქართველოს ექსპორტი 900 მილიონი დოლარით (27%), 4.2 მილიარდამდე გაიზარდა. ექსპორტში კვლავ პირველ ადგილზეა ჩინეთი, სადაც 615.6 მილიონის საქონელი გავიდა. ჩინეთში ექსპორტის მატებამ 29% შეადგინა. უფრო მაღალი ტემპით - 38%-ით გაიზარდა ექსპორტი რუსეთში და მან $610 მილიონს მიაღწია, შედეგად, რუსეთმა აზერბაიჯანი ჩამოიტოვა და საქართველოს მეორე უმსხვილესი საექსპორტო ბაზარი გახდა.

ჩინეთის ბაზარზე საქართველოს მთავარი საექსპორტო საქონელი სპილენძის მადნები და კონცენტრატებია, რომლებზეც მთლიანი ექსპორტის 80% (497 მილიონი დოლარი) მოდის; თავის მხრივ, ეს პროდუქცია ასევე 80%-ით რეექსპორტს წარმოადგენს და ის ძირითადად, საქართველოში დამზადებული საქონელის ექსპორტი არაა. შესაბამისად, ჩინეთში ექსპორტის უდიდესი ნაწილი ქართული საქონლის ექსპორტი არაა.

რუსეთში საქართველოს მთავარი საექსპორტო საქონელი ფეროშენადნობებია, რომლის ექსპორტიც რუსეთში გასულ წელს 172 მილიონ დოლარამდე (59%-ით) გაიზარდა. რუსეთში ექსპორტში მეორე ადგილი ღვინოებზე მოდის, რომლის ექსპორტიც 131 მილიონი დოლარი (ზრდა 10%) იყო.

საქართველოს მესამე უმსხვილესი საექსპორტო ბაზარი არის აზერბაიჯანი, სადაც გასულ წელს 532 მილიონის ღირებულების საქონელი გავიდა. აქედან 248 მილიონი მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტზე მოდიოდა.

უფრო დეტალურად, საქართველოს მთავარი საექსპორტო ქვეყნების რეიტინგი ასე გამოიყურება:

1. ჩინეთი - 615.6 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 29%;
2. რუსეთი - 610.0 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 38.3%;
3. აზერბაიჯანი - 531.7 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 20.5%;
4. თურქეთი - 322.2 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 69.1%;
5. უკრაინა - 307.3 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 41.3%;
6. სომხეთი - 256.7 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 36.9%;
7. ბულგარეთი - 253.9 მილიონი დოლარი, კლება წინა წელთან 18.8%;
8. აშშ - 194.7 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 143.2%;
9. ყაზახეთი - 96.2 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 102%;
10. ესპანეთი - 89.3 მილიონი დოლარი, მატება წინა წელთან 6.7%.

რაც შეეხება ქვეყნების ჯგუფებს, ევროკავშირში ქართული ექსპორტი გასულ წელს მხოლოდ 3%-ით გაიზარდა და 717 მილიონს მიაღწია, რაც მთლიანი ექსპორტის 16.9% იყო. დსთ-ში კი ექსპორტის მატება 34%-ს შეადგენდა და 2 მილიარდი დოლარი იყო, რაც ექსპორტის 47.6%-ია.

ევროკავშირში ექსპორტი მაქსიმალური ოდენობის 2019 წელს იყო და 805 მილიონ დოლარს შეადგენდა. ამავე წელს EU-ს წილი მთლიან ექსპორტში 21.2% იყო, 2020 წელს ის 20.8%-მდე შემცირდა, ხოლო 2021 წელს კი დამატებით 16.9%-მდე იკლო.

გასულ წელს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო საქონელი ევროკავშირის ბაზარზე სპილენძის მადნები და კონცენტრატები იყო, რომელიც სინამდვილეში ძირითადად რეექსპორტს წარმოადგენს. ამ საქონლის ექსპორტი EU-ს ბაზარზე 315 მილიონს შეადგენდა, რაც ევროკავშირში ექსპორტის 44%-ია, მეორე ადგილს $80 მილიონით თხილის ექსპორტი იკავებს.

**თავი 2**. ფულადი გზავნილები საქართველოში

***აღსანიშნავია, რომ სასაქონლო ექსპორტის შემდეგ, საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ მთავარი წყაროა ფულადი გზავნილები***

საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყარო სწორედ, ემიგრანტების მიერ სამშობლოში გამოგზავნილი თანხებია. მათი მიღება სამ დაწესებულებაში შეგვიძლია: ბანკებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ფულადი გადარიცხვების განმახორციელებელ სხვა დაწესებულებებში. ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების რეგისტრაციას და მონიტორინგს საქართველოს ეროვნული ბანკიხელმძღვანელობს.

საქართველოს ისტორიაში 2021 წელს ყველაზე დიდი რაოდენობის ფულადი გზავნილები განხორციელდა და მთლიანი წლის წმინდა ფულადი გზავნილების (სხვაობა ჩარიცხულ და გაგზავნილს თანხებს შორის) მოცულობამ შეადგინა 2 032,6 მილიონი აშშ დოლარი, რაც 24%-ით მეტია წინა წელთან შედარებით ($1 639,1 მილიონი). ეს ზრდა განპირობებული იყო იტალიიდან, საბერძნეთიდან, აშშ-დან და რუსეთის ფედერაციიდან გზავნილების ზრდით. 2021 წლის დასაწყისიდან საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების რაოდენობა ყოველ თვეში $100 მილიონს აჭარბებდა, ხოლო ივნისის თვიდან მაჩვენებელი $200 მილიონს გადასცდა, რაც აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს




| | 2012 წ | 2013 წ | 2014 წ | 2015 წ | 2016 წ | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ | 2021 წ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარიცხვა | 1,334 | 1,477 | 1440 | 1079 | 1153 | 1387 | 1579 | 1733 | 1885 | 2349 |
| გადარიცხვა | 108 | 155 | 178 | 170 | 194 | 209 | 229 | 237 | 246 | 316 |

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიცილაური მონაცემებით, 2021 წელს რუსეთიდან საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების შეადგენს 411,37 მილიონ აშშ დოლარს, რაც საერთო ფულადი გზავნილების 17,5%-ის ტოლია და 1.8%-ით ჩამორჩება წინა

წლის მაჩვენებელს (2020 წელს რუსეთიდან გამოგზავნილი ფულადი მასალების წილი საერთო ფულად გზავნილებში 19,3% იყო). (იხ.სურათი 2)

2021 წელს საქართველოში უცხოური არხებით შემოსული თანხებიდან ყველაზე მეტი – 411,37 მლნ აშშ დოლარი რუსეთის ფედერაციიდან, 385,74 მლნ აშშ დოლარი იტალიიდან, 284,3 მლნ აშშ დოლარი აშშ-დან, 240 მლნ აშშ დოლარი საბერძნეთიდან გადმოირიცხა.

ბოლო დროინდელმა რუსეთ უკრაინის ომმა და რუსეთიდან ჩამოსულმა ტურისტებმა თუ საცხოვრებლად გადმოსულმა მოქალაქეებმა რათქმა უნდა თავისი როლი ითამაშეს გზავნილების ზრდაში და 2022 წლის წინასწარი 6 თვის მონაცემებით რუსეთიდან მარტო ამა წლის 6 თვეში შესრულდა 518 მილიონ აშშ დოლარზე მეტი გადმორიცხვა რაც უკვე აღემატება 2021 წლის რუსეთიდან მთლიან გადმორიცხვებს.




**თავი 3**. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (FDI) არის ინვესტიცია საზღვარგარეთის ქვეყანაში დაფუძნებული სუბიექტის მიერ მშობლიურ ქვეყანაში ბიზნესის შექმნის მოტივით ჩადებული ფულადი სახსრები.

FDI-ს შეუძლია ხელი შეუწყოს და შეინარჩუნოს ეკონომიკური ზრდა, როგორც მშობლიურ ქვეყანაში, ასევე ინვესტიციების განხორციელების ქვეყანაში. განვითარებადი ქვეყნები იზიდავენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, როგორც ახალი ინფრასტრუქტურული მშენებლობების დაფინანსების წყაროს და ადგილობრივი სამუშაო ადგილების გაზრდის ეფექტურ საშუალებას.

მეორეს მხრივ, მულტინაციონალური კომპანიები სარგებლობენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, და მათ ეძლევათ საერთაშორისო ბაზრებზე გაფართოების შესაძლებლობა.

საქართველოში ისევე როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში „პუი" -ს განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება რადგან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გარდა მხოლოდ ფულადი ნაკადის შემოდინებისა ქმნის სამუშაო ადგილებს ესეიგი ამცირებს უმუშევრობის დონეს, შემოაქვს ტექნოლოგიები და ცოდნა, ასევე შესაძლებელია ზოგიერთი პუი-ს მიზანი იყოს საქონლის ექსპორტზე გატანა რაც ხელს უწყობს სავაჭრო ბალანსის დინამიკის გამოსწორებას. ასევე როგორც ყველა სხვა ბიზნესი იხდის გადასახადებს ბიუჯეტში.

2021 წელს საქართველოში წინა წელთან შედარებით 2-ჯერ მეტი ინვესტიცია შემოვიდა. ეს განპირობებული იყო 2020 წლის კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებით.

წინა წელს საქართველოში 1 მილიარდ 152 მილიონზე მეტი დოლარი შემოვიდა პუი-ს სახით. გაზრდილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამივე კომპონენტი.

1. სააქციო კაპიტალი
2. რეინვესტიცია
3. სავალო ვალდებულები




მთლიან ინვესტიციებს შორის 2021 წელს

**რეინვესტიციებმა 66 %** შეადგენა (760 მილიონი აშშ დოლარი)

**სააქციო კაპიტალის 15%** (175 მილიონი აშშ დოლარი)

**სავალო ვალდებულები 19%** (217 მილიონი აშშ დოლარი)

2022 წელს წინასწარი 1 კვარტლის მონაცემებით საქართველოში განცორციელდა 568 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, რაც რეკორდული მაჩვენებელია დამოუკიდებელ საქართველოს ისტორიაში.

**თავი 4**. ტურიზმი საქართველოში

ტურიზმი დღევანდელ სამყაროში ერთ ერთი მთავარი ინდუსტრია.

მსოფლიოში 2019 წელს მშპ-ს 10.4 % მოგზაურობა & ტურიზმმა დააგენერირა.

ასევე დასაქმებულთა რაოდენობამ გადააჭარბა 334 მილიონს რაც ასევე 10%ია გლობალური სამუშაო ძალის მქონე ადამიანთა. ასევე მეტად თვალსაჩინოა რომ 2014-2019 წლებში ¼ (ყოველი მეოთხე) სამუშაო ადგილი ზუსტად ტურზმში შეიქმნა.

როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზე ვხედავთ მსოფლიოში მოგზაურობა და ტურიზმი შეადგენს 9 ტრილიონ 170 მილიარდ დოლარს. კოვიდ პანდემიამ ყველაზე მეტად ზიანი კი ტურისტულ ბიზნესს მიაყენა და მსოფლიო ეკონომიკის 10,4 % დან შემცირდა 5,5 %- მდე. (4 ტრილიონ 671 მილიარდემდე)




ასევე ნათლად შეგვიძლია დავინახოთ რომ 2011-2019 წლებში ტურიზმის ზრდა აღემატებოდა მსოფლიო ეკონომიკის ზრდას 9 წლის განმავლობაში.ასევე კოვიდ პანდემიამ ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა ტურიზმს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და გადააჭარბა 2008 წელს დაწყებული მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს.

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ტურისტული ქვეყანაა. ვიზიტორებისთვის ერთგვარი აღმოჩენა, რომელიც თავისი პოტენციალითა და მრავალფეროვნებით ქვეყნის განმეორებით მონახულების სურვილს აღძრავს.

ტურიზმმა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 18.8%-ს დააგენერირა 2019 წელს. (3,3 მილიარდი დოლარი) ბოლო წლებში საქართველოში მასობრივი ტურიზმი განვითარდა, რომელიც ტურისტების რაოდენობის ზრდაზე, დაბალ და საშუალო გადამხდელუნარიანი ტურისტების მოზიდვაზე, ერთიდაიგივე ტურისტული ბილიკების გავლაზე იყო ორიენტირებული.

ტურიზმი როგორც საქართველოში ყველაზე დიდი ინდუსტრია დიდ როლს თამაშობს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში.

2017 წლიდან ბოლო 5 წელი საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოში იზრდება 4.36 % რაც უფრო მაღალია ვიდრე ბოლო 9 წლის განმავლობაში როდესაც საშუალოდ 3,584% იზრდებოდა საქართველოს ეკონომიკა რაც მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის ტემპით 62 ადგილზე ვიმყოფებით. სამწუხაროდ მსოფლიო ბანკის მონაცემებით ბოლო 9 წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდით გვისწრებს ისეთი ქვეყნები როგორიცაა სომალი, მაურიტანიის რესპუბლიკა,ბოცვანა,პაპუა ახალი გვინეა, ასევე ჩვენს რეგიონში მყოფი ქვეყნები, როგორციაა სომხეთი, მოლდოვა, და თურქეთი 5.762 პროცენტით.

უდაოა საქართველოს აქვს პოტენციალი ჰქონდეს მაღალი ეკონომიკური ზრდა.

ზუსტად ერთ ერთი ფაქტორი რითაც ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ მაღალ ეკონომიკურ ზრდას არის საქართველოს მწარმოებელ ქვეყნად პოზიციონირება. ჩვენ კარგად გვაქვს

გააზრებული რომ საქონლისა და მომსახურების ტიპის მიხედვით გვაქვს 2 ტიპის სახელმწიფოები. ესენია მომხმარებელი და მწარმოებელი ქვეყნები. საქართველო სამწუხაროდ პირველ კატოგორების ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. იმისთვის რომ საქართველო გადაიქცეს მწარმოებელ ქვეყანად საჭიროა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც ჩვენ წინა თავში მიმოვიხილეთ. ხოლო იმისთვის რომ ინვესტორები შემოვიდნენ საქართველოში და გააკეთონ კაპიტალ დაბანდება საჭიროა ქვეყნის როგორც წარმატებული, უსაფრთხო და ბიზნესზე მაქსიმალურად მორგებული ლიბერალურ ქვეყნად წარმოჩენა. ამის მიზნის მისაღწევად საჭიროა აქტიური მუშაობა საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. ასევე აუცილებელია ტურისტების მოზიდვა რათა ამაღლდეს ჩვენი როგორც ქვეყნის ცნობადობა საზღვარგარეთ. უდაოა არავინ ჩადებს ფულს ისეთ ქვეყანაში რომელსაც არ იცნობს და ერთხელ მაინც არ უნახავს თავისი თვალით.

შეგვიძლია დავასკვნათ რომ ტურიზმი როგორც ინდუსტრია აუცილებელია და ქვეყნისთვის პრიორიტეტული საკითხია მაგრამ ამ ინდუსტრიას ასევე შეუძლია სხვა გრძელვადიანი სარგებლის მომტანი სიკეთეების შემოტანაც საქართველოში, ესენია მაგალითად თუნდაც  უსაფრთხოება, (რადგან ქვეყანა სადაც ბევრი ტურისტი მოგზაურობს ითვლება უფრო უსაფრთხოდ არა მხოლოდ იმიტომ რომ ტურისტები თვითონ ასე მიიჩნევენ, არამედ თვითონ ფაქტი რომ ტურისტების დიდი რაოდენობაა ქვეყანაში სხვა მტრულად განწყობილ ქვეყნებს არ აძლევთ საშუალებას სწრაფი საომარი მოქმედებები აწარმოოს) ასევე ის KNOW HOW რასაც დასავლეთის ქვეყნები ასე აქტიურად იყენებენ და აქვთ თავიანთი კონკურენტული უპირატესობა სხვა ქვეყნების მიმართ.

მოდით ვნახოთ თუ როგორ იცვლება ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოში ვიზიტორების რაოდენობა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ვხედავთ რომ 2011 წლიდან- 2019 წლამდე ქვეყანაში საერთაშორისო არარეზიდენტი ვიზიტორების რიცხვი განუხრელად იზრდება.

2011 წელს ქვეყანას სტუმრობდა 3 მილიონ 115 ათასი ადამიანი.

ხოლო 2019 წელს ეს რიცხვი 9 მილიონი 357 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც 300.365363 % მეტია 2011 წლის მაჩვენებლთან შედარებით.

2020 წელს მსოფლიო კოვიდ პანდემიის გამო ყველაზე მეტად ტურისტული სექტორი დაზარალდა. შეწყდა ქვეყნებს შორის მიმოსვლა როგორც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზებით. ქვეყანები ფაქტიურად სრულ იზოლაციაში აღმოჩნდენ. რა თქმა უნდა ამან მკვეთრად შეამცირა 2020 წელს ტურისტული შემოსვლების მაჩვენებელი. მარტის ბოლოს მიღებული შეზღუდვები 2021 წლის ბოლომდე გაგრძელდა. მასშტაბურმა ვაქცინაციამ და პირბადის ტარების წასის შემოღებამ საბოლოოდ შედეგი გამოიღო და ინფიცირების რიცხვმაც მსოფლიოში იკლო. ამან საშუალება მისცა ქვეყნის მთავრობებს გაეხსნათ საზღვრები გარკვეული რეგულაციების დაცვით რაც დღემდე 2022 წლის ივლისამდე ძალაშია.

აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს მთავრობამაც და პსრ ტესტის ან კოვიდ ვაქცინის პასპორტის წარდგენის შემთხვავაში ქვეყანაში შეუძლიათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც.  2022 წელს პირველ ექვს თვეში ქვეყანას სტუმრობდა 1 მილიონ 625 ათასი ადამიანი რაც მნიშვნელოვანი მატებაა 2020 და 2021 წლებთან შედარებით, თუმცა მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2019 წლის მაჩვენებლებს.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან. საერთაშორისო ვიზიტების ზრდის კუთხით განსაკუთრებული ზრდით გამოირჩევიან ის ქვეყნები სადაც ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ აქტიური მარკეტინგული კამპანია

გამართა, შედეგად დიდი ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: გერმანია +38.1%, პოლონეთი +32%, საფრანგეთი +28.4%, გაერთიანებული სამეფო +27.5%, ნიდერლანდები +25.8% და სხვა.

**დასკვნა**

ნაშრომზე მუშაობისას გავეცანით საკვლევი თემის შინაარსობრივ და პრაქტიკულ ნაწილებს, რამაც საშუალება მოგვცა გადმოგვეცა სიღრმისეულად საკითხის ძირითადი და სპეციფიკური მხარეები.

თემაში განხილული ყველა ეკონომიკური ინდიკატორი ზეგავლენას ახდენს ლარის კურსზე და ზოგად ქართულ ეკონომიკაზე.

ვალუტის გაცვლით კურსზე მოქმედი 4 ძირითადი ფაქტორის ანალიზის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

- საქართველოს სავაჭრო ბალანსი ბოლო 8 წლის განმავლობაში გაუარესდა, ოკუპანტზე დამოკიდებულება კი, იმპორტის სიდიდის სახით, გაიზარდა. ეს ლარის გაცვლით კურსზე ნეგატიურ გავლენას ახდენს.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ბოლო 3 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად დაეცა და 2011 წლის დონეს გაუტოლდა, ეს ნიშნავს, რომ უცხოელი ინვესტორების მხრიდან ლარზე მოთხოვნა შემცირდა.
- ფულადი გზავნილების მაჩვენებელი სტაბილურად იზრდება. აღსანიშნავია, რომ რუსეთმა გამომგზავნი ქვეყნების სიაში პირველობა დაკარგა. ეს ფაქტორი ეროვნული ვალუტის სიმყარეზე პოზიტიურ როლს თამაშობს, თუმცა, როგორც ჩანს, არც ისე დიდს.
- 2012-დან 2019 წლის ჩათვლით, ტურიზმი თითქმის გაორმაგდა. საქართველოში შემოსული ვიზიტორებიდან, რუსეთის მოქალაქეები უმნიშვნელო 13%-ს იკავებენ, ევროპიდან შემომავალი ვიზიტორები კი – 72%-ს. შედეგად, რუსი ტურისტების პოზიტიური გავლენა ქართული ვალუტის სიმყარეზე საკმაოდ მცირეა. სამომავლოდ, ქართული ვალუტის გამყარების ერთ–ერთ ბერკეტად დასავლელ ვიზიტორზე ორიენტირებული ტურიზმი უნდა იყოს განხილული.

კვლევის შედეგებით ასევე დასტურდება რომ ლარის კურსზე უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის სავაჭრო ბალანსი, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დაწყებული უარყოფითია, თუმცა, ბოლო 8 წლის განმავლობაში, 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით, უფრო მეტად გაუარესდა.

ვალუტის გაუფასურება განსაკუთრებით, სამომხმარებლო პროდუქტების ფასში ვლინდება – რადგან საქართველო სურსათის, ელექტრონული მოწყობილობების, ნავთობპროდუქტებისა და სხვა საყოფაცხოვრებო საქონლის მსხვილი იმპორტიორია, ლარის გაუფასურება ცხოვრების ღირებულების ზრდასთან პირდაპირპროპორციულ კავშირშია.

მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, 2022 წლის ივნისში წლიური ინფლაციის დონემ 12.8% შეადგინა, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 6 თვეში საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეების ფასმა მოიმატა (21.5%), მეორე ადგილზეა სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (18.8%-ით), მესამე ადგილს ტრანსპორტი იკავებს (18.3%-ით).

საქართველო როგორც სამომხმარებლო ქვეყნისთვის ინფლაცია დამოკიდებულია 2 ფაქტორზე:

1) მთავრობის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ახალი ფული,

2) ეროვნული ვალუტის გაუფასურება დოლართან და სხვა სავაჭრო პარტნიორ ქვეყნების ვალუტებთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვალუტის გაუფასურება მხოლოდ პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ შოკებთან კავშირში ვერ იქნება, რადგან ქართული ლარი, ევროსა და დოლართან მიმართებით, უკვე წლებია უფასურდება.

პროცესის კომპლექსურობის მიუხედავად, თავისუფალ ცურვაში მყოფი ვალუტის ფასს, ანუ გაცვლით კურსს, მოთხოვნა-მიწოდების ძალები არეგულირებს. კერძოდ, რაც უფრო მოთხოვნადია ვალუტა, მით უფრო მაღალია მისი ფასი, ანუ კურსი, ხოლო რაც უფრო ნაკლებად სჭირდებათ – მით უფრო ეცემა მისი ფასი. მეორე მხრივ, რაც უფრო მეტად იზრდება მიწოდება, მით უფრო ნაკლებ დეფიციტური ხდება ვალუტა, რაც მას აუფასურებს, შეზღუდული მიწოდება კი – პირქით, აძვირებს.

ვფიქრობ მთავრობის მიერ აღებული შიდა და საგარეო ვალი თავის მხრივ ზრდის ინფლაციას. ნიშანდობრივია რომ ეროვნული ბანკის საპროცენტო განაკვეთის ზრდა ხელ უშლის ინფლაციურ პროცესებს თუმცა როგორც ვხედავთ აღნიშნული საკმარისი არაა და ქვეყანაში ბოლო პერიოდში ისტორიულად მაღალი ინფლაციის დონე ფიქსირდება.

ინფლაცია როგორც აუცილებლად ცუდ მოვლენა თავის მხრივ არაა, რადგან დეფლაციის რისკი ეკონომიკაზე გაცილებით უფრო სავალალოა რადგან მას სპირალური ეფექტი აქვს და იწვევს ქვეყნის ეკონომიკის შემცირებას.

ეროვნული ბანკის დეკლარირებული პოლიტიკა შეგვიძლია მივიჩნიოთ მართებულად. ის დაბალი 3 % ფარგლებში მერყეობს, თუმცა აღნიშნული მიზანი(თარგეთი) უკვე რამდენიმე წელია ვერ სრულდება. იმედს ვიტოვებთ მსოფლიოში მაღალი ინფლაციური პროცესები დროთა განმავლობაში დაიწევს და საქართველოც თავის სამიზნე პროცენტს შეასრულებს.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. „საბანკო საქმე“- ირაკლი კოვზანაძე, გოგი კონტრიძე 2017
2. „შეცნობა მსოფლიო ვაჭრობის“ - ელჰანან ჰელპმან
3. “პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენება განვითარებისთვის” - თეოდორ მორმანი 2006
4. https://www.geostat.ge/ka სტატისტიკის ეროვნული სამსახური
5. https://gnta.ge/ ტურიზმის ეროვნული სამსახური
6. https://nbg.gov.ge ეროვნული ბანკი
7. https://wttc.org/ მსოფლიო მოგზაურობა ტურიზმის საბჭო

**Macroeconomic factors affecting the national currency**

**Bakur Kristesiashvili,**
Doctoral Student, Georgian Technical University

**Abstract**

The purpose of this work is to better show the current macroeconomic processes in the country and their impact on the exchange rate of the lari.

Newspapers, Internet bloggers, economists share their views on the mentioned issue, newspapers, internet bloggers, economists share their views, debates are taking place on televisions, and yet each one of Georgian has a feeling of misunderstanding, because politicians reveal good information to the electorate, while opposition experts reveal negative information. I will try to explain the macroeconomic factors that influence the exchange rate of the GEL with the data I have provided below. We will also talk about the Bank's monetary policy and discuss what the central bank can do to maintain low inflation, low unemployment and high economic growth.

**Keywords**: exchange rate GEL, export, import, remittances, Russia's share in remittances, FDI, tourism.